გურამ მაისურაძე

უჯეხი სული საქართველოსი

მოთხრობები საქართველოს ისტორიიდან

I

გურამ მაისურაძე

უტეხი სული საქართველოსი

მოთხრობები
საქართველოს ისტორიიდან

წიგნი პირველი

რას გვიამბობს მოწამეთა

თბილისი, 2016

კლასგარეშე საკითხავი წიგნი „უტეხი სული საქართველოსი“ მხატვრულად მოგვითხრობს ქართველი ერის თავგადასავალს უძველესი დროიდან დღემდე.

გამოდის ორ ნაწილად. განკუთვნილია საშუალო სკოლის უფროსკლასელთათვის (VII-XI) და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **აკაკი მათიაშვილი**

ექსპერტები:
აკაკი მათიაშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ელვერ კუპატაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
თენგიზ ჩხეიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
გიორგი მირცხულავა – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა

© **გ. მაისურაძე**
წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

რედაქტორისგან

„უტეხი სული საქართველოსი“ ძვირფასი შენაძენია ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდების, მასწავლებლების, მშობლებისა და საქართველოს წარსულით დაინტერესებული ყველა პიროვნებისათვის. მასში მისაწვდომი, მიმზიდველი, სხარტი, დახვეწილი ენით შთამბეჭდავად მოთხრობილია მოკლე თავგადასავალი ქართველი ერისა და მისი სასიქადულო გმირებისა უძველესი წარსულიდან დღევანდლამდე. წიგნი მკითხველს აძლევს ცოდნის აუცილებელ მინიმუმს ქართველი ერის ისტორიის შესახებ. ეს წიგნი, განსაკუთრებით მისი ბოლო ნაწილი, თავისი ისტორიული სიმართლით, ლოგიკური და ჭეშმარიტი მეცნიერული მსჯელობით დაამშვენებს საქართველოს უახლესი ხანის მატიანეს.

დღეს, როდესაც დღის წესრიგში დგას ახალი ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნის საკითხი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები დიდი სიამოვნებით გამოიყენებენ ამ წიგნს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელოს საქართველოს ისტორიაში.

აკაკი მათიაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.
1999 წ.

ჩემო მრავალჯერნახულო ქართველო!

შენი სამშობლო საქართველოა და აქ მოთხრობილი ამბები მისი თავგადასავალია. წიგნი გიამბობს ჩვენი წინაპრების ბრძოლასა და შრომაზე, ქართველი კაცის ბუნებაზე, ხასიათზე... ეს ყველაფერი ჩვენი ისტორიაა.

უთვალავი მტერი მუდამ მუმლივით გვესეოდა, სამშობლოს წართმევას გვიპირებდა. იძულებულნი ვხდებოდით სისხლისმღვრელი ბრძოლებით თავი დაგვეცვა. წინაპართა თავგანწირვამ, სიმამაცემ, ნიჭმა, გონიერებამ, მხნეობამ, ერთმანეთის გატანამ და სიყვარულმა გადაგვარჩინა; მაგრამ შეცდომებიც ბევრი გვქონდა. ის შეცდომები გაკვეთილად უნდა გექცეს.

მრავალი ადამიანი შეეწირა ჩვენს სამართლიან ბრძოლას. უმეტესობის სახელები უცნობი დარჩა. ზოგის შესახებ ცნობებს გვაწვდის „ქართლის ცხოვრება“ და სხვა ძველი თუ ახალი წიგნები. ზოგის სახელი ხალხის მეხსიერებამ – ზეპირმა საგმირო ლექსებმა, თქმულებებმა, ლეგენდებმა შემოგვინახა. უმეტესობა კი უცნობი დარჩა. ზოგის სახელი შემთხვევით დაიკარგა – მწერალმა არ მოიხსენია, ანდა მტრის შემოსევის დროს განადგურდა წიგნი, რომელშიც მისი ამბავი ეწერა. ზოგიც განგებ იქნა დავიწყებული: მტერი და დამპყრობი მუდამ ცდილობდა, ჩვენი ეროვნული გმირები აუგად ეხსენებინა, სახელი გაეტეხა, ხალხის მტრად გამოეცხადებინა, აბუჩად აეგდო და დაემცირებინა ჩვენი წარსული. მტრის მიზანი ის იყო, რომ ხალხს შესძულებოდა და დავიწყებოდა თავისი გმირებიც, მამა-პაპის სალოცავებიც, ისტორიაც. მაშინ ასეთი ხალხის დამონება და გადაგვარება უფრო ადვილი იქნებოდა. ბევრი ამგვარად დავიწყებული სახელი გამოჩნდა იმ მასალებში, რომლებიც ჩვენმა მკვლევარებმა ამ ბოლო ათწლეულებში გამოაქვეყნეს. ეს წიგნიც ზოგი მათგანის ღვაწლის შეხსენებაა: ჩვენი ღირსეული წინაპრები სამშობლოსათვის ეწამნენ. ჩვენი გუშინდელი და დღევანდელი თაობებიც წამებულები არიან, რადგან სამშობლო ახლაც განსაცდელშია შინაური თუ გარეშე მტრის მიზეზით. ეს წიგნი ჩვენი სამშობლოსა და ქართველი კაცის ამ მოწამებრივ ცხოვრებაზე გიამბობთ.

ვინც თავისი ერისა და სამშობლოს წარსული არ იცის, თვალისჩინი დაჰკარგვია, უსინათლო კაცს დამსგავსებია. ასეთი კაცი ბეჩავი და უსუსურია, ყველა შემხვედრმა გადამთიელმა შეიძლება ადვილად გააბრიყვოს, სამშობლოს ღალატი ჩაადენინოს და უფსკრულში გადაჩეხოს. ნამდვილი მამულიშვილი ყოველთვის უნდა ამაყობდეს თავისი სამშობლოს წარსულით, მისი გმირებით და ბაძავდეს მათ, იზრდებოდეს და ზრდიდეს შვილებს მათი მაგალითით, ეროვნული სულისკვეთებით. ამიტომ გახსოვდეს ისინი და სანამ დედამიწაზე ივლი, სამშობლოს, ღირსეული წინაპრებისა და ქართველი კაცის სახელს თვალისჩინივით გაუფრთხილდი!

საიდან მოდიან ქართველები?

ოდის გაჩნდნენ ქართველები დედამიწაზე? ვინ იყვნენ მათი წინაპრები? ქართველები დედამიწის ერთ-ერთი უძველესი ერია. მათი ფესვები ძალზე შორეულ წარსულშია ჩაკარგული. ბევრი რამ ჯერ კიდევ წყვდიადით მოცულია, გამოსაკვლევია ... და მაინც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები ამ კითხვებზე გარკვეულ პასუხს იძლევიან.

შუმერი და იბერი. მეცნიერებმა აღმოაჩინეს სხვადასხვა ხალხების უძველესი ცივილიზაციები*. მათ შორის ყველაზე ადრინდელია შუმერული. ამაზე უფრო ძველს ჯერჯერობით ვერ მიაკვლიეს. ამიტომ ხშირად ამბობენ: კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორია შუმერებიდან იწყებაო.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს და წაიკითხეს შუმერების დამწერლობა, მათი წიგნი „გილგამეშიანი“. გილგამეში 4700 წლის წინ ქალაქ ურუქის მეფე იყო. მასზე უამრავი ზეპირი თქმულება შეიქმნა. ათასი წლის შემდეგ მწერლებმა ეს სიმღერები თიხის დაფებზე ჩაწერეს. ჩვენამდე მოღწეული „გილგამეშიანის“ უძველესი ხელნაწერი 3800 წლის წინანდელია. ეს არის დედამიწაზე ყველაზე ძველი წიგნი. მასში ლაპარაკია გილგამეშის საგმირო საქმეებზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე. ყველაზე მთავარი კი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. გილგამეში უძლეველია, ლომის ტყავი აცვია და მრავალ საგმირო საქმეს სჩადის. მაგრამ მისი მთავარი ოცნებაა აღმოაჩინოს უკვდავების წამალი და მარადიული გახადოს ადამიანის სიცოცხლე. სანამ დედამიწაზე სიკვდილ-სიცოცხლე იარსებებს, ადამიანები მუდამ მღელვარებით წაიკითხავენ ამ დიდებულ წიგნს.

შუმერები შუამდინარეთში დაახლოებით რვაათასი წლის

** ცივილიზაცია – სახელმწიფოებრივი და კულტურული განვითარების დონე, რომელსაც ამათუიმ ხალხმა მიაღწია.*

წინ მივიდნენ. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ეს იყო ქართველური მოდგმა; შუმერულ და ქართულ ენებს რაღაც საერთო ჰქონდათ. მერე მოხდა მათი განცალკევება. დღევანდელ ქართულში შემორჩენილია ამ ენობრივი ერთობის არაერთი ნიშანი.*

ძველად ქართველებს იბერებსაც უწოდებდნენ. შუმ-ერი, იბ-ერი. ორივე ხალხის სახელში საერთო სიტყვაა „ერი". ერი ქართულადაც და შუმერულადაც (ერიმ, ერენ) ნიშნავს ხალხს. „იბ" ბასკურ ენაზე ნიშნავს წყალს, მდინარეს. იგივეა ეტრუსკული ტიბ (ტიბრი იტალიაში), სვანური ტვიბ (ტვიბრა), მეგრული ტობ (ტობავარჩხილი), ქართული ტაბ (ტაბახმელა). ესე იგი იბერი ნიშნავს მდინარის ხალხს, ზღვის ხალხს.

მართლაც, იბერიელები ფლობდნენ ხმელეთისა და წყლის უზარმაზარ სივრცეებს: იბერიული მოდგმით იყო დასახლებული ინდოეთი, მცირე აზია, კავკასია, ბალკანეთი, ჩრდილოეთი აფრიკა, იტალია, პირინეის ნახევარკუნძული და ევროპის დიდი ნაწილი. მათი იყო შვიდი ზღვა და ორი ოკეანე. შუმერების წარმოდგენით ქვეყანა იყო ბრტყელი და ირგვლივ ეკრა უსაზღვრო წყალი – „დიდი მდინარე". ეს მდინარე იწყებოდა „ზემო ზღვიდან" – შავი ზღვიდან და მიედინებოდა ქვემო ზღვისაკენ – ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანისაკენ. ატლანტის ოკეანეს ძველად იბერიის ზღვა ერქვა. ესე იგი შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვის აუზისა და ატლანტის ოკეანის სივრცეები შუმერებს ერთი დიდი მდინარე ეგონათ. ეს „მდინარე" იბერიელების საკუთრება იყო, მას იბერიელების ხომალდები სერავდნენ. ისინი ჩინებული ზღვაოსნე-

---

**ქართული და შუმერული ენების მსგავსება-ნათესაობის კვლევაში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა თბილისისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორმა მიხეილ წერეთელმა. მან ბევრი საერთო აღმოაჩინა ამ ენებს შორის. 1912 წელს გამოქვეყნდა მისი ბრწყინვალე შრომა „სუმერული და ქართული".*

წინაზიაში ერთ-ერთი დიდი და უძველესი ცივილიზაციის კერა იყო ხეთების სამეფოც, რომელიც ასევე იბერიულ სამყაროს წარმოადგენდა. დღეს უკვე მეცნიერებაში მკვიდრდება აზრი, რომ „ქართველები, შუმერები და ხეთები ერთი ხალხია". (ნაზი ხანიაშვილი. „ქართველები – შუმერთა წინაპრები". გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 2014წ. №33/. მკვლევარ ნ. ხანიაშვილის დასკვნით ხეთური და ქართული სამყაროს ეგზეობის კვალი შემორჩენილია საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინებში: მეს-ხეთი, ჯავა-ხეთი, კოლ-ხეთი, კა-ხეთი, კუ-ხეთი, მც-ხეთა. აკადემიკოსმა, ხეთოლოგმა გრიგოლ გიორგაძემ კი უძველეს ხეთურ სახელებში დღევანდელი კოლხური გვარების კვალი აღმოაჩინა. (ჟ. „აია", 1999წ. №7. გვ. 60-61).

ბი იყვნენ და ბრიტანეთის კუნძულებამდე ჩადიოდნენ სავაჭროდ, ზოგიერთები კი შორეული ამერიკის კონტინენტამდეც აღწევდნენ. ამ „დიდი მდინარის“ შუაგულში კი იყო ნახევარკუნძულებისა და კუნძულების უთვალავი რაოდენობა (რვაასამდე). აქ ყვაოდა კრეტულ-მინოსური (კრეტაზე), პელაზგური (პელოპონესში), ეტრუსკული (იტალიაში) და სხვა იბერიული ცივილიზაციები.

სრულიად ბუნერივია, რომ აქედან წარმოშობილიყო იბერიული ტომების საერთო სახელწოდებაც: იბ-ერი – „მდინარის ხალხი“', „წყლის ხალხი“, „ზღვის ხალხი“. ასეთი სახელწოდების არსებობის ფაქტი დადასტურებულია ძველ საქართველოშიც: ერთ-ერთი ქართული ტომის ტაბალის ქვეყანა ძველ ხატოვან წარწერებში აღნიშნულია წყლის ნიშნით და ნიშნავს: „წყლის ქვეყანა“, ანუ „ზღვის ქვეყნის ხალხი“. ტაბალის ქვეყანა იბერიული ტომებით დასახლებული სივრცეების შუაგულში მდებარეობდა. სწორედ ამ ქვეყნის სახელი გავრცელდა შემდეგ მთელ იბერიულ მოდგმაზე და მათ საერთო სახელწოდებად იქცა.

კაცობრიობის პირველდაწყებითი მოდგმა

მეცნიერები იბერიელებს კაცობრიობის პირველდაწყებით მოდგმას უწოდებენ. ვარაუდობენ, რომ მათ თავიდან ერთიანი ენა ჰქონდათ. ეს იყო პროტოქართული, პროტოიბერიული – ქართულის წინამორბედი ენა, ფუძე ენა, კაცობრიობის უძველესი ენა. ამ ენაზე ლაპარაკობდა მთელი ცივილიზებული კაცობრიობა. შემდეგ მოხდა პროტოქართული მოდგმისა და მათი ფუძე ენის დაშლა და სხვა ენების წარმოქმნა. რამ გამოიწვია ეს?

ინდოევროპელთა შემოსევა

ევროპისა და აზიის ჩრდილოეთ ნაწილში სხვა მოდგმის ტომები ცხოვრობდნენ. მეცნიერები მათ პირობითად ინდოევროპელებს უწოდებენ. ისინი შედარებით განვითარების დაბალ დონეზე იდგნენ. თავს ირჩენდნენ მეთევზეობა-მონადირეობით, მომთაბარული მეჯოგეობით, ომებითა და სხვა ქვეყნების ძარცვით. ყველაზე ხშირად სამხრეთისაკენ ლაშქრობდნენ: იბერიელთა ბარაქიანი მიწა-წყლისა და მდიდარი ქალა-

ქების ძარცვით დიდ ნადავლს შოულობდნენ. დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინ მათ დაიწყეს იბერიელთა მიწა-წყლის დაპყრობა და იქ დასახლება. ბევრმა ტომმა გამოიცვალა ადგილსამყოფელი – მოხდა მრავალი ხალხის დიდი გადაადგილებები. დაემხო ძველი სახელმწიფოები და გაჩნდა ახლები. საუკუნეების მანძილზე გაგრძელდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ერთიმეორის მიყოლებით ძალმომრეობით იქმნებოდა ბაბილონის, ასურეთის,ურარტუს, მიდიის, სპარსეთისა და სხვა სამეფოები, რომის იმპერია. მათ იბერიული მოსახლეობის დიდი ხოცვა-ჟლეტა მოაწყეს. მერე უსასტიკესი ომებით ერთმანეთიც გაანადგურეს. დამპყრობლებმა იბერიული მოსახლეობიდან ზოგი მოსპეს, ზოგი შეიერთეს, ზოგი გააძევეს. ბევრგან ადგილობრივი და მოსული ხალხების შერევით ახალი ხალხები გაჩნდნენ.

ვინ გადაურჩა ინდოევროპელთა წარღვნას?

ამ გამანადგურებელი ომებისა და ხალხთა დიდი შეჯახება-გადაადგილების გამო გაქრა შუმერებისა და სხვა ხალხების სახსენებელი. მოისპო ეტრუსკული, პელაზგური, მინოსური და სხვა იბერიული ცივილიზაციები, იბერიული დამწერლობისა და კულტურის ძეგლები. ნანგრევებად და უდაბნოებად იქცა დიდებული ქალაქები, სარწყავი არხები და ბაღ-ვენახები. იბერიელთა აყვავებულ ქვეყნებში დადგა ხანგრძლივი ბნელი ღამე.

იბერთა მოდგმიდან სუფთა სახით გადარჩნენ: პირინეებში – ბასკები, ინგლისში – ირლანდიელები, ხმელთაშუა ზღვის აუზში – კორსიკელები, კავკასიაში – ქართველები, ჩეჩნები, ინგუშები, ჩერქეზები, ლეკები და სხვები. კავკასიაში დღეისათვის 32 იბერიული ენა არსებობს. ძველ წერილობით წყაროებში ბასკებს ეწოდებათ დასავლეთის იბერები, დასავლეთის ქართველები, კავკასიელებს – აღმოსავლეთის იბერები, აღმოსავლეთის ქართველები. დიდი იბერიული სამყაროს განადგურების შემდეგაც კიდევ დიდხანს შეინარჩუნა საქართველომ ძველი სახელი – ქართლის სამეფოს საუკუნეების მანძილზე ერქვა იბერიის სამეფო.

საიდან ვიცით ამის შესახებ?

ადამიანთა ხსოვნამ, ძველმა მითებმა და თქმულებებმა შემოგვინახა ამ კატასტროფის ცნობები.

დიდი გერმანელი მეცნიერი ფ. ვ. შელინგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ზ. გამსახურდია და სხვები ამბობენ, რომ ეს მითები ძველმა იბერიელებმა – პელაზგებმა შექმნეს. ისინი ზეპირად თუ წერილობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მერე ძველმა ბერძენმა მწერლებმა ჩაიწერეს და გადაამუშავეს. ასე მოაღწია ამ მითებმა – ჩვენი შორეული წინაპრების ხმამ ჩვენამდე.

მითებში ბევრი რამ დაფარულად, ზღაპრულ ფორმაშია ნათქვამი, მაგრამ ისინი ნამდვილი ამბების საფუძველზე შეიქმნა. ამიტომ უძველეს თქმულებებსა და მითებში გაბნეული ცნობები უნდა ამოვკრიბოთ. ისინი დაგვეხმარება, რომ ჩვენი წინაპრების ისტორიის დაკარგული ნაწილი ზოგადად და მიახლოებით მაინც აღვადგინოთ.

მითებისა და ლეგენდების სამყაროში

პრომეთე

პრომეთეს მითი გვიამბობს ორი ღმერთის – პრომეთესა და ზევსის ბრძოლაზე. ეს არის ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. პრომეთე ძველი ღმერთების შთამომავალია. მან შექმნა დედამიწაზე ცივილიზაცია.ზევსი ახალი ღმერთია. მან დაამხო ძველი ღმერთები და ანადგურებს ამ ცივილიზაციას.

ზევსის შვილი ჰეფესტოსი ამბობს: „ზევსი ულმობელია და გულქვა, როგორც ყველა, ვინც ძალაუფლება ხელთ იგდო“. ზევსი სასტიკი და ხარბია, სძულს ადამიანები და ცდილობს რაც შეიძლება სასტიკად დასაჯოს. პრომეთე კეთილია და იცავს ადამიანებს.

პრომეთემ შექმნა ადამიანთა მოდგმა, ასწავლა მათ ხვნა-თესვა, პირუტყვის მოშინაურება, ნაოსნობა, ბრინჯაოს, ოქრო-ვერცხლისა და რკინის დამუშავება, წამლების დამზადება და მკურნალობა, წერა-კითხვა და ანგარიში...

პრომეთეზე გაჯავრებულმა ზევსმა წაართვა ადამიანებს ცეცხლი, რომელიც სიცოცხლისათვის ყველაზე საჭირო იყო. პრომეთემ ციდან ჩამოუტანა ხალხს ცეცხლი. ზევსმა ადამიანებს ათასი ბოროტება გამოუგზავნა. დედამიწას მოედო უამრავი სნეულება, სიკვდილმა დაიწყო ყველგან თარეში. ზევსმა ადამიანებისათვის ცარიელი იმედიც კი არ გაიმეტა.

ამ ორთაბრძოლაში ზევსმა გაიმარჯვა. მან პრომეთე კავკასიის ქედზე მიაჯაჭვა. თან ერთი საზარელი არწივი მიუჩინა, რომელიც პრომეთეს ყოველდღე გულ-ღვიძლს უკორტნის. პრომეთე მაინც ამაყი და ქედუხრელია. ბოლოს იგი თავისუფალი და უკვდავი ხდება იბერიელი გმირის ერეკლეს დახმარებით. ერეკლე ისრით კლავს არწივს, კომბლით დალეწავს ჯაჭვებს და პრომეთეს ათავისუფლებს.

რას ნიშნავს ეს?

პრომეთე იბერული მოდგმაა, ზევსი – ინდოევროპული მოდგ-

მა. მათ შორის ხანგრძლივი ბრძოლაა. ინდოევროპულმა მოდგმამ დაამარცხა ძველი იბერიული მოდგმა, დაამხო მათი ღმერთები, მონობის ბორკილი დაადო ხალხს და განდევნა მშობლიური ადგილებიდან. ალბათ ამ აზრს ადასტურებს ძველი საბერძნეთის ყველაზე ადრინდელი პოეტის ჰომეროსის სიტყვები: „კაცს სამწუხარო მონობის ხვედრი არგუნა ზევსმა“. კავკასიონის მიდამოებიდა დარჩენიათ ქართველებს საცხოვრებლად. მაგრამ იბერიელები ქედს არ იხრიან, სწამთ, რომ თავისუფლებას მოიპოვებენ, უკვდავებას ეზიარებიან. ეს თავისუფლება მათ უცხო ძალამ კი არა, ისევ იბერიული წიაღიდან გამოსულმა გმირმა უნდა მოუტანოს.

ასე ლამაზად აისახა ხალხის ხსოვნაში ძველი იბერიის ყველაზე საშინელი ხანა: ინდოევროპული გამანადგურებელი „წარღვნის“ ამბავი, თავისუფლებისა და უკვდავების რწმენა.

ერეკლე

ერეკლეს თავდაპირველი სახელი ალკიდე იყო. მან ჯერ კიდევ აკვანში მწოლიარემ ჩაიდინა საოცარი საქმე: მძინარე ორ საზარელ გველს უნდა დაეგესლა. ბავშვმა გაიღვიძა, გველებს თავებში წაავლო ხელები და ორივენი დაახრჩო.

ერეკლემ დიდებული აღზრდა მიიღო: ჩინებულად შეისწავლა ყველა საომარი იარაღის ხმარება, კრივი, ჭიდაობა, ქნარის დაკვრა, სიმღერა, მწიგნობრობა და სხვადასხვა მეცნიერება. იყო სამ მეტრამდე სიმაღლის გოლიათი, წარმოუდგენელი ღონისა და სილამაზის ვაჟკაცი.

ერეკლემ საზარელი ლომი ხელით დაახრჩო და ტყავი მოსასხამად გაიკეთა. ტყავი ჯავშნის მაგივრობას უწევს, ლომის პირდაღებული თავი კი მუზარადად ახურავს. გილგამეშივით ლომისტყაოსანმა რაინდმა მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა.

ერეკლე მეფური წარმოშობისაა, ნახევრად ღმერთია, უძლეველ გმირს ბოლოს უკვდავება ელის. მაგრამ მიკენის მეფის ევრისთევსის ქვეშევრდომია. ასე მიუსაჯეს ახალმა ღმერთებმა. ევრისთევსი ბოროტი და უღირსი მეფეა, სძულს ერეკლე, მრავალ

სახიფათო დავალებას აძლევს, რომ როგორმე თავიდან მოიშოროს და დაღუპოს. ერეკლე ყველგან გამარჯვებული გამოდის.

ერეკლე პელაზგური მოდგმიდან არის გამოსული, იბერთა ბელადი და ღვთაებრივი გმირია. ამიტომ მისი მოღვაწეობის ადგილიც იბერიის მიწა-წყალია. ახლა ამ მიწა-წყალზე უბედურება ტრიალებს: ყველგან ინდოევროპული მოდგმის დამპყრობლები თარეშობენ. შარაგზის ყაჩაღები და ავაზაკები ძარცვავენ და ხოცავენ ყველას. ხალხი აკლებული და შეწუხებულია. ერეკლე დაჩაგრული ხალხისა და სამართლიანობის დამცველია. იგი კიდით-კიდემდე მოგზაურობს ევროპის, აზიის, აფრიკის უზარმაზარ სივრცეებზე – იბერიელთა მიწა-წყალზე და ებრძვის ყაჩაღებს, ბოროტ რაინდებს, საზარელ ურჩხულებს. მან არაერთი ბოროტი მეფე დაამარცხა და დააქცია მათი ქალაქები. სამაგიეროდ ბევრი ახალი ქალაქიც ააშენა.

ერეკლე არ შეუშინდა ზევსის რისხვას და შეცვალა მისი განაჩენი: დაამსხვრია მონობის ბორკილები და გაათავისუფლა პრომეთე, სამართლიანობისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლი ღვთაება. ამით მან ხალხს დაუბრუნა რწმენა, რომ სამართლიანობა და სიკეთე ბოლოს აუცილებლად გაიმარჯვებს ბოროტ ძალებზე. ეს არის ერეკლეს უმთავრესი გმირობა.

უძლეველი გმირი ბოლოს ისევ შინაურმა დაღუპა. ერთ-ერთი ომიდან გამარჯვებული ბრუნდებოდა. ცოლმა საჩუქრად მოწამლული პერანგი გაუგზავნა. ერეკლემ ჩაიცვა პერანგი და მოიწამლა: ძალა გამოეცალა, გოლიათურმა სხეულმა დაშლა დაიწყო. როცა დაიღუპა, მაღალ მთაზე აიყვანეს და კოცონზე დაწვეს. ასეთი იყო მისი უკანასკნელი სურვილი. ადამიანთა წრიდან იგი ღმერთების უკვდავ სამყაროში გადავიდა. მუხანათმა ცოლმა კი თავი მოიკლა.

ერეკლეს დედა ალკმენე ქალაქ მიკენში ცხოვრობდა. მასთან იყვნენ ერეკლეს შვილებიც, რომლებსაც ჰერაკლიდები უწოდეს. ბოროტმა ევრისთევსმა მათი დახოცვა გადაწყვიტა. ჰერაკლიდები უცხო ქვეყნებში გადაიხვეწნენ.

ჰერაკლიდებს მრავალწლიანი ბრძოლა დასჭირდათ მამისეული პელაზგური მიწა-წყლის – პელოპონესის დასაბრუნებლად. მათი ყველა ლაშქრობა მარცხით მთავრდებოდა. მისანმა უთხრა:

გაიმარჯვებთ მაშინ, როცა სამთვალა სარდალი გეყოლებათო. ერთხელ ჰერაკლიდებს გზაზე ცალთვალა უცნობი შემოხვდათ. იგი სახედარზე იჯდა. ამ კაცს ცალი თვალი აქვს, სახედარს – ორი თვალი. სწორედ ეს არის სამთვალა კაციო. – გადაწყვიტეს და სარდლად დანიშნეს. მართლაც გაიმარჯვეს ამჯერად და წართმეული მამული დაიბრუნეს.

ერეკლე კი სამუდამოდ დარჩა კაცობრიობის ისტორიაში გმირობის, რაინდობის, სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლის სწორუპოვარ სიმბოლოდ.

არგონავტების მოგზაურობა

მრავალ ქვეყანაში ისმოდა კოლხეთის დიდება. საოცარ ამბებს ჰყვებოდნენ:

ამბობდნენ, რომ იქ მდინარეებს ოქრო მოაქვთ; მდინარე ფაზისის ჭალაში ოქროს ფრინველები – ხოხბები დაფრინავენ; ომის ღმერთის არესის წმინდა ჭალაში ერთ მუხაზე დიდი განძი – ოქროს საწმისი ჰკიდია და საზარელი გველეშაპი სდარაჯობს: კოლხეთის მეფე აიეტი მზის შვილი და უძლეველი გმირია.

ბევრ გამოჩენილ გმირსა და მეფეს სურდა ოქროს საწმისის ხელში ჩაგდება. შეიკრიბნენ საბერძნეთის ყველაზე გამოჩენილი გმირები, ააგეს ხომალდი „არგო“ და წავიდნენ საწმისის მოსატაცებლად. მათ უფლისწული იაზონი მეთაურობდა. მრავალი ხიფათის შემდეგ კოლხეთში ჩავიდნენ. ხომალდი მდინარე რიონის ტყით დაბურულ ნაპირთან დამალეს. კოლხეთის დედაქალაქ ქუთაისისაკენ გზა ფეხით განაგრძეს.

იაზონი აიეტის სასახლეს მიადგა. მცველებმა გაუღეს მტკიცე გალავნით მოზღუდული სასახლის ჭიშკარი. ეზოს ჭიშკრიდანვე მიუყვებოდა მაღალი სვეტები. ზედ ვაზები იყო შემოხვეული. ვაზით დაბურულ ვეება ეზოში ოთხი წყარო მოჩუხჩუხებდა; რძის, ღვინის, სურნელოვანი ზეთისა და ანკარა წყლისა. ეზოს სიღრმეში ორი დიდებული სასახლე იდგა – მაღალი სვეტებითა და სპილენძის ქონგურებით შემკული. ერთი მეფე აიეტისა იყო, მეორე – უფლისწულ აფსირტესი. შორიახლოს კიდევ რამდე-

ნიმე სახლი იდგა. მათში მეფის ასულები ქალკიოპე და მედეა, მათი მოახლეები და მსახურები ცხოვრობდნენ.

კოლხებმა დიდი ხარი დაკლეს და სტუმრებს გულუხვად უმასპინძლეს. მეფემ იაზონის სტუმრობის მიზეზი რომ შეიტყო, უთხრა: არესის ველზე ორი ხარი მყავს. სპილენძის ჩლიქები აქვთ და პირიდან ცეცხლს აფრქვევენ. ამ ხარებს უღელში ვაბამ და ფოლადის გუთნით მიწას ვხნავ. ხნულში გველეშაპის კბილებს ვთესავ. მიწიდან მეომრების ლაშქარი ამოდის. მათ შუბით ვხოცავ. ამ საქმეს ერთ დღეში ვაკეთებ. თუ ამას თქვენც შესძლებთ, საწმისს მოგცემთო.

საგონებელში ჩავარდნენ ბერძნები. მხსნელად მედეა მოევლინათ. იგი ტაძრის ქურუმი იყო და ათასგვარი ჯადოქრობა და წამლები იცოდა. იაზონი მოსწონებოდა და შემწეობა გადაეწყვიტა. მედეამ შეაგროვა პრომეთეს ღვიძლიდან დაღვრილი სისხლი, ნასისხლარ მიწაზე ამოსული მეწამული ყვავილის ფესვების წვენი. დაამზადა მათგან ჯადოსნური წამალი და იაზონს გადასცა. მანვე გასცა მამის დიდი საიდუმლო: მიწიდან როცა ბუმბერაზები ამოვლენ, შუაგულ ლაშქარში დიდი ლოდი გადააგდე. ბუმბერაზები ლოდს დაესევიან და ერთმანეთს გაჟლეტენ. დარჩენილებს თვითონაც მოერევიო.

იაზონმა მედეას მალამოთი ტანი დაიზილა და ზებუნებრივი ძალა იგრძნო; ფარ-შუბი გაპოხა და ისინი უმტკიცესნი გახდნენ. მან ადვილად შეასრულა აიეტის სახიფათო დავალება.

იმ ღამით მედეა სასახლიდან გაიპარა. შუაღამისას იაზონი არესის ჭალაში მიიყვანა. გველეშაპი მოაჯადოვა. მერე ღვიის ტოტით თვალებში ჯადოსნური სითხე შეასხურა და დააძინა. იაზონი მუხაზე აცოცდა და საწმისი ჩამოხსნა. მედეა განუწყვეტლივ ასხურებდა გველეშაპს ძილის წამალს. რიჟრაჟზე საწმისი გემზე აიტანეს, იალქნები აუშვეს და ზღვაში გავიდნენ. გაქცეულებს კოლხების ფლოტი დაედევნა. კოლხების საომარი ხომალდები ჰგავდა ფრინველთა თვალუწვდენელ გუნდს, ზღვაზე გადაფრენისას მზეს რომ აბნელებს. მათ აიეტის შვილი აფსირტე მიუძღოდა. კოლხებმა გზა მოუჭრეს ბერძნებს მდინარე ისტროსის შესართავთან. გაიმართა მოლაპარაკება. თითქოს დაზავდნენ კიდეც: აიეტის მეფური სიტყვა ძალაში რჩებოდა.

საწმისს ბერძნები წაიღებდნენ, ხოლო მედეა უკან უნდა დაბრუნებულიყო.

მედეა ნაპირზე გადაიყვანეს და ერთ-ერთ ტაძარში დააბინავეს. იქაურ მეფეს უნდა გადაეწყვიტა საბოლოოდ, მედეა მამისთვის მიეგვარათ თუ არგონავტებს გაჰყოლოდა. მეფე საგონებელშია ჩავარდნილი. არგონავტებს ეუბნება: აიეტის წყენა არ არის გონივრული საქმე. ქვეყნად ვერავინ გაუტოლდება ძლევამოსილ კოლხეთის მეფეს. თუმცა ძლიერ შორსაა, თუ განიზრახა, მე კი არა, საბერძნეთსაც ომს გაუმართავსო.

გამოსავალი ისევ მედეამ მონახა. იაზონს ახალი ვერაგული გეგმა შესთავაზა: ჩემს ძმას ტაძარში მოვიტყუებ, მოვკლათ და გავექცეთ კოლხებსო. მედეამ შუადამისას დაიბარა ძმა ტაძარში. აფსირტე ენდო დას და მივიდა სანახავად. ტაძარში დამალული იაზონი თავს დაესხა უიარაღო აფსირტეს და ხმლით განგმირა. აფსირტეს სისხლით შეისვარა მედეას სამოსი. მომაკვდავმა პირი სისხლით აივსო და მუხანათ დას ზიზღით სახეში შეასხა. აფსირტემ სული დალია. მედეამ ანთებული მაშხალით არგონავტებს ნიშანი მისცა. ისინი დაერივნენ მძინარე კოლხებს და ბევრნი დახოცეს. იაზონი და მედეა არგოზე ავიდნენ. არგონავტები გაიქცნენ.

კიდევ დიდხანს სდიეს კოლხებმა,მაგრამ ამაოდ. არგონავტები მრავალი ხიფათის შემდეგ საბერძნეთში დაბრუნდნენ. იაზონმა მედეა ცოლად შეირთო. მაგრამ ათი წლის შემდეგ მიატოვა და კორინთოს მეფის ასულზე გლავკეზე იქორწინა.

მედეას საშინელი ღალატი ჰქონდა ჩადენილი სამშობლოს, მამისა და ძმის წინაშე. სხვისი ღალატი კი ვერ აიტანა. მან სასტიკად იძია შური ქმარზე. პატარძალს მოწამლული სამოსი გაუგზავნა საჩუქრად. გლავკემ ეს სამოსი ჩაიცვა, ცეცხლი წაეკიდა და სული განუტევა. ამ დროს სასახლეში მეფე შემოვიდა. მწუხარე მამა შვილის გვამს დაეკონა. ისიც მოიწამლა და დაიღუპა. სასოწარკვეთილი იაზონი სასახლის ზღურბლზე თავისივე მახვილზე წამოეგო და თავი მოიკლა. მედეა გველეშაპებშებმული ეტლით ცაში გაფრინდა.

ასე დამთავრდა თავგადასავალი გრძნეული მკურნალისა და სამშობლოს მოღალატე კოლხი ქალისა. საუკუნეების მანძილზე

მედეა შთაგონების წყარო იყო ბერძენი და რომაელი მწერლების, მოქანდაკეების, მხატვრებისა. საბერძნეთში ააშენეს მისი სახელობის ტაძრები, ხოლო სამკურნალო საქმეს მისი სახელის მიხედვით მედიცინა უწოდეს.

როდის მოხდა ეს ამბავი? მეცნიერთა ვარაუდით, დაახლოებით 3200-3300 წლის წინ. რას გვამცნობს ეს მითი? იმას, რომ კოლხურ ტომებს – ხალიბებს (ლაზებს), მაკრონებს (მეგრელებს), აგრეთვე ტიბარენებს (ტაბალებს), მოსინიკებსა (მესხებს) და სხვა ქართველ ტომებს 3200 წლის წინ ძლიერი სამეფო, მძლავრი სამხედრო ფლოტი, ფოლადის გუთანი, განვითარებული სოფლის მეურნეობა, გეოგრაფიული და სამედიცინო მეცნიერება აქვთ. კოლხეთის სამეფო მოიცავს შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროს, აქვს დიდი ქალაქები – ქუთაისი, ფაზისი ანუ ფოთი, დიოსკურია ანუ სოხუმი და სხვები. კოლხეთი ძველი კულტურის ერთ-ერთი კერაა. მეფე აიეტის და პასიფაე ხმელთაშუა ზღვის კუნძულ კრეტის დედოფალია. იგი დიდად განათლებული ქალია. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ კოლხეთს და კრეტას მჭიდრო ურთიერთობა აქვთ. კოლხური ცივილიზაცია ხმელთაშუა ზღვის აუზის იბერიული ცივილიზაციის ნაწილია, კრეტულ-მინოსური ცივილიზაციის დროინდელია (ამას არქეოლოგიური გათხრებიც ადასტურებს).

ამ რამდენიმე წლის წინ ინგლისელმა მეცნიერმა ტიმ სევერინმა ააგო „არგოს“ მსგავსი ხომალდი და არგონავტების მოგზაურობა გაიმეორა.

ბაბილონის გოდოლი

დედამიწაზე მოხდა გამანადგურებელი წარღვნა. დაიქცა ქალაქები და ქვეყნები. გადარჩენილმა ადამიანებმა დაიწყეს ქალაქ ბაბილონის მშენებლობა. მათ განიზრახეს ქალაქში ცათამბჯენი გოდოლის აშენება და ცაში ასვლა. ადამიანების ასეთმა განზრახვამ ღმერთი განარისხა. მან დაავიწყა ადამიანებს ერთიანი სალაპარაკო ენა. ადამიანებმა სხვადასხვა ენაზე დაიწყეს ლაპარაკი, ერთმანეთს ვერაფერი გააგებინეს და გოდოლის მშე-

ნებლობა შეწყვიტეს. ღმერთმა ისინი დედამიწის სხვადასხვა მხარეში გაფანტა.

მეცნიერები ამბობენ: ბაბილონის გოდოლი კიდევ ერთი მითია, რომელშიც აისახა ინდოევროპელთა გამანადგურებელი შემოსევა ანუ წარღვნა. მოხდა იბერიული მოდგმის დაშლა-დანაწილება. ადგილობრივი მოსახლეობიდან ზოგი დამპყრობლებში გაითქვიფა, ზოგი განადგურდა, ზოგი კი აყარეს და გააძევეს უარეს, მწირ მიწებზე. ამას მოჰყვა ერთიანი პროტოიბერიული, ფუძე ენის დაშლა და სხვადასხვა ენების წარმოქმნა.

იბერიული დამწერლობა

ძველ იბერიელებს თავისი დამწერლობა ჰქონდათ. იბერიული წარწერები ასი წლის წინ აღმოაჩინეს პირინეის ნახევარკუნძულზე (დღევანდელ ესპანეთში). მათგან ყველაზე ადრინდელია ბრინჯაოს ფირფიტაზე გაკეთებული წარწერა. იგი ორიათასოთხასი წლის წინანდელია და პირობითად „იბერიული ფირფიტა“ ჰქვია. დღემდე ვერავინ შეძლო მათი წაკითხვა. ვერც ის დაადგინეს, როდის გაჩნდა ეს დამწერლობა.

ძველი იბერიული წარწერები აღმოჩნდა საქართველოშიც – კოლხურ ფულებზე და ნინოწმინდის ტაძრის კედელზე.* კოლხური ფულები ორიათასექვსასი წლის წინანდელია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულ ტომებში ეს დამწერლობა უფრო ადრეც იხმარებოდა. ამაზე ბუნდოვნად მიგვანიშნებს „არგონავტების მოგზაურობა“. მასში წერია, რომ კოლხეთში ჰქონდათ ტყავზე ნაწერი „კირბები“, ანუ წიგნები თუ რუკები. მათში აღნიშნული იყო „ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“. ესე იგი 3200 წლის წინ კოლხეთში უკვე ჰქონდათ საწერად დამუშავებული ტყავის გამოყენების გამოცდილება და წერის ნიშნები. ნინოწმინდის ეკლესიის წარწერა ათასოთხასი წლის წინ გაუ-

** იბერიული წარწერების შესახებ საინტერესო მოსაზრებები გამოაქვეყნეს ალექსანდრე მეგუთნიშვილმა და ბეჟან წიკლაურმა გაზეთ „არჩევანში“ 1995 წ. №6(29).*

კეთებიათ. ამ დროს უკვე მრავალი ასეული წელია საქართველოში ასომთავრული ანბანი იხმარება.** მეშვიდე საუკუნეში შეიქმნა ნუსხური დამწერლობა, მეათე საუკუნეში კი მხედრული ანბანი შემოვიდა ხმარებაში. დღეს ასომთავრული და ნუსხური ძალზე ცოტა ვინმემ იცის – ძირითადად მეცნიერებმა და ღვთისმსახურებმა, ანუ სამღვდელოებამ, ხალხს კი თითქმის დავიწყებული აქვს. ძველად ხომ საერთოდაც ასე იყო: დამწერლობის საიდუმლოებას მხოლოდ მეცნიერები, მწერლები, დიდგვაროვნები და ღვთისმსახურნი ანუ ქურუმები ფლობდნენ. ხალხისთვის კი იგი უცნობი იყო.

მცხეთისა და არმაზის უძველეს სამარხებზე, აგრეთვე სამარხებში აღმოჩენილ გულქანდებზე წარწერებია ბერძნულ, ფალაურ, არამეულ ენებზე.

ამ ფაქტებიდან შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი: კავკასიელი იბერიელები შორეულ წარსულში ხმარობდნენ იბერიულ, ბერძნულ, ფალაურ, ასომთავრულ და არამეულ დამწერლობებს, რომლებიც წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხებში იმ დროს სავაჭრო და საერთაშორისო ურთიერთობაში ყველაზე მეტად იყო გავრცელებული. იბერიული სამყაროს დაშლის შემდეგ კავკასიაში იწყება ქართველთა ეროვნული გაერთიანებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლა. განიდევნა უცხო – ბერძნული, ფალაური და არამეული დამწერლობები. დაკანონდა ქართული ასომთავრული ანბანის ხმარება. მასთან ერთად კიდევ დიდხანს იხმარებო-

---

***ჯერჯერობით არც ის არის ზუსტად დადგენილი, თუ როდის შეიქმნა ასომთავრული დამწერლობა. ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ივ. ჯავახიშვილის, პ. ინგოროყვას, ს. ჯანაშიას და სხვა დიდი მეცნიერების ვარაუდით ასომთავრული დამწერლობა შეიქმნა 2700 წლის წინ. იგი შექმნა მეხეების ერთ-ერთმა მეფემ, გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ მითა მეხმა. იმ დროს ქართველური ტომები მეხეები, იბერები, კასხები ხეთას სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში იყვნენ მოქცეულნი და მისი კულტურის შექმნაში წამყვან როლს ასრულებდნენ. მანამდე მათ შექმნილი ჰქონდათ ხეთურ-ქართველური ხატოვანი (იეროგლიფური) დამწერლობა, რომელიც გავრცელდა კავკასიის ქართულ ქვეყნებშიც. ძვ. წ. მე – 7 საუკუნის მეორე ნახევარში ხეთას სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა განადგურების შემდეგ მეხეების, იბერების, კოლხების ტომებმა კავკასიისკენ დაიხიეს. მათ თან მოიტანეს ასომთავრული ანბანური დამწერლობაც. ძვ. წ. მე-3 საუკუნეში ფარნავაზმა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ასომთავრული დამწერლობა სავალდებულო სახელმწიფო დამწერლობად გამოაცხადა.*

და ძველი იბერიული დამწერლობაც. დროთა მანძილზე ძველი იბერიული დამწერლობა თანდათან გამოვიდა ხმარებიდან და დავიწყებას მიეცა.

პირველი წერილობითი ცნობები

ქართველებზე პირველი წერილობითი ცნობები შუამდინარეთის ქვეყნებმა დატოვეს. ისინი თავს ესხმოდნენ ქართულ ტომებს და მერე ამის შესახებ მაღალ კლდეებზე ლურსმულ წარწერებს აკეთებდნენ. ამ წარწერებიდან ყველაზე ძველი სამიათას ორასი წლის წინანდელია. ეს წარწერები ადასტურებს უძველესი მითების ცნობებს. აი ერთ-ერთი მათგანი.

ასურეთის მეფე სარგონ მეორე ამბობს: „მე ძლევამოსილად ვილაშქრე ტაბალის მეფე ამბარისზე და მესხების მეფე მითაზე. ამბარისი, მისი ოჯახის წევრები, მსახურები, ნათესავები გავრეკე ასურეთში, ხოლო ასირიელები, რომლებიც ჩემს ბატონობას აღიარებენ, მე იქ დავასახლე, დავუდგინე მათ ჩემი კაცი, ოლქის მმართველი და დავუწესე ხარკი და გადასახადი.“ ეს ამბავი ორიათას შვიდასი წლის წინათ მოხდა. ამ წარწერაში დადასტურებულია, თუ როგორ ხდებოდა ინდოევროპელების შემოსევა, იბერიელების განადგურება, ძალით აყრა-გასახლება, მათ ადგილზე უცხო ხალხის ჩამოსახლება.

ლურსმულ წარწერებში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ დაესხნენ და აიკლეს ქართული ქვეყნები, რამდენი ოქრო-ვერცხლი წამოიღეს, რამდენი გადასახადი შეაწერეს. ამ წარწერებიდან ჩანს ისიც, რომ ქართველებს მაშინ დიდი ქალაქები, ვრცელი და მდიდარი ქვეყნები ჰქონდათ.

და მართლაც, ქართველმა ტომებმა შორეულ წარსულშივე იცოდნენ რკინისა და ფოლადის დამზადება, ქვითკირის შენობის აგება; მსოფლიოში არსებული ვაზის შვიდასი ძირითადი ჯიშიდან ხუთასი ქართველებმა შექმნეს. მათვე გამოიყვანეს ხორბლის, ვაშლის, მსხლის მრავალი უძველესი ჯიში.

ქართველები თავიდან ცალკეულ ტომებად ცხოვრობდნენ. მტერს რომ ადვილად გამკლავებოდნენ, თანდათან გაერთიანება

დაიწყეს. სამიათას სამასი წლის წინ სამხრეთ საქართველოში შეიქმნა დიაოხის (მერმინდელი ტაო), სამიათას ორასი წლის წინ კი – კოლხას სახელმწიფოები*.

ექვსას წელიწადს იგერიებდა დიაოხი ასურეთის, ურარტუსა და სხვა სახელმწიფოების თავდასხმებს. ბოლოს დიაოხი დაეცა. მცირე აზიის ქართული ტომების იბერებისა და მესხების ერთ ნაწილს შეერივნენ ინდოევროპელები და შეიქმნა ხეთების სამეფო. ორიათას რვაასი წლის წინ ხეთა დაეცა. მას მოჰყვა სამხრეთ საქართველოში მესხების, ტაბალების, ხალიბებისა და სპერის ქართული სახელმწიფოების შექმნა. ამ დროს დასავლეთ საქართველოში არსებობდა ეგრისის ანუ კოლხეთის სახელმწიფო, აღმოსავლეთ საქართველოში – ქართლის ანუ იბერიის სახელმწიფო.

მესხების, ტაბალებისა და ხალიბების ქვეყნებს ხან სპარსეთი ანუ ირანი იპყრობდა, ხან რომი, ხან ბიზანტია. დამპყრობლები აქაურობას ხან არიან ქართლს (ირანის ქართლს), ხან კაპადოკიას, ხან პონტოს უწოდებდნენ. ორიათას ექვსასი წლის წინ ქართველებში მომწიფდა ის აზრი, რომ შექმნილიყო ერთიანი ქართული სახელმწიფო.

ფარნავაზი

ჯერველად საქართველოს გაერთიანება ერისთავმა აზონმა სცადა. იგი კლარჯეთის მფლობელი იყო. აზონმა პონტოს ძლიერი ლაშქრით დაიპყრო ქართლი, მოკლა ქართლის მფლობელი ანუ მამასახლისი სამარა და ამოწყვიტა მთელი მისი საგვარეულო, რათა ქართლის მოცილე

** მკვლევარი პავლე ინგოროყვა აღნიშნავდა, რომ სახელწოდებები დიაოხი და კოლხა წარმოიშვა აქ მცხოვრები ქართული ტომებისაგან. დანართი „ხი“ (“ხა“) იგივეა, რაც „ელი“ და აღნიშნავს სადაურობას: ტაო – ტაოხი ანუ ტაოელი, ჰენი – ჰენიოხი, სანი სანიხი, კოლა – კოლახი – კოლხი ანუ კოლაელი. როცა შორეულ წარსულში კოლხურ ტომებში პირველობას კორახებისა და კოლაელთა ტომებმა მიაღწიეს, ქვეყანას ეწოდა კორახეთი – კოლხა – კოლხეთი. მერე დაწინაურდა ლაზების ტომი და ქვეყანას ლაზიკა ეწოდა. გვიან საუკუნეებში დაწინაურდა მესხების ტომი და ქვეყანას ახლა მათი სახელი ეწოდა: მასხი – ბასხი – აბასხეთი – აფხაზეთი.*

აღარავინ ჰყოლოდა. მხოლოდ სამარას ძმისწულები გადაურჩენენ სიკვდილს. დედამ იმარჯვა: სამი წლის ფარნავაზი და მისი დები კავკასიის მთებში გადამალა.

აზონმა დაიმორჩილა კოლხეთიც, მოხარკედ აქცია კავკასიის მთიელი ტომები.

მცხეთის თავზე დადგა ორი კერპი – გაცი და გაიმი. გაცი ოქროსი იყო, გაიმი – ვერცხლისა. ისინი პონტოელ ქართველთა სალოცავები იყო. ოცდახუთ წელიწადს მართავდა აზონ ერისთავი ქართლს. მაგრამ ქართველი ხალხი ვერ შეაკავშირა. ამის მთავარი მიზეზი აზონის უნდობლობა, ეჭვიანობა და სისასტიკე იყო. ეშინოდა – აჯანყება არ მომიწყონო. მხოლოდ პონტოელებს ენდობოდა. დანარჩენებს კი იარაღის ტარებას უკრძალავდა, ქედმაღლურად ექცეოდა. მცხეთისა და სხვა ქალაქების ზღუდეები და სიმაგრეები დაანგრია. ამით ქართლის ქვეყანას წინააღმდეგობისა და თავდაცვის საშუალება მოუსპო.

ხალხი აღაშფოთა აზონის საქციელმა. შეურაცხყოფილებმა მის განდევნაზე დაიწყეს ფიქრი. მოთავე ფარნავაზი აღმოჩნდა.

კავკასიის მთიელებში დავაჟკაცებული ფარნავაზი მცხეთაში დაბრუნდა. არც მთაში, არც მცხეთაში მისი მეფური წარმოშობის ამბავი არავინ იცოდა. უცნობი ჭაბუკი ყველას მოეწონა. გარეგნობით, მხედრული ოსტატობით, სიბრძნითა და განსწავლულობით გამოირჩეოდა. აზონმაც დაიახლოვა. საქვეყნო საქმეებში რჩევას ეკითხებოდა, სანადიროდ თუ სანადიმოდ დაჰყავდა. ფარნავაზიც თავს ერთგულად აჩვენებდა, ჩუმად კი მისი დამხობისათვის ემზადებოდა. იმიტომ, რომ ფარნავაზი მამასახლის სამარას ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო.

ერთ დღეს ფარნავაზი დიღმის ველზე ნადირობდა. დაჭრილი ირმის დევნაში დაუღამდა. ერთ კლდესთან დაიდო ბინა. განთიადზე თავსხმა წვიმა წამოვიდა. ფარნავაზმა თავშესაფრის ძებნა დაიწყო. კლდეში ძველი ნაშალი კედელი შენიშნა. გამოქვაბულის შესასვლელი აღმოჩნდა. ჩუგლუგით გამოანგრია და შიგ შევიდა. გამოქვაბული ოქრო-ვერცხლით იყო

სავსე. ფარნავაზმა ქართველთა რომელიღაც წინაპრის განძის სამალავს მიაგნო.

განძი საიმედო ადგილზე გადაზიდა. მერე ეგრისის ერისთავს ქუჯის ეწვია და საიდუმლო გაანდო: – მე ვარ ფარნავაზი, შენი ნათესავი და სამარას ძმისწული. დიდძალი განძი მაქვს. ამ განძით შევკრიბოთ ლაშქარი და დავამხოთ აზონ ერისთავიო.

ქუჯიმ სიხარულით უპასუხა: თუ გავიმარჯვებთ, შენ იქნები უფალი ჩვენი, მე კი შენი ქვეშევრდომიო.

ფარნავაზმა და ქუჯიმ ამ განძით დიდი ჯარი შეკრიბეს და აზონის წინააღმდეგ გაილაშქრეს. აზონმა ბრძოლა ვერ გაბედა. მცხეთა მიატოვა და თავის მამულში – კლარჯეთში დაბრუნდა.

მეორე წელს აზონი ფარნავაზთან საომრად მოემზადა – ახალი ლაშქარი შეკრიბა, ბერძენთა ჯარიც იქირავა. ბრძოლა ქალაქ არტაანთან მოხდა. ფარნავაზმა გაიმარჯვა და კლარჯეთი დაიპყრო. აზონ ერისთავი ბრძოლაში დაიღუპა. ამრიგად, მთელი საქართველო ერთ სამეფოდ გაერთიანდა. ფარნავაზი ერთიანი საქართველოს პირველი მეფე გახდა. ეს მოხდა დაახლოებით 2300 წლის წინათ.

მეფე ფარნავაზმა საქართველო საერისთავოებად დაყო. ერისთავებად ქვეყნის ერთგული კაცები დანიშნა. სატახტო ქალაქ მცხეთას ქვის მტკიცე გალავანი შემოავლო. აღადგინა ყველა დაქცეული ქალაქი თუ ციხე. ააშენა ახალი ქალაქები და ციხე-სიმაგრეები. ქუჯი ერისთავმა კი ააგო ლეგენდარული ციხე-გოჯი, რომელიც დღესაც გვაოცებს სიდიადით.

ფარნავაზმა სახელმწიფო ენად ქართული გამოაცხადა. ამიერიდან მთელ საქართველოში მართვა-გამგეობა და საქმის წარმოება მხოლოდ ქართულად სრულდებოდა. „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ მანვე სავალდებულოდ გამოაცხადა ქართული დამწერლობის – ასომთავრული ანბანის ხმარებაო.

ფარნავაზმა ქართველთა მთავარ მფარველ ღმერთად არმაზი გამოაცხადა. მანამდე არმაზი მესხების ღვთაება, იგივე მთვარის ღმერთი იყო. მისი ქანდაკება მცხეთის თავზე, მაღალ მთაზე დადგეს. ეს იყო სპილენძის უზარმაზარი ქანდაკება. მუზარადი, ჯაჭვის პერანგი და სხვა საჭურველი ოქროსი ჰქონდა, ხელში

ელვარე მახვილი ეჭირა. ერთი თვალი ზურმუხტისა ჰქონდა, მეორე – ბივრილიონისა. მზე რომ მიადგებოდა, არმაზის თვალები და საჭურველი თვალისმომჭრელად ელვარებდა. ადამიანები ძალაუნებურად ძრწოდნენ და პირქვე ემხობოდნენ ცეცხლისმფრქვეველი ღვთაების წინაშე.

არმაზი გაცისა და გაიმის კერპებს შორის დადგეს. ფარნავაზმა ხელი არ ახლო აზონის დადგმულ კერპებს. პონტოც საქართველოა და ღმერთებიც საერთო უნდა გვყავდესო – ბრძანა მეფემ.

სამოცდახუთი წელი ბედნიერად და მშვიდობიანად იმეფა ფარნავაზმა. გაზაფხულ-შემოდგომაზე მცხეთაში იყო, ზამთარში – გაჩიანში, ზაფხულში – წუნდაში. დროდადრო ეგრისსა და კლარჯეთსაც ეწვეოდა. ხალხს მოიკითხავდა, სამეფო საქმეებს მოაწესრიგებდა. მისი მეფობის დროს ქვეყანა აშენდა და აივსო დოვლათით. გარდაიცვალა 92 წლისა. ღვაწლმოსილი მეფე არმაზის კერპის წინ დაკრძალეს.



ქართული მხედრული და ასომთავრული ანბანი

ბრძოლა რომის იმპერიასთან

როგორ გაჩნდა რომის სახელმწიფო?

დაახლოებით ორიათას ორასი წლის წინათ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები დიდ ხიფათში ჩაცვივდნენ: რომის სახელმწიფომ მათი დაპყრობა დაიწყო. სხვა ქვეყნების ძარცვა და მონებით ვაჭრობა – აი რომის მთავარი მიზანი. როგორ გაჩნდა რომის სახელმწიფო?

ხმელთაშუა ზღვის შუაგულში ღრმად გაწოლილა აპენინის ნახევარკუნძული ანუ იტალია. იგი ძალზე ლამაზი და ბარაქიანი ქვეყანაა. იტალიის უძველესი მოსახლეობა იბერიელები – ეტრუსკები იყვნენ. მერე აქ თანდათან უცხო მოდგმის თორმეტამდე ტომი გაჩნდა. იტალიის შუაგულში ლათინები დასახლდნენ. ეს იყო ინდოევროპული მოდგმის ხალხი. მათ ქალაქი რომი გააშენეს. შექმნეს ძლიერი ჯარი, გამრავლდნენ, გაძლიერდნენ და თანდათან მეზობელი ტომები დაიმორჩილეს. ასე ჩაიგდეს ხელში მთელი იტალია. მერე ხმელთაშუა ზღვაზე გაბატონება მოიწადინეს. მათ ომი დაიწყეს კართაგენთან.

დასავლეთ იბერიის დაპყრობა

კართაგენი ძლიერი სახელმწიფო იყო. მას ემორჩილებოდა დასავლეთ იბერიის დიდი ნაწილი (ხმელთაშუა ზღვის დასავლეთი ნახევარი, ჩრდილოეთი აფრიკა, პირინეის ნახევარკუნძულის სამხრეთი). ამიტომ მის მეომართა ძირითად ნაწილსაც იბერიელები შეადგენდნენ.

კართაგენსა და რომს შორის ბრძოლა ას წელზე მეტხანს გაგრძელდა. განსაკუთრებით თავი ისახელა კართაგენის სარდალმა ჰანიბალმა. მან ჯარი პირინეიდან ალპების მთებზე გადაიყვანა და რომაელებს ზურგიდან დაესხა. რომაელები აქედან ხიფათს არ ელოდნენ, რადგან მაღალი მთების იმედზე იყვნენ. ჰანიბალმა მთელი იტალია ბრძოლით გაიარა, ზედიზედ დაამარ-

ცხა მათი ჯარები და რომს მიადგა. სამწუხაროდ, ძალები არ ეყო და ქალაქი ვერ აიღო.

რომაელებმაც ჰანიბალის ხერხი იხმარეს: ჯარი აფრიკაში გადასხეს და კართაგენისაკენ გაემართნენ. კართაგენმა ახალი ჯარის შეგროვება ვერ შეძლო. ჰანიბალი იძულებული გახდა იტალიიდან სამშობლოში დაბრუნებულიყო, რომ კართაგენი დაეცვა.

მძიმე ბრძოლების შემდეგ კართაგენი დამარცხდა. რომაელებმა ქალაქი დაწვეს, დაანგრიეს და მთელი მოსახლეობა მონებად გაყიდეს. ცეცხლმა გაანადგურა კართაგენის უზარმაზარი ბიბლიოთეკაც. ჰანიბალი აღმოსავლეთ იბერიაში – წინა აზიაში გადაიხვეწა. რომაელებმა მიაგნეს და ალყა შემოარტყეს. ჰანიბალი მტერს არ დანებდა – საწამლავი დალია და თავი მოიკლა.

რომაელებმა დაიპყრეს მთელი დასავლეთი იბერია: პირინეის ნახევარკუნძული, გალეთი (თანამედროვე საფრანგეთი), ჩრდილოეთი აფრიკა, ბალკანეთი, ეგეოსის კუნძულები, საბერძნეთი. მერე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მიადგნენ. მათ წინა აზიის დაპყრობა დაიწყეს. კართაგენის შემდეგ ერთადერთი ძალა, რომელიც რომის უზარმაზარ იმპერიას გადაეღობა, პონტოს სამეფო აღმოჩნდა.

პონტოს სამეფო

შავ ზღვას ძველად პონტო ერქვა. პონტოს სამხრეთით, ხმელთაშუა ზღვამდე, ქართული ტომი ტაბალები ანუ ტიბარენები (იბერები) ცხოვრობდნენ. მათ შემდეგ ჩრდილოეთისაკენ ზღვის პირები ეკავათ ხალიბებს (ახლანდელ ჭანებსა და ლაზებს) და კოლხებს. კოლხები ყირიმის საზღვრამდე აღწევდნენ. ტაბალებისა და ხალიბების მეზობლად, აღმოსავლეთით, მესხები, ტაოხები, მაკრონები, მარები და სხვა ქართული ტომები სახლობდნენ. განსაკუთრებით დიდი იყო მესხების ქვეყანა. მესხეთი დღევანდელი საქართველოს სამხრეთი საზღვრებიდან შუამდინარეთამდე – ტიგროსისა და ევფრატის სათავეებამდე იყო გადაჭიმული. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ საქართველოს ძველი დედაქალაქი

მცხეთა მესხების დაარსებულია და მისი სახელწოდებაც აქედან მოდის: მესხეთა – მსხეთა – მცხეთა; ხოლო ქართველთა მთავარი ღვთაებები – არმაზი, გაცი, გაიმი, ნანა ტაბალურ-მესხურ-ხალიბური წარმოშობისაა.

ორიათას ექვსასი წლის წინ მესხების, ტაბალებისა და ხალიბების ქვეყნები სპარსელებმა დაიპყრეს. მათ ძალიან მოეწონათ აქაური ჯიშიანი ცხენები. ამიტომ აქაურობას კაპადოკია, ანუ კარგი ცხენების ქვეყანა შეარქვეს. ქართველი მხედრები განთქმული იყვნენ მთელს აღმოსავლეთში. როგორები იყვნენ ისინი? საბედნიეროდ, საუკუნეების სიღრმიდან ჩვენამდე მოაღწია კაპადოკიელი რაინდის წმინდა გიორგის სურათმა. წმინდა გიორგი სწორედ იმ განთქმული ტაბალურ-მესხური ჯიშის ცხენზე ზის და იერიც იმ ქართველი მხედრებისა აქვს.

ეს ქვეყნები მეტალურგიის სამშობლოც იყო. უძველესი დროიდან აქ იღებდნენ და ამუშავებდნენ ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, რკინის მადნებს. აქ აღმოაჩინეს პირველად ფოლადის დამზადების საიდუმლოება. ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი მოვლენა.

მეცნიერები თვლიან, რომ სწორედ აქედან გავრცელდა რკინისა და სხვა ლითონების ქართული სახელები მსოფლიოს მრავალი ხალხის ენაში. მაგალითად: ძველი ბერძნები ფოლადს ხალიბების სახელს – „ხალიბს“ უწოდებდნენ. რკინას არაბულად „თაბარ“ ჰქვია. სპარსულად „თაბარ“ და რუსულად „ტოპორ“ რკინის ცულს ჰქვია. ზემო რაჭაში რკინას დღესაც „ტობართინს“ უწოდებენ. ეს სახელი კი სწორედ იმ ერთ-ერთი ძველი ქართული ტომის ტაბალებისაგან მოდის: თაბარი-თაბალი-ტაბალი.

სპარსელებმა კაპადოკია ორ ნაწილად გაყვეს და დიდი გადასახადი შეაწერეს. სამხრეთ ნაწილს დიდი კაპადოკია უწოდეს, ჩრდილოეთს კი – მცირე კაპადოკია ანუ პონტო.

მერე სპარსელები ახალმა დამპყრობელმა ალექსანდრე მაკედონელმა შეცვალა. მაკედონელი მალე გარდაიცვალა. მისი იმპერია დაიშალა. მითრიდატე მეორემ მაკედონელი დამპყრობლები დაამარცხა და პონტო დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადა. შემდეგში პონტოს დედაქალაქი გახდა სინოპე. ეს სახელი ქართულია (სინოპე – სინ-უბე) და ნიშნავს ზღვის უბეს.

მითრიდატე პონტოელი

დრო მიდიოდა. იცვლებოდნენ თაობები, იცვლებოდნენ მეფეები. ერთ დღეს პონტოს სასახლეში მუხანათობა მოხდა: მეფე მითრიდატე მეხუთე შეთქმულებმა მოკლეს. ხალხში ხმა დაირხა – ამ ვერაგობაში დედოფალ ლაოდიკეს ხელიც ურევიაო.

გამეფდა მითრიდატეს შვილი – მითრიდატე მეექვსე. ახალი მეფე თერთმეტი წლისა იყო. ამით ისარგებლა დედამისმა ლაოდიკემ და თვითონ დაიწყო ქვეყნის მართვა. ვერაგ კარისკაცებს მითრიდატეს მოკვლა უბრძანა. იმათაც ცდა არ დაუკლიათ. ხან გაუხედნავ და გადარეულ ცხენზე შესვეს – ეგებ გადმოვარდეს და მოკვდესო, ხან საჭმელში საწამლავი შეაპარეს. თავი რომ გადაერჩინა, მითრიდატე იძულებული გახდა სასახლიდან გაპარულიყო. მის კვალს ვეღარ მიაგნეს. სასახლეში გაეხარდათ კიდეც მითრიდატეს დაკარგვა – დამშვიდდნენ, განცხრომას და ღრეობას მიეცნენ.

ცხრა წელი იმალებოდა მითრიდატე უღრან ტყეებში. არაჩვეულებრივად ღონიერი და გოლიათი დადგა. უნიჭო და თავაწყვეტილ ლაოდიკეს ხელში ქვეყანა დაიქცა. მეზობელმა სახელმწიფოებმა პონტოს ნაწილი დაიპყრეს. ხალხი შეწუხდა. ამ დროს დავაჟკაცებული მითრიდატე გამოჩნდა სინოპეს ქუჩებში თავისი მომხრეებით და ტახტის დაბრუნება მოითხოვა. ვერვინ გაბედა წინააღმდეგობა. ასე გამეფდა ხელახლა მითრიდატე მეექვსე, მეტსახელად ევპატორი (ბერძნულად ნიშნავს კეთილშობილს). ხოლო სახელი მითრიდატე ქართულია. ქართველთა უძველესი ღმერთების სახელები – არალე, ია, ნანა და სხვები მერე თანდათან ადამიანთა კერძო სახელებად იქცა. მითრაც ერთ-ერთი ძველი ქართული ღვთაების სახელია. აქედან მოდის სახელი მითრიდატე.

პონტოს გაძლიერება. ზრუნვა თავდაცვაზე. სამხედრო კავშირი. ევპატორმა დაიბრუნა მეზობლებისგან მიტაცებული მიწები და ქვეყნის გაძლიერებას შეუდგა. კარს მომდგარი რომი შორიდან იმუქრებოდა, ხელს უშლიდა პონტოს გაძლიერებას. მე-

ზობელი პატარა ქვეყნების მფარველობასა და ქომაგობას ჩემულობდა, აქეზებდა მათ პონტოზე საომრად. რომაელებმა იოლად მოინდომეს მითრიდატეს თავიდან მოცილება. მისი ცოლი მოისყიდეს და მეფის მოკვლა დაავალეს. ერთ დღეს შორეული ლაშქრობიდან დაბრუნებულ მეფეს ზღურბლზე დედოფალი შეეგება, პირველი ვაჟის დაბადება ახარა და მოწამლული ღვინით სავსე თასი მიართვა – უფლისწული დალოცეო. მეფეს გაეხარდა მახარეს დაბადება, დალოცა და ღვინო ოდნავ მოსვა. მერე თასი დედოფალს და კარისკაცებს დაუბრუნა – თქვენც დალიეთო. რაღას იზამდნენ: იძულებული იყვნენ დაელიათ. შეთქმულები მაშინვე დაიხოცნენ. მეფე გადარჩა იმიტომ, რომ ბავშვობიდანვე შხამის საწინააღმდეგო წამლებს სვამდა და მასზე საწამლავი აღარ სჭრიდა.

მითრიდატე მანამდეც კარგად გრძნობდა რომის ვერაგობას და თავდაცვისათვის გამალებით ემზადებოდა. მან ააგო ოთხასი სამხედრო გემი, გაწვრთნა დიდი არმია, თანდათან გააერთიანა მთელს წინა აზიასა და პონტოს ზღვის სანაპიროზე მოსახლე ქართული ტომები და ძლიერი სახელმწიფო შექმნა. მან დაიმორჩილა ყირიმი ანუ ბოსფორის სამეფო, სკვითების ტომები, კოლხეთი. მალე პონტოს ირგვლივ მდებარე ყველა ქვეყანა მისი მოკავშირე ან ხელქვეითი გახდა. მან მოკავშირედ გაიხადა აგრეთვე პართიის, მიდიის, დიდი სომხეთის, იბერიის სამეფოები, რომის წინააღმდეგ აჯანყებული პირინეის მმართველი სერტორიუსი. ამგვარად, მითრიდატემ რომის საფრთხეს მრავალი ქვეყნის სამხედრო კავშირი დაუპირისპირა.

„ჩვენი ომი სამართლიანია“. მითრიდატემ მშვიდობიანი მოლაპარაკებით სცადა რომის შეჩერება. არაფერი გამოვიდა. რომაელებმა ომის გამოუცხადებლად გადმოლახეს პონტოს საზღვრები და ბრძოლა დაიწყეს. მითრიდატემ რომში ელჩები გაგზავნა და ომის შეწყვეტა მოითხოვა. ამაოდ. მაშინ მან აზიის ქვეყნებს საერთო-სახალხო ომისაკენ მოუწოდა. იგი ასე მიმართავდა ხალხს: ომი რომაელებმა გააჩაღეს. მტერს მტრულად უნდა დახვდე, იარაღით შეებრძოლო. ასე იქცევიან ისინიც კი, ვისაც გამარჯვების ან ცოცხლად დარჩენის იმედი არა აქვს. ჩვენ იძულებული ვართ თავი დავიცვათ, ამიტომ ჩვენი ომი სამართლიანია.

რომაელები ამბობენ, რომ მათი წინაპრები მგლის ძუძუთი არიან დაზრდილები. მართლაც მგლებივით ხარბები და გაუმაძღრები არიან, მუდამ სხვისი სისხლი სწყურიათ, სხვისი ქვეყნისა და ქონების ხელში ჩაგდება უნდათ. დედამიწაზე არსად არის ისეთი ლამაზი ცა, ნაყოფიერი მიწა და მშვენიერი ქალაქები, როგორც აზიაში. ასეთი ქვეყანა არ უნდა დავუთმოთ გაუმაძღარ გადამთიელებს. არც ერთი რომაელი არ უნდა დარჩეს აზიაში.

მითრიდატეს მოწოდებაზე მთელი წინა აზია აღდგა. მათ ოთხმოცი ათასი რომაელი გაწყვიტეს. მითრიდატემ დაამარცხა რომის განთქმული სარდლები და აზიიდან განდევნა, ხელში ჩაიგდო მათი ფლოტი. რომაელები ტყვეებს მონებად ყიდდნენ, მითრიდატე კი ტყვეებს ათავისუფლებდა და სამშობლოში დასაბრუნებლად გზის ფულსაც აძლევდა. მან აზიის ქვეყნების მოსახლეობა ხუთი წლით გაათავისუფლა გადასახადებისაგან. მონებს თავისუფლებას ანიჭებდა და თავის ლაშქარში მეომრებად იღებდა. ამის გამო მას ყველა ქვეყანაში დიდი სიხარულით ხვდებოდნენ, როგორც განმათავისუფლებელს.

მითრიდატესთან ომში რომაელებმა დაკარგეს აღმოსავლეთში დაპყრობილი ყველა ქვეყანა და ხმელთაშუა ზღვა სიცილიამდე. რომაელები ძალზე შეაშფოთა ასეთმა დიდმა მარცხმა. ისინი საგანგებოდ მოემზადნენ ახალი ომისათვის და მთელი ძალები გამოიყენეს მითრიდატეს წინააღმდეგ. ამასთან მოახერხეს მის მოკავშირეებში შუღლის ჩამოგდება, ერთმანეთზე წაკიდება, გათიშვა. ყველაზე დიდი მოკავშირეები სომხეთი და პართია დიდხანს ყოყმანობდნენ და ომში მხოლოდ მაშინ ჩაებნენ, როცა რომმა მათი დაპყრობა დაიწყო. მოკავშირეთა შეცდომები იყო მითრიდატეს დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

რომაელებმა ბევრჯერ მოისყიდეს მითრიდატეს ცოლები, შვილები, სარდლები. ისინი თანხმდებოდნენ სამშობლოს ღალატზე, ცდილობდნენ მითრიდატეს მოწამვლას, მოკვლას, სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას. მითრიდატე დაუნდობელი იყო სამშობლოს მოღალატეების მიმართ – სიკვდილით სჯიდა მათ. სხვანაირად არც შეეძლო: სამშობლოს ღალატი ყველაზე დიდი დანაშაულია. მისი პატიება შეუძლებელია. ხოლო უმკაცრესი წესრიგის გარეშე სახელმწიფო ომს ვერ მოიგებს.

მეფე მითრიდატე საოცრად გაუტეხელი და შეუპოვარი იყო. ბევრჯერ დამარცხებული, სამშობლოდან განდევნილი, მოკავშირეებისა და ახლობლებისაგან მიტოვებული და მარტოდმარტო დარჩენილიც კი გულს არ იტეხდა. მაინც ახერხებდა ხელქვეითი თუ მოკავშირე ქვეყნებიდან ჯარის შეგროვებას, გაწვრთნასა და ომის განახლებას. ორმოც წელზე მეტხანს შეუპოვრად ებრძოდა დამპყრობლებს.

ბოლოს რომაელებმა მითრიდატე პონტოდან განდევნეს. დევნილ მეფეს თავშესაფარი არ მისცა სიძემ – სომხეთის მეფე ტიგრანმა: მითრიდატეს ელჩებს ბორკილები დაადო, თან დიდი ფულადი ჯილდო გამოაცხადა მისი მოკვლისათვის. ასე მიაღწია რომმა იმას, რომ ტიგრანი მოსისხლე მტრად ექცა თავის სიმამრს, მოკავშირესა და თანამებრძოლს.

მითრიდატე კოლხეთში გადავიდა და ის ზამთარი დიოსკურიაში გაატარა. პომპეუსმა იგი საბოლოოდ დამარცხებულად ჩათვალა და დევნას თავი დაანება. მითრიდატე კი ახალი ომის გეგმას ადგენდა. მან გადაწყვიტა გასულიყო ევროპის ქვეყნებში, შეეგროვებინა დიდი ჯარი, ჰანიბალივით ალპებზე გადასულიყო, ზურგიდან დასხმოდა რომს და გაენადგურებინა.

მითრიდატე კოლხეთიდან ბოსფორში გადავიდა. იქ მას მეფედ დანიშნული ჰყავდა უფროსი შვილი მახარე. მან უღალატა მამას და რომაელებს შეეკრა. როცა მამის მოსვლა შეიტყო, შეშინებული მახარე ქალაქიდან გაიქცა და გზაზე თავი მოიკლა.

მზადება ახალი ომისათვის. მითრიდატეს დაღუპვა. მითრიდატე ორი წელი ემზადებოდა ახალი ომისათვის, აგებდა საომარ გემებს, ლოდსატყორცნ და სანგრევ მანქანებს, სჭედდა იარაღსა და საჭურველს, აგროვებდა ჯარის დასაქირავებლად ფულს, წვრთნიდა მეომრებს... და როცა ევროპის ქვეყნებში გაემგზავრა ჯარის დასაქირავებლად, მისმა ცოლმა სტრატონიკამ მორიგი ღალატი ჩაიდინა: რომაელებს გაუმჟღავნა მიწისქვეშა სამალავები, სადაც მითრიდატეს ფულითა და განძეულობით სავსე ზანდუკები და საომარი იარაღი ჰქონდა შენახული. რომაელებმა ყველაფერი ხელში ჩაიგდეს. რომის წაქეზებით მეფეს აჯანყება მოუწყო ტახტის მემკვიდრემ ფარნაკემ. მან თავი მეფედ გამოაცხადა და ალყა შემოარტყა მითრიდატეს ციხესიმაგრეს.

მითრიდატემ რომაელთა ხელში ჩავარდნას ჰანიბალივით სიკვდილი ამჯობინა. საწამლავი დალია. საწამლავმა არ გასჭრა. მაშინ გულში მახვილი დაიცა. მერე მომაკვდავმა ერთ-ერთ მცველს – კელტ მეომარს ბიტოიტს მიმართა: „საწამლავი ჩემზე არ მოქმედებს, რადგან მთელი სიცოცხლე შხამის საწინააღმდეგო წამალს ვსვამდი. ხოლო ყველაზე საშინელი და მეფეთა ცხოვრებაში ესოდენ ჩვეულებრივი საწამლავი – ჯარის, შვილებისა და მეგობრების ღალატი ვერ გავითვალისწინე. შენ ერთგულად მემსახურებოდი ომებში. ყველაზე დიდ დახმარებას კი ახლა გამიწევ, თუ სიცოცხლეს მომისპობ“. მცველმა შეუსრულა უკანასკნელი თხოვნა და ქედზე მახვილი დაჰკრა. ასე დაიღუპა სამოცდაცხრა წლის ასაკში მითრიდატე ევპატორი. ეს მოხდა ძველი წელთაღრიცხვის სამოცდასამ წელს. ჩაიშალა მითრიდატეს დიდი სამხედრო გეგმა ისევ და ისევ ახლობელთა ღალატის გამო. მხოლოდ ხუთასი წლის შემდეგ აღსრულდა ჰანიბალისა და მითრიდატეს სამხედრო გეგმა – როცა ალარიხი და სხვა ბარბაროსი ბელადები იმავე ჩრდილოეთის გზით შეიჭრნენ რომში და გაანადგურეს.

ფარნაკემ სამახარობლო წერილი აფრინა რომაელთა სარდალ პომპეუსთან. თან მამისა და მისი თანამებრძოლების ცხედრები გაუგზავნა მდიდრულ საჩუქრებთან ერთად. აღარ იყო ამ ქვეყნად უდიდესი მეფე, ვინც მთელი ცხოვრება დამპყრობლებთან ომს შეალია და თითქმის ნახევარი საუკუნე ხელს უშლიდა მათ მდიდარი აზიის დაპყრობაში. რომაელთა ბანაკში ისეთი ზეიმი გაიმართა, თითქოს მრავალი ათასი მტერი მოჰკვდომოდეთო. ისინი გაოცებული იყვნენ მითრიდატეს გოლიათური სხეულით, ვეება ფარ-ხმალით, აგრეთვე ომებში მიღებული უამრავი ჭრილობით, რომლებიც სხეულზე აჩნდა. იგი მეფურად დაკრძალეს მშობლიურ ქალაქ სინოპეში.

პომპეუსმა დალაშქრა ალბანეთი, იბერია და კოლხეთი, რომლებიც მითრიდატეს მხარეზე იბრძოდნენ. ტიგრანი დაეხმარა რომაელებს ჯარითა და ფულით კავკასიაში ლაშქრობის დროს.

იბერიამ და ალბანეთმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. რომმა საბოლოოდ მათი დაპყრობა ვერ შეძლო და საზავო ხელშეკრულებაზე დათანხმდა. კოლხეთი კი დაიპყრო.

რომი ზეიმით შეხვდა აზიიდან დაბრუნებულ პომპეუსს. რომაელთა თვალწინ ჩამოატარეს დაბორკილი ტყვეები – მითრიდატეს შვილები, კოლხეთის მმართველი ოლთაკე, სომხეთის უფლისწული ტიგრანი ცოლ-შვილით, რამდენიმე იბერიელი და ალბანელი სარდალი, პონტოდან წამოღებული უამრავი განძეულობა, მითრიდატეს სამმეტრიანი ოქროს ქანდაკება, აგრეთვე სურათები, რომლებზეც დახატული იყო მითრიდატე, მისი ბრძოლები და სიკვდილი. ერთ-ერთ დაფაზე კი ეწერა, რომ მარტო პომპეუსმა აზიაში ლაშქრობით რომის ხაზინას ოციათასი ტალანტი, ანუ ხუთასი ტონა ოქრო შესძინა.

წუთისოფელი არავის შერჩენია. მალე პომპეუსს რომში ძლიერი მეტოქე გამოუჩნდა. პომპეუსი ეგვიპტეში გაიქცა. ხომალდიდან ნაპირზე გადმოსული ეგვიპტელებმა იქვე მოკლეს. მამისა და სამშობლოს მოღალატე ფარნაკემ რომაელებს შეუთვალა: პონტოს მეფობა მე მეკუთვნის, რადგან ტახტის მემკვიდრე ვიყავიო. რომაელებმა ერთგულება არ დაუფასეს და უარი უთხრეს იმაზე, რაც კანონით ეკუთვნოდა. მაშინ ფარნაკემ პონტო ძალით დაიპყრო. რომაელებმა დაამარცხეს და გააძევეს. ამასობაში ბოსფორში მისმავე ხელქვეითმა ასანდრემ უღალატა და ტახტი წაართვა. ფარნაკე მასთან ბრძოლაში დაიღუპა.

რას წერდნენ ძველი რომაელი მწერლები მითრიდატეზე. მრავალმა რომაელმა მწერალმა აღწერა მითრიდატეს ომები. ისინი აძაგებდნენ მითრიდატეს, როგორც მოწინააღმდეგეს, სასტიკსა და ბარბაროსს უწოდებდნენ. ხოლო რომაელ სარდლებს, რომლებიც მართლა სასტიკები და ბარბაროსები იყვნენ, ქება-დიდებას ასხამდნენ... და მაინც ისინი იძულებული იყვნენ მითრიდატეზე სიმართლე წამოსცდენოდათ. სწორედ მათ უწოდეს მითრიდატეს დიდი. რომაელმა დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ ციცერონმა თქვა: მითრიდატე იყო ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ უდიდესი მეფეო. სხვა მწერლები აღნიშნავდნენ, რომ იგი სამეფო საქმეებში გამოირჩეოდა უდიდესი სიბრძნით; იყო დიდი სარდალი, სხვების მიმართ მუდამ სულგრძელი, უბედურებაშიც კი სულით დიადი რჩებოდა და სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა; სწამდა, რომ მისთვის არ არსებობდა რაიმე მიუღწეველი; ხოლო რომაელების სიძულვილით ჰანიბალს ჰგავდაო.

ომში იყო უმამაცესი, მუდამ წინა რიგებში იბრძოდა და მეომრებს პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა. აი, როგორ აღწერს ძველი რომაელი მწერალი მის ერთ-ერთ ბრძოლას: ქალაქ ქაბიერთან ბრძოლაში ცხენი დაუჭრეს. დაქვეითდა და ლაშქარს ხმალდახმალ გაუძღვა. მტრის მხრიდან გამოტყორცნილმა შურდულის ქვამ მუხლის კვერი ჩაუმტვრია. დაჩოქილი მეფე წამოიჭრა და უფრო გააფთრებული ეკვეთა მტერს. უცებ ისარი მოხვდა თვალში. ძირს დაცემული მეფე ბრძოლის ველიდან გაიყვანეს. ბრძოლა შეჩერდა. მეფეს გველის შხამით უმკურნალეს და რამდენიმე დღეში ფეხზე დააყენეს. ბრძოლა განახლდა. მითრიდატემ რომაელთა ქვეითი ჯარი ჭაობში შერეკა, სადაც ყველანი დაიღუპნენ. მერე ცხენოსან ჯარს დაედევნა. ამ დროს რომაელთა ერთ-ერთმა მეთაურმა ღრმა ჭრილობა მიაყენა ბარძაყში. მეფე ზურგში გაიყვანეს მხლებლებმა. მებრძოლები შემოეხვივნენ და ხმაურობდნენ. აღელვებულები მხოლოდ მაშინ დაწყნარდნენ, როცა მკურნალმა ტიმოთემ სისხლდენა შეუწყვიტა და მაღლობიდან ჯარს დაანახა. მეფემ ყვედრება დაუწყო – ბრძოლა რად შეწყვიტეთო. მერე იმავე დღეს გაუძღვა ლაშქარს იერიშზე. ძლეული მტერი გაიქცა. იმ დღეს რომაელთა გვამებში აღმოჩნდა ოცდაოთხი ტრიბუნი და ასორმოცდაათი ცენტურიონი. მეთაურთა ასეთი რაოდენობა იშვიათად დაღუპვიათ რომაელებს ერთ ბრძოლაშიო.

მითრიდატემ ოცდაორი ენა იცოდა. მას არასოდეს დასჭირვებია თარჯიმანი ქვეშევრდომ ტომთა არც ერთ მოსახლესთან საუბრის დროს. მითრიდატემ დაწერა ბუნებისმეტყველების ისტორია და მრავალი სამკურნალო წიგნი. როცა პომპეუსმა მისი ქონება ხელში ჩაიგდო, იქ ნახა ასეთი წიგნებით სავსე კიდობნები. მან რომში წაიღო მითრიდატეს წიგნები, ათარგმნინა და რომაულ მედიცინაში გამოიყენეს.

მითრიდატეს უყვარდა მუსიკა და ხელოვნების სხვა დარგები. აგროვებდა იბერიული და ბერძნული ხელოვნების კოლექციებს. მას ხშირად ახლდნენ ისტორიკოსები, პოეტები, ფილოსოფოსები, აწყობდა მათ შეჯიბრებას და გამარჯვებულებს აჯილდოვებდა. იცოდა ჭკვიანური, ლამაზი, მგზნებარე ლაპარაკი; საოცრად მოქმედებდა ხალხზე მისი სიტყვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჯარს ბრძოლისაკენ აქეზებდა. სიცოცხლის ბოლომდე შერჩა გოლიათური ძალა და მხნეობა. სიბერის დროსაც კი შეეძლო

რამდენიმე დღე გადაბმულად ცხენის ჭენება, შუბის მძლავრად ტყორცნა, ცხენით ან ეტლით დღეში ორმოცი კილომეტრის გავლა გზადაგზა ცხენების გამოცვლით, მარჯვედ მართვა ეტლისა, რომელშიც თექვსმეტი გადარეული ცხენი ება. მძიმე და მომქანცველი ბრძოლების შემდეგ უყვარდა უბრალო ხალხთან ლაღობა, ლხინი და ღვინო. ამის გამო ბერძნები მას სიყვარულით ვენახისა და ღვინის ღმერთს დიონისეს ეძახდნენ..

მას ცხოვრება მოუხდა ინდოევროპული და იბერიული სამყაროების ყველაზე დიდი შეჯახების დროში. ეს იყო ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყნის ერთობლივი ბრძოლა რომის მსოფლიო იმპერიასთან. თავისუფლებისათვის ამ ბრძოლას ქართველი ხალხი მეთაურობდა. ხოლო მითრიდატე ევპატორი იყო იბერიული სამყაროს უდიდესი სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეთაგანი. მისი საქმეები ლეგენდასავით დარჩა. ყირიმში კი დღესაც არსებობს მისი ერთ-ერთი სარდლის დაარსებული ქალაქი, რომელსაც მითრიდატეს სახელი ევპატორია ჰქვია. ხოლო მეთვრამეტე საუკუნის დიდი ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი და განმანათლებელი ვოლტერი ერთ-ერთ წერილში რუსეთის ხელმწიფეს ეკატერინეს სწერდა: „ქართველების გმირობა საკვირველი სრულიადაც არ არის, ვინაიდან ისინი მითრიდატე დიდის შთამომავალნი არიან“*.

სახალხო აჯანყება რომაელთა წინააღმდეგ

რომაელებმა დაპყრობილ პონტოსა და კოლხეთში თავიანთი მოხელეები დანიშნეს.

ციხეებში რომაული ლეგიონები ჩადგნენ. მათი შენახვა მძიმე ტვირთად დააწვა ხალხს. მოსახლეობას დიდი გადასახადები შეაწერეს. დაიწყეს რკინისა და ოქრო-ვერცხლის საბადოების ნაწარმის, ხე-ტყის, თაფლის, პირუტყვის, კოლხური ხოხბისა და სხვა სიმდიდრეების გაზიდვა. რომაელები ხშირად აქეზებდნენ კავკასიის უფრო ჩამორჩენილ მთიელ ტომებს ქართველებზე

*ეკატერინეს მიმოწერა ბატონ ვოლტერთან. მოსკოვი, 1803 წ.

სათარეშოდ. ისინიც თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ მოსახლეობას, ტყვეებს რომაელებში მონებად ყიდდნენ, ქართველთა ნაყოფიერ მიწებზე სახლდებოდნენ.

ძველი რომაელი მწერალი პლუტარქე ამბობს: აზიის ქვეყნები დაუჯერებელ სიღატაკეში ჩაცვივდნენ. ხარჯის ამკრეფები და გადამყიდველები ხალხს ძარცვავდნენ და მონებად აქცევდნენ. ურჩებს წკეპლებით ცემდნენ, ჯურღმულებში ყრიდნენ, პაპანაქებაში მზეზე დიდხანს აჩერებდნენ, ცოცხლად ჯვარზე აკრავდნენ, ყინვაში ყელამდე ტალახში ან ყინულიან წყალში აყენებდნენ. ხალხს ხარკის გადახდა არ შეეძლო და სანაცვლოდ რომაელებს ლამაზ ქალიშვილებსა და ვაჟებს აძლევდნენ, ტაძრებიდან განძეულობას გასცემდნენ. ასეთ წამებაში ყოფნას ბევრს მონობა ერჩივნაო.

დედამიწაზე არსად, არასდროს ყოფილა სხვა ქვეყნების უფრო ხარბი ძარცვა, ადამიანის უფრო სასტიკი ჩაგვრა, ვიდრე რომში. მონებს რომაელები მძიმე სამუშაოზე აშრომებდნენ, ოჯახებში იმსახურებდნენ, ძაღლის ნაცვლად კარწინ აბამდნენ ჯაჭვით სახლის სადარაჯოდ. ყველაზე ძლიერ ვაჟკაცებს კი გლადიატორთა სკოლა-ციხეებში წვრთნიდნენ და ცირკში ლომებთან ან ერთმანეთთან აბრძოლებდნენ. მრავალი ათასი რომაელი სიამოვნებით უყურებდა, როგორ ფლეთდა ნადირი ადამიანს ან როგორ კლავდა ერთი გლადიატორი მეორეს.

ხშირად ხდებოდა მონების ან დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის აჯანყებები. რომი სასტიკად უსწორდებოდა მათ. მთელი იტალია შეძრა მონათა დიდმა აჯანყებამ სპარტაკის მეთაურობით. ეს აჯანყება მითრიდატე პონტოელის დროს მოხდა. განუწყვეტელი სახალხო ომები ანუ გერილიები იყო დასავლეთ იბერიაში (ესპანეთში). დიდი აჯანყება მოხდა პონტოსა და კოლხეთშიც ახალი წელთაღრიცხვის 69 წელს. მას ანიკეტი მეთაურობდა. ანიკეტი პონტოს სამეფო ფლოტის სარდალი იყო. რომაელებმა ტყვედ ჩაიგდეს და მონად გაყიდეს. ანიკეტი ვერ შეურიგდა იმას, რომ ქართველი ხალხი მონურ ყოფაში ჩავარდა, სამშობლო გაპარტახდა და რომის უბრალო პროვინციად გადაიქცა. პონტოსა და კოლხეთის მოსახლეობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი აჯანყებას. ანიკეტმა აჯანყებულთა დიდი ჯარით ქალაქი ტრაპეზუნდი აიღო და რომაელთა ჯარი გაანადგუ-

რა. მერე ცეცხლი წაუკიდა რომაელთა ფლოტს და მთლიანად მოსპო. აჯანყებულებმა სასწრაფოდ ააგეს ხომალდები – „კამარები“ და პონტოს ზღვას დაეპატრონნენ. რომის იმპერატორმა დიდი ჯარი გამოგზავნა აჯანყებული ქართველების წინააღმდეგ. ანიკეტის ფლოტი კოლხეთში, მდინარე ხობის შესართავთან გამაგრდა და მტრის დასახვედრად მოემზადა. სამწუხაროდ ერთ-ერთი ტომის მეფემ, რომელიც ანიკეტის მოკავშირე იყო, ღალატი ჩაიდინა. მისი დახმარებით რომაელებმა ანიკეტი ხელში ჩაიგდეს და აჯანყება ჩაახშეს.

მარცხის მიუხედავად აჯანყებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. რომაელები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ქართველი ხალხი მათ ბატონობას არ შეურიგდებოდა. თანაც იბერიის სამეფო, რომელიც ამ დროს საკმაოდ ძლიერი გახდა, დაჟინებით ცდილობდა დასავლეთ საქართველოს შემოერთებას. ქართველების ერთ ძლიერ სახელმწიფოდ გაერთიანება დამპყრობელს არ სურდა. ამიტომ რომაელებმა ცოტა დათმობა ამჯობინეს და კოლხეთში ადგილობრივი მმართველობა აღადგინეს. დასავლეთ საქართველოში ოთხი სამთავრო შეიქმნა. ისინი რომის ხელქვეითნი უნდა ყოფილიყვნენ.

რომმა ამით ორი საქმე გააკეთა: დასავლეთ საქართველო ოთხ მცირე ნაწილად დაყო და დაასუსტა მისი წინააღმდეგობა. თანაც ისინი ერთმანეთსა და იბერიასაც დაუპირისპირა. მიუხედავად ამისა კოლხეთში ქართული ხელისუფლების აღდგენა ჩვენი წინაპრების მიღწევა იყო.

ფარსმან ქველი

რომაელებმა ქართლში ფეხი ვერ მოიკიდეს.. იბერიის სამეფომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. მალე იმდენად გაძლიერდა, რომ პართიისა და რომის სახელმწიფოებს მეტოქეობა დაუწყო წინა აზიაში პირველობისათვის. იბერიის მეფეებმა არაერთი ომი გადაიხადეს კაპადოკიის ქართული მიწა-წყლის შემოერთებისათვის. სომხეთი და ალბანეთიც იბერიის მფარველობაში იყვნენ. ერთხანს სომხეთში იბერიის უფლისწული მითრიდატე მეფობდა.

რომაელები იძულებული იყვნენ იბერია როგორმე მოკავში-

რედ მაინც ჰყოლოდათ. რომის იმპერატორები ქართველ მეფეებს „თანასწორ მეგობრად და მოკავშირედ“ აცხადებდნენ. ძღვენს უგზავნიდნენ, ძლიერი ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას სთხოვდნენ. მეორე საუკუნეში მათ ქართველების დახმარებით დაიპყრეს შუამდინარეთის ქვეყნები, პართია და სხვები.

ამ დროს იბერიის მეფე იყო ფარსმან მეორე. მან დამპყრობლები სომხეთიდან განდევნა. მერე ძლევამოსილად ილაშქრა პართიაშიც. იმპერატორი გაწყრა და ფარსმანი რომში დაიბარა. ფარსმანმა ცივი უარი შეუთვალა. მუქარა რომ არ გაუვიდა, ადრიანემ ახლა მოფერება დაუწყო. შესარიგებლად ელჩები გამოუგზავნა დიდძალი ძღვენით. მცხეთაში ჩამოსულ ელჩებს ფარსმანმა ძვირფასი მოსასხამი გადასცა – ჩემგან საჩუქრად მიართვით იმპერატორსო. მერე სამას დაბორკილ მონას ისეთივე მოსასხამები ჩააცვა და მოედანზე ელჩების დასანახად ჩამოატარა. ამით მასხარად აიგდო რომის იმპერატორი.

ახალმა იმპერატორმა ანტონინუსმა ძლივს მოახერხა ფარსმანის შემორიგება. მერე რომში სტუმრად მიიწვია. ქართველთა მეფე-დედოფალი უფლისწულითა და წარჩინებულთა ბრწყინვალე ამალით რომში ჩავიდნენ. რომი ზეიმით შეხვდა საპატიო სტუმრებს. რომაელებს ძალიან უყვარდათ სხვადასხვა სანახაობა. განსაკუთრებით ცხენებით შეჯიბრება მოსწონდათ. ამ სანახაობას ათეული ათასობით რომაელი ესწრებოდა. ანტონინუსმაც ქართველთა პატივსაცემად ჯირითი გამართა. მასში რომისა და მრავალი სხვა ქვეყნის საუკეთესო ვაჟკაცები მონაწილეობდნენ. ფარსმანმა და მისმა მხედრებმა ჯირითითა და საომარი ვარჯიშებით თავი ასახელეს. ქართველთა სიმარჯვით ყველანი განცვიფრებულნი და მოხიბლულნი დარჩნენ. იმპერატორმა ასპარეზობაში გამარჯვებული ფარსმანის ძეგლის დადგმა ბრძანა. ცხენზე ამხედრებული ფარსმანის დიდებული ძეგლი რომის ცენტრში – მარსის მოედანზე დადგეს. რომმა აღიარა იბერიის უფლება ახლად შემოერთებულ მიწებზე.

ქართლი წინა აზიაში სიძლიერით პირველი სახელმწიფო გახდა. პართიის იმპერიას არ სურდა პირველობის დათმობა.

ამიტომ ბევრჯერ შემოგვესია, მაგრამ ფარსმანმა ქართველთა და სომეხთა გაერთიანებული ლაშქრით სასტიკად დაამარცხა. ძველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი წერს, რომ ერთ-ერთ ასეთ ომში ფარსმანმა ორთაბრძოლაში ჩვიდმეტი სპარსი ბუმბერაზი მოკლა, ხოლო მისმა სპასპეტმა ფარნავაზმა – 23 ბუმბერაზი. ფარსმანმა ბევრჯერ ძლევამოსილად დალაშქრა სპარსეთი. როცა სპარსელებმა სამხედრო ძალით ფარსმანს ვერ სძლიეს, მუხანათობას მიმართეს: მოისყიდეს მისი მზარეული და ფარსმანი მოაწამლინეს. სახელოვანი მეფე-პატრონის სიკვდილმა ქართველ ერში დიდი გლოვა გამოიწვია. მის საგმირო საქმეებზე ხალხში ლეგენდები და სიმღერები შეიქმნა. იმავე ლეონტი მროველის ცნობით, „იბერიის ქალაქებსა და დაბებში მგოსანნი გლოვისანი (ანუ სახალხო მომღერლები და პოეტები) მოუთხრობდნენ ხალხს მის საგმირო საქმეებზე, იხსენებდნენ სიქველესა და სიმხნესა, და სიმშვენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქველისასა.“

ქართველმა ხალხმა სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის მას ფარსმან ქველი უწოდა. „ქართლის ცხოვრებაში“ კი ფარსმან მეფე ასეა დახასიათებული: „იყო კაცი კეთილი და უხვად მიმნიჭებელი და შემნდობი, ასაკითა შუენიერი, მხნე მხედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უხორცო“.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ

ცუდ გუნებაზე გახლდათ იმ დილით იმპერატორი დიოკლეტიანე. კარგა ხანია ბზარი გაუჩნდა რომის ხუთასწლიან ბატონობას. ბევრმა ქვეყანამ დაიხსნა თავი. ახლა დიოკლეტიანე სისასტიკით ცდილობდა იმპერიის შენარჩუნებას. სიკვდილით სჯიდა ყველას, ვინც მის ბრძანებას არ შეასრულებდა. აჯანყებულებს ულეტდა, ან ცოლ-შვილიანად მონებად ჰყიდდა. მაგრამ რა? დასუსტებულ იმპერიას მაინც უჭირდა საზღვრების დაცვა. იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან კვლავ აჯანყებებისა და ბარბაროსთა თავდასხმების ამბები მოდიოდა. სიმშვიდე არც ჯარის ნაწილებში იყო. მაგრამ იმ დღეს იმპერატორს ხასიათი სულ

სხვა რამემ გაუფუჭა. მაცნემ ამბავი მოუტანა: მხედართუფროსს გიორგის ქრისტიანობა მიუღიაო.

დიოკლეტიანეს გამორჩევით უყვარდა ეს ჭაბუკი. გიორგი იშვიათი აღნაგობისა, მამაცი, ნიჭიერი და მართალი კაცი იყო, ტომით ქართველი, კაპადოკიელი. მხედართუფროსად მსახურობდა რომაელთა ჯარში. ასეთი სახელოვანი კაცი ღატაკების, ხარაზებისა და თერძების რელიგიაზე გადასულა.

მერედა, რას ქადაგებენ ქრისტიანები? მონათმფლობელები ადიდებდნენ დიოკლეტიანეს, როგორც ღმერთს. იმპერატორიც ძალიან ცდილობდა, რომ იგი ხალხს გაეღმერთებინა. ამ ახალი რელიგიის მიმდევრები კი ამბობდნენ – ღმერთი ზეცაშია, იმპერატორი კი უბრალო ადამიანიაო და უარს აცხადებდნენ მის თაყვანისცემაზე. ამის გამო გაბოროტებული დიოკლეტიანე სასტიკად სდევნიდა ქრისტიანებს, იჭერდა, ასახლებდა, სიკვდილით სჯიდა. ქრისტიანობა მთელ სახელმწიფოში აკრძალული იყო. მისი საყვარელი მხედართუფროსი კი თურმე ამ ქრისტიანების თანამოაზრე გამხდარა.

დაიბარა დიოკლეტიანემ გიორგი და ახლა მისგან მოისმინა სხვათაგან ყურმოკრული. გაუწყრა. ვერაფრით გადაათქმევინა. უბრძანა, წადი და მოიფიქრეო. წავიდა გიორგი და უარესი ქნა: თავისი მსახურები გაათავისუფლა, მთელი ქონება ღარიბებს დაურიგა; მერე სენატში გამოვიდა სიტყვით, სახალხოდ აღიარა ქრისტიანობა და სხვებსაც მოუწოდა ასე მოქცეულიყვნენ.

განრისხებულმა იმპერატორმა დილეგში ჩაასმევინა გიორგი; ფეხები ხუნდებით შეუკრეს, მკერდზე დიდი ლოდი დაადეს და მთელი ღამე ასე ამყოფეს. მეორე დღეს ისევ თავისაზე იდგა. მაშინ იმპერატორის განკარგულებით დაბორბლეს. როცა საწამებელი ბორბლიდან ახსნეს, სხეულზე ერთი ნაკაწრიც კი არ აღმოაჩნდა. ამ სასწაულით გაოგნებულმა ორმა რომაელმა იქვე აღიარა ქრისტიანობა. დიოკლეტიანემ განდგომილთ თავები დააყრევინა.

გიორგი ღრმა ხაროში ჩააგდეს და ცხელი კირი დააყარეს. სამი დღის შემდეგ ორმოდან ამოიყვანეს და გაოცდნენ: კვლავ საღი და უვნებელი აღმოჩნდა. ამის მერე წაღებში გახურებული ლურსმნები ჩაუყარეს და ისე წაიყვანეს დილეგში. მეორე დღეს

კი ფეხისგულებზე დამწვრობის კვალიც ვერ აღმოუჩინეს. საწამლავი დაალევინეს, არც იმან გასჭრა.

ეს ყველაფერი ღვთის სასწაულიაო – ამბობდა. თუ სასწაულია, მაშინ მიცვალებული გააცოცხლეო – წყალი გადაუწურეს იმათაც. გიორგიმ ესეც შეძლო.

ამ სასწაულმა გააოგნა ხალხი და ბევრმა ირწმუნა ქრისტიანობა. დიოკლეტიანემ კი სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა გიორგის. როცა ლეგიონერებს 30 წლის ჭაბუკი თავის მოსაკვეთად მიჰყავდათ, თვით დიოკლეტიანეს მეუღლემ აღიარა ქრისტიანობა და შერისხულს თან წაჰყვა. ქრისტიანებმა გიორგი წმინდანად გამოაცხადეს. ეს მოხდა 303 წლის 6 მაისს.

წმინდა გიორგის დღეს მთელი მსოფლიოს ქრისტიანები თაყვანს სცემენ, როგორც უდიდეს მოწამეთაგანს. ხოლო ქართველთათვის იგი მთავარმოწამე და ეროვნული გმირია. უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ამბოხებული წმინდა გიორგი სწორედ ამიტომ გამოხატა ხალხმა გველეშაპთან მებრძოლ რაინდად. წმინდა გიორგი სამართლიანობისათვის, ჩაგრულთა ხსნისათვის მებრძოლი მხედარია. მისი შუბით განგმირული გველეშაპი კი ბოროტების, უსამართლობის, ხალხთა დამპყრობელი იმპერიის ნიშანია. ამ სიმბოლოთი ხალხმა მტერზე გამარჯვების, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების რწმენა გამოხატა. მსოფლიოს ქრისტიანულ ქვეყნებში გიორგობის დღესასწაულს 6 მაისს აღნიშნავენ. საქართველოში კი გიორგობა წელიწადში რამდენჯერმე აღინიშნება, განსაკუთრებით 23 ნოემბერს. ეს დღე გიორგის სადიდებლად წმინდა ნინომ დაადგინა მეოთხე საუკუნეში. 23 ნოემბერი გიორგის ბორბალზე წამების დღეა, 6 მაისი კი წმინდანად გამოცხადებისა. ქართველმა ხალხმა ნოემბრის თვეს გიორგობისთვე უწოდა. საქართველოში წმინდა გიორგის სახელზე 363 სალოცავი ტაძარია აგებული. მსოფლიოში არ არსებობს მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც ხალხს რომელიმე წმინდანის სახელზე ამდენი ტაძარი აეშენებინოს. ქრისტეს სამშობლოში – იერუსალიმის მახლობლად, ქალაქ ლოდში არსებობს წმინდა გიორგის ტაძარი. იქ დღესაც სასოებით ინახავენ თეთრი მარმარილოს ლუსკუმაში დიდმოწამის ძვლებს. ლუსკუმაზე წმინდანის გამოსახულებაა ამოკვეთილი.

სამარეს განუწყვეტლივ წმინდა მირონი სდის, რომელიც დღეში მლოცველთა რამდენიმე ჯგუფს ჰყოფნის. ეგვიპტის ქალაქ ქაიროში, კოპტების ქრისტიანულ ტაძარში წმინდა გიორგის ნაწილებთან ერთად ინახება მსხვილი ჯაჭვის ბორკილი, რომლითაც იმპერატორს იგი დილეგში ჰყავდა დაბორკილი. კოპტების ტომის რწმენით, ვინც ამ ბორკილს ქედზე გადაიკიდებს და ტაძარს ირგვლივ შემოუვლის, სნეულებისგან განიკურნება.

მირიანი

ანაზდად ბუკთა და საყვირთა ქუხილი ატყდა. ქალაქს მეფე-დედოფლის გამობრძანება აუწყეს. ხალხი დიდი ხანია ელოდა. არმაზობის დღესასწაული იწყებოდა. დღეობის მერე ქალაქში ბაზრობა იმართებოდა. ხალხი ათას რამეს ყიდულობდა – რომაულ თუ სპარსულ ფარჩას, ხალიჩებს, ნელსაცხებლებს, სკვითურ თუ სარმატულ ბეწვეულს, იბერიული რკინა-ფოლადის საომარ თუ სამეურნეო იარაღებს, ჭურჭლეულობას, სამკაულს, კაბადოკიური ჯიშის საომარ ცხენებს და, ვინ მოსთვლის, კიდევ რას. ამადაც მოეშურებოდნენ დღეობაზე ქართლის ყველა კუთხიდან, ეგრისიდან, პონტოდან, სომხეთიდან, ალბანეთიდან. ზეიმით ხვდებოდა ყველას სამეფო ქალაქი მცხეთა, სადაც „ღმერთნი ღმერთობდნენ და მეფენი მეფობდნენ“.

აი, გამოჩნდნენ მეფე-დედოფალი, უფლისწულები – რევი და ბაქარი, მთავრები. მოდიოდნენ დინჯად, ღირსებით. მცველები მოჰყვებოდნენ. შემხვედრი ხალხი იჩოქებდა, თაყვანს სცემდა მეფე-დედოფალს; მერე ჩავლილთ უკან მისდევდნენ დამანძილებით.

ქალაქის თითოეული ქუჩა თითო ფერის ფარჩით, მწვანე რტოებითა და ყვავილებით მოერთოთ: ერთ ქუჩაზე სახლები მეწამული ფარჩით იყო გაწყობილი, მეორეზე – ყვითლით, მესამეზე – ცისფრით, მეოთხეზე – ნარინჯით, მეხუთეზე – სოსნისფრით, მეექვსეზე – თეთრით... ქალაქი ცისარტყელით შემკულს ჰგავდა. მოზეიმე ხალხი ქალაქს გასცდა და არმაზის წმინდა მთას შეუდგა.

მთაზე ავიდნენ. მიდამო ათასფრად შემოსილი ხალხით აივსო. მათ თავზე ამაყად ფრიალებდა იბერიული დროშები. იქაურობა ყვავილებით მოჩითულ ველს დაემსგავსა. მეფე-მთავრებიცა და წვრილი ერიც შიშჩამდგარი თვალებით მისჩერებოდნენ კერპებს. არმაზის ღვთაებას ხელში შიშველი ხმალი ეჭირა. განსაკუთრებით ეს ზარავდა ყველას. ამბობდნენ, ვინც არმაზს მიუახლოვდება, ამ ხმლის წერა გახდებაო.

სასწაულს ელოდნენ სულგანაბულნი. აი, მთის გადაღმიდან მზეც ამოიწვერა. პირველი სხივები კერპებს დაეცა. არმაზის ხმალი და ზურმუხტის თვალები, გაცის ოქროსა და გაიმის ვერცხლის ქანდაკებები თვალისმომჭრელად აელვარდა. მონუსხული ხალხი პირქვე დაემხო და ღმერთებს თაყვანი სცა. „დიდო ღმერთებო, ქვეყნისა მპყრობელნო, მზისა მომფენელნო, წვიმისა მომცემელნო და მიწის ნაშობთა გამომზრდელნო, ღმერთნო ქართლისანო არმაზ და ზადენ, ყოვლის დაფარულისა გამომეძიებელნო და თქვენც, ძველნო ღმერთნო მამათა ჩვენთა გაც და გაიმ, მოგვეც ძლევა ჩვენ, დაიფარეთ ერი ქართველთა უკუნითი უკუნისამდე“. – აღმოხდა მთავარ ქურუმს. კერპთმსახურების აღსრულება დაიწყო.

მირიანი ახლახან ასულიყო ტახტზე. პირველი, რაც გააკეთა, აქ ამოსვლა იყო. ძვირფასად შეამკო ფარნავაზის სამარე. ამით ყველას ამცნო, რომ ფარნავაზის საქმის გაგრძელებას აპირებდა.

ხუთას წელზე მეტი გასულიყო ფარნავაზის შემდეგ. აქამდე მეფობდნენ მისი შთამომავალნი. კვლავ მოწიწებით ქედს იხრიდნენ ქართველნი მისი სამარისა და ღვაწლის წინაშე. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ისევ ემძლავრა უცხო მოდგმას. სპარსეთიდან მოგვები შემოსულიყვნენ და ხალხში თავიანთ სარწმუნოებას ავრცელებდნენ, ქართულ კერპებს გმობდნენ, ქართულ ენასა და კულტურას ძირს უთხრიდნენ. ზოგ-ზოგი ქართველი უკვე გადაებირებინათ კიდეც.

მირიანმა არმაზობის შემდეგ ლაგამი ამოსდო უცხოელთა პარპაშს. ისევ აღადგინა სახელმწიფო უფლებებში ენა ქართული, მიხედა მივიწყებულ კერპებს, განადიდა ქურუმები და ახალი ძალით გააჩაღა კერპთმსახურება.

ჩრდილოეთიდან წალეკვით იმუქრებოდნენ ხაზარები. ზოგ-

ჯერ დარუბანდის გზით გამოიჭრებოდნენ და სპარსეთსაც კი აოხრებდნენ. მაგრამ მირიანს ერთხელაც ვერ სძლიეს. პირიქით, ქართველები ხაზართაგან სპარსეთსაც კი იცავდნენ. მირიანი პონტოს ქართული მიწების შემოერთებაზეც ფიქრობდა. აკი ამიტომაც მოიყვანა ქართლის დედოფლად იქაური მბრძანებლის ასული – ნანა.

მაგრამ მირიანი გრძნობდა, რომ საჭირო იყო რაღაც სხვა ძალა, ახალი რწმენა, რომელიც მტკიცედ შეკრავდა მთელ ერს, იხსნიდა დამპყრობთა შემოსევისაგან. ასეთ ძალად მან ახალი რელიგია – ქრისტიანობა მიიჩნია.

რომის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ახლა ბიზანტია და სპარსეთი ერთმანეთს ეცილებოდნენ ქართლზე გავლენისათვის. ბიზანტიას დიდი წარმატებებისათვის მიეღწია მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგში. ამიტომ მირიანმა გადაწყვიტა საქართველო ბიზანტიის მოკავშირე გაეხადა. მირიანმა ქრისტიანობა გამოაცხადა ქართლის სახელმწიფო რელიგიად. როგორ მოხდა ეს?

ძველი წიგნები ასე მოგვითხრობენ: პონტოს მხრიდან – კაპადოკიიდან ჩამოსულიყო თხუთმეტიოდე წლის ნინო, მცხეთაში დაედო ბინა და ქრისტიანობას ქადაგებდა. იგი დახელოვნებული მკურნალიც იყო. ბევრ მძიმე სნეულს არჩენდა და ამას ქრისტეს სასწაულით ხსნიდა. მადლიერი განკურნებულები ქრისტიანდებოდნენ.

მძიმე სნეულება შეხვდა ნანა დედოფალსაც. განთქმული მკურნალების წამლებმა ვერ უშველა. ბოლოს ნინომ განკურნა. დედოფალმა ქრისტიანობა მიიღო. მირიანსაც ურჩევდა ქრისტეს რწმენაზე გადასვლას, მაგრამ მეფე არ ჩქარობდა. დაწვრილებით გამოიკითხა მცოდნე ხალხისგან, შეისწავლა წიგნები ქრისტეს მოძღვრებაზე... და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს რელიგია სასარგებლო იქნებოდა ქართველი ერის აღორძინებისათვის. ამასობაში ერთი წელი გავიდა.

ოც ივლისს, შაბათ დღეს მეფე სანადიროდ წაბრძანდა. სამხრობისას უცებ მზის სრული დაბნელება მოხდა. უკუნი სიბნელე ჩამოწვა ტყეში. მირიანმა და მისმა მხლებლებმა ეს ამბავი ღვთიური ძალებით ახსნეს. შეძრწუნებულები შეევედ-

რნენ არმაზს, ზადენს, გაცს და გაიმს, რომ ცაზე მზე დაებ-
რუნებინათ და ხიფათისაგან ეხსნათ მონადირეები. მაგრამ
არაფერი შეიცვალა. მაშინ მეფეს გაახსენდა ნინო კაპადოკი-
ელის ახალი ღმერთი... და როცა ქრისტე ახსენა, ცა გაშუქდა.
მირიანმა ეს ახალი რელიგიის სასწაულმოქმედებას მიაწერა
და ირწმუნა ქრისტე.

ქალაქში მობრუნებულმა მეფემ ბიზანტიიდან მღვდლები მო-
იწვია, მცხეთელები მტკვარზე ჩაიყვანა და ერთიანად მოანათ-
ლინა. ასე გაქრისტიანდა მთელი ქართლი. ეს მოხდა 326 წელს.

მირიანმა და წმინდა ნინომ ქართლში მრავალი ეკლესია
ააშენეს, კერპების ნაცვლად კი ქვაჯვარები დადგეს. ყველაზე
მეტად ბიზანტიის იმპერატორს უხაროდა, რომ ძლიერი იბერია
მისი ერთმორწმუნე და მოკავშირე გახდა. ქრისტიანობის შემო-
ღებით მირიანმა საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის სახელმწი-
ფოსა და ქრისტიანულ კულტურას.

წმინდა ნინო ბოდბეში გარდაიცვალა და მისივე ანდერძით
იქვე დაკრძალეს.

ჩვენამდე მოაღწია დედოფალ ნანასა და შვილის, ბაქარის
სახელზე დაწერილმა მირიან მეფის ანდერძმა: მირიანი დიდი
თავმდაბლობით მოიხსენიებს თავის ქრისტიანულ საქმიანობას
და ანდერძად უტოვებს ცოლს, რომ მისი ქონების ნახევარი მო-
ახმარონ ნინოს სამარხზე ტაძრის აგებას. ბაქარსა და ქართლის
მომავალ მეფეებს კი უანდერძებს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე
მტკიცედ დგომას.

საქართველოს ეკლესიამ ნინო კაპადოკიელი, ნანა დედოფა-
ლი და მირიან მეფე წმინდანებად და მოციქულთასწორებად
შერაცხა. მოციქულები ერქვათ ქრისტეს თორმეტ მოწაფეს, რომ-
ლებიც ხალხში უფლის მოძღვრების პირველი მქადაგებლები
იყვნენ. ქართულმა ეკლესიამ მირიან მეფე, ნანა დედოფალი და
ნინო კაპადოკიელი სწორედ იმ მოციქულებს გაუთანაბრა. ამი-
ტომ უწოდა მათ მოციქულთასწორნი. 14 ოქტომბერი წმინდა
მოციქულთასწორების ნანა დედოფლისა და მეფე მირიანის ხსე-
ნების დღეა. ნინოობა კი საქართველოში წელიწადში ორჯერ
აღინიშნება – 1 ივნისს (მისი საქართველოში შემოსვლის დღე)
და 27 იანვარს (გარდაცვალების დღე).

პეტრე იბერი

ᲖᲬყინა სპარსეთს საქართველოს გაქრისტიანება. საბერძნეთისა და სპარსეთის ქიშპობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვის დაუჭერდა მხარს საქართველო. სპარსეთმა გადაწყვიტა საქართველო ბიზანტიისგან ჩამოეშორებინა და თავის მოკავშირედ ექცია, დაეპყრო, ანდა სულაც მოესპო. იმ დღიდან საუკუნეები გავა, სპარსეთი კი სულ ამის ცდაში იქნება.

ქართლის მეფე ბუზმარი ორივე მეზობელთან მეგობრულად ყოფნას ცდილობდა. სპარსეთის შაჰმა შემოუთვალა: თუ ჩემი მეგობრობა გსურს, შვილი მძევლად გამომიგზავნე, საბერძნეთს კი თავი დაანებეო. ბერძენთა კეისარი თავისას ითხოვდა: უფლისწული ჩემთან გამოგზავნეო. აღარ მისცეს საშველი. ბუზმარი იძულებული გახდა ერთადერთი შვილი და ტახტის მემკვიდრე უცხოეთში გაეგზავნა. ისევ ერთმორწმუნე ბიზანტია ამჯობინა. 12 წლის უფლისწული მურვანოსი ასე აღმოჩნდა კონსტანტინოპოლში.

კეისრის სასახლე გააოცა უფლისწულის განათლებამ და ნიჭიერებამ. მან სწრაფად შეისწავლა ბერძნული და ასირიული ენები. კარგად იცოდა სხვადასხვა მეცნიერებანი, სამკურნალო საქმე, თანაც დიდი ღვთისმოსავი იყო – სწავლისაგან თავისუფალ დროს ლოცვასა და მარხულობაში ატარებდა.

კეისრის კარზე მეორე სახელოვანი ქართველიც იყო – მირდატ ლაზი. ერთ ღამეს მურვანოსი და მირდატი სასახლიდან გაიპარნენ და დიდი ფათერაკების შემდეგ იერუსალიმში ჩავიდნენ. იქ თაყვანი სცეს ქრისტეს საფლავს და ბერები გახდნენ. ბერად შედგომის მერე მირდატს იოანე ლაზი ეწოდა, მურვანოსს კი – პეტრე იბერი. იერუსალიმში მათ ააშენეს ქართული მონასტერი და სასტუმრო საქართველოდან ჩამოსული მორწმუნეებისათვის. მერე დიდი კულტურული და მეცნიერული მოღვაწეობა გააჩაღეს.

პეტრე იბერმა არაერთი ტაძარი ააგო პალესტინაში, სირიაში, ეგვიპტეში. პეტრე იბერის დაწყებული საქმე ღირსეულად განაგრძეს მომდევნო საუკუნეების ქართველმა მოღვაწეებმა. მათ რო-

გორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მრავალი მონასტერი ააშენეს. სამონასტრო მშენებლობას ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. აქ არა მარტო საფუძვლიან განათლებას ღებულობდნენ ქართველი ახალგაზრდები, არამედ მონასტრების საშუალებით საქართველოს მჭიდრო კულტურული, მეცნიერული და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან. თითქმის ათასხუთასი წლის მანძილზე ამ მონასტრებში მოღვაწეობდნენ წმინდა მამები – დიდი ქართველი მწერლები და ფილოსოფოსები. საკმარისია მათგან დავასახელოთ თუნდაც თვითონ პეტრე იბერი, იოანე და ექვთიმე ათონელები, გიორგი მთაწმინდელი, იოანე პეტრიწი და სხვები. ისინი თარგმნიდნენ უცხო ენებიდან საჭირო წიგნებს, წერდნენ საკუთარ ნაწარმოებებს, ამდიდრებდნენ ქართულ ლიტერატურას, კულტურას, მეცნიერებას. . . და ამ დიდი ეროვნული საქმის საფუძვლის ჩამყრელი პეტრე იბერი იყო.

პეტრე იბერმა ცოდნით, სიბრძნით, სიწმინდითა და პატიოსნებით გაითქვა სახელი. მან ბევრი სასწაული ჩაიდინა: გვალვაში შეეძლო წვიმის მოყვანა, უნაყოფო მინდორზე მოსავლის აღმოცენება, სნეულთა განკურნება. მას წინასწარმეტყველების უნარი ჰქონდაო – ამბობდნენ მისი თანამედროვეები.

მიუხედავად ამისა, პეტრე იბერი საოცრად თავმდაბალი კაცი გახლდათ. მუდამ ცდილობდა უჩინარი ყოფილიყო. სულ ამბობდა – ცოდვილი და უღირსი ვარო. იგი ძალით აკურთხეს მღვდლად, შემდეგ კი მაიუმის ეპისკოპოსად. არც ტაძრებზე, არც წიგნებზე თავის სახელს არ აწერდა. ესეც თავმდაბლობით მოსდიოდა. მხოლოდ იერუსალიმის ქართულ ტაძარში აღმოჩნდა ერთადერთი წარწერა, სადაც აღნიშნულია მისი ამშენებლის –

პეტრეს ვინაობა. ეს წარწერა დღემდე აღმოჩენილი ქართული წარწერებიდან ერთერთი უძველესთაგანია.

მეფე ბუზმარი 430 წელს გარდაიცვალა. პეტრეს დედამ ამის მერე მთელი თავისი ქონება საქართველოში სამადლოებისა და სასნეულოების მშენებლობას მოახმარა. ამით დიდი ქველმოქმედისა და წმინდა ადამიანის სახელი დატოვა. პეტრე იბერი უცხოეთში გარდაიცვალა 491 წელს, 82 წლის ასაკში.

პეტრე იბერის წიგნებზე აღმოცენდა შემდეგში ევროპული რენესანსი – მსოფლიოს ახალი კულტურა და აზროვნება. ამ წიგნებზე საუკუნეების მანძილზე იზრდებოდნენ თაობები. მაგრამ მეცნიერებმა თხუთმეტი საუკუნის მანძილზე არ იცოდნენ მათი ავტორის ვინაობა. ერთხანს მიაჩნდათ, რომ ისინი პირველი საუკუნის ფილოსოფოსმა დიონისე არეოპაგელმა დაწერა. მაგრამ მერე დაადგინეს, რომ ეს წიგნები მეხუთე საუკუნეშია დაწერილი. მაშინ უცნობ ავტორს პირობითად ფსევდოდიონისე არეოპაგელი უწოდეს. მხოლოდ ჩვენს დროში ქართველმა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ და ბელგიელმა მეცნიერმა ჰონიგმანმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაადგინეს, რომ ისინი პეტრე იბერიელის დაწერილია. ამ აღმოჩენას დღეს ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია ეწოდება.

ასე აღდგა დავიწყების წყვდიადიდან დიდი ქართველი მეცნიერისა და მსოფლიო მოღვაწის პეტრე იბერის სახელი.

ვახტანგ გორგასალი

ეფლისწული ვახტანგი შვიდი წლისა იყო, მამა რომ გარდაეცვალა. პატარა უფლისწულს ქვეყნის მოვლა არ შეეძლო. დრო იხელთეს მტრებმა. ისინი ყველა მხრიდან დაიძრნენ უმეფოდ დარჩენილი ქართლის ასაკლებად.

მცხეთაში ისევ სპარსელი ქურუმები დასხდნენ და თავიანთი სარწმუნოების გავრცელება დაიწყეს. მალე ოსებმა დარიალის კარი გადმოლახეს, ქართლი ააოხრეს და ვახტანგის უმცროსი და მირანდუხტი ტყვედ წაიყვანეს. ერთმორწმუნე ბიზანტიელებ-

მა კი კლარჯეთი, აფხაზეთი და ეგრისი დაიპყრეს. კავკასიონის ქედს იქით მომთაბარე ხაზარებს, ყივჩაყებს, პაჭანიგებსა და ჰუნებსაც საქართველოსკენ ეჭირათ თვალი.

ასეთ მძიმე მდგომარეობაში შეუდგა მეფობას თხუთმეტი წლის ვახტანგი. მან სასწრაფოდ დაიწყო ჯარის მომზადება და მტრის მოგერიების თადარიგი. პირველ რიგში კავკასიონს იქით მოსახლე ტომების დაჩოქება იყო საჭირო. ისინი ხომ გამუდმებით აწუხებდნენ საქართველოს და მის მეზობლებს – სომხეთს, სპარსეთს, საბერძნეთს. ვახტანგმა გადაწყვიტა მთელი კავკასიის გაერთიანება მათ წინააღმდეგ.

მეფემ დარბაზი მოიწვია და ლაშქრობაზე თანხმობა ითხოვა. დარბაზი დაეთანხმა. ოღონდ ურჩიეს: უწლოვანი ხარ, უშენოდ წავალთ სალაშქროდ, მთავარსარდლად ვინმე გამოცდილი ერისთავთაგანი დაგვინიშნეო. ვახტანგმა თვითონ ისურვა ომში წასვლაც და მთავარსარდლობაც.

თექვსმეტი წლის მეფე ასი ათასი მხედრისა და სამოცი ათასი ქვეითისაგან შემდგარ ჯარს გაუძღვა ჩრდილოეთის მტრულ ქვეყნებზე სალაშქროდ. გზად კიდევ კავკასიელ მეფეთა ორმოცდაათი ათასი მხედარი შეუერთდა. კავკასიის ერთიანი ჯარით გაიარა ვახტანგმა დარიალის ჭიშკარი, გავიდა დონის ველებზე და სასტიკად დაამარცხა ოსები, ხაზარები, ყივჩაყები, პაჭანიგები. ვახტანგმა ოსების მიერ კავკასიიდან გატაცებული სამას ორმოცდაათი ათასი ტყვე გამოიხსნა და სამშობლოში გამოგზავნა. მირანდუხტიც მაშინ დაიხსნა ტყვეობიდან.

ვახტანგი იქიდან აფხაზეთში გადავიდა და ბიზანტიელებს შეება. სამ წელიწადს გაგრძელდა ომი. ვახტანგმა დასავლეთ საქართველოდან გარეკა ბიზანტიელები და ბოლოს მათ დედაქალაქს კონსტანტინოპოლს მიადგა. ბიზანტიის რვაასიათასიანი არმია დაამარცხა. კეისარმა ზავი ითხოვა. მან მიტაცებული ქართული მიწები დაუბრუნა თავის ნამდვილ პატრონს.

ბიზანტიამ და სპარსეთმა დროებით მეგობრობა ამჯობინეს საქართველოსთან. ვახტანგმა იცოდა, რომ ისინი საქართველოს დაპყრობაზე ხელს არ აიღებდნენ. ამიტომ გულმოდგინედ ემზა-

ღებოდა მომავალი ბრძოლებისათვის. მან დარიალის, თერგისა და არაგვის ჭიშკრები ახალი ციხესიმაგრეებით ჩაკეტა. ამიერიდან საქართველო ჩრდილოეთიდან საიმედოდ იყო დაცული: ქართველი მეფეების ნებადაურთველად უცხო ლაშქარი ვეღარასოდეს გადმოვიდოდა კავკასიონზე. ამან დიდი როლი შეასრულა ქართველი ერის გადარჩენაში.

ვახტანგ გორგასლის ძეგლი. მოქანდაკე ე. ამაშუკელი

დაზავებულმა სპარსეთმა, საბერძნეთმა და საქართველომ ერთობლივად გაილაშქრეს აზიაში. ეს ლაშქრობა რვა წელიწადს გაგრძელდა. გაერთიანებული ჯარების მთავარსარდალი იყო ვახტანგ მეფე. მისი დახმარებით სპარსეთმა მრავალი ქვეყანა დაიმორჩილა, თვით ინდოეთის ჩათვლით. ამის შემდეგ სპარსეთი ძლიერი ქვეყანა გახდა.

ვახტანგის მიერ ჩატარებული სამხედრო ლაშქრობები ძალზე დიდი მასშტაბისა იყო, რომელთა მსგავსი არც ერთ ქართველ მეფეს არ ჩაუტარებია. ვახტანგი საოცარი ძალისა და აღნაგობისა ყოფილა. ძველი მწერალი ჯუანშერი, რომელმაც აღწერა გორგასალის ცხოვრება, ამბობს: ვახტანგი გაქცეულ ირემს ეწეოდა და ხელით იჭერდა. შეჯავშნულ ცხენს მხრებზე მოიგდებდა და არმაზის მთაზე ავიდოდა. სიმაღლით კი იყო ორი მეტრი და ორმოცი სანტიმეტრიო. ვახტანგს უყვარდა რაინდული ორთაბრძოლები. თექვსმეტი წლისამ ოსეთში პირველი ლაშქრობის დროს ორთაბრძოლაში ორი გოლიათი მოკლა – თარხან ხაზარი და ბაყათარ ოსი. საბერძნეთში ლაშქრობისას კი – მათი სარდალი პალეკარპოსი. ინდოეთში ლაშქრობის დროს ორთაბრძოლაში თხუთმეტი გოლიათი დაამარცხა.

ინდოეთის ლაშქრობიდან მობრუნებული ისევ ქვეყნის შენებას შეუდგა. მან ბევრი ქალაქი, ციხესიმაგრე და ტაძარი

ააგო. საქართველო უკვე მძლავრი სახელმწიფო იყო. ამიტომ მცხეთა სამეფო ქალაქად აღარ კმაროდა. მას უფრო დიდი და საიმედო დედაქალაქი სჭირდებოდა. ვახტანგმა ახალი დედაქალაქის – თბილისის მშენებლობა დაიწყო. მაგრამ მტრები არ აცდიდნენ მშვიდობიან შრომას. მალე სპარსეთმა ისევ წამოიწყო ომი საქართველოს წინააღმდეგ. სპარსთა უთვალავი ლაშქარი შემოიჭრა, მაგრამ მძიმე ბრძოლებში დამარცხდა და ზავი ითხოვა. სპარსელებს განსაკუთრებით თავზარს სცემდა თვითონ ვახტანგ მეფე. მას მუზარადზე წინა მხარეს მგლის თავი ეხატა, უკანა მხარეს კი – ლომისა. ერიდეთ მგლის თავს – ყვიროდნენ მის დანახვაზე სპარსელები. ამის გამო ვახტანგს გორგასლანი (სპარსულად ნიშნავს მგლის თავს) შეერქვა.

სპარსელები რამდენჯერმე შემოესივნენ ქართლს, მაგრამ გორგასალი ვერ დაიმორჩილეს. მაშინ ვერაგობას მიმართეს: გორგასალის ერთი მსახური მოისყიდეს და მისი მოკვლა დაავალეს. 502 წელს სამგორის ველზე შვიდას ოთხმოცი ათას სპარსელს სამ დღეს ებრძოდა ქართველთა ხუთჯერ ნაკლები ჯარი. გაცხარებული ომის დროს გორგასალი სპარსეთის შაჰის კარავში შეიჭრა და მისი შვილი მოკლა. თვით შაჰმა ძლივს მოასწრო ცხენზე შეჯდომა და გაქცევა. ამ დროს იმ მოსყიდულმა მსახურმა შენიშნა, რომ მეფეს მარცხენა იღლიაში ჯაჭვის პერანგი ჩარღვეოდა. შენიშნა და ისარი სტყორცნა. ისარმა ფილტვში გაიარა. მძიმედ დაჭრილი გორგასალი კიდევ კარგა ხანს იბრძოდა. ქართველებმა დაჭრილი მეფე მისგანვე აშენებულ უჯარმაში მიიყვანეს. მკურნალთა ცდა უშედეგო გამოდგა. სამოცი წლის მეფე იქვე გარდაიცვალა. გორგასალი მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს. სამარის ლოდზე მისი სიმაღლის ხატი ამოკვეთეს. მას მერე საქართველოს სამეფო დროშას გორგასლიანი ეწოდა. ხოლო თბილისის მშენებლობის დამთავრება და სატახტო ქალაქად გამოცხადება მისი შვილის დაჩის მეფობაში მოხდა.

საქართველოს ეკლესიამ ვახტანგ გორგასალი წმინდანად შერაცხა. 13 დეკემბერი წმინდა დიდი მეფის ვახტანგ გორგასალის ხსენების დღეა!

რას გვიამბობს მოწამეთა?

ქუთაისის მახლობლად, ერთი მიუვალი მთის წვერზე, მშვენიერი ტაძარი დგას. მას მოწამეთა ჰქვია. ეკლესია საშინელ უფსკრულს გადაჰყურებს. თვალჩაუწვდენელ ხეობაში მდინარე წყალწითელა მიიკლაკნება. წყალი სისხლივით წითელია.

ტაძარში ხის ორი ლომი წევს. მათ ზურგზე ცისფერი ფარჩით მოგებული ხის ლუსკუმაა. მასში ორი ადამიანის ძვლები ასვენია. იქვე, კედელზე ორი ახოვანი ჭაბუკის სურათია. ერთს ლამაზი წაბლისფერი თმა აქვს, მეორეს – გიშერივით შავი. ესენი ძმების დავით და კონსტანტინეს ხატები და წმინდა ნაწილებია.

რას გვიამბობს მოწამეთა?

დიდი ხნის წინათ, მეშვიდე საუკუნეში მთელი მსოფლიო შეაშფოთა ახალი დამპყრობლების გამოჩენამ. არაბეთის შორეული და ცხელი უდაბნოდან ნიაღვარივით დაიძრნენ აქლემებზე ამხედრებული ბედუინები. მათ გზადაგზა შეიერთეს მთელი მუსულმანური სამყარო და კალიასავით მოედვნენ სხვადასხვა ქვეყანას. მათი დამარცხება და შეჩერება ვერავინ შეძლო.

642 წელს არაბებმა საქართველოს მოადწიეს. ქართველებმა ისინი ფიცხელ ბრძოლაში დაამარცხეს და გააქციეს. ეს უძლეველი არაბების პირველი დამარცხება იყო.

ოც წელიწადს იგერიებდნენ ქართველები შემოსეულ მტერს. ბოლოს, სომხებთან ერთად, ქალაქ დვინთან კიდევ ერთხელ დაამარცხეს და გააქციეს არაბები.

735 წელს არაბების უზარმაზარი ლაშქარი მოგვადგა სარდალ მურვანის მეთაურობით. მან გაუგონარი სისასტიკე და შეუბრალებლობა გამოიჩინა. ამისათვის სომხებმა „ამაოხრებელი“, ქართველებმა კი მურვან „ყრუ“ უწოდეს.

მურვან ყრუმ გადაწვა სომხეთი, ქართლი, მესხეთი. მერე ზეკარის მთა გადაიარა და იმერეთს შეესია. არაბთა მეწინავე ჯარს არგვეთის მთავრები, ძმები დავით და კონსტანტინე მხეიძეები შეებრძოლნენ. ქართველებმა მტერი დაამარცხეს. ბრძოლაში მტრის უთვალავი ჯარისკაცი დაიღუპა.

ამ მარცხმა მურვან ყრუ გადარია. მან მთელი ჯარი დასძ-

რა არგვეთელების წინააღმდეგ. ქვიშასავით მოედვნენ იმერეთს. ქართველები ცოტანი იყვნენ და პარტიზანულ ომზე გადავიდნენ. მტერს ვიწრო ხეობებსა და ტყეებში უსაფრდებოდნენ, მოულოდნელად თავს ესხმოდნენ და დიდ ზიანს აყენებდნენ. არაბებმა სიმრავლით სძლიეს. ქართველების უმეტესობა ბრძოლაში დაიხოცა. ძმები მხეიძეები ტყვედ ჩავარდნენ. ისინი ქუთაისში მიჰგვარეს მურვან ყრუს. ტყვეები სასტიკად აწამეს და დილეგში ჩაყარეს.

ათი დღე-ღამე არც ასვეს და არც აჭამეს. მურვანმა ისინი სანადიმო სუფრასთან გვერდით მოისხა, დაუყვავა, მოეფერა, ვაჟკაცობა შეუქო. ქართველებმა პირი არაფერს დააკარეს. მერე მურვან ყრუმ უთხრა: – დათმეთ ქრისტიანობა და ქართველობა. მიიღეთ ისლამი. არაბთა საუკეთესო ჯარების სარდლებად დაგნიშნავთ. დიდ სიმდიდრეს მოგცემთ. ფუფუნებით იცხოვრებთ. ხოლო თუ ამას არ იზამთ, წამებით სიკვდილი არ აგცდებათ.

დავითმა და კონსტანტინემ სამშობლოს ღალატზე უარი თქვეს. მაშინ გაცოფებულმა მურვანმა ჯალათები მიუსია. არაბებმა მხეცურად აწამეს, ხეზე თავდაყირა დაჰკიდეს და მძიმე ხელკეტებით სცემეს. სიკვდილის პირზე მისულებს ხელ-ფეხი შეუკრეს, კისრებზე მძიმე ლოდები ჩამოჰკიდეს და მდინარე რიონში გადაყარეს.

მურვან ყრუმ სამეგრელოს ასაკლებად გასწია.

მტრის წასვლის მერე ქართველებმა დავითი და კონსტანტინე რიონიდან ამოასვენეს და ერთ მთაზე დაკრძალეს. ხალხმა იმ ადგილს წამებულების სავანე ანუ „მოწამეთა“ უწოდა.

სამასი წლის შემდეგ საქართველოს მეფემ ბაგრატ მესამემ აქ ეკლესია ააშენა და სამშობლისათვის წამებული გმირები გადაასვენა. ისინი წმინდანებად შერაცხეს. ყოველი წლის 15 ოქტომბერს აქ სახალხო დღესასწაული „მოწამეთობა“ იმართება.

ამ დღეს აწამეს არაბებმა დავითი და კონსტანტინე. 15 ოქტომბერი წმინდა დიდმოწამეების დავით და კონსტანტინე მხეიძეების ხსენების დღეა.

გმირების სისხლით შედებილი წყალწითელა კი ახლაც დუდუნით ჰყვება მოწამეთას ამბავს.

სამშობლოსათვის თავდადებული ქალები

დედოფალი შროშანა

საქართველოს ჩრდილოეთით, კავკასიონის მთების გადაღმა უკიდეგანო ველებია. ათასხუთასი წლის წინათ ამ ველებზე ხაზარები ცხოვრობდნენ. მათ ნაბდის კარვები ედგათ, მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ. მეზობელ ქვეყნებს ებრძოდნენ და ძარცვავდნენ. ხაზარების ხელმწიფეს – ხაკანს ამბავი მოუტანეს: კავკასიის მთების იქით მდიდარი საქართველოა. იქ ბევრი ნადავლის შოვნა შეიძლება. ხოლო საქართველოს მეფის ჯუანშერის და შროშანა ენით აუწერელი სილამაზისაო.

მაშინ საქართველოს შორეული ქვეყნებიდან მოსული არაბები აოხრებდნენ. ხაკანმა ჯუანშერს შეუთვალა: შროშანა ცოლად მომეცი, სამაგიეროდ არაბებთან ბრძოლაში დაგეხმარებიო. შროშანამ უარი თქვა.

ხაკანმა უზარმაზარი ლაშქარი გამოგზავნა ბლუჩანის სარდლობით. ჯუანშერი კახეთის ციხესიმაგრეში დაუხვდა მტერს. ხაზარებმა სძლიეს, ააოხრეს და გაძარცვეს საქართველო, მეფე ჯუანშერი და შროშანა ტყვედ ჩაიგდეს და უკან გაბრუნდნენ.

ბლუჩანი გახარებული იყო, რომ ხაკანის ბრძანება მარჯვედ შეასრულა: რამდენიმე დღეში შროშანას ცოლად მიჰგვრიდა და დიდ ჯილდოსაც მიიღებდა. ხაზარები თავიანთ სადედოფლოს დიდი პატივით ეპყრობოდნენ. დარიალის ჭიშკარს მიაღწიეს. აქედან უკვე უცხო ქვეყანა იწყებოდა. დედოფალმა შესვენება ითხოვა. ბლუჩანმა დამისთევა ბრძანა.

გათენდა. მზემ პირველი სხივები სტყორცნა კავკასიონის თოვლიან მწვერვალებს. ხაზართა ბანაკი წამოიშალა.

– მალე ჩვენს ქვეყანაში ჩავალთ. როცა ჩვენი დედოფალი გახდები, ალბათ სამსახურს დამიფასებ. – უთხრა შროშანას სარდალმა ბლუჩანმა.

– ჩემი სამშობლოს ამწიოკებლებთან ფუფუნებით ცხოვრებასა და უცხოეთში დედოფლობას ჩემს საყვარელ საქართველოში სიკვდილი მირჩევნია! – მიუგო შროშანამ. მერე ერთხელ კიდევ მოავლო თვალი კავკასიონიდან თვალწინ გადაშლილ მშვენიერ სამშობლოს. ხაზარებმა გონს მოსვლა ვერც კი მოასწრეს, რომ თითიდან ბეჭედი წაიძრო, შიგ დამალული საწამლავი შესვა და სული განუტევა.

ხაზარებმა თავში ხელი შემოიკრეს, მაგრამ რაღას იზამდნენ. მშვენიერი შროშანა იქვე, კავკასიონის მთაზე, ქართულ მიწაში დაკრძალეს. როდესაც ხაკანმა ეს ამბავი გაიგო, გაბოროტებულმა ცხენებს გამოაბა ბლუჩანი და შუაზე გაახლეჩინა. ეს ამბავი 764 წელს მოხდა.

მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ საარაკო გმირობის ფასად მოიპოვა ჯუანშერ მეფემ თავისუფლება და სამშობლოში დაბრუნდა. მას შემდეგ დედოფალ შროშანას სამარე წმინდა ადგილად იქცა.

სამღერეთი

სოფელ სამღერეთზე ხალხში ასეთი ლეგენდა არსებობს: ერთხელ, ძალიან დიდი ხნის წინათ, ურიცხვი მტერი შემოგვესია. მოგორავდა სოფელ-სოფელ მტრის ზვავი, ძარცვავდა ხალხს, იტაცებდა ხვასტაგსა და სხვა სარჩო-საბადებელს, ჟლეტდა უმწეო ქალებსა და ბავშვებს, ჯანმრთელებს ტყვეებად მიერეკებოდა.

თითქოს კალიამ გადაუარაო, ისე რჩებოდა ცხენ-აქლემთაგან გაძოვილი და გათელილი ყანები, გადამთიელებისაგან გასხეპილი ბაღ-ვენახები. ბოლავდა პარტახი სოფლები და ყმუოდნენ უპატრონო ნაგაზები.

მდინარე ჭივჭავის მიდამოებში, ერთ პატარა სოფელთან,

მტრის ლაშქარს სამი ქართველი ქალი გამოეგება. ისინი ჩონგურზე უკრავდნენ და ტკბილად მღეროდნენ.

გაოცდნენ მომხდურები. აქამდე მათ ყველგან სიძულვილით ხვდებოდნენ: თავგანწირვით ებრძოდნენ, ტყეებსა და ხეობებში უსაფრდებოდნენ და მოულოდნელად ესხმოდნენ, მთებიდან ლოდებს უშენდნენ, ციხეებიდან მდუღარე ფისს აღვრიდნენ. ერთი სიტყვით, ხალხი იბრძოდა, ვისაც როგორ შეეძლო. მტერს ყველგან მტრულად ხვდებიან, ასეთია ომის კანონი. დამპყრობელს ეს არც უკვირს და მუდამ მზად არის ასეთი ხიფათისათვის. აქ კი რა ხდება? ქვეყნის ამწიოკებელს სირინოზების გალობით ხვდებიან. ეს მართლაც მოულოდნელი და დაუჯერებელი ამბავია. არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ომში ასეთი რამ არ მომხდარა. ამიტომაც ქალების სილამაზითა და საოცრად ტკბილი სიმღერებით გაოგნებული ლაშქარი პირღია დარჩა.

მომღერლებმა ისინი საღამომდე შეიყოლიეს. ამასობაში ახლომახლო სოფლებიდან ხალხმა ჭივჭავის მიუვალი ხეობის სახიზრებსა და ტყეებში გაასწრო, ზოგმა სამშვილდის ციხეს შეაფარა თავი.

თავდავიწყებული მტერი მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა ქართველთა ჯარი მოულოდნელად თავს დაესხა. გაბრიყვებულმა და დამარცხებულმა მტერმა ქალებზეღა იძია შური: ისინი ხმლებით აჩეხეს.

მადლიერმა ხალხმა გმირი დები თავიანთი ჩონგურებით იქვე დაკრძალა. მას მერე სოფელს სამღერეთი დაერქვაო.

სოფელი სამღერეთი ქვემო ქართლშია, სამშვილდის ციხის მახლობლად. სოფლის შუაგულში უძველესი საგოდებელი და პატარა ეკლესიაა. აქ გლეხკაცების საფლავებზე ქვის ვერძები, მეომრების სამარეებზე კი ქვის ცხენები დგას. ცხენები შეკაზმულია და ფერდებზე გაშიშვლებული ხმლები ახატიათ. ერთი სამარის ქვა კი ყველასგან განსხვავებულია. 64 სანტიმეტრი სიმაღლისა და 95 სანტიმეტრი სიგანის ყვითელი ტუფის ქვაზე ერთ მხარეს სამი ქალია გამოხატული, მეორე მხარეს კი სამი ლამაზი კარიბჭე, თითოეულ კარიბჭეში სამ-სამი ჯვრით. ეს ლეგენდად ქცეული სამი დის სამარეა. ქვაზე ძლივსღა მოჩანს დროჟამისგან გაცვეთილი ძველი ქართული ასომთავრული წარწერა.

გამოსახულებანი და წარწერა იმას გვამცნობს, რომ აქ დაკრძალული სამი ქალი სამშობლოსათვის წამებული წმინდანები არიან; ეს ამბავი შვიდას სამოცდასამ წელს მომხდარა – არაბებისა და ხაზარების გამანადგურებელი შემოსევების დროს; იმ სამი გმირი ქალიდან ერთ-ერთს ხვარამზე რქმევია.

ისტორიამ შემოგვინახა ხაზარების სასტიკი შემოსევისა და მეფე ჯუანშერის დის – მშვენიერი შროშანას მოწამებრივი აღსასრულის ამბავი; მაგრამ მკითხველი ამაოდ დაიწყებს ძველ მატიანეებში სამი დის გმირობის მოთხრობის ძებნას. მემატიანეებს ამის შესახებ არსად არაფერი ჩაუწერიათ. ისინი მოკლედ აღწერდნენ დიდ მოვლენებს და ბევრი რამ გამორჩებოდათ ხოლმე. ასეთ გამორჩენილ ამბებს ხალხი – უსახელო მემატიანეები ზეპირად გადასცემდნენ თაობიდან თაობას. დროთა მანძილზე ეს ზეპირი გადაცემები ზღაპრად და ლეგენდად იქცეოდა. ისინი გვეხმარება ისტორიის ცარიელი ფურცლების შევსებაში. ასეა სამღერეთის ლეგენდაც. ჩვენ არ ვიცით იმ გმირი ქალების სახელები, მაგრამ სოფლის სახელწოდება სამღერეთი და უძველესი წარწერიანი სამარე იმაზე მეტყველებს, რომ ეს ამბავი ნამდვილად მოხდა. ასეა, ყველა ლეგენდა ისტორიული სინამდვილიდან იღებს სათავეს. ხალხმა 1200 წლის სიღრმიდან თაობიდან თაობას გადასცა და ჩვენამდე მოიტანა დიდი მამულიშვილების – ხვარამზესა და მისი დების გმირობის ამბავი. ის გვამცნობს, რომ უწყინარი ჩონგური, სულის შემძვრელი სიმღერა და ქალების სილამაზე ზოგჯერ ხმალზე უფრო ბასრი იარაღია.

სამი დის სამარე

მტერზე სიმღერით გამარჯვების ეს ლეგენდა მსოფლიო ფოლკლორის განუმეორებელი შედევრია და მისი დავიწყება შეუძლებელია. დედოფალი შროშანა და სამღერეთელი დები წმინდანებად შერაცხვის ღირსნი არიან.

დავით აღმაშენებელი

ეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სამხრეთით მომთაბარე თურქ-სელჩუკები გამოჩნდნენ. მალე მათ საქართველოში განუწყვეტელი შემოსევები დაიწყეს. ქართველმა ხალხმა ამას „დიდი თურქობა“ უწოდა. მომთაბარე თურქები ადრე გაზაფხულზე დედაწულიანად მოედებოდნენ საქართველოს მიწა-წყალს და ზამთრის პირამდე რჩებოდნენ. მთელი აღმოსავლეთ საქართველო გაძარცვეს, გააპარტახეს და თავიანთი უთვალავი საქონლის საძოვრად აქციეს.

ქართველების უმეტესობა ბრძოლაში გაწყდა, ხოლო ვინც ცოცხალი გადარჩა, მიუვალ მთებსა და ტყეებში გაიხიზნა. საქართველო თურქ-სელჩუკთა მოხარკე გახდა. ყოველწლიურად მატულობდა საქართველოში მომთაბარე თურქთა ჩამოსახლება.

ურჩობდნენ დიდგვაროვანი ფეოდალებიც. ისინი ხშირად მეფეს ებრძოდნენ და ამით მტერს ჩვენი ქვეყნის დაპყრობას უადვილებდნენ.

საქართველოს გადაშენების საფრთხე შეექმნა.

ქვეყნის ბედ-იღბლით შეწუხებულმა ქართველმა მამულიშვილებმა 1089 წელს მეფე გიორგი გადააყენეს და მეფედ მისი შვილი – თექვსმეტი წლის დავითი დასვეს. დავითმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი დაქცეული და განადგურების პირზე მისული ქვეყნის აღდგენას. მან საეკლესიო და სახელმწიფო თანამდებობებიდან გადააყენა უნიჭო და უპატიოსნო ადამიანები, რომლებიც გვარიშვილობით, სიმდიდრით, ქრთამითა და სხვა უსამართლო გზებით გადიდკაცებულიყვნენ. მათ ნაცვლად შემოიკრიბა უბრალო წრიდან გამოსული ჭკვიანი, პატიოსანი, ერთგული და ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანები. მეფემ ტყეებსა და მთებში გახიზნული ქართველები შეაგროვა, ჩაუნერგა მათ მტერზე გამარჯვების რწმენა და კარგად გაწვრთნილ-შეიარაღებული ლაშქარი შექმნა. დავითი თავგანწირული და უშიშარი მეომარი იყო. მან მცირერიცხოვანი ქართველებით ბევრჯერ მწარედ დაამარცხა მტერი. ერთხელ ლოჭინის ხევში დავით მეფე 100 თურქის პირისპირ აღმოჩნდა. მას მხოლოდ 15 ქართველი ახლდა. ქართველებს წარბიც არ შეუხრიათ, ისე გაანადგურეს

მტერი. მეფეს შეატყობინეს, რომ თრიალეთში 100 ათასი თურქი შემოიჭრა და ხალხის რბევა დაიწყო. მეფე აღარ დაელოდა ლაშქრის შეგროვებას და მტრისკენ გაეშურა 1500 კაცით, რომლებიც მაშინ მას ახლდნენ. დავითი ელვის სისწრაფით დაესხა მტერს და კუდით ქვა ასროლინა. 1099 წელს დავითმა თურქებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა. ამის შემდეგ ოცი წლის განუწყვეტელი ბრძოლებით მან თურქ-სელჩუკები საქართველოდან გარეკა. თურქთაგან აოხრებულ მიწებზე დავითმა კვლავ დააბრუნა გახიზნული მოსახლეობა. საქართველო ისევ მოშენდა და აყვავდა.

მტერს მაინც ჩვენი მიწა-წყლისკენ ეჭირა თვალი. ზამთრის დასაწყისში დავით მეფე სატახტო ქალაქ ქუთაისში დაბრუნდა. ლიხის მთებზე დიდი თოვლი მოვიდა. თურქ-სელჩუკებმა იფიქრეს, გაზაფხულამდე მეფე თოვლიან უღელტეხილზე ვეღარ გადმოვაო და კვლავ საქართველოს მოაშურეს. ისინი ალაზნისა და ივრის ჭალებში დაბანაკდნენ დედაბუდიანად გამოსაზამთრებლად. დავითმა ღრმა თოვლში ნიჩბებით გზა გააჭრევინა ხალხს, სასწრაფოდ გადმოვლო უღელტეხილი და ქართული ლაშქრით მტერს მუსრი გაავლო. მუხედავად ამისა, ყოველ ზამთარს მტერი როგორც კი დავითს ქუთაისში წასულად დაიგულებდა, კვლავ შემოდიოდა ჩვენს მიწა-წყალზე. დავითი არ უშინდებოდა უგზოობას, გადმოვიდოდა თოვლიან მთებზე და დაუპატიჟებელ მტერს ანადგურებდა. დავითმა სელჩუკები სომხეთიდან და სხვა მეზობელი ქვეყნებიდანაც გარეკა.

მტერმა მაინც არ მოისვენა. 1121 წელს ერაყისა და არაბეთის სამეფოების, სპარსეთის, თურქეთის, სომხეთის ყველა სასულთნოსა და საამიროს გაერთიანებული მუსულმანური ლაშქარი დაიძრა საქართველოს საბოლოოდ გასანადგურებლად. სომეხი და ფრანგი ისტორიკოსების ცნობით, მტერს 600 ათასზე მეტი მეომარი ჰყავდა. მანგლისის, დიდგორის, თრიალეთის მიდამოები მტრის ლაშქრით აივსო. დავით მეფე მათ 56 ათასი მეომრით დახვდა. ბრძოლა მოხდა 15 აგვისტოს მანგლისთან ახლოს, დიდგორის მთებში. დავითის დიდმა მხედართმთავრულმა ნიჭმა და ქართველების თავგანწირვამ სძლია მტერს. მათი გვამებით აივსო მდინარეები, ხეობები და მთის კალთები. ამ ომში 400 ათასი თურქი გაწყდა. თავზარდაცემულმა სელჩუკთა სულტანმა პა-

ტიება ითხოვა და ხარკის მიცემა იკისრა. მალე დავით აღმაშენებელმა აიღო თბილისიც, რომელიც 400 წელს არაბებსა და სპარსელებს ჰქონდათ დაპყრობილი. დავითმა სატახტო ქალაქი ქუთაისიდან კვლავ თბილისში გადმოიტანა. ამიერიდან საქართველო ისევ დიდი და ძლიერი სახელმწიფო გახდა.

მტრისგან აკლებულ ქვეყანაში კვლავ მოშენდა ქალაქები და სოფლები, გაიყვანეს გზები და სარწყავი არხები, მოიჭრა ახალი ქართული ფული, განვითარდა ვაჭრობა და ხელოსნობა.

დავითმა ააშენა საავადმყოფოები, სკოლები, გელათის ტაძარი და დააარსა უმაღლესი სასწავლებელი – გელათის აკადემია. გარდა ამისა, იგი ყოველწლიურად აგროვებდა ნიჭიერ, ღარიბ ბავშვებს და სახელმწიფოს ხარჯზე სასწავლებლად აგზავნიდა საბერძნეთში. თვითონ ძალიან უყვარდა წიგნების კითხვა და დიდად განათლებული კაცი იყო. ლაშქრობის დროსაც კი თან დაჰქონდა წიგნები და გზადაგზა კითხულობდა.

დავითი დიდი პატივისცემით ეკიდებოდა სხვა ერებისა და სარწმუნოების წარმომადგენლებს, უყვარდა უბრალო ხალხი. ხშირად შედიოდა საავადმყოფოებში, ანუგეშებდა სნეულებს, თავისი ხელით უსინჯავდა საწოლებსა და თეთრეულს, კერძებს. მას ჩვეულებად ჰქონდა ყოველდღე დახმარებოდა ღარიბებსა და ქვრივ-ობლებს. თუ რომელიმე დღეს გაჭირვებულს ვერ დაეხმარებოდა, იმ დღეს დაკარგულად თვლიდა და ამბობდა: ეტყობა დღეს ცოდვებმა შემიშალეს ხელი, რომ კეთილი საქმე ჩამედინაო.

დავით მეფე ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ორმოცდათორმეტი წლისა გარდაიცვალა მოულოდნელად. ეს მოხდა 1125 წლის 24 იანვარს, (8 თებერვალს) შაბათს. იგი დაკრძალეს გელათის ჭიშკარში ისე, რომ ტაძარში მისულ ყველა ადამიანს მის სამარეზე დაედგა ფეხი. – ასეთი იყო მისი ანდერძი. სამარეს უბრალო ქვა დაადეს. დავით მეფე თვით სიკვდილითაც კი ყველაზე თავმდაბალი და ადამიანური აღმოჩნდა. დედამიწის არც ერთი ქვეყნისა და დროის მეფე ასე თავმდაბლად არ მოქცეულა. ქართველი ერისა და სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის ხალხმა მას დავით აღმაშენებელი უწოდა და წმინდანად გამოაცხადა. ქართულ სამეფო დროშას კი გორგასლიან-დავითიანი დროშა ეწოდა. დავით აღმაშენებელმა ხანმოკლე სიცოცხლის

მანძილზე სამოცზე მეტი ომი გადაიხადა და არსად დამარცხებულა. დაქცეული ქვეყანა ჩაიბარა და უძლიერესი და უდიდესი სახელმწიფო დაუტოვა შთამომავლობას. იყო მაშინდელი ცივილიზებული მსოფლიოს გამოჩენილი მოღვაწე – უდიდესი პოლიტიკოსი, შორსმჭვრეტელი დიპლომატი, უმამაცესი და უნიჭიერესი მხედართმთავარი, უგანათლებულესი და კაცთმოყვარეობით სწორუპოვარი ჰუმანისტი, ერთიანი დიდი კავკასიური სახელმწიფოს შემოქმედი.

დიდგორის მთაზე დღემდე ყოველწლიურად 21 აგვისტოს სახალხო დღესასწაული დიდგორობა იმართება. ხალხი კოცონებთან ღამისთევითა და ლხინით აღნიშნავს დავით აღმაშენებლისა და დიდგორის ომის გმირთა ხსოვნას, ყველაზე დიდ ქართულ ეროვნულ დღესასწაულს. დიდგორობა ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. 8 თებერვალი წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა.

ოქროს ხანა

ავით აღმაშენებლის სახელოვანი საქმეები ღირსეულად განაგრძეს მისმა შვილმა დემეტრე პირველმა და შვილიშვილმა გიორგი მესამემ. მათი მეფობის დროს საქართველო კიდევ უფრო მოშენდა, გაძლიერდა და აყვავდა; მაგრამ განსაკუთრებულ აყვავებას საქართველომ გიორგი მესამის შვილის – თამარ მეფის ხელში მიაღწია.

თურქთა ქვეყნებმა ბევრჯერ სცადეს გაერთიანებული ძალებით საქართველოს დამარცხება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. თამარ მეფე განსაცდელის ჟამს ხან თვითონ შეჯდებოდა ცხენზე და გაუძღვებოდა ჯარს საომრად, ხან ფეხშიშველი მიაცილებდა, ხან ჯვრით ხელში ლოცავდა და მოუწოდებდა საგმირო საქმეებისაკენ. მისი საქციელით აღფრთოვანებული ქართველები ომიდან პირშეურცხვენელნი ბრუნდებოდნენ.

1195 წელს სელჩუკთა სახელმწიფოების გაერთიანებული ლაშქარი აბუბაქარის სარდლობით გამოემართა საქართველოზე სალაშქროდ. ქართულ ჯარს თამარ მეფის მეუღლე დავით

სოსლანი მეთაურობდა. 16 ივნისს შამქორის ველზე დიდი ომი გაჩაღდა. ქართველებმა მტერი დაამარცხეს.

აბუბაქარმა ახალი ლაშქარი შეკრიბა და მეორედ წამოვიდა. თამარ მეფე მაშინვე ცხენზე ამხედრდა და ქართული ჯარი საომრად დასძრა. როცა გაიგეს, ბრძოლას თვითონ თამარ მეფე ხელმძღვანელობსო, აბუბაქარსა და მის ლაშქარს თავზარი დაეცათ. მათ ქართველების იერიშისთანავე იარაღი დაყარეს და ტყვედ ჩაბარდნენ.

საქართველოს დასაპყრობად ყველაზე დიდი ლაშქარი მაინც რუმის სულთანმა რუქნ-ად-დინმა შეკრიბა. მუსულმანური ქვეყნების გაერთიანებულ ლაშქარში ოთხასი ათასი ჯარისკაცი იყო.

რუქნ-ად-დინი ბასიანში დაბანაკდა და თამარ მეფეს მუქარით აღსავსე წერილი გამოუგზავნა: მოვდივარ, რომ საქართველო მოვსპო. თუ თამარ მეფე მაჰმადის რჯულს მიიღებს, თანახმა ვარ ცოლად შევირთო, თუ არადა მოახლედ გავიხდიო.

თამარ მეფემ დარბაზი შეკრიბა. დიდებულებმა რუქნ-ად-დინის უკადრისი წერილი მოისმინეს. გაცეცხლებულმა სარდალმა ზაქარია მხარგრძელმა ვეღარ მოითმინა და ელჩს სილა გააწნა. გულწასული ელჩი ძლივს მოაბრუნეს. თამარმა მხარგრძელს უსაყვედურა: ელჩს ასე არ უნდა მოვექცეთო. ზაქარიამ მიუგო: – დიდო მეფეო! ეგ რომ მოციქული არ იყოს, ამისთანა კადნიერებისათვის სიკვდილის ღირსიაო.

სასწრაფოდ შეიკრიბა ქართული მხედრობა ჯავახეთში. თამარ მეფე ფეხშიშველი ავიდა ვარძიაში და მხურვალედ ილოცა ქართველთა გამარჯვებისათვის. მერე ასევე ფეხშიშველი გაუძღვა წინ ლაშქარს.

მტრის ბანაკს ერთი დღის სავალზე მიუახლოვდნენ. თამარ მეფე ერთ ბორცვზე ავიდა და მუხლებზე დამხობილმა დიდხანს ილოცა. წმინდა ჯვარი აიღო და ლაშქარი დალოცა. მეფე დავით სოსლანი მოწიწებით ეახლა თამარს, დაიჩოქა და ჯერ ჯვარს ემთხვია, მერე დედოფლის კალთას. ასევე მოიქცნენ რიგრიგობით მეწინავე ლაშქრის სარდლები შალვა და ივანე ახალციხელები, ზაქარია მხარგრძელი, თორელები, ჭიაბერი და სხვა სარდლები. ამ რაინდული ფიცის შემდეგ ჯარი საომრად დაიძრა.

თამარ მეფე ოძრხეში დაბრუნდა და მთელი ღამე ლოცვაში

გაათენა. ბასიანში ფიცხელი ომი გაიმართა. ცხენზე ამხედრებული რუქნ-ად-დინი ერთ მაღლობზე იდგა დიდი საჩრდილობლის ქვეშ და თავის ჯარს იქიდან ხელმძღვანელობდა.

სასტიკი ბრძოლა შუადღემდე გაგრძელდა. ბოლოს შალვა ახალციხელის ცხენი რუქნ-ად-დინის ბორცვზე აიჭრა. შალვა სულთნის ამალას დაერია, სეფედროშა წაართვა და საჩრდილობელი სულთანს თავზე დაამხო. შეშინებული რუქნ-ად-დინი გაიქცა. ეს რომ მუსულმანთა უზარმაზარმა ლაშქარმა დაინახა, დაფრთხა და ზვავივით მიჰყვა გაქცეულ მთავარსარდალს. ისინი ერთმანეთს თელავდნენ. ქართველებმა დაღამებამდე სდიეს და ხოცეს მტერი. ბასიანის ველზე რიყესავით ეყარა მტრის გვამები.

თბილისში ამ გამარჯვების გამო დიდი აღლუმი გაიმართა. უზარმაზარ მანძილზე – თბილისის კარიბჭიდან გლდანის ხევამდე, გზის აქეთ-იქით ველები სავსე იყო ნადავლით დატვირთული ცხენებითა და ჯორ-აქლემებით, სამხედრო ტყვეებით, ნაომარი ლაშქრით. გზაზე ქართველმა მხედრებმა ჩამოატარეს და თამარ მეფის ფეხთა წინაშე დაყარეს რუქნ-ად-დინისა და სხვა სულთნების დროშები. დამარცხებულმა სულთნებმა და სხვა ტყვეებმა მიწამდე ქედმოდრეკით თაყვანი სცეს სწორუპოვარ მეფეს. თამარ მეფემ სულთნები და ამირები სულგრძელად გაათავისუფლა ტყვეობიდან.

ძველად ყველა ქვეყანაში დამნაშავეებს სასტიკად სჯიდნენ: მეფის ბრძანებით ზოგს თავს, ხელს, ცხვირს ან ყურს სჭრიდნენ, თვალებს დასთხრიდნენ, გაჯოხავდნენ. თამარ მეფემ აკრძალა საქართველოში ადამიანის ამგვარი დასჯა. მის დროს აღარ იყო ქურდობა, მეკობრეობა და სხვა ბოროტებანი. თუ ვინმე დაკარგულ ნივთს იპოვიდა, სასახლესთან უნდა მიეტანა და სამეფო დროშების ქვეშ დაედო. პატრონი დაკარგულ საქონელს აქ მოაკითხავდა ხოლმე.

თამარ მეფის ბრძანებით წლის ბოლოს მთელი სახელმწიფოს შემოსავალს დაითვლიდნენ და ერთ მეათედ ნაწილს ღარიბებსა და ქვრივ-ობლებს ურიგებდნენ. მან ეკლესიებთან სამადლოები შექმნა, რომლებსაც ავადმყოფებზე, დავრდომილებსა და უმწეო ქვრივ-ობლებზე ზრუნვა ევალებოდათ. ხშირად თამარ მეფე უძლურებსა და საპყრებს თავის სასახლეში დააბინავებდა, თავის

ხელით აჭმვდა და ასმევდა, ლოგინსაც თვითონვე გაუშლიდა, ტანსაცმელსაც თავისი ხელით შეუკერავდა და ჩააცმევდა.

თამარ მეფეს ძალიან უყვარდა ქსოვა, კერვა, ქარგვა. თუმცა იმ დროს საქართველო მდიდარი ქვეყანა იყო, თამარი მაინც იტყოდა: რაც დღეს ჩემზე საჭმელი დაიხარჯება, იმდენი ხელსაქმე მაინც უნდა გავაკეთო, თორემ მუქთამჭამელა დამერქმევაო. მერე თამარის ხელით ნაქარგებს გაჰყიდდნენ და აღებულ ფულს ქვრივ-ობლებს ურიგებდნენ.

ქმარ-შვილსაც მისი ხელით შეკერილი და მოქარგული ტანსაცმელი ეცვა. მისი სიბრძნის, სილამაზის, სამართლიანობისა და თავმდაბლობის ამბავი საბერძნეთს, ინდოეთს, ეგვიპტესა და სხვა მრავალ შორეულ ქვეყანას მოედო. მისი თანამედროვე ისტორიკოსის ცნობით იმ ქვეყნებში თამარზე უამრავი სიმღერა შეიქმნა, რომლებსაც მღეროდნენ ყველგან, თვით ზღვებში მოცურავე ხომალდებზეც კი.

თამარ მეფის დროს საქართველოში მრავალი უმშვენიერესი ტაძარი, სასახლე, ქარვასლა, სოფელი, არხი თუ ხიდი აშენდა. ბევრ მათგანს დღესაც თამარის სახელი ჰქვია. იმ დროს მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული მწერლები, ფილოსოფოსები, მხატვრები, ხუროთმოძღვრები, ტიხრული მინანქრისა, ქვაზე თუ ლითონზე კვეთის დიდოსტატები. ბექა და ბეშქენ ოპიზარებისა თუ სხვა დიდოსტატების ნახელავით დღესაც გაოცებულია მთელი მსოფლიო. მაშინ შეიქმნა ხუროთმოძღვრების საოცრება – კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქი ვარძია. მეფეთა მეფე თამარს მიუძღვნა უკვდავი წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ გენიალურმა პოეტმა შოთა რუსთაველმა.

ალბათ არც ერთ ადამიანს არ მოუპოვებია ხალხის ისეთი დიდი სიყვარული, როგორც თამარ მეფეს. ხალხმა უამრავი სიმღერა თუ ლეგენდა შექმნა ამ გასაოცარ ადამიანზე. თამარ მეფე ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე წმინდანად აღიარა, ხოლო მისი მოღვაწეობის წლებს ოქროს ხანა უწოდა. საქართველოს გორგასლიან-დავითიანურ სახელმწიფო დროშას მაშინ ეწოდა დროშა გორგასლიან-დავითიან-თამარიანი. ეს იმიტომ, რომ ხალხმა თამარ მეფე თავის ყველაზე სახელგანთქმულ მეფეებს ვახტანგ გორგასალსა და დავით აღმაშენებელს გაუტოლა.

14 მაისი წმინდა კეთილმორწმუნე თამარ მეფის ხსენების დღეა!

თამარ მეფე

შოთა რუსთაველი

მეთორმეტე საუკუნეში უმაღლეს დონეს მიაღწია მრავალსაუკუნოვანი ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგმა – მუსიკამ, ფერწერამ, ოქრომჭედლობამ, მწერლობამ. მაგრამ როდესაც მეთორმეტე საუკუნეზე ჩამოვარდება ლაპარაკი, პირველ რიგში შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ გვახსენდება.

„ვეფხისტყაოსანში“ ყველაზე სრულად ჰპოვა გამოძახილი მეთორმეტე საუკუნის საქართველოს კულტურამ, ქართველი ხალხის ბუნებამ, ხასიათმა, მისწრაფებებმა, ჰუმანიზმმა და კაცთმოყვარეობამ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ეს პოემა ხალხმა საოცრად შეიყვარა და თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. მას მზითვად ატანდნენ, როგორც ყველაზე დიდ განძს. ამ წიგნზე იზრდებოდნენ ბავშვები.

„ვეფხისტყაოსანში“ ლაპარაკია, რომ სიყვარული, მეგობრობა, ხალხთა შორის ძმობა და სამართლიანობა, ქალისა და კაცის თანასწორობა, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვება, ჭირში გამძლეობა და ურთიერთგატანა ადამიანთა მოდგმის უწმინდესი მოვალეობაა. ერთი სიტყვით, ამ წიგნში თავმოყრილია ყველა ის მაღალი ზნეობრივი იდეალები, რასაც კაცობრიობა მუდამ ესწრაფოდა. რუსთაველმა რამდენიმე საუკუნით ადრე იქადაგა ის დიდი იდეები, რასაც შემდეგ ევროპაში აღორძინება ანუ რენესანსი ეწოდა. რუსთაველი რენესანსის ეპოქის ფუძემდებელია.

„ვეფხისტყაოსანი“ სიტყვაკაზმულობის, სილამაზისა და სიბრძნის უძირო ზღვა არის. ძნელია მოიძებნოს მეორე ისეთი წიგნი, სადაც მხატვრული სიტყვა ასეთ მაღალ დონეზე იყოს

აყვანილი. რვაასი წელი გავიდა, მაგრამ დედამიწაზე ამ წიგნის მსგავსი იშვიათად თუ შექმნილა. იგი დღეს მსოფლიოს ყველა კულტურული ერის ენაზეა თარგმნილი. შოთა რუსთაველი მსოფლიოს უდიდეს პოეტთა სიაშია და მისი წიგნი მსოფლიო საგანძურშია შესული.

„ვეფხისტყაოსნის“ დასურათება – ომი ტარიელისა (მხატვარი ს. ქობულაძე)

სამწუხაროდ, ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით შოთა რუსთაველის ცხოვრებაზე. ძველი ქართული ისტორიები დაწვრილებით მოგვითხრობენ მეფეთა და ფეოდალთა ყოფასა და საქმიანობაზე, იმ უცხოელ ბარბაროსებზე, რომლებმაც საქართველოს უდიდესი ნგრევითა და სისხლისღვრით დაამახსოვრეს თავი. ხოლო პოეზიის მეფეზე – შოთა რუსთაველზე მათში არაფერია მოთხრობილი. „ვეფხისტყაოსნის“ ერთმა ძველმა ხელნაწერმა შემოგვინახა მისი ბუნდოვანი სურათი. იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში, კედელზე აღმოჩნდა მისი ფერადი ხატი. სურათი კირით იყო დაფარული. მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ქართველმა მეცნიერებმა ის ადგილი ფრთხილად გაწმინდეს საგანგებო ხსნარებით, სურათი გადაიღეს და ჩამოგვიტანეს. სურათზე ახოვანი, ლამაზი, თეთრწვერა მოხუცია გამოხატული. ეს იმაზე მეტყველებს, რომ შოთა რუსთაველს ღრმა სიბერემდე უცოცხლია. ხალხური გადმოცემა ამბობს, რომ შოთა მესხეთიდან იყო, თამარის სამეფო კარზე ვეზირად მსახურობდა, ჯვრის მონასტერში გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები და იქვეა დაკრძალული.

დღეს ამ მოსაზრებას ემხრობა მეცნიერთა უმეტესობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი კი (პროფესორები პროკოფი რატი-

ანი, აკაკი მათიაშვილი, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე მიხეილ ჯანგიძე) ამტკიცებს, რომ წარმოშობით მესხი დიდებული შოთა რუსთავ-მარტყოფის საეპისკოპოსოს მღვდელთმთავარი იყო. რუსთავ-მარტყოფის მღვდელთმთავრებს რუსთველებს უწოდებდნენ. სწორედ ამ თანამდებობის გამო ეწოდა შოთას რუსთველი, მისი ნამდვილი გვარი კი უცნობი დარჩა. ამავე თანამდებობის გამოა იგი ჯვრის მონასტრის სურათზეც წითელი მოსასხამით – პორფირ-ბისონით შემოსილი. ასეთი მოსასხამი მხოლოდ მეფეებსა და მღვდელთმთავრებს ეცვათ. მოსასხამის ალისფერი ნიშნავდა იმას, რომ ისინი მუდამ მზად უნდა ყოფილიყვნენ ერისა და სამშობლოსათვის სიცოცხლის გასაწირად, სისხლის დასაღვრელადო.

9 არყის ხის ამბავი

მეტი რა გზაა, რახან არ მეხსნებით, გიამბობთ ამ ცხრა არყის ხის ამბავსა. სმენა იყოს და გაგონება! – თქვა მოხუცმა ფშაველმა. სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა.

ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინ მომხდარა. მეფე ლაშა-გიორგი დროდადრო რამდენიმე ახალგაზრდა მხლებლით ჩამოივლიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს და გაიკითხავდა უბრალო ხალხსა – ვის რა უჭირდა, მებატონეები უღვთოდ ხომ არ ექცეოდნენ. გადაცმული მივიდოდა ხატობებზე, დღეობებზე, ღამისთევებზე, ჩაჯდებოდა გლეხკაცებში, აჰყვებოდა მათ ლხინსა და გართობა-სიმღერაში. მეფეს დედამისივით ძალიან უყვარდა ღატაკი ხალხი.

კახეთში ახლა რომ ჭერემის ნასოფლარია, იქ მაშინ დიდი და ღონიერი სოფელი ყოფილა. ერთხელ 20 წლის ლაშა-გიორგი ჭერემის ეკლესიის დღეობაზე მისულა და უბრალო ხალხში გარეულა. დღეობაზე ერთი საოცარი სილამაზის გოგო დაუნახია და მაშინვე თავდავიწყებით შეჰყვარებია. ქალის ოჯახში თავისი მღვდელი მიუგზავნია – თქვენი ქალი ცოლად მომეცითო.

შეწუხებულან ქალის მშობლები: ჩვენ უბრალო გლეხები ვართ. როგორ იქნება, რომ ჩვენმა დიდებულმა მეფემ გლეხის ქალი მიიყვანოს ცოლადო. მეფე მაინც არ მოეშვა და ის ქალი ცოლად შეირთო.

საქართველოში დაკანონებული იყო: მეფეს ქვეშევრდომის შერთვა აკრძალული ჰქონდა. ეს იმიტომ, რომ ამპარტავან დიდებულებს ერთმანეთში ცილობა და მტრობა არ მოსვლოდათ. საქართველოს დედოფლად სხვა ქვეყნების მეფეთა ასულები უნდა ეთხოვათ.

მეფეს დიდებულები აუმხედრდნენ: თამარ მეფის ძეს გლეხის ქალი ესვას ცოლად და მისი ხელქვეითნი ვიყოთ – ეს არ მოხდებაო. გლეხის ქალს დედოფლად არ მივიღებთო. ვეზირები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ცოლი ვერ გააშვებინეს. არც სასახლეში მიაყვანინეს. ლაშა იძულებული გახდა იგი თიანეთში დაებინავებინა.

ერთხელ დედოფალი მეფის დავალებით აჯანყებული ფშავხევსურეთის დასაწყნარებლად წასულა. გზაში გაცივებულა და ამ ადგილზე გარდაცვლილა.

დამწუხრებულ მეფეს იგი თიანეთში დაუკრძალავს, დაობლებული შვილი კი სასახლეში წაუყვანია. ფშავში სალოცავი აუგია და ოქროს ჯვარი შეუწირია. მას მერე ლაშარის ჯვარი ყველაზე დიდ სალოცავად ითვლება ფშავში.

დიდებულები თურმე ბევრს ეცადნენ, მაგრამ მეფეს სხვა ცოლი ვეღარ მოაყვანინეს – სიკვდილამდე პირველი სიყვარულის ერთგული დარჩა.

ამბობენ, იმ ადგილზე, სადაც დედოფალი დაიღუპა, მეფემ თავისი ხელით დარგა ცხრა არყის ხე. მაშინ ცხრა წელი გასულიყო ჭერემის დღეობიდან, სადაც პირველად ნახა დედოფალი. მეათე წელს კი თვითონაც გარდაიცვალა – 30 წლის ჭაბუკი .

მას მერე ყოველ წელს ფშავლები მოდიან აქა, 9 არყის ხესთან, საკლავს კლავენ და აღაპს იხდიან: გლეხის ქალის უთანასწორო სიყვარულის შესანდობარს ამბობენ; ღვინითა და ლუდით ავედრებენ ღმერთს უიღბლო დედოფლის სულსა.

შალვა ახალციხელი

ორეული მონღოლეთის უდაბნოდან კაცობრიობის საძარცვავად უზარმაზარი ურდო დაიძრა. მონღოლებს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ხვარაზმის სულთანმა ჯალალედინმა გაუწია. დიდხანს იბრძოდნენ. ბოლოს მონღოლებმა მდინარე ინდის ნაპირებთან მიიმწყვდიეს. ჯარი ერთიანად გაუწყვიტეს. მარტოდ დარჩენილ ჯალალედინს ყველა გზა მოუჭრეს და ცოცხლად უნდა შეეპყროთ. ჯალალედინმა თეთრი რაში მაღლობიდან აქაფებულ მდინარეში ასკუპა და თავს უშველა.

მალე მან ისევ უზარმაზარი ლაშქარი შეკრიბა. მონღოლებს გაურბოდა, მაგრამ მათ წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ნაცვლად გზადაგზა ყველა სახელმწიფოს თვითონაც იპყრობდა, ძარცვავდა, ხალხს ჟლეტდა. მერე ყველა მუსულმანს საქართველოს წინააღმდეგ საღვთო ომისაკენ მოუწოდა. 1225 წლის აგვისტოში 200 ათასი კაცით საქართველოს მოადგა. ქართველები 90 ათასი მხედრით დახვდნენ სოფელ გარნისთან.

ჯალალედინი შეტევაზე წამოვიდა. ქართველების მთავარსარდალმა ივანე მხარგრძელმა მეწინავე ლაშქარი გაგზავნა შესაგებებლად. ესენი იყვნენ თორელები და ჯავახელები – სულ ოთხი ათასი კაცი. მათ ძმები შალვა და ივანე ახალციხელები მეთაურობდნენ. ისინი თავგანწირვით ეკვეთნენ, მაგრამ უთვალავ მტერთან რას გახდებოდნენ.

შალვამ რამდენჯერმე აფრინა კაცი ივანე მხარგრძელთან – დროზე მოგვეშველეთო. მხარგრძელი ადგილიდან არ დაძრულა. იგი ქართველთა მთავარი ლაშქრით მაღლობზე იდგა და შორიდან უყურებდა, თუ როგორი თავგანწირვით იბრძოდნენ და იხოცებოდნენ თორელ-ჯავახელნი უთვალავ მტერთან ბრძოლაში. მერე განსაცდელში მყოფი თანამოძმეები მიატოვა, მთელი ჯარით აიყარა და სამარცხვინოდ გამოიქცა ბრძოლის ველიდან.

რატომ ჩაიდინა ივანე მხარგრძელმა ქართველთათვის ეგზომ უცხო და თითქმის გაუგონარი ამბავი? ქართველი კაცი მუდამ ათჯერ და ოცჯერ მეტ მტერს ებრძოდა. განა როდის ყოფილა, რომ მტრის სიმრავლისა შეშინებოდა?

ივანე მხარგრძელი ტომით ქართველი არ იყო. შურმა და სიძულვილმა ჩაადენინა ეს სამარცხვინო ამბავი. მან მრავალ ბრძოლაში იწვნია თავისი უნიჭობით მარცხი და შერცხვენა. დვინთან ბრძოლაში კი თურქებმა ტყვედ ჩაიგდეს. ქართველთა მთავარსარდლის ტყეობიდან დახსნა რუსუდან მეფეს დიდძალი ოქროს ფასად დაუჯდა. ხოლო თვით ივანემ სამაგიეროდ თურქებს თავისი ქალიშვილი მისცა.

ივანე და შალვა ახალციხელების სახელი და დიდება კი დღითიდღე მატულობდა. განსაკუთრებით შალვამ გაითქვა სახელი.

ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს შამქორის ომში შალვა ახალციხელი თურქების შუაგულში შეიჭრა და ხალიფას მთავარი დროშა ჩაიგდო ხელში. დროშის დაკარგვამ მტერი სულიერად დააძაბუნა და ჩვენი გამარჯვება დააჩქარა. მერე თბილისში გამარჯვების აღლუმზე ეს დროშა თამარ მეფეს ფეხქვეშ გაუფინა.

შალვამ ბასიანის ომშიც ისახელა თავი. მაშინ 400 ათასი მუსულმანი მოსულიყო საქართველოს დასამხობად. მძიმე ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ბედის სასწორი ხან ერთ მხარეს იხრებოდა, ხან მეორეზე. შალვა ახალციხელი ხმალდახმალ მიეჭრა თურქთა მთავარსარდალს რუქნ-ად-დინს, საჩრდილობელი თავზე დაამხო და სასულტნო დროშა წაართვა. რუქნ-ად-დინმა გაქცევით უშველა თავს და მთელი ლაშქარი უკან მიჰყვა. მრავალი ამისთანა საქმეების შემდეგ შალვა ახალციხელი უპირველესი გმირი გახდა საქართველოში. ამის გამო დასძალა შურმა ივანე მხარგრძელი და ახალციხელები სასიკვდილოდ გასწირა.

4 ათასი თორელი და ჯავახელი გმირულად შეაკვდა ჯალალედინის ლაშქრის ნიაღვარს. დაიღუპა ივანე ახალციხელიც. საჭურველდამსხვრეული შალვა კი ტყვედ ჩაიგდეს. ადარბადაგანელმა და ნახჭევნელმა თათრებმა იცნეს მთელს აზიაში სახელგანთქმული ქართველი სარდალი და ჯალალედინს მოახსენეს. ამ უკანასკნელმა ადარბადაგანის რამდენიმე ქალაქი უბოძა შალვას და ბანაკში დატოვა – იქნებ ჯარების სარდლობაზე დამთანხმდესო.

ჯალალედინი უკან გაბრუნდა, საგულდაგულოდ მოემზადა და ოთხი თვის მერე ისევ საქართველოსკენ გამოსწია. მოძმის ღალატით მტრის ხელში ჩავარდნილი შალვა ახალციხელი განუწყვეტლივ სამშობლოს გადარჩენაზე ფიქრობდა. მტრის ბა-

ნაკიდან საიდუმლო წერილებს აგზავნიდა საქართველოში და ჯალალედინის გეგმებს ატყობინებდა. მისი წერილი ჯაშუშებმა ჩაიგდეს ხელში და ჯალალედინს მიუტანეს. განრისხებულმა სულთანმა შალვას ქრისტიანობის დათმობა და გათათრება მოსთხოვა. სანაცვლოდ დიდ პატივს ჰპირდებოდა.

შალვამ არ ინება სამშობლოს ღალატი. მუდამ რაინდი იყო და რაინდული სიკვდილი ამჯობინა სამშობლოსათვის. ჯალალედინმა სიკვდილით დასაჯა იმ დროის ერთი გამოჩენილი სარდალთაგანი და დიდი ქართველი მამულიშვილი. მერე გააფთრებული შემოიჭრა საქართველოში. თბილისელი მაჰმადიანების ღალატის წყალობით ქალაქი ხელში ჩაიგდო და გაძარცვა. მან ასიათას თბილისელს მოჰკვეთა თავი მარტო იმიტომ, რომ არ დაგმეს ქრისტიანობა და არ მიიღეს მუსულმანობა. ეკლესიამ ისინი და შალვა ახალციხელი წმინდანებად შერაცხა.

სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის იმ ასიათასი წამებულის დღედ 13 ნოემბერია დაწესებული, ხოლო წმინდა მოწამე შალვა ახალციხელის ხსენების დღედ – 30 ივნისი. მაშინდელმა ისტორიკოსმა კი შალვა ახალციხელზე თქვა: „არა ყოფილა კაცთა შორის მისებრ ჭაბუკი და მეომარი.“ თუ თქვენ როდისმე მოისმენთ დიდებულ ქართულ სიმღერას „შავლეგოს“, იცოდეთ, რომ ხალხმა ეს სიმღერა წმინდა შალვა ახალციხელზე შექმნა.

ცოტნე დადიანი

ამარ მეფის ოქროს ხანის შემდეგ საქართველოს მძიმე დღეები დაუდგა. აღმოსავლეთ საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს. მონღოლები მაშინ მომთაბარე მეჯოგე ტომები იყვნენ. არ ჰქონდათ მწიგნობრობა და მეცნიერება, არ იცოდნენ მიწათმოქმედება, მშენებლობა, სძულდათ დიდი ქალაქები და მათ საძოვრები ერჩივნათ. ხშირად ასეთ ქალაქებს დაანგრევდნენ, გადახნავდნენ და ზედ ქერს დათესავდნენ ცხენების საძოვრად. თექის კარვებში ცხოვრობდნენ. ცხენის რძითა და ყოველგვარი მძორით იკვებებოდნენ. ამის გამო ზოგს თაგვიჭამიების ტომი ერქვა, ზოგს – ციყვიჭამიებისა, ზოგს – ტი-

ლიჭამიებისა. ჭამის შემდეგ გაქონილ ხელებს ტანსაცმელზევე იწმენდავდნენ. მონღოლთა სარწმუნოებით ტანსაცმლის გარეცხვა და ტანის დაბანა აკრძალული იყო. მონღოლს, რომელიც ტანსაცმლის გარეცხვას გაბედავდა, თანამებრძოლნი იქვე კლავდნენ. დილით მონღოლი მოპარსულ კოკროჭინაზე პეშვით წყალს დაისხამდა და ეს იყო მისი პირის დაბანა. არ შეიძლებოდა ჭურჭლის გარეცხვაც. მონღოლი ქალი საჭმელს რომ ხარშავდა, მდუღარე ქვაბიდან გასარეცხი ჯამით წვენს ამოიღებდა, მოავლებდა და ნარეცხს ისევ კერძში ჩაასხამდა. სამაგიეროდ, მონღოლები ომში უბადლოები იყვნენ: ჰყავდათ უდაბნოს გამძლე ცხენები; იცოდნენ ტრამალში მოულოდნელი თავდასხმა, მერე კი ასევე მოულოდნელი გაქცევით მოწინააღმდეგის ხაფანგში შეტყუება; შეეძლოთ ისრის უცდომლად და მძლავრად ტყორცნა; ჰქონდათ სიმამაცე და გამბედაობა, უმკაცრესი წესრიგი არმიაში. ჭკვიანი და ნიჭიერი ჩინგიზ ყაენის სარდლობით მათ თითქმის ნახევარი დედამიწა დაიპყრეს, მილიონობით ადამიანი გაჟლიტეს, დაპყრობილი ქვეყნები პირწმინდად გაძარცვეს.

მონღოლთა ბატონობამ დიდი უბედურება მოუტანა ქართველ ხალხს: მოიშალა მეურნეობა. მონღოლთა ცხენების საძოვრად იქცა აყვავებული ბაღ-ვენახები და ყანები. დაინგრა მშვენიერი ქალაქები. მონღოლებმა აღწერეს ყველა მამაკაცი 11 წლიდან 60 წლამდე, ყოველგვარი პირუტყვი, ყანა, ვენახი, ბაღი, ბოსტანი, საძოვარი და ყველაფერზე ცალ-ცალკე დიდი გადასახადი დააწესეს. ამ ათასნაირი გადასახადების გარდა საქართველოს ყოველწლიურად ყაენისათვის 50 ათასი ოქრო უნდა მიეცა. სამხედრო ბეგარის თანახმად კი წელიწადში 90 ათასი ქართველი ჭაბუკი მიჰყავდათ მონღოლთა ომებში.

გადასახადებმა სული ამოხადა ხალხს. მაშინდელ წიგნებში საშინელი ამბები წერია მონღოლთა სიხარბესა და სისასტიკეზე. ერთხელ თურმე მონღოლი ხარჯთამკრეფები იქამდე გათავხედდნენ, რომ მეფის სამზარეულოში შევიდნენ და შამფურზე შესაწვავად წამოგებულ კრავზეც კი გადასახადი შეაწერეს. ვისაც გადასახადის მისაცემად აღარაფერი ჰქონდა, მას ბავშვებს სტაცებდნენ. ზოგს კი, როგორც მაშინდელი სომეხი ისტორიკოსი წერს, „უწყალოდ უკრავდნენ უკან ხელებს და სცემდნენ ნედლი

ჯოხებით, ვიდრე მთელი სხეული არ დაეჩეჩქვებოდა. შემდეგ მიუშვებდნენ შეუბრალებლად თავიანთ ბრაზიან ძაღლებს, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ ადამიანის ხორცის ჭამას.“ იმავე სომეხი ისტორიკოსის ცნობით, ერთხელ ჰულაგუ ყაენმა სულ უბრალო დაბეზღების გამო საკუთარი ხელით ასო-ასო აკუწა და ძაღლებს შეაჭამა საქართველოს ამირსპასალარი ზაქარია, კაცი პატიოსანი და სახელოვანი. ათასი ჭირის მნახველი იყო ერისთავი შანშე, შვილის ასეთი გაუგონარი სისისტიკით სიკვდილმა კი თავზარი დასცა. შანშე დიდი გადაჰყვა შვილზე მწუხარებას.

აი, როგორი დამპყრობლის ხელში ჩავარდა საქართველო. ას წელიწადს გაგრძელდა ეს ჯოჯოხეთი. ქართველ ხალხს არასოდეს შეუწყვეტია თავისუფლებისათვის ფიქრი და ბრძოლა.

ერთხელ ქართველი ერისთავები, ვისაც ქვეყნისათვის გული შესტკიოდა, ჯავახეთში, კოხტასთავზე საიდუმლოდ შეიკრიბნენ. მათ მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება და საქართველოს განთავისუფლება გადაწყვიტეს. დათქმულ დღეს თავიანთი ჯარებით ჯავახეთში უნდა შეკრებილიყვნენ და მტერს შებრძოლებოდნენ. კოხტასთავიდან ყველაზე ადრე კახაბერ კახაბერის ძე და ცოტნე დადიანი წავიდნენ, რომ დასავლეთ საქართველოდან ჯარები დროზე გადმოეყვანათ. დანარჩენებიც ის-ის იყო დაშლას აპირებდნენ, რომ უცებ მონღოლთა ჯარი დაესხა და ყველანი დაატყვევეს. ეტყობა ქართველები ვიღაც მოღალატემ დააბეზღა.

დატყვევებული ერისთავები მონღოლთა ნოინს მიჰგვარეს სომხეთში – ქალაქ ანისში. დაკითხვაზე ყველა ქართველმა ერთხმად განაცხადა: იმიტომ შევიკრიბეთ, რომ მონღოლთათვის ხარკის აკრება დაგვეჩქარებინაო.

ნოინის ბრძანებით ტყვეები წელზევით გააშიშვლეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და მოედანზე ცხარე მზეზე დასხეს. ხელფეხშეკრულებს უამრავი ბუზი და კრაზანა დაესია. ამას ძლიერი წყურვილიც დაემატა.

ამ საშინელ წამებაში რომ იყვნენ, უცებ მოედანზე ქართველთა მცირე მხედრობა მოიჭრა. ჭაბუკი მეთაური ცხენიდან გადმოხტა, ტანსაცმელი გაიხადა, ხელები თოკით შეიკრა, მონღოლ მცველებს გვერდი აუარა და წამებულ ქართველებთან დაჯდა. ეს ჭაბუკი

ეგრისის მთავარი ცოტნე დადიანი იყო. როცა ქართველების დატყვევების ამბავი გაიგო,ნოინის ბანაკისაკენ გამოეშურა იმ განზრახვით,რომ თანამოძმეები რამენაირად დაღუპვისაგან ეხსნა.

გაოცებულმა მონღოლებმა ცოტნე დადიანის საქციელი ნოინს მოახსენეს. ნოინმა ცოტნე თავისთან იხმო და ჰკითხა: რას ნიშნავს შენი უცნაური საქციელიო.

– ჩემი ამხანაგები ისეთივე დამნაშავეები არიან, როგორც მე. თუ უდანაშაულო ხალხის წამება გადაგიწყვეტიათ, მეც მათთან ერთად ვიქნებიო. – მიუგო ცოტნემ.

ნოინს მოეწონა ცოტნე დადიანის ვაჟკაცობა და თავგანწირვა. მან დაიჯერა ქართველების უდანაშაულობა და ყველანი გაათავისუფლა.

ასე იხსნა დაღუპვისაგან იმ მძიმე ჟამს ცოტნე დადიანის თავგანწირვამ ქართველი დიდებულები. საქართველოს ეკლესიამ იგი წმინდანად აღიარა. 12 აგვისტო წმინდა ცოტნე დადიანის ხსენების დღეა!

სამაგიერო

მოკვდა საქართველოს ამირსპასალარი და ათაბაგი ივანე მხარგრძელი. მამის ადგილი ავაგმა დაიჭირა. ასე ინება მეფე რუსუდანმა. ამირსპასალარობა მთელი საქართველოს მხედართუფროსის, ათაბაგობა კი უფლისწულის აღმზრდელის თანამდებობები იყო. ამ წოდებებით ავაგი მეფის შემდეგ საქართველოში პირველი კაცი გახდა.

ერთხელ ავაგი მონღოლთა ყაენმა დაიბარა. ჯერ ოქროს ურდოში ბათო ყაენთან უნდა ჩასულიყო,იქიდან კი მონღოლეთში – მანგუ ყაენთან. ცხენებით ამ გზის გავლას ნახევარი წელი სჭირდებოდა.

ავაგს მეტი რა გზა ჰქონდა – რჩეული მხედრების ამალით უცნობ და შორეულ გზას გაუდგა. ამალის უფროსად ანუ ეჯიბად ჩინებული ვაჟკაცი დავითი დანიშნა. დავითი გარნისის ომში გმირულად დაღუპული ივანე ახალციხელის შვილი იყო.

ბათო ყაენს ემორჩილებოდნენ ოსეთი, დიდი ყივჩაყეთი, ხაზარეთი, რუსეთი. „ქართლის ცხოვრებაში“ წერია, რომ ბათო ყაენის

სამფლობელოები იმდენად ვრცელი იყო, „თვით ბნელეთამდე“* აღწევდაო. მისი სატახტო ქალაქი კი მდებარეობდა იქ, სადაც მდინარე ვოლგა კასპიის ზღვას ერთვის.

გზაზე დავითმა დაიჟინა: არავინ იცის, რისთვის გიბარებს ყაენი. ვაითუ შენი მოკვლა სურს. ათაბაგისა და ამირსპასალარის სიკვდილს ჩემისთანა უბრალო კაცის სიკვდილი სჯობია. ამიტომ ყაენთან რომ შევალთ, ისე მოვიქცეთ, ვითომ მე ვარ ამირსპასალარი და შენ კი ჩემი მსახურიო.

ავაგი ცივ უარზე იდგა, მაგრამ დიდი ხვეწნის შემდეგ დათანხმდა. ბათო ყაენმა პატივისცემით მიიღო ქართველები და მრავალ დღეს ჰყავდა თავისთან. რამდენჯერაც ეახლნენ ყაენს, იმდენჯერ დავითი წინ შედიოდა, ავაგი კი მსახურივით შორიახლოს დგებოდა.

ერთ დღეს ყაენთან ავაგი წინ შევიდა, დავითი კი უკან მიჰყვებოდა. ყაენი გაურისხდა ავაგს: არ იცი, რომ შენს პატრონზე წინ არ უნდა დადგეო? მაშინ დავითმა მიუგო: „დიდო ყაენო! ეგ არის ჩემი პატრონი, მე კი მაგის მსახურიო. ჩვენ არ ვიცოდით შენი სიკეთისა და სულგრძელობის ამბავი. მეგონა, რომ ავაგის სიცოცხლეს რაიმე ხიფათი ელოდა. ამიტომ ვთხოვე, რომ ვიდრე ყაენის განზრახვას შევიტყობდით, ამირსპასალარად მე გამესაღებინა თავი. თუ მოკვლა გქონდა განზრახული, მე მომკლავდი და საქართველოს ამირსპასალარი სიკვდილს გადარჩებოდაო.

ყაენი უფრო გაოცდა, როცა გაიგო, რომ დავითის მამა და ბიძა გარნისის ომში ავაგის მამამ დაღუპა. ახლა კი დავითი ბოროტებაზე სამაგიეროს სიკეთით უხდიდა და ავაგის გადარჩენისათვის თავსა სწირავდა.

ბათო ყაენი კარგახანს დუმდა და მრისხანედ მისჩერებოდა ქართველებს. მერე გაიღიმა და თქვა: ქართველებზე ჩვენი ნოინებისაგან ბევრი ქება გამეგონა. მართლა ღირსეული ხალხი ყოფილხართ, რომ ასე გცოდნიათ ერთმანეთის გატანა. ერთობა ყველაზე ძლიერი იარაღია – აი, თურმე რაში ყოფილა თქვენი უკვდავებაო. ყაენმა ბრძანება გამოსცა – მონღოლთა სამფლობელოში ყველაზე დიდი პატივით ქართველებს მოეპყარითო.

**ბნელეთში, ალბათ, რუსეთის უკიდურესი ჩრდილოეთი იგულისხმება, სადაც ექვსთვიანი პოლარული ღამეები იცის.*

უფლისწული და გლეხის ბიჭი

სასახლიდან შეიარაღებული რაზმი გამოვიდა. შუაში ჩაყენებული პატარა ბიჭი მოჰყავდათ. სასახლის დიდი ბაღი გაიარეს და ციხე-გალავნის ერთ მიყრუებულ უბანში გავიდნენ. იქ ღრმა ორმოში კიბე ჩააყუდეს და ბიჭს შიგ ჩასვლა უბრძანეს. მერე კიბე ამოიღეს, ორმოზე უშველებელი ლოდი მიაგორეს და წავიდნენ.

ბიჭი ამ ხაროში უნდა მომკვდარიყო მშიერ-მწყურვალი. – ასე მიუსაჯა სულთანმა. იჯდა სინესტესა და სიბნელეში და სიკვდილს ელოდა. დანაშაული კი არაფერი ჰქონდა. იგი დიდი და ძლიერი საქართველოს მეფის ერთადერთი შვილი იყო. მამამისი ლაშა-გიორგი მონღოლებთან ომში დაიჭრა და მალე გარდაიცვალა. უფლისწული დავითი ობლად დარჩა – აღარც დედა ჰყავდა, აღარც მამა. მეფის ანდერძით პატარა უფლისწული მამიდა რუსუდანს უნდა გაეზარდა და როცა დავაჟკაცდებოდა, საქართველოს მეფედ დაესვათ. მანამდე კი საქართველოს მეფის მოვალეობა დროებით რუსუდანს უნდა შეესრულებინა.

რუსუდანს სიხარბემ სძლია და ძმის ანდერძი არ შეასრულა. მან გადაწყვიტა ობოლი ძმისწული დაეღუპა და მეფობა თავისი შვილისთვის მიეცა. უფლისწული მეზობელ რუმის სასულთნოში გაგზავნა სტუმრად. მერე კი სულთანს საიდუმლოდ მისი მოკვლა დაავალა. სულთანმა დავითი ორ მენავეს გაატანა – ზღვაში გადააგდეთო.

მენავეები ზღვაში გავიდნენ. ბიჭი ნავში დაჩოქილი ლოცულობდა, მდუღარე ცრემლებით ღმერთს შესთხოვდა: უდანაშაულო ვარ და მიშველეო. როცა ნაპირი თვალს მიეფარა, ტანსაცმელი წაართვეს და უფლისწული წყალში გადააგდეს. ერთ მენავეს ბიჭი შეეცოდა და პატარა ფიცარი გადაუგდო – ცოტახანს მაინც გაიხანგრძლივოს სიცოცხლეო.

დავითი ფიცარს ჩაებღაუჭა. მალე ზღვის ტალღებმა გაიტაცეს და თვალს მიეფარა. ზღვამ დავითი დიდხანს აღმა-დაღმა ატარა, ატარა და ერთ უდაბურ ნაპირთან გარიყა.

ბედად იმ დროს გზაზე სავაჭრო ქარავანმა გაიარა. ზღვაში ბავშვი დაინახეს. ვაჭარმა მცურავი შეგზავნა და ცოცხალმკვდარი ბიჭი გამოიყვანეს. ვაჭარმა სახლში წაიყვანა და შვი-

ლივით ზრდიდა. მაგრამ ეს ამ-
ბავი სულთნის ყურამდე მივიდა.
სულთანმა ვაჭარს წაართვა უფ-
ლისწული და ამ ხაროში ჩააგდო.
ახლა ზის ბნელ ორმოში და სიკ-
ვდილს ელოდება, რომელიც, ალ-
ბათ, რამდენიმე დღეში მოვა.

შიმშილისა და ტირილისაგან
დაოსებულს წაეძინა. რამდენ ხანს
ეძინა შიშველ მიწაზე, აღარცკი
ახსოვს. მძინარეს მიწის გოროხი დაეცა და გამოაღვიძა. იქ, მაღ-
ლა, უკუნეთ სიბნელეში შუქის პაწაწინა ნაგლეჯი ჩანდა. მიწა
იქიდან ცვიოდა. ვიღაც თხრიდა ლოდის ქვეშ. მერე ბიჭის ნამ-
ტირალევი ხმა გაიგონა: – უფლისწულო, გამაგრდი, სოსანაი ვარ,
შენი ჭირიმე. მცველებს ჩუმად ავედევნე და შენი სამყოფი გავი-
გე. შუაღამეს ველოდებოდი, რომ არავის დავენახე. ლოდის ქვეშ
ხანჯლით ხვრელი გამოვთხარე. წყალი და საჭმელი მოგიტანე.

დავითმა იცნო თავისი პატარა მსახური. სოსანა ჯერ კიდევ
მამამისმა ლაშა-გიორგიმ მისცა მსახურად. გლეხის ბიჭი უფ-
ლისწულისათვის ახლა შორს დარჩენილი სამშობლო და ერთა-
დერთი იმედიღა იყო.

ხვრელში სოსანამ საბელით ორი პატარა გუდა ჩამოუშვა.
ერთში წყალი იყო, მეორეში – სანოვაგე. მერე ხვრელს ფიქალი
წააფარა, რომ დღისით სულთნის დარაჯებს არაფერი შეეტყოთ.
ასე უზიდავდა ყოველღამე სოსანა უფლისწულს საზრდოს.

რუსუდანმა ძმისშვილი რომ მოიშორა, თავისი შვილი გაგ-
ზავნა მონღოლეთში მეფედ დასამტკიცებლად. მაშინ ნახევარი
საქართველო მონღოლებს ჰქონდათ დაპყრობილი და ერთიანი
საქართველოს მეფეც მათ უნდა დაემტკიცებინათ. მონღოლთა
ყაენმა დავით რუსუდანის ძე თავისთან დაიტოვა. რუსუდანი
დიდხანს ელოდა შვილის დაბრუნებას, მერე კი დარდით დასნე-
ულდა და გარდაიცვალა.

დარჩა საქართველო უმეფოდ. ეს ძალიან საშიში იყო. საქარ-
თველო შეიძლება ცალკე სამთავროებად დაშლილიყო და მონ-
ღოლებს წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა.

სოსანამ ეს ამბავი ერთი ქართველი სოვდაგრისგან გაიგო. იმ სოვდაგარს საიდუმლოდ დააბარა: საქართველოში როცა ჩახვალ, დიდებულებს გააგებინე, რომ დავით ლაშას ძე ცოცხალია. ტყვეობიდან დაიხსნან და საქართველოს მეფედ დასვანო.

სოვდაგარმა საქართველოში ჩაიტანა ეს დაუჯერებელი ამბავი. მალე ქართველი და მონღოლი დიდებულები ეწვივნენ სულთანს და უფლისწულის გათავისუფლება მოსთხოვეს.

– ხუთი წლის წინ ბნელ ხაროში ჩაგდებული ყმაწვილი ცოცხალი როგორღა იქნებაო? – გაიკვირვა სულთანმა. მაგრამ როცა ხაროდან ლოდი გადააგორეს, უფლისწული მართლაც ცოცხალი აღმოჩნდა. სიბნელეში დიდხანს ყოფნის გამო სანთელივით გაყვითლებულიყო. თმები მუხლებამდე სწვდებოდა, ფრჩხილები საშინლად წამოზრდოდა, ტანსაცმელი ზედ დალპობოდა.

მალე ქართველმა დიდებულებმა დავით ლაშას ძეც შორეულ მონღოლეთში წაიყვანეს მეფედ დასამტკიცებლად. ყაენმა კიდევ ხუთი წელი ალოდინა და მერე ორივე დავითი მეფეებად დაამტკიცა. დავით ლაშას ძეს დავით ულუ უწოდეს, ხოლო დავით რუსუდანის ძეს – დავით ნარინი. ულუ მონღოლურად უფროსს ნიშნავს, ნარინი – უმცროსს.

მონღოლებს იმედი ჰქონდათ, რომ ერთ ტახტზე ორი მეფე ვერ მორიგდებოდა, ერთმანეთში ქიშპობა ექნებოდათ და მონღოლებიც საქართველოს უფრო ადვილად დაიმორჩილებდნენ. მაგრამ მტრის ვარაუდი არ გამართლდა. დავით ულუ და დავით ნარინი ერთმანეთს დიდი სიყვარულით ექცეოდნენ და საქართველოსაც თანხმობით განაგებდნენ.

ასე გადაარჩინა გლეხის პატარა ბიჭის სოსანას ერთგულებამ და თავდადებამ საქართველოს მეფე დავით ულუ.

ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი

მეფე დავით ულუ გულუბრყვილო და ფიცხი იყო. უცებ იცოდა სხვისი ნათქვამის დაჯერება. ამით ხშირად სარგებლობდნენ კარისკაცები და ბოროტ განზრახვებს ადვილად ისრულებდნენ.

მესტუმრე ჯიქური ჭკვიანი და მეფის ერთგული იყო. კარისკაცებს სძულდათ უბრალო ხალხის წრიდან გამოსული კაცი. ერთხელ მეფეს უთხრეს – ჯიქური გდალატობსო. მეფემ მაშინვე დაიჯერა და საქმე აღარცკი გამოიძია. დაიბარა ჯიქური ისნის სასახლეში და მსახურებს ფანჯრიდან კლდეზე გადააგდებინა.

დავით ულუ მონღოლებს აუჯანყდა, მაგრამ დამარცხდა. განრისხებულ ჰულაგუ ყაენს შეიძლება იგი სიკვდილით დაესაჯა. ყაენთან შესარიგებლად მეფეს სამცხის მთავარი სარგის ჯაყელი წაჰყვა. ჯაყელი ჭკვიანი და სახელგანთქმული კაცი იყო. სიბრძნისა და დარბაისლობისათვის მას ყველა რიდით ექცეოდა და პაპა სარგისს ეძახდნენ. სარგისი მეფის ყველაზე ერთგული თანამებრძოლი იყო. მან ახლაც გადაწყვიტა მეფის გადარჩენა და ყველაფერი თვითონ დაიბრალა. ჰულაგუ ყაენმა მათი დასჯა ვეღარ მოასწრო, რადგან ოქროს ურდოდან ბერქა ყაენი შემოესია. ჰულაგუ ყაენს ახლა ქართველების მხარდაჭერა სჭირდებოდა. ამიტომ დავით ულუ და სარგის ჯაყელი ქართველთა ლაშქრით ომში წაიყვანა. ამ ბრძოლაში სარგის ჯაყელმა ჰულაგუ ყაენი სიკვდილს გადაარჩინა. ყაენმა სამაგიეროდ მათ ძველი დანაშაულიც აპატია და სარგისს აჩუქა კარნუ ქალაქი თავის მიდამოებით. კარისკაცთა ჩაგონებით დავით ულუს ეს შეშურდა და ყაენს სთხოვა: სარგისს საჩუქარზე უარი უთხარიო. ყაენი ასეც მოიქცა.

მეფის უმადურობა ეწყინა სარგისს, მაგრამ ხმა არ ამოუღია. სამაგიეროდ, ბოროტმა კარისკაცებმა ამ შემთხვევით ისარგებლეს და დავით ულუს მორიგი ჭორი ჩააწვეთეს: სარგის ჯაყელს შენი ღალატი აქვს განზრახულიო. მეფემ სარგისი სასახლეში დაიბარა და ერთგული თანამებრძოლი ციხეში ჩასვა.

ჯაყელის მხლებლებმა ეს ამბავი ყაენს შეატყობინეს. ყაენმა მეფეს პატიმრობიდან გაათავისუფლებინა ჯაყელი.

შესანიშნავი მამულიშვილი სარგის ჯაყელი მეფის უმადურობამ იძულებული გახადა მართლა ღალატის გზას დასდგო-

მოდა. შეურაცხყოფილმა მთავარმა მეფის მორჩილებაზე უარი თქვა. სამცხე საქართველოს სამეფოს გამოეყო და უშუალოდ ყაენის ქვეშევრდომად იქცა. ამან დაასუსტა საქართველოს ძლიერება. ასეთი მძიმე შედეგი მოჰყვა მეფის დაუფიქრებლობასა და მალემრწმენობას.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ სხვისი ნათქვამის ბრმად დაჯერება, ენის ამყოლობა, საქმეში სიმსუბუქე უბედურების მომტანია. ამიტომ უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო.

რამ გადაარჩინა ქართველები

შვიდ წელიწადს გაგრძელდა სპარსეთის ციხე-სიმაგრის ალამუთის ალყა. ალამუთი სპარსულად არწივის ბუდეს ნიშნავს. მონღოლებმა ვერ აიღეს მიუვალ კლდეებზე აღმართული ციხე. მათ საომრად წამოყვანილი ჰყავდათ ქართული მხედრობაც.

ერთ ღამეს ვიღაცამ ქურდულად მოკლა კარავში მძინარე ნოინი ჩაღატა. იქვე ახლო ქართველთა ბანაკი იყო და მონღოლებმაც მკვლელობა ქართველებს დააბრალეს. მხოლოდ ჩარმაღან ნოინს არ სჯეროდა ეს ამბავი და მონღოლებს ეუბნებოდა: ქართველი არ იკადრებდა მძინარე კაცის მოკვლას. მათ ჯიშად არა აქვთ ამგვარი მუხანათობაო. მისი შეგონება არ დაიჯერეს და ერთხმად დაიძრნენ ქართველებზე შურის საძიებლად.

ქართველთა ბანაკში დიდი არეულობა შეიქმნა. არ იცოდნენ რა ექნათ. ზოგი მონღოლებთან ბრძოლისა და ვაჟკაცური სიკვდილის მომხრე იყო. ზოგნი ბრძოლას უაზროდ თვლიდნენ.

მაშინ ქართლის ერისთავმა გრიგოლ სურამელმა თქვა: ახლა ბრძოლის დრო არ არის. ცოტანი ვართ და მონღოლებთან ბრძოლაში გავწყდებით. საქართველოს კი ხვალაც სჭირდება დამცველი. თათრებს მარტო ჩვენ – ერისთავები და სარდლები

შევეგებოთ უიარაღოდ. იქნება მონღოლებმა ჩვენი დახოცვა იკმარონ და ქართველთა ჯარი გადარჩესო.

სურამელის რჩევა ჭკუაში დაუჯდათ. სარდლებმა და ერისთავებმა იარაღი აიყარეს, გრიგოლის მეთაურობით კარგა მანძილზე გამოეყვნენ ჯარს, დაიჩოქეს და ღვთისმშობლის საგალობელი სიმღერა დაიწყეს.

აი, მიუახლოვდნენ გააფთრებული მონღოლებიც. უეცრად ლერწმიანიდან ერთი კაცი გამოვარდა და დაიძახა: „მე მოვკალი ჩაღატა“. მას ხელში სისხლიანი მახვილი ეჭირა. მერე ისევ ლერწმიანში დაიმალა. მაშინ მონღოლებმა ლერწმიანს ყველა მხრიდან ცეცხლი წაუკიდეს. დამალულმა სიმხურვალეს ვეღარ გაუძლო და გამოვიდა. დაჭერილი ნოინებს მიჰგვარეს. დაკითხვაზე თქვა: მე მულიდი ვარ, მულიდთა ტომის ერთი წარჩინებულთაგანი. ჩვენმა თავადებმა დიდძალი ოქრო მომცეს და მონღოლთა მეთაურების მოკვლა დამავალეს. მეც წამოვედი და ერთი ნოინთაგანი მოვკალიო.

– შენ ხომ დამალული იყავი. რად გაამჟღავნე თავი? – ჰკითხეს ნოინებმა.

– განთიადზე უცნაური ჩვენება ვნახე: ერთი საოცრად ლამაზი ქალი გამომეცხადა და მითხრა: შენი გულისათვის ახლა უამრავი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპება. გამომყევი და მონღოლებს სიმართლე უთხარიო. მეც აღარ მახსოვს, როგორ დავემორჩილე მის ნება-სურვილს და გამოვედი ლერწმიანიდან.

მონღოლებმა მკვლელი სიცოცხლეს გამოასალმეს.

ქართველთა ლაშქარი ბეწვზე გადაურჩა განადგურებას. მაინც რამ გადაარჩინა ისინი? ზოგმა თქვა – გრიგოლ სურამელის გონიერებამ და ერისთავების თავგანწირვამო; ზოგმა – ღვთისმშობლის სასწაულმაო; ზოგი კი იმასაც ამბობდა – იმ წერააატანილი მულიდის ვაჟკაცურმა საქციელმაო.

თქვენ როგორ ფიქრობთ, ჩემო პატარებო?

მეფე დემეტრე თავდადებული

სისხლისღვრა უცხო მიწაზე

მონღოლებს დაპყრობილი ქვეყნების ჯარები სხვა ქვეყნებთან ომებში მიჰყავდათ. გამაგრებული ციხე-ქალაქების ასაღებად პირველად მათ აგზავნიდნენ. ასე მოქანცულ მოწინააღმდეგეს მერე თვითონ შეუტევდნენ და ამარცხებდნენ. ასეთი სამხედრო ხრიკებით მონღოლები სხვებზე ნაკლებად ზარალდებოდნენ. ქართველებმა ამგვარ ომებში სიმამაცით ბევრჯერ გააოცეს მონღოლები. ამიტომაც ისინი ხშირად მიჰყავდათ შორეულ ქვეყნებში საომრად. ზოგჯერ მონღოლები ბრძოლებში უკან იხევდნენ და მოწინააღმდეგეს საფარში შეიტყუებდნენ, ალყაში მოაქცევდნენ და ანადგურებდნენ. ეს მათი საყვარელი სამხედრო ფანდი იყო. ქართველები ასეთ შემთხვევებში უკან დახევაზე უარს აცხადებდნენ და სიამაყით ამბობდნენ: გაქცევა ქართველებს წესად არა გვაქვს. ჩვენ ბრძოლაში პირველები უნდა შევიდეთ ხოლმეო. ქართველთა სიმამაცე ხშირად ასეთ უგუნურებამდე მიდიოდა. იმას კი აღარ ფიქრობდნენ, ვისთვის ან რისთვის იხოცებოდნენ, სხვის ომში სისხლისღვრას საქართველოსთვის რა სარგებლობა მოჰქონდა? მონღოლებსაც მეტი რა უნდოდათ. ყველაზე ძლიერი ციხესიმაგრეების ასაღებად წინ ქართველებს უშვებდნენ, თვითონ კი სეირს უყურებდნენ. ვინ მოსთვლის, სპარსეთის, ავღანეთის, ეგვიპტისა თუ სხვა ქვეყნების მიწაზე სხვათა ომებში რამდენი გმირობა ჩაიდინეს და რამდენი სისხლი დაღვარეს ქართველებმა. მარტო 1277 წელს შუამდინარეთში დემეტრე მეფის სარდლობით მებრძოლი სამიათასი ქართველი თითქმის ერთიანად შეაკვდა ეგვიპტელებს.

აბაშ ყიფიანის თავგანწირვა

1281 წლის 30 ოქტომბერი. ქალაქი ამასია. ბრძოლა ეგვიპტელებსა და მონღოლებს შორის. მეფე დემეტრე ომში 5 ათასი ქართველით წამოსულა. ქართველებმა აქაც დაიჟინეს – პირველებმა უნდა დავიწყოთ ბრძოლაო. მონღოლებმა ნება დართეს. მეფე დემეტრემ 200 რჩეული ქართველით ეგვიპტელთა რიგები გააპო და სასულთნო დროშის ხელში ჩასაგდებად გაემართა. ეგვიპტის სულთანს წინასწარ თადარიგი დაეჭირა: 12 ათასი რჩეული მხედრისათვის ებრძანებინა – ბრძოლა რომ გაცხარდება, თქვენ მხოლოდ ქართველებს უნდა შეუტიოთ და გააქციოთო. ახლა ამ 12 ათასმა ეგვიპტელმა ალყა შემოარტყა დემეტრეს რაზმს. მათმა სარდალმა შუბით ცხენი მოუკლა დემეტრეს. მეფემ მოასწრო უნაგირიდან გადმოხტომა და ფეხდაფეხ განაგრძო ბრძოლა. უამრავი ეგვიპტელი დაეცა, მაგრამ ქართველთა რაზმიც თოვლივით დადნა – 200 ქართველიდან სამიდა დარჩა.

– მეფეო, ჩემი სიკვდილი არაფერია, შენი სიკვდილი და საქართველოს უმეფოდ დარჩენა კი არ შეიძლება. აგერ ჩემი ცხენი. ეცადე როგორმე გზა გაიკაფო, ჩვენ დაგიფარავთ. – შესძახა აბაშ ყიფიანმა და მეფეს ცხენი მიართვა. დემეტრემ მოასწრო ამხედრება და ქართველთა მაშველმა ჯარმაც მოუსწრო. 4800 ქართველმა მტრის რკალი გაარღვია და მეფეს ირგვლივ შემოერტყა. ქართველებმა მტერს სძლიეს და გააქციეს. ამასობაში მონღოლებს ბრძოლა მიეტოვებინათ. ქართველები მარტონი აღმოჩნდნენ ეგვიპტელთა უზარმაზარი ლაშქრის შუაგულში. ბრძოლა დაღამებამდე გაგრძელდა. ბოლოს ქართველებმა ალყა გაარღვიეს და სამშვიდობოზე გავიდნენ. დემეტრე მეფე რვაასი ქართველითღა დაბრუნდა სამშობლოში. იქ, შორეული ამასიის უცხო მიწაზე კი 4 ათასზე მეტი ქართველის ცხედარი დარჩა.

მეფემ ღირსეულად დააფასა აბაშის თავგანწირვა: თავადობა და ციხექალაქ სამშვილდის მიდამოებში სოფლები უბოძა. ქვემო ქართლის თავადები აბაშიშვილები სწორედ აბაშის შთამომავლები იყვნენ.

ობოლთა და ღატაკთა გამკითხავი

მეფე დემეტრემ ბავშვობიდანვე იწვნია ობლობის სიმწარე. ერთი წლისა იყო, როცა მონღოლებმა დედამისს გვანცა დედოფალს ხერხემალი გადაუტეხეს და წამებით მოკლეს. ათი წლისა იყო, როდესაც მამამისი დავით ულუ მონღოლთა ლაშქრობებში დასნეულდა და გარდაიცვალა. თორმეტი წლისა კი უკვე მეფედ დასვეს. ობლობაში გაზრდილს ქვრივ-ობლები და ღატაკები ყოველთვის ებრალებოდა. ღამღამობით ქუჩებში გამოდიოდა და სადაც გაჭირვებულს ნახავდა, ფულს აძლევდა. მეფის გულკეთილობის ამბავი იმდენად გავრცელდა ხალხში, რომ ღატაკები მთელი ღამე თბილისის ქუჩებში დაეხეტებოდნენ, იქნებ მეფე შეგვხვდეს და ფული გვაჩუქოსო.

მკიმე არჩევანი

ყაენის უპირველესი მრჩევლისა და კარისკაცის ბუღა ნოინის შეთქმულება გამომჟღავნდა. მას თურმე ყაენის ტახტიდან ჩამოგდება ეწადა. არღუნ ყაენმა ბუღას თავი მოჰკვეთა. სიკვდილით დასაჯა მისი ყველა მომხრე. დემეტრე მეფეც შეთქმულების მონაწილედ ჩათვალა და თავისთან დაიბარა. წასულიყო თუ არა ყაენთან – ამის გადასაწყვეტად შეჰყარა მეფემ დარბაზი. ერისთავებმა, კათალიკოსმა, ეპისკოპოსებმა, ყველამ ურჩია: მეფეო, ნუ წახვალ ყაენთან. იქ სიკვდილით დასჯა გელის. სჯობია მთიულეთში ან აფხაზეთში გაიხიზნოო.

დემეტრემ ყველას მოუსმინა. დიდხანს იყო ჩაფიქრებული, მერე კი გადაჭრით თქვა: ყაენი ჯარით ახლა საქართველოს საზღვრებთან დგას. მე რომ მთაში გავიხიზნო, განრისხებული საქართველოს ააოხრებს, მრავალ უდანაშაულო ბავშვს, ქალს, მოხუცს გაჟლეტს, დაანგრევს ქალაქებსა და ეკლესია-მონასტრებს. მებრალება უბრალო ერი, რომელიც ცხვარივით უმწეოა და საკლავად უნუგეშოდ განწირული. ჩვენს წინაპრებს უთქვამთ: „რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება, ჩვენს ნასახლარზეც ოდესღაც ბალახი აბიბინდება“. სიზმარივით ჩა-

ივლის ჩვენი სიცოცხლე და მალე მოგვიწევს ამ ქვეყნიდან წასვლა. ამიტომაც ვეძახით ცხოვრებას წუთისოფელს. ბედნიერია, ვინც პირშეურცხვენლად გალეკს ამ წუთისოფელს. განა ღირს ისეთი სიცოცხლე, თუ ჩემი გულისთვის უამრავი ადამიანის სისხლი დაიღვრება? არ მინდა ცოდვით ტვირთდამძიმებული ვიყო. მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი მცირე ამალით წავიდე ყაენთან. იქნებ ამით ჩემი ქვეყანა უვნებლად დარჩესო. მეფეს განზრახვა ვეღარ გადაათქმევინეს.

მეფე დემეტრეს აღსასრული

უკვე ორი თვეა მეფე დემეტრე მოვაკანის ბნელ საკანში ზის. სასტიკად აწამებენ – გინდა თუ არა გამოტყდი, რომ ყაენის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდიო. შეთქმულების ამბავი არცკი იცოდა და როგორ დაიბრალოს?.. ნეტავი ახლა რა ხდება საქართველოში, როგორ არის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადამალული ცოლ-შვილი? ნეტავი ისინი თუ მოესწრებიან მონღოლთა მონობისაგან თავის დახსნას?..

მძიმე ფიქრები დილეგის საკეტების რაჩხუნმა შეაწყვეტინა. ალბათ მედილეგეები მორიგი დაკითხვისათვის მოვიდნენო. – გაიფიქრა და ნაცემი არცკი განძრეულა.

– მეფეო, გარეთ ცხენები გვიცდიან, გავიქცეთ. ამათ ცოცხალი ვერ გადაურჩები. – ვიღაც ქართველი ხელის ფათურით ექაჩება. – მედილეგეები მოვისყიდეთ, გაგვაპარებენ.

– თავიდანვე ვიცოდი, რომ სიკვდილი მელოდა, მაგრამ ჩემი ერისათვის დავდე თავი. განა ჩემი წუთიერი და წარმავალი სიცოცხლე იმად ღირს, რომ სამშობლო გავწირო? მე მზად ვარ სიკვდილისათვის, ოღონდ ქართველი ხალხი გადარჩეს. თუ მოახერხებთ, სიკვდილის მერე ამათ საჯიჯგნად ნუ გამხდით, ქართული მიწა დამაყარეთ გულზე.

დილეგში ჩუმად შემოპარული მეფეს გულზე ეამბორა და ჩუმადვე გაუჩინარდა ღამის სიბნელეში.

სისხამ დილით, 1289 წლის 12 მარტს დემეტრე მტკვრის პირას გაიყვანეს და ხმლით თავი მოჰკვეთეს.

ასე დაფასდა სხვათა ომებში დაღვრილი ქართველთა სისხლი და ქართველი მეფის სიმამაცე. ღირსეულად შეხვდა სიკვდილს დემეტრე მეფე – რჩეული ცხენოსანი და მშვილდოსანი, მამაცი და შეუდრეკელი, 29 წლის ახოვანი და საოცრად ლამაზი ჭაბუკი.

თევზით მოვაჭრეთა აღალი

აღმართის თავზე ურმები მონღოლმა ბასკაკებმა გააჩერეს. – რა მოგაქვთ? – იკითხა მეთაურმა და შუბით ურმებს საფენი გადახადა.

– მე ვაჭარი ვარ. თევზი მიმაქვს თბილისში გასაყიდად. – მიუგო ჭარმაგმა კაცმა და გულზე დაკიდული „იერლაყი“ აჩვენა. ვისაც მონღოლთა ყაენის იერლაყი ჰქონდა, ხელშეუხებელ პიროვნებად ითვლებოდა. მას ხმას ვერავინ გასცემდა მონღოლთა მთელ სამფლობელოში.

ნუქერმა ჭვრიტა თვალებით დახედა ყაენის იერლაყს და დანარჩენებს ანიშნა – ხმა არ გასცეთო. ერთმა წუწკმა ბასკაკმა მაინც შუბი ჩაჰკრა დატვირთულ ურემს და მწვადივით წამოცმული თევზები ახორხოცებულ ამხანაგებს ჩამოურიგა. ბასკაკებმა თავიან-ფარფლებიანად შეახრამუნეს თევზები და გზა განაგრძეს.

– მგონი გადავრჩით ამ წყეულებს. – თქვა მოსე მღვდელმა და პირჯვარი გადაიწერა. ზუსტად იმ ურემზე თევზის ქვეშ წამებული დემეტრეს ცხედარი იყო დამალული. მონღოლებს რომ გაეგოთ, ყველას იქვე თავებს დააყრევინებდნენ. წინა დამით აბრაჰამ კათალიკოსმა და მოსე მღვდელმა მონღოლთა გუშაგები მოისყიდეს და მეფის ცხედარი მოიპარეს. მეთევზეებს გაურიგდნენ და ასე, თევზის ქვეშ დამალული წამოასვენეს.

მეფე მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს.

მადლიერმა ერმა მეფე დემეტრე წმინდანად შერაცხა და თავდადებული უწოდა. 25 მარტი წმინდა მოწამის მეფე დემეტრე თავდადებულის ხსენების დღეა!

გიორგი ბრწყინვალე

1301 წელი მოუსავლიანი გამოდგა. მონღოლთაგან აოხრებულ ქართლში შიმშილობა დაიწყო. პურს მხოლოდ სიზმარში თუ ნახავდა კაცი. შიმშილით შეწუხებული ადამიანები ყველაფერს ჭამდნენ, რისი დაღეჭვაც კი შეიძლებოდა. დამშეულები ბუზებივით იხოცებოდნენ. გზები, მინდვრები, ქალაქები, სოფლები გვამებით აივსო. ბევრგან ქორფა ბავშვები მიცვალებული დედების ძუძუს წოვდნენ და სიმწრით ღნაოდნენ. ცოცხლები კი იმდენად ძალაგამოცლილები იყვნენ, რომ მკვდრების დამარხვის თავი აღარ ჰქონდათ.

ხმა დაირხა – სამცხეში იშოვება პურიო. ვისაც განძრევის თავი ჰქონდა, მესხეთისაკენ მიღოდავდა. სამცხის მთავრის, ბექა ჯაყელის მეუღლემ ვახახიმ ითავა დამშეულების პატრონობა. ეს სათნო და კეთილი ქალი მაშინ ყველას დედა და პატრონი გახდა. – არ იქნება საქართველო ქართველის გარეშე. დღეს გადარჩენილი ქართველი ხვალ სამშობლოს გადაარჩენს! – სამცხის ყველა სოფელში პირზე ეკერათ ვახახის ეს სიტყვები. ყველა ლტოლვილი შეიფარეს და დააპურეს. სამცხემ მაშინ მრავალი ქართველი გადაარჩინა სიკვდილს.

დიდი მამულიშვილი იყო ბექა ჯაყელიც. ამ ნიჭიერმა და მამაცმა მებრძოლმა დიდი და ძლიერი სამთავრო შექმნა. მისი ძალაუფლება მეზობელ ტრაპიზონის სამეფოშიც ვრცელდებოდა. მაშინ სამხრეთიდან 60 ათასი თურქით წამოვიდა აზატ მოსე. მას სამცხის განადგურება უნდოდა. ბექა ჯაყელი 12 ათასი მესხით გაეგება მტერს და სასტიკად დაამარცხა.

ბექა ჯაყელმა და მისმა მეუღლემ ვახახიმ სამშობლოს წინა-

შე ყველაზე დიდი ვალი იმით მოიხადეს, რომ აღზარდეს მეფე გიორგი. ბექას ასული ნათელა საქართველოს დედოფალი იყო. როდესაც მონღოლებმა დემეტრე თავდადებული აწამეს, დედოფალი ნათელა სამცხეში გადავიდა. თან წაიყვანა ერთადერთი მცირეწლოვანი შვილი, გიორგი. ბექა ჯაყელმა ღირსეულად აღზარდა შვილიშვილი. ბექას დიდი გავლენა ჰქონდა მონღოლთა კარზე და როცა დრო დადგა, ისინი დაითანხმა, რომ საქართველოს მეფედ გიორგი დაესვათ.

მეფე გიორგიმ თანდათან სძლია შინაურ და გარეშე მტრებს – ზოგს ბრძოლითა და ძლიერებით, ზოგს სიბრძნითა და გონიერებით. მან ისევ გააერთიანა დაქუცმაცებული საქართველო. ერთ მშვენიერ დღეს უარი უთხრა მონღოლებს ხარკის მიცემაზე. ცხრა წლის ბრძოლის შემდეგ კი ისინი საქართველოდან განდევნა. 1335 წელს საქართველოში დაემხო მონღოლთა ასწლიანი ბატონობა. მსოფლიოს ყველა დაპყრობილი ქვეყნებიდან ქართველებმა პირველებმა შეძლეს თათართა უღლის მოშორება. მეფე გიორგიმ არაერთი სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა მტრებთან ბრძოლაში. მან ისევ აღადგინა დავით აღმაშენებლისა და თამარის დროინდელი საქართველოს საზღვრები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

სამცხეთის მთავრები – სარგის I, ბექა I და სარგის II. საფარის ფრესკა

გიორგი მეფემ კვლავ დააბრუნა მთებში გახიზნული მოსახლეობა და ბარში დაასახლა. ისევ დაიწყო საქართველოში ხვნა-თესვა, ისევ ჩაყარა გლეხმა ვაზი და ხეხილი, ისევ დატრიალდა დოვლათი. აღდგა დანგრეული ქალაქები, სოფლები, ტაძრები, გზები და არხები. ისევ მოიჭრა ქართული ფული „გიორგაული თეთრი“. მეფემ შექმნა კანო-

ნები – „ძეგლის დება“ და „ხელმწიფის კარის გარიგება“. ამით აღდგა ქართული ზნეობა და კანონ-სამართალი.

შეშინდნენ საქართველოს მტრები და უკან დაგვიბრუნეს პალესტინასა და სინას მთაზე ყაჩაღურად მიტაცებული ქართული ტაძრები. იერუსალიმიდან კი თბილისში ჩამოუტანეს მეფე გიორგის ქრისტეს საფლავის კლიტეები.

ყველა ამ დამსახურებისათვის ქართველმა ხალხმა მას გიორგი ბრწყინვალე უწოდა.

თავისუფლება შეინარჩუნეს

ბიორგი ბრწყინვალის მეფობის შემდეგ ორმოცი წელი გავიდა და საქართველოს ახალი დამპყრობლები მოადგნენ. მტერი არ აცდიდა ქართველ კაცს მშვიდობიან შრომას. ახლა შუა აზიიდან დაძრულ თურქმანთა ურდოს თემურ ლენგი ანუ „კოჭლი თემური“ მოუძღოდა. მტერი თბილისს მოადგა. მეფე ბაგრატის ძარღვებში მამამისის გიორგი ბრწყინვალის სისხლი დუღდა. მან ქართველებს ასე მიმართა: სამშობლოსათვის სიკვდილი ათასჯერ უმჯობესია უცხოთა მორჩილებასა და მონობაში სიცოცხლესაო. ათ დღეს გაგრძელდა თბილისის მისადგომებთან სასტიკი ბრძოლა. მრავალი ქართველი ვაჟკაცი შეაკვდა მტერს. .მეთერთმეტე დღეს მტრის სიმრავლემ თავისი ქნა. თემურ ლენგმა თბილისი აიღო. მტერმა ტყვედ ჩაიგდო ბაგრატ მეფე, დედოფალი ანა და უფლისწული დავითი. თბილისი გაძარცვეს, მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოწყვიტეს, ბევრნი ტყვედ წაასხეს.

დიდხანს უჩიჩინებდა თემურ ლენგი ბაგრატს: ჩვენს სარწმუნოებაზე გადმოდით შენც და შენი ქართველებიცო.

ბაგრატმა დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა თემურ ლენგის ტყვეობიდან რამენაირად თავი დაეხსნა და ისევ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას ჩასდგომოდა სათავეში. ამიტომ, დიდი ხვეწნის შემდეგ დათანხმდა თავისი მხლებლებიანად

მაჰმადიანობის მიღებაზე. გახარებულმა თემურმა უხვად დაასაჩუქრა და დაიახლოვა. ყველაფერში რჩევას ეკითხებოდა და უჯერებდა.

ერთხელ ბაგრატმა უთხრა: მომეცი შენი ჯარი. საქართველოში გავილაშქრებ, ყველას მაჰმადის რჯულს მივაღებინებ და დაგიმორჩილებო. გახარებულმა თემურმა 12 ათასი მხედარი მისცა. ბაგრატი საქართველოსკენ გამოემართა. გზიდან კი საიდუმლოდ კაცი აფრინა ქუთაისში და გიორგი უფლისწულს შეუთვალა: თათართა დიდი ჯარით მოვდივარ. ვიწრო ხეობაში დამხვდი ქართველთა ჯარით და მტერი ერთად გავანადგუროთო. გიორგიმ სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი და ერთ ღრმა ხეობაში ჩაუსაფრდა. როცა მტერი ხეობაში შემოვიდა, ქართველებმა ორივე მხრიდან გზა გადაუკეტეს და ერთიანად გაჟლიტეს. ბაგრატი ისევ ქართველებს ჩაუდგა სათავეში.

ეს რომ თემურ ლენგმა გაიგო, გააფთრებული შემოიჭრა საქართველოში. მიუვალ მთებში და ტყეებში გახიზნული ქართველები პარტიზანულ ომზე გადავიდნენ.

17 წელიწადს თარეშობდნენ თემურ ლენგის უზარმაზარი ურდოები. ისინი რვაჯერ შემოესივნენ საქართველოს. დაანგრიეს, სადაც კი რაიმე აშენებული დახვდათ; გაჩეხეს და მოთხარეს, რაც კი ქართველის ხელს დაერგა და დაეთესა; გადაწვეს და გადაბუგეს, რასაც ცეცხლი წაეკიდებოდა; ბერები ტაძარში გამოხრუკეს, გაჟლიტეს უამრავი კაცი, ქალი და ბავშვი. თემურ ლენგმა საქართველოდან 180 ათასი ქართველი ტყვე წაიყვანა. გაზიდეს უთვალავი განძეულობა და წიგნები. ამბობენ, რომ დღეს ინდოეთში მცხოვრები გუჯარების ტომი თემურ ლენგის მიერ გუჯარეთის ხეობიდან (ბორჯომის რაიონი) გასახლებული ქართველების შთამომავლებიაო.

თემურ ლენგმა დაიპყრო მთელი შუა აზია, დააჩოქა ირანი, თურქეთი, ავღანეთი, ინდოეთი, ოქროს ურდო, საქართველო კი რვაგზის ლაშქრობის მიუხედავად ვერ დაიმორჩილა. თავისუფლების სიყვარული უფრო ძლიერი გამოდგა. ბაგრატ და გიორგი მეფეების მეთაურობით გაჩაღებულ თავგანწირულ ომებში ქართველებმა შეინარჩუნეს თავისუფლება.

ქედუხრელნი

გადაიქუხა თემურის სისხლიანმა წლებმა. ოთხიოდე წელი მშვიდად გავიდა. ჯერ კიდევ დაქცეული იყო გლეხკაცის სახლკარი. ისევ შავად იყურებოდა ნახანძრალი ტყეები და მინდვრები. ჯერ არცკი შეშრობოდა მიწას კაცის სისხლი და ჭირნახულსაც სისხლის სუნი ასდიოდა. ირანიდან კი თურქმანთა ახალი ურდო შემოიჭრა. დროშაზე შავი ბატკანი ეხატათ და ხალხი შავბატკნიანებს ეძახდა.

გაეგება გიორგი მეშვიდე ქართველთა მხედრობით და გმირულად შეაკვდა მტერს. საქართველოს მეფედ მისი ძმა კონსტანტინე დაჯდა. ოთხი წელი იმეფა კონსტანტინემ და მეზობელმა შირვანელებმა შემოუთვალეს: შავბატკნიანები შემოგვესივნენ და მოგვეშველეთო.

ორი ათასი ქართველით გაეშურა მეფე კონსტანტინე.

თურქმანთა პირველ შემოტევაზევე გაიქცნენ შირვანელები. საშველად მისული ქართველები მტერს შეატოვეს ხელში. ლაჩრულ სიცოცხლეს გმირული სიკვდილი ამჯობინეს ქართველებმა. წარბშეუხრელად ებრძოდნენ მოზღვავებულ თურქმანებს.

ბრძოლის ველზე ათასშვიდასი ქართველი დარჩა მტრის ათჯერ მეტ ცხედრებს შორის. იარაღდალეწილი და დაჩეხილი სამასი ქართველი კი ტყვედ ჩაიგდეს. ახლა ხელებშეკრულები დგანან თურქმანთა ბელადის ყარა-იუსუფის წინაშე. მაგრამ ისე ამაყად დგანან, თითქოს ბრძოლა მათ მოეგოთ და თურქმანები ჰყავდეთ გათოკილები.

– დაიჩოქეთ და თაყვანი ეცით თურქმანთა უძლეველ მხედრობას! – ბრძანა ყარა-იუსუფმა.

ქართველები არ განძრეულან, თითქოს არც არაფერი გაეგონათ.

– დაიჩოქეთ! დაიჩოქეთ! – ღრიალებენ ირგვლივ შემოჯარული თურქმანები.

– ქართველის მუხლი არ იდრიკება, ყარა-იუსუფ. ღმერთმა ცოტა სხვანაირი ხელ-ფეხი გვიწყალობა. – პასუხობს მეფე კონსტანტინე.

– დაიჩოქეთ! – ისევ ბღავიან თურქმანები...

არც ერთმა ქართველმა არ ინება მუხლის მოყრა და ქედის მოდრეკა.

მარტო პირშავი კი არა, გულშავიც აღმოჩნდა შავი იუსუფი. მურდალმა მახვილი შემოჰკრა ხელებშეკრულ კონსტანტინეს ჯაჭვისგან მოშიშვლებულ ქედზე... თავწაცლილი სხეული ერთხანს კიდევ იდგა ფეხზე, წინ და უკან ქანაობდა. მერე ზურგზე დაეცა მოწყვეტით. მოკვდა ისე, როგორც ეკადრებოდა მამაცი ბაგრატის შვილსა და გიორგი ბრწყინვალის შვილიშვილს.

– ეტყობა ხელფეხშეკრულ და თავმოკვეთილ ქართველსაც კი არ ეხერხება მუხლის მოდრეკა. – თქვა სიცილით ყარაიუსუფმა.

ხელებშეკრული სამასივე ქართველი ქედმოუხრელად შეხვდა თურქმანთაგან ბოძებულ სიკვდილს.

კონსტანტინეს შვილმა მეფე ალექსანდრე პირველმა რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხა შავბატკნიანები და განდევნა საქართველოდან. მას ხალხმა ალექსანდრე დიდი უწოდა.

სისხლის წვიმების დროსაო

ხანგრძლივი ბრძოლებით დასუსტდა საქართველო. მეთექვსმეტე საუკუნეში იგი ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და ხუთ სამთავროდ დაიშალა. ამით გარეშე მტერს საქმე გაუადვილდა. ირანი და ოსმალეთი გამუდმებით ესხმოდნენ საქართველოს და მის დაპყრობა-გათათრებას ცდილობდნენ. ქართველ მოსახლეობას ირანსა და ოსმალეთში მიერეკებოდნენ, მათ ადგილას კი მაჰმადიან ტომებს ასახლებდნენ ან აქაურობას უშენ საძოვრებად აქცევდნენ. ჩვენი მიწა-წყლის მესამედი მტერმა მიისაკუთრა. საქართველო დიდ განსაცდელში ჩავარდა.

ამ გაჭირვების ჟამს მტერს ყველაზე გააფთრებით ქართლი ებრძოდა. ჯერ მეფე ლუარსაბის, შემდეგ კი სიმონ მეფის მეთაურობით ეს განმათავისუფლებელი ბრძოლა თითქმის 70 წელს გაგრძელდა.

მტრის გამკლავება მხოლოდ ერთიან საქართველოს შეეძლო. ლუარსაბმაც ბევრჯერ სცადა, მაგრამ დაშლილი საქართველოს გაერთიანება ვერ მოახერხა. საქართველოს ცალკეული კუთხეები ერთმანეთს არ ეხმარებოდნენ. პირიქით, ხშირად ერთმანეთის სისხლის დაღვრასა და ღალატსაც არ ერიდებოდნენ. აი რამდენიმე მაგალითი:

ამპარტავნობის შედეგი

ბასიანში თურქები შემოიჭრნენ. მტრის დასახვედრად შეიყარნენ მესხეთის, იმერეთის, გურიისა და ქართლის ჯარები. როგორც იყო მოახერხეს გაერთიანება, თუმცა კახეთი და სამეგრელო მაინც განზე დარჩნენ.

ბრძოლის წინ მესხებმა აიჩემეს – ომში წინამბრძოლებად მუდამ მესხები იყვნენ. ამიტომ ხვალაც ომი ჩვენ უნდა დავიწყოთო. დანარჩენები ცივ უარზე დადგნენ. ყველა იძახდა – არა მე უნდა ვიყო პირველი და არა მეო.

მეორე დღეს ფიცხელი ომი გაჩაღდა. ბრძოლის სასწორი ქართველების მხარეს გადაიხარა. ამ დროს მესხებს წინა დღის წყენა გაახსენდათ და მოხდა თავზარდამცემი ამბავი: თვითონ მესხებმა მიატოვეს მათი სახლ-კარის დასაცავად მოსული ერთიანი საქართველოს ჯარები. ქართველმა ქართველი მიატოვა ბრძოლის ველზე. ეს იყო გაუგონარი ამბავი, რადგან აქამდე არავის სმენოდა ბრძოლიდან მესხების გაქცევა.

მაინც გვიან ღამემდე გაგრძელდა ბრძოლა. ღამემ გაჰყარა მომტერენი. ბრძოლაში ოთხჯერ მეტი თურქი დაეცა, მაგრამ ქართველიც მრავალი დაიღუპა.

ასე დაუბნელა გონება ქართველ კაცს კუთხურმა ამპარტავნობამ და კუდაბზიკობამ. ამის გამო იმ დღეს სოხოისტას ველზე მარტო ქართული ლაშქარი კი არა, საქართველოს ერთიანობის სურვილიც დამარცხდა.

თურქებმა დაიპყრეს მესხეთის ციხე-ქალაქები. მესხები კი კმაყოფილები იძახდნენ – ჩვენს წყენას არავის შევარჩენთო. ამაზეა ნათქვამი: კაცს თავსა სჭრიდნენ და კოპი არ მატკინოთო.

ძმათა სისხლის ფასად

სპარსეთის შაჰი კახეთის ასაკლებად წამოვიდა. კახეთის მეფე და დიდებულები საგონებელში ჩავარდნენ: ურიცხვი მტრის გამკლავება არ შეეძლოთ, არადა შაჰ-თამაზი კახეთს გაანადგურებდა. სახლთუხუცესმა ჩოლოყაშვილმა მეფეს მოახსენა: მე გადავარჩენ კახეთს, თუ თქვენი თანხმობაც იქნებაო. მეფემ და დიდებულებმა თანხმობა მისცეს.

იმ დროს სამცხის ათაბაგი გარდაცვლილიყო. შვილი მანუჩარი პატარა დარჩენოდა. ქვეყანას მანუჩარის დედა – დედისიმედი განაგებდა.

ჩოლოყაშვილმა დედისიმედს შეუთვალა: შაჰ-თამაზი სამცხის ასაკლებად მოდის. მანუჩარის მოკვლა და სამცხის დაპყრობა სურს. თუ შაჰის ცოლისძმას ვარაზს მოკლავ, შაჰი შეშინდება და უკან გაბრუნდებაო. ვარაზი მაშინ სამცხეში ერთ-ერთი დიდი თავადი იყო. ქარაფშუტა დედისიმედმა დაიჯერა და ვარაზი ღალატით მოაკვლევინა. ეს რომ შაჰ-თამაზმა გაიგო, კახეთს თავი დაანება და სამცხეს შეესია. ყიზილბაშებმა ერთიანად მოაოხრეს სამცხის სამთავრო, მრავალი ტაძარი და სახლი დაანგრიეს, გაჩეხეს ბაღ-ვენახები, უამრავი ხალხი დახოცეს.

კახეთის დიდებულებს კი უხაროდათ, რომ აოხრებას გადარჩნენ. იმას აღარ ფიქრობდნენ, რომ ძმათა სისხლით ნაყიდი „თავისუფლება“ მონობაზე უარესია. მტერი რომ სამცხეს გაანადგურებდა, მერე კახეთისათვის უფრო კარგად მოიცლიდა. არც იმაზე დაფიქრებულან, რომ საქართველოს ყველა კუთხე ქართველი კაცის სამშობლოა და ყველა მათგანი ერთნაირად უნდა უყვარდეს.

გორისის ომი
(წმინდა ლუარსაბ დიდი)

ქართველთა დაქუცმაცებამ და განდგომამ გული ვერ გაუტეხა ქართლის მეფე ლუარსაბს. მან მთელი სიცოცხლე სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გაატარა. თუ საკმაო ლაშქარი ჰყავდა, მტერს პირდაპირ შეებმებოდა. როცა მტერი

ძალიან ბევრი იყო, ლუარსაბი პარტიზანულ ომებს უმართავდა: ხან ტყეებსა და ვიწროებში უხვდებოდა, ხან ღამით დაესხმოდა თავს და ნაწილ-ნაწილ სპობდა. ყიზილბაშებს მისგან სული ჰქონდათ გამწარებული და ძალიან ეშინოდათ. ამიტომ ან ციხეებში იყვნენ ჩაკეტილი, ან ათჯერ მეტი ჯარით მოდიოდნენ.

ლუარსაბი ან უნდა მოვკლა, ან ტყვედ ჩავიგდო. უმეთაუროდ დარჩენილ ქართლს უფრო ადვილად დავიპყრობო. – ფიქრობდა ირანის შაჰი. ხუთჯერ შემოესია ქართლს შაჰ-თამაზი, მაგრამ საწადელს ვერ ეწია. ერთ-ერთი შემოსევის დროს მან ტყვედ ჩაიგდო ლუარსაბის დედა ნესტან-დარეჯანი. დედოფალმა ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა და საწამლავი დალია.

1556 წელს გაბოროტებულმა შაჰ-თამაზმა დიდი ჯარი გამოგზავნა ქართლის სამუდამოდ დასაჩოქებლად. ქართველები ქვემო ქართლში, სოფელ გორისთან* დახვდნენ. ლუარსაბი უკვე ღრმად მოხუცებული იყო. მან ქართველების სარდლად თავისი უფროსი შვილი – 19 წლის სიმონი დანიშნა. თვითონ, მოხუცების ამალით, ბრძოლის ველს შორიახლოდან ადევნებდა თვალს.

ქართველებმა მტერი დაამარცხეს და დაიფრინეს. ყიზილბაშთა ერთი ნაწილი სულთან მაჰმადის მეთაურობით ტყეში დაძრწოდა და შეშინებული გასაქცევ გზას ეძებდა. ისინი პირდაპირ მეფე ლუარსაბს შეეფეთნენ. მოხუცებმა ხმლები იშიშვლეს და მტერს ახალგაზრდული სიფიცხით შეუტიეს. ლუარსაბს ბრძოლაში შუბიც გადაუტყდა და ხმალიც. უიარაღოდ დარჩენილმა თავისი ცხენი მკერდით შეაჯახა სულთანის ცხენს და ძირს გააგორა. შემდეგ მეორე ყიზილბაშს დააძგერა ცხენი და ისიც ცხენიანად ძირს დასცა. მაგრამ დახეთ უბედურებას: ლუარსაბის ცხენს ნაპრალში ფეხი ჩაუვარდა და წაიფორხილა. ამ დროს ერთმა ყიზილბაშმა მეფე ხმლით თავში დასჭრა, შეჯდა მის ცხენზე და გაიქცა. ეს ამბავი სიმონს შეატყობინეს. იგი დაეწია გაქცეულ ყიზილბაშებს და მუსრი გაავლო.

მომაკვდავმა მეფემ ბრძანა: – ნურც ჩემს დაჭრას და ნურც სიკვდილს გააგებინებთ ვინმეს. ვაითუ ქართველებს გული გაუტყდეთ; ყიზილბაშებს კი გაეხარდებათ, გათამამდებიან, შიში აღარაფრისა ექნებათ და ქართლის ასაკლებად მობრუნდებიან. ერ-

** ამჟამად ქალაქი თეთრიწყარო.*

თიც დაიმახსოვრეთ: ომში მგელს უნდა დაემსგავსოთ და მტრის ლაშქარი ცხვრის ფარად ჩათვალოთ. მამაცი ისე უნდა უტევდეს მტერს, როგორც მგელი ცხვარსა. გამარჯვება კი ღვთის ნებაა.

ლუარსაბი რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. ქართველმა ხალხმა ქედუხრელი, გმირი მეფე დიდი მწუხარებით დაიტირა და წმინდანად გამოაცხადა. მას ლუარსაბ დიდი უწოდეს.

ხერხი სჯობია ღონესა

ლუარსაბის გმირული დაღუპვის შემდეგ ქართლის მეფე გახდა სიმონი. მან განაგრძო მამის საქმე – საქართველოს დამპყრობლებთან შეურიგებელი ბრძოლა. იგი არაჩვეულებრივად გულადი კაცი იყო.

ოსმალეთის ხონთქარმა დიდი ჯარი გამოგზავნა სიმონის წინააღმდეგ. ოსმალებმა ლორეს ციხე აიღეს, ქართლში შემოიჭრნენ და სოფელ ხატის თელეთის მიდამოებში დაბანაკდნენ.

სიმონ მეფე მდინარე ხრამის პირზე იდგა. მას მცირე ლაშქარი ჰყავდა. ამიტომ გადაწყვიტა მტრისთვის ჭკუით ეჯობნა.

სიმონ მეფე მცირე ამალით მივიდა მტრის ბანაკში. – მე სიმონ მეფის ელჩი ვარ. მეფემ შემოგითვალათ, მეყოფა ამდენი ხმლის ქნევა და ომი. შევრიგდეთო. – უთხრა ოსმალთა ფაშას.

სიმონი ოსმალებმა ვერ იცნეს, სიხარულით თანხმობა განაცხადეს და უკან დიდი პატივით გაისტუმრეს.

ამასობაში სიმონმა საგულდაგულოდ დაზვერა მტრის ძალები, მათი განლაგება, შეიარაღება. როდესაც ქართველებთან დაბრუნდა, მეფემ ბრძოლის გეგმა შეადგინა. იგი ღამით გავიდა ხრამის ხეობიდან თელეთის ქედზე და მტერს სიბნელეში დაესხა თავს. სიბნელითა და მოულოდნელობით დაბნეული ოსმალები დამარცხდნენ. იმ ღამეს სიმონ მეფემ 4 ათასი ქართველით ოსმალთა 30 ათასიანი არმია გაანადგურა.

სიმონ მეფემ მეორე დღეს ქალაქი დმანისიც აიღო და ოსმალები მთლიანად გარეკა ქართლიდან.

– ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა. – ამბობდა სიმონ მეფის სიმარჯვით გაკვირვებული და გახარებული ხალხი.

ხალხის სიყვარული

უბრალო ხალხ ძალიან უყვარდა მამაცი სიმონ მეფე. ერთხელ მეფე ბრძოლაში დამარცხდა. დაღონებული მარტოდმარტო ბრუნდებოდა უკან. დაღლილი მეფე სოფელ კავთისხევში ერთი გლეხის ოჯახს ესტუმრა. დიასახლისმა ღარიბული სუფრა გაუშალა და გულკეთილად უმასპინძლა. ქალმა ვერ იცნო სტუმარი და ჰკითხა: რა ქნა ჩვენმა საყვარელმა მეფემ, გაიმარჯვა თუ არაო.

– მეფე დამარცხდა, მაგრამ ცოცხალია თუ არა, არ ვიცი. – მიუგო სტუმარმა.

– მეფეს ომში ჩემი ქმარიც ახლდა. ქვლივიძეა გვარად. იქნებ იმისი ამბავი მაინც იცოდე?

– არც შენი ქმრის ამბავი ვიცი.

ქალმა ეს რომ მოისმინა, ცხარედ ატირდა. მერე თქვა: მეფე რომ დაიღუპოს, საქართველოსთვის დიდი უბედურება იქნება. ოღონდ სიმონ მეფე ომიდან ცოცხალი და ჯანმრთელი დაბრუნდეს და ქმარს აღარ ვჩივი. ჩემი ქმარი მისი ჭირის სანაცვლო იყოსო.

მეფეს ეამა ეს სიტყვები, მაგრამ არაფერი უთქვამს. მასპინძლობისათვის მადლობა გადაიხადა და წავიდა.

მალე იმ ქალის ქმარიც დაბრუნდა ომიდან. ერთ დღეს ქვლივიძეების ოჯახს სიმონ მეფემ ერთი დატვირთული ურემი ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა და აზნაურის სიგელი უბოძა. ამ სიგელით მეფემ მათ სოფლები და დიდი მამულები აჩუქა. ქვლივიძეები მოულოდნელობისაგან სახტად დარჩნენ.

ღალატის ფასი

დაქუცმაცებულ საქართველოს უჭირდა მტრის მოგერიება. სიმონ მეფემ კარგად იცოდა, რომ ძალა ერთობაშია. მან რამდენჯერმე სცადა საქართველოს გაერთიანება, მაგრამ მოღალატე მეფე-მთავრები მაინც განზე იწევდნენ.

სიმონ მეფეს ძმამაც უღალატა. დავითი შაჰ-თამაზთან გაიქცა და გათათრდა. ყიზილბაშებმა მას დაუდ-ხანი დაარქვეს. შაჰმა დაუდ-ხანს თბილისი და მისი მიდამოები უბოძა და დიდძალი ლაშქარი გამოატანა ქართველების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. სიმონ მეფემ ბევრჯერ დაამარცხა მოღალატე დაუდ-ხანი, მაგრამ თბილისი ვერ წაართვა. შევიწროებულმა დაუდ-ხანმა შაჰს შემწეობა სთხოვა.

1568 წელს შაჰმა ახალი დიდი ჯარი გამოგზავნა სიმონის წინააღმდეგ. მტერს განჯასთან შეეგება მოღალატე თავადი კახაბერ ყორღანაშვილი და საქართველოში მარჯვე გზებით შემოიყვანა.

სიმონ მეფე მდინარე ალგეთზე, სოფელ ფარცხისთან დახვდა ყიზილბაშებს. მტერი ათჯერ მეტი იყო. სიმონი ლაშქარს წინ მიუძღოდა და ყიზილბაშებს პირველი ეკვეთა. ფიცხელ ბრძოლაში გართული მეფე თავის ჯარს დასცილდა და მტრის შუაგულში აღმოჩნდა. მოღალატე ყორღანაშვილმა მეფე იცნო და ყიზილბაშებს შესძახა: ეგ სიმონ მეფეა, შეიპყარითო.

მეფეს ბუზივით მიესია ურიცხვი მტერი. იგი ტყვედ ჩაიგდეს. უმეფოდ დარჩენილი ქართველთა ჯარი დაიბნა, აირია და დამარცხდა. სიმონ მეფე ირანში წაიყვანეს. მეფემ შაჰს უარი უთხრა დამორჩილებაზე და გათათრებაზე. იგი ალამუთის ციხეში ჩასვეს. ამით ისარგებლეს ხარბმა და მოღალატე თავადებმა ამილახორმა და ქსნის ერისთავმა, სიმონ მეფის ოჯახი ააწიოკეს და რაც ქონება ჰქონდა, ყველაფერი წაიღეს. შაჰ-თამაზმა თავისი ლაშქრობებით საქართველოდან 50 ათასი ტყვე ჩაიგდო და ირანში გადაასახლა.

სიმონ მეფეს ჰყავდა სარდალი საჩინო ბარათაშვილი. ამ არეულობის ჟამს საჩინო მოღალატე დაუდ-ხანს და ყიზილბაშებს არ მიემხრო. იგი ბოლომდე სიმონ მეფისა და სამშობლოს ერთგული დარჩა.

ერთ დღეს საჩინო ბარათაშვილი კოჯრისკენ მიდიოდა. გე-

ლიყარის ხევთან მას კახაბერ ყორღანაშვილი შემოეყარა. ყიზილბაშებისგან გაამაყებულ-გამდიდრებულ ყორღანაშვილს შიში აღარაფრისა ჰქონდა. „საჩინოს გაუმარჯოსო“ – არხეინად მიესალმა ბარათაშვილს. „ღმერთმა ყველა ქართველს გაუმარჯოს იუდა მოღალატეზე!“ – შესძახა საჩინომ, ხელი ჰკრა მოღალატეს და უფსკრულში გადაჩეხა. ყორღანაშვილს ღრმა უფსკრულში სულიც აღარ ჩაჰყოლია.

ხალხმა სამშობლოს მოღალატეზე ასეთი ლექსი გამოთქვა: „ყორღან-ოღლის ქარაფიდან ხელი ჰკრეს და გადაფრინდა“.

შაჰ-თამაზის სიკვდილის შემდეგ საქართველოს აოხრებაში ირანელებს ოსმალებმა აჯობეს. მათ ქართლის დაპყრობა დაიწყეს. მაშინ ირანელებმა სიმონ მეფე ციხიდან გაათავისუფლეს და სამშობლოში გამოუშვეს. დაუდ-ხანმა ქართლის ციხეები ოსმალებს ჩააბარა და სიმონის შიშით ოსმალეთში გაიქცა.

დაუდ-ხანი ოსმალთა ჯარით რამდენჯერმე შემოესია საქართველოს, მაგრამ სიმონ მეფეს ვერ სძლია. ბოლოს ძმისა და სამშობლოს მოღალატე ისევ ოსმალეთში გადაიხვეწა და იქვე ამოხდა სული. სიმონ მეფემ დამპყრობლებთან ბრძოლა ახალი ძალით გააჩაღა. მან ყიზილბაშებიც და ოსმალებიც ქართლიდან გარეკა.

სამშობლოს თავისუფლებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს ქართველმა ხალხმა სიმონ დიდი უწოდა. დიდმა ქართველმა მხედართმთავარმა გიორგი სააკაძემ კი მისი ამ ღვაწლის შესახებ მოსწრებულად თქვა: ქართლს ხმალი იმან შეარტყაო.

ქეთევან დედოფალი

1605 წლის მარტში კახეთი გაუგონარმა ამბავმა შეძრა: გათათრებულმა კონსტანტინემ საკუთარი ხელით დახოცა კახეთის მეფე ალექსანდრე და უფლისწული გიორგი. მოხუცი მამისა და ძმის მოკვეთილი თავები ირანში შაჰ-აბასს გაუგზავნა, თვითონ კი თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა.

კონსტანტინე სულ პატარა იყო, როცა შაჰმა ირანში მძევლად წაიყვანა, სპარსულ წესზე გაზარდა, გაათათრა, კახეთში ყიზილბაშთა ჯარით გამოგზავნა და ეს საზარელი საქმე ჩაადენინა.

მამისა და ძმის მკვლელმა ცოტა ხნის შემდეგ რძალს, ქეთევან დედოფალს შეუთვალა – ცოლად გამომყევიო. ქეთევანი კონსტანტინეს ძმის, დავითის ცოლი იყო. ქმარი ორი წლის წინ მოჰკვდომოდა.

შეურაცხყოფილი დედოფლის მოწოდებაზე კახეთი ფეხზე დადგა. ლაშქარი ბელაქნის წყალთან შეგროვდა. ერთ ბორცვზე სამეფო დროშა აღმართეს, ქვეშ თავიანთი ცოლ-შვილი დასხეს, ქეთევანთან ფიცი დადეს და საომრად გავიდნენ.

სასტიკი ბრძოლა ყიზილბაშთა დამარცხებით დამთავრდა. სახელოვანმა სარდლებმა დავით ჯანდიერმა, თამაზ და ბებურ ვაჩნაძეებმა სამი მხრიდან გზა მოუჭრეს მოღალატე კონსტანტინეს და ერთდროულად შუბებზე ააგეს.

კახელებმა შაჰს შეუთვალეს: კონსტანტინეს თავისი არაკაცობისათვის მიეზღო. ახლა მეფედ ქეთევანის შვილი თეიმურაზი გვინდაო. შაჰი იძულებული გახდა თავის მარცხს დროებით შერიგებოდა და მძევლად წაყვანილი თეიმურაზი გამოეშვა.

გავიდა შვიდი წელი. შაჰმა, მრავალი ხრიკის მიუხედავად, თეიმურაზ მეფე თავის მორჩილად ვერ აქცია. ბოლოს დიდი ჯარით მოადგა კახეთის საზღვარს და შემოუთვალა: შენს ერთგულებაში ეჭვი მეპარება. თუ მართლა ჩემი ერთგული ხარ, შვილი გამომიგზავნე მძევლად, არადა კახეთს ავაოხრებო.

თავადებმა მეფე დაითანხმეს და შაჰს უმცროსი შვილი ალექსანდრე გაუგზავნა. ბავშვი სულ სამი წლისა იყო და დედითაც დაობლებული გახლდათ. ქეთევან დედოფალს შეეცოდა უმწეო ბავშვი და შვილიშვილი თვითონ წაიყვანა ირანში. შაჰმა პასუხად შემოუთვალა: პატარა ბავშვი რომ გამომიგზავნე, ძიძა ხომ არა ვარ. ახლავე უფროსი შვილი გამომიგზავნეო. თავადებმა ისევ აიძულეს მეფე, რომ მეორე შვილი ლევანიც გაეგზავნა მძევლად. ლევანი მაშინ 5 წლისა იყო. შაჰმა კიდევ შემოუთვალა: ძალიან მომენატრე და ბარემ შენც მესტუმრეო. თეიმურაზი ახლა კი მიხვდა, რომ ვერაგ შაჰს მისი დედაბუდიანად ამოწყვეტა სურდა. შაჰს წვევაზე უარი შეუთვალა.

გულმოსული შაჰი კახეთს შემოესია და საშინლად ააოხრა. მრავალი ათასი ადამიანი აყარა და შორეულ ირანში გადაასახლა. თეიმურაზის შვილები წამებით დახოცა. ქეთევანი ათ წე-

ლიწადს ტყვეობაში ჰყავდა. მერე შეუთვალა: ქრისტიანობა დათმე, გათათრდი და ცოლად წამომყევიო. მანამდე შაჰს ცოლად ჰყავდა ქეთევანის მცირეწლოვანი შვილი ელენე. დედოფალმა ზნედაცემულ შაჰს ცივი უარი შეუთვალა.

1624 წლის 13 სექტემბერს ქალაქ შირაზში უთვალავი ხალხი შეიყარა. აქ შაჰ-აბასის ბრძანებით სახალხოდ აწამეს ქეთევან დედოფალი. შაჰის ისტორიკოსი წერს: შაჰ-აბასს საგანგებოდ გაწვრთნილი ჯალათები ჰყავდა. ისინი სიკვდილმისჯილებს კბილებით გლეჯდნენ, ვიდრე სული არ ამოხდებოდაო. ასეთ წამებას კი შაჰ-აბასი თურმე სიამოვნებით უყურებდა. დედოფლის წამებასაც დაესწრო შაჰი თავისი დიდებულებით. მათთვის საგანგებო მაღალი ტახტრევნები და საჩრდილობლები მოეწყოთ.

ჯალათებმა ცეცხლში გავარვარებული იარაღებით აწამეს ამაყი დედოფალი: თავზე გავარვარებული გვირგვინი დაადგეს, ლურსმნებზე დააწვინეს, გული ბარით დაუდაღეს, მარწუხებით მკერდი მოაგლიჯეს და ჭრილობებში მხურვალე შამფურები აძგერეს. მერე მთელ სხეულზე ცხელი ლურსმნები დააყარეს.

სინაზითა და სილამაზით განთქმულმა დედოფალმა დიდი სიმტკიცე გამოიჩინა. სული ისე განუტევა, შეწყალება არ უთხოვია.

დამთავრდა საზარელი სეირი. ბრბო დაიშალა: ნადირის ბუნებისანი – კმაყოფილი მასლაათით, ადამიანური გრძნობის მქონენი – დამწუხრებულნი.

ჯალათებმა დედოფლის ნაწამები სხეული უპატრონოდ დატოვეს, დამარხვა აკრძალეს. ღამით კათოლიკე მღვდლებმა ცხედარი მოიპარეს და ისპაჰანში წაიღეს. იქ კათოლიკურ ეკლესიაში დაასვენეს. ორი წლის შემდეგ დედოფლის წმინდა ნაწილები კახეთში თეიმურაზს ჩამოუტანეს, ნაწილი კი ინდოეთსა და პორტუგალიაში წაიღეს. 2006 წელს ინდოელმა არქეოლოგებმა ქალაქ გოას მიწისძვრით დანგრეულ ტაძარში აღმოაჩინეს ქვის ლუსკუმა ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებით. პორტუგალიაში კი, ქალაქ ლისაბონში, და-გრასას მონასტერში, ახლაც არსებობს 9 მეტრიანი კედლის მხატვრობა, რომელზეც ასახულია დედოფლის წამება.

საქართველომ ღირსეულად იგლოვა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის წამებული დედოფალი. მისი წმინდა ნაწილები ალავერდის ტაძარში დაკრძალეს. ეკლესიამ დედოფალი წმინდანად შერაცხა. 26 სექტემბერი წმინდა დიდმოწამე ქეთევან

ღედოფლის ხსენების დღეა. მისმა თავდადებამ ახალი ძალა შემატა ქართველ ხალხს მტერთან ბრძოლაში. იქნებ მისმა თავგანწირვამაც გადაარჩინა ერი იმ მძიმე წლებში გულის გატეხასა და გადაგვარებას?

წმინდა თევდორე

1609 წელს საქართველოს 60 ათასი თურქი შემოესია. თურქებს ფერჰად-ფაშა მოუძღოდა. მათ ლაშქარში იყო 2 ათასი ყირიმელი თათარიც სათარ-ხანის მეთაურობით. მტერი მანგლისს მოადგა. ქართლის ჭაბუკი მეფე ლუარსაბი სოფელ ცხირეთში ისვენებდა და მტრის შემოჭრისა არაფერი იცოდა. თათრები გზადაგზა სწვავდნენ და ანგრევდნენ სოფლებსა და ქალაქებს, მოსახლეობას კი ხოცავდნენ, რომ ქართლის მეფესთან ამბის მიმტანი არავინ დარჩენილიყო.

სოფელ კველთაში თათრებმა თევდორე მღვდელი შეიპყრეს. ჯერ ლახტით ცემა დაუწყეს, მერე უბრძანეს – მოკლე გზით ცხირეთში გადაგვიყვანეო.

თევდორე დათანხმდა. აქედან ცხირეთში მიმავალ კაცს ჩრდილოეთისაკენ უნდა ევლო. თევდორემ კი მტერი დასავლეთისაკენ წაიყვანა. მთელი დღე თრიალეთის ღადა-ღუდეებში უგზო-უკვლოდ ატარა და დაღამებისას ქვენადრისის უღრან ტყეში შერეკა.

ქანცგაწყვეტილი თათრები მიხვდნენ, რომ მღვდელმა განზრახ აუბნია გზა და სულ სხვა მხარეს წაიყვანა. მათ სასტიკად აწამეს თევდორე, მერე კი ასო-ასო აკუწეს. მტერმა მეორე დღეს ძლივს გაიგნო გზა ცხირეთისაკენ.

ამასობაში მეფის ყურამდე მიაღწია მტრის შემოსევის ამბავმა. სახელოვანმა მხედართმთავარმა გიორგი სააკაძემ ცოტაოდენი ლაშქრის შეგროვება მოასწრო. ქართველების ერთი მუჭა ლაშქარმა თათრების დიდი ჯარი სასტიკად დაამარცხა.

თიბათვე იდგა. ხალხი გამარჯვებას ზეიმობდა. ქვენადრისში კი ყაყაჩო ყვაოდა და თევდორეს სისხლისფრად ღადღადებდა ყანები. ბუჩქებზე მოლაღურები ისხდნენ და მოსთქვამდნენ. მოლაღური იყო თევდორეს ჭირისუფალი, სანამ ხალხი მიაგნებდა წამებულის ცხედარს.

თევდორე სადაც დაიღუპა, იმ ადგილზე მეფის ბრძანებით პატარა ეკლესია ააგეს. ხალხმა თევდორეს თავდადებული უწოდა, ეკლესიამ კი წმინდანად შერაცხა.

ამბობენ, იმ ადგილებში ახლაც მწუხარე თიბათვე იცისო: ღამით მოლაღურები ქვითინებენ თურმე, დღისით კი მდელოებზე ყაყაჩოები წმინდა თევდორეს სისხლის წვეთებივით ჩანან.

21 ივნისი წმინდა მოწამე თევდორე მღვდლის ხსენების დღეა!

დიდი მოურავი

„მაშ ნუ დადუმდება სამართალი და მართებული მსჯავრი გამოუტანოს იმ საქმეებს, რომელთაც ყველა როდი იცნობს მათი ნამდვილი სახით.“

(პლატონ იოსელიანი).

რა თქვა შაჰ-აბასმა გამარჯვების ნადიმზე

იდი ხანია ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს ებრძვიან წინა აზიაში პირველობისთვის. აი ახლაც ირანისა და ოსმალეთის ჯარები ერთმანეთს ებრძვიან ერევანთან. ქართლის ლაშქარი ირანს ეხმარება. აღარ არის ლომგული მეფე და დამპყრობთა რისხვა – სიმონ დიდი. ქართლის მხედრობას ახლა სათავეში უდგას მისი შვილი გიორგი მეათე.

თურქთა სერასკირი ალი-ფაშა სამჯერ მეტი ჯარით ორი მხრიდან უტევს შაჰ-აბასის ლაშქარს. უჭირთ ირანელებს. ცოტაც და ირანისა და ქართლის ჯარებს განადგურება არ ასცდებათ. საგონებელშია შაჰ-აბასი. მდგომარეობიდან გამოსავალი არ ჩანს. გონივრული რჩევა ვერც მრავალ ბრძოლაში ნაცადმა დიდმა სარდლებმა და ვეზირებმა მისცეს. შაჰი მეფე გიორგის მიაჩერდა. ქართველები ახლა უკანასკნელი იმედიღაა.

მეფე გიორგის ნებართვით წინ წამოდგა ქართველთა ერთ-ერთი რაზმის უფროსი, ჭაბუკი გიორგი სააკაძე და თავისი გეგმა

წარმოადგინა. სააკაძის გეგმა ძალიან გონივრული იყო. განცვიფრებული შაჰ-აბასი ქართველ ჭაბუკს შუბლზე ეამბორა, ათასი ოქრო უბოძა საჩუქრად და მეწინავე ლაშქრის ანუ ქართველთა ჯარის მთავარსარდლად დანიშნა.

სააკაძის მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. ოსმალთა ლაშქარი სასტიკად დამარცხდა. სერასკირი ტყვედ ჩავარდა. ოსმალთა მთელი ბანაკი, უამრავი განძი და საჭურველი შაჰს ნადავლად დარჩა.

შაჰმა გამარჯვების ნადიმი გამართა. ნადიმზე კიდევ ერთხელ გაიხსენა იმ დღის მთავარი გმირი სააკაძე და მეფე გიორგის უთხრა:

„აი, ეგ საარაკო ჭაბუკი არის ნამდვილი სარდალი, დიდი ნებისა და დიდი ჭკუის ადამიანი. კარგად გაუფრთხილდით. ასეთი სარდლით ჭკვიან მეფეს მსოფლიოს დაჩოქება შეუძლია“...

შაჰმა შეავსო ფიალა ღვინით და მეფე გიორგის მიაწოდა. იმ წამს არავინ იცოდა, რომ შაჰმა ნელი მოქმედების საწამლავი შეაპარა ღვინოში. მას არ სიამოვნებდა ქართლის ტახტზე ჭკვიანი და ძლიერი მეფის ყოფნა. სამშობლოში დაბრუნებული გიორგი მეფე მალე გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მეფემ საკაძეს თავადობა და ქართლის ჯარის მთავარსარდლობა ანუ ქართლის მოურაობა უბოძა. თან უამრავი ყმა და მამული აჩუქა.

გიორგი მეათის სიკვდილის შემდეგ ქართლის მეფე გახდა მისი შვილი ლუარსაბ მეორე.

ტაშისკარის ხაფანგში

გიორგი სააკაძე დარწმუნდა, რომ მტრისგან აწეწილი და დაქუცმაცებული საქართველოს გადარჩენისათვის საჭირო იყო მეფის ხელისუფლების გაძლიერება, ფეოდალების თავნებობის შეზღუდვა, ვაჭრობის გამოცოცხლება, გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება. სააკაძემ შემოიკრიბა უბრალო ხალხის წრიდან გამოსული ნიჭიერი ძმადნაფიცები – პაპუნა ჩივაძე, პაპუნა ვაშაყაშვილი, თამაზ ქარსიძე, გიორგი ქავთარაძე, ლომი ჩრდილელი და დაიწყო ზრუნვა ქვეყნის ფეხზე დაყენებისათვის. პირველ

რიგში შეუდგა ქართლში ჩაბუდებული მტრის გაძევებას, მათი შიშით მთებში და ტყეებში დამალული გლეხების უკან დაბრუნებას და სოფლებში დასახლებას. ხალხმა ამ საქმისათვის მას სიყვარულით დიდი მოურავი უწოდა.

მაგრამ მტერი არ ისვენებდა. 1609 წლის ივნისში თურქთა 60 ათასიანი არმია მოულოდნელად შემოიჭრა საქართველოში. მტრის ლაშქარს გამაჰმადიანებული ქართველი ფერჰად-ფაშა მეთაურობდა.

უკვე მესამედ მოდიოდა ქართლის დასაპყრობად ფერჰად-ფაშა. ორჯერ სიმონ მეფემ დაამარცხა და გააძევა. ახლა სიმონი აღარ იყო ცოცხალთა შორის. გულმოცემულ ფაშას ამჯერად გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა.

ლუარსაბ მეფე ამ დროს სოფელ ცხირეთში იყო. მეფეს ახლდნენ სარდლები – გიორგი სააკაძე და ზაზა ციციშვილი. მათ სულ 2 ათასი მებრძოლი ჰყავდათ. მტერი ახლოს იყო. საააკაძემ ახლო-მახლო სოფლებიდან სასწრაფოდ შეაგროვა კიდევ ხუთასამდე მებრძოლი და მტრის დასახვედრად გაემართა.

მდინარე თეძმის ხეობაში, სხერტის ჭალასთან, გიორგი საააკაძე და ზაზა ციციშვილი 2500 კაცით განთიადზე მოულოდნელად თავს დაესხნენ თურქებს. ქართველების თავდასხმამ მტერი დააბნია. მათი ბანაკი აიშალა და გაქცევა იწყო. სიბნელეში თურქებმა ვერ შენიშნეს, რომ ქართველები ძალიან ცოტანი იყვნენ. თურქებს უნდოდათ მტკვარზე გადასვლა და გორის ციხეში გამაგრება. ქართველები ფეხდაფეხ მისდევდნენ და დასვენებისა და გონს მოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ. მტკვრის იქითა მხარეს ნუგზარ ერისთავის ორიათასკაციანი ცხენოსანი რაზმი მიჰყვებოდა და მტერს მდინარეზე გადასვლას უშლიდა.

გორის მიდამოებში, სოფელ დოესთან სომეხმა მღვდელმა ტერ-საააკამ შენიშნა თურქთა ლაშქარი, სასწრაფოდ შეკრიბა ხალხი და ხიდის ფიცრები ააყრევინა. მტერმა ხიდზე გადასვლა ვერ შეძლო. თურქებს თავზარი დაეცათ. ამ დროს საააკაძეს შეუერთდნენ მუხრან-ბატონის, ქსნის ერისთავის, ამილახორისა და სხვათა რაზმები. ქართველების ლაშქარში უკვე 8 ათასი კაცი შეგროვდა.

სოფელ ბრბონასთან მტერმა სახელდახელოდ გადალახა მტკვარი და ტაშისკარის ვიწროებში შევიდა. სააკაძეს წინასწარ ჰქონდა განზრახული მათი აქ შერეკვა. ახალციხისკენ მიმავალი გზა თურქებს გადაუკეტა სოფელ კორტანეთთან შალვა ქსნის ერისთავმა. თურქების უზარმაზარი არმია ხაფანგში გამომწყვდეული აღმოჩნდა. თურქთა სარდალი ფერხად-ფაშა ან ტყვედ უნდა დანებებოდა, ან ბრძოლაში ჩაბმულიყო. მესამე გზა აღარ არსებობდა.

აქამდე ქართველები სულ ღამღამობით ესხმოდნენ თავს. თურქები ახლაც, ტაშისკარში, მთელ ღამეს ფხიზლობდნენ და ქართველების თავდასხმას ელოდნენ. დღედაღამ შეუსვენებლად სიარულმა, აქაც გათენებამდე ლოდინმა და უძილობამ თურქებს ქანცი გაუწყვიტა.

27 ივნისს, დილით, ქართველთა ბანაკში უამრავი კოცონი აინთო. თითქოს ქართველები ამ დღეს ბრძოლას არ აპირებდნენ და ჩვეულებრივ საუზმისათვის ემზადებოდნენ. თურქები მათ შემოტევას აღარ ელოდნენ და დაარხეინდნენ.

ზენა ქარი ქროდა და კოცონების ბოლი თურქებისაკენ მიჰქონდა. თვალწინ აღარაფერი ჩანდა. სააკაძე ქართველთა დამკვრელი რაზმით ამ ბოლის ფარდას მიჰყვა და თურქების სანგრებს შეუმჩნევლად მიუახლოვდა. უცებ იქუხა ქართველთა თოფებმა და პირველ სანგრებში უამრავი იანიჩარი დაცხრილა. სააკაძე თავისი რაზმით მტრის შუაგულში შეიჭრა და მთავარსარდლის ფერხად-ფაშას კარვისაკენ გაემართა. დანარჩენმა ქართველებმა ყველა მხრიდან შეუტიეს. თავზარდაცემული მტერი აირდაირია და რამდენიმე ნაწილად გაყოფილი ალყაში აღმოჩნდა. ფერხად-ფაშა თავისი სარდლებიანად ტყვედ ჩავარდა. ოსმალთა არმია განადგურდა. 60 ათასი კაციდან მარტო 12 ოსმალომ გაასწრო. როგორც იმ დროის მომსწრენი წერენ, სამი დღის მანძილზე მოსახლეობა ტყეებში იჭერდა შეშინებულ ოსმალებსო. ქართველების მხრიდან მსხვერპლი უმნიშვნელო იყო. მათ დიდძალი ნადავლი დარჩათ. მეფე ლუარსაბმა ტყვეები ფერხად-ფაშა და მუჰამედ ფაშას ძე შაჰ-აბასს გაუგზავნა საჩუქრად.

მარტო ტაშისკარის ერთი ომიც კი საკმარისი იყო ნებისმიერი მხედართმთავრის საყოველთაო აღიარებისა და დიდებისათვის.

შეთქმულება სააკაძის წინააღმდეგ

გიორგი სააკაძეს სურდა საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა მტრის გამკლავება და ქვეყნის გადარჩენა. ირანსა და ოსმალეთს ეს არ მოსწონდათ. ისინი ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტად დაექუცმაცებინათ საქართველო, წაეკიდებინათ ერთმანეთისათვის ცალკეული კუთხეები და დაესუსტებინათ, რომ მერე უფრო ადვილად დაემორჩილებინათ და თავიანთ სამუდამო სამფლობელოდ ექციათ.

ძლიერი სამეფო არც ზოგიერთ თავგასულ ქართველ დიდებულს სურდა. ისინი ოცნებობდნენ მეფეს არ დამორჩილებოდნენ, პირიქით, თავიანთ ჭკუაზე ეტარებინათ და თავისუფლად ეპარპაშათ. გიორგი სააკაძე ხელს უშლიდა მათ თავგასულობას. ამიტომ მოღალატე თავადებს სძულდათ სააკაძე, შურდათ მისი ნიჭი და სახელი. ვერ იტანდნენ, რომ მათზე დაბალი წრიდან გამოსული კაცი ქართლის მოურავი და მხედართმთავარი გახდა. თავადები განსაკუთრებით იმან გააბოროტა, რომ ლუარსაბ მეფემ გიორგი სააკაძის და ითხოვა ცოლად. აზნაურის ქალის დედოფლად გახდომამ მათი მოთმინების ფიალა აავსო და საკაძის დამხობა გადაწყვიტეს. შეთქმულებას სათავეში ჩაუდგნენ შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი, ანდუყაფარ ამილახორი და სხვები. ცბიერმა კარისკაცებმა მეფე ლუარსაბი გადაიბირეს, დედოფალი გააშვებინეს და მონასტერში მონაზვნად აღკვეცეს. მათ იმედი ჰქონდათ, რომ სააკაძე ამით გაბოროტდებოდა, მეფეს გადაემტერებოდა და უფრო ადვილად იძიებდნენ შურს. გიორგი სააკაძე გულისთქმას არ აჰყვა, საქართველოს განთავისუფლების სანუკვარი მიზნისათვის პირადი შეურაცხყოფა დაივიწყა და კვლავ მეფის ერთგულ სამსახურს განაგრძობდა. შეთქმულებმა მეფე დააჯერეს სააკაძის მოღალატეობაში და დაითანხმეს, რომ მოეკლათ. მეფემ დიდი მოურავი კოჯორში მიიწვია ვითომ სანადიროდ. გიორგის მხოლოდ პაპუნა ჩივაძე ახლდა. შეთქმულთა ღალატი შეიტყო ბააკა ხერხეულიძემ, განთიადისას გაიპარა მეფის ბანაკიდან და მძინარე სააკაძეს შესძახა: – გიორგი, თავს უშველე! მეფემ ფიცი გატეხა. გიღალატეს. მოდიან მტრები შენს მოსაკლავად!

სააკაძე ელვის სისწრაფით მოევლო უბელო ცხენს და გაქუსლა. მან ერთი ფეხით გაასწრო მკვლელებს. მეფემ გზები შეკრა და დღედაღამ ეძებდა სააკაძეს. გიორგი დაუსხლტა მდევრებს და ირანში გადაიხვეწა. გაბოროტებულმა თავადებმა გადაწვეს ნოსტეში სააკაძის სახლ-კარი და მთელი მისი ქონება დაიტაცეს. ასე გადაუხადეს ტაშისკარის გმირს სამაგიერო მოღალატე დიდგვაროვნებმა.

გამოცდა

სიხარულით ცას ეწია შაჰ-აბასი: სამშობლოდან გაძევებული სააკაძე ეწვია. მოძმეთა უგუნურებამ და უმადურობამ იმ დროის უდიდესი და უნიჭიერესი სარდალი მისი ქვეშევრდომი გახადა.

სააკაძის სარდლობითა და ქართველების დახმარებით შაჰ-აბასმა ზედიზედ დაიპყრო ავღანეთი, ყანდაარი, ქურთისტანი, ერაყი. დაამარცხა და დახარკა სინდეთი და თურქეთი. ინდოეთიდან ეგვიპტემდე სააკაძის სახელი ქუხდა. იგი გოლიათური აგებულებისა და გასაოცარი ძალის კაცი იყო. მაგრამ მკლავის ძალაზე მეტად მისი ხმისა ეშინოდათ. ისეთი ძლიერი ხმა ჰქონდა, რომ მისი საბრძოლო ყიჟინა შიშის ზარს სცემდა, არევდა და ფანტავდა მტრის ჯარს. ამ თვისებით იგი ჰგავდა „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირს ტარიელს, ანდა ძველი რომის სარდალს კატონს. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ წერს: ქაჯეთის ომის დროს „კაცსა უკრავად დაბნედდის ხმა ტარიელის ხაფისა“. ხოლო რომაელი ისტორიკოსი პლუტარქე წერდა: მარკუს კატონი „მუქარითა და შემაძრწუნებელი ყიჟინით მტერს შიშის ზარს სცემდა, სამართლიანად ფიქრობდა და სხვებსაც შეაგონებდა: ზარდამცემი ყიჟინა ხშირად მახვილზე მეტად აფრთხობს მტერსო.“ ომში ზარდამცემი ყიჟინა იცოდა ვახტანგ გორგასალმაც. ისტორიკოსი ჯუანშერი ასე აღწერს გორგასლის ბრძოლას: მასში ოთხასიათასზე მეტი მეომარი მონაწილეობდა, „ამიერ და იმიერ სპათაგან იყო ცემა ბუკებისა და დაბდაბთა. და იზახდეს ხმითა აღწევნულითა სპანი ორნივე, ქართველნი და ოვსნი, რომლითა იძრვოდეს მთანი და

ბორცვნი... და ეგოდენსა სიმრავლესა სპათასა იცნობებოდა ხმა ვახტანგისი, ვითარცა ხმა ლომისა“.

სააკაძემ ჩინებულად იცოდა თურქული, ბერძნული, იტალიური, სპარსული ენები. ჰქონდა მჭევრმეტყველებისა და სხვათა დარწმუნების ნიჭი. გიორგის არაჩვეულებრივ ღონესა და საზრიანობაზე არსებობს ასეთი გადმოცემა: შაჰს ბევრი რამ გაეგონა სააკაძის გულოვნებაზე და მისი გამოცდა განიზრახა. ერთ საღამოს დიდი მოურავი სასახლის ბაღში მარტოდმარტო სეირნობდა. თითქმის უიარაღო იყო. წელზე მცირე ხანჯალი ეკიდა მხოლოდ. მოულოდნელად ხეივნის სიღრმიდან ორი პირდაღრენილი ლომი გამოვარდა. ფიქრებში წასული სააკაძე უცებ გამოერკვა, მაღალი ბეწვის ქუდი მოიხადა და მარცხენა ხელზე დაიხვია, მარჯვენით ხანჯალი იძრო. ლომები თითქმის ერთდროულად მივარდნენ. გიორგიმ ერთს ხახაში ქუდი ჩასჩარა, მეორეს კი ხანჯლით თავი გაუპო. მერე ხანჯალი მეორე ლომს გულში ჩასცა. ეს თვალის დახამხამებაში მოხდა. გიორგიმ ლომის ფაფარზე გაწმინდა სისხლიანი ხანჯალი, ჩააგო ქარქაშში და კვლავ მშვიდად განაგრძო სეირნობა.

ამ სურათს მაღალი კოშკიდან ფარულად უმზერდნენ შაჰ-აბასი და მისი მხლებლები. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ლაშქრობა საქართველოში

როცა შაჰ-აბასმა მთელი შუა და ახლო აღმოსავლეთი დაიპყრო, საქართველოსთვის მოიცალა. მას განზრახული ჰქონდა საქართველოს მოსახლეობის უმეტესობის გაულეტა, დანარჩენების ირანში გადასახლება. საქართველოში მათ ნაცვლად ყიზილბაშები უნდა დაესახლებინა და ქართლ-კახეთი მუსულმანურ სახანოებად ექცია. პირველი ლაშქრობა 1614 წლის ზაფხულში მოაწყო: ქართლი და კახეთი მტერს დანებდნენ, ივრისა და არაგვის ხეობებში კი მოსახლეობამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ირანელებმა ეს ხეობები სასტიკად ააოხრეს და გაძარცვეს. 30 ათასი ქართველი კი ტყვედ წაასხეს. კახელებმა ირანის უღელი არ დაიდგეს, აჯანყდნენ და ყიზილბაშთა

მეციხოვნე ჯარები გაწყვიტეს. მათ ირანიდან ჩამოსული მაშველი ჯარიც დაამარცხეს. მაშინ შაჰი საგანგებოდ მოემზადა და 1616 წლის გაზაფხულზე კახეთს მოადგა. უთანასწორო, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში კახელები დამარცხდნენ. ერთ თვეში 80 ათასი ქართველი გაწყდა ალაზნის ველზე. მეფე თეიმურაზმა ხალხი განსაცდელში მიატოვა და იმერეთში გადაიხვეწა. შაჰმა აყვავებული კახეთი ნასოფლარებად, გაკაფულ ბაღ-ვენახებად, გადამწვარ მინდვრებად აქცია. მან ამჯერად კახეთიდან 150 ათასი ქართველი ტყვედ ჩაიგდო . ტყვეებიდან სამი ათასი ულამაზესი ქალწული დაარჩია, 13-18 წლისანი და ჯარების უფროსებს დაურიგა საჩუქრად, ას ოცი კი თავის ჰარამხანაში გაგზავნა.

დანარჩენი ტყვეები ჯგუფებად დაყვეს. თითო ჯგუფში 20 ათასი ტყვე იყო. ისინი ერთმანეთზე თოკებით გადააბეს და ირანის შორეულ გზას გაუყენეს. ტყვეებს აქეთ-იქიდან იცავდა და ცემით მიერეკებოდა 25 ათასი ცხენოსანი და ქვეითი ჯარისკაცი. მათ ქართლის დროებითი მმართველი, გათათრებული და სულგაყიდული ქართველი გურგენ-ხანი მეთაურობდა.

გზაზე ქართველთა პარტიზანული რაზმები დაესხნენ და 20 ათასი ტყვე გაათავისუფლეს. დანარჩენებს კი ვეღარაფერი უშველეს. უბედურმა ტყვეებმა 2 ათასი კილომეტრი ფეხით გაიარეს. ბევრი მათგანი, განსაკუთრებით მოხუცები და ბავშვები, გზაში დაიღუპნენ.

რომის პაპს მისი ელჩი პეტრო დელავალე სწერდა: „საშინელი შედეგი მოჰყვა ქართველი ხალხის ასე გადასახლებას, რამდენი ადამიანის გაჟლეტა, გახრწნა და ბილწვა სპარსთა ჯარის მიერ, რამდენი ჩვილი ბავშვი დაარჩვეს მამებმა თავისივე ხელით ან ჩაყარეს წყალში, რომ არ ეცქირათ მათი ტანჯვისათვის, რაკი ყოველ ღონეს იყენენ მოკლებულნი მათ საპატრონოდ! რამდენს ჟლეტდა გზადაგზა დაცვენილთ სპარსთა მხედრობა! რამდენი ბავშვი მოგლიჯეს დედის ძუძუს და დაჰყარეს გზაზე მხეცთა საჭმელად, ცხენთა, ჯორთა და აქლემთა ფეხქვეშ სათელად; ჯარი და პირუტყვი უწყალოდ გადადიოდნენ გზაზე დაცვენილ მომაკვდავ ტყვეებზე...

რამდენი ქალი და კაცი იყიდებოდა პირუტყვზე იაფად! რამ-

ღენი სხვა ამისთანები ხდებოდა ღირსი სიბრალულისა, მაგრამ ყველას ვინ მოთვლის!

ქართველ ტყვეთა რიცხვი ისე დიდია, რომ დღეს არ მოიპოვება არც ერთი სახლი მთელ სპარსეთში, რომელიც არ იყოს სავსე ქართველებით, კაცით თუ ქალით.“

შაჰმა ტყვეებიდან საუკეთესო ვაჟკაცები სამეფო გვარდიაში ჩარიცხა ჯარისკაცებად, ბევრნი ტყვეთა ბაზარზე მონებად დაყიდა. ტყვეთა ნაწილი კი, როგორც საუკეთესო მეურნენი, ირანის სხვადასხვა მხარეში დაასახლა.

დაღუპვის პირზე

შაჰმა თავისი შვილიშვილი – ყორჩიბაშის ასული მიათხოვა ახალგაზრდა და უნიჭო სვიმონ მეფეს – ქართლის მმართველს. მეფე-დედოფალს დიდი ჯარი გამოაყოლა საქართველოში ვითომც ქორწილის მაყრებად. მერე გზადაგზა, სანამ საქართველოში ჩამოვიდოდნენ, ყოველ 2 კვირაში გზავნიდა ჯარის ახალ ნაწილებს, მეფე-დედოფლისათვის საჩუქრების მირთმევისა და მილოცვის მიზეზით. ამას ქართველების მოსატყუებლად აკეთებდა. ასეთი ხრიკებით შაჰმა ქართლ-კახეთი ირანის ჯარებით აავსო. ახლა მათი მთავარსარდლის ყარჩიხა-ხანის განკარგულებაში უკვე 100 ათასი ჯარისკაცი იყო. მათ უბრძოლველად ხელში ჩაიგდეს ყველა ციხესიმაგრე და საკვანძო გზები. შაჰმა ყარჩიხა-ხანს სარდლებად და მრჩევლებად გამოაყოლა დიდი მოურავი და ზურაბ ერისთავი. შაჰი მათ არ ენდობოდა. ამიტომ მძევლებად დაიტოვა სააკაძის უმცროსი ვაჟი პაატა და ზურაბ ერისთავის ცოლი.

ქართველები გვიან მიხვდნენ შეცდომას. გახიზვნა უკვე შეუძლებელი იყო. ხალხი ელდამ მოიცვა. ყველანი აშკარად გრძნობდნენ აღსასრულის მოახლოვებას. კახეთი თითქმის განადგურებული იყო. იქ ფეიქარ-ხანი თარეშობდა და აწიოკებდა უმწეო ხალხს. ქართლში დიდებულები ებრძოდნენ ერთმანეთს, სტაცებდნენ ქონებას, მიწა-წყალს, ყმებს და მერე მათ ირან-ოსმალეთში ჰყიდდნენ.

შვილი თუ სამშობლო?

ამ მძიმე ჟამს მტრის ბანაკში მყოფი გიორგი სააკაძე საქართველოს გადარჩენისათვის საიდუმლო მზადებას შეუდგა. მან კარგად იცოდა, რომ შაჰი შეთქმულებას არ აპატიებდა და მძევლად დატოვებულ შვილს მოუკლავდა. მაგრამ კარგად იცოდა ისიც, რომ თუ ახლა არაფერს იღონებდა სამშობლოს გადასარჩენად, საქართველო და ქართველი ხალხი სამუდამოდ მოისპობოდა. რა ფასი აქვს კაცს, თუ სამშობლო აღარ ექნება. ადამიანი ვალდებულია უყოყმანოდ გასწიროს თავი, თუკი სამშობლოს დაღუპვისაგან იხსნის. – ასე ფიქრობდა დიდი მოურავი. მან გადაწყვიტა შვილის გაწირვა და სამშობლოს გადარჩენა. ასეთი თავგანწირვა მხოლოდ გმირების ხვედრია. მან დაითანხმა ცოლისძმა ზურაბ ერისთავი, რომ მასაც გაეწირა მძევლად დატოვებული ცოლი სამშობლოს გადასარჩენად. სააკაძემ ფარულად ინახულა ზაქარია კათალიკოსი, წილკნელი ეპისკოპოსი პართენი, სარდლები ზაზა ციციშვილი, აღათანგ ხერხეულიძე, ნოდარ ჯორჯაძე, დავით ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრანბატონი და სხვა მამულიშვილები. მათ დაავალა ქართველების შეკრება და დათქმულ დღეს მტრის ბანაკზე მოულოდნელად თავდასხმა.

დიდი მოურავი ყარჩიხა-ხანთან ერთად იბრძოდა თურქეთში და ირანში. ნიჭიერ ყარჩიხა-ხანს ბევრი მტერი და მოშურნე ჰყავდა. ამიტომ არავის ენდობოდა და მუდამ ფხიზლად იყო. ლაშქრობის დროს, როცა ჯარი დაბანაკდებოდა, ყველა ხელქვეითი სარდალი გვერდით ჰყავდა და განუწყვეტლივ თვალყურს ადევნებდა. ყარჩიხა-ხანი თავის კარავს ბანაკის შუაგულში დგამდა. მასთან ახლოს მწკრივად უნდა დაედგათ თავიანთი კარვები დანარჩენ სარდლებს. ჯარისკაცების კარვები კი არანაკლებ ერთი კილომეტრის დაცილებით განლაგდებოდა ხოლმე. სააკაძემ გადაწყვიტა ამით ესარგებლა. მისი ჩანაფიქრი ასეთი იყო: როცა ზურაბ ერისთავი და სხვა ქართველი სარდლები მოულოდნელად მტრის ბანაკს მიადგებოდნენ, ირანელთა მთელი ყურადღება მათზე იქნებოდა გადატანილი. ყარჩიხა-ხანი აუცილებლად თავისთან იხმობდა ყველა სარდალს. ისინიც

სასწრაფოდ შეიკრიბებოდნენ სათათბიროდ. სწორედ ამ დროს სააკაძეს ელვის სისწრაფით უნდა გაენადგურებინა ირანელთა თავშეყრილი სარდლობა. მერე უმეთაუროდ დარჩენილი ჯარის დამარცხება ადვილი იქნებოდა.

ეს ძალზე სახიფათო ამოცანა იყო, მით უმეტეს, რომ სააკაძის ჯგუფი მხოლოდ ხუთი ქართველისაგან შედგებოდა.

ხარება დილას მარტყოფის ველზე

ერთ დღეს სააკაძე ლოჭინის ხეობაში სანადიროდ გამოსულიყო. გზაზე შაჰის შიკრიკი დაინახა, დაიჭირა და საიდუმლო წერილი წაართვა. შაჰი ყარჩიხა-ხანს სწერდა: „ყარჩიხან, ამით გიბრძანებ, მოჰკალ ახლავე ჩვენი მოღალატე გურჯი მოურავი და მისი მოკვეთილი თავი აქ გამომიგზავნე. ამავე დროს დააჩქარე კახეთის ხალხის მთლიანი გაჟლეტა, ხოლო ქართლელთა – დედაბუდიანად აყრა და ირანში გადმოსახლება.“

სააკაძემ შიკრიკი იქვე მოკლა, რომ ამბავი არ გახმაურებულიყო. დახანება აღარ შეიძლებოდა.

1625 წლის 25 მარტი (7აპრილი) თენდება. ხარება დღეა. უცებ გაისმა ბუკ-ნაღარის ხმა, ატყდა საშინელი ღრიანცელი. მძინარე ყიზილბაშები წამოცვივდნენ. ირანელთა 40-ათასიანი ჯარი საშინელმა არეულობამ მოიცვა. სააკაძის კარავში შიკრიკი მოიჭრა და შესძახა: - მოურავო, ყარჩიხანი გიხმობს სასწრაფოდ!

ხუთმა ქართველმა – გიორგი სააკაძემ, ელია დიასამიძემ, პაატა ხერხეულიძემ, პაპუნა ვაშაყაშვილმა და ავთანდილ სააკაძემ მთავარსარდლის კარვისკენ გააქროლეს ცხენები. იქ უკვე თავი მოუყრიათ დაბნეულ სარდლებს და მხედართმთავრის ბრძანებას ელიან.

თითქოს ქართველთა ძირითადი ძალები გაჟლეტილია, მაშ საიდანღა მოვიდა მათი ლაშქარი და როგორ მოხდა, რომ ყიზილბაშთა უზარმაზარი და ძლევამოსილი არმიის ბანაკს

ასე უჩუმრად ალყა შემოარტყეს? – გაოცებას ვერ მალავენ ისინი.

სააკაძემ ერთ ყიზილბაშს შუბი გამოსტაცა და მთავარსარდალს ყარჩი-ხანს გულში გაუყარა. მერე სარდალი იუსუფ-ხანი ხმლით გააპო. გიორგის შვილმა, 16 წლის ავთანდილმა ყორჩიბაშის შვილი იმამვერდი-ხანი განგმირა. ხუთივე ქართველი თავგანწირულად დაერია და მუსრი გაავლო ირანის მთელ სარდლობას – ათამდე ამირას, სულთანსა და ბეგლარ-ბეგს. ამ დროს ზურაბ ერისთავისა და ლომი ჩრდილელის მაშველმა ცხენოსანმა რაზმებმა სოლივით გააპეს ირანელთა რიგები და სააკაძის ჯგუფს შეუერთდნენ. ახლა ქართველები ყველა მხრიდან უტევენ – ბანაკის გარედანაც და შუაგულიდანაც. მათ მეთაურობენ მრავალნაცადი სარდლები – თეიმურაზ მუხრანბატონი, იასე ქსნის ერისთავი, ზაზა და ბაადურ ციციშვილები, აღათანგ ხერხეულიძე, ესტატე ამირეჯიბი, პაპუნა ჩივაძე, დავით ჯანდიერი. უმეთაუროდ დარჩენილი და თავგზააბნეული ირანელები უწესრიგოდ იბრძვიან. მათ ქართველებს ქვემეხები დაუშინეს. სააკაძე ქართველთა ერთი რაზმით გაიჭრა და ხელთ იგდო მათი ზარბაზნები, საჭურვლის საწყობები.

სააკაძის მოულოდნელი და გენიალური გეგმის შედეგად სასტიკი ბრძოლა ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ბრძოლაში 27 ათასი ირანელი ჯარისკაცი დაიღუპა. დანარჩენები ტყვედ ჩავარდნენ. მხოლოდ რამდენიმე კაცმა უშველა თავს.

ომების ისტორიამ არ იცის მეორე ასეთი მაგალითი, როცა 40-ათასიანი არმიის შუაგულში 5 კაცი მთელ სარდლობას სპობს. არც მანამდე და არც შემდეგ ეს არავის ჩაუდენია.

მარტყოფის ველზე მტრის მთავარი ძალების განადგურების შემდეგ ქართლ-კახეთის სხვადასხვა ციხეებში მდგომი ირანელთა ჯარები გაწყვიტეს. მთელი ქართლ-კახეთი ზეიმობდა გადარჩენას. ყველგან სააკაძის ქება ისმოდა. მან ხომ ორჯერ იხსნა საქართველო განადგურებისაგან.

სააკაძემ იმერეთში გადახვეწილი თეიმურაზი მოიწვია ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე. ასე შეერთდა 200 წლის წინათ გათიშული ქართლი და კახეთი.

შაჰის ნობათი

მარტყოფში დამარცხებამ დიდი ზიანი მიაყენა ირანის ძლიერებას. თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი წერდა: „ორმოცი წლის მანძილზე ირანს არ განუცდია ასეთი დიდი ზარალი.“ გიორგი სააკაძის სიმამაცესა და სამხედრო ნიჭზე ხმა გავრცელდა მთელი ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებში.

როცა შაჰმა გაიგო მისი საუკეთესო ჯარების განადგურებისა და ქართლ-კახეთის ტახტზე თეიმურაზის მოწვევის ამბავი, სასტიკად განრისხდა. სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ამ საქმის მთავარ გმირს გიორგი სააკაძეს შვილის – პაატას მოკვეთილი თავი გამოუგზავნა. უსაზღვრო იყო დიდი მოურავის გლოვა.

ქართველმა ხალხმა სამშობლოსათვის წამებული პაატა წმინდანად შერაცხა და ნოსტეს ახლოს, ერთაწმინდის ეკლესიაში დაკრძალა.

რა ქნა შურმა და უნიჭობამ

შაჰმა საქართველოზე შურის საძიებლად ახალი ჯარები გამოგზავნა. მტერი მარაბდის ველზე მოვიდა. ქართველთა ლაშქარი კოჯრის მიდამოებში იდგა. ქართველებს 20 ათასი მებრძოლი ჰყავდათ. ირანელები ექვსჯერ მეტნი იყვნენ. ირანელებმა საგულდაგულოდ გაამაგრეს ბანაკი სანგრებით და ქართველთა თავდასხმას ელოდნენ. ქართველებმა ბჭობა გამართეს. საქართველოში დაბრუნებულმა გიორგიმ თავის პირად მტრებს გულწრფელად აპატია და არც ერთი არ დაუსჯია. პირიქით, ცდილობდა ისინი საქართველოს გადარჩენისათვის დაერაზმა; მაგრამ კაცის ბუნება თურმე აგრე ადვილად არ იცვლება. სააკაძის მტრებმა არ მოიშალეს ღალატი. ყველაფერი თავიდან დაიწყო: ისევ გაიღვიძა მათმა უნიჭობამ, შურმა და გაუტანლობამ, თეიმურაზ მეფის უნებისყოფობამ და სიბეცემ. პირველი ნაბიჯი თავადების ღალატისა ის იყო, რომ ჯარების მთავარსარდლად თეიმურაზ მეფე აირჩიეს და არა მრავალ ქვეყანაში და დიდ ბრძოლებში საქვეყნოდ განთქმულ-გამოცდილი, დიდი მხედართმთავარი, საქართველოს

მხსნელი გიორგი სააკაძე. თეიმურაზი ადვილად წამოეგო მლიქვნელთა ბრიყვული რჩევის ანკესზე და დათანხმდა. ეს იმ დღის პირველი და ყველაზე დიდი შეცდომა იყო.

გიორგი სააკაძემ თქვა: – მტერი გაცილებით ჩვენზე მეტია. ამასთან კარგად გამაგრებული ბანაკი აქვთ. ჩვენი მცირერიცხოვანი მხედრობით მარაბდის გაშლილ ველზე ბრძოლა შეცდომა იქნება. ირანელები სიცხეს შეჩვეული ხალხია და ბრძოლა ისე არ გაუჭირდებათ, როგორც ჩვენ. მტერი კოჯრის ვიწროებში შემოვიტყუოთ. აქ მათ უფრო ადვილად დავამარცხებთ ისე, რომ ჩვენ ზარალი არ მოგვივიდესო.

თავადებმა მის გეგმას მხარი არ დაუჭირეს. ყველაზე მეტად ბარათაშვილი ცხარობდა: – მტერი ჩემს მამულებს აოხრებს, რაც მალე შევუტევთ, უკეთესია. მტერს დილის სიგრილეშივე დავამარცხებთო. სარდლების უმეტესობამ და თვით მეფემაც ეს უგუნური გეგმა მიიღეს. ეს მეორე დიდი შეცდომა იყო. მარაბდის ომში ქართველთა ჯარი ამ შეცდომების გამო წინასწარ უკვე მარცხისათვის განწირული აღმოჩნდა.

ივლისის ცხელი დღე გათენდა. ქართველთა ლაშქარმა პურის ყანებში სწრაფად იარა და მტერს რომ მიუახლოვდა, ცოტა ხნით შეისვენა. ეს შესვენებაც მტერმა იმისათვის გამოიყენა, რომ ქართველებს სრულ მზადყოფნაში დახვედროდა. აქ უკვე აღარ იყო გიორგი სააკაძის საყვარელი მოულოდნელობის სამხედრო ფანდი. ირანელთა გამოცდილმა სარდალმა ყორჩიბაშმა მაშინვე იგრძნო, რომ ქართველებს ამჯერად გიორგი სააკაძე არ მეთაურობდა. გულში ეამა ეს ამბავი.

შესვენების შემდეგ ქართველები საშინელი სისწრაფით გაქანდნენ მტრისკენ. ყორჩიბაშს სამ რიგად დაეყენებინა მეთოფეები: პირველ მწკრივში იდგნენ ქვეითი მეთოფენი, მეორე მწკრივში – ცხენოსანი მეთოფენი, მესამე რიგში – აქლემებზე მსხდომი მეთოფენი. იგრიალა ყიზილბაშთა 12 ათასმა თოფმა და მრავალმა ქვემეხმა. ქართველ მოიერიშეთა წინა რიგები ტყვიამ მოცელა. მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, ქართველები გადაევლნენ მტრის პირველ სანგრებს და ხმალდახმალ გადაეშვნენ ირანელთა მორევში.

რამდენიმე საათის საშინელი ბრძოლის შემდეგ ირანელებმა პირი იბრუნეს და გაიქცნენ. ავთანდილ სააკაძის მეთაურობით

ქართველთა ცხენოსანი ჯარი მტერს დაედევნა. ზურაბ ერისთავი თავში დაიჭრა და მის საშველად შეჩერდნენ თეიმურაზ მეფე, გიორგი სააკაძე და სხვა სარდლები. ამის გამო ისინი ქართველთა ჯარის ძირითადი ნაწილისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდნენ.

ქართველები გულდაჯერებული იყვნენ გამარჯვებაში და მტრის ბანაკის ალაფობას შეუდგნენ. სწორედ ამ დროს სოფელ წინწყაროს მხრიდან მარაბდის ველზე შემოვიდა ირანელთა 40-ათასიანი ახალი, დასვენებული ჯარი აზერბაიჯანის ბეგლარბეგის შახ-ბენდე-ხანის მეთაურობით. გაქცეული ყორჩიბაშის ჯარიც შემობრუნდა. ქართველები ალყაში აღმოჩნდნენ, თავისი სარდლობისაგან მოწყვეტილები, ივლისის თაკარა სიცხისაგან და მძიმე ბრძოლისგან ქანცგაწყვეტილები. ისინი აირივნენ და ჯგუფ-ჯგუფად უწესრიგოდ დაიწყეს გზის გაკაფვა.

გამწარებულმა სააკაძემ მუზარადი მოიხადა და ისე იბრძოდა, რომ ირანელებს ეცნოთ, შეშინებოდათ და გაქცეულიყვნენ. მოურავის საშინელი ხმა თავზარს სცემდა მათ. სააკაძეს ცხენი მოუკლეს და ქვეითად დარჩენილს შემოერტყნენ მოსაკლავად. ამ დროს ლომი ჩრდილელი წამოეშველა და ორივემ გაჟლიტეს თავდამსხმელები. ლომიმ თავისი ცხენი მიართვა მოურავს. სააკაძე სწრაფად ამხედრდა, წამოეწია თავისი ცხენის მკვლელს, შუაზე გააპო ხმლით და მისი ცხენი ჩრდილელს მიჰგვარა.

ავთანდილ სააკაძემ და დათუნა ერისთავმა ერთ ადგილას გააპეს მტრის ალყა და ქართველთა ჯარს გასაქცევი გზა მისცეს. ირანელებმა კოჯრის მთებამდე სდიეს მათ. ძალიან ბევრი ქართველი დაიხოცა, განსაკუთრებით გლეხების ფეხოსანი ჯარი. აქ გმირულად დაეცნენ სახელოვანი სარდლები, ტაშისკარისა და მარტყოფის ომების გმირები – ბაადურ ციციშვილი, დავით ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრანბატონი, აღათანგ ხერხეულიძე, ეპისკოპოსები რუსთველი და ხარჭაშნელი, 8 ხერხეულიძე, 9 მაჩაბელი, 7 ჩოლოყაშვილი. სულ მარაბდის ველზე დაეცა 9 ათასი ქართველი და 14 ათასი ირანელი.

დიდმა მოურავმა სიმწრით ხმალი მიწაში ჩაასო და შუაზე გადატეხა ამ სიტყვებით: ასე მოეღოს ბოლო მათ, ვისი მიზეზითაც დღეს საქართველო იღუპებაო.

ასე ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს სააკაძის მტრების –

თავადების ერთი ნაწილისა და თეიმურაზ მეფის ამპარტავნობა, სიბეცე, სხვისი ნიჭის დაუფასებლობა, პირადი შური და უნიჭობა.

მეფე თეიმურაზმა ქვეყანა განსაცდელში მიატოვა და ისევ იმერეთში გადაიხვეწა, თან რჩეული მეომრები გაიყოლა. თავადები ციხეებში ჩაიკეტნენ, ზოგი მტრის მხარეზე გადავიდა. მტერს ერთ-ერთი პირველი მიემხრო თავადი ბარათაშვილი. იგი სპარსელებმა მარაბდის ომის მეორე დღესვე ქვემო ქართლისა და თბილისის მოურავად დანიშნეს. ათი დღის შემდეგ ირანელებს მიემხრო და სააკაძეს უღალატა მისმა ცოლისძმამ – ზურაბ ერისთავმაც.

ხალხის ბელადი

უმეფოდ დარჩენილი ქართლ-კახეთის ხსნა გიორგი სააკაძემ ითავა. ის ნამდვილი სახალხო ბელადი გახდა. მან დაიწყო დაფანტული ხალხის შეგროვება, პატარ-პატარა რაზმების შექმნა და მტრის თითქმის ასიათასიან არმიას პარტიზანული ომები გაუმართა. მარაბდის ომის მეორე დღესვე სააკაძემ სამოცი კაცით ლისის მიდამოებში 700 ირანელი მოსპო. მას შეუერთდნენ სახალხო გმირები – ლომი ჩრდილელი, გოგოთური, ბერდია, გელა, პაპუნა ვაშაყაშვილი, ზურაბ ერისთავის ძმები გიორგი და დათუნა თავიანთი რაზმებით. სააკაძის მფრინავი რაზმები თავს ესხმოდნენ მტერს კოჯორთან, ავჭალასთან, წიწამურთან, ღართისკართან, თბილისთან. ისინი მოულოდნელი თავდასხმებით დიდ ზიანს აყენებდნენ მტერს და მერე ისევ ტყეებში უჩინარდებოდნენ. გიორგი სააკაძემ მტერი კოჯორთან ათ დღეს შეაჩერა თავისი რაზმებით. ამასობაში თბილისისა და ახლომახლო სოფლების ხალხმა ტყეებში გახიზვნა და სურსათ-სანოვაგის გაზიდვა მოასწრო. ათ დღეში მტერმა 10-15 კილომეტრით ძლივს წაიწია წინ.

ანდუყაფარ ამილახორს შაჰ-აბასის შვილიშვილი – ყორჩიბაშის შვილი ჰყავდა ცოლად. ანდუყაფარს ქართველები არ ენდობოდნენ, ამიტომ ჯერ კიდევ მარტყოფის ომის წინ მთაში, არშის ციხეში ჰყავდათ ჩაკეტილი. ახლა ყორჩიბაშმა მარაბდაში გამოჩენილ სარდალს შაჰ-ბენდე-ხანს 14 ათასი ჯარისკაცი მისცა და არშის ციხიდან თავისი ქალიშვილისა და სიძის გამოხსნა და-

ავალა. ზურაბ არაგვის ერისთავმა თავის სამფლობელოზე გზა დაუთმო ირანელებს იმ პირობით, რომ უკან ქსნის საერისთაოზე ჩამოვლით დაბრუნდებოდნენ. გიორგი სააკაძე მცირერიცხოვანი ლაშქრით ქსნის ხეობის ვიწროებში დახვდა მათ და სამდღიანი ბრძოლის შემდეგ 14-ათასიანი ირანელთა ჯარი ერთიანად გაჟლიტა ისე, რომ თვითონ ერთი კაციც არ დაჰკლებია. ბრძოლაში დაიღუპა შაჰ-ბენდე-ხანიც. ყორჩიბაში შეშინდა, თარეში შეწყვიტა, თბილისის ციხეში ჩაიკეტა და თავდაცვაზე გადავიდა. ცოტა ხნის მერე კი საქართველოდან განჯაში გაიქცა.

როცა ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები თავისი ბელადის – სააკაძის მეთაურობით თავგანწირვით იბრძოდნენ სამშობლოს გადარჩენისათვის, ქაიხოსრო ბარათაშვილი, ზურაბ ერისთავი, ანდუყაფარ ამილახორი, იასე ქსნის ერისთავი და სხვები შაჰის მხარეზე გადავიდნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ მამულების ხელში ჩაგდების მიზნით. ქართლ-კახეთს აოხრებდნენ ლეკებისა და ოსების მოთარეშე რაზმები. დიდ მოურავს მხარში ამოუდგნენ მესხი სარდლები დათუნა დიასამიძე, დავით გოგორიშვილი, როსტომ შალიკაშვილი, იმერეთის სამეფოს ჯარი.

გიორგი სააკაძის მეთაურობით სახალხო რაზმებმა ირანელები გარეკეს ხერთვისის, აწყურის, ფარავნის, ახალციხის, გორის, ბირთვისის, ლორეს, კეხვის, სურამის, ალის, განჯის ციხეებიდან.

მარაბდის ომიდან ერთი წლის შემდეგ, 1626 წლის ზაფხულში, სააკაძემ მთელი ქართლ-კახეთი გაწმინდა მტრისაგან. ამრიგად, როცა მეფემ და სხვა დიდებულებმა ქართლ-კახეთი მტერს ჩაბარეს, გიორგი სააკაძე სათავეში ჩაუდგა ხალხს და თავდადებული ბრძოლით უკვე მესამედ იხსნა საქართველო განადგურებისაგან. მან დააბრუნა და დაასახლა ტყეებში გაქცეული გლეხები, მისცა ადგილ-მამული, საშენი მასალა, გაათავისუფლა ბეგარისაგან, აღადგინა დაქცეული ქალაქები, სოფლები, ციხესიმაგრეები, ტაძრები, გამოაცოცხლა ვაჭრობა, აკრძალა ტყვეების გაყიდვა, ალაგმა დიდგვაროვანთა თარეში.

მარტო საქართველოში სააკაძესთან ბრძოლაში შაჰ-აბასმა დაკარგა თავისი საუკეთესოდ გაწვრთნილი 120-ათასიანი არმიიდან 60 ათასი კაცი. ამის გამო მას უკვე საქართველოს დაპყრობა აღარ შეეძლო.

არაერთი ძლევამოსილი ომი გადაიხადეს სპარსელებთან ჩვენმა წინაპრებმა გორგასალის, აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თამარ მეფის, ლუარსაბ დიდის, სიმონ დიდის დროს. ამ ომების ისტორიაში ოქროს ფურცლებად ჩაიწერა დიდი მოურავის გადახდილი ომები. ალბათ ამ ომების შედეგად გაჩნდა ძველი სპარსული ხალხური ანდაზა: „როცა შაჰი ჭკუიდან იშლება, საომრად გურჯისტანში მიდის.“

ის მწუხარე ბაზალეთი

განთავისუფლებულ ქართლ-კახეთში გიორგი სააკაძემ მეფედ ისევ თეიმურაზი მოიწვია. მოღალატე თავადებმა არც ამის მერე დააფასეს სააკაძის თავგანწირვა და ამაგი. თეიმურაზის მეთაურობით კვლავ დაუწყეს სააკაძეს მტრობა. მათ ბრძოლა გაუმართეს მოურავს ბაზალეთთან. არც ერთ ომში მანამდე საკაძე არ დამარცხებულა. ეს იყო პირველი და ერთადერთი ომი, სადაც იმ დროის უდიდესი სარდალი დამარცხდა. ბაზალეთში სააკაძეს ქარქაშიდან ხმალი არ ამოუღია. ეს იმიტომ, რომ მან, როგორც სამშობლოს ღირსეულმა შვილმა, არ იკადრა თავისივე ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა.

ვეზირისა და მისი ცოლის მუხანათობა

ორმოცდახუთი წლის გახდა დიდი მოურავი. თითქმის ოცდაათი წელიწადი მოანდომა საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლას. ომებში გაჭაღარავდა,არაერთი ხმალი შემოაცვდა,მაგრამ ოცნება – საქართველოს გაერთიანება, განუხორციელებელი დარჩა. საქართველო ისევ უცხოელთა სათარეშოა, საქართველოს უდიდესი შვილი კი, მეფისა და დიდებულთა უმადურობისა და სირეგვნის გამო, მთელი ოჯახით ისევ უცხო სახელმწიფოს კარზე ეძებს თავშესაფარს. სააკაძეს საკუთარი ნება-სურვილით ორმოცამდე თავგანწირული ქართველი მისდევს უცხოეთში. აქ არიან მისი უახლოესი თანამებრძოლები: კახაბერ ხერხეულიძე,

ელია დიასამიძე, გიორგი ქავთარაძე, თამაზ ქარსიძე, ქაიხოსრო მუხრანბატონი, პაპუნა ვაშაყაშვილი და სხვები. მის ამალაში აღარ არიან პაპუნა ჩივაძე და ლომი ჩრდილელი. პაპუნა მოთარეშეებთან ბრძოლას შეეწირა, ლომი ჩრდილელი დავით გოგორიშვილთან ერთად ბაზალეთში დაიღუპა.

ოსმალეთის სულთანმა მურად მეოთხემ დიდი პატივით მიიღო ქართველები. სააკაძის ნიჭი ახლა მისთვის დიდი ღვთის წყალობა იყო. ირანის ჯარის სათავეში მყოფ სააკაძეს არაერთხელ დაუმარცხებია ოსმალეთის არმია. ოსმალეთის მთავარსარდალი, სულთნის დის ქმარი, ხუსრევ-ფაშა ყველგან დამარცხებებს განიცდიდა. ახლა ოსმალთა არმიამ სააკაძის სარდლობით დაიპყრო დიდი ერაყი, ქურთისტანი, არაბეთი, არზრუმი, თოხატთა ქვეყანა. გიორგი სააკაძემ ოსმალეთში დიდი სახელი მოიხვეჭა. მას იცნობდნენ არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ ევროპაშიც.

სააკაძის დიდებამ შურით აღავსო ხუსრევ-ფაშას ცოლი. მან წააქეზა ქმარი და აიძულა, რომ ღალატით მოეკლა გიორგი სააკაძე. ხუსრევ-ფაშა ღამით დიდი ლაშქრით თავს დაესხა მძინარე ქართველებს და დაატყვევა. იმავე დილით მათ თავები მოჰკვეთეს.. ეს მოხდა 1629 წლის 3 ოქტომბერს ქალაქ ალეპოში. მტერს შემთხვევით ერთადერთი ქართველი – ბეჟან გორგასლიშვილი გადაურჩა. ბეჟანმა ეს სამწუხარო ამბავი სააკაძის ცოლსა და სიძეს შეატყობინა. დიდი მოურავის სიძე აჭარელი ჭაბუკი მამუდ-ბეგი სულთნის ფინანსთა მინისტრი იყო. მან სულთანს ამცნო ეს ამბავი. სულთნის ბრძანებით ვეზირ ხუსრევ-ფაშას ამ მუხანათობისათვის თავი წააგდებინეს სწორედ სააკაძის მკვლელობის ადგილზე. მისმა მეუღლემ, ფატმა-ხანუმმა კი თავი მოიწამლა და ასე გადაურჩა სულთნის რისხვას.

გიორგი სააკაძის მეუღლე თამარი ბეჟან გორგასლიშვილის თანხლებით გაემგზავრა თოხატთა ქვეყანაში. მას თან ხუთი ქართველი ახლდა. იქ, მთავარ ციხე-ქალაქში იპოვა დიდი მოურავისა და ორი შვილის – ზურაბისა და ავთანდილის ცხედრები. ეს დიდებული ქართველი ქალი იყო უცხოეთში დაღუპული დიდი მოურავისა და მისი ერთგული თანამებრძოლების უკანასკნელი ჭირისუფალი. სრულიად სამართლიანად წერდა მწერალი ანტონ

ფურცელაძე: „სააკაძემ სამშობლოს გადარჩენისათვის ბრძოლას შესწირა ქონება, ცოლი, ძმები, დაი, შვილები, და თვით საკუთარი სიცოცხლე და მით იხსნა საქართველო საუკუნოთ მოსპობისაგან.“

ასე უბრალო შურითა და მუხანათობით დაიღუპა იმ დროის მსოფლიოში განთქმული მხედართმთავარი და სამხედრო საქმის გენია, საქართველოს ეროვნული გმირი გიორგი სააკაძე. ვახტანგ გორგასალისა და დავით აღმაშენებლის შემდეგ ასეთი დიდი მხედართმთავარი საქართველოს არ ჰყოლია. დაღუპვის პირზე მდგარი სამშობლოს გადასარჩენადაც აღმაშენებლის შემდეგ ასეთი დიდი ღვაწლი არავის გაუღია.

სააკაძეს მოღვაწეობა მოუხდა ურთულეს პირობებში: ირანი ნიჭიერი შაჰ-აბასის ხელში სამხედრო ძლიერების ზენიტშია, ხოლო ქართლ-კახეთი სუსტი, უპრინციპო და უნებისყოფო მეფეების ანაბარა. დიდებულთა უმეტესობა თავაშვებულად იქცევა, პირად კეთილდღეობაზე ზრუნვაში მყოფი ერთმანეთს ებრძვის, სტაცებს ქონებას, ცოლ-შვილს, მიწებს, ყმა-გლეხებს, დაუნანებლად ღვრის თანამოძმეთა სისხლს. მეფეებს არ შესწევთ ამ თვითნებობის ალაგმვის, ერის დარაზმვისა და საერთო-სახალხო ბრძოლის უნარი. როგორც კი ირანის დიდი არმია შემოესევა, ისინი ქვეყანას უპატრონოდ ტოვებენ და იმერეთში გარბიან. სააკაძეს შესწევს ნიჭი და უნარი, რომ უმეფოდ დარჩენილ ქვეყანას სათავეში ჩაუდგეს, გამოძებნოს ხალხში მტრის უზარმაზარი არმიების დამარცხების ძალა. სამშობლოს გადარჩენის სამაგიეროდ მას სასიკვდილოდ იმეტებენ უმადური და შურიანი თანამოძმენი. სააკაძე იძულებულია ქვეყნიდან გადაიხვეწოს და შორიდან ეცადოს სამშობლოს გადარჩენას. პირდაპირ გაუგონარი და გამაოგნებელი ვითარება იქმნება. ამაზე შორს ხელისუფალთა უგუნურების წასვლა შეუძლებელია. სააკაძის პიროვნებაზე მსჯელობისას ამ ყველაფრის გათვალისწინების გარეშე ობიექტური დასკვნის გამოტანა წარმოუდგენელია.

პოეტ ლადო ასათიანს ეკუთვნის სტრიქონები: „თორემ მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ მარაბდა.“ მისმა თანამედროვე ზოგიერთმა პოეტმა უსაყვედურა: მარაბდის ომში ქართველები დავმარცხდით და საამაყოდ არ გამოგვადგებაო. ბევრნი დღესაც ასე ფიქრობენ. ისინი ამ არაობიექტურ

დასკვნას აკეთებენ მხოლოდ ერთი დღის – 1625 წლის 1 ივლისის ბრძოლის შედეგებით. ქართველ ხალხს ბრძოლა იმ დღეს არ შეუწყვეტია. გიორგი სააკაძის მეთაურობით ეს ბრძოლა მეორე დღიდანვე მთელი წელი გაგრძელდა და 1626 წლის ზაფხულში სრული გამარჯვებით დასრულდა. მარაბდაში მერყევმა, შურიანმა, თავის ჯამს ჩამაცქერალმა ფეოდალებმა და მეფე თეიმურაზმა სააკაძის სიძულვილით გაწირეს 20 ათასიანი ქართული ჯარი (9 ათასი მარაბდაში დაიხოცა, გადარჩენილთაგან კი ბევრი დაჭრილ-დაკოდილი იყო და შემდგომი ბრძოლისათვის აღარ ვარგოდა. ამასთან იმ დღეს საქართველომ დაკარგა ოთხი სახელოვანი სარდალი. ეს იყო საქართველოსათვის უდიდესი დანაკარგი). ეს მათ ჩათვალეს ომი დამთავრებულად, ქვეყანა და ხალხი სააკაძეს შეატოვეს ხელში და მიიფანტ-მოიფანტნენ: მეფე იმერეთში გაიქცა, თავადების უმეტესობა შაჰ-აბასს ეახლა და მორჩილება გამოუცხადა. მაშინ კიდევ ერთხელ დადგა დრო, როცა სააკაძეს ქვეყნის დაცვაში ხელს აღარავინ უშლიდა... და კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი საოცარი შესაძლებლობანი. მან პატარ-პატარა მფრინავი რაზმებით სახალხო პარტიზანული ომი გააჩაღა, მარაბდაში წაგებული ბრძოლის ბედი გაუგონარი ორგანიზატორული და სამხედრო ნიჭის წყალობით ერთწლიანი ომით ფანტასტიკურად შემოატრიალა, ირანის არმია საქართველოდან გააძევა და განთავისუფლებული ქართლ-კახეთის ტახტი უკვე მეორედ გაქცეულ თეიმურაზს ჩააბარა. მარტყოფისა და მარაბდისშემდგომი ომებით სააკაძემ წელში გატეხა ირანის სამხედრო ძლიერება, მათი რეგულარული არმიის ნახევარი გაანადგურა, რის შემდეგაც შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთის აყრა-განადგურებაზე და მუსულმანურ სახანოებად გადაქცევის სახელმწიფო გეგმაზე ხელი აიღო. ასე, რომ ირან-საქართველოს 1614-1626 წლების უმძიმესი ომიდან მარაბდის ველზე ერთდღიანი ბრძოლის ცალკე ამოგლეჯა-შეფასების უფლება არა გვაქვს. სამშობლოს წინაშე უდიდესი დამსახურების სანაცვლოდ კი ლუარსაბ მეორემ, თეიმურაზ პირველმა და ანგარებიანმა დიდებულებმა ორჯერ მოკვლა დაუპირეს და იძულებული გახადეს სამშობლოდან გაქცეულიყო, ჩვენი მოსისხლე ქვეყნებისათვის ეომა და ბოლოს უცხოეთში დაღუპულიყო. ეს გაუგონარი უმა-

დურობა მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი მოურავი ხალხის წრიდან გამოსული და თავისი ნიჭით აღზევებული უბრალო თავადი იყო და არა დიდი ფეოდალი, ხოლო ნიჭით – ყველაზე აღმატებული. არც ლუარსაბი, არც თეიმურაზი არ იყვნენ ისეთი მეფეები, ვინც იმ მძიმე ჟამს ქვეყნის ხსნას შეძლებდა. ისინი ვერ ფლობდნენ დიდ არმიებთან ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკას და ასეთ დროს ქვეყნიდან გაქცევაში ხედავდნენ გამოსავალს. მათ დაავიწყდათ დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალის გამოცდილება – ქვეყნის დამაქცევარ ფეოდალთა მოთოკვის ნაცვლად მათ დაუჭირეს მხარი და არა საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებისათვის მებრძოლ სააკაძეს და მის მომხრეებს. ბუნებით კეთილშობილმა ლუარსაბმა თავისი შეცდომა იმით გამოისყიდა, რომ შაჰს ჩაბარდა და სიცოცხლე მოწამებრივად დაასრულა. მეფე და მისი ოჯახი ანგარებიანმა და ბოროტმა დიდებულებმა დაღუპეს. თეიმურაზმაც ორჯერ გამეფების სანაცვლოდ სააკაძეს მოკვლა დაუპირა, მის წინააღმდეგ საომრად აამხედრა სწორედ ის ქართველები, რომლებიც გიორგიმ ირანის მონობისაგან იხსნა. თეიმურაზმა ასევე დაუნანებლად მოკლა თავისი სიძე – ქალიშვილის ქმარი და მარტყოფის ომის გმირი ზურაბ ერისთავი; ანგარებიან თავადთა რჩევით შაჰ-აბასს შესწირა მსხვერპლად შვილები და დედა – ქეთევან დედოფალი; ბოლოს თვითონაც შაჰს ირანში ეახლა და იქ აღესრულა. ქართლ-კახეთის მეფეებს რომ მეტი სიბრძნე გამოეჩინათ, აელაგმათ თავადთა პარპაში და სააკაძისათვის მიეცათ სამშობლოს ბოლომდე დაცვის საშუალება, მაშინ შაჰ-აბასი ვერც ნახევარი მილიონი ქართველის აყრა-განადგურებას შეძლებდა და აღარც მარაბდის მსხვერპლი იქნებოდა. სრულიად სამართლიანია მკვლევარ ჯანსუღ ღვინჯილიას დასკვნა: „სააკაძე დაუღალავი პოლიტიკოსი და გაუტეხელი სულის კაცი იყო... ფაქტია, რომ სააკაძის თანამებრძოლობა ამაღლებდა სულით დიდსა თუ პატარას. ის ხალხი კი, ვინც სააკაძეს მტრობდა, არც მანამდე და არც მას შემდეგ ერთ საქვეყნო საქმეშიც არ გარეულა, არაფრით არ გამოუჩენია თავი... უპირისპირდებოდნენ კაცს, ვინც ტაშისკარის, მარტყოფის, ქსნის ბრძოლები მოიგო, ხოლო თავად სააკაძის განდევნის შემდეგ ძალა არ შესწევდათ პატარა საქმე გაეკეთე-

ბინათ ქვეყნისათვის, არათუ მარტყოფის მოგება. და ხომ ფაქტია, დიდგვაროვანთა კაპრიზებსა და ორიენტაციას უფრო უწევდნენ ანგარიშს საქართველოს მეფეები, ვიდრე დიდი მოურავისას. მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ბრძოლებით ქართლ-კახეთის ფიზიკური განადგურებისაგან ხსნის საქმე ხელის გულზე დევს. ეს სააკაძის დამსახურებაა და ახლა მაინც ადვილია იმის თქმა, რომ თუ სააკაძე იქნებოდა საქართველოში და მისი ხელმძღვანელობით დაუპირისპირდებოდა ქვეყანა შაჰის არმიებს, ირანი 1615-1617 წლებში ვერასგზით ვერ აყრიდა კახეთს. ორჯერ მისგანვე ქართლ-კახეთის ტახტზე დასმული თეიმურაზ I ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ ქვეყანა სააკაძის სურვილისამებრ მოწყობილიყო... თეიმურაზ I მზად იყო (ეს სულ მალე დადასტურდა ბაზალეთის ომის შემდეგ) ფეხქვეშ ჩავარდნოდა შაჰს პატიების სათხოვნელად, ოღონდ თავიდან მოეშორებინა დიდი ავტორიტეტი." (ჯანსუღ ღვინჯილია, სული აღმაშენებელი. გიორგი სააკაძის პიროვნება, თბ. 1987. გვ.800). ეს დიდი უბედურებანი თეიმურაზისა და ფეოდალთა პატივმოყვარეობის, ამბიციურობის, ფეოდალური შეზღუდულობის, დიდი მამულიშვილისადმი შურისა და გაუტანლობის შედეგი იყო... და იგი მათ კისერზეა. მათი შთამომავლების უმადურობა კი იქამდე მივიდა, რომ საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ ეს სააკაძისათვის დაებრალებინათ. სამწუხაროდ მათი ცილისწამების გამო ზოგნი დღესაც განაგრძობენ ამ დიდი მამულიშვილის აუგად ხსენებას, თუმცა არაერთი ისტორიკოსისა და მკვლევარის მიერ საფუძვლიანი შრომებით სიმართლე დადგენილია. სწორედ შთამომავალთა ამ უმადურობას გულისხმობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, როდესაც წერდა: „მარტყოფი ეს ის არის, რისთვისაც გიორგი სააკაძე მოევლინა ამ ქვეყანას. მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა. მარტყოფი ის ჭირია, რომლისგანაც ვერ განიკურნა შაჰ-აბასი. მარტყოფი სააკაძის ბედისწერაა და სხვა ყველაფერი პატარა კაცუნების მონაჭორია." ეს მისი და ქართველი ხალხის ტრაგედია იყო, რომ სუსტი მეფეების ხელში მოუხდა მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა მან შეუძლებელი შეძლო – სამჯერ იხსნა სამშობლო დაღუპვისაგან; ამის დავიწყება შეუძლებელია! ჩვენ ვალდებული ვართ ისტორიის წინაშე პირუთვნელად ვაღიაროთ,

რომ ამ დიდ პოლიტიკოსს, დიდ დიპლომატს, დიდ სახელმწიფო მოღვაწესა და ქართული სამხედრო ხელოვნების გენიას გაუგონარი უმადურობით მოვექეცით და მტერს მის დაღუპვაში დავეხმარეთ. ამიტომ დღესაც ღია ჭრილობასავით ამჩნევია ერის სულს დიდი პოეტის ვაჟა-ფშაველას მიერ გიორგი სააკაძის პიროვნების შესახებ დასმული საჭირბოროტო კითხვები:

„თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
- -
კარგის დაღუპვა რად გვენატრება
ჩვენის შვილისა, ჩვენივე ძმისა?!“

საჭირბოროტო იმიტომ, რომ ძალაუფლებით გაბრუებულთაგან დღესაც ბევრნი იმსახურებენ ამ შეკითხვას, რადგან ავიწყდებათ წარსულის გაკვეთილებიდან დასკვნის გამოტანა, ბრძენი წინაპრების შეგონება: – წინა კაცი უკანა კაცის ხიდია!

მოუშუშებელი ჭრილობა
(შორია გურჯისტანამდე?)

1.

შაჰ-აბასის 1614-1617 წლების ოთხგზის შემოსევას კახეთის მოსახლეობის ორი მესამედი – ნახევარი მილიონი და ქართლიდან 30 ათასზე მეტი ქართველი შეეწირა: ამათგან 200 ათასამდე ბრძოლებში გაწყდა, დანარჩენი კი ტყვედ წაასხეს. ეს იყო საქართველოს უდიდესი უბედურება.

რა ბედი ეწიათ შაჰ-აბასის მიერ სპარსეთში გარეკილ ქართველებს? მათი დიდი ნაწილი, როგორც საუკეთესო სოფლის მეურნენი, ირანის სხვადასხვა მხარეში დაასახლეს – გილანში, მაზანდარანში, ხოროსანში, ფეროჰაბადში, შირაზში, ხოსროვოში. ყველაზე ბევრნი ფერეიდნის მთებში დაასახლეს. მათ ქალაქი ისპაჰანი სამხრეთიდან ბახტიარების შემოსევებისაგან უნდა დაეცვათ. ფერეიდანში 30 ქართული სოფელი გაშენდა, ხალხმა მათ

ისევ საქართველოდან აყრილი სოფლების სახელები დაარქვა: ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, რუისპირი, თელავი, შავსოფელი, ვაშლოვანი, ჩუღურეთი, ნინოწმინდა და სხვა. ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ქართველი ქართველობას არ დათმობდა.

თავსზევით ძალა არ იყო: ჯერჯერობით უცხო მიწაზე უნდა ეცხოვრათ, თავი გაეტანათ იქაური ლუკმით და სამშობლოზე წუხილით. რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს ტყვეობა – ათი, ოცი, თუ ასი წელი, არავინ იცოდა. მაგრამ ის კი იცოდნენ, რომ უნდა გამაგრებულიყვნენ, ჟამთა სიავისათვის გაეძლოთ, შთამომავლობისათვის გადაეცათ ქართული ენა, წეს-ჩვეულებანი და სამშობლოში დაბრუნების ფიქრი.

2.

დიდხანს არაფერი ვიცოდით ირანში გადასახლებული ქართველების შესახებ. მხოლოდ ორნახევარი საუკუნის შემდეგ – 1871 წელს ჩამოვიდა ჩვენთან პირველი ფერეიდნელი ქართველი – იოთამ ონიკაშვილი. ცოტა ხანში კიდევ ჩამოვიდნენ ჰოსეინ ონიკაშვილი, რეზა ხუციშვილი. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უზრუნველყო ისინი საცხოვრებელი სახსრებით, ამოგზაურა საქართველოში, დაუქირავა მასწავლებელი და შეასწავლა ქართული წერა-კითხვა, გააცნო ქართული ლიტერატურა, მერე ფერეიდანში გაატანა ქართული სახელმძღვანელოები. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას განზრახული ჰქონდა ფერეიდანში ქართული სკოლებისა და სემინარიის გახსნა, მაგრამ სამწუხაროდ ეს ვერ მოხერხდა. მერე სხვადასხვა დროს ჩამოვიდნენ ჩვენთან ნასროლა ხატიაშვილი, მოჰამედ მაყაშვილი, სეიფოლა იოსელიანი, აბესალომ ზამანაშვილი, ფარანგისა ონიკაშვილი, ჰამად ბათუაშვილი და სხვები. ჩვენგანაც რამდენიმე კაცმა მოახერხა ირანში გადასვლა და თანდათან შევიტყვეთ დაკარგული ქართველების ამბავი.

1944 წელს ფერეიდანში ჩავიდა საქართველოს სოფელ მარტყოფის მკვიდრი, საქართველოს სახალხო მსახიობი, კინორეჟისორი ერეკლე კანდელაკი. ამ მოგზაურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: მან ფერეიდანში ქართველების ყოფა-ცხოვრებაზე კინოფილმი გადაიღო. ეს ფილმი მთელმა სა-

ქართველომ ნახა. დიდი იყო სიხარულიც, ტკივილიც, ცრემლიც, დაკარგული შვილების სამშობლოში დაბრუნების სურვილიც. ერეკლე კანდელაკმა ერთი გულისშემძვრელი ამბავიც ჩამოიტანა. უნდა მოგითხროთ ამის შესახებაც.

ქართველების ფერეიდანში გადასახლებიდან ოცდათვრამეტი წელი გავიდა. წამოიზარდნენ პატარა ფერეიდნელი ბიჭები... წამოიზარდნენ და ყველაზე გულადებმა საქართველოში გაპარვა გადაწყვიტეს. აპრილის ერთ ღამეს 164 რჩეული ვაჟკაცი დაადგა საქართველოს გზას. მხედრებს ერთი ბიჭიც აედევნა. არავინ იცის, საიდან გაიგო მათი საიდუმლო სამზადისი.

– ბალღო! გზა შორია და სახიფათო, დაგვეხსენ, გაგიჭირდებაო. – უთხრეს; ხან გაუჯავრდნენ, ხან დაუყვავეს, ეხვეწნენ, ეხაციცნენ. ვერ მოიშორეს.

– თორმეტისა ვარ, რაღა დროს ჩემი პატარობაა. არ წამიყვანთ და თვითონაც კარგად გავიგნებ გზასაო. – გაჯიუტდა პატარა იოთამი. გაჯიუტდა და თავისი გაიტანა. ცხენზეც რომ მარჯვე მხედარივით იჯდა?!

ღამით მიდიოდნენ, დღისით ტყეში იმალებოდნენ. – ემანდ ავთვალმა და მდევარმა არ შეგვნიშნოსო. – შორია გურჯისტანამდე? – კითხულობდა წარამარა იოთამი. ხან კი ყველაზე მაღალ ხეს კენწეროზე მოექცეოდა – ეგება საქართველო დავინახოო.

ერთხელ, დაბინდებისას, ტყიდან გამოვიდნენ თუ არა, მდევარს მაინც გადააწყდნენ. თავდასხმა სასტიკი და უეცარი იყო. ქართველებმა ისღა მოასწრეს, იოთამს ისევ ტყეში უკრეს თავი – შინ ამბავს მაინც ჩაიტანო; თვითონ კი ხმალდახმალ გადაეშვნენ უთვალავ ირანელებში. გადაეშვნენ და ერთიანად შეაკვდნენ მტერს.

გამარჯვებულ ირანელთა მხედრობა თვალს მიეფარა. ბავშვური უძლურებითა და ბოღმით ატირებული იოთამი დიდხანს გაჰყურებდა მიმავლებს, მერე მათრახიანი მუშტი მოუღერა. ეტყობოდა, რომ სანამ პირში სული ედგა, ეგრე ადვილად არ დათმობდა სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრსა . . .

ფერეიდნელებმა ღირსეულად იგლოვეს დაღუპულები. მერე სოფელ ზემო მარტყოფში ძეგლი აუგეს. უზარმაზარ ქვის ლოდზე ამოკვეთეს წარწერა: „1654-სა წელსა, 17 აპრილისა თვესა ფერეიდნიდან მომავალი ქართველები, სამშობლოსაკენ, 165 ქარ-

თველი. შუღლი გავუწიეთ ირანელებს. ყველა დავიღუპეთ. შენდობა გვითხარით. უფალო, იხსენ ქრისტიანები.“

ამ ძეგლთან ყოველი წლის 17 აპრილს იკრიბებიან ფერეიდნელები. უფროსების ხელმძღვანელობით იმართება ბავშვების შეჯიბრი. ჯოხის ცხენებზე ამხედრებული 165 ბიჭი გამალებით მიეშურება დანიშნული ადგილისაკენ, რომელსაც „დედასაქართველოს“ უწოდებენ. იქ დევს უზარმაზარი ნაზუქი. მასზე ჯვარია გამოსახული. ეს ნაზუქი სიმბოლურად ვითომ საქართველოა. მანძილი ხუთასი მეტრია. რომელი პატარა „მხედარიც“ პირველი მივა ნაზუქთან, ის ითვლება დედასამშობლოში – საქართველოში მისულად. მაყურებლები მიესევიან გამარჯვებულს, გარს ეხვევიან, კოცნიან, „აყოლებენ“ საქართველოს ამბებს. შეჯიბრში გამარჯვებული ბიჭი იმ წელს მთელ ფერეიდანში საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს. შეჯიბრების მონაწილე ყველა ბიჭი აუცილებლად თორმეტი წლისა უნდა იყოს. ეს იმიტომ, რომ სამშობლომოწყურებულ იმ 165 ქართველ მხედარში ასაკით ყველაზე უმცროსი თორმეტი წლისა იყო. ეს სახალხო სანახაობა არა მარტო იმ დაღუპულთა ხსოვნის უკვდავყოფაა, არამედ სამშობლოწართმეულთა ტკივილია, დედასამშობლოსაკენ ორაგულივით მარადიული სწრაფვაა, ბავშვების მამულიშვილური სულისკვეთებით აღზრდის ჩინებული საშუალებაა. იგი მიწყივ მოუწოდებს ფერეიდნელებს: გახსოვდეთ სანატრელი საქართველო! ეცადეთ დედასამშობლოში დაბრუნებას!

3.

დღეს უკვე საკმაო ცნობები გვაქვს იმის შესახებ, თუ რა დაემართათ ირანში ძალადობით გადასახლებულ ქართველებს.

შაჰის ბრძანებით ქართველების ძალით გამუსულმანება დაუწყიათ. ვინც უარზე იყო, სიკვდილით სჯიდნენ. სომხებს არ უკრძალავდნენ ქრისტიანობას, ამიტომ ქართველების ერთი ნაწილი, ქრისტიანობის შენარჩუნების მიზნით, სომხებად დაეწერა. მათი შთამომავლები დროთა მანძილზე გასომხდნენ. ზოგმა ქართული ენა დაივიწყა და დღეს ადგილობრივი მოსახლეობისაგან ძნელი გასარჩევია. ზოგმა თავის ახალ მუსულმანურ გვარს მიუმატა „გურჯი“ ანუ ქართველი და თავისი ქართული წარმოშობის ხსოვნას ასე ინახავს და ამაყობს ახლაც.

ამ ოციოდე წლის წინათ სპარსული ენის სპეციალისტი, პროფესორი მაგალი თოდუა იყო ირანში. მაზანდარანში ქართულ სოფლებს ეძებდა. მისი თანმხლები იგონებს: „უცებ შევნიშნეთ სიცივისაგან აბუზული ორი ბიჭუნა. შევჩერდით და მ. თოდუამ ჰკითხა, აქ სადმე „გურჯების“ სოფელი ხომ არ არის? – გახლავთ. – უპასუხეს მათ. – ჩვენ თვითონ „გურჯები“ ვართო. ყმაწვილებმა გვითხრეს, უღელტეხილის მახლობლად სოფელ შურაბში ვცხოვრობთ და იქ ყველანი ქართველები არიანო. ბიჭებს სახე გაუბრწყინდათ, როცა შეიტყვეს, რომ ქართველს ელაპარაკებიან. ისინი სპარსულად საუბრობდნენ, მაგრამ როცა ჰკითხა, ქართული იციო, ბავშვებმა სიხარულით დაუკრეს კვერი. მაგრამ, ვაი რომ ენას, რომელზეც ისინი საუბრობდნენ, საერთო არა ჰქონდა რა ქართულთან. ეს იყო სპარსულის დიალექტი და როცა თოდუამ ეჭვი გამოთქვა მათი ქართველობის გამო, ბიჭებმა იწყინეს და ატირდნენ კიდეც – ჩვენ ნამდვილი „გურჯები“ ვართ და ჩრდილოეთისაკენ არისო „გურჯების“ კიდევ ერთი სოფელი, რომლის მცხოვრებნი დაადასტურებენ, რომ შურაბელები ნამდვილი გურჯები არიანო. ბიჭები გვევედრებოდნენ, სოფელში გავყოლოდით და მოხუცები გვენახა, რათა დაგვემოწმებინა, რომ შორეული სამშობლოდან ჩამოსულ ნამდვილ ქართველებთან შეხვედრა ბავშვების მოგონილი ამბავი არ იყო. მაგრამ უკვე მწუხრი ეშვებოდა, წინ გრძელი და ძნელი გზა გვედო. რაღა დაგვრჩენოდა, ბიჭები დავარწმუნეთ, რომ აუცილებლად დავბრუნდებით და გზას გავუდექით.“

ყველაზე კარგად ქართული ენა და ზნე-ჩვეულება ფერეიდანისა და ზოგიერთი სხვა მხარის ქართველებმა შეინარჩუნეს. 1947 წელს საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ეწვია ირანს იქაური ქართველების სამშობლოში დაბრუნების საკითხზე მოსალაპარაკებლად. ერთმა ფერეიდნელმა მოხუცმა კაცმა მას უთხრა: „ყველა დიასახლისი, წიწილა რომ ეკარგება, გამოდის და გზაზე ეძებს. საქართველომ, ასე დიდი რაოდენობით ხალხის დამკარგავმა, როგორც ფერეიდნელები ვართ, არ შეიძლება ძებნა არ დაიწყოს.“ ფერეიდნელის იმედი ახდა – საქართველომ დიდი მეცადინეობის შემდეგ მიაღწია იმას, რომ ფერეიდნელებისათვის მიეცათ სამშობლოში დაბრუნების უფლება.

1972 წელს ფერეიდნის სოფელ ზემო მარტყოფიდან საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნდა პირველი კომლი. ეს იყო ჯავად ბათუაშვილის ხუთსულიანი ოჯახი, რომელიც კახეთის სოფელ ჩუმლაყში დასახლდა. შემდეგ ჩამოვიდნენ სხვებიც. ისინი ჩუმლაყში, ვაზისუბანში, საგარეჯოსა და თბილისში დასახლდნენ. საქართველო სიხარულით შეხვდა მათ. ამჟამად ფერეიდანში 50 ათასი ქართველია და მათგან 40 ათასს საქართველოში დაბრუნება სურს. ერთი იმდენი კიდევ ირანის სხვადასხვა პროვინციებშია გაბნეული. საქართველოში უკვე ფერეიდნელთა 31 ოჯახი ცხოვრობს. ფერეიდნელი ახალგაზრდებიდან ბევრმა ქართული უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრა და ახალი ოჯახები შექმნა. ახლა შენდება ახალი სოფლები იმათთვის, ვინც ირანიდან სამშობლოში უნდა დაბრუნდეს. 380 წლის წინანდელი ჭრილობა შეხორცებას იწყებს – საქართველო თანდათან იბრუნებს ჟამთა სიავისაგან დაკარგულ შვილებს. მათ იციან, რომ დღეს უკვე არც ისე შორია „გურჯისტანამდე“!

ბახტრიონი

მძიმე სენი შეეყარა შაჰ-აბას პირველს. შვიდი წლის წვალების შემდეგ მოკვდა საქართველოს დაუძინებელი მტერი. ირანის ტახტზე ავიდა მისი ძმისწული შაჰ-აბას მეორე. ახალმა შაჰმა საქართველოს მტრობის ძველი გზა გააგრძელა: არდალანიის სულთანს კახეთში 80 ათასი კომლი თურქმანის დასახლება უბრძანა. მოვიდნენ და დაეშენნენ ალაზნიდან იორამდე. ყიზილბაშებით აივსო იქაურობა. ბახტრიონი, ალავერდი, ყარაღაჯი თავიანთ ციხესიმაგრეებად აქციეს. ზამთარში დედაწულიანად და საქონლით ალაზნისა და ივრის ჭალებში იდგნენ, ზაფხულში მთიან აგარაკებზე ნებივრობდნენ. ქართველი მოსახლეობა ისევ ტყეებში და მიუვალ მთებში გადაიხვეწა.

თეიმურაზ მეფე ისევ იმერეთში გაქცეულა. ქართლში გათათრებული ვახტანგი მეფობს. ყიზილბაშებმა კახეთი გააცამტვერეს, ამჯერად 30 ათასი ქართველი ტყვედ ჩაიგდეს და ირანში გადაასახლეს. ეს უბედურება კარგად ჩანს მაშინდელ ხალხურ სიმღერაში:

„ბახტრიონს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ახმეტას ჩავჭრით ვენახსა,
შიგ ჩავასახლებთ ელსაო!“

ხალხმა უსაზღვრო ძარცვასა და წამებას ვეღარ გაუძლო. სახალხო გმირებმა – ზეზვა გაფრინდაულმა, ნადირა ხოშარაულმა, ჭინჭარაულმა, გოგოლაურმა, გულუხიძეებმა, ფუნჩაიშვილმა, შველაიძემ, საღირაშვილმა ხევსურების, ფშავლების, თუშების რაზმებით ბრძოლა გააჩაღეს თურქმანთა უღლის მოსაშორებლად. აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები. არაგვის ერისთავმაც თავისი ჯარი გამოუგზავნა.

შუაღამისას ერთდროულად დაეცნენ თურქმანთა მთავარ ბუდეებს – ბახტრიონსა და ალავერდს, მოსპეს სპარსელების უმეტესობა. ბევრნი ტყვედ ჩაიგდეს. მხოლოდ არდალანიის სულთანმა გაასწრო ცოცხლად. მთელი კახეთი გაწმინდეს ყიზილბაშებისაგან. გახიზნული ქართველები ისევ დაბრუნდნენ თავიანთ კარმიდამოზე. ეს მოხდა 1659 წელს.

შაჰს კახეთის გათათრების იმედი გადაეწურა, მაგრამ ქართლის მეფეს მაინც შეუთვალა: აჯანყების მოთავეები გამომიგზავნეთ, თორემ მთელი ირანის ჯარით წამოვალ და საქართველოს ნაცარტუტად ვაქცევო.

ბიძინა, ელიზბარ და შალვა ქართველთა ახალ სისხლისღვრას მოერიდნენ და თავისი ნებით ჩაბარდნენ მტერს.

თუმცა შაჰი ძალზე გაჯავრებული იყო, მაგრამ მოეწონა ტყვეების სილამაზე, ვაჟკაცური ახოვნება და მხედრული ნიჭი. სასიკვდილოდ აღარ გაიმეტა, სამივენი არდალანიის სულთანს გაუგზავნა და უბრძანა: ეცადე მაჰმადის რჯულზე გადმოიბირო. ასეთი ვაჟკაცები ირანის სამსახურში გამოგვადგებიან. თუ არ დათანხმდნენ, სასტიკი წამებით მოკალო. სულთანი გახარებული იყო – ახლა საშუალება ეძლეოდა შური ეძია მათზე, ვინც მას ასე სამარცხვინო მარცხი აგემა ბახტრიონთან.

– დიდია სპარსეთი, ინდოეთიდან საბერძნეთამდეა გადაჭიმული. თქვენი სიმხნისა და ახოვნებისათვის გვიპატიებია

დანაშაული. დათმეთ ქართველობა, ქრისტიანობა, მიიღეთ მაჰმადიანობა, შემოდით ჩვენს სამსახურში და ბედნიერად იცხოვრებთო. – ბევრი ამისთანა ტკბილი სიტყვები უთხრა სულთანმა ტყვეებს, ხან აქედან მოუარა, ხან იქიდან, მაგრამ ვერ დაითანხმა. ტყვეებს ბორკილი დაადო და ღრმა და ბნელ დილეგში ჩაყარა..

ყოველდღე ჩასჩიჩინებდნენ ნაწამებ ტყვეებს გათათრებას, მაგრამ ამაოდ. მერე გააშიშვლეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და პაპანაქება სიცხეში დაყარეს. იმის მაგივრად, რომ შეწყალება ეთხოვათ, ტყვეები სიმღერით იმსუბუქებდნენ ჭირს. რამდენიმე დღე ჰყავდათ ასე მშიერ-მწყურვალნი. არაფერი გამოვიდა. მაშინ სულთნის ბრძანებით ძმები ელიზბარ და შალვა ერისთავები ხეზე მიაკრეს და თოფები დაუშინეს. ბოლოს კი ტყვიებით დაცხრილულებს ხმლით თავები მოჰკვეთეს. ბიძინა ჩოლოყაშვილი აიძულეს, მათი წამებისათვის ეყურებინა. ბიძინამ მაინც არ დათმო ქართველობა. მაშინ სულთნის ბრძანებით ასო-ასო დაკაფეს: ჯერ ხელ-ფეხის თითები სახსარ-სახსარ მოსჭრეს, მერე ხელები მოჰკვეთეს მაჯებში, იდაყვებში, მხრებში, ახლა ფეხები – კოჭებამდე, მუხლებამდე, მერე თეძოებამდე ამოსახსრეს. ბიძინა ჩოლოყაშვილმა ვაჟკაცურად გაუძლო ამ სასტიკ წამებას. უხელფეხოდ დარჩენილი სხეული აქეთ-იქით ათრიეს და როცა მკვდარი ეგონათ, ერთმა ჯალათთაგანმა ნახა, რომ გმირის გული ისევ ფეთქავდა. – ამდენი წამების მერე მაინც ცოცხალიაო – გაიკვირვა განრისხებულმა და მახვილით გული გაუპო. ამის შემდეგ თავი მოჰკვეთეს.

წამებულთა სხეულები უპატრონოდ დაყარეს და ხალხს და-

მარხვა აუკრძალეს. ღამით სომხებმა მოიპარეს მათი წმინდა ნაწილები და თავიანთ ეკლესიაში დაკრძალეს.

გავიდა რამდენიმე წელი. შალვა ერისთავის მეუღლემ ქეთევანმა და შვილმა დავითმა ბახტრიონის გმირების ცხედრები სამშობლოში გადმოასვენეს. ისინი იკორთას ეკლესიაში დაკრძალეს. იკორთა გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევთან მდებარეობს.

ქართველი ხალხი არ ივიწყებს სამშობლოსათვის წამებულ გმირებს. ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ერისთავები ჩვენი წმინდანებია. მათ სამშობლოს ერთგულებისა და სიყვარულის საოცარი მაგალითი გვიჩვენეს. ყოველი წლის 1 ოქტომბერი ბახტრიონის გმირების ხსენების დღეა.

უცნაური საჭიელი

კახეთის მეფემ თეიმურაზ პირველმა მტრებთან ბრძოლაში რუსეთს სთხოვა დახმარება. თან ათი წლის შვილიშვილი, ერეკლე, მძევლად გაუგზავნა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დიდხანს ვერ აეწყო. ამის გამო ერეკლეს მძევლობა 22 წელიწადი გაგრძელდა. ბოლოს, ირანის შაჰმა შეუთვალა: რუსეთს თავი დაანებე, ჩამოდი, ჩემი მომხრე გახდი და კახეთის მეფედ დაგსვამო. ერეკლე დათანხმდა. ირანში ჩასულს შაჰმა გამაჰმადიანება მოსთხოვა. ერეკლე უარზე დადგა. მაშინ შაჰმა სტუმარი ციხეში ჩასვა. 14 წელიწადი გაატარა ერეკლემ ირანის ტყვეობაში. ბოლოს, 1688 წელს, შაჰმა ქართლის მეფედ გამოუშვა. 46 წლის კაცმა 16 წელი იმეფა მხოლოდ. 36 წელი კი უცხოობაში გაატარა მეფობის ლოდინში.

ერეკლე დიდებული გარეგნობის ჭაბუკი ყოფილა: მაღალი, წელწვრილი, მხარბეჭიანი, ეშხიანი სახის, მამაცი მეომარი და იშვიათი ცხენოსანი. მაშინდელი ისტორიკოსი წერს, რომ ირანში ჩასული „ბატონიშვილის სიტურფემან და შვენიერობამან და ტანადობამან ყველაკანი გააკვირვა... ტანად ყველას უმაღლე იყო და ... ყველას ამჯობინეს.“

რუსეთის მეფე მას შვილობილს ეძახდა და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. სანადიმო სუფრასთან უფლისწული მე-

ფის გვერდით იჯდა. .თერთმეტი ახალგაზრდა ბოიარი ღვინის მწდედ უდგა და ოცდაათი ჭაბუკი კერძების მიმტანად.

ერეკლე დარდიმანდული თავგადასავლების, ლხინისა და დროსტარების მოტრფიალე გამოდგა. ერთხელ რუსეთში ასეთი ამბავი შეემთხვა: ახალგაზრდა ბოიარებთან ბანქოს * თამაშობდა. თამაშის დროს მაგიდიდან ხურდა ფული გადმოცვივდა. დაჩოქილმა ბოიარებმა იატაკზე ფულის ძებნა დაიწყეს. ერეკლემ ერთი ბღუჯა ქაღალდის ფულები აიღო, სანთელზე ცეცხლი მოუკიდა და ბოიარებს იატაკზე მიუშუქა. მოულოდნელობისაგან გაოგნებული ბოიარები პირღია დარჩნენ.

უფლისწულის უცნაურმა საქციელმა სამეფო კარზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზოგმა ეს ამბავი დარდიმანდობად ჩათვალა, ზოგმა ხელგაშლილობად, ზოგმა ქარაფშუტობად.

იქნებ ამ ამბავშიც იყო რაღაც ქართული ხასიათისა?

დადიანის ელჩი

მეჩვიდმეტე საუკუნეში ოსმალეთში იმყოფებოდა ფრანგი მოგზაური ტავერნიე. იგი წერდა: „ჩემი პირველი მოგზაურობის დროს კონსტანტინოპოლში ვნახე სამეგრელოს მთავრის ელჩი, რომელსაც გიჟური ცხოვრებისათვის დასცინოდნენ იქ მყოფი ფრანგები.“

როგორც ტავერნიე გვიამბობს, ელჩმა სულთანს მიართვა დადიანის გამოგზავნილი ძღვენი: რკინა, ფოლადი, ძვირფასი ნივთები და მრავალი მონა. ესენი იყვნენ ყმა-გლეხების შვილები – ყველაზე ლამაზი ქართველი გოგო-ბიჭები. ელჩს ამალაში 200 ცხენოსანი ახლდა – სულ დარჩეული ვაჟკაცები. ესენიც მეგრელი ყმა-გლეხების შვილები იყვნენ. იგი ყოველდღე რომელიმე მათგანს ჰყიდდა ოსმალეთის მონათა ბაზარზე და აღებული ფულით ნადიმობდა. როცა წუწკი ელჩი სამეგრელოში დაბრუნდა, ორასი კაციდან მხოლოდ მდივანი და ორი ფარეშიღა შერჩა. ამ დროს კი საქართველოს ბუზივით ეხვია მტერი და ქვეყანა სისხლისგან იცლებოდა.

ასეთი სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა დადიანის ელჩმა.

**ბანქო – ფულზე კარტის თამაში.*

უცხო მიწაზე

ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე ნიჭიერი და სახელოვანი მეომარი იყო, მაგრამ სამშობლოს სამსახური არ დასცალდა. შაჰმა იგი მთელი ირანის ჯარების მთავარსარდლად დანიშნა და ავღანელებთან ომში გაგზავნა. ამის გამო გიორგიმ მთელი სიცოცხლე ავღანეთში გაატარა.

ერთხელ ქართველთა ათასეულმა ფირინების ტომის აჯანყება ჩაახშო და უკან ბრუნდებოდა. ყანდაარს რომ მიუახლოვდნენ, ერთი ყიზილბაში შემოხვდათ. სამწუხარო ამბავი ამცნო ალექსანდრე ბატონიშვილს: ავღანელებს მირ-ვეისის მეთაურობით მუხანათურად ამოუჟლეტიათ ქართლის მეფე და ირანის მთავარსარდალი გიორგი მეთერთმეტე მცირერიცხოვანი ამალიანადო.

– ყანდაარს უნდა გავეცალოთ! – ბრძანა ალექსანდრე ბატონიშვილმა. ქართველთა ათასეულმა გირიშკისაკენ დასხლიტა ცხენები.

მირ-ვეისი ჩასაფრებული ელოდა. როგორც კი ქართველები ყანდაარში შევიდოდნენ, ერთიანად უნდა ამოეჟლიტა. ქართველები რომ უკან გატრიალდნენ, 5 ათასი ავღანელით დაედევნა. კარგა ხანს მისდევდა ჭენებით. როცა დაეწია, უცებ შემობრუნდნენ ქართველები და ხმალდახმალ დაერივნენ. ავღანელები დამარცხდნენ და გაიქცნენ. მირ-ვეისმა ყანდაარიდან ახალი ლაშქარი გამოიყვანა და ისევ დაედევნა. ისევ სძლიეს ქართველებმა. რვა დღე-დამეს მისდევდა ახალ-ახალი ლაშქრით მირ-ვეისი ქართველთა ათასეულს. ათასმა ქართველმა თორმეტჯერ დაამარცხა და უკუაქცია ურიცხვი მდევარი. ქართველებმა გირიშკის ციხეს შეაფარეს თავი. მირ-ვეისმა ახლა 13 ათასი მეომარი შეკრიბა და გირიშკის ალყაში მოქცევა სცადა. დაასწრო ალექსანდრემ, დილაბნელზე დაესხა თავს ავღანელებს და მუსრი გაავლო.

შაჰმა ირანელთა 30-ათასიანი ჯარი გამოგზავნა მირ-ვეისის დასამარცხებლად. მათ რამდენჯერმე დაამარცხეს ავღანელები და ყანდაარს ალყა შემოარტყეს. ერთხელაც ფიცხელ მრძოლაში ყიზილბაშებმა მოკურცხლეს და ქართველები მტერს შეატოვეს. ქართველთა უმეტესობა მტერს შეაკვდა. ბრძოლაში

დაიღუპნენ ნიჭიერი და მამაცი მხედართმთავრები – ალექსანდრე ბატონიშვილი და ქართლის მეფე, ირანის მთავარსარდალი ქაიხოსრო.

ქართველთა მამაცობით აღფრთოვანებულ ავღანელებში კი ასეთი თქმულება გაჩნდა: „ყიზილბაშები დიაცები არიან ავღანელებთან შედარებით: ხოლო ავღანელები დიაცები ვართ ქართველებთან შედარებით.“

საქართველოს მამა

ვსესვიატსკოეს ბაგრატიონთა სასახლე დამწუხრებულია. მეფე ვახტანგის ბიძა და აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანი შეუძლოდ გახლავთ. ქართლის ზომიერ ჰავას ნაჩვევი მოხუცი რუსეთის გაუთავებელმა გზებმა დაღალა და უღმერთო ყინვამ დასცადა. ახლა მის ბრგე სხეულს ხურვება დაპატრონებია. დაძაბუნებული ბალიშებზეა მისვენებული.

მძიმე დროს მოუხდა ცხოვრება. ბევრს ეცადა, აწეწილ საქართველოს კი ვერაფერი უშველა. ვინც ჭკვიანი იყო და ქვეყნის პატრონობა შეეძლო, იმათ შაჰი ირანის მოვლა-პატრონობას ავალებდა. ავღანეთში დაიღუპა უებრო ვაჟკაცი, ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე. ირანში მსახურობდნენ გიორგის ძმა ლევანი, ძმისშვილები ქაიხოსრო, იესე, ალექსანდრე, როსტომი. ყველას უმაღლესი თანამდებობები ეკავა შაჰის კარზე და ირანის ძლიერებას ახმარდნენ ნიჭსა და უნარს. თვით ვახტანგ ლევანის ძე 8 წელიწადს ირანის ტყვეობაში იყო. ქართლი კი უპატრონოდ რჩებოდა.

ხანმოკლე იყო ვახტანგ მეექვსის მეფობა. ათიოდე წელიწადში მაინც ბევრი რამ მოასწრო: ააშენა ქალაქები, სოფლები, ტაძრები, ხიდები, ქარვასლები, წისქვილები, გაიყვანა გზები და წყალსადენები. აკრძალა ტყვეების გაყიდვა. შექმნა პირველი ქართული სტამბა და დაბეჭდა მრავალი წიგნი, მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც დაურთო მეცნიერული განმარტებები. დაწერა სამართლის წიგნები, ლექსები, სპარსულიდან თარგმნა იგავ-არაკების კრებული „ქილილა და დამანა“, მოიწ-

ვია სწავლულ კაცთა კომისია და დაწერეს „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება.

მეტი აღარ დასცალდა. ყოველ-მხრივ მოძალებულ მტერს ვეღარ გაუმკლავდა. თავიდან ევროპის დახმარების იმედი ჰქონდა. სულ-ხან-საბას დაავალა ელჩობა. საბას დარბაისლობამ და განათლებამ გააოცა ევროპა. საქართველოს ელჩმა რვა უცხო ენა იცოდა: თურქული, სპარსული, სომხური, ბერძნული, ლათინური, იტალიური, არაბული, რუსული. იტალიელები წერდნენ: „60 წლის არის, მაღალი ტანისა, მხნე და ძლიერი აგებულებისა, მშვენიერი სახე აქვს“. ფრანგი მისიონერი კი წერდა: „მთელ საქართველოს მამად მიაჩნია იგი.“

გულგატეხილი და ხელცარიელი დაბრუნდა ევროპიდან. რომის პაპმა და საფრანგეთის მეფემ დახმარების ნაცვლად ტკბილი დაპირებები გაიმეტეს. სადღაც, ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე, ერთი პაწაწინა ქვეყანა სისხლისგან იცლებოდა, ფუფუნებაში ჩაფლულ ევროპას კი ქრისტიანი თანამოძმის დარდი არ ჰქონდა. არადა საქართველოს გასაჭირი იქაც იგრძნობოდა. თვითონ სულხან-საბამ შორეულ მალტაშიც კი ნახა ქართველები – დაბორკილებს ტყვეთა ბაზარზე მონებად ჰყიდდნენ. თურქებს წავართვითო – უთხრეს მალტელებმა საბას. თურქეთის ბაზარზე ხომ კავკასიელი ტყვეების ტევა არ იყო: დილიდან საღამომდე იყიდებოდა ქართველი, ჩერქეზი, ყაბარდოელი თუ სხვა ტყვეები, იყიდებოდა კავკასიის აწმყო და მომავალი, ნიჭი და ჯილაგი. გულდამწვარმა საბამ ერთი პატარა ქართველი ბიჭის ყიდვა ძლივს შეძლო და ორივენი ატირებულნი წამოვიდნენ საქართველოსკენ.

ამ დროს რუსეთის იმპერატორმა პეტრე პირველმა შემოუთვალა ვახტანგს: მე ქრისტიანობის ქომაგი ვარ. ერთმორწმუნე საქართველოს გადასარჩენად მოვდივარ. სპარსეთთან ომს

ვიწყებ და ქართველთა ჯარი მომაშველეო. სინამდვილეში პეტრეს მხოლოდ ახალი ქვეყნების დაპყრობა და ამ საქმეში ქართველების გამოყენება სურდა. ვახტანგმა მისი ხრიკები სიმართლედ მიიღო. ქართველ დარბაისელთა ერთი ნაწილი ვახტანგს ურჩევდა: ამ ომში საქართველოს ჩარევა დამღუპველი იქნება. სანამ პეტრე მოვა, ურიცხვი მტერი ჩვენს ქვეყანას ააოხრებს. თუ ლაშქრობას მაინც არ იშლი, ქვეყანას ნუ შეყრი, მცირე ლაშქრით საიდუმლოდ შეხვდი რუსებსო. ბავშვივით ატაცებულმა ვახტანგმა და მისმა მომხრეებმა მაინც თავისი გაიტანეს: ვახტანგ მეფე 60 ათასი კაცით განჯაში ჩავიდა. აქ უნდა შეხვედროდა რუსთა ჯარს და ერთად გაელაშქრათ ირანზე. სამი თვე ელოდა. საქართველოს საზღვართან მოსულ პეტრეს კი მოულოდნელად ჭკუაში აღარ დაუჯდა ეს ლაშქრობა. აქედან სახეიროს ვერაფერს ვნახავო და ლაშქრიანად უკან გაბრუნდა. ვახტანგს კი ურცხვად შემოუთვალა: სპარსეთს შეესიე. თუ გაიმარჯვებ, ურწმუნოთა ბატონობისაგან გათავისუფლდები. მე კი ამ საქმეს თავს არ ვანებებ – მომავალში ამ ომისათვის ისევ მოვემზადებიო.

მაშინ მიხვდა ვახტანგი, რომ ლაშქრობის მოწინააღმდეგე დარბაისელნი მართალნი იყვნენ. მაგრამ რაღა დროს? ამის გამო განრისხებულმა ოსმალეთმა ქართლზე გამოილაშქრა და ქვეყანა ხელში ჩაიგდო. გახშირდა ლეკთა თარეში, ძარცვა, ტყვეების ტაცება, ქართველთა შინაური ქიშპი. ოსმალეთი უკვე რუსეთთანაც კი აპირებდა ომის დაწყებას. პეტრემ ოსმალეთი იმით დააშოშმინა, რომ სასწრაფო საზავო ხელშეკრულება დაუდო. თან მთელი აღმოსავლეთი საქართველო ოსმალეთის საკუთრებად სცნო, ვითომც რაიმე უფლება ჰქონოდა ამ ქვეყანაზე. ასე სამარცხვინოდ დაასრულა „აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველმა“ პეტრემ თავისი სიტყვა და საქმე. საქართველოში კი მაშინ გაჩნდა ეს მწარე ანდაზა: სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო.

ეს მით უფრო გულსატკენი იყო, რადგან პეტრემ ხელიდან გაუშვა ძალზე ხელსაყრელი ვითარება. სწორედ იმ წლებში ირანიდან რუსთა ელჩი საიდუმლოდ სწერდა: ქართველთა ჯარი საუკეთესო სამხედრო ძალაა მთელს ირანში. აქ სპასალარებად

მუდამ ქართველ ბატონიშვილებს ნიშნავენ. ირანის ჯარში სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზეც ქართველები არიან.. თურქებთან, ინდოელებთან და სხვებთან ომებში მათ ყველა გამარჯვება ქართველების ხელით მოიპოვეს... თუ ქართველი ბატონიშვილები, დიდებულები და აზნაურები ერთმანეთში თანხმობას მიაღწევენ, მაშინ არა მარტო სპარსეთის უღლისგან განთავისუფლებას, არამედ თვით მის დაპყრობასაც შეძლებენ. ირანელების კავალერია ვერასოდეს გაუმკლავდება ქართველებს, თუნდაც სამჯერ მეტი იყოს. ხოლო თუ ქართველთა ჯარს რუსთა ოც გაწვრთნილ ესკადრონს მივუმატებთ, მაშინ მთელ სპარსეთსაც ადვილად დავიპყრობთო.

მეფისათვის უკადრისი, მუხანათური ღალატი ჩაიდინა პეტრემ. მისი წყალობით დიდი უბედურებით დასრულდა ვახტანგ მეექვსის მეფობა, შეწყდა მისი დიდი აღმშენებლობითი მოღვაწეობა. ვახტანგს სხვა გზა აღარ ჰქონდა – საქართველოდან უნდა წასულიყო. მას რუსეთის დახმარების იმედი მაინც არ დაუკარგავს. გადაწყვიტა თვითონ წასულიყო მოსკოვში. სულხან-საბაც თან წაიყვანა. ათასორასი რჩეული ქართველი მხედარი იყო ვახტანგის ამალაში. ისინი ოჯახებიანად გაჰყვნენ მეფეს რუსეთში. მოსკოვში ჩასულებს პეტრე ცოცხალი აღარ დახვდათ და აი, ახლა ამაოდ ელიან ეკატერინე ხელმწიფის დახმარებას.

იყო სხვა გამოსავალი? ვინ იცის? აკი საბამ უცხოეთიდან დახმარების ყველა გზა მოსინჯა? დიდხანს დუმდა ფიქრებში წასული სულხან-საბა. მერე ხმადაბლა, სვენებ-სვენებით ალაპარაკდა. იქ მყოფნი მიხვდნენ, რომ ვახტანგ მეფეს გულისხმობდა ბურანში წასული მოხუცი: ერთი იგავი უნდა გკადრო, მეფეო. იყო ერთი დიდებული მეფე. ოცდაათი ვაჟი ჰყავდა. როცა სიკვდილის დრომ უწია, დაუძახა შვილებს. მოატანინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს და ვერ გატეხა. მერე თითო-თითო მოზიდა და დალეწა. უთხრა შვილებს: სანამ ერთად ხართ, მტერი ვერ გაგტეხთ, როგორც მე წელან ისრების კონა ვერ გავტეხე; თუ გაიყრებით, მტერი ასე თითო-თითოდ დაგლეწთ და ქვეყანასაც მოსთხრისო. ჩემი სათქმელიც ეგ არის, მეფეო. ქართველებს ერთი პირი აღარა გვაქვს. მტერი თავში გვცემს, ჩვენ კი ერთმანეთს ვებრძვით და სხვას

ვეხვეწებით გვიშველეო. ძაღლებმა იციან: მგლის დანახვაზე ერთმანეთთან ჩხუბს შეწყვეტენ, ნადირს ერთად მიეტევებიან. ჩვენ ამდენიც ვერ მოგვიფიქრებია. ეტყობა, სხვის კარზე მოწყალებას ამაოდ ვეძებთ. ისევ ჩვენი თავის იმედი უნდა ვიქონიოთ. ჩვენი ძალა ერთობაშია. დაბრუნდი მეფეო სამშობლოში და ეცადე გააერთიანო დაშლილი ერი. ეს ათასორასი ოჯახიც აქ არ დატოვო. უცხოეთში ძალით გატაცებულ-გაყიდულებიც ეყოფა საქართველოს. ესენი ხომ სულ რჩეული სარდლები, სწავლულები და ერის მოთავეები არიან. უმაგათოდ ქართლი თავმოჭრილი დარჩება... საქართველოს ვერაფერს ვუტოვებ, ჩემი წიგნების გარდა. შემინდოს უფალმა, რომ მეტი ვერ შევძელი. არეულ დროთა გამო მოცალეობა არ მქონდა. ღმერთმა ქნას, რომ ჩემს შემდგომ საქართველო იყოს ბედნიერი.

მწუხრის ჟამს, დღის შუქი ჩაქრა თუ არა, საბას სიცოცხლეც ჩაქრა...

იდგა 1725 წლის 26 იანვარი და დღე იყო პარასკევი. სამშობლოს გადარჩენისათვის ზრუნვაში უცხო გზებზე დაუღამდა საქართველოს მამას და გაყინულ უცხო მიწასვე მიაბარეს.

სულხან-საბამ საქართველოს უკვდავი ნაწარმოებები დაუტოვა: იგავ-არაკების კრებული „სიბრძნე-სიცრუისა“, „სიტყვის კონა“, „მოგზაურობა ევროპაში“ და სხვები. მისი იგავ-არაკები სიბრძნის უსასრულო კიდობანია. იგავ-არაკებით ხალხის ბრძენი მოძღვარი კიცხავს ადამიანის სიხარბეს, ბოროტებას, გაუტანლობას, მაბეზღარობას; ქადაგებს ერთობას, სამართლიანობას, სიყვარულს, გონიერებასა და კაცთმოყვარეობას. „სიბრძნე-სიცრუისა“ მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა. სულხან-საბამ ქართულ და მსოფლიო მწერლობაში სამუდამოდ დაიმკვიდრა დიდი მწერლის სახელი. მისი ცხოვრება კი სასიქადულო მამულიშვილობის მაგალითად დარჩა.

თავგადასავალი დავით გურამიშვილისა

„ლეკებმა რომ დამიჭირეს,
დამდეგ იყო მკათათვისა,
ასი მთა გადამატარეს,
მთები კავკასიონისა“.
/ხალხური/.

მკათათვე იდგა. ისეთი უცოდველი დილა იყო, კაცს ეგონებოდა, ქვეყანა დალხინებულიაო. მაგრამ ვაი, რომ უჭირდა საქართველოს, ძალიან უჭირდა. საქართველო ისევ დაშლილი და დაუძლურებული იყო, ისევ მტრობდა ქართველი ქართველს. უშიშრად თარეშობდა მტერი: სადაც კი წაასწრებდნენ, იტაცებდნენ ქართველს და საქონელივით ჰყიდდნენ უცხოეთის ტყვეთა ბაზრებზე. ამიტომ თოფ-იარაღში ჩამჯდარი ქართველები ერთად დადიოდნენ მინდორში სამუშაოდ.

იმ დილით ლამისყანელებიც ასე აპირებდნენ მინდორში გასვლას. თავადი დავით გურამიშვილი დანიშნულის სანახავად საგურამოდან ჩამოსულიყო. ორი შეიარაღებული მხლებლით წინასწარ წავიდა ყანებში მამითადის დასახვედრად. წყალი მოსწყურდა, გზიდან გადაუხვია, თოფი ხეზე მიაყუდა და წყაროს დაეწაფა. სწორედ ამ დროს თხუთმეტი ლეკი ყაჩაღი დაესხა თავს. ჭაბუკი გათოკეს და დაღესტანში გაიტაცეს.

ლეკებმა დავითი ღრმა ორმოში ჩააგდეს და გაყიდვის თადარიგს შეუდგნენ. თვითონ გურამიშვილი ამ ამბავს ასე აღწერს:

„შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიდვეს გენია,
გარდმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია;
. . . . . .
მომიყვანეს არა ღირსთა, ღირსეულად მიმსახურეს;
არც მასვეს და არც მაჭამეს, არც ჩამაცვეს, არც დამხურეს.
უსასყიდლოდ მიღებული გასასყიდად დამაშურეს.“

ერთ ღამეს გაიპარა. საქართველოსკენ გაქცეულს მდევარი დაეწია. შეიპყრეს, სცემეს და ისევ ხაროში ჩასვეს. სასომიხდილმა ერთხელ სიზმარი ნახა:

„ხმა მესმა ძილსა შინაო: რას ხვრინავ, რასა ფშვინაო,
აქ რას უწევხარ საძილოდ, რატომ არ წახვალ შინაო?
. . . . . .
რატომ ვერ ბედავ წასვლასა, აგრე რამ შეგაშინაო?
ადექ, იარე, წავიდეთ, მე წაგიძღვები წინაო!“

სიზმრით გულმოცემული მეორედ გაიპარა. ისევ საქართველოს გზებზე დამიწყებენ ძებნასო, იფიქრა და ახლა საწინააღმდეგო მხარეს – რუსეთისაკენ წავიდა. მართლაც ლეკებმა საქართველოს გზებზე ეძებეს. დავითმა კი დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ რუსეთში გააღწია. 1729 წელს მოსკოვში ჩავიდა ვახტანგ მეექვსესთან. მეფე ვახტანგმა ვერ მიიღო რუსეთისგან შეპირებული სამხედრო დახმარება და იმედგაცრუებული უცხოეთშივე გარდაიცვალა.

ქართველი თავად-აზნაურები, რომლებიც ვახტანგს ახლდნენ, სამშობლოში დაბრუნების ნაცვლად რუსეთის მეფის სამსახურში შევიდნენ. მათ ქართული ცხენოსანი პოლკი შექმნეს და რუსეთის არმიის შემადგენლობაში იბრძოდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წინააღმდეგ. ესეც ბედის დაცინვა იყო: როცა საქართველოს მტერი მუმლივით ეხვია და გამკლავება არ შეეძლო, იმ დროს ქართველები ევროპაში იბრძოდნენ რუსეთისათვის.

ასე აღმოჩნდა დავით გურამიშვილი სამუდამოდ სამშობლოსაგან მოწყვეტილი. მთელი სიცოცხლე ომებში გაატარა. არ ჰქონია დალხინება და მოსვენება. უცხოეთის ციხეებში ტყვეობაც იწვნია. სიბერის ჟამს კი უკრაინაში, მირგოროდში დასახლდა, სადაც მეფემ მამულები უბოძა. იქ დავით გურამიშვილმა ლექსად აღწერა მთელი თავისი წამებული ცხოვრება და საქართველოს ჭირ-ვარამი.

სამშობლოზე ოცნებაში გაილია სიცოცხლე... და ერთ დღეს, როცა წუთისოფლისგან დაღლილი გურამიშვილი სიკვდილსღა ელოდა, თითქმის დაუჯერებელი ამბავი მოხდა. მირგოროდში ქართველმა მხედრებმა სიმღერით ჩამოიარეს. თეთრად გადაპენტილი ბაღიდან თმადათოვლილი ბერიკაცი გამოვიდა და მგზავრები ქართულად მიიპატიჟა. გაოცდნენ – რომელმა ქარმა გადმოაგდო აქ ქართველი კაციო; ქართველების დანახვით უფრო მეტად გაოცებულ ბერიკაცს კი ცრემლი ახრჩობდა.

ეს მოხუცი დავით გურამიშვილი იყო, მხედრები კი მეფე ერეკლეს დესპანები იყვნენ. ერეკლეს შვილი მირიანი ამალით კრემენჩუგში მიდიოდა რუსეთის მინისტრთან პოტიომკინთან მოსალაპარაკებლად. დავით გურამიშვილმა თავისი ლექსების წიგნი მიართვა მირიან ბატონიშვილს – ქართველ ხალხს ჩაუტანე დაკარგული შვილისგან საჩუქრადო. მირიანმა საქართველოში ჩამოიტანა ეს საოცარი წიგნი. ხუთიოდე წლის შემდეგ კი იქ, შორეული მირგოროდის მიწამ მიიბარა 87 წლის დავითის დაღლილი ძვლები.

გურამიშვილის ბედი ძალიან ჰგავდა ატირებული, აკლებული, გაყიდული საქართველოს ბედს. მისი წიგნი არის ლექსად თქმული გოდება სამშობლოს ტკივილებზე, თავის მწარე ცხოვრებაზე, დარიგება შთამომავლობისა. აკი თვითონვე მწარედ მოსთქვამს თავის ცხოვრებაზე:

„მეტად მწარედ გული მტკივა, მაურჟოლებს და ტანში მზარავს!
ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს!“

თუმცა მთელი სიცოცხლე სამშობლოსგან შორს, უცხოეთში გაატარა, მისი ლექსები საოცრად ლაღი და მდიდარი ქართულით არის ნაწერი. დავით გურამიშვილი დიდი პოეტია. მის წიგნს, რომელიც ახლა მრავალ უცხო ენაზეა თარგმნილი, „დავითიანი“ ჰქვია. ასე დაარქვა თვითონ გურამიშვილმა.

ანა-ბაჯი

1.

ებერვალი დადგა. ხეში წყალი ჩადგა. სიონის უბანს დილიდანვე მთელი თბილისი მოაწყდა. აივნები სეირის მოყვარულებით დაიხუნძლა. ყეენობის სახალხო ზეიმია. აი, სასაცილოდ ჩაცმული „ყაენი“ აქლემზე უკუღმა შესმული ჩამოატარეს. ყინულიან მტკვარში უნდა ჩააგდონ. ეს თამაშობა ძალიან დიდი ხნის წინათ გაჩნდა, როცა საქართველო მონღოლებს ჰქონდათ დაპყრობილი. ხალხი ასე გამოხატავდა დამპყრობთა სასტიკი ბატონობის დამხობისა და მონო-

ბის უღლის მოშორების სურვილს. უცებ მოზეიმე ხალხს ორი გაშმაგებული კამეჩი დაერია. საშინელი არეულობა შეიქმნა. გაქცეული ხალხი ერთმანეთს თელავს, ზოგს კამეჩები რქებზე აგებენ. ერთი სახლიდან თექვსმეტიოდე წლის ქალიშვილი გამოიჭრა და გავეშებულ კამეჩს რქებში ჩააფრინდა. კამეჩმა ჯერ რქებზე წამოგება სცადა, მერე გადათელვა. ქალმა იმარჯვა, მთელი ძალით დააწვა რქებზე პირუტყვს, კისერი მოუგრიხა და ძირს დასცა. ახლა მეორე კამეჩისაკენ გაქანდა და მასაც რქებში წასწვდა.. კისერმოგრეხილმა კამეჩმა მიწაზე ზღართანი გაადინა.

ხიფათისაგან თავზარდაცემული ხალხი ახლა ამ საოცარი სილამაზის ქალიშვილის არაადამიანური ძალითა და სიმამაცით დარჩა გაოგნებული. ზოგი ამბობდა: ღვთისა და სიონის ხატის სასწაულმა გვიხსნაო. სიონის უბნელები კი ამბობდნენ: რა ხატი, რის სასწაული. ეს ხომ ჩვენი ანა იყო, აქაური ქართველი ხელოსნის შვილიო.

2.

თბილისიდან დასავლეთით ოციოდე კილომეტრზე სოფელი მუხათია. სოფლის გადაღმა, დიდ მინდორზე პატარა ეკლესიაა. მინდორში კონკილებზე შეყენებული ჭრელჩარდახიანი ურმები დგას. იქვე დაყრილი ხარ-კამეჩი იცოხნება. თვლემენ ლაგამწაყრილი ცხენები. ხალხი ეკლესიის ეზოში ბუზივით ირევა. კვირაცხოვლობაზე მუხათელებთან ერთად მოსულან კოდიდან, მარაბდიდან, ვაშლოვნიდან, ენაგეთიდან, ერტისიდან, ტაბახმელიდან, შინდისიდან, წავკისიდან, კოჯრიდან, წყნეთიდან, ფარცხისიდან და სხვა ახლომახლო სოფლებიდან. აქა-იქ ქალაქელებიც ჩანან.

დღეობაზე ჩვენი ანაც მოსულა. ის უკვე მუხათელების რძალია. მას სიყვარულით თავს დასტრიალებს ოჯახის შვიდი რძალ-მაზლი, ქმარი და მამამთილი. წირვა-ლოცვა დამთავრდა. დაიწყო სახალხო ლხინი, ცეკვა-თამაში. ბოლოს საჭიდაო დაუკრეს. მთელი ხალხი ჭიდაობის საყურებლად მოაწყდა. ყველა სოფელს თავისი ფალავანი ჰყავს, გამარჯვება ყველას უნდა. დამარცხება სოფლის შერცხვენად ითვლება.

მუხათელების ფალავანი თელეთელმა ორივე ბეჭით მიწას გააკრა და გამარჯვებულმა ცეკვით წრეს შემოუარა. სხვა ფალავნის გამოსვლას ელოდება. მუხათელებიდან საჭიდაოდ გასვლას ვეღარავინ ბედავს. შერცხვა მასპინძელი სოფელი. გამარჯვებულმა ერთიც ჩამოუარა და წრიდან გასვლა დააპირა.

მუხათელებში რაღაც ჩოჩქოლი შეიქმნა. მერე დაიძახეს – დაუკარით! დაუკარითო! გაოცებული თელეთელი შემობრუნდა... წრეში მუხათელების ახალი რძალი შემოსულა. საჭიდაოდ ჩაცმულს მაჯის სიმსხო ნაწნავები აქვს და მუშტისხელა თვალებს აელვარებს. თუმცა ბევრი უშალეს, მაგრამ მუხათელების შერცხვენა ვეღარ მოითმინა და მაინც თავისი გაიტანა.

ხალხი გაოცებულია. დღემდე არავის გაუგია ქალის ჭიდაობა.

დაუკრეს...

და ვიდრე მედუდუკეებს ლოყები ჩაეჩუტებოდათ, ანამ მეტოქე მიწას გააკრა.

წრეში ახლა სხვა ფალავანი შემოვიდა... იმასაც ის დღე ეწია. ანამ ზედიზედ თორმეტი ფალავანი დაამარცხა.

გამარჯვება მუხათელებს დარჩათ.

ეს ამბავი მეხივით გავარდა მთელ საქართველოში. როგორ თუ ქალმა დაგვჯაბნა და შეგვარცხვინაო. – ჯავრობდნენ ვაჟკაცები. ანა არაერთმა სახელოვანმა ფალავანმა გამოიწვია საჭიდაოდ, მაგრამ ყველა დამარცხებული დარჩა.

მაშ რაღა კაცი ვარ, თუ დედაკაცმა მაჯობაო. – თქვა თბილისელმა გეო ტერტერაშვილმა და ანას შეუთვალა: ბოლნისის დღეობაზე საჭიდაოდ ჩამოდიო.

ანამ გამოწვევა მიიღო და დათქმულ დღეს ბოლნისისაკენ გასწია. თან მამამთილი და მაზლი გაჰყვნენ. მდინარე ხრამზე ყაჩაღები დახვდნენ და გაძარცვა დაუპირეს. ანას მამამთილი მოკლეს, მაზლი მკლავში დაჭრეს. ყაჩაღების მეთაურს ბაირამას ანა მოეწონა და საკოცნელად წაეტანა. ანამ მას ქარქაშიდან ხანჯალი ამოართვა და იქვე სული გააფრთხობინა. მერე დანარჩენი ყაჩაღები დაიფრინა. მაზლს ჭრილობა შეუხვია, მკვდარი მამამთილი ცხენზე დააკრა და მუხათში გამოატანა. თვითონ აისხა ბაირამას იარაღი, შეჯდა მის ცხენზე და ბოლნისში ჩავიდა. ტერტერაშვილი განთქმული მოჭიდავე იყო, მაგრამ ანამ სძლია

და ისე მძლავრად დასცა მიწაზე, რომ გეოს ცხვირ-პირიდან სისხლი წასკდა და სამი დღის მერე გარდაიცვალა.

ანამ ბევრი სახელოვანი მოჭიდავე დაამარცხა, თვითონ კი ბეჭდაუდებელ ფალავნად დარჩა.

3.

მუხათს მოულოდნელად თათრები დაეცნენ, ხალხი ააწიოკეს და ნაძარცვით დატვირთულები გაბრუნდნენ. ანამ სასწრაფოდ შეკრიბა სოფელში ჭაბუკები. აისხეს იარაღი, შესხდნენ ცხენებზე და მოთარეშეებს მარაბდასთან დაეწივნენ. ანამ ყაჩაღები დაამარცხა და ნაძარცვი ისევ ხალხს დაუბრუნა. დამარცხებული ტყვეები სოფელში მორეკა და სახალხოდ ფიცი დაადებინა, რომ ხალხის აწიოკებაზე ხელი აეღოთ. – ანა-ბაჯი, ანა-ბაჯი! (თათრულად – დაო ანა) ოღონდ ცოცხლები გაგვიშვი და თავის დღეში ყაჩაღობაზე აღარ ვიფიქრებთო. – იხვეწებოდნენ შეშინებული თათრები. მას მერე ანას ხალხმა მეტსახელად სიყვარულით ანა-ბაჯი შეარქვა.

სოფელს ახლა მოურავმა ჩამოუქროლა და საბატონო გადასახადი – 13 ურემი ხორბალი წაიღო. მოურავს გზაზე ანა-ბაჯი გადაუდგა, ურმები უკან დააბრუნებინა და მუხათში ღალის აკრება აუკრძალა. თავადი ამის მერე მუხათელი გლეხებისაგან გადასახადის აკრებას ერიდებოდა.

ანა-ბაჯი საწყალი ხალხის საიმედო დამცველი და ქომაგი გახდა. თუ ადრე ლეკიანობის შიშით ქართველი გლეხკაცი სოფლიდან მოშორებით ხვნა-თესვას ვერ ბედავდა, ანას მოსვლის მერე უშიშრად გადიოდა მინდორში სამუშაოდ. იმ არე-მარეში ანას შიშით მძარცველების ჭაჭანება აღარ იყო.

ეს ამბავი მეფე ერეკლეს ყურამდე მივიდა. ანა-ბაჯი სასახლეში იხმეს. მეფემ ქართველი ხალხის მტრებთან მამაცური ბრძოლისათვის ვერცხლის ხმალი უბოძა სამახსოვრო წარწერით. მაია წყნეთელის, თამარ ვაშლოვნელის, თინა წავკისელისა და ანა-ბაჯის მშობელ ხალხს სიკვდილი არ უწერიაო, – უთქვამს მაშინ მეფე ერეკლეს.

ანა-ბაჯიზე ხალხში ბევრი ლექსი და თქმულება გაჩნდა. მისი ამბავი გალექსეს საიათნოვამ, ეთიმ-გურჯმა. ერთ-ერთ ლექსში ნათქვამია:

„ანა-ბაჯი ქებულია,
თვალ-წარბდამშვენებულია,
ტანი ლერწმის მინამსგავსი,
საქმით მირონცხებულია.
ტანმაღალი, შავთვალწარბა,
სახე უგავს სავსე მთვარეს,
ნიკაპზე აქვს დიდი ხალი,
მით ამშვენებს არე-მარეს.
წელზე ხანჯალი ჰკიდია,
დააქროლებს ლურჯა ცხენსა,
გმირი ქალი ანა-ბაჯი
თავზარსა სცემს ხალხის მტერსა.“

ანას სახელმა და დიდებამ ბევრი მტერი და მოშურნე გაუჩინა. ერთ-ერთი ასეთი ვერაგი კაცი ოჯახში სტუმრად ეწვია და სუფრაზე საწამლავი შეაპარა. მოწამლული ანა მეორე დღეს გარდაიცვალა. ასე მუხანათურად დაიღუპა ხალხის საყვარელი გმირი. მას ორი ვაჟი და ერთი ქალი დარჩა. შვილებმა სახელოვანი დედის პატივსაცემად ბაჯიაშვილები დაირქვეს გვარად (ანა-ბაჯის ნამდვილი გვარი უცნობი დარჩა). მისი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ სოფელ მუხათში. ბაჯიაშვილები განთქმული სახალხო მკურნალები იყვნენ.

უკანასკნელ ათწლეულებში ანა-ბაჯიზე რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა გაზეთებში. ავტორები ერთხმად აცხადებენ, რომ ანა-ბაჯის სამარე დაკარგულიაო. ეთიმ-გურჯის ცნობით ანა-ბაჯი კვირაცხოვლის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს.

მუხათში, კვირაცხოვლის ეკლესიის ეზოში, ტაძრის კარის მახლობლად ერთი დროჟამისგან ბალახგადავლილი უცნაური სამარეა. ჩვეულებრივი სამარის ქვის მაგიერ რიყის ქვით მოკირწყლული ყორღანი, ანუ წრიული ბორცვია გაკეთებული. ეს ანა-ბაჯის სამარეა. ყოველ კვირაცხოვლობას ბაჯიაშვილები მოდიან აქ, წმინდა სანთელს უნთებენ და იხსენებენ თავისი საგვარეულოს სიამაყეს.

სამწუხაროდ, დღემდე ანა-ბაჯის უკვდავსაყოფად არაფერი გაკეთებულა, გარდა ხალხში გავრცელებული თქმულება-ლექსებისა და იმისა, რაც თვითონ გააკეთა.

თბილისში და სხვა დასახლებებში ქუჩებს ბევრი უღირსი და უცხო კაცის სახელი ჰქვია, ზოგიერთებს ძეგლებიც კი უდგათ. ზოგი მათგანი მონაწილეობდა საქართველოს დაპყრობაში, ხალხის აწიოკება-დახვრეტაში, ჩვენი მიწა-წყლის სხვებისთვის გაჩუქებაში, ზოგს არათუ საქართველოსთვის რამე გაუკეთებია, არამედ თვალითაც არ უნახავს და არც რაიმე სმენია მასზე. სახალხო გმირების – თამარ ვაშლოვნელის, თინა წავკისელის, ანა-ბაჯისა და ბევრი სხვა სახელოვანი მამულიშვილისა კი არც ძეგლები გვაქვს, არც ქუჩები. მათი საფლავებიც კი დავიწყებას მიეცა.

სამშობლოს საამაყო შვილების ასე დავიწყება დიდი სირცხვილია. წინაპრის დავიწყებიდან იწყება ერის გადაგვარება. ამაზე უთქვამთ: ბედოვლათს დედა დავიწყებოდა და დედინაცვალს მისტიროდაო.

მჯადიჯვრელი გმირი ქალი

მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს გარეშე მტერთაგან სამი იყო უმთავრესი – ირანი, ოსმალეთი და ლეკიანობა. განუწყვეტელი თარეში, მოსახლეობის ძარცვა და ტყვედ გატაცება ლეკებისათვის ძირითად საარსებო წყაროდ, ქართველი ხალხისათვის კი ნამდვილ უბედურებად იქცა. ლეკები შეიარაღებითა და სამხედრო საქმით ჩამორჩებოდნენ ქართველებს და დიდ ბრძოლებში მარცხდებოდნენ. ამიტომ ქართველებთან პირისპირ ომს თავს არიდებდნენ. საქართველოში შემოსულები მცირე ჯგუფებად ნაწილდებოდნენ და უღრან ტყეებში იმალებოდნენ. ხვნათესვის, მკის, რთველის დროს მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში გასულ მშვიდობიან მოსახლეობას ქურდულად თავს ესხმოდნენ და იტაცებდნენ. ასევე უკაცოდ დარჩენილი სოფლებიდან იტაცებდნენ ქალებს, ბავშვებს, ქონებას, სოფლის ნახირს. მერე ტყის ბილიკებით ბრუნდებოდნენ დაღესტანში. ტყვეები დამით მიჰყავდათ, დღისით კი მიუვალ ხევებსა და უდაბურ ტყეებში იმალებოდნენ. დაღესტანში გადაყვანილ ტყვეებს ყირიმელი თათრები ყიდულობდნენ. მერე ყირიმელ ვაჭრებს უცხოეთში გაჰყავდათ გასაყიდად. წვრილ-წვრილი ქურდბაცაცური თარეშის გარდა ბევ-

რჯერ მოხდა ლეკების მრავალრიცხოვანი ჯარის შემოსევაც, ანუ როგორც მეისტორიე ამბობს, „გარდამოსვლა ყოველი ლეკისა და მრავალი ადგილი წაახდინეს.“ ლეკიანობის გამო არა ერთი ქართული ოჯახი განადგურდა, არა ერთი ქართველი კაცი ტყვეთა ბაზარზე მონად გაყიდეს, არა ერთი სოფელი აიყარა და ნასოფლარად იქცა. მოსახლეობა შიშიანობის გამო ციხეებში იყო შეხიზნული, სოფლის მეურნეობა კი თითქმის მოიშალა და ჩაკვდა.

ყველაზე დიდი ლაშქრობები ხუნძახის ბატონმა ნურსალ-ბეგმა მოაწყო. იგი ორჯერ შემოესია საქართველოს და ორივეჯერ მეფე ერეკლემ სასტიკად დაამარცხა. პირველად ნურსალ-ბეგი დიდი ჯარით 1754 წელს შემოგვესია. ლეკებმა ძარცვა-რბევით კახეთი გამოიარეს, არაგვი გადმოლახეს, დაარბიეს ქართლის სოფლები, დუშეთი და გორისკენ გაემართნენ. გორის აღებით ქართლის დაპყრობა უნდოდათ. სოფელ მჭადიჯვრის ციხეში უამრავი ხალხი იყო შეხიზნული. ლეკებმა მათი ტყვედ ჩაგდება გადაწყვიტეს და ციხე ალყაში მოაქციეს. მჭადიჯვრელები მტერს მედგრად დახვდნენ. ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი წერს: „ჩამოხდა თვითონ ხუნძახის ბატონი ციხის ბოლოს, ჭალაში, გააკეთებინა სანგარი მაგარი, დაადგმევინა კარავი, დადგა შიგ და აბრძოლა ციხეს ჯარი. იყო დღე-ღამ ბრძოლა და ომი განუწყვეტელი. არ ავად იყვნენ მყოფნი ციხისანნი. მრავალი ლეკი მოკლეს.“

მეციხოვნეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი მჭადიჯვრელი ქალი – ქრისტინე ცქირიაშვილი, „შემკული სიბერისა ყვავილითა“ – თეთრი თმით. მარტოხელა იყო, ქმარ-შვილი მამულისათვის ბრძოლაში დახოცოდა. მოხუცი ქალი ხალხს ამხნევებდა და პირადი გულადობით აღაფრთოვანებდა. ამ მამაცმა ქალმა ციხის კედლიდან თოფით მოკლა ლეკთა სამი ბელადი. ლეკებმა ციხის მახლობლად ხის მაღალი საფრები გამართეს და მეციხოვნეებს მაღლიდან დაუშინეს ტყვიები. ციხის დაცვა გაჭირდა. მაშინ ქრისტინე შუაღამით ციხიდან გამოვიდა, მტრის ბანაკში შეიპარა, ლეკთა შვიდ საფარს ცეცხლი წაუკიდა და გაუნადგურა. ის იყო, მერვე საფარსაც ცეცხლი გაუჩინა, რომ ლეკებმა მიასწრეს, შეიპყრეს და სასტიკი წამებით მოკლეს.

ამასობაში მეფე ერეკლე მცირერიცხოვანი ლაშქრით მტერს ეკვეთა. ქართველთა სიმხნევემ და ერეკლეს სამხედრო ნიჭმა გა-

იმარჯვა. ნურსალ-ბეგი გაიქცა. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის აუარებელი დახოცილი მებრძოლი, ცხენები, კარვები, იარაღი, ნაძარცვი ქონება. ცოცხლად გადარჩენილ და გაქცეულ ლეკებს გზა გადაუჭრეს კახელებმა და გაანადგურეს. მჭადიჯვრის ომი 1754 წლის 16 აგვისტოს მოხდა.

საქართველოს სახელმწიფო არქივში აღმოჩნდა ერთი საინტერესო საბუთი – ქრისტინეს სულის მოსახსენებელი აღაპის შესახებ, რომელშიც წერია: „მოიხსენე, უფალო, ქრისტინე მოხუცებული, რომელმან მჭადიჯვარს გარემოდგომილთა ბევრ რიცხვთა ლეკთა შვიდგზის ალმები მიხადა და იქნენ დამარცხებულნი.“ მჭადიჯვრის ომში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ქრისტინე ცქირიაშვილი ხალხმა გმირად აღიარა. მასზე მესტვირეებმა და მოშაირეებმა ლექსები და სიმღერები შეთხზეს.

პატარა კახი

ეფე ერეკლეს ჭაბუკობიდანვე ძლიერი მებრძოლის სახელი გაუვარდა. ერეკლე ტანმორჩილი იყო და ხალხმა სიყვარულით პატარა კახი უწოდა. მის არაჩვეულებრივ ძალ-ღონეზე კი ასეთი სიმღერა შეიქმნა:

„ეს ჩვენი მეფე ერეკლე
ერთი პატარა კახია,
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს,
გაჰკრა ხელი და გახია.“

ხშირი იყო ასეთი ამბავი: საქართველოს ურიცხვი მტერი მოსდგომია. მრავალ ბრძოლაში დასუსტებული და დაშლილი საქართველო კი მცირე ჯარით ხვდება. ერეკლე იძულებულია ომის ბედ-იღბალი საკუთარ მკლავს მიანდოს – ხმალში იწვევს მტრის სარდალს. ერეკლე სიმარჯვით სჯობნის და კლავს მოწინააღმდეგეს. უსარდლოდ დარჩენილი მტერი შეშინდება და

ადვილად მარცხდება. თხუთმეტი წლის ერეკლემ სწორედ ასე მოიგო პირველი ომი.

ერეკლეს და მამამისს თეიმურაზ მეორეს უმძიმესი მემკვიდრეობა ერგოთ – აღმოსავლეთი საქართველო განადგურების პირზე იყო. ოსმალეთმა და სპარსეთმა ქართლ-კახეთში ქართული სახელმწიფო მმართველობის ნიშანწყალიც კი აღარ დატოვეს. ერთიანად მოშალეს და მოსპეს ქართული მმართველობა, სამართალი. მოიშალა გლეხური მეურნეობა, ნასოფლარებად და საძოვრებად იქცა ქვეყანა. მარტო ნადირ-შაჰმა 5 ათასზე მეტი ტყვე აყარა და გაასახლა ირანში. თეიმურაზმა და ერეკლემ ფრთხილი, გონივრული პოლიტიკური თუ სამხედრო მოქმედებებით გადაარჩინეს აღმოსავლეთი საქართველო სრულ დაღუპვას, იხსნეს იმ საშინელი განსაცდელისაგან, რომელშიც ვითომც „ქრისტიანობის მფარველის“ პეტრე პირველის გადამკიდე ჩავარდა. მათ ისევ აღადგინეს ქართული მართვა-გამგეობა, კანონები, ზნეობა. ერეკლემ აღადგინა საქართველოს მდიდარი მადნების დამუშავება უცხოეთიდან მოწვეული ოსტატების შემწეობით, განაახლა ქართული ფულის მოჭრა, გახსნა სასწავლებლები და დაიწყო ზრუნვა ქართული მეცნიერებისა და განათლების ასაღორძინებლად. მამა-შვილის მრავალწლიანი მოღვაწეობის ყველაზე დიდი შედეგი კი ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება იყო. ამით ქართლ-კახეთის სამეფო ამიერკავკასიაში ისევ ძლიერ ქვეყნად იქცა. ამის გამო ერეკლე მეორემ ქართველი ხალხის სიყვარული დაიმსახურა. პატარა კახის შესახებ ხალხში ბევრი საინტერესო ამბავი თუ თქმულება დარჩა. აი ორიოდე მათგანი:

ენამოსწრებული პასუხი

ერთხელ მეფე ერეკლე ერთი გლეხის ოჯახს ეწვია. მასპინძელს ათი შვილი ჰყავდა. მეფემ უთხრა: ბედნიერი ხარ, რომ ათი შვილი გყავსო.

– დიდო ბატონო! ნეტავ ერთი შვილი მყავდეს და შენისთანაო. – მიუგო ენამოსწრებულმა მასპინძელმა.

როგორ უჩივლა გლეხმა მეფეს

ბავშვობაში ერეკლე ხშირად გაერეოდა ხოლმე გლეხის ბიჭებში. ერთხელ ჭიდაობა გამართეს. ერეკლე ბატონიშვილი გლეხის ბიჭს პაატა ბაღაშვილს დაეჭიდა. პაატამ წააქცია. ერეკლეს ძალიან ეწყინა დამარცხება და დაიფიცა, რომ იმ ბიჭს მოკლავდა. ათი წელი ემალებოდა ბაღაშვილი, ბატონიშვილს არსად გადავეყარო და მართლა არ მომკლასო.

ერთხელაც ერეკლე უკვე კახეთის მეფეა და მომჩივან ხალხს ღებულობს. ზოგი რას ჩივის და ზოგი რასა. ერეკლეც ცდილობს მტყუან-მართალი გაარჩიოს და სამართალი დაუდგინოს. უცებ მეფემ მომჩივანთა რიგში პაატა ბაღაშვილი დაინახა და ძველი წყენა გაახსენდა. – როგორ გაბედე ჩემთან მოსვლაო? – ჰკითხა მკაცრად.

– შენთან კი არა, კახეთის მეფესთან მოვედი. საჩივარი მაქვს, ვალდებული ხარ მიპატრონო. – მიუგო ბაღაშვილმა.

– ვის უჩივი?

– ვისა და მეფე ერეკლეს. ათი წელია მოსაკლავად დამდევს. ჩემ თავს არ ვჩივი, მაგრამ თქვენს ქვეშევრდომთან რა ხელი აქვს?

მეფემ უყურა, უყურა ეშმაკ ქიზიყელს და სიცილი აუტყდა. მოეწონა მისი გონიერება და თავის ამალაში აიყვანა. პაატა მეფის ყველაზე ერთგული მხედარი გახდა.

სოლომონ პირველი

1751 წელს იმერეთის მეფე გახდა სოლომონ პირველი. უჭირდა ქვეყანას: დიდი ფეოდალებისა და თავადების თარეშს საზღვარი არ ჰქონდა. ცალკე ოსმალები იკლებდნენ ქვეყანას. ტყვეთა სყიდვა შემოსავლის წყაროდ ქცეულიყო. ოსმალოც და ქართველიც ბავშვებს იტაცებდნენ და ოსმალეთის მონათა ბაზარზე მიჰყავდათ გასაყიდად. ოსმალთა ძალადობით ხალხის გათათრება დაწყებულიყო. სოლომონმა მოთოკა თავგასული თავადები, სასტიკად აკრძალა ტყვის სყიდვა და გათათრება.

იწყინა ეს ამბავი ოსმალეთის ხონთქარმა და სოლომონის

დასასჯელად 44 ათასი მეომარი გამოგზავნა. ოსმალთა არმიას სოლომონის ბიძა ლევან აბაშიძე, როსტომ რაჭის ერისთავი და სხვა მოღალატე თავადები შეუერთდნენ თავიანთი რაზმებით.

ახალგაზრდა სოლომონი ჩინებული სარდალი და უშიშარი მეომარი გამოდგა. მან ჯერ უკანდახევა დაიწყო და მტერი ვიწროებში შემოიტყუა. მერე კი ხრესილის ველზე თავს დაესხა. ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ. მტრის უზარმაზარი ლაშქრის დიდი ნაწილი ბრძოლაში გაწყდა; მათი ბედი გაიზიარა ლევან აბაშიძემაც. ოსმალთა მცირე ნაწილმა და მოღალატე როსტომ ერისთავმა გაქცევით უშველეს თავს. ეს მოხდა 1757 წლის 14 დეკემბერს.

მალე სოლომონ პირველმა და ერეკლე მეორემ სამხედრო კავშირი შეკრეს: – "რომელ ქვეყანაშიც მტერი შემოვიდეს, ერთმანეთს მივეშველოთო". ოცი წლის მანძილზე ეს კავშირი არ დარღვეულა და დიდი როლი შეასრულა საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლაში.

სოლომონ მეფემ საეკლესიო მოღვაწეებისა და თავადების კრება მოიწვია. კრებამ საბოლოოდ აკრძალა ტყვის სყიდვა მთელს დასავლეთ საქართველოში. მთავრებმა და თავადებმა კი მეფეს მორჩილება აღუთქვეს.

სოლომონ მეფის მეთაურობით ხალხი გმირულად ებრძოდა ოსმალო დამპყრობლებს. ამის გამო ოსმალეთმა დასავლეთ საქართველოს დაპყრობაზე ხელი აიღო. ხალხმა სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის მეფეს სოლომონ დიდი უწოდა.

საქართველოს დაპყრობის განზრახვა

ასზე მეტი ომი გადაიხადა ერეკლემ, მაგრამ დაშლილი საქართველოს გაერთიანება მაინც ვერ შეძლო. 1768 წელს ოსმალეთმა და რუსეთმა ომი დაიწყეს. ერეკლეს ერთდროულად ეწვივნენ ოსმალო და რუსი ელჩები. ოსმალეთი თხოულობდა – ომში ნუ ჩაერევიო, რუსეთი კი საომრად აქეზებდა. ერეკლემ ოსმალეთის ელჩები უპასუხოდ გაისტუმრა და რუსეთს მიემხრო. იმერეთის მეფე სოლომონ დიდიც ასე მოიქცა. მათ სურდათ რუსეთის დახმარებით ოსმალები განედევნათ ქართული მიწა-წყლიდან.

რუსთა მეფემ გენერალი ტოტლებენი გამოგზავნა ხუთი ათასი მეომრით. ერეკლემაც ამდენივე ჯარი შეაგროვა და საომრად გასწიეს. აწყურის ციხეს შემოადგნენ. ოსმალთა ჯარი კი ამასობაში ასპინძას უახლოვდებოდა. უცებ ტოტლებენმა რუსის ჯარი აჰყარა, ქართველები მტერს შეატოვა და თბილისისკენ გამოეშურა. თურმე მას მეფე ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება და საქართველოს დაპყრობა ჰქონია განზრახული. ამაზე უკეთეს დროს ვერც კი ინატრებდა: ერეკლეს ჯარს ოსმალები გაანადგურებენ, მე კი ქართლ-კახეთს უომრად ჩავიგდებ ხელშიო – ფიქრობდა გენერალი.

რაღას იზამდნენ ქართველები. როცა ზურგსუკან ოსმალთა დიდი ჯარი მოდიოდა, ტოტლებენის გამოდევნებას აზრი არ ჰქონდა. მეფე ერეკლემ აწყური მიატოვა, ასპინძაში გადავიდა და ოსმალთა ჯარს ომი გაუმართა. მტრის ლაშქრიდან მხოლოდ ოცდახუთი გადაურჩა სიკვდილს. ქართველთა დანაკარგი უმცირესი იყო – სულ ოცდაათამდე მოკლული რიგითი მეომარი და ასამდე დაჭრილი; მაგრამ ქართველებმა ამ საარაკო გამარჯვების ნაყოფი ვეღარ მოიმკეს – სამცხე ისევ მტერს დაუტოვეს და თბილისისკენ გამოეშურნენ.

თბილისში ჩამოსული ტოტლებენი ყველას არწმუნებდა – მეფე ერეკლე თავისი ჯარით ოსმალებმა მოსპესო: ხალხს ძალით აფიცებდა რუსეთის მეფის ერთგულებაზე და ციხესიმაგრეების დაჭერას ცდილობდა. მალე ადიდებულმა მტკვარმა უამრავი გვამი ჩამოატარა. ყველა ოსმალო მეომრისა იყო, ქართველისა კი არცერთი. ხალხს ტოტლებენის ნათქვამში ეჭვი შეეპარა. ამასობაში მეფე ერეკლემ თავისი ჯარით ჩამოუსწრო ტოტლებენს და პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ თავი ისე დაიჭირა, ვითომც საქართველოს დაპყრობის განზრახვისა არაფერი იცოდა. ეს ტოტლებენის თავქარიანობად გამოაცხადა და სარდლობიდან გადააყენა; ერეკლეს ბოდიში მოუხადა და ტოტლებენის ნაცვლად გენერალი სუხოტინი გამოგზავნა. ეკატერინე მეორე სუხოტინს საიდუმლოდ სწერდა: „ტოტლებენის დაწყებული საქმე – ქართველების რუსეთის ერთგულებაზე ძალით დაფიცება... შეგიძლიათ გააგრძელოთ.“ (ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ.

115). გენერლების შეცვლით საქმე არ შეცვლილა: საქართველოში ჩამოსული ყველა რუსი გენერალი ტოტლებენივით იქცეოდა. ასეთი იყო რუსეთის სამეფო კარის საიდუმლო დავალება.

მეფეები უჯაროდ რჩებიან?

საქართველოს სამხედრო ძლიერების დასუსტება და ადვილად დაპყრობა – ასეთი იყო რუსეთის სამეფო კარის საიდუმლო დავალება.

ქართული ზარბაზნები ხარისხითა და სიმძლავრით ჩამოუვარდებოდა რუსულსა და ევროპულს. ერეკლემ გადაწყვიტა რუსების დახმარებით უფრო მძლავრი, ევროპული ყაიდის ზარბაზნების ჩამოსხმა და კარგი მეზარბაზნეების მომზადება. მძლავრი არტილერია ქვეყნის თავდაცვისათვის აუცილებელი იყო. ტოტლებენის ჯარში იყვნენ ამ საქმის მცოდნე ქართველებიც: არტილერიის პოდპოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი და თავადი თარხან-მოურავი. ერეკლეს თხოვნით ისინი საქმეს შეუდგნენ. ტოტლებენმა ეს ამბავი რუსეთის მთავრობას აცნობა, თან მოითხოვა: ყველა ქართველი ოფიცერი ისევ რუსეთში წაიყვანეთ, რომ ქართველებს არაფერი ასწავლონო. მართლაც ასე გააკეთეს, ხოლო ჩოლოყაშვილი და თარხან-მოურავი პასუხისგებაში მისცეს. მხოლოდ თხუთმეტი წლის მერე შეჰპირდა რუსეთის ხელისუფლება ერეკლეს საქართველოსათვის ზარბაზნების დამზადებას. ამ დაპირებიდან კიდევ ხუთი წელი გავიდა და ორი ზარბაზანი ძლივს ჩამოიტანეს, დანარჩენები რუსეთში ჩარჩა.

მეცხრამეტე საუკუნის ზოგიერთი მკვლევარი წერდა: რუსეთის გენერალმა სუხოტინმა ფოთიდან ოსმალების განდევნა ითავა. იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა მას ოცდაათი ათასი კაცი მისცა. სუხოტინმა ფოთი ვერ აიღო, იმერეთის ჯარი კი ერთიანად მტერს შეაკლა. ამის შემდეგ ეკატერინემ საქართველოში გენერალი ბურნაშევი გამოგზავნა. ახლა ეს გენერალი ეწვია ერეკლეს და ირანზე ლაშქრობისათვის ჯარი სთხოვა. ერეკლემ ოცდათორმეტი ათასი ჯარისკაცი მისცა, თან რვაათასი ურემი გააყოლა თავისი ხარ-კამეჩითა და სურსათით. გენე-

რალმა ეს ქართული ლაშქარი განჯაში ირანელებთან ბრძოლაში გაწყვიტა. რუსეთის მეფეს იმედი ჰქონდა, რომ უჯაროდ დარჩენილი ქართველი მეფეები მისი ქვეშევრდომები გახდებოდნენ. მაგრამ ასე არ მოხდაო.

ამ ფაქტებიდან ჩანს: რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა საქართველო ისე დაეუძლურებინა, რომ მას არ შესძლებოდა თავის დაცვა და მხოლოდ რუსეთის იმედზე ყოფილიყო.

რა მოუტანა საქართველოს რუსეთ-ოსმალეთის ომმა?

რუსეთმა კიდევ რამდენჯერმე წააქეზა საქართველო ოსმალეთზე სალაშქროდ. აღებულ ციხესიმაგრეებში კი ქართული ჯარის ჩაყენების წინააღმდეგი იყო. თურმე რუსეთს სულაც არ სურდა, რომ საქართველოს დაკარგული მიწები დაებრუნებინა. ქართველებს მხოლოდ იძულებული უნდა გაეხადათ ოსმალეთი, რომ საქართველოს საზღვართან დიდი ჯარი ჰყოლოდა. რუსეთს კი ამით მთავარ ფრონტზე – ბალკანეთში ომი გაადვილებოდა.

რუსეთმა ოსმალეთთან ზავი დადო და საქართველოდან ჯარი გაიყვანა. თავისი მოკავშირე პატარა საქართველო კი მარტო დატოვა დიდი ოსმალეთის პირისპირ. ოსმალეთს შურისძიების დრო დაუდგა. მან საქართველოს აოხრება დაიწყო, თან ლეკებს დიდძალი ფული მისცა და საქართველოს შემოუსია, სპარსეთიც დაიძრა საქართველოს დასასჯელად. ერეკლეს განუდგნენ განჯის, ყარაბაღის, ერევნის ხანები. ერეკლემ სამხედრო ნიჭისა და ქართველთა ჯარის სიმამაცის წყალობით თავი დააღწია ამ მძიმე განსაცდელს. მან დიპლომატიური მოლაპარაკებებით დაამშვიდა სპარსეთი, მერე სოლომონ მეფესთან ერთად მარჯვე საომარი მოქმედებებით ოსმალეთიც იძულებული გახადა ზავზე დათანხმებულიყო. ისევ დაიმორჩილა ქვეშევრდომი განჯის, ერევნის, ყარაბაღის ხანები. ამის შემდეგ ერეკლეს ყმადნაფიცები გახდნენ მთელი აზერბაიჯანის, თავრიზის, ხოის, ურუმის, შაყიყის ხანები, ბაიაზეთისა და ყარსის ფაშები, შორაგალის სულთანი, ქურთისტანის მეპატრონე შამადინ-აღა.

შეთქმულებანი ერეკლეს წინააღმდეგ

ერეკლე მეფეს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, რომლებსაც მისი საგარეო პოლიტიკა არ მოსწონდათ. ერთერთი მათგანი, პაატა ბატონიშვილი ამბობდა: „ერეკლე უსწავლელი კაცია და არ შეუძლია საქართველოს კეთილმოწყობა, მისთვის ბედნიერების მოპოვება. მას არც ევროპული კულტურისა ესმის რაიმე და არც სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა. ჯინიანია და უთავბოლოდ იბრძვის. თავისი ჩაკეტილი შეხედულებით დაღუპავს სამშობლოს“. (ბ. პატარაია, ერეკლე მეორე, გვ. 121-122). პაატა ვახტანგ მეექვსის შვილი იყო. მას ევროპული განათლება ჰქონდა მიღებული, იქაური კულტურა და წეს-წყობილება კარგად იცოდა. პაატა ბატონიშვილი ამბობდა: რუსეთთან ურთიერთობით ირან-ოსმალეთი გადავიკიდეთ. ამიტომ რუსეთს თავი უნდა დავანებოთ და ევროპას დავუკავშირდეთ. საქართველოში ევროპული განათლება და წეს-წყობილება შემოვიღოთო. მის აზრს ბევრი ქართველი იზიარებდა. მათ საქართველოს წარსულიდანაც კარგად იცოდნენ, რომ საერთო სარწმუნოება სხვა სახელმწიფოსთან კავშირის გადამწყვეტი პირობა არ არის. ბიზანტიაც ჩვენი ერთმორწმუნე იყო, მაგრამ საუკუნეების მანძილზე გვეომებოდა და მიწა-წყალს გვტაცებდა. ასევე ებრძოდნენ ერთმანეთს ერთმორწმუნე მეზობლები ირანი და ოსმალეთი. ამიტომ ქართველთა ერთი ნაწილი ირან-ოსმალეთთან მშვიდობიანი მორიგებისა და კათოლიკურ ევროპასთან კავშირის მომხრე იყო. როცა ერეკლე ამაზე ვერ დაითანხმეს, შეთქმულება მოუწყეს. შეთქმულებას პაატა ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა. სამშვილდელმა გლეხმა დათუნა ფეიქარმა მღვდელთან აღსარებაზე გაამჟღავნა ეს საიდუმლო. მღვდელმა კეჟერაშვილმა კი ეს ამბავი ერეკლეს შეატყობინა. ერეკლე სასტიკად გაუსწორდა შეთქმულებს: ზოგს ენა მოსჭრა, ზოგს – ცხვირი, ზოგს თვალები დასთხარა, ზოგი ცეცხლში დაწვა. პაატას თავი მოჰკვეთა. პოლიტიკაში განსხვავებულად მოაზროვნეების ასე ბარბაროსულად დასჯამ ბევრი ქართველი დაამწუხრა და მეფის საწინააღმდეგოდ განაწყო. მათი აზრით ამ შეთქმულების ჩავარდნით საქართველოს გადარჩენის კიდევ ერთი შესაძლებლობა დაიკარგა.

1776 წელს ზაალ ორბელიანმა დიდი შეთქმულება მოაწყო ერეკლეს ტახტიდან ჩამოსაგდებად. ერეკლემ შეთქმულები დაამარცხა. მალე გამოირკვა: შეთქმულების სულისჩამდგმელი რუსეთი იყო.

ერეკლეს მაინც ჯიუტად სჯეროდა, რომ რუსეთთან კავშირი იყო ქვეყნის ხსნის ერთადერთი გზა. 1783 წელს მან რუსეთთან ხელშეკრულება დადო. ამის შემდეგ საქართველო და რუსეთი ომში ერთმანეთს უნდა დახმარებოდნენ, ერთიმეორის შინაურ საქმეებში კი არ ჩარეულიყვნენ. რუსეთი უნდა დახმარებოდა საქართველოს მტრებისგან მიტაცებული მიწების დაბრუნებაში.

რუსეთი არ ცდილობდა ხელშეკრულების შესრულებას და საქართველოს დაცვას. ხელშეკრულება მაშინ ახსენდებოდა, როცა სპარსეთთან და ოსმალეთთან ომს იწყებდა და ქართველთა ჯარის დახმარება სჭირდებოდა. მერე მათთან ზავს დადებდა, საქართველოდან ჯარს გაიყვანდა და ქართველებს მტერთან მარტო ტოვებდა. ისინიც არ აყოვნებდნენ შურისძიებას. ცალკე თვითონ შემოესეოდნენ, ცალკე ლეკებს მოისყიდიდნენ და საძარცვავად გზავნიდნენ. ამან ქვეყანა გააჩანაგა. ქართველები თხოულობდნენ ხელშეკრულებით დაპირებულ სამხედრო დახმარებას, რუსეთიდან დახმარება კი არ ჩანდა. ამის ნაცვლად რუსეთის მეფე მენაპირე ჯარის სარდალს სწერდა: ერეკლესათვის თავს ნუ გამოიდებთ, იმოქმედეთ ძალზე ფრთხილად, რომ ირანი და ოსმალეთი არ გააღიზიანოთო. ასე ახერხებდა რუსეთი სპარსეთისა და ოსმალეთის გამოყენებას საქართველოს დასასუსტებლად.

გასული საუკუნის ზოგიერთი მკვლევარი წერდა, რომ რუსეთმა ირანის შაჰს დიდძალი იარაღი მისცა და საქართველოზე სალაშქროდ წააქეზა. სომეხთა კათალიკოსი ლუკა კი შაჰს ასი ათასი მანეთით დაეხმარა. საფრანგეთში მცხოვრები ცნობილი მკვლევარი თამარ პაპავა წერს: „დღეს უკვე ცნობილია, რომ რუსეთი ვერაგულ ზრახვას ატარებდა – საქართველო აღა-მაჰმადხანის შემოჭრით დაესუსტებინა“ (თამარ პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. თბ. 1990. გვ. 250). მკვლევარმა ა. როგავამ შეისწავლა ერეკლეს შთამომავლების, ამ ამბების უშუალო მომსწრეებისა და მონაწილეების – დავით ბატონიშვილის, ალექსან-

ღრე ორბელიანის, თეიმურაზ ბატონიშვილისა და სხვათა ისტორიული შრომები. ამ პირველი წყაროების ცნობებიდან მკვლევარი ასკვნის: „რუსეთის მთავრობა ცდილობდა, რომ მთელს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ერეკლეს ძალაუფლება შესუსტებულიყო. ამ მიზნით იგი საიდუმლოდ მოელაპარაკა ირანის შაჰს და ააოხრებინა თბილისი – ერეკლეს სატახტო ქალაქი, ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ეროვნულ-განმათავისუფლებელი და გამაერთიანებელი მოძრაობის ცენტრი“ (ა. როგავა, კაპიტალიზმის ჩანასახი საქართველოში და ერეკლე II პოლიტიკა. რუსულ ენაზე. 1973, გვ.254).

კრწანისი

1795 წელია. აღა-მაჰმად-ხანი 35 ათასი მეომრით თბილისს მოადგა. ორი წლით ადრე ერეკლემ იცოდა, რომ ეს მოხდებოდა და რუსეთის მეფეს ჯარის გამოგზავნას სთხოვდა. რუსთა ხელმწიფემ მეგობრობის პირობა დაარღვია და ჯარი არ მოაშველა. მთელი ქართლ-კახეთიდან კი საომრად მხოლოდ 2 ათასი კაცი გამოვიდა. სამი ათასი მხედარიც იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ მოაშველა... ამ მცირე ჯარით დარჩა მოხუცი მეფე მტრის პირისპირ.

ოთხი დღე იგერიებდნენ ქართველები მოზღვავებულ მტერს. ალბათ, დიდი ჯარი ჰყავთ, ასე მედგრად რომ მებრძვიანო, იფიქრა აღა-მაჰმად-ხანმა და უკან გაბრუნებას აპირებდა. ამ დროს თბილისელი სომხები იოსებ ბებუთოვი და არტემ არარატიანცი ქალაქიდან გაიპარნენ და აღა-მაჰმად-ხანს ამბავი მიუტანეს: ერეკლე თითქმის უჯაროდ არისო. გაუხარდა მტერს და გამთენიისას გალაღებულმა შეუტია თბილისს.

საღამომდე გაუძლეს ქართველებმა. დღის ბოლოს კი ქალაქის დამცველთაგან სამასამდე კაციღა დარჩა. მათ ძალით გაიყვანეს მეფე ერეკლე ბრძოლიდან. თბილისი მტერს დარჩა. კრწანისის ველზე ესვენა 15 ათასი ირანელი და 3 ათასი ქართველი.

ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ ეს იყო მათი საარაკო გმირობის კიდევ ერთი მაგალითი. კრწანისში მებრძოლი ყვე-

ლა ქართველი გმირი იყო. ისტორიამ მხოლოდ ზოგი მათგანის სახელი შემოგვინახა. ესენია: გორჯასპი ნათალიშვილი, დავით თარაშვილი, ოთარ ამილახორი, ზაქარია ანდრონიკაშვილი, იოანე მუხრანბატონი, გიორგი გურამიშვილი, იოანე, ვახტანგ და დავით ბაგრატიონები. თავი ისახელა მეფის მესაზანდრემ და მომღერალმა დავით მაჩაბელმა თავისი მსახიობების გუნდით. ისინი დაკვრა-სიმღერით ამხნევებდნენ თბილისის დამცველებს. მერე ქალაქის ხელოსნები შეკრიბეს, სიმღერით წინ გაუძღვნენ და მტერს შეაკვდნენ. გმირულად დაიღუპა 300 არაგველი ვაჟკაციც.

მწარე იყო კრწანისი 80 წელს მიტანებული მეფე ერეკლესათვის. ჯარის სიმცირემ, რუსთა და შინაურთა ღალატმა გადაწყვიტა ყველაფერი.

ცხრა დღე ძარცვავდნენ ქართლ-კახეთს მტრის ურდოები. უამრავი მშვიდობიანი მოსახლეობა გაჟლიტეს, 20 ათასი ქართველი ტყვედ წაასხეს. მარტო თბილისმა ორმოცდაათი ათასი მოსახლე დაკარგა. მთლიანად ქართლ-კახეთში კი მოსახლეობა 26 ათასი კომლით შემცირდა.

ერეკლემ აოხრებული ქვეყნის აღდგენისათვის რუსეთს ერთი მილიონი მანეთი სთხოვა სესხად. საწინდრად თავის მამულებს იძლეოდა. რუსეთის მთავრობამ პასუხიც არ აღირსა. ხოლო მცირეოდენი დამხმარე ჯარი მხოლოდ სამი თვის მერე გამოგზავნა. ეს დახმარება კი არა, თვალთმაქცობა და დაცინვა იყო მხოლოდ. ოსმალეთის მთავრობამ ამ სესხის მიცემაზე თანხმობა განაცხადა. აღა-მაჰმად-ხანი კი ჰპირდებოდა: ქართველ ტყვეებს უკან დაგიბრუნებ, დანგრეულ თბილისს აღვადგენ და აზერბაიჯანსაც დაგითმობ, თუკი რუსეთს თავს დაანებებ და ჩვენი მოკავშირე გახდებიო. ერეკლემ ორივენი უპასუხოდ დატოვა. რუსეთის მეფეს კი მისწერა: თქვენთან დადებული ფიცი რომ გამეტეხა და აღა-მაჰმად-ხანს შევთანხმებოდი, ეს უბედურება არ მოგვივიდოდაო. საოცარია: მეფეს შეეძლო ომის აცილება და კრწანისში დაცემული 3 ათასი ქართველი მეომრის სიცოცხლის გადარჩენა, ომის მერე 30 ათასი ტყვე ქართველის გამოხსნა და ისევ საქართველოში დაბრუნება, დანგრეული თბილისის აღდგენა, ახალი ქვეყნების შემოერთება...

ყველაფერზე უარი თქვა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან დადებული ხელშეკრულების გულისათვის, იმ ხელშეკრულებისა, რომელსაც თვითონ რუსეთი არაფრად აგდებდა და ნებისმიერ დროს არღვევდა.

ეკატერინეს იმედი ჰქონდა: სპარსელებისგან აკლებული საქართველო უსიტყვოდ შემოგვიერთდებაო. მისი მოლოდინი არც ამჯერად გამართლდა.

საბედისწერო შეცდომები

იაკობ გოგებაშვილი წერს: ერეკლე განთქმული იყო ომში სიმამაცითა და ვაჟკაცობით, მაგრამ აკლდა შორსმჭვრეტელობაო.

ერეკლემ არ ისურვა თავის დროზე შვილებისათვის ტახტის დათმობა, ღრმად მოხუცს კი აღარ შეეძლო ქვეყნის ჭაბუკურად მართვა: გამუდმებულმა ომებმა, დღენიადაგ ლაშქრად ყოფნამ, შეთქმულებებმა, ირან-ისმალეთისა და ლეკთა თარეშმა დაღალა. სიბერის ჟამს რამდენიმე საბედისწერო შეცდომა მოუვიდა.

1. რატომ დავმარცხდით კრწანისში? კრწანისის ომში ჩვენი დამარცხება რამდენიმე მიზეზით მოხდა. ყველაზე მთავარი მიზეზი ქართული ლაშქრის სიმცირე გახლდათ. მტერი შვიდჯერ მეტი იყო. ქართველებმა თითქმის ნახევარი გაანადგურეს. ამაო გამოდგა ქართველების საარაკო გმირობა. უმეტესობა მტერს შეაკვდა. მტერმა ქვეყანა აიკლო. დაიღუპა დიდძალი მშვიდობიანი მოსახლეობა. ბევრნი ტყვედ წაასხეს. ერეკლემ კრწანისის ომის თადარიგი წინასწარ დაიჭირა: ორმოცი ათასი მეომარი უნდა შეკრებილიყო ქართლ-კახეთიდან. ამის ნაცვლად კი ოთხი ათასი მეომარი ძლივს შეგროვდა. ამათგან ომში მხოლოდ ორიათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა, დანარჩენი 2 ათასი ქიზიყელი ომის წინა ღამეს ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გაიპარა. რატომ მოხდა ასე? ერეკლეს ბევრი შვილი ჰყავდა. სიბერის ჟამს ქვეყანა შვილებს საუფლისწულოებად დაურიგა. ისინი თვითნებობდნენ, მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ. ასე იქცეოდნენ მეფის მოწინააღმდეგე თავადებიც. საქმე იქამდე მივიდა,

რომ ზოგიერთმა უფლისწულმა და თავადმა კრწანისის ომში სამშობლოს ღალატი ჩაიდინა – ჯარი არ გაიყვანა საომრად, ზოგნი კი ძალზე მცირე ლაშქრით გამოვიდნენ. ამაზე მათ რუსთა აგენტებიც აქეზებდნენ. ერეკლეს მოწინააღმდეგე თავადები სოფლებში ხალხს არწმუნებდნენ: მეფემ შემოგითვალათ – სალაშქროდ ნუ წამოხვალთ, ომი უიმედოა, რაც შეიძლება შორს, ტყეებში გაიხიზნეთო.

ცნობილია, რომ ტახტის მემკვიდრემ გიორგიმ და მისმა ცოლისძმამ რევაზ ანდრონიკაშვილმა კახეთსა და ქიზიყში შვიდი ათასი მხედარი შეკრიბეს. ეს ჯარი კრწანისში საომრად არ წასულა. რევაზმა ეს ლაშქარი საყაჩაღოდ გამოიყენა: ქართლიდან საქონლის ჯოგები გაიტაცა და ქიზიყში გადარეკა. სწორედ კრწანისის ომის დღეებში ქიზიყელი მოლაშქრეები ამ ნადავლს ინაწილებდნენ და ღრეობდნენ. ამ ღალატის მიზეზი კი უბრალო პირადული წყენა გახლდათ: მეფემ რომ ქიზიყის მოურაობიდან გადამაყენა, არ შევარჩინე წყენაო. – იძახდა ნიშნისმოგებით რევაზი. ჯარი არ გაიყვანა საომრად უფლისწულმა იულონმაც. ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანას აღარ ჰყავდა მტკიცე ხელისუფალი, უკვე მოშლილი იყო სახელმწიფო და სამხედრო წესრიგი, მეფის საგარეო პოლიტიკისადმი უკმაყოფილოთა რიცხვი ძალზე დიდი იყო და მას ქვეყანაში საყოველთაო მხარდაჭერა აღარ ჰქონდა. საკუთარი შვილებიც კი აღარ ემორჩილებოდნენ, მეფე კი რეალურად ვეღარ აფასებდა შექმნილ სიტუაციას და ჯიუტად თავისას განაგრძობდა – დარბაზის აზრს ანგარიშს აღარ უწევდა და კურსის შეცვლას არ აპირებდა. რუსის ჯარის შტაბის ოფიცერი ბუტკოვი მაშინ წერდა: „ერეკლე მეფეს სახელმწიფოს მოვლა კი არა, სასახლის წევრთა დამორჩილება ვერ მოუხერხებია“.

თბილისი კარგად გამაგრებული და ოცდაათი ზარბაზნით დაცული იყო. ჯარები რომ დროულად შეეკრიბათ უფლისწულებს, ან თუნდაც ქიზიყელთა ლაშქარი მიშველებოდა, მტერი აუცილებლად დამარცხდებოდა.

2. მორიგე ლაშქრის გაუქმება. ქვეყნის საიმედოდ დაცვას მუდმივი ჯარი და სამხედრო წესრიგი სჭირდებოდა. ასეთი ჯარის შენახვის სახსრები მეფეს არ ჰქონდა. 1773 წელს ერეკლემ

შემოიღო მორიგე ლაშქარი. ეს ძალზე გონივრული ღონისძიება იყო. ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცი წელიწადში ერთ თვეს თავისი საგზლითა და ცხენ-იარაღით ჯარში უნდა წასულიყო. მორიგე ლაშქარს ერეკლეს შვილი ლევანი მეთაურობდა. მორიგე ლაშქრის რიგით მებრძოლად პირველი თვითონ ერეკლე გავიდა. მორიგე ლაშქრის შემოღებამ გააძლიერა ქვეყნის თავდაცვა, განამტკიცა მეფის ხელისუფლება. სრულიად შეწყდა ლეკთა თარეში, გლეხს ციხესიმაგრიდან გამოსვლისა და მინდვრად თავისუფლად მუშაობის საშუალება მიეცა.. ეს არ მოეწონათ მეფის მოწინააღმდეგე თავადებს. მათ იმდენი ქნეს, რომ ქრთამებით სულ უფრო ნაკლებ ყმებს უშვებდნენ მორიგე ლაშქარში. ბოლოს კი, როცა ლევან ბატონიშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა, მორიგე ლაშქარი სრულიად გაუქმდა. ეს იყო თავნება თავადების გამარჯვება და ერეკლეს უდიდესი მარცხი.

3. როგორ ჩაიშალა საქართველოს გაერთიანების საქმე. ქვეყანა მაშინ არის ძლიერი და აყვავებული, როცა ერთიანია. დაშლილი ქვეყანა მუდამ უძლური და მტრის სათარეშოა. ამიტომ იბრძოდნენ საქართველოს ერთიანობისათვის ჩვენი დიდი წინაპრები – ფარნავაზი, გორგასალი, აშოტ დიდი, ბაგრატ დიდი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი საკაძე და სხვები.

ერეკლეს დროს სამი დიდი სახელმწიფო – ოსმალეთი, ირანი და რუსეთი ეცილებოდნენ ერთმანეთს კავკასიაში ბატონობას. ასეთ დროს დამოუკიდებლობის შენარჩუნება, თავისუფლების დაცვა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ერთიანობით შეიძლებოდა. სხვის იმედზე ყოფნას ისევ საკუთარი, შინაგანი ძალების მოკრება ჯობდა. ამას კარგად მიხვდნენ ქართველი დიდებულები და ქვეყნის გაერთიანება მოინდომეს. სამწუხაროდ, თვითონ მეფე აღმოჩნდა ამ განზრახვის წინააღმდეგი. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი.

იმერეთის მეფე სოლომონ დიდი გარდაიცვალა. ერთადერთი შვილიც ადრე ომში დაეღუპა. ტახტისათვის ბრძოლა დაიწყეს მისმა ბიძაშვილმა და ძმისწულმა. სოლომონის ძმისწული დედით ერეკლეს შვილიშვილი იყო. დასავლეთ საქართველოს დიდებულები ეწვივნენ მეფე ერეკლეს და მოახსენეს: მთელი

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები თხოულობენ ქართლ-კახეთის სამეფოსთან შეერთებას. გაძლიერდით ჩვენით და გაგვაძლიერეთ თქვენითო. მეფემ დარბაზობა ბრძანა. ქართლ-კახეთის დიდებულებმა მუდარა დაუწყეს მეფეს: მიიღეთ ეს წინადადება. თუ გნებავთ ქვეყნის უძლეველობა, საქართველო უნდა გაერთიანდესო. მეფე ყოყმანობდა. მეორე დღეს კი დარეჯან დედოფალმა დაიბარა ერთობის მომხრეები და გაკიცხა. ახლა იმერეთის დესპანები ეწვივნენ დარეჯანს და ხვეწნა დაუწყეს: უარს ნუ გვეტყვით, თუ არ გავერთიანდით, საქართველო დაიღუპებაო. იმერეთის ტახტს ჩემს შვილიშვილს ვერ წავართმევო – გადაჭრით განაცხადა დედოფალმა. დარეჯანმა თავისი გაიტანა: ერეკლემ დესპანები უარით გაისტუმრა. მერე ჯარი გაგზავნა და იმერეთის ტახტზე დასვა თავისი შვილიშვილი – სოლომონ მეორე. ასე გაუშვა მეფემ ხელიდან ქვეყნის უსისხლოდ გაერთიანებისა და გაძლიერების ჩინებული შემთხვევა.

ამასთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილი წერს: სომეხი მწერალი, გენერალი ქიშმიშოვი თავის ნადირ-შაჰის ისტორიაში აღნიშნავს, რომ ერეკლეს დროს ქართლ-კახეთი ძლიერი სახელმწიფო იყო. მას ემორჩილებოდნენ და ხარკს უხდიდნენ განჯის, ყარაბაღის, ერევნის ხანები. ადვილად წარმოსადგენია, რამდენად ძლიერი გახდებოდა იგი, რომ შეერთებოდა იმერეთი, გურია, რაჭა და სამეგრელო, როგორც ეს მაშინდელ მოწინავე ქართველებს სურდათო. ქიშმიშოვი უცხო ტომის კაცია და მისი აზრი უფრო მიუკერძოებელიაო. – ასკვნის იაკობი.

ანდრია და საფარა

რუსეთმა ომი გამოუცხადა ირანს. მტკვრისა და არეზის ხეობაში დაბანაკებული რუსთა ორი არმია ირანში შეჭრას აპირებდა. მოულოდნელად ეკატერინე გარდაიცვალა. ახალმა იმპერატორმა პავლემ ირანთან ომი გადაიფიქრა. ჯარები უკან გაიწვია. რუსეთმა საქართველო ამჯერადაც გაწირა. ჯერ სპარსეთის წინააღმდეგ საომრად აამხედრა, მერე მტრის

პირისპირ მარტო დატოვა. რუსეთმა კვლავ წააქეზა აღა-მაჰ-მად-ხანი საქართველოზე სალაშქროდ, თან დიდძალი იარაღი მისცა. მტერი ახლა სამოცი ათასი კაცით დაიძრა საქართველოს ასაკლებად, მაგრამ აღარ დასცალდა. ერთ ღამეს აღა-მაჰმად-ხანი კარავში მოკლეს მსახურებმა – მცხეთელმა ქართველმა ანდრიამ და ლეკმა საფარამ. მტრის ჯარი დაიშალა და უკან გაბრუნდა.

ასე იხსნა ორმა თავგანწირულმა ჭაბუკმა – ქართველმა ანდრიამ და ლეკმა საფარამ საქართველო მტრის ახალი შემოსევისაგან.

რა სურდათ დარეჯან დედოფლის მომხრეებს

რუსეთის სამეფო კარის ზრახვებს ყველაზე ადრე დარეჯან დედოფალი და მსაჯულთუხუცესი სოლომონ ლიონიძე მიხვდნენ. ამიტომ ისინი თავიდანვე რუსეთთან კავშირის წინააღმდეგი იყვნენ. ისტორიკოსი ბუტკოვი წერს: დედოფალი დარეჯანი მუდამ საყვედურით ავსებდა მეფეს, რომ მან რუსეთთან ხელშეკრულებით დაანგრია საქართველოს სამეფო. დედოფალსა და ლიონიძეს მიემხრნენ დარეჯანის შვილები, მრავალი დიდებული. ერეკლემ არავის უსმინა. ბოლოს კი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგეები – სარდალი და სახლთუხუცესი დავით ორბელიანი, მსაჯულთუხუცესი სოლომონ ლიონიძე და სხვები სახელმწიფო საქმეებს ჩამოაშორა. ამ შინაურმა განხეთქილებამაც შეუწყო ხელი საქართველოს დასუსტებას.

ერეკლე ძლიერი მეფე იყო და რუსეთს მისი ერიდებოდა. ტახტის მემკვიდრე გიორგი კი სნეული, სუსტი ნებისყოფისა და მერყევი ხასიათისა იყო. ერეკლეს შემდეგ იგი ვერ გაუძღვებოდა ქვეყანას. ეს კარგად იცოდნენ დარეჯანის მომხრეებმაც და რუსეთის მთავრობამაც. ამიტომ დარეჯანის მომხრეების განზრახვა იყო – ერეკლეს შემდეგ ტახტზე აეყვანათ დარეჯანი ან მისი უფროსი შვილი იულონი. რუსეთს კი დღემოკლე და უსუსური გიორგის გამეფება უფრო აწყობდა.

«ბარაბანი დაჰკრეს»...

მეფეს ქვეყანა მონობისაკენ მიჰყავს

ერეკლეს გარდაცვალებას მწუხარებით შეხვდა საქართველო. სანამ დარეჯანი და მისი მომხრეები მეფეს გლოვობდნენ, გიორგიმ დაასწრო და თავი მეფედ გამოაცხადა.

ხანმოკლე და უნიჭო გამოდგა გიორგი მეთორმეტის მეფობა. სამი წელი იმეფა და ისიც დედინაცვლისა და ძმების წინააღმდეგ ბრძოლას მოუნდა. ბოლო ხანებში მძიმე ავადმყოფს სახლიდან გამოსვლაც უჭირდა და ქვეყნის მართვა აღარ შეეძლო. ქვეყანა იღუპებოდა, ის კი ჭამა-სმაში, ლოცვაში და ხატების კოცნაში იყო გართული. რუსეთმა მოახერხა და გიორგი სამუდამოდ გადაამტერა დედინაცვალს, ძმებს, სამეფო კარის დიდებულებს. ისინი სამეფო საქმეებს ჩამოაშორეს. მათ დღედაღამ რუსთა ჯაშუშები სდარაჯობდნენ. დარეჯანი ბოლოს შინაპატიმრობაში ჰყავდათ და შვილებთან შეხვედრას უკრძალავდნენ. ქვეყანას რუსის გენერალი ლაზარევი დაეპატრონა, მეფის მრჩევლებად რუსი მოხელეები იქცნენ. ხელშეკრულების თანახმად რუსეთს თბილისში მხოლოდ ათასამდე ჯარისკაცი უნდა ჰყოლოდა ოთხი ზარბაზნით. რუსეთმა დაარღვია ეს ხელშეკრულება და თბილისში უამრავი ჯარი და არტილერია შემოიყვანა. რუსის ჯარს მეფე გიორგი საბურთალოზე შეეგება. მეფის დანახვაზე რუსებმა ბარაბანი დაჰკრეს და მუსიკა დაუკრეს. გახარებულმა მეფემ თქვა: დღეის შემდეგ მტრები ვეღარას დაგვაკლებენო. იტალიელმა მისიონერმა პატრმა ნიკოლამ თურმე მწუხარებით მიუგო: «ბატონო მეფეო, ბარაბანი დაჰკრეს, საქართველო იმარხება»

აშკარა იყო: გიორგი მეთორმეტეს უგუნური მოქმედებით ქვეყანა სამუდამო მონობისაკენ მიჰყავდა. გამოსავალი ერთი იყო – გიორგის გადაყენება და დარეჯანის ან იულონის გამეფება და რუსთა განდევნა. დარეჯანმა და მისმა შვილებმა ქართლ-კახეთის აჯანყება დაიწყეს. გოირგის შვილები – დავითი და იოანე კი მათ რუსთა ჯარებით ებრძოდნენ, აჯანყებებს ახშობდნენ.

მეფის მოქმედება არც თბილისში მყოფ უცხოელებს მოსწონ-

დათ. მეცხრამეტე საუკუნის მკვლევარმა პლატონ იოსელიანმა აღწერა გიორგი მეთორმეტის ცხოვრება. ამ წიგნში ასეთი ამბავია მოთხრობილი: მეფე გიორგის ეწვია იტალიელი მისიონერი პატრი ნიკოლა და მოახსენა: «სხვათაგან დამონებული მეფობა უბედური და მარადის სამწუხაროა. სხვებზე დამოკიდებული ქვეყანა მარად დამცირებული იქნება. ქვეყნის პატრონად მოყვანილი უცხო ტომი ერის მტრად, მდევნელად და მაწუხებლად იქცევა. ... რუსნი მაშინვე მონობის მძიმე უღელს დაადგამენ საქართველოს ქედზე; მოითხოვენ დიდ ხარკს, რომელსაც ვერ გადაიხდით. მაშინ თქვენი ყმები და მამულები გაიყიდება ბარაბნითა და მკვდარნი თქვენნი დაიმარხებიან მუზიკითა". პლატონ იოსელიანი დასძენს: ქართველები დღესაც იხსენებენ პატრის ამ სიტყვებს, როცა რუსთა წესით მუსიკით მიასვენებენ მიცვალებულსაო. პატრის ნათქვამიდან მარტო ეს კი არა, ყველაფერი ახდა – მისი სიტყვები უაღრესად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, რადგან ქართველი ერი ორასი წლის მანძილზე იმყოფებოდა ამ მდგომარეობაში.

ამაო გამოდგა პატრის შეგონებანი. – რუსთა მეფესთან დადებული ჩემი პირობები ქვეყნისათვის საკეთილოა. სხვა პატრონი არა გვყავს ჩვენ, გარდა რუსთა ხელმწიფისაო. – ასე უპასუხა თურმე მეფემ ქართველთა ბედ-იღბლით შეწუხებულ უცხოელს. ამაზე იტყვიან – შეაყარე კედელს ცერცვიო.

რას ითხოვდნენ ირანი და ოსმალეთი?

ირანი და ოსმალეთი საქართველოში მრავალწლიან დამპყრობლურ ომებს ეწეოდნენ. კეთილი მეზობლობა არ უნდოდათ. ამან მათთვისაც ცუდი შედეგები გამოიღო – ქართველებმა დარიალის კარი გაუღეს და კავკასიაში უცხო ქვეყანა მოიწვიეს. ახლა კი დაფაცურდნენ გაუმაძღარი მეზობლები. – დაანებეთ რუსეთთან მეგობრობას თავი და დაპყრობილ სამცხეს უკან დაგიბრუნებთ. დასავლეთ საქართველოზეც ხელს ავიღებთო. – იხვეწებოდა ოსმალეთის სულთანი. ირანის შაჰი ცალკე უთვლიდა: ნუ დაარღვევთ ირანთან ძველ კავშირს. უარი თქვით რუსთა მფარველობაზე. სამაგიეროდ 6 ათას ჯარისკაცს მოგ-

ცემთ ჩვენივე ხარჯით ლეკთა თარეშისაგან დასაცავად. ერევნის, განჯისა და ყარაბაღის სახანოები თქვენს ქვეშევრდომებად დარჩებიან; თქვენს სარწმუნოებასაც აღარას ვერჩითო.

– თქვენ გაგვხადეთ იძულებულნი, რომ რუსთა მოკავშირეობაზე გვეფიქრაო. – უარი სტკიცა მათ დესპანებს გიორგიმ. მათივე თანდასწრებით ბრძანა: დარიალის გზა სასწრაფოდ შევაკეთოთ, რომ რუსის ჯარი შეუფერხებლად გადმოვიდესო. დარბაზობაზე მყოფმა დავით ჩერქეზიშვილმა მეფეს ჰკადრა: – კავკასიის კარს რომ აღებთ, შესძლებთ კი თავის დროზე მის დახშვას? მეფემ გულარხეინად უპასუხა: დარიალს ქრისტეს ჯვარი იცავს და ის გააღებს და დახშავს კარს, როცა საჭიროდ ჩათვლის ჩვენი მეფობის დასაცავადო. ამ პასუხიდან ჩანს არა მარტო ქვეყნის მესაჭისათვის შეუფერებელი დიდი გულუბრყვილობა, არამედ ისიც, რომ იმ მეტად მძიმე საგარეო და საშინაო ვითარების ჟამს იგი საერთაშორისო პოლიტიკასა და დიპლომატიასთან, ეტყობა, ცოტა უკაცრავად ბრძანდებოდა.

რას ფიქრობდა ამ დროს რუსეთის სამეფო კარი?

ძალით მაცხონე

(ანუ რუსეთის იმპერიის ნამდვილი სახე და ზრახვები)

1994 წლის რუსულ გაზეთში «მოსკოვის სიახლენი» რუსი ავტორი ლიუდმილა სარასკინა წერს: «მთელი წინა ისტორიიდან მეცხრამეტე საუკუნის რუსეთმა მემკვიდრეობად მიიღო უცხო მიწების დაპყრობათა აზარტი და მეზობელ სახელმწიფოთა ხარჯზე თავისი ტერიტორიების გაფართოებით გამოწვეული აღტკინება... XV1 საუკუნიდან მოვიდა იდეა „მესამე რომისა“, მოსკოვის დიადი იმპერიისა, რომელსაც პირველი ორი უნდა შეეცვალა და რომისა და ბიზანტიის იმპერიებისაგან განსხვავებით საუკუნოდ ურყევად დარჩენილიყო... სუსტი მეზობლების ნებაყოფლობით დამორჩილებას ყველასათვის ვითომდა მშვიდობა და კეთილდღეობა უნდა მოეტანა. აქაოდა, რუსეთმა უნდა იკისროსო განაპირა მხარეების საუკუნოვანი ძილიდან გამოყვანა, აზიაროსო ისინი ცივილიზაციას, მათში ახალი ყოფა, ენა

და სარწმუნოება უნდა დაამკვიდროსო. რუსეთი თვითნებურად ითვისებდა დაპყრობათა „კულტურულ უფლებას“, ინერგებოდა „ბნელ“ ხალხებში განათლების შუქის შეტანის, მართლმადიდებლური გარუსების მისიონერული იდეა. მათ კი, რომლებიც სრულად ვერ გრძნობდნენ თავიანთ ბედნიერებას, ყოველი ღონით ჩააგონებდნენ, რომ „დერჟავის“ საზღვრების გაფართოება პოლიტიკური ქცევის ბუნებრივი ნორმა იყო, რომ სხვა ხალხების ბედის წარმართვის უფლება წარმოდგებოდა უზარმაზარი იმპერიის არსებობიდან, რომელსაც უნდა ჩაეხშო წვრილ-წვრილი კონფლიქტები და ქვეშევრდომთათვის მფარველობისა და დაცვის კალთა გადაეფარებინა.

რუსეთის იმპერიის მოქალაქეთა მრავალ თაობას მტკიცედ სჯეროდა, რომ ძალით შემოერთებულ განაპირა მხარეებზე გავრცელებული თეთრი მეფის ხელისუფლება იმთავითვე სვეკეთილი და მოწყალე იყო.“

აქ ჩინებულად არის მხილებული რუსეთის იმპერიის ნამდვილი სახე და მტაცებლური ზრახვები. ასე ძალმომრეობით დაიმორჩილა მან ყველა მეზობელი ქვეყანა და მერე ამას ნებაყოფლობით შეერთება უწოდა. საქართველოში გამოგზავნილ პირველსავე რუს გენერალს ტოტლებენს ხელისუფლება საიდუმლოდ სწერდა: ყველაფერი ისე გააკეთეთ, რომ ქართველებს ეგონოთ, ვითომც თავიანთი მთავრობის განკარგულებას ასრულებენ; თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქოს ყველაფერი მისი ნება-სურვილით ხდება. სინამდვილეში კი უნდა გაკეთდეს ის, რაც ჩვენ გვსურს, მაგრამ იმნაირად, რომ სული რუსული იყოს, სხეული კი ქართულიო. ამგვარად, კავკასიაში რუსეთს თავისი საქმე უნდა ეკეთებინა ქართველების ხელით, ქართველებს კი ჰგონებოდათ, რომ ქართულ საქმეს აკეთებენ. ისინი სულით რუსები უნდა გამხდარიყვნენ. რუსეთის მეფეებს არასოდეს შეუცვლიათ ეს განზრახვა და არც არასდროს ყოფილან საქართველოსთან ურთიერთობაში გულწრფელნი.

აი, ასეთი ძალით მაცხონე სახელმწიფო იდგა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს საქართველოს საზღვართან. მას სურდა: საქართველოს დამორჩილებით მთელი კავკასიის ალყაში

მოქცევა და ადვილად დაპყრობა, აქაური სიმდიდრეების ხელში ჩაგდება, საქართველოზე გავლით სპარსეთისა და ინდოეთის სავაჭრო გზების დაუფლება. საქართველოს უკანასკნელი საუკუნეების მეფეები კი, რუსეთის იმპერიის აგრესიული, დამპყრობლურ-მტაცებლური საგარეო პოლიტიკის სწორი ანალიზისა და შეფასების ნაცვლად, იმედით შეჰყურებდნენ მას, გულწრფელად სჯეროდათ, რომ რუსეთი მფარველად, მეგობრად, სიკეთის მოსატანად მოდიოდა. რა იყო ამ გულუბრყვილო, მიამიტური რწმენის მიზეზი? – საერთო სარწმუნოება. საქართველოს მუსულმანური მეზობელი ქვეყნები საუკუნეების მანძილზე ებრძოდნენ და განადგურებას უპირებდნენ, ხოლო ქრისტიანი რუსეთი ქართველ მეფეებს პირველ რიგში ქრისტიანობის დამცველად და ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ. ამიტომ მისგან ღალატი ვერც წარმოედგინათ. აქედან გასაგებია, რატომ ხდებოდა ასე: ბაგრატიონები უღალატოდ, ერთგულად ასრულებდნენ რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას, რუსთა მეფეები კი მუდმივად არღვევდნენ ამ ხელშეკრულებას. პავლე პირველმა კი ხელშეკრულების დარღვევაში ყველას გადააჭარბა. მეფე გიორგის მტკიცე მეგობრობის წერილი მოსწერა, საიდუმლოდ კი მენაპირე ჯარის სარდალს კნორინგს ბრძანება გამოუგზავნა: მეფე გიორგი მძიმე ავადმყოფია და მალე გარდაიცვლება. მისი გარდაცვალების მერე არ დაუშვა მემკვიდრე დავითის გამეფება. ჯარი მზად გყავდეს საქართველოს დასაპყრობადო.

დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი წერს: „1800 წლის 18 დეკემბერს პავლე იმპერატორმა ხელი მოაწერა მანიფესტს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ და შემდეგ კი გიორგი მეფეს წინდაწინვე დამზადებული გაუგზავნეს ხელმოსაწერად, რომელშიც ვითომ თვით მეფე სთხოვდა რუსეთის ხელმწიფეს, რომ მას საქართველო ერთხელ და სამუდამოდ რუსეთთან შეეერთებინა და რუსეთის განუყოფელ ნაწილად ექცია. მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ მთელი ეს შეთხზული გეგმა ჩაიფუშა: გიორგი მეფე გარდაიცვალა 22 დეკემბერს 1800 წ. ისე, რომ ხელმოსაწერი ქაღალდი მას თვალითაც არ უნახავს, რადგან მისი მომტანნი ამ დროს ჯერ კიდევ საქართ-

ველოში ჩამოსული არც იყვნენ.“ (ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, თბ. 1919 წ.).

ტახტის მემკვიდრე რუსეთიდან მოწყალებას ელის

მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრე დავითმა ტახტზე ასვლა ვერ გაბედა, რუსეთის იმპერატორის თანხმობას ელოდა. ასე ურჩევდა გენერალი ლაზარევი.

სარდალი იოანე ეახლა ტახტის მემკვიდრეს და ურჩია: დროს ნუ ვკარგავთ, თავი მეფედ გამოაცხადე, რუსის ჯარი კი დავითხოვოთ საქართველოდან. თუ ნებით არ წავლენ, მათი განდევნა ადვილიაო. დავითი რუს გენერალს უფრო უჯერებდა, ვიდრე ქართველ დიდებულებს. ამიტომ ერთგული სარდალი ლაზარევთან დააბეზღა. იოანეს ეწყინა და ამის მერე საქვეყნო საქმეში აღარ ჩარეულა. დავითმა და ლაზარევმა საპყრობილეში ჩასვეს ყველა დიდებული, ვინც კი რუსეთის ქვეშევრდომობის წინააღმდეგი იყო.

სოლომონ ლიონიძე

ორში ერთი მოწყალება მოიღეთ: „ან მომკალით და მეფე ერეკლეს უმაღლესის ცხედრის ფიცრად დამდევით, რომ იმისი სანატრელი კუბო ჩემს გულზედ იდგეს, მეფის ერეკლეს ძლიერი ტანი ჩემს გულზედ ირღვეოდეს; ან ამ ქვეყნიდან დამკარგეთ, რომ ის ადგილები აღარ ვნახო, სადაც მისი დროშისთვის მიმსახურნია, მის წინ სისხლი დამიქცევია, სადაც ჩემი რჩევითა და საუბრით სახელმწიფოსთვის მიმსახურნია.” – ასე დაიტირა მეფე ერეკლე სოლომონ ლიონიძემ. ეს სიტყვა ქართული მჭევრმეტყველების საგანძურში შევიდა. ხოლო ლიონიძის ცხოვრება მეორე ნატვრის შესრულებით დამთავრდა.

სოლომონ ლიონიძე იყო მსაჯულთუხუცესი, მეფე ერეკლეს

მრჩეველი და განუყრელი მხლებელი. თვითონვე ამბობს, დღე და ღამე ათი და თხუთმეტი საათი მეფეს მარტოკა ვახლდიო.

პლატონ იოსელიანი წერს: სოლომონ ლიონიძე იყო მაღალი გონების კაცი, ერთგული ქვეყნისა, დიდი მრჩეველი, აწმყოსა და მომავლის საოცრად ნათლად მხედველი, უბრძნესი და უგონიერესი. პატიოსნების გამო იგი ქართველთა ფაბრიციუსი იყო, ხოლო თავისი სიმტკიცითა და შეურყევლობით ქართველი ერისა და ისტორიის ნამდვილი კატონი გახლდათო.

სოლომონ ლიონიძემ წინასწარ საოცარი სიზუსტით განჭვრიტა ის ამბები, რაც რუსეთთან ურთიერთობის შემდეგ საქართველოში მოხდა. ამიტომ იგი ერეკლეს თავიდანვე არ დაეთანხმა რუსეთთან კავშირზე და ბოლომდე მტკიცედ იცავდა თავის აზრს.

გიორგი მეთორმეტის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრე დავითი და რუსის გენერალი სდევნიდნენ ყველას, ვინც რუსეთთან კავშირის წინააღმდეგი იყო. პლატონ იოსელიანი წერს: – ვერვის გაებედნა ჭეშმარიტების თქმა. სოლომონ ლიონიძე, ვითარცა ლომი, გარემოცული მტერთაგან, იბრძოდა ქვეყნისა და სამეფოს გადარჩენისათვისო.

სოლომონი ბევრს ეცადა, რომ უფლისწულთა შორის მტრობა დაეცხრო. დავითის მტრობით ქვეყანას მტრად ნუღარ უხდებით. ქიშპობაზე ხელი აიღეთ და შერიგდით, თორემ ქვეყანა დაიღუპებაო. – ურჩევდა მათ.

მერე ტახტის მემკვიდრეს ეწვია და ურჩია: ქვეყანა არეულია უმეფოდ. შენ ყოყმანში დროს ჰკარგავ და რუსეთის მეფის მოწყალებას ელოდები. ნუ ჰკარგავ მეფობას და ნუ ღუპავ ქვეყანას. ეკურთხე მეფედ და მტკიცედ მოჰკიდე ხელი ქვეყნის მართვასო. ამის პასუხად დავითმა იგი საპყრობილეში ჩასვა. სოლომონი საბოლოოდ დარწმუნდა: უნებისყოფო დავითი ქვეყანას ვერ გადაარჩენდა – კრწანისის გმირი ახლა ქართველ დიდებულებს ახლოს აღარ იკარებდა; რუსის გენერალს თვალებში მორჩილად შესციცინებდა. რუსი გენერალიც ქვეყნის ბატონ-პატრონივით იქცეოდა, ბაგრატიონებს ხელიდან სტაცებდა ქვეყნის მართვის სადავეებს. ქედმაღლურად აცხადებდა: დავითის არც ერთ ბრძანებას ძალა არ ექნება, თუ ჩემი ბეჭდით არ დავამოწმეო.

მაშინ სოლომონმა საქვეყნოდ გაიცხა დავითი. ყველას გასაგონად ხმამაღლა აცხადებდა: დავითმა დაღუპა მეფეთა ოჯახი, გამოსჭრა ყელი მეფობას, დაამცირა ერიც და თავისი თავიცაო.

სოლომონი საპყრობილედან გაიქცა და იმერეთში გადავიდა. იქ ცდილობდა იმერეთის მეფის ირგვლივ გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროების გაერთიანებას. ქართველების შინაკავშირით სურდა გაეუქმებინა იძულებითი გარეკავშირი. – სხვის მფლობელობაში მყოფი ერი არის მონა, მუდამ დამცირებული და მასხარად აგდებული. დამოუკიდებლობის დამკარგველი ჰკარგავს ძალასა და ღირსებას, უძლურდება სულითა და სხეულით. თავისუფლებადაკარგული ერი დაჰკარგავს ენასაც, დამწერლობასაც, მწიგნობრობასაც, რადგან დამპყრობელი უცხო ენასა და ჩვეულებას შემოიტანს. ძალა ერთობაშია. ერთიანობა საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა არისო. – ურჩევდა სოლომონ ლიონიძე მთავრებს. უშედეგოდ ჩაიარა მისმა ცდამ. მთავრებს არ სურდათ იმერეთის მეფის გაძლიერება და მათი უფლებების შეზღუდვა. ისინი მეფეს ხელს უშლიდნენ ქვეყნის გაერთიანებაში, შიგნიდან ანგრევდნენ ქვეყანას, ოსმალეთს ემხრობოდნენ. სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა კი სხვებზე ადრე მიიღო რუსეთის მფარველობა. ამის შემდეგ იგი სოლომონ მეფის შეურიგებელი მოწინააღმდეგე და რუსეთის იმპერიის თავგადაკლული მსახური გახდა. როცა 1810 წელს იმერეთი აუჯანყდა დამპყრობლებს, სამეგრელოსა და გურიის მთავრები ჯარებით რუსებს დაეხმარნენ აჯანყების ჩახშობაში და სოლომონ მეფის გაძევებაში. „დაუფასდათ“ ქართველი ხალხის ღალატი მთავრებს: როცა რუსეთმა საიმედოდ მოიკიდა ფეხი იმერეთში, სამთავროები ზედიზედ გააუქმა და თვითონ შეიერთა.

რუსთა ბოროტებისადმი შეურიგებელი სოლომონ ლიონიძე გადაიხვეწა ახალციხეში, რომელიც მაშინ თურქეთს ჰქონდა დაპყრობილი. იქ, უცხოობაში და სიმარტოვეში გარდაიცვალა საქართველოს ბედზე მტირალი ბრძენკაცი. კიდევ ერთი დიდი მამულიშვილის ძვლები ჩაიკარგა ისტორიის წყვდიადში.

ესეც რუსეთის ხელმწიფის „მოწყალება“ – მანიფესტი

ვიდრე ტახტის მემკვიდრე დავითი ორჭოფობდა, რუსის გენერლის ჭკუაზე დადიოდა და ერთგულ მამულიშვილებს სჯიდა, დრო გავიდა. დამოუკიდებლობის გადარჩენის უკანასკნელი შესაძლებლობაც დაიკარგა. ივანე ჯავახიშვილი წერს: „რაკი გიორგი მეფის სიკვდილის გამო ეს მათი გეგმა ფიზიკურადაც განუხორციელებელი იყო, ამიტომ რუსეთის მთავრობა აღარც ხელშეკრულების ცხადს დარღვევას და არც საჯარო სიცრუეს მოერიდა და რაწამს მან გიორგი მეფის სიკვდილის ამბავი შეიტყო, მაშინვე 18 იანვარს 1801 წ. პავლე პირველის მანიფესტი გამოაქვეყნა, რომელშიაც ნათქვამია, ვითომც თვით მეფე გიორგისა, მოწინავე წრეებისა და ქართველი ერის სურვილითა და თხოვნით რუსეთმა საქართველო სამუდამოდ შემოიერთა. არც მეფე გიორგის, არც მით უმეტეს ქართველ ხალხს ეს არც სდომებია და არც უთხოვია.“

ამასობაში რუსეთის სამეფო კარზე შეთქმულება მოხდა. მეფე პავლე ერთი ახირებული და უჯიათი კაცი იყო. რუსეთში სასტიკი სამხედრო-პოლიციური რეჟიმი დაამყარა. ამან ყველას უკმაყოფილება გამოიწვია. შეთქმულებს მეფის ტირანული ხელისუფლების შეზღუდვა და კონსტიტუციური მმართველობის შემოღება სურდათ. 11 მარტს პავლე მოკლეს და გაამეფეს მისი შვილი ალექსანდრე. (გენერალი ვლადიმერ იაშვილი ღამით მეფის საძინებელში შეიპარა და პავლე იმპერატორი ხელით დაახრჩო). ტყუილად ჰქონდა რუს ხალხს დიდი სიახლის იმედი. ახალმა მეფემ არაფერი დათმო, მასაც შეუზღუდავი ძალაუფლება სურდა. ამიტომ შეთქმულები თავიდან მოიშორა – ციმბირში გადაასახლა, თუმცა თვითონაც შეთქმულების მონაწილე იყო.

ამაოდ გასცქეროდა რუსეთის გზას დავით ბაგრატიონი და ელოდა ახალი მეფისგან რაიმეს დათმობას. რუსეთმა კვლავ ცალმხრივად დაარღვია სამეგობრო ხელშეკრულება: ალექსანდრე პირველის ბრძანებით 9 აპრილს გენერალმა კნორინგმა გადმოლახა დარიალი და დამატებითი ჯარებით შემოვიდა

თბილისში. 1801 წლის 12 სექტემბერს კი ალექსანდრე პირველმა ახალი ბრძანება გამოსცა საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე. მასში ეწერა: ქართველი უფლისწულები ტახტისათვის ერთმანეთს ებრძვიან. ქვეყანა შფოთავს. ხალხს მშვიდი ცხოვრება აღარ აქვს. რუსეთის მეფეს კი ძალიან უნდა, რომ ქართველებს მშვიდი და კეთილი ცხოვრება შეუქმნას. ამიტომ იძულებულია გააუქმოს საქართველოს სამეფო და იგი რუსეთს შეუერთოსო. ასეთი ურცხვი სიცრუით გაამართლა რუსეთის იმპერიამ თავისი დამპყრობლური ზრახვები. ეტყობა ამ საქმეში გარკვეული ცოდვა საქართველოს დესპანს გარსევან ჭავჭავაძესაც მიუძღოდა. როგორც ჩანს, რუსეთის სამეფო კარმა იგი გადაიბირა და თანამზრახველად აქცია. „გამცემი მეფისა და ორგული თავისი მამულისა“ – ასე შეაფასეს რუსეთის სამეფო კარზე მისი საქმიანობა დავით ბატონიშვილმა და მისმა ძმებმა 1811 წელს.

შვიდი თვე უმალავდნენ ქართველ ხალხს ამ ბრძანებას, წინააღმდეგობისა ეშინოდათ. ბოლოს, 1802 წლის 14 თებერვალს ქართველი დიდებულები და მოწინავე საზოგადოება მიიწვიეს სიონის ეკლესიაში. გენერალმა კნორინგმა მათ რუსის ჯარით ალყა შემოარტყა, ზარბაზნები დაუმიზნა და ალექსანდრე პირველის ბრძანება წაუკითხა. მერე მოითხოვა: რუსეთის ქვეშევრდომობა და ერთგულების ფიცი მიიღეთო. ქართველები აღშფოთდნენ ამ ძალადობითა და სიცრუით. ბევრნი არ შეუშინდნენ რუსის ჯარს, ძალით ფიცი არ მიიღეს, ალყა გაარღვიეს და გავიდნენ.

კნორინგის ბრძანებით უკმაყოფილონი ციხეში ჩასვეს. მერე მთელ ქართლ-კახეთში დაიწყეს რუსეთის ერთგულებაზე ხალხის დაფიცება. „რუსეთის მთავრობის საქციელი შემაძრწუნებელი უპირობა, ფიცისა და აღთქმის დარღვევა და ძალმომრეობა იყო და სხვა არაფერი.“ – წერს ივანე ჯავახიშვილი.

საქართველოს სამეფოს გაუქმება ზეიმით აღნიშნა სომეხი ხალხის ზედაფენამ. მათ თბილისის ვანქის ტაძარში დიდი საზეიმო წირვა გადაიხადეს. იმას კი აღარ ფიქრობდნენ, რომ საქართველოს დაპყრობის მერე მათაც და კავკასიის სხვა ხალხებსაც იგივე ბედი ეწეოდა.

ამ მანიფესტით დაიწყო საქართველოს ძალით დაპყრობა. „ამის შემდეგ რუსის ბიუროკრატები მიესივნენ ქართველებს და ყოველი მხრიდან დაუწყეს მოსპობა და გადაგვარება.“... – წერდა გასული საუკუნის მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე.

მას მერე თითქმის ორასი წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე რუსეთი ყოველთვის მალავდა სიმართლეს. არა მარტო რუსი, არამედ ზოგიერთი მედროვე ქართველი მეცნიერიც კი დაბეჯითებით წერდნენ, რომ საქართველომ თავისი სურვილით თქვა უარი დამოუკიდებლობაზე და შეუერთდა რუსეთს, რადგან გადარჩენის სხვა გზა არ ჰქონდაო. ასე ეწერა წიგნებში, ამ სიცრუეს ასწავლიდნენ თაობებს, ხოლო საქართველოს ხელისუფალნი ხალხს აიძულებდნენ, ზეიმით აღენიშნათ ეს თარიღი და ძეგლებსაც კი დგამდნენ. ამაზე იტყვიან: პაპის დარგულმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო.

ტახტის მემკვიდრე გონს მოდის. 1802 წლის შეთქმულება

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო: დავით ბატონიშვილი მხოლოდ მანიფესტმა მოიყვანა გონს. ახლაღა მიხვდა, რომ რუსებმა მწარედ გააცუცურაკეს. დავითმა რუსის გენერლის მუნდირი გაიხადა, იმპერატორს დაუბრუნა და იულონის მომხრეებს შეუერთდა. ახლა ბატონიშვილების ორივე ბანაკი დარეჯანის ირგვლივ დაირაზმა საქართველოს გადასარჩენად. გადაწყდა იულონის გამეფება. დარეჯანმა მკაცრი წერილი მისწერა რუსთა მეფეს: პატივი ეცით საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას და გააუქმეთ უკანონო მანიფესტიო. დარეჯანის მეთაურობით დაიწყო დიდი შეთქმულების მზადება დამპყრობთა განსადევნად. კახეთი მზად იყო აჯანყებისათვის. ვახტანგ ბატონიშვილი დარიალთან იდგა და რუსთათვის გზის გადაკეტვას აპირებდა. ალექსანდრე ბატონიშვილი კი ირანიდან უნდა შემოსულიყო მაშველი ჯარით. რუსეთმა მოახერხა 1802 წლის შეთქმულების აღკვეთა.

საქართველოს დაპყრობა

მეფე ერეკლეს ოჯახის განადგურება

ჩუსეთმაც საქართველოს დამორჩილება ქართველის ხელით გადაწყვიტა. აკი ირანიც და ოსმალეთიც ასე იქცეოდნენ. ეს საქმე გარუსებულ გენერალს პავლე ციციანოვს დაავალეს. ქართლის დიდებული პაატა ციციშვილი ვახტანგ მეექვსეს წაჰყვა რუსეთში. მერე იქვე დასახლდა. პავლე ციციანოვი იმ პაატას შვილიშვილი იყო. ციციანოვი იმპერატორმა კავკასიის მთავარსარდლად და საქართველოს მთავარმართებლად დანიშნა. თანაშემწედ ასევე გარუსებული ქართველი დიმიტრი ორბელიანი დაუნიშნა.

სულგაყიდული გენერალიც ერთგულად შეუდგა ქვეყნის დაპყრობას. მან მაშინვე მისწერა რუსთა ხელმწიფეს: თუ საქართველოს დამორჩილება გინდათ, სასწრაფოდ მეფე ერეკლეს ოჯახის წევრები დედაბუდიანად რუსეთში უნდა გაასახლოთ. ქართველებს რომ მოთავეები აღარ ეყოლებათ, რუსეთისგან თავის დახსნაზე აღარასოდეს იფიქრებენო. მეფემაც მაშინვე დაადგინა: ბაგრატიონთა ოჯახები მთლიანად რუსეთში იქნეს გადასახლებული, რომ „საუკუნოდ მოესპოს მათ საშუალება და ოცნებაც კი საქართველოში დაბრუნებისაო“.

ციციანოვი ქართველ მეფეთა ოჯახის წევრების დაჭერასა და რუსეთში გასახლებას შეუდგა. ტახტის მემკვიდრე დავითი პეტერბურგში გაასახლეს. მეფე გიორგის მეუღლემ მარიამმა შვილების თუშეთში ან ფშავ-ხევსურეთში გადამალვა გადაწყვიტა. აკი ძველ დროს მეფე ფარნავაზის დედაც ასე მოიქცა – მტერს ფშავის მთებში გაასწრო, მცირეწლოვანი შვილები იქ გადამალა და დაღუპვას გადაარჩინა. ღალატი ჩაიდინა მარიამის მხლებელმა იოსებ კალატოზიშვილმა – დედოფლის განზრახვა რუსებს შეატყობინა. ციციანოვმა მოღალატე დაასაჩუქრა. მერე გენერალ ლაზარევს სასწრაფოდ დედოფლის შეპყრობა უბრძანა. განთიადზე რუსის ჯარმა ალყა შემოარტყა სასახლეს. ლაზარევი დედოფლის საძინებელ ოთახში შეიჭრა და განუცხადა – დაპატიმრებული ხარო. მძინარე ბავშვებს ნუ დამიწიოკებთ, გაღვიძება

დააცადეთო – ითხოვა დედოფალმა. გენერალმა ხელი უბიძგა დედოფალს – აჩქარდით, ჯარი ვერ მოგიცდით დიდხანსო. მარიამმა თავხედ გენერალს ხანჯლით სული გააფრთხობინა. პოლიციელმა კაჭკაჭიშვილმა დედოფალი ხმლით მკლავში დასჭრა და ხანჯალი ხელიდან გააგდებინა. გენერალიც და პოლიციელიც გარუსებული სომხები იყვნენ. მარიამი და მისი შვილი – ხუთი წლის ერეკლე მაშინვე რუსეთში, ბელგოროდში გადაასახლეს.

ერეკლეს შთამომავლობა დედაბუდიანად რუსეთში გაასახლეს. მოხუცები და ქორფა ბავშვებიც კი არ დაინდეს. ისინი ჯარისკაცებს დამნაშავეებივით დატყვევებულები მიჰყავდათ. გზაზე სასტიკად და დამამცირებლად ექცეოდნენ, რომ ჩრდილოკავკასიის ხალხების თვალში ბაგრატიონების სახელი და პატივისცემა დაემცირებინათ. ყველა მათგანს მამულები და მთელი ქონება ჩამოართვეს და რუსეთის მთავრობის საკუთრებად გამოაცხადეს. ბაგრატიონთა სასახლეები ჯარისკაცების ყაზარმებად აქციეს. უცხოეთში კი მათხოვრული ხელფასები დაუნიშნეს, რის გამოც ისინი დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდნენ. მერე ბაგრატიონების უმეტესობა ხელმწიფემ რუსებზე დააქორწინა, რომ მათი მოდგმა რაც შეიძლება მალე გაერუსებინა.

არც ერეკლეს მეუღლე დაინდეს. მოხუცი და ავადმყოფი დედოფალი დარეჯანიც ქალიშვილებთან ერთად ძალით წაიყვანეს რუსეთში, საქვეყნოდ კი ამას „სტუმრად მიწვევა“ დაარქვეს. მათ გენერალი დიმიტრი ორბელიანი მიაცილებდა გზაზე რუსი სალდათებით. საქართველოს საზღვარზე ქართველებმა ტყვეების დახსნა დააპირეს. კაიშაურში რუსთა ბანაკში მოხუცი მთიელი შეიპარა და დედოფალს უთხრა: მთელი მთიულეთი მზად ვართ. ნება მოგვეცი რუსის ჯარს დავესხათ და ტყვეობიდან დაგიხსნათო. ერეკლეს უმცროსმა შვილმა თეკლამაც თავი გამოიდო: ვაჟურად ჩავიცმევ, იარაღს ავისხამ და მთიელებს დავეხმარებიო. თეკლა ბატონიშვილი განთქმული იყო სითამამით, მხნეობით, ცხენოსნობით და თოფ-იარაღის ხმარებით. მეფე ერეკლე მას თეკლაბიჭს ეძახდა და თექვსმეტ წლამდე ბიჭურად ჩაცმული ლაშქრობებში დაჰყავდა. დარეჯანი ზედმეტ სისხლისღვრას მოერიდა და დახსნაზე უარი თქვა. მერე ციციანოვს შეუთვალა: მე არ მსურს, რომ რუსთა მიწაზე ქართველი დედოფალი ტყვედ მიჰყავდეს ქარ-

თველ გენერალს, გამყოლი ჯარის უფროსად რუსი დანიშნეთო. მოზდოკის კომენდანტმა დედოფალი ქალაქში არ შეუშვა, ნოემბრის სიცივეში ექვს დღეს მინდორში ალოდინა. დედოფალს ერთი კარავი გაუგზავნა, მხლებლები კი ურმებში ათევდნენ ღამეს. მერე იკვეხნიდა – დედოფალს კარანტინი მოუწყეო.

პეტერბურგში გადასახლებული დარეჯანი და ბატონიშვილები სიკვდილამდე სამშობლოს განთავისუფლებაზე ფიქრობდნენ. გადასახლებულთა სულიერ ტანჯვაზე კარგად მეტყველებს ასეთი ფაქტი: ერთხელ ქუჩაში რუსს ჩამოუვლია – გალიით ჩიტები მოჰყავდა გასაყიდად. დარეჯანს ერთიანად უყიდია ისინი. გაოცებულა ყველა – რად უნდა დედოფალს ამდენი ჩიტიო. დარეჯანს გალია გაუღია და ჩიტები გაუშვია. – ჩვენც გვეყოფა ტყვეობა. თქვენ მაინც იყავით თავისუფალიო. მერე თვალცრემლიანს გალია ზიზღით გადაუგდია.

დარეჯან დედოფალი უცხოობაში და სიღარიბეში გარდაიცვალა.

გმირობა, რომელიც არდავიწყების ღირსია

„არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა,
ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“.
(შოთა)

რუსეთის იმპერატორმა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით არა მარტო ცალმხრივად და უხეშად დაარღვია გეორგიევსკის „სამეგობრო ტრაქტატი“, არამედ სულ რაღაც ჩვიდმეტიოდე წელიწადში იგი არარაობად აქცია. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე კარგად გრძნობდა, რომ დასავლეთ საქართველოსაც ქართლ-კახეთის დღე დაადგებოდა. ამიტომ თავიდანვე ფრთხილად და უნდობლად მოეკიდა რუსეთთან ურთიერთობას. გენერალი ციციანოვი რუსთა ჯარით იმერეთის საზღვრებს მიადგა და დაპყრობის მუქარით სოლომონი აიძულა, რომ რუსეთთან ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა. ამ ხელშეკრულებით სოლომონი რუსეთის მეფის ქვეშევრდომად ცხადდებოდა, იმერეთში რუსული კანონმდებლობა უნდა შემოღებულიყო, მთელი წიაღისეული საბადოები

რუსეთის საკუთრებად იქნა ცნობილი, ქუთაისში კი რუსთა ერთი პოლკი დაბანაკდა, რომლის შენახვაც იმერეთის მეფეს დაეკისრა. იმერეთს ჩამოაცილეს ლეჩხუმი და რუსთა მოკავშირეს – სამეგრელოს მთავარს გადასცეს. ამრიგად, ამ ხელშეკრულებით სოლომონს თითქმის ხელიდან გამოაცალეს ძალაუფლება. რუსთა ჯარის შენახვა მძიმე ტვირთად დააწვა იმერელ ხალხს. ისტორიამ შემოგვინახა სოლომონ მეორის მეუღლის, დედოფალ მარიამის მოგონება. რუსეთში გადასახლებულ დედოფალს ერთხელ უთქვამს გენერალ-მაიორ გიორგი აბაშიძისათვის: „ახლა რომ დავფიქრდები, მიკვირს, რა ცხოვრება გვქონდა და რა იყო ჩვენი მეფობა. ჩვენს სადგომს ქუთაისს, ოქროს ჩარდახს, ფანჯრები არ ჰქონდა, ზამთარში ფარდაგებს ვაფარებდით. საჭმელ-სასმელს ჩვენ თვითონ არ ვამზადებდით შინ, სულ ძღვენის იმედზე ვიყავით. ხანდახან ჩვენთვის სამოახლოში გავაკეთებინებდით საჭმელს, ფული მაშინ ძვირი იყო. ჩემს ქმარს სოლომონს ახალციხის ფაშისთვის უნდა გაეგზავნა წლიური ხარკი 800 მანეთი. რამდენჯერმე მოგვთხოვა, მაგრამ ვერ გავუგზავნეთ. მესამეჯერ რომ შემოგვითვალა, თუ ერთს თვეში არ გამომიგზავნით, ლაშქრით შემოვალო, ყოველი ჩემი სამკაული დავაგირავე. მთელი იმერეთი შევძარით და აქა-იქ ფული მოვხიკეთ და როგორც იქნა ოთხი თვის შემდეგ მოვაგროვეთ და 800 მანეთი გავუგზავნეთ ფაშას.“ (საისტორიო მოამბე, 1, 1925 წ. გვ. 250-251).

რუსთა ძალმომრეობის პასუხად სოლომონმა სატახტო ქალაქი ქუთაისი დატოვა და საჯავახოში დამკვიდრდა. მან მოითხოვა ქუთაისიდან რუსთა ჯარის გაყვანა და ლეჩხუმის უკან დაბრუნება. რუსეთის მეფემ კი მთავარმართებელს საიდუმლო ბრძანება გამოუგზავნა: სოლომონ მეფე შეიპყარით და რუსეთში გადმოასახლეთ სამუდამო საცხოვრებლად. იმერეთის სამეფო გაუქმდეს და დროებითი მმართველობა შეიქმნეს რუსი გენერლის მეთაურობითო.

სოლომონ მეფეს სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი ჰყავდა გაგზავნილი რუსებთან დესპანად. სამწუხაროდ წერეთელი მოღალატე აღმოჩნდა და მთავარმართებელს ტორმასოვს რჩევა-დარიგებებს აძლევდა, თუ როგორ დაემხოთ იმერთა მეფე. სწორედ მისი რჩევით ტორმასოვმა მოსახლეობაში მოწოდებები გაავრცე-

ლა, რომ მეფეს გადასდგომოდნენ. ამის პასუხად პირველ დღეებ-შივე ექვსი ათასმა იმერელმა სოლომონის ერთგულებაზე ფიცი დადო. მაშინ სამხედრო ძალით გადაწყვიტეს მისი დამხობა და ქუთაისში კიდევ ერთი რუსული პოლკი შეიყვანეს. რუსებს მხარი დაუჭირეს გურიისა და სამეგრელოს მთავრებმა. ვარდციხეში გა-მაგრებული სოლომონი თანდათან ალყაში ექცეოდა. მან ახალ-ციხის საფაშოში გადასვლა გადაწყვიტა. რუსთა ჯარმა სიმანო-ვიჩის სარდლობით გზა გადაუჭრა. რუსები ხელშეუხებლობას დაჰპირდნენ, თუკი სოლომონი მთავარმართებელს შეხვდებოდა და შეურიგდებოდა. მეფე ენდო და ხუთასკაციანი ამალით ქართ-ლში გადმოვიდა ტორმასოვთან შესახვედრად. მთავარმართებელი სოფელ ვარიანში ელოდა. სოფელ დირბში მეფეს ამალა ჩამო-აცილეს და მხოლოდ რამდენიმე მხლებლით მიჰგვარეს ტორმა-სოვს. იქიდან ტორმასოვმა მეფე თბილისში წამოიყვანა ვითომ მოლაპარაკების გასაგრძელებლად, მერე კი თავისი რეზიდენციის ქვედა სართულში ჩაკეტა. დატყვევებულ მეფეს დაცვა დაუყენეს.

სოლომონ მეფის უერთგულესმა თამამებრძოლებმა ქართლ-კახეთში ჩადენილი ამბებიდან კარგად იცოდნენ რუსთა და-უნდობელი და ვერაგი ბუნების შესახებ. ამიტომ ტორმასოვის მუხანათობა არ გაჰკვირვებიათ და ასეთი დასასრულისათვის მზად იყვნენ კიდეც. მათ შეიმუშავეს მეფის ტყვეობიდან გამოხ-სნის მარტივი და გაბედული გეგმა. მისი ყველაზე მთავარი და სახიფათო ნაწილი იმერელმა გლეხმა ივანე სალარიძემ ითავა. მან სასიკვდილოდ გადასდო თავი.

1810 წლის 10 მაისს ღამით იგი ერთი კალათა სანოვაგით მთა-ვარმართებლის სახლს მიადგა და მეფესთან შეშვება ითხოვა – საჭმელი უნდა მივართვაო. ნება დართეს. მეფესთან შესულმა სალარიძემ კი მას ტყვეობიდან გაქცევის გეგმა გაანდო. სალა-რიძემ მეფის სამოსი ჩაიცვა და მის ნაცვლად პატიმრად დარჩა. გლეხის ტანსაცმელში გადაცმული სოლომონი კი შუაღამისას გუშაგებს ხელიდან დაუსხლტა და ქუჩაში დაბმული მსახურის ცხენით ქალაქგარეთ გააღწია. იქ, დათქმულ ადგილზე, 23 ერთ-გული მხედარი დახვდა. მოკლე და ტყიანი გზებით ახალციხი-საკენ დასხლიტეს ცხენები. გზაზე 300 კაციანი ლეკთა რაზმი შემოეგება და ახალციხემდე უსაფრთხოდ ჩაიყვანეს. ახალცი-

ხის ფაშა სულეიმან ხიმშიაშვილი დიდი ზეიმით შეხვდა მეფეს. 17 მაისს სოლომონმა საომარი მოწოდება დაუგზავნა იმერეთის მოსახლეობას, ივნისში კი თვითონაც გადავიდა იმერეთში. დაიწყო საყოველთაო აჯანყება. აჯანყებულებმა მეფის შესაპყრობად გამოგზავნილი რუსთა ჯარი გაანადგურეს. მეორედ გაგზავნილ ჯართან შეტაკებაში კი აჯანყებულები დამარცხდნენ. ბრძოლაში დაიღუპა აჯანყებულთა სარდალი ქაიხოსრო აბაშიძე სამივე შვილით. მთავარმართებელმა მეფის შესაპყრობად გენერალი დიმიტრი ორბელიანი გამოგზავნა 3200 კაციანი ჯარით. მალე მას გენერალი როზენი მოჰყვა ახალი ძალებით. რუსებს მხარში ედგნენ გურიელი და დადიანი. ყოველის მხრიდან მრავალრიცხოვანი ძალების იერიშებს ვეღარ გაუძლო სოლომონმა და ისევ ახალციხეში გადაიხვეწა. იქიდან განაგრძობდა სიცოცხლის ბოლომდე ბრძოლას იმერეთის გათავისუფლებისათვის. რუსები ამაოდ ცდილობდნენ მკვლელის მიგზავნას. სარდალი სიმანოვიჩი სწერდა მთავარმართებელ ტორმასოვს, რომ მკვლელი ვერ მოვძებნეთ, რადგან იმერლების ერთგულება მათი მეფისადმი ლამის ღმერთის ერთგულების ბადალიაო.

რუსებმა სოლომონის ჯავრი ივანე სალარიძეზე იყარეს. გაასამართლეს და ციმბირის კატორღაში უკრეს თავი. სოლომონის და მარიამი და მეუღლე დედოფალი მარიამი რუსეთში – ქალაქ ვორონეჟში, შემდეგ კი პეტერბურგში გადაასახლეს. 1815 წლის 7 იანვარს საქართველოს უკანასკნელი გვირგვინოსანი მეფე ქალაქ ტრაპიზონში აღესრულა 42 წლის ასაკში და იქვე დაკრძალეს. დედოფალმა მარიამმა იმდენად მძიმედ განიცადა ეს ამბავი, რომ ექიმებს ეშინოდათ, თავზარდაცემული ჭკუიდან არ შეიშალოსო.

ნაღვლიანი და უსიხარულო ცხოვრება განვლო უცხოეთში მარიამმა. ერთ პატარა ხის სახლში ცხოვრობდა რუსული პენსიით. შეურიგებლობისა და დაუმორჩილებლობის ნიშნად მუდამ ქართულ ტანსაცმელს ატარებდა. ყოველდღე მიდიოდა ნეველის ღვთისმშობლის ლავრაში სალოცავად. დარბაისლობითა და სიკეთით სავსე სახე მუდამ ნაღვლიანი ჰქონდა, თითქმის გაღიმებული არავის უნახავს. სამეგრელოს მთავრის კაცია დადიანის ასულის სახეს ბოლომდე შერჩა წარსული სილამაზის კვალი. ერთ ხალხურ ლექსში ასეა მისი სილამაზე აღწერილი:

ნეტავ რა არის მისთანა,
ამომავალი მზისთანა,

.....

დედის მუცლიდან ნაშობი
მარიამ დედოფლისთანა.
მარიამო, რამ გაგავსო
თორმეტი დღის მთვარის მსგავსო,
შიგნით თვალი სამოთხის გაქვს,
გარს წამწამი ხშირი გაქვსო,
მდგომიერმა კაცმა გნახოს,
ამას იტყვის: ელვა დგასო.
ერთი შენი შემოხედვა
ათას ჯავრსაც დაკარგავსო!"

სოლომონის გარდაცვალების შემდეგ დამწუხრებულმა მარიამმა რუსეთის იმპერატორს თხოვნა გაუგზავნა: „ეხლა, როდესაც ჩემი უბედური ქმარი ცოცხალი აღარ არის, მოიღეთ მოწყალება, ხელმწიფეო და მიაქციეთ ყურადღება იმ გლეხს, რომელიც ათი წელიწადია იტანჯება შორეულ ციმბირში. მართალია, ის გლეხი თქვენი წინააღმდეგია, მაგრამ ჩემი განსვენებული მეუღლის ერთგულია, მეფე იხსნა ტყვეობიდან და მის მაგიერ თავი საფრთხეში ჩაიგდო. მე დიდად ვიტანჯები მისი უბედურებით. იგი ძალიან ძვირფასია ჩემთვის და ვბედავ გთხოვოთ, თქვენო მოწყალებავ, აპატიეთ და დააბრუნეთ, რომ შევძლო მისი მოვლა-პატრონობა."

გამოხდა ხანი. ერთ დილით დედოფალს მსახურებმა მოახსენეს: ვიღაც კაცი მოწყალებას თხოულობსო. მარიამი მათხოვრების განკითხვას ჩვეული იყო და უბრძანა – სახლში შემოიყვანეთო. მსახურები გაოგნებულნი დარჩნენ, როცა დაინახეს, როგორ გადაეხვივნენ ერთმანეთს დედოფალი და უცხო მოხუცი. ეს კაცი კატორღიდან დაბრუნებული ივანე სალარიძე იყო.

ივანემ წვრილად უამბო დედოფალს მეფის ციხიდან გაპარებისა და თავისი ათწლიანი ტანჯვა-წამების შესახებ კატორღაში. მერე მარიამისგან მოისმინა სოლომონ მეფის ამბავი, რამაც

ივანეს უსაზღვრო მწუხარება მოჰგვარა. დიდხანს ტიროდა ორივე. ბოლოს დედოფალმა ასე ანუგეშა: „ახლა, ჩემო ივანე, ხომ ხედავ,ჩვენ საერთო მწუხარებაში ღმერთმა ხელი არ აიღო ჩვენზედ და ბოლოს ისევ ერთად შეგვყარა. ახლა ჩვენზე ბედნიერი ქვეყნად არავინ მეგულება. დაივიწყე შენი განვლილი წამება. ვილოცოთ ერთად და ჩვენი სიმწარით სავსე დღეები ერთად დავასრულოთ. ახლა წადი და დაიძინე. მძიმე გზაგამოვლილს დასვენება გჭირდება.“

მეორე დილით კი სალარიძე საწოლ ოთახში მკვდარი იხილეს. ივანემ ვერ გადაიტანა სოლომონ მეფის დაღუპვის, ოჯახის განადგურებისა და სამშობლოს დაქცევის გამო გამოწვეული მწუხარება. ამ უკანასკნელ უბედურებას ვერც მარიამ დედოფალმა გაუძლო და რამდენიმე თვის შემდეგ ისიც გარდაიცვალა.

ასე გაწირა თავი მეფისა და სამშობლოსათვის გლეხმა ივანე სალარიძემ. მისი თავდადება, რომელიც საქართველოში დღემდე ხალხისათვის თითქმის უცნობი და ჯეროვნად დაუფასებელი დარჩა, ჭეშმარიტად გაოცების, აღტაცებისა და არდავიწყების ღირსია! ამ კაცმა სამშობლოს გულისთვის მამაცურად გაიარა თავისი წილი გოლგოთა თბილისიდან ათწლიან კატორღამდე და პეტერბურგამდე და პირნათელი წავიდა იმ ქვეყნად.

საოცრად კაცთმოყვარე და დიდბუნებოვანი იყო მარიამ დედოფალიც. თაობებს გამოადგებათ შთაგონებად ბედნიერების მისეული გაგება: უდიდესი პირადი და სახელმწიფო ტრაგედიის მიუხედავად იგი ყველაზე ბედნიერ ადამიანად თვლის თავს, რომ ყმა-გლეხი კატორღიდან დაიხსნა, შეძლო სხვის მიერ ჩადენილი სიკეთის სიკეთითვე გადახდა. მას ჩინებულად ესმის, რომ ადამიანი ერთხელ მოდის ამ ქვეყანაზე და უნდა შეეძლოს თავისი წილი წუთისოფლის ნამუსიანად გავლა; რომ სამშობლოსა და მოყვასისათვის თავგანწირვა, სხვის მიერ ჩადენილი სიკეთის დანახვა და სიკეთითვე გადახდა ადამიანის ყველაზე დიდი მოვალეობაა.

სოლომონ მეორით დასრულდა ქართლოსიანთა სამეფოს მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორია. დასრულდა მეფედედოფლისა და უბრალო გლეხკაცის მეგობრობა-სიყვარულის,

ჭირში თანადგომის, დამპყრობლისადმი შეურიგებლობის, სამშობლოსათვის ერთობლივი თავგანწირვის უმშვენიერესი ამბით. მეფე სოლომონ მეორე ბაგრატიონმა და გლეხმა ივანე სალარიძემ ერთად გამოიხურეს ქართველთა სამეფოს ისტორიის მწუხრის კარი!

მადლიერმა შთამომავლობამ 1990 წელს სოლომონ მეორის ნეშტი ტრაპიზონიდან საქართველოში გადმოასვენა და გელათში დაკრძალა. ქართულმა ეკლესიამ კი წმინდანად შერაცხა.

დასავლეთ საქართველოში რუსთა შემოსვლის შედეგი და მახვილით მოსულის ხვედრი

დასავლეთ საქართველოს დაპყრობაც არანაკლები მუხანათობითა და ბარბაროსული მეთოდებით მოხდა. რუსი სარდლები ყველაფერს კადრულობდნენ: სიცრუეს, ცბიერებას, ვერაგობას, ფიცის გატეხვას, ოღონდ რამენაირად ხელთ ეგდოთ ქართველი ხალხის ყველა მოთავე. პოლკოვნიკი პუზირევსკი მთავარმართებლის მოადგილეს, გენერალ ველიამინოვს სწერდა: იმერეთში ყველა დიდებულის სასახლეში ვაგზავნი ჯარის ნაწილებს. ვითომ სტუმრად მივლენ. მერე კი ერთი და იმავე საათზე სალდათები ყველა მათგანს დაიჭერენ. ტყვეები რომ „გზაში წყნარად იყვნენ და გაქცევის აზრი არ მოუვიდეთ, აგრეთვე ერთმანეთი რომ ვერ იცნონ და ვერც ადგილობრივმა ხალხმა იცნოს, თუ ვინ არიან ისინი, გადაწყვეტილი მაქვს: ჩამოვაცვა ტილოს ტომრები, რომლებიც პირთან (ე. ი. სასუნთქებელ ადგილას) გაჭრილი იქნება, ხოლო კისერთან და წელთან თოკი ექნებათ ამ ტომრებზე შემოკრული. თუ გზაზე იმერლებმა თავდასხმა მოახდინეს და საქმე გაჭირდა, ტყეებში უნდა დავხოცო და მდინარეში გადავყარო ტყვეები.“ ველიამინოვმა კი პასუხად ასეთი რჩევა მისწერა: დახოცილები მდინარეში არ ჩაყაროთ, რადგან გვამებს წყალი სადმე ამოაცურებს, ადგილობრივი ხალხი მიცვალებულებს იცნობს და ამას ვინ იცის რა მოჰყვება. ამიტომ გვამები თან წაიღეთ და საქართველოს საზღვრებს რომ გასცდებით, მერე ჩაფალით მიწაშიო.

პუზირევსკიმ თავისი ვერაგული გეგმა „კარგად“ შეასრულა: იმერეთის ზოგმა წარჩინებულმა გაქცევა მოახერხა, დანარჩენები კი დაიჭირეს და ჯარის თანხლებით რუსეთში გაიტაცეს. ქუთათელმა მიტროპოლიტმა წინააღმდეგობა გაუწია და სალდათებმა ხიშტებით დაჩხვლიტეს. დაჭრილი გზაზე – სურამთან გარდაიცვალა. ცხედარი ცხენზე დააკრეს და ცოცხლებთან ერთად ატარეს საქართველოს საზღვრამდე. ანანურში ქურდულად ჩაფლეს მიწაში, რომ არავის გაეგო. დანარჩენები რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში გადაკარგეს. სოლომონ პირველის შვილი, ბატონიშვილი დარეჯანი უკვე 70 წლის მოხუცი იყო. ამ ქალს მთელი ოჯახი ამოუწყვიტეს, ხოლო თვითონ პატარა შვილიშვილთან ერთად პენზაში გადაასახლეს. იმერეთშიც ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ქართლ-კახეთში: ეგზეკუციები, სიკვდილით დასჯა, ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება, სახლ-კარის გადაწვა, რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადასახლება.

ამ წარმატებით გაამაყებული პუზირევსკი ახლა გურიაში შეიჭრა და ქაიხოსრო გურიელის შეპყრობა მოინდომა. ქაიხოსრომ ხმალზე ხელი გაისვა და პოლკოვნიკი შუაზე გააპო. ველიამინოვმა გურიელის სახლ-კარი, უმდიდრესი ბიბლიოთეკა, იშვიათი სამუზეუმო კოლექციები ცეცხლს მისცა. უმშვენიერესი ბაღ-ვენახი ამოძირკვა. მერე მთავარმართებელს მისწერა: აქ ოცდაათ წელიწადს აღარაფერი გაიხარებსო.

საქართველოს აწიოკება არც ციციანოვს შერჩა. რუსთა ჯარმა ბაქო აიღო. როცა თათრები ციციანოვს ციხის გასაღებს აბარებდნენ, გულში ტყვია დაახალეს. მერე რუსის გენერალს თავი და ხელები მოჰკვეთეს და ირანის შაჰს საჩუქრად გაუგზავნეს, ტანი კი ციხის კარებშივე სილაში ჩაფლეს.

1810 წლიდან დასავლეთ საქართველოშიც რუსული მმართველობა დამყარდა. რუსებმა გააუქმეს იმერეთის სამეფო. მას იმერეთის ოლქი უწოდეს, რომელიც ექვს მაზრად დაყვეს. ოლქს რუსი გენერალი განაგებდა, მაზრებს – რუსი ოფიცრები. მალე მათ გააუქმეს გურიის (1828 წ.), სამეგრელოს (1857 წ.), სვანეთისა (1859 წ.) და აფხაზეთის (1864 წ.) სამთავროებიც.

ალექსანდრე ბატონიშვილი

რუსეთს ყველაზე დიდი სადარდებელი ალექსანდრე ბატონიშვილმა გაუჩინა. ვერაფრით ჩაიგდეს ხელში. ლეკეთში გახიზნულს რუსთა ჯარმა გზები შეუკრა. მთავარმართებელმა ანწუხის თემს შეუთვალა: თუ სამ კვირაში ბატონიშვილს არ ჩაგვაბარებთ, ჯარით შემოგესევით და დედაბუდიანად ამოგჟლეტთო. – ალექსანდრე ჩვენი სტუმარია, მისი ღალატი და გაცემა ჩვენგან არასდროს მოხდება. – უპასუხეს ანწუხელებმა. ალექსანდრემ რამდენიმე ანწუხელის თანხლებით რუსთა საგუშაგოები გაიარა, პოლკის შტაბ-ბინას ცხვირწინ ჩაუარა და ახალციხეში გადავიდა. მთავარმართებელი ერმოლოვი გადაირია. გენერალ ველიამინოვს უბრძანა: რადაც უნდა დაჯდეს, ბატონიშვილი შეიპყარი. არ დაზოგო ოქრო ხალხის მოსასყიდად. თუ ირანში ან ოსმალეთში გადაგასწრო, ჯარისკაცებს იქაური ტანსაცმელი ჩააცვი, საზღვარზე გადადი, გაქცეული ბატონიშვილი მოიტაცე და რუსეთში გადმოიყვანეო. ბატონიშვილი ელვის სისწრაფით გავიდა სამშვიდობოზე.

იმპერიამ ალექსანდრეზე ხალხში ათასგვარი ცილისწამების გავრცელება დაიწყო: სახელი გაუტყდება, ხალხს გული აუცრუვდება და აღარ მიემხრობა; მარტოდ დარჩენილს კი ადვილად ჩავიგდებთ ხელშიო. დამპყრობელმა ვერც ამით მიაღწია საწადელს. ალექსანდრე ბატონიშვილი თავის მოწოდებებში წერდა: „რუსები ბუნებით მუხანათნი არიან, ჭეშმარიტება მაგათში არა მკვიდრობს, სწორისა და მრუდის გარჩევა არ იციან, ერთგულისა და ორგულის მისაგებელი ციმბირია“ (ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა, გვ. 79). იგი მოუწოდებდა ხალხს უსამართლობის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ. კავკასიის ყველა კუთხეში

უსაზღვროდ უყვარდა ხალხს ბატონიშვილი. მას ყველგან მთელი კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურად თვლიდნენ და იმედის თვალით შეჰყურებდნენ.

მართლაც გასაოცარი იყო მისი თავგანწირვა და შეუპოვრობა. ოცდაათი წელი ებრძოდა ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთის იმპერიას და ცდილობდა კავკასიიდან მის განდევნას. ის იყო სულისჩამდგმელი მთიულეთის 1804 წლის აჯანყებისა, იმერეთის 1820 წლის აჯანყებისა, გურიის 1841 წლის აჯანყებისა, კახეთის 1812 წლის აჯანყებას კი პირადად ხელმძღვანელობდა. ხან ირანი გაიჩინა მოკავშირედ, ხან ოსმალეთი, ხან დაღესტანი, ხან ახალციხისა და განჯის ხანები, ხან ეგვიპტის სასულთნო. ერთხანს ნაპოლეონის იმედიც კი ჰქონდა, მაგრამ რუსეთი მასთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა. ამაში არცთუ მცირე წვლილი ქართველ კაცს პეტრე ბაგრატიონს მიუძღოდა. ირანთან და ოსმალეთთან ბრძოლაშიც რუსეთმა წარმატებებს მიაღწია. ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოც დაეცა. ალექსანდრე ბატონიშვილს ხელიდან გამოეცალა ყველა მოკავშირე და რუსეთთან ბრძოლაში მარტო დარჩა.

რუსებმა მაინც ვერ შეირიგეს ბატონიშვილი. ქართველებში, ლეკებში, სომხებში, სპარსელებში, ოსმალებში ერთი კაციც ვერ აღმოაჩინეს, ვინც რუსულ ოქროს დახარბდებოდა და სახელოვან ერეკლეს შვილის დაჭერაში ან მოკვლაში დაეხმარებოდა.

რუსებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ ერთ-ერთი ბრძოლის დროს ალექსანდრეს ცოლი და ერთადერთი მცირეწლოვანი შვილი ჩაიგდეს ხელში. ამაშიც გენერალმა ერისთავმა და ქართულმა მილიციამ შეასრულეს გადამწყვეტი როლი. მისი ცოლშვილი პეტერბურგში გადაასახლეს.

მარტო დარჩენილი, მაგრამ მამაცი და შეურიგებელი ბატონიშვილი ალექსანდრე 73 წლისა აღესრულა თეირანში 1844 წელს. სიკვდილამდე არ დაუხრია საქართველოს საბრძოლო დროშა, ხოლო კავკასიის ქვეყნებში არავის სჯეროდა მისი სიკვდილი. ხალხში კიდევ დიდხანს დადიოდა მასზე, როგორც კავკასიის მხსნელზე, ლეგენდები.

უსაზღვროდ გაეხარდა ბატონიშვილის სიკვდილი რუსეთის მეფეს. ამით დაამთავრა „მფარველად და მეგობრად“ მიჩნეულმა

რუსეთმა ერთმორწმუნე საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობა. ამის შემდეგ სტუმარი მასპინძლად გვექცა. ძალმომრეობის გამო ფრთები დაკეცეს იბერიის უკანასკნელმა დროშებმა, რომლებიც კავკასიისა და წინააზიის ომებში ოცდახუთ-ოცდაათ საუკუნეზე მეტხანს ამაყად ფრიალებდნენ. ამიერიდან ქართველებს საკმაოდ დიდხანს სხვათა დროშებქვეშ დგომა და სხვათა ომებში სისხლისღვრა მოუწევთ.

რუსეთ-კავკასიის ორმოცდაათწლიანი ომი

საქართველოს დაპყრობის შემდეგ კავკასია რუსთა ალყაში მოექცა. რუსეთმა ადვილად ჩაიგდო ხელში საქართველო. მთელი კავკასიის დაპყრობა კი ძალიან გაუჭირდა. კავკასიის მთიელებმა შეიხ მანსურის მეთაურობით თავიდანვე სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. მიუხედავად ამისა, 1810 წელს რუსეთმა ჩეჩნეთ-ინგუშეთი გამოაცხადა თავის საკუთრებად, 1813 წელს კი – დაღესტანი. რუსეთმა იქაც ჩვეული ეშმაკობა იხმარა: ამასაც რუსეთის შემადგენლობაში მათი ნებაყოფლობით შესვლა უწოდა.

ამაყი მთიელები ვერ შეურიგდნენ რუსთა ბატონობას. 1817 წელს მათ დამპყრობლებს ჰაზავათი ანუ საღვთო ომი გამოუცხადეს. მთიელებს მეთაურობდნენ იმამები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრძოლა შამილის მეთაურობით. კავკასიის მრავალსაუკუნოვანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ისტორიაში ეს კაცი ლეგენდად დარჩა. შამილი ჩეჩნეთ-დაღესტნის სახელმწიფოს მესამე იმამი იყო. იგი დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ნიჭიერი მხედართმთავარი გამოდგა. შამილმა ჩეჩნეთ-დაღესტანი ძლიერ სახელმწიფოდ აქცია: თვითონვე დაწერა კანონები და მკაცრი წესრიგი დაამყარა ქვეყანაში, გაწვრთნა საუკეთესო არმია. პირადად შამილს, როგორც მთავარსარდალს, ოცდაათიათასიანი არმია ემორჩილებოდა, ხოლო ნაიბებს, ანუ ქვეყნის ცალკეული მხარეების მმართველებს, ცალკე ჯარები ჰყავდათ. შამილს ორმოცდაათამდე ასეთი ნაიბი ჰყავდა.

შამილი ოცდაათ წელიწადს ებრძოდა რუსეთს, მათ შორის ოცდახუთ წელიწადს მეთაურობდა კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. მან ბევრჯერ სასტიკად დაამარცხა რუსეთის ჯარები და სახელოვანი გენერლები. ხალხმა შამილს კავკასიის ლომი უწოდა. ხოლო მსოფლიოს თანამეგობრობის ქვეყნებმა პარიზში 1856 წელს მას გენერალისიმუსის წოდება მიანიჭეს „კავკასიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და თავდადებისათვის.“ ეს უმაღლესი სამხედრო წოდებაა. მთელ მსოფლიოში იგი მხოლოდ რამდენიმეს აქვს მინიჭებული განსაკუთრებული სამხედრო ნიჭისა და დამსახურებისათვის.

1856 წელს პარიზში შვიდმა სახელმწიფომ სამშვიდობო ხელშეკრულება დადო. ამ ხელშეკრულებით შეწყდა საომარი მოქმედებები ყირიმში და ბალკანეთში. თურქეთმა თავი დამარცხებულად ცნო. ამით რუსეთის იმპერიას ხელ-ფეხი გაეხსნა: თურქეთის ფრონტიდან გამოთავისუფლებული ორასიათასიანი არმია შამილის წინააღმდეგ საომრად გადაიყვანა. რუსებმა ახლა ბრძოლის ხერხები შეცვალეს: საერთო იერიშებს თავი დაანებეს. ყოველი მხრიდან დაიწყეს ჩეჩნეთ-დაღესტნის ნაბიჯ-ნაბიჯ დაპყრობა, შამილის ირგვლივ რკალის თანდათან შევიწროება. დაპყრობილ სოფლებს ცეცხლით ბუგავდნენ და მიწასთან ასწორებდნენ; მოსახლეობა გაჰყავდათ ტყეების გასაჩეხად; ცდილობდნენ შამილის ნაიბების მოსყიდვას და გადაბირებას – მათ სთავაზობდნენ დიდძალ ფულს, პოლკოვნიკისა და გენერლის წოდებებს. ასე გადაიბირეს და შამილის წინააღმდეგ აამხედრეს მისი გამოჩენილი ნაიბები – ჰაჯი-მურატი, ყიბიტ-მაჰმადი, დანიელ-ბეგი და სხვები. წარსულში საუკუნეების მანძილზე ლეკები თავს ესხმოდნენ და აწიოკებდნენ საქართველოს. ამას აკეთებდნენ ჩვენი მტრების –

ირანისა და ოსმალეთის წაქეზებით, რაც საკმაოდ ასუსტებდა გარეშე მტრებთან ბრძოლაში საქართველოს. ახლა რუსეთმა დაიწყო ლეკებზე შურის საძიებლად ქართველების წაქეზება. მან შამილის წინააღმდეგ ომში ჩაითრია ქართული მილიცია, გარუსებული ქართველი ოფიცრები და გენერლები.

რუსები ცდილობდნენ ხალხის თვალში შამილისათვის სახელის გატეხვას. ამ მიზნით მოსახლეობაში ავრცელებდნენ მოწოდებებს. მათში ეწერა: შამილი მთის ხალხს ატყუებს – უაზროდ აღვრევინებს სისხლს, ომის ხარჯების დასაფარავად დიდ გადასახადებს გახდევინებთ. ნუ უჭერთ მხარს შამილს, რუსების მხარეზე გადმოდითო. ამის პასუხად შამილი ასე მიმართავდა ხალხს: „მე გეუბნებით თქვენ, ჩეჩნებო და დაღესტნელებო, მართალ სიტყვას გეუბნებით, ხალხო! მე ფულს არ ვითხოვ თქვენგან. ერთი რამ მინდა – ებრძოლოთ რუსებს. ვფიცავ უფლის მადლს, მათ ერთადერთი მიზანი აქვთ – რუსებად გაქციონ. იარაღს აგყრიან, უბრალო დანასაც არ დაგიტოვებენ. თქვენს პატივსაცემ კაცებს გააციმბირებენ. სასტიკად ინანებთ, სიმწრისგან ხორცებს დაიგლეჯთ, მაგრამ ძალიან გვიან იქნება, აღარაფერი გიშველით!“

ერთ-ერთ დიდ ბრძოლაში შამილი დამარცხდა. მან რუსთა ალყა გაარღვია და ტყეში გავიდა. რუსთა ჯარი შესაპყრობად დაედევნა. შამილმა შვილთან ერთად მაღალმთიან სოფელ ღუნიბს შეაფარა თავი. რუსებმა შამილის ადგილსამყოფელს მიაგნეს. ქვემეხებით აღჭურვილმა ათიათასიანმა ჯარმა ღუნიბს ალყა შემოარტყა. შამილს მხოლოდ ოთხასი მებრძოლი ჰყავდა. სოფელში კი ბევრი უმწეო ბავშვი და ქალი იყო. მაინც გასაოცარი სიმამაცით იბრძოდნენ მთიელები: ბევრჯერ მოიგერიეს რუსთა შეტევები. რუსი ისტორიკოსები წერენ, რომ უკანასკნელ ბრძოლაში ხუთიათასი რუსი დაიღუპა, შამილს კი ოცდაათი მებრძოლიდა დარჩა. როცა რუსები შეტევებით ვერას გახდნენ, სოფელს ქვემეხები დაუმიზნეს და შამილს შეუთვალეს: თუ ტყვედ არ დაგვნებდები, სოფელს გავანადგურებთო. შამილმა ვეღარ გაიმეტა სასიკვდილოდ ერთი მუჭა თანამებრძოლები, უმწეო ქალები და ბავშვები, შვილი ... და რუსებს ტყვედ ჩაბარდა. ეს მოხდა 1859 წლის 25 აგვისტოს. შამილი პეტერბურგში ჩაიყვანეს, მერე ქალაქ კალუგაში გადაასახლეს.

დარბაისელი, ლამაზი, უაღრესად ჭკვიანი, მტკიცე და გამჭრი-

ახი შამილი ტყვეობაშიც ყველას ხიბლავდა, ხოლო სამშობლო, კავკასიის მთები მისთვის ყველგან მარადიული ოცნება და ტკივილი იყო. ამაზე შამილს ერთხელ უთქვამს: – ბევრი რამ ვნახე რუსთა ქვეყანაში, მაგრამ ისეთი მაინც ვერაფერი, რომ არწივთა საბუდარი დაეჩრდილაო. ერთხელ კალუგაში მისთვის რუს ადიუტანტს უკითხავს: – ახლა კავკასიაში ხომ ვერავინ დაიჭერს შენს ადგილსო. შამილს ჩვეული გონებამახვილობით უპასუხია: - არა, კავკასია ახლა კალუგაშიაო.

თერთმეტი წელი გაატარა გადასახლებაში. ბოლოს მექაში წასვლის უფლება მისცეს. 1871 წელს არაბეთის გზაზე დაიღუპა. 72 წლის ასაკში შეწყდა კავკასიის ლომის გულისცემა.

შამილის დატყვევების შემდეგ კიდევ დიდხანს ბობოქრობდა კავკასია. მხოლოდ 1864 წელს დაასრულა რუსეთმა მისი დაპყრობა. ორმოცდაათწლიანი უსასტიკესი ომი დასჭირდა ვითომც „ნებაყოფლობით შეერთებული“ კავკასიის დამორჩილებას. ახდა შამილის წინასწარმეტყველება: ცარიზმმა კავკასიაში სასტიკი კოლონიური რეჟიმი დაამყარა. ნახევარი მილიონი მთიელი – უბიხები, ჩერქეზები, ჩეჩნები და სხვები მშობლიური მიწა-წყლიდან აყარეს. ისინი მცირე აზიაში – თურქეთში, სირიასა და იორდანიაში გაასახლეს. მათ ნაცვლად კი რუსი კაზაკების ასიათასამდე ოჯახი ჩამოასახლეს.

ბრძოლა გარუსების წინააღმდეგ

საქართველოს დაპყრობისთანავე რუსეთმა გააუქმა ქართული მმართველობა. საქართველოს მეფისნაცვალი, ანუ მთავარმართებელი განაგებდა. გაჩაღდა საქართველოს ძარცვა. ეკლესია-მონასტრებიდან რუსეთში გაზიდეს ძვირფასი ხატები, ტიხრული მინანქრის ნიმუშები, უამრავი სხვა განძეულობა, ხელნაწერები. მარტო 1811-1817 წლებში 41 მილიონი მანეთის განძეულობა გაზიდეს. ეს მაშინ, როცა თვითონ რუსეთის წლიური შემოსავალი იმ დროს 25 მილიონი მანეთი იყო. ერთ-ერთმა მეფისნაცვალმა თოთხმეტი ურემი ქართული ხელნაწერი მოატანინა თბილისის ცენტრალურ მოედანზე და ცეცხლში დააწვევინა.

დაწესებულებებსა და სასამართლოებში რუსული ენა შემოიღეს. საქართველო აივსო რუსი მოხელეებით, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას სასტიკად ჩაგრავდნენ. ბევრი ქართველი თურქეთში გაასახლეს, მათ ადგილზე კი სომხები, ბერძნები, რუსები, გერმანელები ჩამოასახლეს. ამით ცდილობდნენ ქართველების წინააღმდეგობა გაეტეხათ, გაერუსებინათ და საქართველოს სახსენებელი მოესპოთ. რუსებსა და გერმანელებს დიდძალ საუკეთესო მიწებს აძლევდნენ, ეხმარებოდნენ ფულით, მუშა საქონლით, მიწის დასამუშავებელი იარაღებით. ამას ვითომ იმ მიზნით აკეთებდნენ, რომ გერმანელებმა და რუსებმა ქართველებს მიწის დამუშავება და მოსავლის მოყვანა ასწავლონო.

ხალხს დიდძალი ბეგარა შეაწერეს. საქართველოში შემოსული რუსთა ჯარისათვის სამყოფი სურსათი, მარცვლეული, თივა მთლიანად ქართველ ხალხს უნდა გაეღო. მათვე ხარ-ურმით უფასოდ უნდა ეზიდათ საომარ გზებზე სამხედრო საჭურველი და სურსათი. ამისათვის მარტო ქართლ-კახეთიდან წელიწადში 112 ათასი ურემი გაჰყავდათ. შორეულ გზებზე ურმები იმტვრეოდა, საქონელი იხოცებოდა. გლეხი რამდენიმე თვეს მიწის სამუშაოდან სცდებოდა და საბოლოოდ ღატაკდებოდა.

შემზარავ მონობაში ჩავარდა ქართველი გლეხი. აი, რა წერია 1812 წელს აჯანყებული კახელი გლეხების განცხადებაში: რუსები „ორი დღით რომ წაგვიყვანდნენ ბეგარაზე, სამ თვეს გვტოვებდნენ. ნებას არ გვაძლევდნენ, საქონელი ურმებიდან გამოგვეშვა საბალახოდ ან ჩვენ წავსულიყავით ხოლმე საჭმლის საშოვნელად. ვიხოცებოდით შიმშილით და, როცა ვითხოვდით – ან პური გვაჭამეთ, ან გაგვიშვით სოფლად საგზლის საშოვნელად-თქო, მიწაზე მიგვითითებდნენ ხოლმე – ჭამეთო. დიდძალი ხარ-კამეჩი იხოცებოდა ბეგარაზე, საქონლის მაგიერ ჩვენ გვაბამდნენ და მათრახის ცემით მიგვერეკებოდნენ.“

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის ალექსანდრე ფრონელის წიგნებში „მთიულეთი 1804 წელს“ და „ამბოხება კახეთისა 1812 წელს“ აღწერილია დამპყრობთა მხეცური მოქმედების უამრავი ფაქტი. აი, რამდენიმე მათგანი: უსამართლობა, ლოთობა, ქურდობა, გარყვნილება, ცემა-ტყეპა, დარბევა-დაწიოკება სოფლებისა, მათი განზრახ წაკიდება და ქრთამის გამოძალ-

ვა, ქალწულთა და დედაკაცთა ნამუსის ახდა ხელფეხშეკრულ ქმართა და მახლობელთა თვალწინ, ქალის გაშიშვლება და გაჯოხვა. მარტო მთიულეთში ცემით მოკლეს 23 კაცი. რუსის სალდათები ბავშვებს პურს გლეჯდნენ ხელიდან, დედაკაცებს კისერზე ქვებსა ჰკიდებდნენ. პირუტყვის ნაცვლად ურმებში კაცებსა და ქალებს აბამდნენ. საჩივლელად მისულს თუ მუშტი შეკუმშული არ ჰქონდა ნიშნად იმისა, რომ ხელში ქრთამი უჭირავს, სასამართლოში არ უშვებდნენ და მათრახითაც ააჭრელებდნენ – ხელცარიელი რად მოდიოდიო. დამშეულ გლეხებს ხორბლის ჩაბარება არ შეეძლოთ და მათრახით ზურგაჭრელებულები ეხვეწებოდნენ რუსის მოხელეებს – პურის ნაცვლად ჩვენი შვილები წაიყვანეთო. ჯარისკაცები გლეხებს უკანასკნელ სარჩო-საბადებელს ართმევდნენ. ეზოების ღობეებით ყაზარმებს ათბობდნენ, ღვინოს თავახდილი ქვევრებიდან სვამდნენ და მერე მთვრალები შიგ მიწას ყრიდნენ. 1812 წლის 23 თებერვალს რუსთა ჯარის სარდალმა მარკიზ პაულიჩმა კახეთის სოფელ ხაშმში სამების მონასტერში შეხიზნული ასამდე ბავშვი ცხენების ფლოქვებით დაასრესინა სალდათებს. – ეს რაღაც დაუჯერებელი ამბებია, ისეთი ველურობა, რომლის მსგავსი თვით თემურ-ლენგის დროსაც არ იქნებოდაო. – წერს ალ. ფრონელი. *

მკითხველო, როცა რუსეთის ჩადენილ ყველა ამ ბოროტებასა და სისასტიკეს წარმოიდგენ, უნებურად მწარე დიმილს მოგგვრის ქართველ პოლიტიკოსთა და ისტორიკოსთა თაობების სიცრუე, გულუბრყვილობა და სიბეცე, რუსეთთან საქართველოს დაკავშირებას ერთმორწმუნეობით რომ ამართლებდნენ და მეგობრობას უწოდებდნენ. განა შეიძლება ამას ქრისტიანული ერთმორწმუნეობა და მეგობრობა ეწოდოს? ბევრი „პოლიტიკოსი“ ამ ბურანიდან დღესაც ვერ გამოფხიზლებულა, ზოგი კი წერს – მოდით ყველაფერი დავივიწყოთ და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან დავიწყოთო. წარსულის დავიწყებიდან იწყება ერის გადაგვარებაო – სამართლიანად გვაფრთხილებდა უდიდესი მამულიშვილი ილია ჭავჭავაძე. ალ. ფრონელის წიგნები დღეს დიდი იშვიათობაა; თუ თქვენ მათი წაკითხვა ვერ მოახერხეთ, მაშინ გირჩევთ წაიკითხოთ მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის შესანიშნავი რომანები და მოთხრობები: “ელგუჯა”, “შამის მკვლელი”,„მოძღვარი”, “ელისო”... თქვენს თვალწინ გაცოცხლდება ის საშინელებანი, რითაც დაიწყო მეცხრამეტე საუკუნე კავკასიაში; დარწმუნდებით, თუ როგორ რყვნიდა და ანადგურებდა იმპერია კავკასიის მოსახლეობას ფიზიკურად და ზნეობრივად, როგორ სპობდა ბარბაროსული მეთოდებით კავკასიელთა კეთილშობილურ, თავანკარა რაინდულ ადათ-წესებს და მათ ნაცვლად დამპყრობთა ველურ წესებს ნერგავდა. ალ. ყაზბეგი მთელს რუსეთის იმპერიაში ერთადერთი მწერალი იყო, რომელმაც იმ დროს გაბედა და საოცარი სიცხადით და მხატვრული სიძლიერით აღწერა ეს ბოროტებანი. სამწუხაროა, რომ ალ. ყაზბეგი ჯერჯერობით არ არის სათანადოდ აღიარებული და დაფასებული.

რუსთა გაუგონარმა საქციელმა ხალხი უკიდურესად გაამწარა. დაიწყო აჯანყებები. განსაკუთრებით დიდი აჯანყებები მოხდა მთიულეთში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში. რუსთა ბატონობას დიდი საფრთხე შეექმნა. მაგრამ ეს აჯანყებები ხდებოდა სხვადასხვა დროს – საქართველოს ცალკეული კუთხეები ცალ-ცალკე იბრძოდნენ. გარდა ამისა, ზოგიერთმა თავადმა ხალხს უღალატა და რუსებს მიემხრო. ამის გამო მთავრობამ მოახერხა ყველა აჯანყების ჩახშობა. ხალხს სასტიკად გაუსწორდნენ: ზოგი ჩამოახრჩეს, ზოგი დახოცეს, ზოგი გააციმბირეს. სოფლები გადაწვეს, ბაღ-ვენახები გაჩეხეს. აჯანყებების ჩახშობაში დიდი დახმარება გაუწიეს რუსებს ქართლის თავადებმა შანშე, მიხეილ, ელიზბარ, ზაზა და რევაზ მაჩაბლებმა, გიორგი ამილახორმა, ალექსანდრე მაყაშვილმა, დავით ქობულაშვილმა, იაგორ ამირეჯიბმა, თამაზ ორბელიანმა, კონსტანტინე მუხრანბატონმა, ქსნის ერისთავებმა, კახეთის თავადებმა ნინია ჩოლოყაშვილმა, სვიმონ, იოსებ და სოლომონ ანდრონიკაშვილებმა, მღვდელმა ელეფთერ ზუკაკიშვილმა და სხვებმა. ბევრი მათგანი რუსებზე მეტი თავგამოდებით ებრძოდა აჯანყებულებს. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს გაბრიელ ყაზბეგმა და დიმიტრი ორბელიანმა. გენერალი დიმიტრი ორბელიანი იმერეთისა და კახეთის აჯანყებების დროს რუსთა ჯარით ნამდვილ ჯალათად მოევლინა ქართველ ხალხს. მთიულეთის აჯანყების მეთაური ფარნაოზ ბატონიშვილი თავადმა თამაზ ორბელიანმა შეიპყრო და რუსებს მიჰგვარა. სანაცვლოდ ჯილდოდ მათგან „სისხლის ჯვარი“ მიიღო. იულონ ბატონიშვილის დატყვევებაში რუსებს მეგზურობა გაუწია იაგორ ამირეჯიბმა, რისთვისაც ჯილდოდ ოფიცრის წოდება მისცეს. სამეგრელოს აჯანყების მეთაური გიორგი დადიანი საკუთარმა ძმამ, სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა შეიპყრო და რუსებს ჩააბარა.

მთიულეთის 1804 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ციციანოვი რუსეთის სამხედრო მინისტრს სწერდა: ქსნის ერისთავნი იმდენად ერთგულნი არიან რუსეთისა, რამდენადაც მე შემიძლია თავი მოვიწონო ჩემი ერთგულებით... ერისთავნი ერთადერთი გვარია, რომელსაც მე ვენდობი, როგორც

რუსებსო. ხოლო კახეთის 1812 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ მთავარმართებელი რტიშჩევი ალექსანდრე პირველს სწერდა: როდესაც მთელ საქართველოში კაცი აღარ დარჩა ჩვენი ერთგული, მარტო სომხებმა გამოიჩინეს დიდი ერთგულება... და რუსის მხედრობასთან ერთად იბრძოდნენ ამბოხებულთა გასაწყვეტად. ამას გარდა სომხებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ დროზე და წინასწარ გვატყობინებდნენ, თუ რას აპირებდნენ აჯანყებულები და სადა ჰქონდათ ბინა. ამიტომ ისინი საგანგებო ჯილდოს ღირსნი არიანო. მეფემ მათ ამისათვის ქების სიგელი უბოძა. (ალ. ფრონელი. ამბოხება კახეთისა, გვ. 230). 1832 წელს მოწინავე ქართველობამ გადაწყვიტა რუსთა ხელისუფლების დამხობა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ერთმა მოღალატე ქართველმა იასე ფალავანდიშვილმა (ყორჩიშვილმა) შეთქმულება გასცა. მეფის ხელისუფლებამ შეთქმულების წინა ღამეს ყველანი დაიჭირა და გააციმბირა.

ციხე შიგნიდან ტყდებოდა: ასე მონდომებით ცდილობდა საქართველოსა და კავკასიის დაღუპვას ზოგიერთი სულგაყიდული და სამშობლოს მოღალატე. ამას აკეთებდა იმიტომ, რომ დამპყრობლებისაგან რაიმე თანამდებობა, მათხოვრული პენსია და ჯილდო მიეღო. მეფის ხელისუფლება ქართველი ხალხის საბოლოოდ გარუსებას შეუდგა: გააუქმეს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა და რუსეთის სინოდს დაუმორჩილეს. ამიერიდან კათალიკოსის ნაცვლად ქართულ ეკლესიას რუსი ეგზარქოსი მეთაურობდა. წირვა-ლოცვას რუსულად ატარებდნენ. სკოლებში ქართული ენა აკრძალეს. ბავშვებს არ ესმოდათ რუსული ენა, რისთვისაც მათ როზგებით და სახაზავებით სცემდნენ.

ქართული ენის ხმარებას განსაკუთრებით სდევნიდნენ ეგზარქოსი პავლე, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, თბილისის სემინარიის რექტორი ჩუდეცკი და სხვები. მათ წინააღმდეგ გაილაშქრეს ქართველი ხალხის დიდმა შვილებმა – ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, დიმიტრი ყიფიანმა.

დიმიტრი ყიფიანი



მეფის ხელისუფლებას განსაკუთრებით დიმიტრი ყიფიანის წინააღმდეგობა ეწყინა. იგი მეფის სამსახურში დიდი მოხელე იყო. ამიტომ რუსებს არ ეგონათ, რომ მათ გადაუდგებოდა და ქართველებს გამოექომაგებოდა. მაგრამ დიმიტრი ყიფიანი ვერავითარმა თანამდებობამ ვერ შეცვალა; ჯერ კიდევ 18 წლისა 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობდა და რუსეთში გადაასახლეს. მას მერე სიკვდილამდე ქართული საქმისათვის არ უღალატია.

აი, რას სწერდა თვითონ დიმიტრი ყიფიანი მეუღლეს: „პატიოსანი სახელის მეტს სხვას ვერაფერს დავუტოვებ ჩემს შვილებს და სანამდე ეს ჩემს ხელშია, ამ სახელს არ გავცვლი ჯამაგირში, ჯილდოებში, ორდენებში.“ ყიფიანმა ღირსეულად შეასრულა ფიცი. ეს დიდად განათლებული და გაბედული კაცი მთელი სიცოცხლის მანძილზე შეუპოვრად იბრძოდა ქართველების დასაცავად, ხალხში სწავლა-განათლების დასანერგად.

დიმიტრი ყიფიანმა, ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, ნიკო ცხვედაძემ და სხვებმა ჩაუყარეს საფუძველი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ქართულ საადგილმამულო ბანკს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს სოფლებში ქართული სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნის, ქართული წიგნების გამოცემის, ხალხში განათლების შეტანის, ღარიბი სტუდენტებისათვის დახმარების, გზების გაყვანისა და სხვა ეროვნულ საქმეებში.

დიმიტრი ყიფიანმა მკაცრი წერილები მისწერა ქართველების მოძულე ეგზარქოსსა და იანოვსკის: თქვენ გსურთ გაქრეს ქართული ენა, გორგასლის, აღმაშენებლის, თამარის, შოთა რუსთაველის დიდებული ენა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია და ყველაზე სრულყოფილი ანბანი აქვს. თავის დრო-

ზე ჩინგის-ხანმა, თემურ-ლენგმა, შაჰ-აბასმა ვერ მოსპეს ჩვენი ხალხი და ჩვენი ენა. ახლა თქვენ გინდათ ეს ჩაიდინოთ. ამის უფლებას არ მოგცემთო.

დიმიტრი ყიფიანი პირადად შეხვდა რუსეთის ხელმწიფის ძმას – მიხეილს და დაწვრილებით მოახსენა საქართველოში ჩადენილი უსამართლობანი: ქართველები დიდი კულტურისა და სახელოვანი წარსულის ხალხია, მრავალი საუკუნის ჭირ-ვარამს გაუძლეს და დღემდე მოიტანეს თავისი ენა და კულტურა. ჩვენ სამეგობროდ და მტერთან ერთობლივი ბრძოლისათვის მოვიწვიეთ ერთმორწმუნე რუსეთი. თქვენ კი სხვა დამპყრობელივით გვებრძვით, სდევნით ქართულ ენასა და კულტურას, მშვიდობიანად ცდილობთ ქართველი ხალხის მოსპობას. სწორედ ამის გამო ხდება ხალხის აჯანყებები. მეფეს ურჩიეთ შეწყვიტოს ეს უსამართლობა, თორემ ამას არც ხალხი მოითმენს და არც ისტორია გაპატიებთო.

დიმიტრის ბავშვივით გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ რუსეთის მეფესთან ჩივილით სიმართლეს მიაღწევდა.

საუბედურო, დიდი მთავარი მიხეილი თვითონაც ბოროტი და ქართველების მოძულე იყო. ერთხელ მან სემინარიის ორი ქართველი მოწაფე მეტეხის ციხეში ჩასვა სულ უბრალო მიზეზით: ბიჭები თურმე ბაღში სკამზე ისხდნენ. ამ დროს მთავარმა გამოიარა. ბიჭები ფეხზე არ ადგნენ და თავი არ დაუკრეს. იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს: „დაიწყო კვლევა-ძიება. ფეხზე დააყენეს პოლიცია და ჟანდარმერია. არ სჯეროდათ, რომ ეს ორი სემინარიელი მარტონი ყოფილიყვნენ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამათ უნდა ჰყოლოდათ შთამაგონებელნი, წამქეზებელნი. დაეძებდნენ რაღაც ქართველობის შეთქმულებას. ბევრი ეძიეს, მაგრამ ვერაფერი გამოძებნეს. საქმე იმით გათავდა, რომ რამდენიმე მასწავლებელი და მოწაფე სემინარიიდან გააძევეს. ამ განდევნილთა შორის, როგორც გამიგონია, იყვნენ სხვათაშორის იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე, გამოჩენილი ქართველი პედაგოგები და საქვეყნო მოღვაწენი.“

ბუნებრივია, რომ ურჯუკმა და ქართველთა მოძულე მთავარმა დიმიტრი ყიფიანიც შეთქმულების მოთავედ ჩათვალა. მთავარმაც და მეფემაც ყიფიანი მკაცრად გააფრთხილეს, ქართველების გამოქომაგებას თავი დაანებეო.

ერთხელ ქართველთა უბოროტესი მტერი, სემინარიის რექტორი ჩუდეცკი შეურაცხყოფილმა ქართველმა მოსწავლემ იოსებ ლადიაშვილმა ხანჯლით მოკლა. ამის გამო ლადიაშვილს ციმბირის კატორღაში უკრეს თავი, ხოლო გაბოროტებულმა პავლე ეგზარქოსმა მთელი ქართველი ერი დასწყევლა. დიმიტრი ყიფიანმა თავისი არ მოიშალა და მთავრობას მოსთხოვა: ეგზარქოსმა სახალხოდ ბოდიში უნდა მოიხადოს ქართველი ერის შეურაცხყოფისათვის, მერე კი საქართველოდან გააძევეთო. მეფის ხელისუფლება საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დიმიტრის მუქარით ვერ გააჩუმებდა. ამიტომ გადაწყვიტა გარუსების მოწინააღმდეგე და ურჩი ქართველი თავიდან მოეშორებინა. მეფის ბრძანებით 72 წლის მოხუცს ბორკილები დაადეს და 1886 წელს სტავროპოლში გადაასახლეს. ერთი წლის შემდეგ მძინარე ლოგინში ყაჩაღურად მოკლეს. ცხადია, ეს თვითონ ხელისუფლებამ ჩაიდინა. მთავრობას უნდოდა ყიფიანი ჩუმად დაემარხა, მაგრამ ხალხმა არ დაანება.

დიმიტრი ყიფიანი თბილისში ჩამოასვენეს. მის დაკრძალვას ზღვა ხალხი დაესწრო საქართველოს ყველა კუთხიდან. ეს იყო მთელი საქართველოს გლოვა, რუსეთის პოლიტიკის საწინააღმდეგო გამოსვლა. ვალმოხდილი მამულიშვილი მთაწმინდაზე დაკრძალეს. აკაკი წერეთელმა ორი შესანიშნავი ლექსი უძღვნა დიმიტრი ყიფიანის ხსოვნას. ქართველი ხალხის საყოველთაო გლოვა შესანიშნავად გამოხატა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც იმ დღეებში წერდა: – ყოველდღე ხუთიათას კაცამდე ნაცნობი და უცნობი მოდის დიმიტრი ყიფიანის პანაშვიდზე... ყველა სწუხს, ყველა გლოვობს, ყველა მისტირის – დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ხნიერი, სწავლული თუ უსწავლელი, მაღალი თუ მდაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული. დიმიტრი ყიფიანი იყო მართალი კაცი. როცა ამისთანა კაცი სამუდამოდ მიდის, თითქოს ჩემი და თქვენი წილხვდომილი სინათლე მზისა თან მიაქვსო, თითქო თვითეული ჩვენგანი გრძნობს, რომ თან ჩემი, თქვენი ნაწილი, ჩემი, თქვენი ბედნიერება წაიღო, თითქო ვგრძნობთ, რომ ამისთანა კაცთან ერთად ჩვენს საკუთარს ბედნიერებასაც ვკარგავთ; და ამის შემდეგ რაღა საკვირველია, რომ მივტირით ამ დაკარგულს ბედნიერებასა... ამისთანა კაცი მზესა

ჰგავს, რომელსაც ბრმაც კი გრძნობს, თუმცა არა ხედავს... ამისთანა კაცის სიკვდილი ხალხის ზნეობის მწვრთნელია და კაცი თავის გულში იწყებს იმის პასუხის ძებნას, თუ რისთვისა ვარ? რა გამიკეთებია? რით მომიგონოს ჩემმა შემდეგმა? დიახ, ამისთანა მაგალითი კაცსაც და საზოგადოებასაც გვწვრთნის, გვასწავლის და გვზრდისო.

ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ!

2006 წელს საქართველოს ეკლესიამ დიმიტრი ყიფიანი წმინდანად შერაცხა.

წმინდა ილია მართალი

მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი ერის გადარჩენისათვის ბრძოლაში ყველაზე დიდი წვლილი ილია ჭავჭავაძეს მიუძღვის. ის იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი. თავისი შესანიშნავი მოთხრობებითა და ლექსებით, ქართული გაზეთისა და ჟურნალის დაარსებით მან გამოაღვიძა და გაამხნევა ჭირში ჩავარდნილი ქართველი ხალხი.

ილიამ შექმნა ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებები: „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“, „განდეგილი“, „კაკო-ყაჩაღი“, „აჩრდილი“ და სხვები. მან დაამკვიდრა მწერლობაში მდიდარი ხალხური ენა და მუდამ იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისათვის. მედგრად ებრძოდა ყველას, ვინც კი ქართველი ხალხის გარუსებას ცდილობდა. არ ყოფილა საქართველოში არც ერთი მნიშვნელოვანი საქვეყნო საქმე, რომ ილიას მონაწილეობა არ მიეღო.

მისი მეთაურობით წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და ქართულმა ბანკმა მრავალი ეროვნული საქმე გააკეთეს: გახსნეს სოფლებში ქართული სკოლები, ბიბლიოთეკები,

დაბეჭდეს ქართული წიგნები, გაიყვანეს სოფლებში გზები. მათ მიერ გახსნილი სასოფლო-სამეურნეო თუ სხვა სახის სკოლების კარი ღია იყო ყველა წოდების ბავშვებისათვის. თეორიული ცოდნა-განათლების გარდა ბავშვები პროფესიულ სწავლებასაც გადიოდნენ: მათ ასწავლიდნენ სხვადასხვა პრაქტიკულ ხელობებს – დურგლობას, მჭედლობას, ზეინკლობას, წიგნის მკაზმველობას, ჭრა-კერვას.

ილიას დიდი წვლილი მიუძღოდა ქართული ეკონომიკის, ქართული სოფლის მეურნეობის აღორძინებაში. ცარიზმი, უცხოური იმპერიალიზმი, ადგილობრივი სომხური კაპიტალიზმი და მევახშეობა ანადგურებდნენ ძველი ქართული მეურნეობის წესსა და წყობილებას. ილიამ მოწინავე საზოგადოებასთან ერთად დიდი შრომა გასწია ქართველი ხალხის ეროვნულ-სამეურნეო საფუძვლების დაცვისათვის. „ჩვენ ღარიბნი, უფულონი ვართ, – ამბობდა იგი, – და დღევანდელი ცხოვრების ჩარხის ტრიალში წინდაწინვე ბრძოლის ასპარეზი წაგებულია. ერთადერთი საშუალებაა თანხებით შეერთება ჩვენი პატარა ძალებისა, პატარა თანხებისა, პატარ-პატარა ქონებისა, როგორც წყაროებიდან რომ შეიქმნას დიდი მდინარე.“ მან პირადად დააარსა პირველი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციები „კახეთი“, „შუამავალი“ და თვითონვე იყო გამძღოლი ამ საზოგადოებებისა. ილიას შემდეგ მისმა მომდევნო თაობებმა წარმატებით გააგრძელეს მისი გაკვალული გზა – შექმნეს მევენახეობა-მეღვინეობის საზოგადოება „კახეთი“, მეხილეთა ამხანაგობა „ქართლი“, მეთამბაქოეთა კავშირი, „ხორბლის სინდიკატი“, დიდი ლილოს მერძეობის კოოპერატივი, მეცხვარეთა კავშირი „მწყემსი“. პირველი მსოფლიო ომის დროს ისინი გაერთიანდნენ „წარმოკავშირში“. ამით მოღონიერდა გლეხკაცობა, სოფლის მეურნეობიდან მთელი მოგება ქართველ მეწარმეებს რჩებოდათ და იდევნებოდა უცხო, იმპერიალისტური და ჩარჩ-ვაჭრული კაპიტალი. ცნობილია, რომ საზოგადოება „კახეთის“ მიერ დამზადებული ქართული ღვინო მაშინ წარმატებით იყიდებოდა ბაზრებზე თბილისიდან არხანგელსკამდე და ვარშავიდან ვლადივოსტოკამდე.

ილიას ხელმძღვანელობით ქართული საადგილ-მამულო ბანკის ყოველწლიური მოგება შეადგენდა ერთ მილიონ მანეთს

ოქროთი. ამ თანხის ნახევარი ხმარდებოდა ბანკის გაძლიერებას, ხოლო მეორე ნახევარი – ეროვნული საქმიანობის აღორძინებას. ბანკს მოღვაწეობა არ შეუწყვეტია ილიას შემდეგაც. 1917 წლის ნოემბერში ილიას დისწულმა კოტე აფხაზმა ეროვნულ საბჭოს გადასცა ბანკის შენაძენი 26 მილიონი ოქროს მანეთის ღირებულების ქონება. სწორედ ილიას ბანკის ეს თანხა დაედო საფუძვლად საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას.

გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, ვინც ილიას მოესწრო, წერდნენ, რომ იგი იყო დინჯი, ბრძენი, ბასრი სიტყვის პატრონი და ბრწყინვალე ოქროპირი, უშიშარი, შეუპოვარი, ქართული საქმის თავგადაკლული დამცველი. ხალხს მისი სიტყვა სჯეროდა, მის ცოდნას, გამოცდილებას და დარბაისლურ ჭკუას დიდად აფასებდა. სიმართლისათვის ბრძოლაში ილიამ უკან დახევა არ იცოდა. ამის გამო მტრებმა ბევრჯერ სცადეს მისთვის ხალხში სახელის გატეხვა, მოკვლაც კი, მაგრამ ამაოდ.

იაკობ მანსვეტაშვილი მოგონებებში წერდა: „ილია მაგარი იყო, როგორც სალი კლდე და დრეკა ვერ უყვეს. ვერც ხმლის ელვარებით, ხანჯლების ტრიალით, ვერც დამბაჩების გულზე მიბჯენილ ლულით ვერ შეაშინეს ილია, ვერ მოახრევინეს ქედი, ვერასოდეს ვერ გადაათქმევინებდნენ ხოლმე იმას, რაც მას მართლად მიაჩნდა... ამის გამო არაერთხელ ყოფილა მისი სიცოცხლე ბეწვზე დაკიდებული.“

იოსებ იმედაშვილი აღნიშნავდა: „მხოლოდ მას ერთს შეეძლო... ქართველი ერის მტრებისათვის ღირსეული პასუხის გაცემა, ყველაფერში მისი აზრი გვიძღოდა წინ.“

სოფრომ მგალობლიშვილი წერდა: ილია ჭავჭავაძე ისეთი ლამაზი და მარილიანი იყო, კაცი თვალს ვერ მოაშორებდა. როცა გაჭირდებოდა საქმე, ილიას გაუშვებდნენ საბრძოლველად. მისი სიტყვა მაშინ მეხი იყო. მან სიკვდილამდე თავისი უბით ატარა საქართველოს ბედი და უბედობაო.

გრიგოლ ყიფშიძე კი ასე ახასიათებდა ილიას: თითქოს მამამთავარია დაობლებული საქართველოსიო, ისე შესცქეროდა მას ხალხი. საქართველოს ყველა კუთხიდან მასთან მოდიოდნენ რჩევის საკითხავად. გაჭირვების ჟამს ქვეყნის გულშემატკივარ-

ნი მას მიმართავდნენ – ქვეყნის დაღუპვა უნდათ და გვიშველეო. ილიაც გამოვიდოდა, როგორც ლომი, დინჯად, აუჩქარებლად, ღრმად მოფიქრებული საბრძოლო გეგმით და იცავდა თავისი ძვირფასი ქვეყნის, თავისი საყვარელი პატარა სამშობლოს ძნელად გასამეტებელ უმაღლეს ინტერესებსო.

ქართველმა ხალხმა ილია რუსეთის მთავრობაში თავის წარმომადგენლად – სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია. იქ ილიამ გაბედულად დაიწყო ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა. მან მოითხოვა ადამიანის სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმება, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოს ავტონომია ანუ დამოუკიდებლობა.

ამის გამო ილიას დიდი ბრძოლა გაუმართეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა. ისინი ამბობდნენ, რომ ღარიბებს სამშობლო არა აქვთ. ამიტომ ყველა ქვეყნის ღარიბები უნდა გაერთიანდნენ საერთო მტრების – მდიდრების წინააღმდეგ. ღარიბებმა უნდა დახოცონ მდიდრები და მოახდინონ მსოფლიო რევოლუცია. ამის შემდეგ დედამიწაზე აღარ იქნება ცალკე ერები და სხვადასხვა ენები. მათ ნაცვლად იქნება ერთიანი მუშათა სახელმწიფო და ერთი ენა. ამიტომ რაღა საჭიროა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაო. ქართველ მუშებს ყველა ქვეყნის მუშები უნდა გიყვარდეთ, როგორც ძმები; ქართველი თავად-აზნაურობა და ინტელიგენცია კი თქვენი მტრებია და უნდა მოსპოთო. ილიაც თავადია, ამიტომ ისიც ხალხის მტერიაო. – აი ასეთ აზრებს ქადაგებდნენ ხალხში სოციალ-დემოკრატები.

სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი მეთაური ფილიპე მახარაძე საქვეყნოდ აცხადებდა: ჩვენთვის ქართული კულტურა არ არსებობს და ქართულ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ჩვენი და ჭავჭავაძის შეთანხმება შეუძლებელიაო.

ილიას დანაშაულად მიაჩნდა ქართველი ხალხის ასე კლასებად დაყოფა და ერთმანეთზე წაკიდება. მისთვის სამშობლო და ქართული ენა ყველაზე ძვირფასი იყო. ამიტომ ცდილობდა მთელი ქართველი საზოგადოება დაერაზმა ერთი მიზნის – საქართველოს განთავისუფლებისათვის.

ერთხელ ქართველმა სტუდენტებმა ილიას მისწერეს: საბერ-

ძნეთში უნდა წავიდეთ და თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებაში დავეხმაროთ. რას გვირჩევ. ილიამ უპასუხა: სიძუნწეში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთი თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ: თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი. საქართველოს უპატრონეთ, სჯობიაო.

სოციალ-დემოკრატებმა ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძისა და სხვების მეთაურობით თავიანთ გაზეთ „კვალში“ ილიას ლანძღვა დაიწყეს. ხალხის მტრად აცხადებდნენ, ათასგვარ ცილს სწამებდნენ და ცდილობდნენ მისთვის სახელი გაეტეხათ ხალხის თვალში. თბილისის სხვადასხვა ადგილებში მათ ილიას მოთხრობები და ლექსები საჯაროდ დაწვეს. ნაძალადევში კი ილიას თვალწინ ააბრიალეს მისი წიგნების კოცონი. ისინი საგურამოში ადიოდნენ და გლეხებს მოუწოდებდნენ მოეკლათ მებატონეები და მათ შორის ილია ჭავჭავაძეც.

1907 წელს წიწამურთან ყაჩაღურად მოკლეს ილია. ეს სამწუხარო ამბავი მეხივით გავარდა მთელ საქართველოში. როდესაც ქართველი ერი გლოვობდა თავის დიდ შვილს, ნოე ჟორდანია (რომელსაც ათი წლის შემდეგ ბედმა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეობა არგუნა) ცინიკურად წერდა გაზეთში: რევოლუციის დროს დიდ ადამიანებსაც კლავენ. როცა ტყეს ჭრიან, ნაფოტებიც ცვივა. ამის გამო ვინც ჩვენს რევოლუციას დაგმობს, ის რეაქციონერი იქნებაო.

ილიას მკვლელები იყვნენ ვანო ნაცვლიშვილი, თედო ლაბაური, გიორგი ხიზანიშვილი, ივანე ინაშვილი, პავლე ფშავლიშვილი, გიგლა ბერბიჭაშვილი და ვიღაც „იმერელი ბიჭი“. ბერბიჭაშვილი და „იმერელი ბიჭი“ მიიმალნენ, დანარჩენები ხელისუფლებამ დაიჭირა და სიკვდილით დასაჯა.

ბერბიჭაშვილი ირანში გადაიხვეწა. 1921 წელს იგი რუსეთის მეთერთმეტე არმიაში იმყოფებოდა და იარაღით ხელში მონაწილეობდა რუსთა მიერ საქართველოს დაპყრობაში. მერე საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფილიპე მახარაძის დახმარებით ხან დუშეთის აღმასკომში მუშაობდა, ხან ქიზიყში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. სიბერეში ხშირად გაიძახოდა – ილია მე მოვკალი და დიდი ჯილდო და საგანგებო პენსია მეკუთვნისო. როცა ეს ამბავი მეტისმეტად გახმაურდა, რუსეთის განახლებუ-

ლი იმპერიის ქართველი მსახურები იძულებული გახდნენ ბერ-ბიჭაშვილი დაეპატიმრებინათ. 1941 წელს დახვრეტა მიუსაჯეს. ხალხის გასაბრიყვებლად გაზეთებშიც გამოაქვეყნეს – ბერბი-ჭაშვილი უკვე დაიხვრიტაო. სინამდვილეში დახვრეტა გადასახ-ლებით შეუცვალეს. ხუთი წლის მერე გადასახლებაშივე ამოხდა ბოროტი სული. მის მფარველს, ილიას მკვლელობის ერთ-ერთ ორგანიზატორთაგანსა და ქართველი ხალხის მოღალატეს ფ. მახარაძესაც უწია თავისმა წილმა ცოდვამ: მან ბერბიჭაშვილის გასამართლებამდე თხუთმეტი დღით ადრე თავი ჩამოიხრჩო.

რაც შეეხება ილიას მკვლელთა ბანდის მეთაურს „იმერელ ბიჭს“, მისი ვინაობა დიდხანს გასაიდუმლოებული იყო. ბოლოს მკვლევარმა ვახტანგ გურგენიძემ საარქივო მასალებით ზუს-ტად დაადგინა მისი ვინაობა. 1991 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ჯვარს ვაცვით ილია“ ვ. გურგენიძე წერს: „იმერელი ბიჭის“ ფსევდონიმი ეკუთვნის გრიგოლ (შემდეგში სერგო) ორჯონიკი-ძეს“ (გვ. 22). ეს ის სულგაყიდული ქართველია, რომელმაც ამ საუკუნის უდიდესი და თავზარდამცემი მკვლელობის გარდა სხვა უამრავი დანაშაულიც ჩაიდინა მშობელი ერის წინაშე. ის მეთაურობდა რუსეთის ჯარს, რომელმაც 1921 წელს საქართვე-ლო დაიპყრო. ამისათვის მტერმა იგი დააჯილდოვა ორდენით „თბილისის აღებისათვის“. მან გაუგონარი სისასტიკით ჩაახშო ქართველი ხალხის 1921-1924 წლების აჯანყებები და სისხლით მორწყო საქართველო: სიკვდილით დასაჯა ათიათასზე მეტი ქართველი, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებლობის კომი-ტეტისა და სამხედრო ცენტრის წევრები – გამოჩენილი ქართვე-ლი მხედართმთავრები და მამულიშვილები. უამრავი ქართველი რუსეთის კატორღებში გადაასახლა. მანვე, ისარგებლა რა რუს-თაგან მიცემული ძალაუფლებით, საქართველოს ოთხ მეზობელ ქვეყანას ხელაღებით „აჩუქა“ ძირძველი ქართული მიწა-წყალი. როცა ქართველთა ერთმა ჯგუფმა წინააღმდეგობა გაუწია, მან განუცხადა: გაჩუმდით, თორემ საქართველოს საზღვარს შუა თბილისში გადმოვიტანო. მან სიკვდილით დასაჯა ილიას დისშ-ვილი კოტე აფხაზი, ვაჟა-ფშაველას შვილი ლევან რაზიკაშვილი, ივანე მაჩაბლის შვილი ნიკო მაჩაბელი და მრავალი სხვა გამო-ჩენილი ქართველი მამულიშვილი. როცა რამდენიმე ქართველი

მეცნიერი თხოვნით ეწვია – ვაჟა-ფშაველას შვილს სიკვდილით ნუ დასჯიო, მან თავხედურად უპასუხა: თვითონ ვაჟა-ფშაველაც რომ იყოს, სიამოვნებით დავხვრეტდიო.

რუსეთის იმპერია მას დიდად აფასებდა. მისი სახელი ერქვა ქალაქებს, ქარხნებს, რაიონებს, ქუჩებს (რუსეთში ახლაც ჰქვია), თბილისში ე. შევარდნაძემ უზარმაზარი ძეგლი დაუდგა. 1937 წელს თავი მოიკლა. თბილისში კი მისი ძეგლი ეროვნული მოძრაობის აზვირთების ჟამს ხალხმა ძირიანად მოთხარა.

ოლღა გურამიშვილი

ოლღა გურამიშვილი დიდი ღვთისნიერი ქალი იყო. აი, რას წერს იაკობ მანსვეტაშვილი: „ილიას ცოლი, ოლღა სულ სხვა ხასიათისა იყო: გულჩვილი, მშვიდი, სათნოიანი, გულშემატკივარი, თავდაბალი. მის გულკეთილობას საზღვარი არ ჰქონდა. თუკი რამ შეეძლო, არას დაზოგავდა გაჭირვებაში შველა მიეცა, ხელი გაემართა. ილიას ხომ სულ თვალ-წარბში შეჰყურებდა, ილიას სიტყვა მისთვის კანონი იყო. ილიას ერთი წარბის შეხრა საკმარისი იყო, რომ მოყვარული ცოლი მიმხვდარიყო მის გულის წადილს და მყისვე აესრულებინა. ოლღა ბედნიერად თვლიდა თავის თავს, რომ ბედმა არგუნა მეუღლედ ასეთი შესანიშნავი, დიდბუნებოვანი ადამიანი, და ამით სრულიად კმაყოფილი იყო. მეტს არაფერს ნატრულობდა. ილია მისთვის სათაყვანო კერპი იყო, რომლის წინ მუხლს იდრეკდა, ილიას აღმერთებდა და ამიტომ თვალ-წარბში შეჰყურებდა, თავს დასტრიალებდა, რომ არც თვითონ და არც სხვას არ ეწყენინებინა რა და არ განერისხებინა. ილიას მუშაობას უყურებდა, როგორც მღვდელთ-მოქმედებას და ამიტომ მის სამუშაო კაბინეტს ფეხაკრეფით დასტრიალებდა, ახლო არავის მიაკარებდა. ყველას ნელის ხმით უნდა ელაპარაკნა, რომ ილია არ შეეწუხებინა, მის მუშაობისათვის ხელი არ შეეშალა“.

წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი იქნებოდა ოლღას მწუხარება, როცა ილია მოკლეს. დამწუხრებულმა ოლღამ ყველაზე საოცარი საქმე სწორედ მაშინ ჩაიდინა. ამის შესახებ ინგლისის

გაზეთებიც კი წერდნენ. ოლღა გურამიშვილმა მთავრობას ილიას მკვლელების შეწყალება სთხოვა: ილიამ მთელი სიცოცხლე იმას მოანდომა, რომ ადამიანებში ურთიერთსიყვარული გაეღვიძებინა. ნუ დაამტკიცებთ სასამართლოს განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილით დასჯის შესახებ. ეს ილიას ხსოვნასაც ჩრდილს მიაყენებს, რადგან ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, თვითონვე შეუნდობდა. სწორედ ისე, როგორც ჯვარზე გაკრულმა ქრისტემ შეუნდო თავის მაწამებლებს, რადგან მათ თავისი უგუნურობით ჩაიდინეს ცოდვაო.

ხელისუფლებამ დაამშვიდა ავადმყოფი ოლღა – თხოვნას შევასრულებთო, მაგრამ რვა თვის შემდეგ მკვლელები მაინც ჩამოახრჩეს.

ილიამ ანდერძით მთელი ქონება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აჩუქა. ოლღაც საკუთარ სახლში აღარ დაბრუნდა. მთაწმინდის უბანში მდგმურად დასახლდა. – აქედან უფრო ადვილი იყო მთაწმინდაზე ასვლა, სადაც ილია განისვენებდა. ოლღა ყოველდღე მთაწმინდის აღმართის ავლით მიდიოდა ილიას სამარეზე. ასე გაგრძელდა ოცი წელი მისი მოწამებრივი ცხოვრება. წიწამურში მიყენებული ჭრილობის გამო მთელი სიცოცხლე ავადმყოფობდა. არც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ, ნოე ჟორდანიას დროს, არც საბჭოთა ხელისუფლებამ პენსია არ დაუნიშნეს. ცხოვრობდა დიდ გაჭირვებაში. გარდაიცვალა 1928 წელს და ისიც მთაწმინდაზე ილიას გვერით დაკრძალეს.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

დიდი ილიას მუხანათური მკვლელობის შემდეგაც გაგრძელდა მისი დევნა. 1937 წლამდე სკოლებში ილიას ნაწარმოებების სწავლება იკრძალებოდა – ილია თავადი იყო, ამიტომ მისი ნაწარმოებები არ შეიძლება ვასწავლოთ მუშათა ბავშვებსო.

ილია ჭავჭავაძის ყველაზე დიდი აღიარება უკანასკნელ წლებში მოხდა. 1987 წელს, ილიას დაბადების 150-ე წლისთავზე

საქართველოს ეკლესიამ დაადგინა: „ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის ილია ჭავჭავაძე შერაცხილი იქნას წმინდანად და ეწოდოს მას ილია მართალი, მისი ხსენების დღედ დადგინდეს 2 აგვისტო“. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა წმინდა ილია მართლის ხატი ქალაქ იერუსალიმში წაიღო და ქართველთა უძველეს წმინდა ტაძარში – ჯვრის მონასტერში დაასვენა. ამ ტაძარში პეტრე იბერის, შოთა რუსთაველისა და სხვა დიდი ქართველი მოაზროვნეებისა და წმინდანების ხატებია.

დიდმა პოეტმა გალაქტიონ ტაბიძემ სრულიად სამართლიანად თქვა: „წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი.“ ილიამ თავისი მოღვაწეობით საქართველოს ცხოვრებაში ჭეშმარიტად მთელი ეპოქა შექმნა.

რა გვიანდერძა
წმინდა ილია მართალმა

წმინდა ილია მართალი ერთ-ერთ ლექსში ამბობს: „მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა“. წმინდა ილია მართალმა მთელი სიცოცხლე საქართველოზე ზრუნვაში გაატარა. მისი ცხოვრება სამაგალითოა ყველა ქართველისათვის. მან ბევრი ბრძნული რჩევა-დარიგება დაგვიტოვა. მისი ყველაზე მთავარი ანდერძი ქართველი ერისადმი, ჩვენი ახალგაზრდებისადმი კი შემდეგი სიტყვებია: „გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი.“ „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

დღეს ყველა მამულიშვილს პირზე აკერია დიდი ილიას ეს სიტყვები. განსაკუთრებით მათ, გაღვიძებული და ილიას გზაზე დამდგარი საქართველოს ახალ თაობას, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ლამპარივით წინ მიუძღვის წმინდა ილია მართლის ანდერძი.

რამდენიმე ამბავი ილია მართლის ცხოვრებიდან

წმინდა ილია მართლის სამართალი

ახალგაზრდობაში წმინდა ილია მართალი დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობდა. დუშელმა გლეხმა ნასყიდა პაპაშვილმა ერთი მუხრანელისაგან თამასუქით ფული ისესხა. როცა ვალი დაუბრუნა, თამასუქის გამორთმევა დაავიწყდა. მუხრანელმა იფიქრა – თამასუქი რახან ხელთა მაქვს, ნასყიდას ვუჩივლებ და ფულს ხელმეორედ წავართმევო. მართლაც, სასამართლოში იჩივლა – ნასყიდა ვალს არ იძლევაო. შეწუხებული ნასყიდა იფიცებოდა, ვალი რახანია მივეციო. წმინდა ილია მართალი მიხვდა, რომ გლეხი მართალი იყო და ჰკითხა:

– ვალი რომ გადაუხადე, იქ მოწმე არავინ ყოფილა?

– მოწმე ვინ იქნებოდა, შენი ჭირიმე, ნატბევის მუხის ქვეშ მარტო ორნი ვიყავით, ვალი რომ დავუბრუნეო.

– რახან მუხის ქვეშ მდგარხართ, გაიქეცი და იმ ხის ერთი ფოთოლი მომიტანე.

ნასყიდა იმწამსვე წამოხტა და ფოთლის მოსატანად გაეშურა. მევალემ დაუფიქრებლად წამოროშა: – შე დალოცვილო, მანამ ეგ ნატბევზე გადავა და იმ მუხის ფოთოლს მოიტანს, დაღამდება კიდეცაო.

წმინდა ილია მართალს თურმე სიცილი დაუწყია და მომჩივანისათვის უთქვამს: მაშ, პაპაშვილს შენთვის ვალი გადაუხდია. ეს თამასუქი დახიე და ახლავე აქედან დაიკარგეო.

გაწბილებული და შერცხვენილი მუხრანელი უხმოდ გასცილდა იქაურობას.

ორმის ამბავი

წმინდა ილია მართლის დისწული კოხტა აფხაზი თავის მოგონებებში წერდა:

– ილიას საზოგადოდ ნადირობა არ უყვარდა. მახსოვს, ერთხელ ალაზანზედ წავედით რამდენიმე კაცი სანადიროდ. დავდექით ნომრებზე. ჩემს გვერდით, ცოტა მოშორებით იდგა ილია.

ხშირი და დიდი ტყე იყო. ძაღლებმა უკვე დაჰყეფეს. როგორც ეტყობა, კვალს მიაგნეს. გაფაციცებით ველი ნადირს და არ გავიდა ბევრი ხანი, რომ გამოჩნდა დიდი ირემი, მაგრამ ხეებს ისე იყო მოფარებული, რომ ვერ ვესროდი, ილიასთვის კი ირემი მეტად მარჯვედ იდგა. ველი გულის ფანცქალით, რომ აი ან ეხლა გავარდება ილიას თოფი, ან ეხლა მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. კარგა ხანი გავიდა. იდგა, იდგა ირემი, მერე ერთი დაიფრუტუნა და გადახტა და გაჰქრა ტყეში. გავქანდით ილიასკენ, დავიწყეთ ჯავრობა: „კაცო, რა ჰქენი, რატო არ ესროლე?“ – „უხ, ისეთი ლამაზი, ისეთი მოხდენილი რამ იყო, რომ მაგას როგორ ვესროდი, როგორ გავიმეტებდი!“

რა თქვა ერთხელ გენერალისიმუსმა

– ილია როგორი კაცი იყო? – ჰკითხეს ერთხელ რუსეთის იმპერიის მთავრობის მეთაურს, გენერალისიმუსსა და მსოფლიოში უდიდეს სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეს იოსებ სტალინს.

– ილია ისეთი კაცი იყო, მთელი მსოფლიოს წინამძღოლობა შეეძლო! – უპასუხა სტალინმა.

„აი ია“

„აი ია“ – ასე იწყება ჩვენი ბავშვების საყვარელი წიგნი „დედაენა“. ეს წიგნი იაკობ გოგებაშვილმა დაწერა. უკვე ასი წელია პირველკლასელი ამ წიგნით იწყებს დედაენის შესწავლას. მაშინ სკოლებში აკრძალული იყო ქართული ენა. ბავშვებს რუსულად ასწავლიდნენ. თუ ვინმე ქართულად დაილაპარაკებდა, როზგებით სცემდნენ. რუსეთის იმპერია დაპყრობილ ხალხებს ველურებს უწოდებდა, აბუჩად იგდებდა მათ წარსულსა და კულტურას. მეფის რუსეთის მოხელეები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ქართველ ბავშვს ქართული ენა დავიწყებოდა და სასწრაფოდ გარუსებულიყო. იაკობ გოგებაშვილი მკაცრად ებრძოდა ასეთ მოხელეებსა და ცრუ პედაგოგებს. იგი ამბობდა: ამისთა-

ნა სკოლა საპყრობილეა ყმაწვილის ნორჩი ბუნებისათვის. ბავშვი მშობლიურ ენაზე უნდა სწავლობდეს. უცხო ენა მესამე კლასიდან უნდა ვასწავლოთ, როცა თავისი მშობლიური ენა უკვე კარგად ეცოდინება. თორემ ბავშვის სული და გონება დამახინჯდება, მისგან სრულყოფილი ადამიანი ვერ გამოვაო. ენა ერის ბურჯია და სკოლაში მთავარი ყურადღება მის რიგიან სწავლებას უნდა მიექცეს. თუ გვინდა ნამდვილი მამულიშვილი გავზარდოთ, მას მშობლიური ენის, თავისი სამშობლოსა და ერის სიყვარული უნდა ვასწავლოთ. ეს კი ქართული ენისა და ისტორიის სწავლებით უნდა მოხდესო. იაკობ გოგებაშვილმა მთელი სიცოცხლე ამ საქმეს შესწირა.

რუსი მოხელეები ხელს უშლიდნენ იაკობს მუშაობაში, აბეზღებდნენ მთავრობასთან, ცდილობდნენ სკოლიდან მის გაძევებას. გასაქანი აღარ მისცეს. გაჯავრებულმა იაკობმა თავისი განათლებისა და სამსახურის საბუთები ცეცხლში დაწვა და თავი დაანება სამსახურს. ქართული სკოლების აღორძინებაზე დაიწყო ზრუნვა. იაკობ გოგებაშვილი შეუდგა ქართული სახელმძღვანელოების წერას. თან ეხმარებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ქართული სკოლების გახსნაში. გოგებაშვილმა მრავალი წერილი დაწერა ქართული სკოლების მოწყობისა და მუშაობის საკითხებზე. ეხმარებოდა მასწავლებლებს რჩევა-დარიგებით. დღესაც ქართულ სკოლებში სწავლა-აღზრდა მის პედაგოგიურ აზრებზეა დაფუძნებული.

იაკობ გოგებაშვილმა დაწერა: „დედაენა“, „ქართული ანბანი და საკითხავი წიგნი“, „ბუნების კარი“, „წყარო“, სასარგებლო მცენარეებსა და ცხოველებზე მოთხრობების კრებული „კონა“,

მოთხრობების კრებული „კუნწულა“ და სხვა წიგნები. ამ ჩინებული წიგნებით სწავლობდნენ ბავშვები საქართველოს გმირულ წარსულს, ბუნების მოვლენებს, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს. გოგებაშვილის წიგნებით სანიმუშოდ მოეწყო სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმე.

დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა თქვა: – იაკობ გოგებაშვილის შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ გოგებაშვილის დედაენაზე არ აეხილოს თვალები. ეს ღირსეული მამულიშვილი შეუპოვარ დარაჯად უდგას ქართველ ერს, სიტყვითა და საქმით მედგრად იგერიებს ჩვენზე მოსეულ მტერს. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. მან ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა!

თვითონ იაკობი კი ამბობდა: ყველაფერი ილია ჭავჭავაძის დახმარებითა და ხელშეწყობით გავაკეთე. როდესაც შევეცადე საქართველოს შელახული უფლებების, კულტურისა და ენის დაცვა, ყვავ-ყორნებივით შემომესივნენ რუსი მოხელეები, აგრეთვე ფულისა და ჩინ-ორდენების მოყვარული ზოგიერთი ქართველი. როცა ესენი თავს მესხმოდნენ, ჩემი ერთადერთი იმედი, მფარველი და ნუგეშის მომცემი ილია ჭავჭავაძე იყო. ილია ლომივით ესხმოდა მათ თავს და აცამტვერებდა. ჩემი სახელმძღვანელოებიც სკოლებში ილიას დახმარებით გავრცელდაო.

იაკობ გოგებაშვილი თავისი წიგნებიდან აღებული ფულით ეხმარებოდა ღარიბ სტუდენტებსა და მოსწავლეებს, სოფლის ხელმოკლე მასწავლებლებსა და მწერლებს. სიკვდილის წინ კი მთელი თავისი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა: ქართულ სკოლებს, ქართველი ბავშვების აღზრდას მოახმარეთო.

იაკობ გოგებაშვილი მთაწმინდაზე დიდი მამულიშვილების გვერდით განისვენებს. მადლიერმა ქართველმა ხალხმა მის უკვდავ დედაენას თბილისში ძეგლი დაუდგა.

– მე ყოველ ღონეს ვხმარობდი, რომ მამულიშვილური გრძნობა გამეღვიძებინა ქართველთა შორის. – ამბობდა იაკობ გოგებაშვილი. – ნამდვილი მამულიშვილი კი ის არის, ვისაც:

– სიცოცხლის უმთავრეს მიზნად სამშობლოს ბედნიერება გაუხდია;

– დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც მამულზე ზრუნვას არ მოახმარა;

– მამულის ტანჯვით გული ედაგება და მისი ლხენით ხარობს;

– ბედნიერია მამულის ბედნიერებით და უბედურია მისი უბედურებით;

– მზად არის ღიმილით შესწიროს საქართველოს თავისი სიცოცხლე!

იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ ასეთი ადამიანების აღზრდა არის ჩვენი სკოლების მთავარი მიზანი. ასეთი მამულიშვილი იყო თვითონ იაკობ გოგებაშვილიც.

„ჩვენ, როგორც ჩვენი წინაპარნი, მტკიცედ უნდა ვიცავდეთ ჩვენს მშობლიურ დედაენას, მის სიწმინდეს“. – გვიანდერძა იაკობ გოგებაშვილმა. გვახსოვდეს მისი ანდერძი. გვახსოვდეს, რომ დედაენისათვის ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაა, ჩვენი ერის უკვდავებისათვის ბრძოლაა. ჭეშმარიტმა ქართველმა კარგად უნდა იცოდეს მშონლიური ქართული ენა, ჩვენი ერის წარსული!

მიხეილ თამარაშვილი

ძველი რომის იმპერიაში უყვარდათ თქმა – გათიშე და იბატონეო. რუსეთის იმპერიაც ოსტატურად იყენებდა ხალხის დამორჩილების ამ უძველეს ხერხს. ისინი შეეცადნენ საქართველოს ცალკეული კუთხეების – ქართლ-კახეთის, სამეგრელოს, სვანეთის, აფხაზეთის, ფშავ-ხევსურეთის, თუშეთის მოსახლეობა სხვადასხვა ეროვნებად გამოეცხადებინათ და ერთმანეთისათვის წაეკიდებინათ. ეს არ გამოუვიდათ. მაშინ მათ საქართველოში სხვა ეროვნების ხალხები შემოასახლეს, მერე მათში ეროვნული შუღლის გაღვივება დაიწყეს. ცარიზმმა შეძლო ქართველებსა და სომხებს შორის განხეთქილების მოწყობა. ამის შედეგად ზოგიერთმა კათოლიკური სარწმუნოების სომეხმა მწერალ-

მა დაიწყო მტკიცება, რომ საქართველოში ყველა კათოლიკური ეკლესია მათი საკუთრებაა; რომ ქართველი კათოლიკეები საერთოდ არ არსებობენ, სინამდვილეში ისინი სომხები არიანო. ამ სიცრუეში რომის პაპსაც არწმუნებდნენ. მათ მიაღწიეს ქრთამებით იმას, რომ მთავარმართებელმა ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში აკრძალა ქართული ენა. ამიერიდან ქართველებს მხოლოდ ლათინურ და სომხურ ენებზე შეეძლოთ წირვა-ლოცვა. ქართველ კათოლიკეებს გასომხების საფრთხე დაემუქრათ. განსაკუთრებით გართულდა საქმე მესხეთ-ჯავახეთში, სადაც ბევრი კათოლიკე ცხოვრობდა. მესხეთიდან მეფის ხელისუფლება მაჰმადიან ქართველებს თურქეთში აძევებდა, მათ ადგილზე კი სომხები, ბერძნები, რუსები ჩამოჰყავდა. ამის გამო მესხებისა და ჯავახების უძველესი და სახელოვანი ტომი თითქმის გადაშენების პირამდე მიიყვანეს. ხალხი ჩიოდა: თბილისში გვინდა ბავშვებს ქართულ სკოლებში ვასწავლოთ, მაგრამ მთავრობა უარს გვეუბნება – თათრები ხართო, ახალციხეში გავხსნით რუსულ სკოლას და თქვენი ბავშვები იქ მიაბარეთო.

შევიწროებულმა ქართველმა კათოლიკეებმა მიხეილ თამარაშვილს სთხოვეს სიმართლის დადგენა.

მიხეილ თამარაშვილი თვითონ ახალციხელი იყო. დამთავრებული ჰქონდა კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური სასწავლებელი, ესპანეთისა და საფრანგეთის სასულიერო სასწავლებლები, რომის სასულიერო აკადემია. იგი თეოლოგიის დოქტორი იყო. კარგად იცოდა იტალიური, ესპანური, ფრანგული, ლათინური და სხვა ენები.

თამარაშვილი მეფის ხელისუფლებამ საქართველოდან გააძევა, როგორც ქართველთა ქომაგი და გარუსების მოწინააღმდეგე. ამის გამო იძულებული იყო მთელი სიცოცხლე უცხოეთში გაეტარებინა.

მიხეილ თამარაშვილმა ათი წელი იმუშავა ვატიკანის, რომის, ფლორენციის, პალერმოს, პარიზის, ლონდონის, ტრაპიზონისა და სხვა ქალაქების არქივებში. არც საქართველოდან, არც სხვა ეკლესიებიდან არავითარი დახმარება არ ჰქონდა და ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდა. მიუხედავად ამისა, თავგანწირული შრომით უცხოეთის არქივებში ბევრი საინტერესო და უცნობი

დოკუმენტი აღმოაჩინა. მანამდე ჩვენ თითქმის არ ვიცოდით, თუ რა კავშირი ჰქონდა საქართველოს ძველ საუკუნეებში ევროპასთან. თამარაშვილმა შუქი მოჰფინა ამ საკითხს.

ქველმოქმედ სტეფანე ზუბალაშვილის ხარჯით თბილისში გამოვიდა მისი წიგნი «ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის». წიგნში მოტანილია ლაშა-გიორგის, რუსუდანის, გიორგი ბრწყინვალის, სიმონ დიდის, სამცხის ათაბაგისა და სხვათა მიწერ-მოწერა რომის პაპთან, საფრანგეთის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების მეფეებთან. გაირკვა, რომ საქართველოს ძველად კავშირი ჰქონია ევროპასთან, მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული ცდილობდა ევროპის სახელმწიფოთა კავშირის შეკვრას და თურქთა ალყიდან თავის დახსნას. ამ ურთიერთობაში დიდი ღვაწლი მიუძღოდათ ევროპელ მისიონერებს. წიგნში აღწერილია ქართული კათოლიკური ეკლესიის ისტორია მეცამეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებამდე..

ამ წიგნს დიდი შეფასება მისცეს იაკობ გოგებაშვილმა, აკაკი წერეთელმა, ივანე ჯავახიშვილმა. ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი წერდა, რომ ეს მეორე «ქართლის ცხოვრებაა».

იმის გამო, რომ წიგნი ძალიან დიდი გამოვიდა, თამარაშვილმა ორ ნაწილად გაყო. პირველი ტომი შვიდასგვერდიანია. მეორე ტომის გამოცემა კი უფულობის გამო ვეღარ შეძლო.

მალე თბილისში გამოვიდა მისი ახალი წიგნი «პასუხად სომხის მწერლებს». მისი დაბეჭდვის ხარჯიც ზუბალაშვილმა გაიღო. თამარაშვილმა დოკუმენტებით დაასაბუთა, რომ საქართველოში კათოლიკურმა სარწმუნოებამ მეცამეტე საუკუნეში მოიკიდა ფეხი, ხოლო მეთოთხმეტე საუკუნეში თბილისში უკვე საეპისკოპოსო ეკლესია არსებობდა. ამ წიგნით ფარდა აეხადა სომეხი მწერლების ცილისმწამებლურ დავას. ისინი ხელს უშლიდნენ თამარაშვილს არქივში მუშაობაზე, უჩიოდნენ პაპთან და მოითხოვდნენ რომიდან მის გაძევებას. თამარაშვილი პირადად ეახლა რომის პაპს და გააცნო არქივის მასალები. პაპი მოწონებით შეხვდა მის მუშაობას. სომეხი კათოლიკეები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ამ წიგნის გასაბათილებელი ვერაფერი ნახეს არქივში და შერცხვენილებმა თამარაშვილთან დავას თავი დაანებეს.

თამარაშვილმა არქივში აღმოაჩინა იტალიელი მხატვრის კასტელის ალბომი, რომელსაც ქართული კულტურისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამის შემდეგ თამარაშვილმა ფრანგულად დაწერა «საქართველოს ეკლესიის ისტორია». ამ წიგნის გამოცემა სიღარიბის გამო ძალიან გაუჭირდა. ვის არ სთხოვა საქართველოში დახმარება, მაგრამ ფული არავინ გაიღო. ბოლოს იძულებული გახდა დიდძალი სესხი აეღო და ეს წიგნი უცხოეთში გამოეცა. წიგნს უდიდესი მოწონება ხვდა ევროპაში. იგი უცხოელი მეცნიერების სამაგიდო წიგნად იქცა. თვითონ თამარაშვილი ამბობდა: ადრე ჩემს მიერ გამოცემული წიგნები ამ წიგნთან სახსენებელიც არ არიანო.წიგნი შვიდასგვერდიანია და მასში ასი სურათია ჩართული. დაწერილია საუცხოო ფრანგული ენით. წიგნში მოთხრობილია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის დასაწყისამდე. მასში დასაბუთებულია, რომ საქართველომ და ქართულმა ეკლესიამ დიდი როლი შეასრულეს წინა აზიაში მსოფლიო ცივილიზაციის გადასარჩენად.

წიგნს უმაღლესი შეფასება მისცეს რომის პაპმა და კარდინალებმა, ფრანგულმა, ინგლისურმა, ესპანურმა, იტალიურმა, გერმანულმა, პოლონურმა ჟურნალ-გაზეთებმა. ერთი ფრანგი ჟურნალისტი წერდა: «მკითხველები გულის ფანცქალით წაიკითხავენ ამ წიგნში საგმირო ისტორიას იმ ერისას, რომელმაც მიუხედავად ხანგრძლივი და საშინელი დევნისა და ტანჯვა-წვალებისა შეინარჩუნა სიმამაცე, სულგრძელობა, სამართლიანობა და უმეტეს შემთხვევაში დარჩა თავისი ქრისტიანული ტრადიციების ერთგული». ეს წიგნი შეიძინა ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის აკადემიამ და უმაღლესმა სასწავლებელმა.

ამრიგად, სულ მოკლე დროში და დიდი ხელმოკლეობის პირობებში თამარაშვილმა შექმნა საქართველოს წარსულზე სამი ბრწყინვალე შრომა, რომელთა მსგავსიც მანამდე არავის არაფერი დაუწერია.

1911 წლის ივლისში თამარაშვილი იტალიელ მეგობარ პროფესორთან ერთად დასასვენებლად წავიდა ზღვისპირა სოფელ სანტამარინელაში. იქ ერთხელ იტალიელი მეგობრისათვის უთ-

ქვამს: ნეტავ რად არის, რომ საქართველოს სახე ყველგან დამ-ყვება – არქივშიც, სახლშიც, გზაშიც და აქაცო. სულ მალე კი ქართული გაზეთები იუწყებოდნენ: თამარაშვილი აღელვებულ ზღვაში შეცურებულა დასახრჩობად განწირული იტალიელი მუშის მისაშველებლად. თვითონ თავის მეგობარ პროფესორთან ერთად დამხრჩვალა, ხოლო მუშა მოდარაჯე მენავეებს გადაურ-ჩენიათო.

ასე დაიღუპა ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე – 53 წლის მეც-ნიერი, კაცი, რომელმაც უცხოეთში გადახვეწილის მწარე და დუხჭირი ცხოვრებით იცხოვრა და სამშობლოსათვის არაადა-მიანური შრომა გასწია.

იტალიელებმა დიდი პატივით დაკრძალეს და ძეგლიც და-უდგეს. როდესაც მიხეილის დაღუპვა შეიტყო მისმა პირველმა მასწავლებელმა და სახელოვანმა მესხმა მამულიშვილმა ივანე გვარამაძემ, დარდით ლოგინად ჩავარდა და რვა თვეში გარდა-იცვალა. თავისი საყვარელი მოწაფე კი საოცარი სიტყვებით გამოიგლოვა: "ვგლოვობ, ვტირი მწარედ... თავში ვიცემ, რომ აღა-რავინ მეგულება ჩვენში ჯერჯერობით მისი მომაგიერე, მისებრ ნამდვილი, განათლებული, შეგნებული, მართალი, სუფთა, ნიჭიერი, კურთხეული ენაპირის მქონე, მიმზიდველი, ... შეუვალი ციხეკოშ-კსავით, მცველ-მფარველი ჩვენი, ძვირფასი საუნჯე, ჭკუა, ცნობის კოლოფი, ტახტი მეცნიერებისა, მოსარჩლე სარწმუნოებისა, სამ-შობლო-მამულის დიდი მოყვარე, გვარის ბატონი, ქვეყნის სანატ-რელი და მტრის საშურველი, ძლიერი ფარ-ხმალი. წამოგვექცა ანაზდეულად თავს ჩვენი ციხე-ქალაქი, შეგვემუსრა კარი, გაგ-ვიტყდა ტახტი, გაგვებნა საუნჯე... სიკეთე წაგვივიდა ხელთაგან, დავრჩით ცარიელ-ტარიელზე გულხელდაკრეფილნი მოწმენდი-ლის ცივის ცის ქვეშ, ღვთის ამარა."

მიხეილ თამარაშვილი სიკვდილამდე ერთი წლით ადრე სამ-შობლოზე წერდა:

„თუ ვეღარ გნახე ტურფა ედემო
და უცხო ცის ქვეშ ამომხდა სული,
შენ დამიტირე, სიცოცხლევ ჩემო,
და მიისვენე შენი ერთგული".

მხოლოდ 1978 წელს აღსრულდა დიდი მამულიშვილის ეს უკანასკნელი ნატვრა: ჩინებულმა მამულიშვილმა, კინორეჟისორმა და მკვლევარმა რეზო თაბუკაშვილმა თამარაშვილის ნეშტი საქართველოში გადმოასვენა. ზღვა ხალხი მიაცილებდა დიდ მამულიშვილს უკანასკნელ გზაზე.. რუსთაველის გამზირიდან დიდუბემდე ხალხმა კუბო ხელით ატარა. დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მიხეილ თამარაშვილის შრომებმა ახალი ფურცლები ჩაწერეს საქართველოს ისტორიაში და გაამდიდრეს ჩვენი ცოდნა ამ დარგში, საქართველოს ღვაწლი და სახელი გაიტანეს ევროპის მრავალ ქვეყანაში. მისმა წიგნებმა ფასდაუდებელი როლი შეასრულეს ქართველი ერის გადარჩენისათვის ბრძოლაში.

ზუბალაშვილების ღვაწლი და ხელისუფალთა უმადურობანი

ველად ვაჭრობა ქართველი კაცის ბუნებაში არ იყო. არადა ვაჭრობა ქვეყნის მოღონიერების ერთ-ერთი მძლავრი გზათაგანია. ამიტომ ჩვენი მეფეები ხშირად ახდენდნენ ებრაელთა და სომეხთა ჩამოსახლებას საქართველოში ვაჭრობის აღორძინების მიზნით. მე-19 საუკუნეში საქართველოშიც გაჩნდა კაპიტალისტური ურთიერთობანი. დაიწყო ქართველ ვაჭართა და მეწარმეთა ფენის აღორძინება... და მაშინვე თავი იჩინა ქართველ ვაჭართა და მეწარმეთა გამორჩეულმა თვისებამ: შემოსავლის დიდ ნაწილს უანგაროდ ახმარდნენ ქვეყნის საკეთილდღეო საქმეებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ძმები ზუბალაშვილების მოღვაწეობა. მათ მოგების დიდი ნაწილი უანგაროდ მოახმარეს საქართველოს.

დიდვაჭარი სტეფანე ზუბალაშვილი ვაჭრობას ეწეოდა თურქეთში, ირანში, შუა აზიაში, ინდოეთში. მისი მონაგები ფულით ბევრი საქვეყნო საქმე გაკეთდა. სტეფანემ დიდი თანხა გაიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნებისათვის. ხუთი ათასი მანეთი ოქროთი აჩუქა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ რედაქციას და გაზეთი და-

ხურვას გადაარჩინა. მისი დაფინანსებით გამოდიოდა საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“. მისი სტიპენდიით მრავალი ქართველი სტუდენტი სწავლობდა რუსეთსა და ევროპაში. სტეფანეს ფინანსური დახმარებით ოცზე მეტი ქართული წიგნი გამოიცა, მათ შორის მიხეილ თამარაშვილის ორი წიგნი – 1700 გვერდიანი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ და „პასუხად სომხის მწერლებს“. ამ წიგნებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ისტორიისათვის და უდიდესი შეფასება ხვდა წილად ქართველ და უცხოელ მეცნიერთაგან. სტეფანესა და მის ძმებს დიდი წვლილი მიუძღოდათ სათავადაზნაურო სკოლის /დღევანდელი ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პირველი კორპუსი / მშენებლობის დაფინანსებაში. ის იყო ქართველი მამლუქის, ერაყის სახელოვანი მეფის დაუდ-ფაშას დამაკავშირებელი მის ოჯახთან და საქართველოსთან. სტეფანემ ააშენა თბილისში ცნობილი „უპოვართა სახლი“, სადაც ყველა ეროვნების ღატაკი და უპატრონო მოხუცები სუკეთესო პირობებში ცხოვრობდნენ. სტეფანე ზუბალაშვილი მეოცე საუკუნის ათიან წლებში ინდოეთში გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად თბილისში ჩამოასვენეს და სოლოლაკში მშობლების გვერდით დაკრძალეს. მაშინდელი ქართული პრესა აღნიშნავდა, რომ მისმა გარდაცვალებამ მოსახლეობაში დიდი გლოვა გამოიწვია. დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვეს აკაკი წერეთელმა და სხვა გამოჩენილმა ადამიანებმა. სტეფანეს შვილები არ დარჩენია. ძმებმა მის სახელზე ასი ათას მანეთად ააშენეს და თბილისის მოსახლეობას აჩუქეს ბავშვთა საავადმყოფო / დღევანდელი ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ძირითადი კორპუსი/.

ზუბალაშვილების უფროსი ძმა ლევანი მოსკოვში ცხოვრობდა. შთამომავლობა არც მას დარჩა. თბილისში არსებული მთელი ქონება ანდერძით ქალაქის მმართველობას აჩუქა. მანვე მოსკოვის გამგეობას ნახევარი მილიონი მანეთი დაუტოვა საჩუქრად. ლევანს ორი სასახლე დარჩა აგარაკ უსოვოში, რომლებსაც შემდეგ ზუბალოვო ეწოდა. ამ სახლთაგან ერთში ზაფხულობით სტალინი ცხოვრობდა, მეორეში – მიქოიანი.

ზუბალაშვილების ერთ-ერთი ძმა ნიკოლოზი პარიზში ცხოვრობდა. ხშირად ჩამოდიოდა თბილისში. მან ზუბალაშვილების

კუთვნილი „უპოვართა სახლის“ შენობა აჩუქა თბილისის მმართველობას. ნიკოლოზმა თბილისის გარეუბანში სოლოლაკში ააშენა უფასო პანსიონი ღატაკთათვის – სამსართულიანი შენობა თავისი სასადილოთი და „სამადლო“ უწოდა. 1921 წელს საქართველოში შემოჭრილმა წითელარმიელებმა გაანადგურეს იქაურობა, თუმცა სახელი „სამადლო“ იმ ადგილს დღემდე შემორჩა. ნიკოლოზი უშვილოდ აღესრულა. გარდაცვალების შემდეგ თბილისს ანდერძით აჩუქა 270 ათასი მანეთი.

უმცროსმა ძმამ იაკობმა მეწარმეობით გაითქვა სახელი. მან ბიზნესი ქუთაისში არყის წარმოებით დაიწყო. შემდეგ საქმიანობა თბილისში განაგრძო. ააშენა ამიერკავკასიაში შაქრის პირველი ქარხანა. ააშენა და თბილისს აჩუქა სასტუმრო „პალასი“. ამ შენობაში შემდეგ გაიხსნა სასულიერო სემინარია. ამჟამად იქ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმია / თავისუფლების მოედანზე /. ამ შენობაში გაუწია იაკობმა მასპინძლობა სტუმრად ჩამოსულ რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს. ამ შენობის წინ იდგა ზუბალაშვილების დიდი საცხოვრებელი სახლი, სადაც იაკობმა ორკვირიანი მასპინძლობა გაუწია ცნობილ ფრანგ მწერალს ალექსანდრე დიუმას. სამწუხაროდ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში კომუნისტურმა ხელისუფლებამ ეს სახლი დაანგრია და მის ადგილზე ააშენა ცეკავშირის მრავალსართულიანი და არქიტექტურულად საკმაოდ უსახური შენობა. იაკობი ბოლოს ცხოვრობდა პარიზში. გატაცებული იყო კოლექციონერობით. მისი უნიკალური კოლექცია ხატების, ძვირფასი ნივთების, მხატვრული ტილოების, კარეტებისა რუსეთმა დაისაკუთრა და ახლა რუსეთის სხვადასხვა მუზეუმებშია გაფანტული უსახელოდ. მრავალმილიონიანი უმდიდრესი კოლექცია, რომელშიც იყო დეგას, სეზანის, მატისის, მონეს, პიკასოს, როდენისა და სხვა დიდი ხელოვანების ქმნილებები, სურდა საქართველოსთვის ეჩუქებინა. ამის დამადასტურებელი ნოტარიული საბუთი ექვთიმე თაყაიშვილს გადასცა. სამწუხაროდ 1941 წელს რამდენიმე რეგვენმა ქართველმა მისი სახლი გაძარცვა. შეურაცხყოფილმა იაკობმა ეს საბუთი გააუქმა და ქონება საფრანგეთს აჩუქა. დღეს პარიზის ლუვრის მუზეუმში 561 ნიმუში ინახება წარწერით „იაკობ ზუბალაშვილის კოლექციიდან“.

იაკობის გარდაცვალების შემდეგ მისი საქმე შვილებმა ანტონმა და კონსტანტინემ განაგრძეს. მათ ბაქოში ერთი ნაგავსაყრელად ქცეული მიგდებული კუნძული იყიდეს, სადაც დიდი ძებნის შემდეგ ნავთობი აღმოჩნდა. ძმები დიდი მრეწველები გახდნენ. მათ არნახული პირობები შეუქმნეს მუშა-მოსამსახურეებს: სამედიცინო მომსახურების, კვების, შვილების ქორწინებისა და გამზითვების, ოჯახის წევრების დაკრძალვის, მუშათა ოცდღიანი შვებულების ხარჯებს მთლიანად ზუბალაშვილები უხდიდნენ. კონსტანტინეს და მის მეუღლეს ელისაბედ თუმანიშვილს რვა შვილი შეეძინათ. კონსტანტინე მეოცე საუკუნის დასაწყისში გარდაიცვალა. შვილებს ანდერძით თბილისში სახალხო სახლის ასაშენებლად ასი ათასი მანეთი ოქროთი დაუტოვა. შვილებმა ამ თანხით ააშენეს და თბილისს საჩუქრად გადასცეს სახალხო სახლი მუშათა თეატრით, სამკითხველოთი, უფასო სასადილოთი. ახლა იმ შენობაში მარჯანიშვილის სახელობის თეატრია. ბაქოში არსებულ ზუბალაშვილების სასახლეში ამჟამად საქართველოს საელჩოა. შენობა აზერბაიჯანის ხელისუფლებამ უსასყიდლოდ დაუთმო საქართველოს.

ზუბალაშვილების სამი თაობის ცხოვრება და ქველმოქმედება სამშობლოს, მშობლიური ერისათვის უანგარო თავდადება-სამსახურის, ერისკაცობა-მამულიშვილობის ჩინებული მაგალითია. მაგრამ იგი შთამომავლობის დაუდევრობის, გულგრილობის, უმადურობის გულსატკენი მაგალითიც არის. ნათქვამია: „მადლი ქენი, გზას დადევი, გაიარე წინ დაგხვდება“. სამწუხაროდ ზუბალაშვილების ჩადენილ მადლს შთამომავლობა ძალზე უმადურად მოექცა. განვლილი ასი წლის მანძილზე არაერთი ქალაქისთავი გამოიცვალა თბილისმა, მაგრამ არც ერთს არაფერი გაუკეთებია ზუბალაშვილების ღვაწლისა და სახელის დაფასებისათვის. პირიქით კი მოხდა – მათი ნაჩუქარი ქონებისა და შენობების გაყიდვით ბოლო ათწლეულებში ბევრმა მათგანმა ხელი მოითბო. „სამადლო“ 1921 წელს კომუნისტებმა გაანადგურეს. მათვე დაამსხვრიეს „უპოვართა სახლის“ წინ მდგარი სტეფანე ზუბალაშვილის ქანდაკება. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე გაიძარცვა „უპოვართა სახლი“ – დატაცებული იქნა მთელი ქონება. უკანასკნელ

წლებში ხელისუფლებაში მოსულ ქველმოქმედ ივანიშვილის, საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, მერიის, ჯანმრთელობის სამინისტროს წინაშე არაერთხელ დაისვა საკითხი, რომ ზუბალაშვილების ნაჩუქარ „უპოვართა სახლში“ / შემდგომში ბავშვთა პირველი საავადმყოფო / ღატაკთა და უპოვართა უფასო მუნიციპალური საავადმყოფო გახსნილიყო. ეს იქნებოდა ზუბალაშვილების მადლიანი საქმის ლოგიკური და სამართლიანი გაგრძელება. სამწუხაროდ ამას შედეგი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ 2011 წელს თბილისის უკეთურმა მერმა უგულავამ მერიის ბალანსზე არსებული ეს შენობა საიდუმლოდ გაასხვისა, სპეცრაზმი შეუსია, ავადმყოფი ბავშვები, მათი მშობლები, მედპერსონალი ქუჩაში გამოყარეს, ინვენტარი და ოთახების კარები დალეწეს, ინვენტარი დაიტაცეს. შენობა ვის საკუთრებად იქცა, დღემდე გასაიდუმლოებულია. ყოფილი უპოვართა სახლიდან ბედად გადარჩენილ ანტიკვარულ ნივთებს – ოთხმეტრიანი სიმაღლის ორ ჩუქურთმიან სარკეს და შენობის შიდა კიბისთავში მდგარ ქალის ქანდაკებას რა ბედი ეწიათ, უცნობია. ქუჩის მეორე მხარეს არსებული ზუბალაშვილების დანატოვარი დამხმარე შენობები კი საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე კერძო მოსახლეთა საკუთრებად იქცა. ამით ქალაქის მერმა მოსპო ბავშვთა პირველი საავადმყოფოს სამოცდაათწლიანი ისტორიის კვალი. ეს საავადმყოფო პირველი იყო მთელს ამიერკავკასიაში. აქედან იწყებოდა პედიატრიის სახელოვანი ისტორია. მეორე სამკურნალო დაწესებულება – თბილისის პირველი საავადმყოფო ააშენეს და ქალაქს უსასყიდლოდ აჩუქეს ზუბალაშვილებმა, მაგრამ მას დღემდე არამიანცის სახელი ჰქვია, იმ ვაჭრისა, რომელმაც გვიან ამ ეზოში ერთი პატარა კორპუსი ააშენა და მერე ქალაქის ხელისუფლებას მიჰყიდა. ზუბალაშვილების აშენებულ არც ერთ შენობას არ აქვს ამის აღმნიშვნელი მემორიალური დაფა. ერთადერთი რამ 21-ე საუკუნის დასაწყისში გაკეთდა: „უპოვართა სახლის“ წინამდებარე ქუჩას, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ქართველი ხალხის ჯალათის, ჩეკისტ ათარბეგოვის სახელი ერქვა, ძმები ზუბალაშვილების სახელი ეწოდა. ისიც საზოგადოებრიობის დიდი ძალისხმევის შედეგად მოხდა. მხოლოდ ესღა

მიანიშნებს იქ ზუბალაშვილების ნაკვალევზე. გული სიამაყით გევსება, როდესაც ქაშუეთის ტაძრის ეზოში დიდი ქველმოქმედის სარაჯიშვილის შესანიშნავ აკლდამას იხილავ. ასე უნდა აფასებდეს თავმოყვარე ერი თავის ღირსეულ შვილებს. სტეფანე ზუბალაშვილის სამარე კი დაკარგულია. თბილისის მერიას ერთხელაც არ მოსვლია აზრად, მოეძებნა მისი სამარე და ჯეროვანი პატივი მიეგო. იაკობ ზუბალაშვილის მრავალმილიონიანი კოლექცია ისე მიისაკუთრეს რუსეთის მუზეუმებმა, რომ არსად არის ნახსენები მათი მეპატრონის სახელი. მხოლოდ პარიზის ლუვრის მუზეუმში არსებულ მის ექსპონატებს აქვს შენარჩუნებული ქველმოქმედის სახელი. თბილისში კი ზუბალაშვილების ნაჩუქარი შენობები და ნივთები დატაცებულ-გაყიდულია, განადგურებულია მისი ისტორიული სახლის კვალიც კი. ასე დააფასა უმადურმა შთამომავლობამ დიდი ქველმოქმედების ამაგი. ეს არის თვალსაჩინო მაგალითი იმისა, როგორ უმადურად, გაუფრთხილებლად ვექცევით წინაპართა ნაღვაწ-ნაანდერძევს, როგორ ვანადგურებთ ჩვენსავე ისტორიას. ამის მაგალითს კი თვითონ ხელისუფლება, ქალაქის მერია, უძღები და უთავო ქალაქის თავები იძლევიან. ნადირთა მეფეები ლომები ცხოველთა ჯოგს როცა დაერევიან, მხოლოდ ერთი მსხვერპლის დაჭერით კმაყოფილდებიან, დანარჩენებს თავს ანებებენ. მგელი რომ ცხვრის ფარაში შევარდება, ათეულობით ცხვარს ყელს გამოღადრავს, თუმცა საბოლოო ნადავლად მხოლოდ ერთი ცხვარი სჭირდება. ხარბ და უძღებ ადამიანებს მგლის ეს ჩვევა უფრო აქვთ. ისინი მგელკაცები არიან. სამწუხაროდ ზოგიერთ ხელისუფალთა ბუნებაში წინაპართა ნაჩუქარ-ნაანდერძევის გაყიდვა-დატაცების, თანამდებობის ბოროტად გამოყენების, გაუმაძღრობა – მომხვეჭელობის მგლური ინსტიქტი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე წარსულის დაფასებისა და ეროვნული ღირსების გრძნობა. თუმცა ქართველ კაცს ისიც უთქვამს: მიბარებულის შენახვა მგელმაც კი იცისო. ასეთ მგელკაცებს მინდა ვუთხრა: ზუბალაშვილებმა რომ ამდენი უანგარო რამ ჩაიდინეს სამშობლოსათვის, შენ რატომ არ გაქვს იმდენი კაცობა, იმათ ნაშრომ-ნაჩუქარს ხელი არ ახლო მათ სამახსოვროდ? შენი წინაპრის ხსოვნას უცხოელი

რომ შენზე მეტ პატივს სცემს, რატომ არ გრცხვენია? რით განსხვავდები იმ რამდენიმე გარეწარისგან, რომლებმაც იაკობ ზუბალაშვილის სახლი გაძარცვეს პარიზში? რა ისწავლა ასეთმა მგელკაცა მოხელემ დავით აღმაშენებლის, თამარის, ექვთიმე თაყაიშვილის, ზვიად გამსახურდიას თავმდაბლობა-მამულიშვილობიდან? ჩვენ რას ვაკეთებთ საამისოდ? აი კითხვები, რომლებიც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და გვაწუხებდეს!

ორი ალიყური რუსეთის იმპერიას

დავით სარაჯიშვილი იმ სახელოვან ქართველ მეწარმეთაგანი იყო, ვინც ქართული მრეწველობისა და ეკონომიკის აღორძინებაში დიდი წვლილი შეიტანა. მოღვაწეობდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. გერმანიასა და საფრანგეთში უმაღლესი განათლების შემდეგ ქართული კონიაკის წარმოებას ჩაუყარა საფუძველი. მისმა პროდუქციამ არა მარტო რუსეთის იმპერიაში, არამედ ევროპასა და ამერიკაშიც გაითქვა სახელი, რადგან ხარისხით უცხოეთის ნაწარმს ბევრად სჯობდა.

მხოლოდ გამდიდრებას დახარბებული დღევანდელი მეწარმეებისაგან განსხვავებით დავით სარაჯიშვილმა უზარმაზარი შემოსავლის დიდი ნაწილი ისევ ქართულ ეროვნულ საქმეს მოახმარა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული თეატრი, ქართული მწერლობა მისი ფულადი დახმარებით არსებობდნენ. მისი ქარხნის შესასვლელში დიდი ასოებით ეწერა: „გახსოვდეს, რომ არიან ღარიბნიც!“ ეს მისი ცხოვრების დევიზი იყო – ამ პრინციპით ცხოვრობდა და დღენიადაგ ზრუნავდა უმწეოთა დასახმარებლად. იმ დროს მთელ მსოფლიოში მხოლოდ მის საწარმოებში იყო რვასაათიანი სამუშაო დღე და ორდღიანი (შაბათ-კვირა) დასვენება, მუშათა უფასო სასადილო. ქარხნის მუშების ბავშვებისათვის გახსნა უფასო სკოლა, მერე კი ნიჭიერ ბავშვებს გიმნაზიაში აგზავნიდა და სწავლის ფულსაც თვითონ უხდიდა. ოცნებობდა იმ დროზე, როცა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, განათლებული ეროვნული კადრები ეყოლებოდა. ამიტომ სტიპენდიებს უხდიდა რუსეთსა და უცხოეთში

სასწავლებლად წასულ ნიჭიერ და ღარიბ სტუდენტებს. დიდად ზრუნავდა ქართული ეკლესიის გაძლიერებაზეც, მისი აგებულია თბილისში ქაშუეთისა და სხვა ტაძრები. დავით სარაჯიშვილმა გარდაცვალების შემდეგ მთელი თავისი უზარმაზარი ქონება ქართველ ხალხს უანდერძა.

სარაჯიშვილის სახლი (დღევანდელი მწერალთა სასახლე) ქართველ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა თავშეყრის ადგილი იყო. აქ იმართებოდა საქართველოს ბედ-იღბალზე მსჯელობები. ცნობილია, რომ სწორედ მის ოჯახში თავშეყრილ საზოგადოებას წაუკითხა პირველად ილია ჭავჭავაძემ თავისი უკვდავი ნაწარმოებები „განდეგილი“, „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვები.

სარაჯიშვილი სულით ხორცამდე ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო და თავისი საქმეებით ერის ისტორიაში უკვდავი სახელი დატოვა. ამაზე მეტყველებს მისი ცხოვრებიდან ორიოდე ფაქტის გახსენებაც კი.

ერთხელ სტუმართმოყვარეობით განთქმულ სარაჯიშვილის ოჯახს ერთი რუსი გენერალი ვედენევი ესტუმრა. ნადიმის დროს შეზარხოშებულმა გენერალმა რუსეთის იმპერიის ქება-დიდება და ქართველი ერის ლანძღვა დაიწყო. ქართველები უმადურები და არარაობანი ხართ, თქვენ რუსეთმა გადაგარჩინათ და უჩვენოდ ვერ იარსებებდითო. ბევრი ამისთანა ცრუ და უკადრისი სიტყვა აკადრა ხეპრე გენერალმა ქართველ მასპინძლებს. სარაჯიშვილი სტუმრის წყენას ერიდებოდა და ხმას არ იღებდა. ბოლოს გენერალმა ჭიქა შამპანურით შეავსო და მოითხოვა, რომ ყველას ფეხზე ადგომით რუსეთის იმპერიის სადღეგრძელო შეესვა. გაჯავრებულმა სარაჯიშვილმა მსახურს ვედრო მოატანინა და შამპანურით აავსებინა. მერე უბრძანა – წაიღე და ჩემს ცხენს დაალევინეო. ამ უცნაური ამბით სტუმრები გაოგნდნენ და სუფრაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მსახური მალე საჯინიბოდან დაბრუნდა და მოახსენა: – ბატონო, ცხენმა შამპანური არ დალიაო.

– ხომ ხედავთ,– მიუბრუნდა სარაჯიშვილი გაფხორილ გენერალს,– პირუტყვიც კი არ სვამს რუსეთის იმპერიის სადღეგრძელოს!

ამ ზრდილობიანი „ალიყურით“ შერცხვენილი გარუსების მოტრფიალე გენერალი სუფრიდან უხმოდ გაიძურწა.

დავით სარაჯიშვილი 1911 წელს გარდაიცვალა. დიდი ხნის შემდეგ, 1942 წელს დიდი სამეულის – აშშ-ს პრეზიდენტის რუზველტის, ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჩერჩილისა და რუსეთის იმპერიის საჭეთმპყრობელის სტალინის შეხვედრა გაიმართა. სტალინმა იცოდა, რომ ჩერჩილს ძალიან უყვარდა კონიაკი. ამიტომ სუფრაზე ფრანგული და ქართული კონიაკი მოატანინა. ჩერჩილმა ჯერ ფრანგული კონიაკი მოსვა, მერე ქართული. სტალინმა უთხრა: რუსული კონიაკი ფრანგულს სჯობიაო. ჩერჩილმა უპასუხა: – ეს რუსული კი არა, ქართული, სარაჯიშვილის კონიაკია, რომელსაც მსოფლიოში ბადალი არ მოეძებნება!

სტალინმა უხმოდ ჩაყლაპა ეს ინგლისური „ალიყური“.

რა ინატრა ქართველმა პორტ-არტურში

ავიდანვე კეთილი, დაუზარელი, მარდი და ღონიერი ბიჭი იყო სპირიდონა. მამამისი ხშირად იტყოდა მეზობლებში – კენჭივით მაგარი ბიჭი მყავსო. ხალხსაც მეტი რა უნდოდა – პატარა და ჯანმაგარ ბიჭს კენჭოუკა შეარქვეს. ნამხრევები და ხორკლები პირწმინდად თუ არ შეასხიპე და საგულდაგულოდ არ მოაგლუვე, კარგი ხელჯოხი არ გამოვა. გლეხკაცის ენაც ეგრეა – სიტყვის გამარტივება, ზედმეტი ასოების მოცილება და „მოგლუვება“, გამოთქმის გაიოლება უყვარს. ასე იქცა კენჭოუკა კეჭოუკად. დიდობაშიც სიყვარულით ასე ეძახდნენ.

ერთხელ კეჭოუკას ურმით საფქვავი მიჰქონდა. გზად ხიდზე უნდა გაევლო. ადიდებულ მდინარეს ხიდის ფიცრების ნაწილი აეყარა და წაეღო. ღრმა წყალში გასვლაც შეუძლებელი იყო. რაჭა მთაგორიანია და რაჭული ურემიც ფერდობებზეა მორგებული – ორთვლიან პატარა ურმებზე ბორბლების წინ ხელნების ბოლოებიც მიწაზე მისრიალებს. ამ მარტივი გამოგონების წყალობით ხარ-ურემს ნებისმიერ ფერდობზე გადაუბრუნებლად გასვლა შეუძლია. რაჭული ხარებიც ტანმომცროებია. კეჭოუკამ საფქვავი

ხიდზე გადაზიდა, ხარები გამოუშვა, ურემი ზურგზე მოიკიდა და ხიდზე გადაიტანა. მერე ხარებს რიგ-რიგობით მხრებით შეუდგა და გადაიყვანა. გზად შემთხვევით მაზრის უფროსი მიდიოდა. გაოცებისგან თვალები შუბლზე დაასხდა. „ნუ ი ბოგატირ, ბოგატირ“! – იძახდა გაოგნებული. – კარგი ჯარისკაცი დადგება. სოფელში გაჰყევით, დუქანში რომით დაათვრეთ, ისე ვერ დაიმორჩილებთ, გაკოჭეთ და მომგვარეთ! – უბრძანა ჟანდარმებს.

ასე უკრეს თავი კეჭოუკას რუსის ჯარში. დიდხანს ატარა აღმა-დაღმა ბედისწერამ ჯარისკაცურ გზებზე. მერე მათი პოლკი რუსეთ-იაპონიის ფრონტზე მოხვდა პორტ-არტურში. რაჭველების თანდაყოლილი ნიჭი – მზარეულობა და ხაბაზობა გამოადგა. გაითქვა სახელი და ფრონტის სარდლის გენერალ სტესელის მზარეული გახდა.

რუსეთმა ომი წააგო. გენერალმა სტესელმა იაპონელ გენერალს ტოგოს დამარცხება – დანებებაზე ხელი მოუწერა. რუსებს გარნიზონში ჭიდაობის სექცია ჰქონდათ და ჯარისკაცებს იაპონურ ჭიდაობაში წვრთნიდნენ. იაპონელ გენერალს ეს გაგებული ჰქონდა და თადარიგი დაეჭირა – ორი საუკეთესო ძიუდოისტი წამოეყვანა ამალაში. თვითონაც მოჭიდავე ძიუდოისტი იყო. გამარჯვებით გაამაყებულმა ტოგომ რუსებს ჭიდაობის გამართვა შესთავაზა, რუსი ჯარისკაცებისთვის იაპონელების გამარჯვება რომ უფრო თვალნათლივ დაენახვებინა. სტესელი დათანხმდა.

ტოგომ საჭიდაოდ თავისი ძიუდოისტი გამოიყვანა. იაპონელმა თორმეტი რუსი მოჭიდავე დაამარცხა. ვეღარავინ გაბედა საჭიდაოდ გასვლა. საჭიდაო ხალიჩაზე დამარცხდა რუსეთის იმპერია. დაღონდა სტესელი. გაიბადრა ტოგო. გახალისებულმა ტოგომ თვალი მოჰკრა ბრგე კეჭოუკას, რომელიც საველე სამზარეულოში ტრიალებდა, გადაეკიდა – გინდა თუ არა, ჩვენს ფალავანს უნდა დაეჭიდოო. სტესელიც აღარ მოეშვა. უხალისოდ გაიძრო კეჭოუკამ მზარეულის სამოსი და საჭიდაოდ გავიდა... გავიდა და ქართული ჭიდაობის ილეთებით რამდენიმე წუთში მიწას გააკრა იაპონელი. გაოცდა იაპონელი გენერალი და ახლა უფრო გამოცდილი ძიუდოისტი გამოიყვანა. კეჭოუკამ იმასაც კაი ქართული კისრულით მოუღო ბოლო. შეემუდარა გაწბილებული და აღფრ-

თოვანებული იაპონელი გენერალი: წამოდი იაპონიაში, ჭიდაობით სახელგანთქმული და მდიდარი კაცი გახდებიო.

– რას უნობს ბოშო აი სუნელი ბაჯაჯდი? – მიუბრუნდა კეჭოუკა თარჯიმანს. – ნეტავ ახლა ამსვა-დამსვა და რაჭაში პაპიჩემის ჭვარტლიან ბუხართან დამსვა, კეცში დედაჩემის ჩაკრული ბაჭულა გამატეხინა, ზედ ჩვენებური ლორუკა და ხვანჭკარა დამაყოლებინა. მამაჩემის ნალოლიავებ ვენახში შეყვარებულივით ჭიგოს ჩახუტებული ვაზის დაკორძილი ძირუკა დამაკოცნინა. მერე რამდენჯერ დამსიზმრებია ჩვენი ვენახი. ქართველი კაცი ვაზთან ერთად დაიბადა და რომ მოკვდება, გულზე ვაზის წვენი უნდა აპკურონ. ჩვენი ნათლობაც, მირონიც და ცხონებაც ეგ არის – დაბადებულსაც ღვინით ხვდებიან და მიცვალებულსაც ღვინით აცილებენ. ჩვენში გულწასულსაც, ქალია თუ კაცი, წყლის მაგივრად ღვინით მოასულიერებენ ხოლმე. ვაზი ჩვენი ნამუსია, გვარ-სახელი და უკვდავებაა. ასე მოგვდგამს მამა-პაპიდან. ჩვენი ვენახის ბოლოში რომ წყარუკაა, ნეტავი იმის წყალი მასვა, ანდა წმინდა გიორგის ნატაძრალიდან შემოდგომის ფერად ჭალებზე გადამახედა, ერთი ურმული მომასმენინა და მერე მომკლა. ახლა შუბლზე ბებერი ვაზის ტანივით ხორკლიანი მამიჩემის ხელისგულის გადასმა მენატრება, იქ, სასაფლაოზე პაპიჩემის დაღლილ ძვლებს რომ მოვეფერო, ის მენატრება. ესაა ჩვენი სიმდიდრე. სხვა სიმდიდრე და ფული რა ბედენაა? ესენი იაპონიაში მექნება რო?

– ჩტო ტი გავარიშ? – ეკითხება გაკვირვებული თარჯიმანი, რომელსაც ქართული ლაპარაკისა ვერაფერი გაუგია.

– შენი გავარიშ-ტავარიში არ ვიცი მე. ახლა ჩემს ნათქვამს მაგ გენერალს გააგებინებ, ან შენ გაიგებ? იმიტომ, რომ რასაც ვამბობ, სხვა ენაზე ვერ ითქმება, ლაზათი დაეკარგება. მოკლედ უთხარი – ნიატო. ახლა საქმე მაქ, ღუმელი გამიცივდება, პურია ჩასაკრავი. – და კეჭოუკამ იმათ ნათქვამზეც და ხელებზეც წყალი გადაივლო და ვითომ სულაც არაფერი მომხდარა, შეწყვეტილი საქმე გააგრძელა. იაპონელმა გენერალმაც უყურა, უყურა, მერე დანანებით ხელი ჩაიქნია და წავიდა. ასე „მოუგო“ საჭიდაო ხალიჩაზე სპირიდონა გოცირიძემ იაპონელ გენერალს რუსხელმწიფის წაგებული ომი.

არავის ეცოდინებოდა ეს ამბავი, რომ არა ერთი რუსი სპორ-

ტსმენი ანატოლი ხარლამპიევი. ის რუსულ გარნიზონში ჯარისკაცებს სამბოში წვრთნიდა. ამ ამბავს შეესწრო და აღფრთოვანებულმა თავის მოგონებებში ჩაწერა: „მე გახლდით პორტ-არტურში, სადაც ქართველი მოჭიდავის ჩატარებული საოცარი ილეთები ვნახე“. ხოლო რა ენატრებოდა პორტ-არტურში იმ ქართველს, ხარლამპიევისთვის უცნობი დარჩა.

ნიკო ფიროსმანაშვილი

ეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისის ქუჩებში დადიოდა მაღალი, გამხდარი კაცი: შავი ფარფლებიანი ქუდით, ღარიბული და მოუვლელი ტანსაცმლით, იღლიაში შავი მუშამბის გრაგნილით, ხელში ყურიანი ხის ყუთით. ყუთში საღებავები, ფუნჯები და ჩვრები ელაგა. უმეტესად ნასვამი იყო. ერთი უსწავლელი, უწყინარი, კეთილი და პირად ცხოვრებაში ბავშვივით უსუსური კაცი გახლდათ. ზოგი მხატვარ ნიკალას ეძახდა, ზოგი – საწყალ ნიკალას. დანამდვილებით კი მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა.

სხვა სამყაროდან მოსულივით იცხოვრა ამ ცოდვა-მადლიან მიწაზე. დადიოდა თბილისის ქუჩებში როგორც უცხო უცხოთა შორის. მილეთის ხალხი ირეოდა ირგვლივ, ის კი სიკვდილამდე მარტო იყო. ამ ქვეყნიდანაც უცხოსავით წავიდა – ყველასგან მიტოვებული და დავიწყებული. ორიოდე კაცს თუ დააკლდა თვალში. არაამქვეყნიური იყო ბავშვობიდანვეო – თქვეს იმათაც და ხელი დაიბერტყეს.

ქიზიყში დაიბადა, სოფელ მირზაანში. დედ-მამით ადრე დაობლდა და სამოწყალოდ სხვამ გაზარდა. სიცოცხლე თბილისში გამოადამა. ცხოვრება თავიდანვე ვერ ააწყო. სამხატვრო სახელოსნო გახსნა და დუქნების აბრების ხატვა დაიწყო. ხელი მოეცარა. მერე საზიარო ყველ-კარაქის დუქანი გახსნა. გულჩვილი იყო, გაჭირვებულს საქონელს ნისიად აძლევდა და ზარალობდა. ხშირად ვაჭრობაც ავიწყდებოდა, დუქნის კუთხეში მიჯდებოდა და ხატავდა. რა ექნა, სულში ხატვის ღმერთი ჰყავდა ჩასახლებული და ის აწამებდა. დუქნის მოზიარე კი წარამარა ბუზღუნებდა – ხატვა უსაქმურობააო.

ვაჭრობა და ხელოვნება ერთად ვერ მორიგდნენ. დუქანზე გული აიცრუა. ერთხელაც ფრანგი მსახიობი მოეწონა. თავისი წილი დუქნისა მონახევრეს მიჰყიდა. იმ ფულით ერთი ურემი ვარდები შეიძინა და იმ ქალს მიართვა. მერე მისი სურათიც დახატა. ამ დიდებულ სურათს „აქტრისა მარგარიტა“ ჰქვია. მას მერე ფიროსმანაშვილმა მთელი სიცოცხლე ხატვას შესწირა.

არაფერი გააჩნდა – არც სახლი, არც ოჯახი, არც ფული, არც პირადობის რაიმე საბუთი. ერთადერთი მისი ქონება ხის ყუთი იყო, რომლითაც საღებავები და ფუნჯები დაჰქონდა. მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა. ქალაქის დუქნებში ხატავდა საოცარ სურათებს. ცხოვრობდა იქ, სადაც მუშაობა მოუწევდა. ხატვას რომ მორჩებოდა, რამდენიც უნდა ეხვეწნათ, იქ აღარ დარჩებოდა. ამაყი იყო და თავს სამოწყალოდ არ იხდიდა. ზოგჯერ იქირავებდა სარდაფს, ფარდულს ან კიბისქვეშა საკანს. აგურებზე გადებული ფიცრები იყო მისი საწოლი. მაგიდად გადაბრუნებული ყუთი ჰქონდა. კედლებზე კი თავისი ნახატები ეკიდა. მერე სხვაგან მიდიოდა. ნახატები თან მიჰქონდა, ან მეზობლებს სჩუქნიდა.

უყვარდა ლექსები, განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველასი. ხატვას რომ მორჩებოდა, მედუქნე ჰკითხავდა – რა მოგცეო. რასაც მომცემთ, მომცემთო – ეტყოდა ნიკალა მორიდებით. საწყალი იყო და ფასს არასდროს ითხოვდა. მედუქნეებიც ძუნწობდნენ და ფულს იშვიათად უხდიდნენ, ან კაპიკებს აძლევდნენ. უფრო ხშირად სურათის საფასურად ღარიბულ სუფრას თუ გაუშლიდნენ.

მარტო მოველ ამ ქვეყნად და მარტო წავალო. – იტყოდა ხშირად. აუხდა კიდეც ნათქვამი. ბოლო წლებში ზამთარში პალტოც კი აღარ ეცვა. საღებავების ყუთიც დაკარგა. მერე ტომრით დაჰქონდა და ისიც დაკარგა. ბოლოს ჯიბეში ეწყო ფუნჯი და საღებავები. მისი უკანასკნელი თავშესაფარი რკინიგზის უბანში იყო. ახლა იმ ქუჩას ფიროსმანაშვილის სახელი ჰქვია და

იმ სახლში, რომლის კიბისქვეშა ფარდულშიც ცხოვრობდა, მისი სახლ-მუზეუმია.

ერთხელ მეზობელმა ნახა სამი დღის უჭმელი და გონწასული. მეეტლე იხმო და ნიკალა საავადმყოფოში გაატანა. საავადმყოფოში მიყვანილი რამდენიმე საათში გარდაიცვალა ისე, რომ გონზე არ მოსულა. 1918 წლის 7 აპრილი იყო იმ დღეს. პატრონი არავინ გამოჩნდა. საავადმყოფომ დაკრძალა კუკიის სასაფლაოზე, როგორც უპატრონო მიცვალებული. არც დამტირებელი, არც შენდობის მთქმელი. საფლავიც დაიკარგა. სამაგიეროდ სახელი დარჩა ამ ქვეყნად, დიდი მხატვრის სახელი.

ძმებმა ილია და კირილე ზდანევიჩებმა და ფრანგმა მიხეილ ლე-დანტიუმ დუქნებში ნახეს ფიროსმანაშვილის ნახატები. აღტაცებული დარჩნენ. მაშინ ნიკალა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ამ ახალგაზრდა მხატვრებმა კითხვა-კითხვით მიაგნეს ნიკალას და მისგან რამდენიმე სურათი იყიდეს. მერე მისი ნახატების შეგროვება დაიწყეს. უკანასკნელ კაპიკებს ზოგავდნენ, რომ მედუქნეებისაგან სურათები ეყიდათ. მათ ფიროსმანაშვილის ბევრი ნაწარმოები დაკარგვას გადაარჩინეს. მათვე გამოსტაცეს დავიწყებას ნიკალა: გაზეთებში დაწერეს – ფიროსმანაშვილი დიდი მხატვარიაო. მოაწყეს მისი სურათების პირველი გამოფენა. მოგვიანებით ზდანევიჩებმა ფიროსმანაშვილზე წიგნებიც დაწერეს და მისი სახელი მსოფლიოს გააგებინეს.

ქართველმა მწერლებმა, მხატვრებმა და ჟურნალისტებმა ერთადერთხელ მიიწვიეს ფიროსმანაშვილი შეხვედრაზე. მერე კი მალე დაივიწყეს.

ფიროსმანაშვილი ხატავდა დუქნების აბრებზე, კედლებზე, ფანჯრების მინებზე, მუყაოზე, თუნუქზე, მუშამბაზე. დროთა მანძილზე მედუქნეები კედლებს კირით ათეთრებდნენ, ცვლიდნენ აბრებსა და მინებს. ასე დაიკარგა ბევრი მისი ნახატი. ამბობენ, ორიათასამდე სურათი ექნებოდა დახატულიო, ჩვენამდე მხოლოდ ორასმა მოაღწია.

ფიროსმანაშვილი თვითნასწავლი მხატვარი იყო, მაგრამ მისი სურათებიდან ჩანს, რომ ღვთიური ნიჭით იყო დაჯილდოებული. თვითონაც ხშირად იტყოდა: „მწამს ჩემი წმინდა გიორგისა. როცა ვიძინებ, თავზე წმინდა გიორგი დამადგება

მათრახით და მეუბნება: ნუ გეშინიაო! დილით კი ჩემი ფუნჯი თვითონვე ხატავს“.

ფიროსმანაშვილს ათას მხატვარში გამოარჩევთ. იმიტომ, რომ მისი ნახატები არც ერთი მხატვრისას არ ჰგავს. ამას საკუთარი სტილი ჰქვია და იგი მხოლოდ ძალიან დიდ მხატვრებსა და მწერლებს აქვთ.

ფიროსმანაშვილის სურათებში აისახა ის დრო, როცა საქართველოში თავად-აზნაურობის ნაცვლად ბურჟუაზია ჩნდება. აბა დააკვირდით მის სურათებში მოქეიფე თავადებს. რა დიდი ნაღველი და შიში აქვთ თვალებში – თითქოს გრძნობენ, რომ წარმავალნი არიან, შეშფოთებით ელიან კარსმომდგარ სასტიკ ცხოვრებას, რაღაც კატასტროფას. ფიროსმანაშვილს უყვარდა ცხოველების ხატვა. ამ ცხოველების გამოხედვაშიც ეს გამოუცნობი შიში, აღსასრულის მოლოდინი და შეშფოთებაა. ამას განსაკუთრებით გაგრძნობინებთ მისი შედევრები „ჟირაფი“, „ირემი“ და სხვები.

ნიკო ფიროსმანაშვილი ხატავდა იმ ადამიანებს, რომლებიც ყოველდღე მის ირგვლივ ტრიალებდნენ. ესენი იყვნენ ვაჭარი, მედუქნე, მილიონერი, ღატაკი, კინტო, მეკურტნე მუშა, მეთევზე, მეეზოვე... ბევრი ამათგან სოფელში გაღატაკებულა, გამოქცეულა და ქალაქელი გამხდარა. ისინი დღისით ერთმანეთს არ ინდობენ, ფულის მოგებაზე ფიქრობენ, ქალაქის ორომტრიალით იღლებიან. ღამით კი ფერად სიზმრებს ხედავენ ბავშვობაზე და სოფელზე. სოფელი მათთვის პატიოსნების ნიშანია. იქ ბავშვობა, რაღაც სუფთა და წმინდა დარჩენიათ და ის ეძახით. ამიტომ ხშირად სოფელზე დარდობენ და იქ დაბრუნებაზე ოცნებობენ. თვითონ ფიროსმანაშვილსაც ხომ მთელი სიცოცხლე სოფელი ენატრებოდა. ის ფიქრობდა, რომ სოფლად უფრო წესიერებაა. ქალაქური ცხოვრება კი ყალბი, მოჩვენებითი და შეუბრალებელია. ამ გრძნობით შექმნა მან სოფლის შესანიშნავი სურათები: „კალოობა“, „სოფელი“, „კრუხი და წიწილები“ და სხვები.

ადამიანის ეს გაორებული ბუნება, ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობა, ნაღველი სოფელზე და დაკარგულ ბავშვობაზე ჩვენთვისაც ხომ ძალზე ნაცნობი გრძნობაა. ამიტომ აქვთ ფიროსმანაშვილის ნახატებში ადამიანებს თვალებში დიდი სევდა.

მათი გარეგნობაც რაღაც ბავშვურად უშუალო და გულუბრყვილოა და ნაღვლიან ღიმილს იწვევს.

ზოგიერთ სურათში იგრძნობა საწინააღმდეგო განწყობილება. სადღაც მზიანი, ბედნიერი, დოვლათიანი ცხოვრების უსასრულობა გეგულებათ, როცა უყურებთ მის შედევრებს: „ქეიფი რთველის დროს“,„დღეობა ბოლნის-ხაჩინში“,„წმინდა გიორგობა ბოლნისში“, „ვირის ხიდი“, „ალაზნის ველი“. ამ ვრცელი ზომის სურათებში ხალხმრავლობაა. ამ სურათებით ფიროსმანაშვილი გვეუბნება: მარადიული იქნება ეს მშფოთვარე ცხოვრება, არაამქვეყნიურად მიმზიდველი სიცოცხლე. ჩვენს შემდგომ მოვლენ სხვა თაობები და ისინიც მამა-პაპის ადათ-წესებს გააგრძელებენ: ივლიან მათს სალოცავებში, ეყვარებათ მათსავით მიწა და ვაზი, შრომა და ლხინი. მოიყვანენ უხვ მოსავალს, წინაპრებივით საწნახლებში ჩადგებიან და ღვინოს დაწურავენ. მერე ამ ღვინით შენდობას ეტყვიან წასულებს, ადღეგრძელებენ მომავლებს, სიცოცხლის უკვდავების მიზეზს – მზესა და მიწას... და ასე გაგრძელდება დაუსრულებლად სიცოცხლე საქართველოშიც, დედამიწაზეც... მაგრამ ამ სურათებში ასახულია არა ისეთი ცხოვრება, როგორც სინამდვილეში იყო სოფლად, არამედ – საოცნებო, აყვავებული, როგორც ფიროსმანაშვილს სურდა.

ზოგიერთ სურათს (“დათვი მთვარიან ღამეში“, „კახეთის მატარებელი“ და სხვები) ისეთი შუქი ადგას, რაღაც არამიწიერი გეგონებათ. იდუმალი ნანგრევები, ცარიელი ქვევრები, რუმბები რაღაც ზღაპრულ არსებებს, სხვა სამყაროს სურათებს ჰგვანან. საოცარი სიძლიერით არის ასახული მთვარიანი ღამის ცა მის სურათებში: „არსენალის მთა ღამით“, „ყაჩაღმა ცხენი მოიპარა“, „დათვი მთვარიან ღამეში“.

სამოცდაათიან წლებში პარიზში ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენა მოაწყეს. გამოფენა ნახა მსოფლიოში სახელგანთქმულმა ესპანელმა მხატვარმა პიკასომ. ამ შთაბეჭდილებით მან შექმნა სურათების სერია, მათ შორის წარმოდგენით დახატა ფიროსმანაშვილიც. პიკასოს ჰკითხეს ქართველებმა: როდის ვიხილავთ თქვენს გამოფენას თბილისშიო. რა საჭიროა ჩემი გამოფენა, როდესაც თქვენ ფიროსმანაშვილი გყავთო. – უთქვამს პიკასოს.

საქართველოს რესპუბლიკა

1917 წელს რუსეთში მოხდა რევოლუცია. იმპერია დაიშალა. რუსეთში ძალაუფლება სოციალ-დემოკრატების ხელში გადავიდა. 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. ქართველმა ხალხმა ნანატრი თავისუფლება მოიპოვა. საქართველოს სათავეში აღმოჩნდნენ სოციალ-დემოკრატები ნოე ჟორდანიას მეთაურობით. თავიდან მათ საქართველოს ცალკე გამოყოფა არც კი სურდათ და ისევ რუსეთის შემადგენელ ნაწილად თვლიდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენდა, ეს იძულებითი ნაბიჯიაო, – აცხადებდნენ ისინი. სახალხო გვარდიის უფროსი ჯუღელი, რომელსაც ქვეყნის თავდაცვა ევალებოდა, თავის დღიურში წერდა, რომ დამოუკიდებელი საქართველო არ მწამსო. იგი რუსეთის გასაჭირზე უფრო დარდობდა და მოსკოვში ყოფნას ნატრობდა.

სოციალ-დემოკრატების ასეთმა დაუდევრობამ ზიანი მოგვიტანა: როდესაც რუსეთმა და თურქეთმა საზავო მოლაპარაკება გამართეს, კავკასიის წარმომადგენლებიც მიიწვიეს. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შეუთვალეს – კავკასია რუსეთის ნაწილია, ამიტომ ზავის საკითხიც რუსეთის საქმეაო. რუსეთის მთავრობაც ადგა და საქართველოს მიწა-წყლის ერთი მეხუთედი – სამხრეთ საქართველო თურქეთს დაუთმო ყირიმის სამაგიეროდ.

საქართველოს რესპუბლიკამ სულ სამიოდე წელს იარსება. ხანმოკლე დროის მიუხედავად დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისათვის მაინც გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა: დამფუძნებელი კრების პირველივე სხდომაზე მიღებული იქნა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რითაც საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად და მუდმივ ნეიტრალურ ქვეყნად. მიღებული იქნა კანონები სახელმწიფო ენის, რესპუბლიკის დროშისა და ღერბის, მილიციის, სახალხო გვარდიისა და რეგულარული არმიის შესახებ. დამტკიცდა დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება, რომელმაც უზრუნველყო დამფუძნებელი კრების მრავალპარტიული, პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო და ფარული არჩევნები. მი-

წის საკუთრების შესახებ მიღებული კანონით დაწესდა მიწაზე კერძო საკუთრება, ამავე დროს დაშვებული იქნა სახელმწიფო ფონდიდან გლეხებისათვის მიწის მიყიდვა. გაუქმდა ქვეყნის დაყოფა გუბერნიებად, ადგილობრივი ხელისუფლების ერთადერთ ორგანოდ იქცნენ ერობები. გაუქმდა მოსახლეობის წოდებებად – თავადებად, აზნაურებად, გლეხებად დაყოფა. საქართველოს ყველა მცხოვრები გამოცხადდა მოქალაქედ, რითაც ისინი კანონის წინაშე თანასწორები გახდნენ. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლად გამოცხადდა თბილისის უნივერსიტეტი, გაიხსნა კონსერვატორია. პროფესიული კადრების მომზადების მიზნით ასეულობით ახალგაზრდა გაიგზავნა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში სასწავლებლად. შემუშავდა და დამტკიცდა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო დოკუმენტი – რესპუბლიკის კონსტიტუცია, რითაც საქართველო თავისუფალ, დამოუკიდებელ და განუყოფელ სახელმწიფოდ – დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. სახელმწიფო დროშად აღიარებულ იქნა შვინდისფერი ალამი შავ-თეთრი ზოლით, სახელმწიფო ღერბად – ცხენოსანი თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

თავისუფალ საქართველოს ბევრი მტერი გამოუჩნდა, რომლებიც მშვიდობიანი შრომის საშუალებას არ აძლევდნენ. სამი წლის მანძილზე საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობას ცდილობდნენ საბჭოთა რუსეთი, თეთრგვარდიელი დენიკინი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი. საქართველოს მძიმე თავდაცვითი ომების გადახდა მოუხდა და ისინი მოიგერია. 1920 წელს ნოე ჟორდანიამ ერთპიროვნულად, საიდუმლოდ, პარლამენტთან და მთავრობის წევრებთან შეთანხმების გარეშე, რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო. ამ ხელშეკრულებით რუსეთმა ცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ივალდებულა არ ჩარეულიყო ჩვენს საშინაო საქმეებში. საქართველოს რესპუბლიკა უცხოეთის ბევრმა სახელმწიფომ ცნო. ხელშეკრულების თანახმად საქართველოში არ უნდა ყოფილიყო უცხოეთის არც ერთი ქვეყნის ჯარი. მანამდე საქართველოს სამხედრო დახმარებას და მფარველობას უწევდნენ გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი. ამ ხელშეკრულების შემდეგ ჩვენმა მთავრობამ ისინი საქართველოდან დაითხოვა. პატარა საქართველო

უზარმაზარ რუსეთთან პირისპირ, მარტო, მოკავშირის გარეშე დარჩა. ეს იყო ჩვენი მთავრობის დიდი შეცდომა და რუსეთის მორიგი, მისთვის დამახასიათებელი ვერაგობა. ხელშეკრულების მიუხედავად რუსეთი ხშირად ერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში, აჯანყებდა საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების ხალხებს მთავრობის წინააღმდეგ.

1921 წლის დასაწყისში რუსეთი თავისი ვერაგული ჩანაფიქრის შესრულებას შეუდგა: აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რამდენიმე მოღალატე ქართველისაგან ახალი მთავრობა შეადგინა. მთავრობის მეთაურად წმინდა ილია მართლის მკვლელობის სულისჩამდგმელი და სულგაყიდული ქართველი ფილიპე მახარაძე დანიშნა. მერე გამოაცხადა: საქართველოში ხალხი აჯანყდა და მახარაძის მთავრობა აირჩია. ჩვენ აჯანყებულებს უნდა დავეხმაროთო. რუსეთმა სამშვიდობო ხელშეკრულება დაარღვია და ომის გამოუცხადებლად თავს დაგვესხა: ერთდროულად შემოესივნენ საქართველოს სხვადასხვა მხრიდან მერვე, მეცხრე, მეთერთმეტე, მეცამეტე წითელი არმიები, ბუდიონისა და ჟლობას ცხენოსანი ჯარები. საზღვარი გადმოლახა თურქეთის ჯარმაც. საქართველო ყველა მხრიდან ცეცხლში გახვეული აღმოჩნდა. რუსეთის მიერ შეკოწიწებული ეს მოღალატური და უკანონო ახალი „მთავრობა“ იმ დღეებში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ დასწყევლა. ეს იყო ქართული ეკლესიისა და ქართველი ერის საერთო პასუხი რუსეთის ძალადობაზე.

რუსეთის მთავრობის მეთაური ლენინი კი აცხადებდა: „თებერვლის დამდეგს იფეთქა საშინელმა აჯანყებამ, რომელიც საოცარი სისწრაფით გავრცელდა და მოედო არა მარტო სომეხ, არამედ ქართველ მოსახლეობასაც... ჩვენ მთელ ღონეს ვხმარობთ, რათა ჩავაქროთ ხანძარი, რომელმაც კავკასიაში იფეთქა.“

თუნდაც მართლა ასე ყოფილიყო, ხელშეკრულების თანახმად რუსეთს მაინც არ ჰქონდა უფლება საქართველოს საქმეებში ჩარევისა. ყველაფერი, რაც საქართველოს შიგნით მოხდებოდა, მხოლოდ საქართველოს საშინაო საქმე იყო. სინამდვილეში საქართველოში არავითარი აჯანყება არ ყოფილა. ლენინს ეს ტყუილი იმიტომ დასჭირდა, რომ საქართველოს დაპყრობა გაემართლებინა. იმ დღეებში ფილიპე მახარაძემ საქართველო-

დან საიდუმლო წერილი გაუგზავნა ლენინს. აი, რა წერია იმ წერილში: „საქართველოს გასაბჭოება გადაიქცა დაპყრობად... საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ მიიღო აშკარა გარედან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე."

სუსტი და პატარა საქართველო უთვალავ მტერს ვერ გაუმკლავდა. რუსეთმა იგი ერთ თვეში დაიპყრო. საქართველოს მთავრობა საფრანგეთში გაიქცა ისე, რომ დამარცხებაზე ხელი არ მოუწერია. საქართველოს მთავრობას საფრანგეთში გაჰყვა ინტელიგენცია – ერის განათლებული ნაწილი. ეს ქართველი ერისათვის დიდი დანაკარგი იყო.

დამოუკიდებელი საქართველოს დამარცხების მიზეზები

ნოე ჟორდანია თავის მოგონებებში წერს: საქართველოს დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატებს არასოდეს გვქონია გათვალისწინებული. ამიტომ იგი დიდ თავსამტვრევ ამოცანად გვექცაო. ეს ის დროა, როცა მეფის ხელისუფლება დაემხო; იმპერიამ დშლა დაიწყო; რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოსული სოციალ-დემოკრატები აცხადებენ: სრული თავისუფლება ხალხს; ყველა ერს აქვს ცალკე გამოყოფის უფლებაო. მაშ რატომ მიაჩნდათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს საქართველოს დამოუკიდებლობა თავსამტვრევ საქმედ? საქმე იმაში იყო, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს რუსული აზროვნება და რუსული სული ჰქონდათ, წინააღმდეგი იყვნენ რუსეთის იმპერიის დაშლისა, საქართველო მუდამ რუსეთის ნაწილად მიაჩნდათ. ისინი წინააღმდეგი იყვნენ რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიისაც კი. ამის გამო კავკასიის მეფისნაცვალმაც და რუსეთის დროებითმა მთავრობამაც ყველაზე საიმედოდ სოციალ-დემოკრატები ჩათვალეს და კავკასიაც მათ ჩააბარეს. რუსები ამ გზით ცდილობდნენ კავკასიის შენარჩუნებას. სწორედ ამიტომ აღმოჩნდნენ ხელისუფლების სათავეში სოციალ-

დემოკრატები და არა ეროვნული პარტიები. შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაცია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემადგენლობით და ამიერკავკასიის სეიმის მეთაურობით.

თითქმის ერთი წელი ისე გავიდა, რომ სოციალ-დემოკრატებს კავკასიაში არაფერი შეუცვლიათ. ისინი კვლავ იმპერიის აღდგენას ელოდებოდნენ; მსოფლიო რევოლუციაზე, მსოფლიო დემოკრატიაზე, კლასთა ბრძოლაზე უაზრო კამათში იყვნენ გართულნი. მათ სჯეროდათ, რომ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად საკმარისი იყო მხოლოდ მსოფლიოს მიერ ჩვენი სახელმწიფოებრიობის ცნობა და ერთა ლიგაში გაერთიანება. მათთვის სრულიად უცხო იყო ეროვნულობაზე ფიქრი. ცარიზმის დამხობის შემდეგ კავკასიის ფრონტი მოირღვა, რუსის ჯარი დაიშალა. ოსმალეთმა კავკასია უპატრონოდ ჩათვალა და მისი დაპყრობა დაიწყო. ქართველი ხალხი მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. გერმანია და ოსმალეთიც ამასვე მოითხოვდნენ. ამან აიძულა სოციალ-დემოკრატები ამიერკავკასიის ფედერაცია დაშლილად გამოეცხადებინათ. იმავე დღეს, 1918 წლის 26 მაისს შეიკრიბა დამფუძნებელი კრება, რომელმაც საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად გამოაცხადა. სოციალ-დემოკრატების ეს იძულებითი ნაბიჯი კარგად დასტურდება კაკი წერეთლის მოქმედებით. მან შუბლში ხელი შემოიკრა და გულშეღონებულმა შესძახა: რას შვრებით, თქვენ ღუპავთ რუსეთის დემოკრატიასო. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი დიდი ხნის შემდეგაც აცხადებდნენ, რომ გერმანია და ოსმალეთი ჩვენს დამოუკიდებლობას სცნობდნენ და მოითხოვდნენ ვერაგული, მტრული განზრახვითო. („დაბრუნება“, ტ. 3, გვ. 182. თბ. გამომცემლობა „გულანი“, 1992 წ.).

მთავრობა თავიდანვე გულგრილად მოეკიდა საქართველოს საზღვრების დაცვას. მან უპატრონოდ მიატოვა ყარსი-არტაანის ოლქები – ტაო-კლარჯეთის ძირძველი ქართული მიწა-წყალი. როცა ინგლისელმა გენერალმა იქ ქართული ჯარის ჩაყენება და დაცვა ურჩია, ნოე ჟორდანიამ უპასუხა: ეგ სხვისი მიწა-წყალია და ვინც შეძლებს, იმან უპატრონოს, თუნდაც სომხებმაო. (“დაბრუნება“, ტ.3 . გვ. 185-186). სოციალ-დემოკრატები სხვისად თვლიდნენ საინგილოსაც – ისტორიულ ჰერეთს. ჟორდანიას მი-

აჩნდა, რომ თბილისი სამ ნაწილად უნდა გაყოფილიყო: ერთი ნაწილი აზერბაიჯანისა უნდა ყოფილიყო, მეორე – სომხეთისა, მესამე ნაწილი – საქართველოსიო. აღიარებული ფაქტია, რომ ნოე ჟორდანია და სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ 1912 წლიდან მოყოლებული მეზობელ სომხებსა და ოსებს ჰპირდებოდნენ ქართული მიწა-წყლის ჩუქებას, ხელისუფლებაში მოსვლისათვის მხარდაჭერის სანაცვლოდ. გვარდიის სარდალს ვალიკო ჯუღელს, მაგალითად, სამარცხვინოდ მიაჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისის ზეიმში მონაწილეობა – ეს ნაციონალისტების დღესასწაულია და არა ჩვენი, რადგან ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართო. ეს წარმოუდგენელი უაზრობანი იმაზე მეტყველებს, რომ სოციალ-დემოკრატები არც საქართველოს ისტორიაში ერკვეოდნენ და არც ეროვნული გაგება ჰქონდათ, ისინი უარყოფდნენ ქართველი ერის კანონიერ უფლებებს.

ქვეყნის დაცვა ჯარის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ეროვნულმა მოღვაწეებმა არაერთხელ მოითხოვეს ქართული ჯარის შექმნა. სამწუხაროდ, მთავრობამ ამ საქმეშიც სრული გულგრილობა გამოიჩინა. ჩვენ მშვიდობის მომხრეები ვართ და არა ომისა, ამიტომ ჯარი არ გვჭირდებაო. – აცხადებდნენ სოციალ-დემოკრატები. 1918 წელს გერმანიამ მეგობრული დახმარება გაგვიწია: საქართველოს დასაცავად თავისი ჯარი გამოგზავნა. მათი არმია საუკეთესო იყო მთელს მსოფლიოში შეიარაღებითა და გაწვრთნილობით. ამის გამო მათ რკინის დივიზიებს უწოდებდნენ. გერმანიამ საქართველოს მთავრობას ურჩია: ორი ასეთი დივიზია თქვენც მოამზადეთ. ეს საკმარისია საქართველოსათვის მშვიდობიანობის დროს. ომის დროს კი შეგიძლიათ ჯარი 300 ათასამდე გაზარდოთ. ამისათვის ფულს, იარაღს, მწვრთნელებს ჩვენ მოგცემთო. საქართველოს მთავრობამ ამ კეთილშობილურ დახმარებაზე ცივი უარი განაცხადა. იგი ბოროტებად და მზაკვრობად ჩათვალა. ერთი წლის შემდეგ ინგლისელებმაც იგივე გვირჩიეს. საქართველოს მთავრობამ მათაც უარი განუცხადა. არადა ქართული არმიის შესაქმნელად იმ დროს საუკეთესო პირობები არსებობდა.

1918 წელს საქართველოში იყო 12 ათასი საუკეთესო ოფიცერი და 150 ათასი მეომარი ჯარისკაცი. უმეტესობა პირველი

მსოფლიო ომის შემდეგ რუსის ჯარიდან ახალი დაბრუნებული იყო. 25 ქართველი გენერლიდან 23-ს მიღებული ჰქონდა უმაღლესი სამხედრო ჯილდო – გიორგის ჯვარი. ნ. ჟორდანია მათ რევოლუციის მტრებს უწოდებდა და საქართველოდან სდევნიდა. შესანიშნავი გენერლები და მამულიშვილები კოტე აფხაზი, შაქრო ბაქრაძე, ვასო გაბაშვილი და მრავალი სხვა ოფიცერი საქმეს არ გააკარეს. ასევე სდევნიდნენ, აპატიმრებდნენ, ხოცავდნენ ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს – ისინი თავად-აზნაურთა წრიდან არიან, ხალხის მტრებია და არ შეიძლება საქვეყნო საქმე ვანდოთო. მათ ავიწყდებოდათ, რომ თავად-აზნაურის წოდებას ჩვენი წინაპრები ძირითადად ომში, სამხედრო საქმეში თავის გამოჩენისათვის იღებდნენ; სწორედ თავად-აზნაურთა წრიდან გამოსული გმირები და მეფეები იყვნენ სამშობლოს დამცველთა მეთაურებიც და წინამბრძოლებიც. ამასთან ხელისუფლების ასეთი პოლიტიკა იყო ერის გახლეჩვა და ურთიერთდაპირისპირების მცდელობა, რასაც მხოლოდ ზიანის მოტანა შეეძლო ქვეყნისათვის.

მთავრობა აცხადებდა: მუდმივი ჯარის შექმნა არ შეგვიძლია იმიტომ, რომ იარაღი, ჩასაცმელი და სურსათი არა გვაქვსო. რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის დაშლის შემდეგ სამხედრო საწყობებში აუარებელი სურსათი და საჭურველი დარჩა. საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო ეს ქონება სახელმწიფო საკუთრებად გამოეცხადებინა. ამის ნაცვლად უპატრონოდ მიატოვა. კერძო პირებმა, ვაჭრებმა დაიტაცეს და დაყიდეს შაქარი, ფქვილი, კონსერვები და ათასი სხვა ქონება. თბილისის სამხედრო საწყობებში ნახევარი მილიონი ჯარისკაცის სამყოფი სურსათი, იარაღი და ცხენების აღჭურვილობა იყო. გენერალი გიორგი მაზნიაშვილიც ადასტურებს თავის მოგონებებში, რომ ეს მარაგი 50 ათას ჯარისკაცს ეყოფოდა ათი წლის მანძილზე. მიუხედავად ამისაო, წერს გენერალი მაზნიაშვილი, ჟორდანიას მთავრობამ საზღვარგარეთ კომისია გაგზავნა იარაღის შესაძენად. „როდესაც ეს იარაღი გადმოტვირთეს ბათუმში, კომისიამ შეადგინა ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ საზღვარგარეთიდან მოსული 9 ათასი თოფიდან სახმარად გამოსადეგი აღმოჩნდა მხოლოდ 183.“ 1921 წელსაც კი საქართველოში შემოჭრილ რუსის

ჯარს სამხედრო საწყობებიდან ნადავლად დარჩა 17 ათასი უხმარი თოფი, ქუთაისის საწყობებიდან კი – 300 ტყვიამფრქვევი.

საქართველოს ჰქონდა 12 საუკეთესო იტალიური თვითმფრინავი, ჰყავდა ჩინებული მფრინავები. მთავრობამ არ გაიმეტა ფული საავიაციო ზეთისათვის – ძვირია, უბრალო ზეთი იხმარეთო. ამის გამო 1921 წელს რუსეთთან ომის დროს ვერც ერთი თვითმფრინავი ვერ აფრინდა ცაში. რუსებს კი მაშინ მხოლოდ ერთადერთი თვითმფრინავი ჰქონდათ, რომელმაც ჰაერიდან ჩვენი პოზიციების დაბომბვით დიდი არეულობა და ზიანი გამოიწვია.

დამოუკიდებელმა საქართველომ ოსმალეთის, სომხეთის, რუსეთისა და სხვა მეზობლების რამდენიმე შემოსევა მოიგერია. ყოველი ომის შემდეგ მთავრობა მაშინვე ჯარს დაითხოვდა და მთავარსარდალს გადააყენებდა ხოლმე. მაშინდელი პარლამენტის წევრი რევაზ გაბაშვილი წერს: ჟორდანია მუდამ ოდიშელიძეს აყენებდა მთავარსარდლად და სამხედრო მრჩევლად უვიცობის მიუხედავად, ხოლო მუდამ გამარჯვებულ მთავარსარდალ კვინიტაძეს კი, ყოველი გამარჯვების შემდეგ გადააყენებდა ხოლმეო. (“დაბრუნება“. ტ.3, გვ. 300). ასევე ექცეოდნენ გ. მაზნიაშვილს, შ. მაღლაკელიძეს და სხვა გამოჩენილ სარდლებს, წარა-მარა უწყობდნენ მათ დაპატიმრებებს და უკანონო ჩხრეკვებს. ცნობილი ფაქტია, რომ ხელისუფლება სამხედრო მინისტრებად ნიშნავდა ხან სახალხო მასწავლებელს, ხან ექიმს, ხან სხვა სამოქალაქო პროფესიის ადამიანს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი სოციალ-დემოკრატები იყვნენ, სამხედრო საქმეში კი ვერ ერკვეოდნენ. ასეთი ბრიყვული მოქმედებებით ხელისუფლება აშკარად დაღუპვისაკენ მიაქანებდა ქვეყანას. საქართველოს მთავრობამ წინასწარ იცოდა, რომ რუსეთი გვიპირებდა თავდასხმას 1920 წლის დეკემბერში. 11 ნოემბერს მთავრობამ შექმნა თავდაცვის საბჭო. ყველა ელოდა, რომ გამოცხადდებოდა მაქსიმალური გაწვევა და თავდაცვისათვის ჯარის მომზადება. ამის ნაცვლად 20 დეკემბერს მთავრობამ არსებული ჯარიც დაშალა და სახლებში გაუშვა. მოსალოდნელი ომის წინ ამის გაკეთება უკვე აშკარა სამშობლოს ღალატი იყო. 1929 წელს პარიზში გამოქვეყნებულ წიგნში დავით შარაშიძემ ასე გაამართლა მთავრობის გამცემლური მოქმედება: უნდა გვეჩვენებინა რუსებისათ-

ვის, რომ ომი არ გვწადიანო. ცნობილია ასეთი ფაქტიც: ოსმალეები ბათუმის დაპყრობას აპირებდნენ. გენერალმა ვასო აბაშიძემ სამიათასი მებრძოლი მოითხოვა ბათუმის დასაცავად. საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა უპასუხა: საშუალო საუკუნეებში ხომ არ გგონიათ თავი, რომ ზარბაზნებსა და ციხეებზე გველაპარაკებით. სადა გვყავს ჯარი. მტერს ჯარით კი არა, მშვიდობიანი მიტინგებით უნდა დავხვდეთ. ოსმალებს უკანონო საქციელისა შერცხვებათ და უკან გაბრუნდებიანო. მართლაც ორმოცი ათასი ქართველი ჩარეკეს ბათუმში და საპროტესტო მიტინგები გამართეს. ოსმალეთის ჯარმა უბრძოლველად ჩაიგდო ხელში ბათუმი, მომიტინგეებიდან 5 ათასი ქართველი დაატყვევა, დანარჩენებმა კი გაქცევით უშველეს თავს.

საქართველოს მთავრობამ ვერც ის შეძლო, რომ კავკასიის ქვეყნებთან სამეგობრო კავშირი დაემყარებინა და ერთიანი ძალით დახვედროდნენ რუსეთის აგრესიას. ამას კი თვითონ ჩვენი მეზობლები იხვეწებოდნენ. იმპერიის დაშლის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაშიც გამოაცხადეს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ჩაატარეს „კავკასიის ყრილობა“ და აირჩიეს კავკასიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის საერთო ხელმძღვანელობა. საქართველოსთან ერთგული მოკავშირეობის მიზნით თბილისში საგანგებო დელეგაცია გამოგზავნეს. რადგან სოციალ-დემოკრატები ყოველგვარი ეროვნულის წინააღმდეგი იყვნენ, ნოე რამიშვილი მათ ძალზე უკმეხად დახვდა: თქვენ რეაქციონერები ხართ. არაფერი საერთო არ გვექნება თქვენთან, სანამ დემოკრატიულ წესებს არ დაამყარებთო. ასე ჩაშალეს მათ ერთიანი კავკასიის აღდგენის საქმეც.

სოციალ-დემოკრატების დანაშაულებრივი გულგრილობა განსაკუთრებით აშკარად გამოვლინდა თურქეთისა და სომხეთის მიერ ქართული მიწა-წყლის ოკუპაციის დროს. 1918 წელს სომხეთი ინგლისელებისა და დენიკინის წაქეზებით ომის გამოუცხადებლად თავს დაგვესხა. საომარი მოქმედებები ბოლნისიდან ახალქალაქის მაზრამდე – თითქმის 700 კილომეტრზე გაიშალა. ისინი ხოცავდნენ ქართველ ჯარისკაცებს, აწამებდნენ და ჟლეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას – ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, ძარცვავდნენ და წვავდნენ სოფლებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ

მათ საქართველოს ზურგშიც დაიწყეს ასეთი მოქმედებები: შეაიარაღეს თბილისში, ბოლნისში, თეთრწყაროში, დაღეთში, სამშვილდეში, სამღერეთში და სხვა სოფლებში მცხოვრები სომხები და ამბოხებები მოაწყეს. საგულისხმოა, რომ ამ მოღალატე აჯანყებულთაგან ბევრნი საბჭოთა ხელისუფლების წლებში რუსეთის ხელისუფლებისაგან დიდ პატივში იყვნენ – მათ საკავშირო უმაღლესი პერსონალური პენსიები, ორდენები და უამრავი სხვა ჯილდო და შეღავათები ჰქონდათ. ჟორდანიას ხელისუფლება კი ამას კერძო ბანდიტური ჯგუფების თავდასხმას უწოდებდა და საომარი მოქმედებების დაწყებას და მობილიზაციის გამოცხადებას არ ჩქარობდა. ხელისუფლების მიერ არსებული ვითარების სრული შეუფასებლობა და სიბეცე ცხადად ჩანს საქართველოს მაშინდელი პარლამენტის დადგენილებაშიც: „საქართველოს სამხრეთ საზღვარზე უბრალო ბრბოები გადმოსულა, ეგრეთწოდებული ბანდები და ამათ წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა რესპუბლიკის დამცირება იქნება.“ (არჩილ ჩაჩხიანი. „დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი.“ თბ. გამ. „არადანი“, 2007 წ. გვ. 189.). ნ. ჟორდანია ამ დროს თბილისში გვარდიის ერთი წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო აღლუმის გამართვით არის დაკავებული, ფრონტის ხაზიდან ჯარის ნაწილებს ხსნის და თბილისში ზეიმზე ჩამოყავს. სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე სრულიად სერიოზულად აცხადებს: მინისტრობიდან გადავდგები, თუ საქართველო საპასუხო საომარ მოქმედებებს დაიწყებსო. გვარდიის სარდალი ჯუღელი კი წერდა: „მე მზად ვარ უარი ვთქვა ბამბაკსა და ლორეზე, დაე ფლობდნენ ყოველივე ამას სომხები, თუ ეს ჩვენს ნამდვილ მეგობრობას წაადგება. მათ უნდა გაიგონ, რომ მათი საუკეთესო მოკავშირე ახალგაზრდა ქართული დემოკრატიაა.“ (იქვე, გვ. 241). თუ სომხეთის საომარი მოქმედებები, ქართველი ხალხის ხოცვა-ულეტა და ქართული მიწა-წყლის მოწინააღმდეგისათვის ჩუქება მეგობრობა იყო, როგორც ეს ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეგონათ, მაშ მტრობა რაღა უნდა ყოფილიყო? როცა საქართველოს ხელისუფლებამ დიდი დაგვიანებით სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მოწოდებაში ეწერა: „გვსურს რა შევაჩეროთ

სისხლისღვრა, გიწვევთ წითელი დროშის ქვეშ სრულიად სახალხო გვარდიას... თავისუფლება და რევოლუცია თქვენს დახმარებას ელის“. (იქვე, გვ. 213). აი, ასე, ხალხს მოუწოდებენ სამშობლოს დასაცავად კი არა, თავისუფლებისა და რევოლუციის დასაცავად, რევოლუციისა, რომელიც საქართველოში არ მომხდარა. მოწოდებაში სამშობლოს ხსენებაც კი არ არის. ნ. ჟორდანია ქართული ჯარების სარდლობას აიძულებდა სომხეთის სამხედრო ტყვეები გაეთავისუფლებინათ და იარაღიც გაეტანებინათ, შეეწყვიტათ მოწინააღმდეგის გაქცეული ჯარების დევნა. მიუხედავად ამისა ქართულმა ჯარმა სარდალ მაზნიაშვილის მეთაურობით სომხეთის არმია გაანადგურა და ერევანს თითქმის ას კილომეტრზე მიუახლოვდა. ქართული არმიის ძლევამოსილი წინსვლა შეაჩერა ინგლისელი ოკუპანტებისა და ნოე ჟორდანიას გამცემლურმა მოქმედებამ: დამარცხებულ სომხეთთან ზავის დადების დროს საქართველოს მთავრობამ დათმო ჩვენი ისტორიული მიწა-წყალი – ლორე-ბამბაკის ოლქი ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა, მერე კი ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკებმა სომხეთს აჩუქეს. ეს იყო სტრატეგიული უბანი – საქართველოს სამხრეთის საიმედო ბუნებრივი ჭიშკარი, ალავერდის სპილენძით მდიდარი საბადოები, 43 სოფელი და სადახლო-მაღალის 50 კილომეტრიანი რკინიგზა. ამაში გადამწყვეტი აღმოჩნდა ინგლისელების ნება-სურვილი, რომლებმაც ეს ტერიტორია სათავისოდ მიითვალეს. ალბათ მსოფლიო ომების ისტორიაში ეს იყო დაუჯერებელი შემთხვევა, როცა ომში გამარჯვებული ქვეყანა თავის ისტორიულ მიწა-წყალს დამარცხებულ მოწინააღმდეგეს უთმობს.

ყველა ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მსოფლიო რევოლუციისა და დემოკრატობანის ბოდვითი თეორიებით შეპყრობილი ქართველი სოციალ-დემოკრატები ახორციელებდნენ რუსულ პოლიტიკას, ეწინააღმდეგებოდნენ კავკასიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ეს კი მიუღებელი იყო ქართველი ხალხისათვის. როგორც რევაზ გაბაშვილი თავის მოგონებებში წერს, ისინი „ანგრევდნენ საქართველოს ეროვნულ საფუძვლებს“ (დაბრუნება“, ტ. 3, გვ. 111.), „უფრო მეტ რუსობას იჩენდნენ, ვიდრე თვითონ რუსები“. (იქვე, გვ. 182). „ასეთი სიყალბე მათი აზროვნებისა ხდებოდა რუსეთის ხათრით, რუსეთის აღდგენის იმედით,

იქნებ შიშითაც“ (იქვე,გვ. 189). იმის მაგიერ,რომ ხალხი ჯანსაღი ეროვნული იდეის გარშემო დაერაზმათ, გაცვეთილი პარტიული „იდეალების“ ირგვლივ ცდილობდნენ მათ შემოკრებას. ასეთი უთავბოლო საქმიანობის გამო საქართველო ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით სუსტ ქვეყნად დარჩა. იგი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა რუსეთის 1921 წლის თავდასხმას. ქართული ჯარი მთავარსარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძისა და სხვა გენერლების მეთაურობით ექვსი კვირის მანძილზე უკან იხევდა თბილისიდან ბათუმამდე მტრისთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაუწევლად, თუ არ ჩავთვლით თბილისის მისადგომებთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლას, აგრეთვე ავჭალასთან, მუხათგვერდთან, გორთან, ოსიაურ-ხაშურთან, ქუთაისთან მცირე ბრძოლებს. ეს იყო ლოგიკური შედეგი სამხედრო საქმისადმი და საერთოდ ქვეყნის მართვისადმი საქართველოს მთავრობის არასერიოზული დამოკიდებულებისა, ანტიეროვნული პოლიტიკისა. ხოლო როცა ლენინის წაქეზებით ზურგიდან დაგვესხა ოსმალეთის ჯარიც, ქვეყნის დაცვა უკვე შეუძლებელი იყო. დამოუკიდებელი საქართველოს დამარცხება ზემოაღნიშნული მიზეზებით მოხდა. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დანაშაულებრივ გულგრილობას, რუსეთისადმი მაამებლობას და მსოფლიო რევოლუციაზე ბრიყვულ პარტიულ ფანტაზიებს გადააყოლეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

ბრძოლა ოკუპაციის წინააღმდეგ

ხანმოკლე იყო თავისუფლება. საქართველომ ფეხზე დადგომა და მოღონიერება ვერც კი მოასწრო, რომ დამოუკიდებლობა დაკარგა. რუსეთმა მისი ოკუპაცია მოახდინა. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ამიერკავკასიის ფედერაციად გააერთიანეს და 1922 წელს რუსეთს შეუერთეს. ამით იმ დროს მოსპეს საქართველოს დამოუკიდებლობა ისე, რომ ხალხისათვის არაფერი უკითხავთ. ამ საქმეში დიდი „წვლილი“ მიუძღოდათ სტალინს, ორჯონიკიძეს და სხვა ქართველ სოციალ-დემოკრატებს (“ბოლშევიკებს“).

საქართველოს რკინიგზა რუსეთის საკუთრებად გამოცხადდა. ქართველი რკინიგზელები სამუშაოდან დაითხოვეს. მათ მაგივრად 1500-მდე რუსი მუშა ჩამოიყვანეს. რუსეთმა დაუთმო თურქეთს ართვინი და ბათუმის ოლქის ნაწილი, სომხეთს – ბორჩალოს მაზრის ნაწილი, აზერბაიჯანს – ზაქათალის, სიღნაღისა და თბილისის მაზრებისა და დავით გარეჯის მონასტრების ნაწილი. შემდგომში რუსეთმა მიითვისა ჩვენი ისტორიული მიწა-წყალი ჯიქეთი ქალაქ სოჭის ჩათვლით.

საქართველოში სასტიკი რეპრესიები დაიწყო – ხალხის დაჭერა, გადასახლება, დახვრეტა. დაკეტეს 1500-ზე მეტი ეკლესია. ხატებს სამიზნედ იყენებდნენ – თვალში ტყვიას რომელი მოახვედრებსო. შეურაცხყვეს მოწამეთაში ეროვნული გმირების – დავით და კონსტანტინეს, აგრეთვე სხვა გმირი წინაპრების სამარეები. ამით აბუჩად აიგდეს ქართველი ხალხის ეროვნული გრძნობები.

ამის გამო აჯანყებები დაიწყო. 1921-1922 წლებში აჯანყებები მოხდა სვანეთში, ხევსურეთში, კახეთში. გაჩნდა კასრაძის, მანწკავას, იშხნელის, ჩოლოყაშვილის, ლაშქარაშვილის პარტიზანული რაზმები. ხელისუფლებამ აჯანყებები ჩაახშო, რასაც დიდი სისხლისღვრა მოჰყვა.

ქართველმა მამულიშვილებმა შექმნეს დამოუკიდებლობის კომიტეტი კონსტანტინე ანდრონიკაშვილის მეთაურობით. კომიტეტს იმედი ჰქონდა, რომ საქართველოდან რუსთა ჯარების გაყვანას შეძლებდა მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკებით, ევროპის დიდი სახელმწიფოების ჩარევით. მათ მოითხოვეს, რომ ჩატარებულიყო მოსახლეობის საერთო გამოკითხვა ანუ რეფერენდუმი. თუ მოსახლეობის მესამედი მაინც რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის მოსურნე აღმოჩნდება, ჩვენ წინააღმდეგობაზე ხელს ავიღებთო, – აცხადებდა დამოუკიდებლობის კომიტეტი. რუსეთის ხელისუფლებამ ეს არ ისურვა. კომიტეტი იძულებული გახდა აჯანყებაზე წასულიყო.

აჯანყებისათვის მზადებას სამხედრო ცენტრი ხელმძღვანელობდა, რომელშიც შედიოდნენ გამოჩენილი ქართველი მხედართმთავრები და სამხედრო საქმის მცოდნეები. სამხედრო ცენტრის თავმჯდომარე იყო გენერალი კონსტანტინე აფხაზი.

სამწუხაროდ სამხედრო ცენტრის შემადგენლობა გასცეს მოღალატეებმა კ. მისაბიშვილმა და პოლკოვნიკმა ნარეკელაძემ, რომლის ბინაზეც იმართებოდა ცენტრის წევრთა საიდუმლო სხდომები. გენერალი კონსტანტინე აფხაზი, გენერალ-მაიორი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გენერალ-მაიორი ვარდენ წულუკიძე (საქართველოს რესპუბლიკის უკანასკნელი მთავარსარდალი), პოლკოვნიკები – როსტომ მუსხელიშვილი, დიმიტრი ხიმშიაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, ელიზბარ გულისაშვილი, დიმიტრი ჩრდილელი, როტმისტრები – ფარნაოზ ყარალაშვილი, სიმონ მუხრანბატონი, ლეიტენანტი ლევან კლიმიაშვილი, ნიკოლოზ ზანდუკელი, ივანე ქუთათელაძე, იასონ კერესელიძე, სიმონ ჭიაბერაშვილი – 15 კაცი ხელისუფლებამ დააპატიმრა. ისინი ფარულად გაასამართლეს სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით მოსკოველმა ჯალათებმა პანკრატოვმა, მოგილევსკიმ, აშუკინმა, პეტროსიანმა და სხვებმა. სამხედრო ცენტრის წევრები დახვრიტეს 1923 წლის 19 მაისს ამჟამინდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე. გამოჩენილი მხედართმთავრებისა და დიდი მამულიშვილების დაღუპვა უდიდესი დანაკარგი იყო ქართველი ერისათვის. „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ – ამ შეძახილებით შეხვდნენ გმირები სიკვდილს. „სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ! ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების ტოლფასია. იგი დაასალკლდევებს ერის სიმტკიცეს და ერთი ათასად გაამრავლებს მებრძოლებს!“ – ასე მიმართა სიკვდილის წინ ჯალათებს ვარდენ წულუკიძემ. კოტე აფხაზმა კი წარმოთქვა ლეგენდად ქცეული სიტყვები: „მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!“. დაღუპულების ცხედრებიც კი არ დაუბრუნეს ოჯახებს, საიდუმლოდ დამარხეს და მათი სამარეები დაკარგულია.

მათი მკვლელებიდან ზოგიერთს ბოროტებისათვის მალე მიეზღო სამაგიერო. 1925 წლის 2 მარტს თბილისიდან სოხუმში მიფრინავდნენ ცნობილი ჩეკისტები: ამიერკავკასიის „ჩეკას“ თავმჯდომარე მოგილევსკი, ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე მიასნიკიანი, ფოსტა-ტელეგრაფის კომისარი ათარბეგოვი და სხვები. თვითმფრინავს ჰაერში ცეცხლი

გაუჩნდა, დიდების მიდამოებში ჩამოვარდა და მგზავრებიანად დაიწვა. მაშინდელი რუსეთის გაზეთები ძალიან ბევრს წერდნენ თბილისში მომხდარი მარცხის შესახებ, ბეჭდავდნენ დაღუპულთა სურათებს და ბიოგრაფიებს, წერილებს, გამოძიების მასალებს. გაზეთები წერდნენ, რომ ათარბეგოვი თეთრგვარდიელთა რისხვა იყო, თავისი ხელით დახოცა ცნობილი სარდლები; მოგილევსკი კი ყოფილი დაშნაკი, გარუსებული სომეხი იყო და დიდი დამსახურება მიუძღოდა ქართული ეროვნული ძალების მოსპობაშიო. ამ კაცს იმდენად სიამოვნებდა ადამიანების ხოცვა-ულეტა, რომ პარტიულ ფსევდონიმად საზარელი გვარი – მოგილევსკი (მესაფლავე) დაირქვა.

ეს მარცხი ახალგაზრდა მფრინავმა ალექსანდრე საღარაძემ მოაწყო. ქართველმა მამულიშვილმა თავი გაწირა, სამაგიეროდ სიცოცხლეს გამოასალმა კავკასიელი ხალხის ჯალათები. ხოლო ამ ჯალათებიდან ყველაზე დიდმა ბოროტმოქმედმა და საქართველოს ყველაზე დიდმა დამაქცევარმა ორჯონიკიძემ, როგორც ცნობილია, 1937 წელს თავი მოიკლა.

1924 წლის 28 აგვისტოს საქართველოში საყოველთაო აჯანყება დაიწყო. მისი მიზანი იყო დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენა. აჯანყება დაიწყეს ჭიათურის მაღაროელებმა. აჯანყდა მთელი გურია. ძლიერი ბრძოლები მოხდა სამეგრელოში, ქუთაისის მაზრაში, სვანეთში, ქართლ-კახეთში. ამის პასუხად აჯანყების პირველ დღესვე ბოლშევიკებმა სატუსაღოებიდან გამოიყვანეს და დახვრიტეს უამრავი პატიმარი. დახვრიტეს აგრეთვე რუსეთის ციხეებში მყოფი ქართველი პატიმრები, მათ შორის დემოკრატიული საქართველოს მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი, ქართული გვარდიის უფროსი ვალიკო ჯუღელი და სხვები.

ჭიათურაში ოთხი საბარგო ვაგონი აავსეს ხალხით, ვითომ თბილისის ციხეში მიჰყავდათ. მერე სადგურ ყვირილაში გააჩერეს და ვაგონებში ჩაკეტილი ხალხი გარედან ტყვიამფრქვევებით დაცხრილეს.

პარიზში გამოქვეყნდა ამ ამბების მომსწრე ვ. ჩუბინიძის წიგნი „მოგონება“. აი, რას წერს იგი: „გამარჯვებულმა და სისხლით დამთვრალმა ხელისუფლებამ მუსრი გაავლო ქართველ

მოსახლეობას. ძუძუმწოვარა ბავშვებითურთ ამოჟლიტეს რამდენიმე გვარეულობა – ფანიაშვილები, კლიმიაშვილები, მამაცაშვილები (სოფელ რუისში). ბავშვები ზოგი აკვანში ჩასრისეს, ზოგი სარებზე ჩამოაცვეს და ზოგსაც აივნიდან ისროდნენ. ქალები ჯერ გააუპატიურეს, მერე ხანჯლებით დაჰკლეს."

არქივში აღმოჩნდა ცნობილი პედაგოგის არსენ წითლიძის წერილი, რომელშიც წერია: „ყოველ თვეში ასობით მიემგზავრება სატუსაღო რონოდებით ჩრდილოეთისაკენ, ტიტველი გლეხკაცობა, ხშირად უსაბნოდ, გაცვეთილი ჭილოფით და ძველი ხალათის ამარა. ასობით მიემგზავრება უსახსრო მოსწავლე-ახალგაზრდობა, ქალი და კაცი საკონცენტრაციო ბანაკებისაკენ, სადაც... მათ სრული ფიზიკური და სულიერი განადგურება მოელით. შედეგი: უპატრონო, უმუშახელოდ მიტოვებული სახლკარი, დაობლებული ცოლ-შვილი, მეურნეობის დაცემა, სიღატაკე, შიმშილით სიკვდილის პერსპექტივები და ყველა ამასთან საშინელი გაბოროტება, სიძულვილი ხელისუფლებისა... ნუთუ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას ხალხთან საერთო ენის მოსაძებნად რეპრესიების გარდა სხვა საშუალება არ მოეძებნება?"

1924 წელს თბილისში ჩამოვიდა გერმანელი პროფესორი ერიხ ობსტი. გერმანიაში რომ დაბრუნდა, გაზეთში გამოაქვეყნა წერილი „საქართველო". იგი წერდა: იმ დროს, როდესაც ჩვენ თბილისში მივედით, იქ იყო გაბატონებული ღრმა გლოვა, განსაკუთრებით ქალაქის ქართულ ნაწილში. ქალებსა თუ კაცებს გლოვის ნიშნად შავები ეცვათ და მათი სახე მძიმე მწუხარებას ამჟღავნებდა. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ოჯახი, რომ წევრი არ დაჰკლებოდეს და გლოვაში არ ყოფილიყოს. გაუგონარი მძვინვარებით მოსპეს აჯანყება... ნამდვილი მსხვერპლი ათასობით ითვლება. ისინი დახვრიტეს გაუსამართლებლად, ხშირად იმ შემთხვევაშიც, როცა დაბეჯითებით იცოდნენ, რომ ისინი აჯანყებაში სრულებით არ მონაწილეობდნენო.

ამის თვალსაჩინო მაგალითია ერთი შემზარავი ფაქტიც: იმ დღეებში პეტერბურგიდან თბილისში გამოემგზავრა 30 ახალგაზრდა ქართველი. პოლიტიკასთან მათ არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. მხოლოდ ის სურდათ, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით სამშობლოს სამსახურში ჩამდ-

გარიყვნენ. როდესაც საქართველოს საზღვარს მოუახლოვდნენ, ევროპული ტანსაცმლის ნაცვლად ქართული ჩოხა-ახალუხები ჩაიცვეს. საქართველოში ჩამოსულები კი დააპატიმრეს და დახვრიტეს მარტო იმისათვის, რომ წარმოშობით თავადიშვილები იყვნენ და შავი ჩოხები ალბათ საქართველოზე გლოვის ნიშნად აცვიათო.

დააპატიმრეს დამოუკიდებლობის კომიტეტის შემადგენლობა – 47 კაცი. მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 10 წლით. მაგრამ როცა სასჯელი მოიხადეს, ციხიდან არც ერთი აღარ გამოუშვიათ – 1937 წლის რეპრესიების დროს ყველანი იქვე დახვრიტეს.

დიდი ხნის შემდეგ თბილისში მეტეხის ციხე დაანგრიეს. როცა მუშებმა იატაკი აყარეს, ფიცრებქვეშ დამალული წერილები იპოვეს. ეს წერილები 1924 წელს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს დაუმალიათ, როცა ტუსაღებად ისხდნენ. აი, რას წერს კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი: აჯანყებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაცემებით გაუმართლებლივ სიკვდილით დასჯილია ოთხი ათასზე მეტი ადამიანი. ბევრია კიდევ მსხვერპლი, რომლის რაოდენობა ჩვენ არ ვიცით. რამდენიმე ასეული გასახლებულია რუსეთში. დასჯილი არიან ბავშვები, ქალები, მოხუცები, ისეთები, რომლებსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ არამცთუ აჯანყებაში, საერთოდ პოლიტიკურ საქმიანობაშიც კი. აჯანყება იყო საოკუპაციო ხელისუფლების პოლიტიკის გარდაუვალი შედეგი. ჩვენ ვერ წარმოგვედგინა, რომ ქართველი კომუნისტები ეგრე უმოწყალოდ გაიმეტებდნენ ქართველ ხალხს და ათასობით დახვრეტდნენო.

სამწუხაროდ, ჩვენ დღესაც არ ვიცით, საქართველოში ჩატარებულმა რეპრესიებმა რამდენი ადამიანის სოცოცხლე შეიწირა. იმ ოთხიათასი კაციდან კი გორის მაზრაში დახვრიტეს 900, მათ შორის 26 მღვდელი და 2 ქალი; თელავის და სიღნაღის მაზრებში – 300 კაცი, დუშეთის მაზრაში – 150, მანგლისისა და სართიჭალის რაიონებში – 200, ხაშურში – 29. მარტო მეტეხის ციხიდან სასჯელის გამოუცხადებლად გაიყვანეს და დახვრიტეს 146 პატიმარი; გარდა ამისა, ციხეების საავადმყოფოებიდან 14 მძიმე ავადმყოფი გაიყვანეს და დახვრიტეს.

ციხეებში ბევრმა წამებას ვერ გაუძლო და ჭკუიდან შეიშალა. ხალხის დასჯა 1925 წლის ბოლომდე გაგრძელდა.

ქართველი ხალხის უსასტიკესი აწიოკება პირადად სერგო ორჯონიკიძის განკარგულებით მოხდა. განსაკუთრებით შემზარავი ამბები ჩაიდინეს ობოლაძემ, ტალახაძემ და სხვებმა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მათი სახელები დიდად დაფასებული იყო, მათი საქმეები კი სამშობლოსათვის თავდადებად და გმირობად საღდებოდა. ბოლოს სიმართლე არ დაიმალა. უკანასკნელ წლებში გაზეთებში უამრავი წერილი გამოქვეყნდა მათი ჯალათური საქმეების შესახებ.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ამბროსის თავგანწირვა სამშობლოსათვის

1917-1922 წლები რუსეთში ყველაზე სისხლიანი იყო. მეფე სისხლისღვრას მოერიდა და ტახტიდან თავისი ნებით გადადგა. ბოლშევიკებმა ეს არ იკმარეს. როგორც კი ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, მეფე-დედოფალი და მათი შვილები დახვრიტეს. მერე სამოქალაქო ომი გააჩაღეს. რუსეთი დაინგრა, გაჩანაგდა, დაიმშა. ბოლშევიკები კი ამბობდნენ, რომ მათ ხალხს თავისუფლება და ბედნიერება მოუტანეს. დღეს თვითონ რუსი მკვლევარები წერენ, რომ იმ წლებში რუსეთში ორმოც მილიონზე მეტი ადამიანი გაუჟლიტეს.

რუსეთის ამბებმა მსოფლიო შეაძრწუნა. ოცდარვა ქვეყნის დესპანები შეიკრიბნენ იტალიის ქალაქ გენუაში. ეს მოხდა 1922 წლის 10 აპრილს. ამ შეკრებას გენუის კონფერენცია ეწოდა. ისინი ცდილობდნენ სისხლით დამთვრალი რუსეთი გონს მოეყვანათ.

საქართველოს ეკლესიის მეთაურმა – კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ წერილი მისწერა გენუის კონფერენციას. აი, რა ეწერა იმ წერილში:

„რუსეთმა დაარღვია სამშვიდობო ხელშეკრულება, დაიპყრო საქართველო და ხელმეორედ დაადგა მონობის უღელი. ეს უღელი იმდენად მძიმე და სამარცხვინოა, რომ მისი მსგავსი საქართ-

ველოს არ განუცდია არც ერთ საუკუნეში. ოკუპანტები არწმუნებენ ყველას, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები. მე, საქართველოს სულიერმა მოძღვარმა, ყველაზე კარგად ვიცი, თუ რამდენად ბედნიერია ქართველი ერი. საქართველოში მომხდარი ამბები აუცილებლად მიიყვანს ერს გადაშენების, გაველურებისა და გახრწნის კარამდე. ერს ართმევენ მამა-პაპათა ძვალ-სისხლით გაპოხიერებულ მიწა-წყალს და უცხოეთიდან შემოხიზნულებს ურიგებენ. ართმევენ მშობლიურ ენას, უბილწავენ მამა-პაპურ ეროვნულ კულტურას და სარწმუნოებას. ერი გმინავს, მაგრამ ხმის ამოღების საშუალება არა აქვს. მე, როგორც მღვდელთმთავარი, ჩემს მოვალეობად ვთვლი, კაცობრიობის გასაგონად ვთქვა: მე მსურს ჩემი ერისათვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულ განვითარებას. ამიტომ მოვითხოვ:

1. დაუყოვნებლივ გაყვანილი იქნეს საქართველოდან საოკუპაციო ჯარი. დაცული იყოს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშისა და მიტაცებისაგან.

2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვების ძალდატანების და კარნახის გარეშე, მოაწყოს თავისი ცხოვრება. აირჩიოს ისეთი წყობილება, როგორიც მის სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებასა და ეროვნულ კულტურას შეეფერება. თქვენ მიზნად დაგისახავთ დაამყაროთ ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება. ამიტომ იმედი მაქვს, რომ დაიხსნით პატარა საქართველოს ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებისაგან“.

კათალიკოს-პატრიარქის წერილში მთელი ქართველი ერის სურვილი იყო გამოხატული. ერთ თვეზე მეტხანს გაგრძელდა გენუის კონფერენცია. სამწუხაროდ, მან მიზანს ვერ მიაღწია –

რუსეთს ვერაფერი დაათმობინა. სამაგიეროდ, რუსეთმა თავისი რისხვა კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ამბროსის დაატეხა. მას მანამდეც სდევნიდნენ. ამის შესახებ თვითონ კათალიკოს-პატრიარქმა განაცხადა: ჩემი ოთხმოცდაშვიდი წლის სამსახური მოვანდომე გარუსების პოლიტიკასთან ბრძოლას. ამის გამო მდევნიდნენ და არ მინახავს ტკბილი და მყუდრო დღეები. ორჯერ განვიცადე სამშობლოდან გაძევება, ორჯერ ვიყავი გადასახლებული რუსეთშიო.

დააპატიმრეს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი და საკათალიკოსო საბჭოს წევრები. კათალიკოს-პატრიარქს ბრალს სდებდნენ, თითქოს მას ევროპიდან ჯარების შემოყვანა სურდა საქართველოში, საბჭოს წევრები კი მისი თანამოაზრეები არიანო.

კათალიკოს-პატრიარქი აწამეს, მაგრამ ერისა და რწმენისათვის არ უღალატია. – სული ჩემი ღმერთს, გული ჩემი სამშობლოს, ხოლო გვამი ჩემი თქვენ, თქვე ჯალათებო! – აი მისი უკანასკნელი სიტყვები სასამართლოზე.

კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსი ხელაიამ მოწამებრივი ცხოვრებით იცხოვრა: თავი დასდო სიმართლისათვის, სამშობლოს ხსნისათვის. იგი ისე მოიქცა, როგორც ქართველი ერის ჭეშმარიტ მოძღვარსა და სულიერ მამას შეეფერებოდა იმ მძიმე ჟამს. საქართველოს ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

29 მარტი წმინდა ამბროსი აღმსარებლის ხსენების დღეა!

შეფიცულები

– აი, ამ მთებში ბალახმა დახრა ალექსანდრე ბატონიშვილისგან დაქნილი ბილიკები... რუსთა უსამართლობას ებრძოდა ბატონიშვილი, ვითომდა სტუმრად მოსულნი მტრად რომ გადაგვექცნენ. ახლა თქვენ უნდა აღადგინოთ მისი გაკვალული ბილიკები. მას შეფიცულები ჰყავდა შემოკრებილი. თქვენც უნდა შეიფიცოთ. თქვენი შეფიცულთა რაზმი ქართულ ჯარად უნდა აქციოთ და მტერს მედგრად ებრძოლოთ. – დინჯად მოძღვრავს ხევისბერი დიმიტრი ჭინჭარაული.

სიტყვას რაზმის მეთაური ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი აგრძელებს: – დღეს სამშობლო გასაჭირშია. რუსეთმა ხელმეორედ გამოგვგლიჯა დამოუკიდებლობა. მრავალჯერ ყოფილა ჩვენი ქვეყანა აწიოკებული, მაგრამ იარაღი არ დაუყრია. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ წინაპართა საქმე. ყველამ გაიგოს, რომ თავისუფლება გვსურს ჩვენს მიწა-წყალზე და მტერს არ დავემორჩილებით. გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს მომავალს!

რაზმელები ხევსურთა წესით დააფიცა ხევისბერმა. მერე ბუჩქებში ხანჯლით გამოსჭრა თხილის სწორი, გრძელი სარი და ზედ ქართული დროშა შეაბა. – მაშ გაუმარჯოს პირიმზე თამარისა და დავით აღმაშენებლის საქართველოს! – შესძახა და რაზმს დროშით წინ გაუძღვა.

– ქართველო ხელი ხმალს იკარ! – სიმღერით გადაიარეს ჭროლით მოჩითული ბექობი და ტყეში გაუჩინარდნენ. თელავის მაზრის შროშანის ტყეებში კარგა ხანს ისმოდა სიმღერის ხმა. 1922 წლის მარტი – აღდგომა დღე იდგა. ალექსანდრე ბატონიშვილის საბრძოლო ბილიკებს მიჰყვებოდა ჩოლოყაშვილის რაზმი. წინაპართა მედგარი სულის აღდგომის დღე დამდგარიყო...

ორი თვის შემდეგ კი პირველი დიდი შეტაკება მოუხდათ ქალაქ სიღნაღთან საოკუპაციო წითელ ჯართან. შეფიცულებმა გაიმარჯვეს. იმავე წელს მოაწყეს ხევსურეთის აჯანყება, რომელიც თითქმის მთელი საქართველოს აჯანყებად იქცა. რუსთა ჯარებმა ხევსურეთი გადაწვეს, მაგრამ ჩოლოყაშვილის რაზმი ხელში ვერ ჩაიგდეს. ჩოლოყაშვილი აქედან ჩეჩნეთში გადადის და საბრძოლო კავშირს ამყარებს მთიელებთან. ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი პატივისცემით ეპყრობიან. ყველას აჯადოვებს მისი არწივისებური მზერა, დარბაისლური მიხრა-მოხრა, ახოვნება და არაჩვეულებრივი სილამაზე. ბიძინა ჩოლოყაშვილის შთამომავალი ჭირში ფრთხილი და გამჭრიახია, საქმეში დინჯი, მკაცრი და პრინციპული, ომში უშიშარი და უდრეკი, ლხინში მხიარული და ენამოსწრებული, საოცრად კეთილი და ზნემაღალი. სამშობლო მუდამ სალოცავ ხატად მიაჩნია.

1922 წლის ღვინობისთვეში ჩოლოყაშვილი საქართველოში

დაბრუნდა. შეფიცულებმა არაერთი სახელოვანი ბრძოლა გადაიხადეს. სამი ზამთარი და გაზაფხული, სამი ზაფხული და შემოდგომა გაატარეს ტყეებში. თელავის, სიღნაღის, თიანეთის, დუშეთის, მანგლისის ტყეები იყო მათი სახლი. რისხვად ატყდებოდნენ ხალხის ამწიოკებლებს. ხალხში ლეგენდები და სიმღერები დადიოდა ჩოლოყაშვილის რაზმზე. მხოლოდ ჩურჩულით უამბობდნენ ერთმანეთს, თორემ ხმამაღლა თქმისთვის კაცს ციმბირი აქეთ დარჩებოდა. თუ ვინმეზე ეჭვს აიღებდნენ – ჩოლოყაშვილს ეხმარებაო, იმწამსვე ხვრეტდნენ. ხალხი მაინც ეხმარებოდა რაზმელებს სურსათ-სანოვაგით, იარაღით, თავშესაფრით. ხალხი იყო მათი მეკავშირე და მესაიდუმლე. ჩოლოყაშვილის ხსენებაზე ხალხს სახე უნათდებოდა და იმედი ესახებოდა. აი, ორიოდე სტრიქონი ჩოლოყაშვილის რაზმელის ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონებიდან:

ჩოლოყაშვილს მუკუზნის ტყეში ეწვია შაქრო ბადურაშვილი. მცირეწლოვანი ბიჭი მოუყვანა და ეუბნება: „ბელადო, ოთხი ბიჭი მყავს, შენ მოგგვარე უფროსი ჩვენი სამშობლოს ჭირის სანაცვლოდ. იმსახურე და ასწავლე სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავის განწირვა... თუ უვარგისობა გამოიჩინოს, დასაჯე, არ დაინდო, ხოლო თუ გიღალატოს, მოჰკალ, რადგან ასეთი შვილი მე აღარ მენდომება.“

1924 წლის აგვისტოს აჯანყების წინა დღეებში ჩოლოყაშვილი მანგლისის ტყეებში დაბანაკდა. აჯანყება საქართველოს ყველა კუთხეში ერთდროულად უნდა დაწყებულიყო 17 აგვისტოს. სამწუხაროდ, აგვისტოს დასაწყისში ხელისუფლებამ დააპატიმრა ვალიკო ჯუღელი, რომელმაც მხეცური წამების შემდეგ გაუმჟღავნა აჯანყების საიდუმლოება. ამის გამო აჯანყება 29 აგვისტოსათვის გადაიდო. ხელისუფლებამ ამასობაში მოასწრო ზომების მიღება: თბილისი საიმედოდ გაამაგრეს ჯარით, ჯავშნიანი მატარებლებით, ჰაეროპლანებით, შეკრეს ქალაქში შესასვლელი გზები და საალყო წესები გამოაცხადეს. მთელს საქართველოში დაიწყო ეჭვმიტანილთა დაჭერა. დააპატიმრეს ბათუმის, გურიის, კახეთის აჯანყებათა მოთავეები. ამასთან, რატომღაც 44 საათით ადრე დაიწყო ჭიათურაში აჯანყება. ამ ამბებმა აჯანყებულთა რიგებში არეულობა შეიტანა, ხოლო

ხელისუფლებას საშუალება მისცა აჯანყების დაწყებამდე გასწორებოდა მის მონაწილეებს. თბილისიდან აჯანყების ხელმძღვანელობა შეუძლებელი გახდა. 24 აგვისტოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარემ ანდრონიკაშვილმა, წევრებმა – გენერალმა სპირიდონ ჭავჭავაძემ, იასონ ჯავახიშვილმა, შალვა ამირეჯიბმა, ბოჭორიშვილმა თბილისი დატოვეს და ჩოლოყაშვილის ბანაკში გადავიდნენ. ამგვარად, აჯანყების ცენტრმა თბილისიდან ბედნის ტყეებში გადაინაცვლა. ბედნის მთაზე საზეიმო აღლუმი გაიმართა. ანდრონიკაშვილმა ეროვნული გმირის წოდება მიულოცა ჩოლოყაშვილს და აჯანყების დროშა გადასცა. 29 აგვისტოს, განთიადზე ჩოლოყაშვილი მანგლისის სამხედრო ყაზარმებს დაესხა. ცხარე ბრძოლის შემდეგ მანგლისი აიღო. შემდეგ აიღეს თონეთი, ორბეთი, წინარეხი, კავთისხევი, ძეგვი. აქ ანდრონიკაშვილი და კომიტეტის ზოგი წევრი ჩამოშორდნენ, ჩოლოყაშვილმა კი სწრაფი შეტევა განაგრძო. 3 სექტემბერს ბრძოლით დუშეთი აიღო, შემდეგ ერწოში გადავიდა. სიმონიანთ ხევში 6 სექტემბერს დიდი ბრძოლა მოიგო. აქ შეიტყო, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტს პროკლამაცია გამოეშვა: ხალხს მოუწოდებდნენ – აჯანყებას დამარცხებულად ვთვლით და იარაღი დაყარეთო. ხალხი ბევრგან დაემორჩილა ამ მოწოდებას. ჩოლოყაშვილმა მაინც სცადა აჯანყების შემობრუნება. ერწოდან კახეთში გადავიდა და ხევგრძელას ცნობილი დიდი ბრძოლა მოიგო. შემდეგ გაიარა ბორჩალო, თეთრიწყარო... და ისევ ბედნის ტყეები. ჩოლოყაშვილი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ აჯანყება წაგებული იყო. ზედმეტი მსხვერპლი აღარ იყო საჭირო. ამიტომ 1924 წლის სექტემბერში მან სამშობლო დატოვა – თავისი რაზმით თურქეთში გადავიდა, იქიდან კი საფრანგეთში წავიდა. რაზმის ზოგიერთი წევრი, მათ შორის პოეტი მიხა ხელაშვილი საქართველოში დარჩა. ხელისუფლებამ იგი ხელში ჩაიგდო და მხეცური წამებით გამოასალმა სიცოცხლეს.

ხელისუფლება დღედაღამ ეძებდა ჩოლოყაშვილს. მისი ნათესაობა დახვრიტეს, დედა და ცოლ-შვილი ციხეში გამოკეტეს. მისი შვილებიდან ერთი შვიდი წლის იყო, მეორე – სამის. დედა და შვილები ცალცალკე საკნებში ჰყავდათ ჩაკეტილი. გა-

მომძიებელი მალ-მალე იტყოდა: ეს ბავშვები კასრში უნდა ჩავსვა და დავწვაო. ბავშვები წელიწადნახევრის შემდეგ გამოუშვეს ციხიდან. პაპამ ილია მეღვინეთუხუცესმა წაიყვანა სოფელში და ორი თვე მარტო უვლიდა. ერთ ღამეს პაპაც წაიყვანეს და დახვრიტეს. უპატრონო ბავშვები ახლა მამიდამ შეიკედლა. მეორე დღეს მისი ქმარი დაიჭირეს და შეშინებულმა ქალმა ბავშვების მოვლაზე უარი თქვა. კახეთის სოფლებში განცხადებები იყო გაკრული – ვინც ჩოლოყაშვილის შვილებს შეიკედლებს, ყველას დავიჭერთო. ბავშვებს შიშით აღარავინ ეკარებოდა. უპატრონო ბავშვები წელიწადზე მეტხანს ერთ უბადრუკ საქათმეში აფარებდნენ თავს. ბავშვების დედა მხოლოდ მაშინ გამოუშვეს ციხიდან, როცა ჩოლოყაშვილმა საქართველოს საზღვრები დატოვა. ქაიხოსროს მეუღლე და უფროსი შვილი კიდევ რამდენჯერმე ისხდნენ ციხეში, ბოლოს ყაზახეთში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს. იქ ოთხ წელზე მეტი გაატარეს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, მერე სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს; მაგრამ მთელი სიცოცხლე სდევნიდნენ – არ აძლევდნენ სწავლისა და მუშაობის უფლებას. საშინელი გაჭირვება, წამება და აბუჩად აგდება იყო ჩოლოყაშვილის ოჯახის მუდმივი თანამგზავრი.

სამშობლოზე დარდს, ოჯახზე ნაღველსა და უცხო ჰავას დიდხანს ვეღარ გაუძლო ჩოლოყაშვილმა. მძიმედ დაავადებულს ძველმა ჭრილობებმაც გაუხსენა. 1930 წლის 29 ივნისს ალექსანდრე სულხანიშვილის ხელში დალია სული. სიკვდილის წინ ითხოვა – დამწვითო. ფერფლის ჩატანა სამშობლოში უფრო ადვილი იქნებაო. მაგრამ შეფიცულებმა ეს თხოვნა ვერ შეუსრულეს. თუთიისა და მუხის ორმაგ კუბოში ჩასვენებული ბელადი მტკიცე აკლდამაში დაკრძალეს იმ იმედით, რომ ოდესღაც

განთავისუფლებულ საქართველოს წმინდა მიწაში იქნეს გადასვენებულიო.

მისი დაკრძალვა და გლოვა ისეთი იყო, როგორიც ნამდვილ ეროვნულ გმირს შეშვენის. ხალხი 10 კილომეტრზე ფეხით მიაცილებდა. გლოვაში მონაწილეობდნენ უკრაინის, თურქესტანის, პოლონეთის, ინგლისის, საფრანგეთის წარმომადგენლები. კუბო შავად მოსილ ეტლზე ესვენა. კუბოზე ეფინა საქართველოს ეროვნული დროშა, ზედ კი ჩოლოყაშვილის შიშველი ხმალი ესვენა.

ერთ-ერთმა ქართველმა ასე დაიტირა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი: „უცხოეთში დახუჭე თვალები და შენი ცხედარი მივაბარეთ სამარეს, სახელოვანო გმირო.... მაგრამ სადმე ბარისახოს, შატილის, არღუნისა და არაგვის ნაპირებზედ ვინმე ხევსური დაამღერებს ფანდურს შენზედ გამოთქმულ ნაღვლიან ლექსებს და სიმღერაში იქნება ცრემლები და იმედები ქართველი ერისა. ხოლო შორეული მომავალი შეთხზავს შენზედ უცნაურ ლეგენდას: ისეთსავე უცნაურს, ვით თვით ბედი ქართლისა.“

1990 წლის შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს თბილისის აეროპორტში უამრავი ხალხი შეიკრიბა. თვითმფრინავიდან ჩამოვიდა მაღალი, ტანხმელი მოხუცი. ეს საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი ალექსანდრე სულხანიშვილი იყო. 70 წლის განშორების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. თან ჩამოიტანა ჩოლოყაშვილის დროშა და ახალგაზრდებს გადასცა (ერთი წლის წინ კი მანვე გამოგზავნა საქართველოში ჩოლოყაშვილის ხმალი და ქამარ-ხანჯალი). ახალგაზრდებმა საუკუნემიტანებული მოხუცი ხელში აიტაცეს, ჩოლოყაშვილის დროშა წინ გაიძღოლეს და ასე გაემართნენ გასასვლელისაკენ.

ეროვნული გმირის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ნეშტი 2005 წლის ნოემბერში საქართველოში გადმოასვენეს და მხედრული დიდებით მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. იქ, შორეულ საფრანგეთში კი, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე დღესაც განისვენებენ მისი თანამებრძოლები.

საქართველოს უზადო რაინდი და ჯირისუფალი

„მე საქართველოს გენერალი ვარ და
არა მენშევიკების ან ბოლშევიკების.
მე საქართველოს ვემსახურები და არა
ხელისუფლებას.“

(გ. მაზნიაშვილი).

ს საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავართაგანი იყო –

ვინც ეროვნული გმირული საქმეებით თავისი სახელი უკვდავყო და სახელოვანი ფურცლები ჩაწერა საქართველოს ისტორიაში;

ვისაც დრო და ადამიანები სასტიკად და უმადურად მოექცნენ;

ვინც თავისი საქმეებით დიდების ღირსი, ეროვნული გმირი იყო და სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს;

ვისი სახელის ხსენებაც იმპერიის ბატონობის წლებში აკრძალული იყო, რადგან გმირობა და საქართველოსათვის თავდადება დანაშაულად ჩაუთვალეს;

ვინც მრავალი წლის მანძილზე სრულიად დაუფასებელი, დევნილი და უსამართლოდ დავიწყებული იყო.

ამის გამო მისი ცხოვრების შესახებ დღეს ძალზე ცოტა რამ ვიცით.

განსაკუთრებული სამხედრო ნიჭი ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის ფრონტებზე გამოიჩინა. 1904-1905 წლებში რუსეთი სასტიკად დამარცხდა იაპონიასთან ომში. მიუხედავად ამისა ოფიცერ გიორგი მაზნიაშვილის გმირობა იმდენად გამორჩეული იყო, რომ მძიმედ დაჭრილი თვითონ იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ ინახულა პეტერბურგის ლაზარეთში და პირადად მიაბნია მკერდზე უმაღლესი სამხედრო ჯილდო – წმინდა გიორგის ჯვარი. მეფე-დედოფალმა საკუთარი ქალიშვილები მიუჩინეს მოწყალების დებად, ხოლო მისი გამოჯანმრთელება და ლაზარეთიდან გამოსვლა სამეფო ზეიმით აღნიშნეს.

არაერთ ბრძოლაში ისახელა თავი პირველ მსოფლიო ომშიც. განსაკუთრებით გაითქვა სახელი ვარშავასთან ბრძოლაში. ჯარების მართვასა და საბრძოლო ოპერაციების წარმოებაში გამოჩენილი ნიჭისა და მამაცობისათვის გენერლის წოდება მიენიჭა.

1917 წლის თებერვალში რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუცია მოხდა. მეფის ხელისუფლება დაემხო. გაჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესაძლებლობა. ამასთან მეზობლების მიერ ჩვენი მიწა-წყლის მიტაცების დიდი საფრთხეც შეიქმნა. საჭირო იყო საქართველოს დამოუკიდებლად თავდაცვაზე ზრუნვა. ეს ერთ-ერთმა პირველთაგანმა გიორგი მაზნიაშვილმა იგრძნო. 30 წლიანი სამხედრო გამოცდილების გენერალი 1917 წლის 20 სექტემბერს საქართველოში დაბრუნდა და მეორე ქართული დივიზია ჩამოაყალიბა.

სულ მალე საქართველოში ომის დიდი ქარბორბალი დატრიალდა: ჩრდილოეთიდან წითელი რუსეთი ქართველი ბოლშევიკების, აფხაზების, დაღესტნელებისა და ოსების მონაწილეობით ცდილობდა საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობას, აღმოსავლეთიდან – აზერბაიჯანელი მუსავატისტები, სამხრეთიდან – სომეხი დაშნაკები; ამას დაემატა აფხაზეთის მხრიდან თეთრგვარდიელი დენიკინელების შემოსევა; სამხრეთ-დასავლეთიდან კი ბრესტის ზავით ხელგახსნილი თურქეთი ჭოროხსგაღმა საქართველოს დაეპატრონა და ახლა აჭარისა და ბათუმის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. მთავრობა მაზნიაშვილს იქ აგზავნიდა, სადაც ყველაზე მძიმე ვითარება იქმნებოდა. მაზნიაშვილი ყველა ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდიოდა.

1918 წლის აპრილში თურქებმა დაიპყრეს აჭარა, ბათუმი, ოზურგეთი, ლიხაური, ნატანები, ოჩხამური. თურქთა ჯარის სარ-

დალმა ქიაზიმ-ბეგმა თავი ბათუმის გენერალ-გუბერნატორად გამოაცხადა. საქართველოს მთავრობამ მაზნიაშვილი შავი ზღვის სანაპიროს ჯარების სარდლად მიავლინა. მაზნიაშვილმა უმოკლეს დროში ჩამოაყალიბა ქართული ჯარი და ცხარე ბრძოლებით გაათავისუფლა თურქთაგან ოკუპირებული ტერიტორიები, რის შემდეგაც დაიდო საქართველოსა და ოსმალეთის დროებითი ზავი. მალე თეთრგვარდიელმა გენერალმა დენიკინმა დაიწყო აფხაზეთის დაპყრობა. შავი ზღვის სანაპიროს ჯარების სარდალი მაზნიაშვილი აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად ინიშნება. მან სასწრაფოდ შექმნა აფხაზეთის ტერიტორიული ჯარი, შეიერთა 300 აფხაზი ცხენოსანი და 27 ივნისს შეტევაზე გადავიდა. ცხარე ბრძოლებით გაათავისუფლა თეთრგვარდიელებისაგან გაგრა, სოჭი, ტუაფსე, ანუ საქართველოს ოდინდელი ისტორიული მხარე ჯიქეთი; მაგრამ საქართველოს მთავრობის ბრძანების შემდეგ უკან დაიხია და სოჭის ტერიტორია დატოვა.

1918 წლის 18 ოქტომბრიდან სომხეთის შეიარაღებულმა ჯარმა ომის გამოუცხადებლად გადმოლახა საქართველოს საზღვრები და დაიწყო ლორესა და ახალქალაქის ოლქების ოკუპაცია – ძარცვავდნენ და წვავდნენ სოფლებს, ხოცავდნენ ქართველ ჯარისკაცებსა და მოსახლეობას, აიარაღებდნენ და ქართველების წინააღმდეგ აჯანყებდნენ ადგილობრივ სომეხ მოსახლეობას. ნოე ჟორდანია საკმაოდ დიდხანს ამშვიდებდა ყველას, რომ ეს მხოლოდ კერძო პატარ-პატარა ბანდების თარეშია და არა ომიო. ქართველ ჯარისკაცებს უკრძალავდა მტრის წინააღმდეგ იარაღის გამოყენებას. მაზნიაშვილი ამ დროს თბილისის გენერალ-გუბერნატორი და პირველი დივიზიის სარდალი იყო. ბოლოს საქართველოს ხელისუფლებამ აღიარა, რომ ეს იყო სომხეთის მიერ წარმოებული გამოუცხადებელი ომი. მაზნიაშვილი ინიშნება ლორე-სადახლოს ფრონტის სარდლად, მერე კი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად. მაზნიაშვილმა ლორე-დებედის ფრონტზე მტერს სასტიკი დამარცხება აგემა. ქართული ჯარი ძლევამოსილ შეტევაზე გადავიდა. ჟორდანიამ ქართული სარდლობისაგან ფარულად სომხეთის თხოვნა მიიღო, შეაჩერა

ქართული ჯარის წინსვლა და საზავო მოლაპარაკება გამართა. ინგლისს სათავისოდ უნდოდა სადახლო-მაღალის რკინიგზა, ალავერდის სპილენძის მადნეული და ბაქოს ნავთობი. ამიტომ საზავო მოლაპარაკებაში ჩაერთო და იმას მიაღწია, რომ სომხეთ-საქართველოს საზღვარი გასულიყო იმ მომენტისათვის არსებულ ფრონტის ხაზზე და არა ადრე არსებულ სახელმწიფო საზღვარზე.. ჟორდანიას ხელისუფლებამ ამ მოღალატური ხელშეკრულებით დათმო საქართველოს ისტორიული ოლქი და სამხრეთის ბუნებრივი ჭიშკარი – ლორე-ბამბაკის მხარე 43 სოფლით, ალავერდის სპილენძით მდიდარი საბადოებით და 50 კილომეტრიანი რკინიგზით. ისინი ნეიტრალურ ტერიტორიად გამოცხადდა.

ნ. ჟორდანიას ხელისუფლებას წინასწარ აცნობეს, რომ რუსეთის ხელისუფლება ბაქოში ქმნიდა მე-11 წითელ არმიას საქართველოზე თავდასასხმელად. იცოდა თარიღიც, როცა ეს თავდასხმა უნდა მომხდარიყო. მიუხედავად ამისა მან არაფერი გააკეთა, რომ ქვეყანა თავდაცვისათვის მოემზადებინა. პირიქით, ქართული ჯარიც და სარდლობაც დემობილიზაციაში გაუშვა. ამიტომ რუსეთის შემოსევას ქვეყანა სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. თუმცა სამხედრო მინისტრი იმ დროს ჭიჭინაძე იყო, ფაქტობრივად სამხედრო საქმეს შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი განაგებდა. დამფუძნებელ კრებაზე მან რიხით განაცხადა, რომ მუდმივად ჯარის შენახვა საჭირო არ არის, რადგან მზად მყავს და ომის შემთხვევაში შემიძლია 60 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარის გამოყვანაო. როდესაც რუსეთი ომის გამოუცხადებლად თავს დაგვესხა და საქართველოს დაპყრობა დაიწყო, რამიშვილის ტრაბახი საპნის ბუშტივით გაქრა.

მაზნიაშვილი იმ დღეებში სოდანლუღის ჯარების სარდალი იყო. მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე კი მცხეთის ხაზს იცავდა. პირველ დღეებში ქართულმა ჯარმა ფრონტზე დიდ წარმატებებს მიაღწია და რუსებს უკან დაახევინა. იმ დღეებში თბილისის ქუჩებში ჩამოატარეს რუსი სამხედრო ტყვეების დიდი ჯგუფებიც; მაგრამ გაურკვეველი მიზეზებით საქართველოს მთავრობამ ქართულ ჯარებს უკან დახევა უბრძანა. ქართვე-

ლი გენერლები წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ მთავრობამ ისინი საბოლოოდ აიძულა ბრძანებას დამორჩილებოდნენ, ბათუმამდე დაეხიათ და ქართული მიწა-წყალი მტრისთვის ჩაებარებინათ. მაზნიაშვილი თავის მოგონებებში წერს: „იმ კრებაზე, სადაც ეს გადამწყვეტი დადგენილება მიიღეს, არამცთუ არ მიგვიწვიეს ჩვენ, ფრონტის უფროსები, რომელნიც ფრონტს თვალით დავ-ყურებდით და კარგად ვიცოდით მოწინააღმდეგისა და ჩვენი ძალები, მათი და ჩვენი სულიერი განწყობილება, არამედ არც შეგვეკითხნენ, ჩვენი აზრის მოსმენა არცკი ინებეს.“ აშკარაა, რომ ჟორდანიას მთავრობა არ ფიქრობდა საქართველოს დამო-უკიდებლობის დაცვას.

1921 წლის 17 მარტს ჟორდანიას მთავრობა და სამხედ-რო ხელმძღვანელთა ნაწილი ემიგრაციაში წავიდა. გ . მაზ-ნიაშვილი მათ არ წაყვა, სამშობლოში დარჩენა გადაწყვიტა. თურქეთმა დრო იხელთა, საქართველო უპატრონოდ ჩათვალა და ბათუმის ოლქი დაიპყრო. რუსეთს თურქეთთან საზავო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული და მათთან ომს მოერიდა. საქართველოს ხელისუფლება კი ისე წავიდა, რომ დამარცხე-ბაზე ხელი არ მოუწერია. მაზნიაშვილი იყო იმ დროს კანო-ნიერი ხელისუფლების ერთადერთი წარმომადგენელი. მაშინ რუსთა მე-11 არმიის სარდალმა ს. ორჯონიკიძემ გ. მაზნი-აშვილს დამოუკიდებელი საქართველოს სახელით სამხედრო მოქმედების დაწყების უფლება მისცა: თქვენ, მენშევიკების გე-ნერალო, კანონგარეშე ხართ გამოცხადებული და ნებისმიერ ჩვენგანს სრული უფლება გვაქვს დაგხვრიტოთ. მაგრამ არ მოგკლავთ. გაძლევთ მოქმედების თავისუფლებას თურქთა წი-ნააღმდეგო. მაზნიაშვილმა უპასუხა: მე არც მენშევიკების გე-ნერალი ვარ, არც ბოლშევიკებისა. მე საქართველოს გენერალი ვარ. საქართველოს ვემსახურები და არა ხელისუფლებასო. გ. მაზნიაშვილმა სასწრაფოდ შემოიკრიბა დაფანტული ქართვე-ლი მეომრები და სამდღიანი ბრძოლის შემდეგ თურქთა ჯარი დაამარცხა, განდევნა და განთავისუფლებული აჭარა და ბათუ-მი ბოლშევიკებს ჩააბარა. დღეს რომ შავშეთ-კოლა-არტაანისა და ტაო-კლარჯეთის ქართული მიწა-წყალი თურქეთის ხელშია, ეს ნოე ჟორდანიას უპასუხისმგებლო ხელისუფლების ბრალია,

ხოლო მათი ბედი აჭარას რომ არ ერგო და ისევ დედასამშობლოს კუთვნილებაა, ეს სწორედ გენერალ მაზნიაშვილისა და მისი მეომრების დამსახურებაა. მიუხედავად ამ დიდი დამსახურებისა, ბოლშევიკებმა ის მაინც დააპატიმრეს, კონტრრევოლუციონერობისა და ბანდიტიზმის ბრალდებით გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს. მერე ეს განაჩენი პატიმრობით შეუცვალეს. სამი წელი დაჰყო ციხეში. ბოლოს ლენინს მიმართა თხოვნით, რომ უცხოეთში წასვლის უფლება მიეცათ. ლენინის განკარგულებით ციხიდან გაათავისუფლეს და სამშობლოდან გაძევება მიუსაჯეს. იგი პარიზში ჩავიდა; იქ კი ჟორდანიას მთავრობის წევრებმა უსაყვედურეს – ბოლშევიკებს რატომ დაეხმარე აჭარის გათავისუფლებაში, მათთან რატომ იბრძოდიო. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ კი მასზე ჭორები გაავრცელეს – ჩოლოყაშვილის რაზმი იმიტომ დამარცხდა, რომ ბოლშევიკებს მაზნიაშვილმა გადასცა აჯანყების გეგმაო. მან სცადა ამ ცილისწამებაზე ემიგრანტების გაზეთში პასუხი გაეცა და თავი ემართლებინა, მაგრამ განცხადება არ დაუბეჭდეს. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა და უსამართლოდ შეურაცხყოფილმა გენერალმა სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. იგი წერს: „დავკარგე სრული იმედი და რწმენა მენშევიკური პარტიის ლიდერებისა. ამ პირობებში, ემიგრაციაში ცხოვრება ჩემთვის დღითიდღე უფრო მძიმე ხდებოდა. ჩემი ფიზიკური არსებობის ერთადერთი სახსარი იყო 500 ფრანკიანი რენტა, რომელსაც ვიღებდი ყოფილი მთავრობისაგან. ამ ფულზე უარის თქმა ჩემთვის, უხელო ადამიანისათვის, ნიშნავდა შიმშილით სიკვდილს. ამ რენტის მიღება იმის შემდეგ, რაც დავკარგე იმედი მთავრობის წევრების ნაყოფიერი მუშაობისა, ჩემთვის უხერხული იყო. ამ გაჭირვებამ და ჩემი პიროვნებისა და პატიოსნების აბუჩად აგდებამ მაიძულეს მიმემართა საბჭოთა მთავრობისათვის შეემოკლებინათ ჩემი გაძევების ვადა და როდესაც ნებართვა მივიღე, გადავწყვიტე დავბრუნებულიყავი სამშობლოში, შევერთებოდი ჩემს ორ მილიონ მოძმეს და მათთან ერთად გამეზიარებინა ბედნიერებაცა და უბედურებაც.“ ეს იყო მეორე შემთხვევა, როცა მაზნიაშვილმა უშრომელ ხელფასზე უარი თქვა. პირველად კი ჟორდანიას მთავრობის

დროს, როცა იგი ახალქალაქის ფრონტის სარდლობიდან გაათავისუფლეს და თავდაცვის შტაბის რეზერვში გადაიყვანეს ხელფასის შენარჩუნებით, მან რამდენიმე თვის შემდეგ მუქთა ხელფასზე უარი განაცხადა. ეს ფაქტები მის უაღრეს პატიოსნებაზე მეტყველებს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კასპის რაიონის მშობლიურ სოფელ სასირეთში ცხოვრობდა. საქართველოში წარმოებულ ბრძოლებში მიღებული ჭრილობების გამო ერთი ხელი და ფეხი დაზიანებული ჰქონდა. ხეიბარსა და უსახსრო კაცს ცხოვრება ძალიან უჭირდა. მაშინ, როცა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ აჯანყების მოწყობასა, ქართველი ხალხის ხოცვა-ჟლეტასა და ხელისუფლების დამხობაში მონაწილე შინაგამცემებს საკავშირო პენსიები, ორდენები და საგანგებო პრივილეგიები ჰქონდათ მინიჭებული სიცოცხლის ბოლომდე. 1930-იან წლებში სტალინური რეპრესიების დროს, როცა უდანაშაულო ადამიანებს იჭერდნენ და ხვრეტდნენ, მაზნიაშვილს ნათესავები და ახლობლები მალავდნენ. ბოლოს ვიღაც გარეწარმა მისი ადგილსამყოფელი ხელისუფლებას შეატყობინა. 80 წლის მოხუცი ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და სამშობლოს ღალატის ბრალდებით დახვრიტეს თავის შვილთან ივანესთან ერთად 1937 წლის 9 სექტემბერს. ვინ იყო სამშობლოს მოღალატე – მაზნიაშვილი თუ მისი სიკვდილით დამსჯელი ჯალათები, ეს ჯერ კიდევ საკითხავია ამ ცოდვა-ბრალიან წუთისოფელში.

მერე ხელისუფლება გულმოდგინედ ცდილობდა მისი სახელი ამოეშალა არა მარტო საქართველოს ისტორიიდან, არამედ ხალხის მეხსიერებიდანაც კი, რომ ხალხს სამუდამოდ დავიწყებოდა თავისი ეროვნული გმირები. მაზნიაშვილის ოჯახის წევრებსაც კი ეშინოდათ მისი სახელის ხსენება. დუმილი ძალიან დიდხანს გაგრძელდა. სწორედ ამიტომაც ამ დიდი მამულიშვილის, დამოუკიდებელი საქართველოს დამსახურებული რაინდისა და ჭირისუფლის შესახებ დღეს ძალზე ცოტა რამ ვიცით. დაკარგულია მისი სამარეც კი. შთამომავლობას მისი ტკივილიანი მოგონებები და რამდენიმე გაცრეცილი ფოტოღა შემორჩა.. და კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს მთავარსარდლის გიორგი კვინიტაძის მოკლე, მაგრამ ბევრისმთქმელი შეფასება:

„გენერალი მაზნიაშვილი მამაცი პიროვნებაა. რამდენჯერმე მინახავს ტყვიების წვიმაში და შეგიძლიათ მერწმუნოთ, გულოვნება არც მაშინ ღალატობს, როცა ვითარება უკიდურესობამდე სახიფათო შეიქმნება ხოლმე. ასეთი სიმამაცე მეტისმეტიც კია, თავი აქვს გადადებული და შესაძლოა არაერთხელ დაგვეკარგა ისეთი კაცი, ვისი დაკარგვაც ლახვარს ჩაგვცემდა.“

ჩვენდა საუბედუროდ იმპერიამ (თეთრმაც და წითელმაც) და იმპერიის მსახურმა ზოგიერთმა სულგაყიდულმა ქართველმა გიორგი მაზნიაშვილის მსგავსი ბევრი დიდი მამულიშვილი დაგვიღუპეს, რამაც მართლაც ლახვარი ჩასცა საქართველოს მომავალს და მონობიდან თავდახსნა მრავალი წლით დააგვიანა. შთამომავლობამ, საქართველოს მომავალმა თაობებმა უნდა გაითავისონ ერთი უდაო ჭეშმარიტება: ამ ქვეყანაზე ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანი ცოტა იბადება. ქვეყანა კი მხოლოდ მაშინ მიდის წინ, როცა ნიჭიერ შვილებს უფრთხილდება და მიჰყვება. უბედურია ის ერი, რომელსაც ეს არ ესმის. სანამ ნიჭიერი შვილების გაფრთხილებას და დაფასებას არ ვისწავლით, არაფერი გვეშველება. ნიჭიერი შვილის დაღუპვით მტერს ვეხმარებით – მტრის გულს ვახარებთ!

სიმღერა დარდის წამალიაო

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ზაქარია ფალიაშვილს ხმის ჩამწერი აპარატი უყიდა. ზაქარიამ ზურგზე მოკიდებული ამ მძიმე მოწყობილობით მთელი საქართველო ფეხით შემოიარა, უამრავი ხალხური სიმღერა ჩაიწერა, დაამუშავა და დავიწყებას გადაარჩინა. ამ მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ დაიწყო წერა ოპერისა „აბესალომ და ეთერი“. მოულოდნელად ცხრა წლის შვილი ერეკლე ტრაგიკულად დაეღუპა. ბიჭი მუსიკის საოცარი ნიჭით იყო დაჯილდოებული. ზაქარია სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და ოპერაზე მუშაობა ვეღარ შეძლო. დიდმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა დამწუხრებული ზაქარია სოფელში სტუმრად მიიწვია – იქნებ ცოტა დარდი გადაეყაროსო.

საამო ბუნებამ, მასპინძლის გულითადობამ და სამშობლოს წარსულზე საინტერესო საუბრებმა ზაქარიას შვება მოჰგვარა. ერთ ღამეს ფალიაშვილს მინდვრიდან სიმღერა შემოესმა. ქვათახეველი მეურმე ისეთი გრძნობით და სევდით მღეროდა ურმულს, რომ კომპოზიტორი ააღელვა. მეურმეს გამოედევნა, დაეწია და ჰკითხა:

-- კაცო, ისეთი რა გაგჭირვებია, რომ ასე სევდიანად მღერი?

– ერთადერთი ვაჟიშვილი დამეღუპა და ეგ არის ჩემი ვარამი. სიმღერა კი დარდის წამალია. – უპასუხა მეურმემ.

ზაქარია გულჩაწყვეტილი გამობრუნდა და მასპინძელს უთხრა: – ამ უბრალო გლეხკაცს ათას ჩვენისთანაზე მეტი სიბრძნე აღმოაჩნდა. სიმღერა დარდის წამალიაო – არა მგონია ამაზე სხარტი და უკეთესი რჩევა ჩემთვის ვინმეს მოეცა. ხვალვე თბილისში უნდა დავბრუნდე. ჩემი ხალხის სამსახურში შესვენების უფლება არა მაქვს.

ამბობენ, დიდმა კომპოზიტორმა სწორედ ამ ამბით შეძრულმა შექმნაო გენიალური ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“. დიდ ადამიანებს მოშურნე და ჭია-ღუა მტრები არასოდეს გამოელევათ. უნიჭო მედროვეებმა ხელისუფლებაში უჩივლეს – „დაისის“ მუსიკა მენშევიკურია და არა ბოლშევიკური, ჩვენი საზოგადოებისათვის მავნე და მიუღებელიაო. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქმის გასარჩევად საგანგებო კომისია შექმნა. მოხდა იშვიათი შემთხვევა: კომისიის თავმჯდომარედ მაშინ უკვე ცნობილი და ნიჭიერი კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე დანიშნეს. როცა კომისიის წევრებმა „დაისისა“ და მისი ავტორის ლანძღვით გული იჯერეს, ვიქტორ დოლიძემ მათ წინასწარმეტყველური დასკვნითი სიტყვით მიმართა: – არ ვიცი, „დაისის“ მუსიკა მენშევიკურია თუ ბოლშევიკური, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ როცა დაიხოცებით, ყველას ამ მუსიკით გაგასვენებენო. შერცხვენილი კომისიის წევრები სხდომიდან უხმოდ გაიძურწნენ. ზაქარია ფალიაშვილი კი ისტორიაში შევიდა როგორც დიდი ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, სახალხო არტისტი, ქართული მუსიკის კლასიკოსი!

როგორ გადარჩა ქართული განძი

ძველი დროის მწერლებიდან ზოგის მარტო გვარი და სახელი ვიცით, მათ წიგნებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ზოგი ისეთი ნაწარმოები გვაქვს, რომლის ავტორიც უცნობია ანდა წიგნის ნაწილია დაკარგული. მეთორმეტე საუკუნის გენიალური ოქრომჭედლების ბექა და ბეშქენ ოპიზარების სულ რამდენიმე ნაწარმოებმა მოაღწია ჩვენამდე. „ვეფხისტყაოსნის“ მეთექვსმეტე საუკუნეზე ადრინდელი ხელნაწერი არა გვაქვს. რატომ? ეს ძირითადად მტრის მრავალსაუკუნოვანი თარეშის ბრალია. ისინი ანადგურებდნენ, ანდა იტაცებდნენ და მიჰქონდათ ჯვარ-ხატები, წიგნები, სამკაულები და ნივთები, რაც კი მოეწონებოდათ. წინა მოთხრობებიდან თქვენ უკვე იცით, თუ რა რაოდენობის განძი გაზიდა მარტო რუსეთმა. სხვებს ვინღა მოთვლიდა.

სამწუხაროდ, ამას თვითონ ქართველებიც უწყობდნენ ხელს. გასულ საუკუნეში ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: ქართველები „გასაკვირველ ზნეს იჩენდნენ: რაც კი რამ კარგი მოეპოვებოდათ, ყველაფერი უცხოელებისათვის უნდოდათ! რომ ეს არა, ჩვენი მუზეუმები ახლა ერთი-ათად უფრო მდიდრები უნდა გვქონდეს ხელნაწერებითა და სამახსოვრო საგნებით, ხოლო უცხოეთის მუზეუმებში ჩვენთვის სანუკვარი არც ერთი ძეგლი არ უნდა იყოს მოხვედრილი ქართული კულტურისა.“

ექვთიმე თაყაიშვილი ილია მართლის უმცროსი თანამედროვე იყო. მან მიზნად დაისახა ქართული სიძველეების პატრონობა. ამისათვის შექმნა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. შემდეგში იმ წლებს ექვთიმე ასე იხსენებდა: „მივიხედ-მოვიხედე, შევიტყვე, რომ იმ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალაუნებურად მოვკიდე ხელი. დავუწყე პატრონობა. მერე თანდათან გამიტაცა, შემიყვარდა და ვიწყე ზრუნვა დაღუპვისაგან მათ გადარჩენაზე. თან ახალ-ახალსაც ვაგროვებდი.“

ექვთიმემ „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე უძველესი ხელნაწერი აღმოაჩინა. ერთ-ერთ ოჯახში ნაგავში გადაგდებული ძველი წიგნი იპოვა. ეს იყო მეფე გიორგი ბრწყინვალის დროინდელი



„ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელსაც ძალიან დიდი მეცნიერული ღირებულება ჰქონდა.

აი, რას წერს ქართველთა მაშინდელ უზრუნველობასა და ექვთიმეს საქმიანობაზე ისტორიკოსი ლევან სანიკიძე: „ერთმა – საქართველოში სტუმრად ჩამოსულ იმპერატორს ალექსანდრე მეორეს ვლახერნის უბრწყინვალესი ხატი მიართვა. რუს ხელმწიფეს გაუკვირდა და, მადლობა ღმერთს, საჩუქარი უკანვე დააბრუნა.

მეორემ – მეფისნაცვალს ერეკლე მეფის თოფი აჩუქა, ის თოფი, ასპინძის ბრძოლაში ხელთ რომ ეპყრა გმირ ხელმწიფეს. მაგრამ ისევ რუსმა მოხელემ გააწბილა „გულუხვი ქართველი“ – ეს თოფი თქვენი ეროვნული სიამაყეა და თქვენ უფრო დაგშვენდებათ მისი შენახვაო;

მესამემ – „ვეფხისტყაოსნის“ ერთი უსაჩინოესი ხელნაწერი ვორონცოვს მიუბოძა; ვორონცოვმაც მიირთვა და ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ ძლივს მოხერხდა ამ ხელნაწერის დაბრუნება საქართველოში;

მეოთხემ – კიდევ ერთი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“ საქართველოში სტუმრად მოსული ფრანგი მოგზაურის, ბარონ დებაის საჩუქრად გასწირა, მაგრამ თვითონ ექვთიმე თაყაიშვილმა ააღებინა ხელი ასე ჰაიჰარად გამეტებული ეროვნული ძეგლის გაჩუქებაზე.

მეხუთემ – „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ სხვა ხელნაწერიდან ძვირფასი მინიატურები ამოჭრა და ვიღაც სომეხ ჩარჩ-ვაჭარს მიჰყიდა. ექვთიმე თაყაიშვილმა დიდის წვალებით და დავიდარაბით უკანვე მოაბრუნა ქართულ საგანძურში ის მინიატურები;

მეექვსემ – ევროპაში მოინდომა „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთი უნიკალური ხელნაწერის გაყიდვა, მაგრამ ამჯერად იმ ოჯახ-

ში ჩასიძებულმა ინგლისელმა ოფიცერმა არ დაანება: „ეგ ისეთი რამ გქონიათ, რომ ეროვნული სიამაყის საგანია და არ უნდა გაყიდოთო.“ – უთქვამს იმ ღვთისნიერ უცხოელს ჩვენი რეგვენი თანამემამულისათვის.

მეშვიდემ – სოფელ ბორში ნაპოვნი, ცხენის გამოსახულებიანი და წარწერებიანი ვერცხლის თასი კინადამ ისევ დე-ბაის მიჰყიდა, მაგრამ თაყაიშვილმა ისევ არ დაანება...“

ასე დაუღალავი შრომითა და ძიებით ექვთიმემ მრავალი დიდი ისტორიული და ეროვნული მნიშვნელობის განძი გადაარჩინა დაღუპვას. მან საქართველოს სიძველეებზე საყურადღებო მეცნიერული შრომები დაწერა. თაყაიშვილი პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელმაც დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. ფეხით შემოიარა საქართველოს ყველა კუთხე და ისტორიული ძეგლები აღწერა. სამხრეთ საქართველოში (რომელიც ამჟამად თურქეთშია მოქცეული) მან სამჯერ იმოგზაურა იქაური ძეგლების შესწავლის მიზნით.

მაგრამ მალე საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობის ამბები მოხდა. ამ ამბებმა ექვთიმეს წამებულის ცხოვრება, მერე კი უკვდავება არგუნა.

1921 წელს უცხოეთში გადახვეწილმა საქართველოს მთავრობამ გადარჩენის მიზნით თან წაიღო ქართული მუზეუმების განძეულობა. 39 ყუთი ქართული განძი საფრანგეთში ჩაიტანეს და ბანკს მიაბარეს შესანახად. ამ განძის შეგროვებაში ყველაზე დიდი წვლილი ექვთიმე თაყაიშვილს მიუძღოდა. ამიტომ იგი იძულებული გახდა განძს საპატრონოდ გაჰყოლოდა საფრანგეთში.

ქართული განძის ამბავი მალე გახმაურდა. ადრე ერთმა რუსმა ჩვენი მინანქრები გაიტაცა საქართველოდან და ამერიკელებს ორასიათას მანეთად მიჰყიდა. ახლა ამერიკელებმა განიზრახეს ქართველებისაგან მინანქრების ახალი კოლექცია ეყიდათ. მათ ჟორდანიას მთავრობასთან მოლაპარაკება გამართეს. ექვთიმემ გაიგო ეს ამბავი და ქართველებს ხელი ააღებინა განზრახვაზე. მერე ინგლისის მუზეუმმა სცადა ქართული განძის ხელში ჩაგდება. ექვთიმემ ეს მოლაპარაკებაც ჩაშალა. სამეგრელოს მთავრის დადიანის შვილი სალომე პარიზში ცხოვრობდა. იგი რუსი გრაფის ობოლენსკის მეუღლე იყო. სალომე ობოლენსკაიამ

იჩივლა სასამართლოზე – განძის ნაწილი დადიანების საკუთრება იყო და მე უნდა მომცეთო. მას ქართველი ემიგრანტებიდან ბევრი წამქეზებელი ჰყავდა. შვიდი წელი იბრძოდა ექვთიმე სასამართლოზე განძის გადარჩენისათვის. ბოლოს ობოლენსკაიას უარი უთხრეს.

1934 წელს საფრანგეთის მთავრობამ იქ თავშეფარებული საქართველოს მთავრობა ძალადაკარგულად ჩათვალა. ქართული ეროვნული განძი უპატრონოდ გამოცხადდა. მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა ეთქვა, რომ ეს განძი კერძო მუზეუმების საკუთრებაა და არა სახელმწიფოსი. მუზეუმების ერთადერთი წარმომადგენელი ექვთიმე თაყაიშვილია და განძზე ზრუნვაც მას ეკისრებაო.

1940 წელს საფრანგეთი გერმანელებმა დაიპყრეს. მათ გაიგეს ქართული განძის ამბავი და ძებნა დაიწყეს. ექვთიმემ და ფრანგმა მოხელემ პიერ ჟოდონმა განძი ბანკიდან გააპარეს და ვერსალის სასახლის ერთ ბნელ სარდაფში დამალეს. ზედ ნაგავი და ნაშალი ბათქაში დააყარეს. ასე შეინახეს ოთხ წელიწადს.

ექვთიმე დიდ გაჭირვებასა და შიმშილს განიცდიდა. ერთი ნივთიც რომ გაეყიდა, ფუფუნებაში იცხოვრებდა. მაგრამ იგი დღედაღამ ზედ დაჰკანკალებდა განძს. შიმშილობდა, ფულს ზოგავდა და შეძლებისდაგვარად სხვებისგან ყიდულობდა ქართულ ხელნაწერებსა თუ სხვა სიძველეებს და ქართულ განძს უმატებდა.

ომის დამთავრებისას ექვთიმეს დაჟინებული მოთხოვნით შესაძლებელი გახდა განძის სამშობლოში დაბრუნება. ოცდახუთი წელი გაატარა უცხოეთში დიდმა მეცნიერმა და ყველაფერი იღონა განძის გადარჩენისათვის. 82 წლის ავადმყოფმა და ჯანგატეხილმა მოხუცმა თბილისში ჩამოსვლისას თქვა: „ახლა შემიძლია ვთქვა, რომ შევასრულე ჩემი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე.“

რამდენიმე წლის შემდეგ სტალინური რეპრესიები ახალი ძალით დაატყდა საქართველოს. ბევრი მამულიშვილი დააპატიმრეს. 1952 წელს მოხუცი და ავადმყოფი ექვთიმე, რომელსაც ფეხზე დგომაც კი უჭირდა, უშოშროების კომიტეტში (სუკი) დასაკითხად წაიყვანეს. მას საფრანგეთის ჯაშუშობა დააბრალეს. ამის მერე იგი, როგორც საეჭვო პიროვნება, სამსახურიდან და-

ითხოვეს და აღარც პენსია დაუნიშნეს. ყველას უკრძალავდნენ მასთან მისვლას. იმის საშუალებაც კი არ მისცეს, რომ 90 წლის უმწეო მოხუცს ვინმე მომვლელი აეყვანა.

ამაგდარი კაცი სრულ სიდუხჭირეში და მარტოობაში გარდაიცვალა 1953 წელს. ხალხმა დაკრძალვაზეც კი ვერ გაბედა მისვლა. მხოლოდ ორმოცამდე ახლობელი და ნათესავი მიაცილებდა მის ნეშტს. ათი წლის შემდეგ, როცა სტალინური სასტიკი რეჟიმი გადაქარდა, შესაძლებელი გახდა ექვთიმე თაყაიშვილის ნეშტის დიდების პანთეონში გადასვენება. იქვე დაკრძალეს მისი მეუღლის ნინოს ნეშტიც, რომელიც პარიზიდან გადმოასვენეს.

სამშობლოსათვის წმინდა მოწამის ცხოვრება განვლო ექვთიმე თაყაიშვილმა. დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის თავგანწირვა და პატიოსნება ლეგენდად დარჩა. ნახევარი საუკუნის შემდეგ ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა. 16 იანვარი წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის ხსენების დღეა.

სადღეგრძელო

ერთხელ რუსი პოეტი სერგეი ესენინი საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა. ქართველმა პოეტებმა გულითადი მასპინძლობა გაუწიეს. საპატიო სტუმარი კოჯრის ციხეზე აიყვანეს, საიდანაც დიდებულად ჩანდა დათოვლილი კავკასიონი, ბებერი თბილისი, მწუხარე მარაბდა, დაუვიწყარი დიდგორი. მერე ბეთანიის მონასტერში წმინდა მეფეთა-მეფის თამარის დიდებული ხატი ინახულეს.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, სამადლოზე თეთრ დუქანში ისადილეს. სტუმრის თხოვნით სუფრა გზისპირა მდელოზე გააშლევინეს.

გაიმართა ლხინი. პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ენამზეობაში. საღამოპირზე გზაზე ურმები გამოჩნდა. ქალაქში სავაჭროდ ჩასული გლეხები უკან ბრუნდებოდნენ. რამდენმა მეურმემაც გაიარა, ესენინმა სუფრასთან მიიწვია – დაილოცეო.

ერთმა მეურმემ ყანწი ჩამოართვა და უთხრა: – ცოტა გვერ-

ლზე მიდექ, თამარ მეფის ოქროს ქოშის ნაკვალევი არ წაშალო. თუ ვერ ხედავ, დაიჩოქე, მიწას სული შეუბერე და გამოჩნდება. ასეა, ჩემო ძმისწულო, ქართველები ჩვენს წმინდა მიწაზე ვდგავართ. ხშირადაც ვიჩოქებთ და ვკოცნით წინაპრის ნაფეხურსა. ძალაც იქიდან გვეძლევა. იმიტომ არი, მტერი და დუშმანი რომ ვერ გვერევაო. ეს იმათი დიდებისა იყოს, ვისაც აქ გაუვლია, კვალი დაუტოვებია, ხატი და სანთელი უდიდებია, თვითონ თავი გაუწირია და ჩვენი მიწა-წყალი დაუცავს, ჩვენი ჯილაგი დღემდე მოუტანიაო.

მეორემ თქვა: – ღმერთმა პურისჭამა ნუ მოგიშალოთ. ვინც თქვენს შემდეგ ამ მდელოზე სუფრას გაშლის და თქვენ გაგიხსენებთ, ვინც მწყურვალს ღვინოსა და მშიერს ლუკმას მიაწვდის, პერანგს გაიხდის და სხვას ჩააცმევს, წასულის შესანდობარსა და მომავლის დღეგრძელობას იტყვის, სიკეთის უღელში შეებმევა და კაცობის კვალს დატოვებს – იმას გაუმარჯოსო.

მესამემ თქვა: – სითაც წადგეთ და წამოდგეთ, ამ დაღლილი მზის მადლი ნუ მოგეშალოთო.

მეოთხემ თქვა: – გაუმარჯოს ხარის ქედს, გუთნის ღვედს, ცის ნამს, დედამიწის მოსავალს, კაცის მარჯვენას და მშობიარე დედაკაცსაო.

და უცებ ესენინი ცხარე ცრემლით ატირდა.

– რა ატირებს ესენინსო? – შეწუხდნენ პოეტები.

– რა მატირებს და ჩემი უძლურება – მე, რუსეთის დიდ პოეტს რომ არ შემიძლია სადღეგრძელოს ისე ლამაზად თქმა, ეს უსწავლელი გლეხები რომ ამბობენო. – თქვა ესენინმა.

ლეგენდად ქცეული ძმობა

მრავალი უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა 1937 წლის რეპრესიებს. ყველგან შეთქმულება ელანდებოდათ და ეჭვმიტანილებს იჭერდნენ. ჩეკისტებს ხალხის დაჭერის ასეთი მეთოდი ჰქონდათ: წინასწარ შეადგენდნენ ათი უდანაშაულო კაცის სიას. მათგან ერთს დაიჭერდნენ და წამებით აიძულებდნენ დანარჩენ ცხრაზე ეთქვა მათივე შეთხზული ცილისწამება. მერე

დანარჩენებს დაიჭერდნენ ამ ბრალდებით და წამებით აიძულებდნენ შეთითხნილი „დანაშაულის“ აღიარებას. ხალხიც სულ უბრალოდ იმეტებდა ერთმანეთს. მეზობელი, ამხანაგი, ნათესავი, ანდა ოჯახის წევრიც კი აბეზღებდა მახლობელს – ხალხის მტერიაო. მოვიდოდნენ შუაღამისას, ლოგინიდან ააყენებდნენ მძინარეს და წაიყვანდნენ. დაჭერილების უმეტესობა საშინელ წამებას ვეღარ უძლებდა და დაიბრალებდა – დამნაშავე ვარო. მერე ან ციმბირის ყინულეთში გადაასახლებდნენ, ან დახვრეტდნენ. დღეს მათი საფლავებიც კი არავინ იცის. საშინელ დევნას განიცდიდნენ მათი ოჯახის წევრებიც. მაგრამ იყვნენ ისეთი ადამიანებიც, ვინც არ უშინდებოდა რეპრესიებს და კაცთმოყვარეობის მაგალითს უჩვენებდა. ასეთები იყვნენ ქართველი პოეტი ტიციან ტაბიძე და რუსი პოეტი ბორის პასტერნაკი. ტიციანი ოცდაჩვიდმეტში წაიყვანეს და როგორ დაიღუპა, ან სად მარხია, არავინ იცის. ტიციანის სახელისა და მისი ლექსების ხსენება 1958 წლამდე აკრძალული იყო. პასტერნაკმა დაწერა ჩვენი საზოგადოების მამხილებელი წიგნი „დოქტორი ჟივაგო“. ჩვენთან ასეთი წიგნის გამოქვეყნება იმ დროს აკრძალული იყო. ბორისმა წიგნი საზღვარგარეთ ფარულად გაგზავნა და იქ გამოაქვეყნა. უცხოეთში ამ წიგნისათვის 1958 წელს მას ნობელის პრემია მიანიჭეს. ჩვენთან ხელისუფლების რისხვა დაატყდა: სდევნიდნენ, გასაქანს არ აძლევდნენ და ბოლოს, საზოგადოებისგან გარიყული, დაიღუპა კიდეც.

ისტორიამ შემოგვინახა ამ ორი ადამიანის მწარე ცხოვრებისა და თავგანწირული მეგობრობის ამბავი:

რუსი პოეტი მარინა ცვეტაევა (რომელმაც ხელისუფლების აუტანელი დევნის გამო ბოლოს თავი მოიკლა) წერდა: ბორისი „რუსეთის პირველი პოეტია. მე ვიცი ეს და იცის კიდევ რამდენიმემ. დანარჩენები კი მის სიკვდილს უცდიან.“

ტიციანის შვილი ნიტა ტაბიძე იგონებს: „მამა რომ წაიყვანეს, ყველა გვერიდებოდა. დედა სულ მეუბნებოდა: ქუჩაში რომ შეხვდე მამის მეგობრებს, არასოდეს არ მიესალმო, ქუჩის მეორე მხარეს გადადი. ისინი თვალს არ აგარიდებენ და შენით უსიამოვნება შეხვდებათო. გვიან ღამით თუ შემოივლიდნენ ჩვენთან, თორემ დღე ვერავინ გვეკარებოდა. ამ დროს ბორისი გვიგზავ-

ნის დეპეშას: „მე გული ამომგლიჯეს – აღარ არის ტიციანი, როგორღა ვიცოცხლო?“

მერე ყველაფერი ცუდი ერთმანეთს გადაება. დედას არსად ღებულობდნენ სამსახურში. ბინა ჩამოგვართვეს და კონფისკაცია უყვეს ყველაფერს. სახსარი არ გვქონდა. ბორისმა თარგმნა ბარათაშვილი და ვაჟა. თარგმანებში აღებული ჰონორარი მთლიანად ჩვენს ოჯახს გადმოსცა, როგორც შეეძლო გვეხმარებოდა. დედამ მამაჩემის დარჩენილი თაბახები აჩუქა ბორისს – ქაღალდი მაშინ პრობლემა იყო. მერე ამბობდა, ამ ქაღალდებზე დავიწყე „დოქტორ ჟივაგოს“ წერა. როცა ვწერ, სულ ტიციანი მყავს თვალწინო... 1959 წელს ბორისს გამოუცხადეს, დაეტოვებინა რუსეთი. მან საცხოვრებლად თბილისი აირჩია და ჩვენთან ჩამოვიდა. აკრძალული ჰქონდა შეხვედრა მწერლებთან. მიუხედავად ამისა, ჩუმად ნახულობდა ხოლმე გოგლას, სიმონ ჩიქოვანს, ლადო გუდიაშვილს.

გამგზავრებისას, ეს იყო 59 წელს, ჩვენ ვაცილებდით სადგურზე. მატარებელი რომ დაიძრა, დედას მთელი ხმით დაუძახა: ნინა, მე მანდ დავრჩი, შეუძლებელია მე მივდიოდე. სახლში რომ მიხვალ, მომძებნე და იქ ვიქნებიო. მერე მძიმედ გახდა ავად. დედა ჩავიდა და სიკვდილამდე უვლიდა ზინასთან ერთად. რომ გარდაიცვალა, ბალიშის ქვეშ ორი წერილი უპოვეს – ისინი, თილისმასავით თან რომ დაატარებდა, ტიციანისა და რილკეს წერილები იყო...“

პოეტი მიხეილ ქვლივიძე ასე იგონებს პასტერნაკის გარდაცვალების დღეებს:

“ეზოში რომ შევედით, იქ უკვე რამდენიმე კაცი შეგროვილიყო... მწერლები ცოტანი იყვნენ, რადგან მთავრობის მიერ შეჩვენებულ და მოკვეთილ კაცთან მისვლა (თუნდაც გარდაცვლილთან) იმ დროს „ვაჟკაცობად“ ითვლებოდა...

ქალბატონმა ნინომ მიამბო პოეტის უკანასკნელი წუთების შესახებ: წინა ღამით გარდაცვლილიყო, მის ხელში დაელია სული...

გაიჯახუნა ჭიშკარმა და ეზოში სვიატოსლავ რიხტერი შემოვიდა.

და დაიწყო სასწაული!

მდუმარე სახლის ფართოდ გაღებული ყველა კარ-ფანჯრიდან

როიალის სამგლოვიარო ხმები გადმოიღვარა... ეს იყო რაღაც ჯადოსნური კონცერტი, ჭირისუფლის მოთქმას რომ ჰგავდა...

სამი თუ ოთხი საათის განმავლობაში, განუწყვეტლად და ერთმანეთის მიყოლებით, შეუსვენებლად უკრავდა რიხტერი შოპენის, შუმანის, რახმანინოვის, სკრიაბინის, ბეთჰოვენის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს და ჩვენ ვიდექით და ვუსმენდით.

ალბათ, არც ერთ მუსიკის მოყვარულს მსოფლიოში არ ღირსებია ასეთი საკვირველი კონცერტის მოსმენა!..

მერე რიხტერი წავიდა.

მსუბუქი ნაბიჯით, ზღაპრული ქვეყნიდან მოვლენილი ორფეოსივით, ამ ხანდაზმულმა ჭაბუკმა კიდევ ერთხელ ჩაგვიარა და გაქრა ისე, თითქოს მზის სხივებში გაუჩინარდა...

რამდენიმე დღის შემდეგ პასტერნაკი პერედელკინოს ეკლესიის ახლოს დაასაფლავეს. დაკრძალვას უამრავი ხალხი ესწრებოდა... იყვნენ აქ საქართველოს წარმომადგენლებიც – პასტერნაკის მეგობარი პოეტების ცოლები, რომლებიც თავიანთი ქმრების მაგივრად ჩამოვიდნენ...

და იყო, რასაკვირველია, დიდებული ჭირისუფალი ნინო ტაბიძე, რომლის მეუღლეს, ტიციანს, ვაი, რომ არ შეეძლო მოსკოვში ჩამოსვლა და თავისი რუსი ძმის, ბორის პასტერნაკის დატირება...“

მიხეილ ჯავახიშვილი

1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი. მან დაწერა შესანიშნავი მოთხრობები და რომანები. არსენა მარაბდელი, კვაჭი კვაჭანტირაძე, თეიმურაზი, ჯაყო, დამპატიჟე, კურკა, ჩანჩურა და სხვები მისი ნაწარმოებების გმირებია, მხატვრული ტიპებია. არსენა სახალხო გმირია, სხვადასხვა ეროვნების ძმადნაფიცებთან ერთად იბრძვის ცარიზმის კოლონიური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხის თავისუფლებისათვის.

კვაჭი თაღლითია. რევოლუციის სახელით ცდილობს ყველგან ხელი მოითბოს, გაძარცვოს ადამიანებიც და სახელმწიფო ხაზინაც.

რევოლუციისა და საბჭოთა წყობილების პირმშოა დამპატიჟე. იგი ბიუროკრატის, მექრთამისა და ღორმუცელას შესანიშნავი ტიპია.

ჩანჩურა და კურკა სასტიკი ცხოვრებისგან გათელილი, დაბეჩავებული, პატარა ადამიანები არიან.

სწავლა-განათლებას გადაყოლილი, ანუ „წიგნის ჭიად“ ქცეული თეიმურაზი გადაგვარებულია: გმირი წინაპარი ქართველისა აღარაფერი სცხია. დაბეჩავებულს არამცთუ სამშობლოს, საკუთარი ოჯახის დაცვის თავიც აღარ აქვს. მის ოჯახს უცხოტომელი ჯაყო ეუფლება. ჯაყო უვიცი, ტლანქი და უხეში ფიზიკური ძალაა. მისთვის არ არსებობს რაიმე წმინდა და ზნეობრივი. მან გათელა წესიერი ზნეობის ადამიანები, წაართვა თეიმურაზს მარჩენალი მიწა, სახლ-კარი, ცოლი. თეიმურაზი მსახურად და ყურმოჭრილ მონად აქცია, წარამარა დასცინის, თან ამაყად აცხადებს: ამის უფლება რევოლუციამ მომცაო.

მწერალი გვაფრთხილებს: ცარიზმის მრავალწლიან დამპყრობლურ პოლიტიკას ხალხის დაბეჩავება და გადაგვარება მოჰყვა. ქართველ კაცში უნდა გაიღვიძოს ეროვნულმა თავმოყვარეობამ და სამშობლოს დაცვაზე იფიქროს, თორემ შესაძლოა ქვეყანას თაღლითი „კვაჭები“ და გადამთიელი „ჯაყოები“ დაეპატრონონ რევოლუციისა და ინტერნაციონალიზმის მომიზეზებით. რევოლუციას სიკეთესთან ერთად ბოროტებაც მოაქვს: ათასი ჯურის ბოროტმოქმედი ცდილობს ხელი მოითბოს ახალი წყობილებით. ამიტომ ადამიანები ფრთხილად უნდა იყვნენ, არ მისცენ ბოროტებას აღზევების საშუალებაო.

გაზეთები ახმაურდნენ: ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობენ ხორცმეტი ადამიანები; მიხეილ ჯავახიშვილმა ცილი დასწამა საბჭოთა წყობილებასო.

მწერალი დააპატიმრეს. იგი დაჰკითხეს და აწამეს ბერიამ, ქობულოვმა, აივაზოვმა, აბაშიძემ და სხვებმა. ჯავახიშვილს დაუბრალეს ყველაზე დაუჯერებელი რამ, რომ იგი არის უცხოეთის თერთმეტი სახელმწიფოს ჯაშუში და ქართველი ხალხის მტერი. ხოლო ამაზე დაუჯერებელი უზნეობა ის იყო, რომ ამ საშინელ ცილისწამებას მხარი დაუჭირა მწერალთა უმეტესობამ. მათ მწერალთა კავშირში კრება ჩაატარეს და ხელი-

სუფლებას მისწერეს: ჯავახიშვილი ხალხის მტერია და დახვრიტეთო. მწერლებმა მოყვასი და თანამოკალმე დასაღუპად გაწირეს. არ იყო გამოძიება, არ იყვნენ მოწმეები, არ იყო დამცველი, არ შემდგარა სასამართლო. დღეს უკვე ცნობილია, რომ დილეგებში პატიმრებს აწამებდნენ ძირითადად არაქართველი ჯალათები: ქობულოვი, კრიმიანი, კორხმაზიანი, სავიცკი, ხაზანი, პარამონოვი, შუტოვი, ოვიანი, ივანე და გურგენ აივაზოვები, კოვალჩუკი. ამის შესახებ წერს მკვლევარი რევაზ კვერენჩხილაძე, რომელიც იკვლევდა შინსახკომის არქივის საიდუმლო მასალებს; იგი წერს, რომ თბილისში ჩამოსახლებულმა ყარსელმა (თურქეთი) სომეხმა, წერა-კითხვის თითქმის უცოდინარმა (4 კლასი) შინსახკომელმა ნიკიტა კრიმიანმა სხვა ჯალათებთან ერთად აწამა მწერლები მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, პოეტი ტიციან ტაბიძე, ცნობილი ექიმი შალვა მიქელაძე, აგრეთვე ცნობილი პარტიული მუშაკები შალვა კახიანი, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, რომლებიც ამ წამებით გამოძალული ცრუ ჩვენებების შემდეგ დახვრიტეს. (გაზ. „ასავალ-დასავალი," 2011 წ. №41). დიდი მწერალი ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის გარეშე, ყალბი ბრალდებით დახვრიტეს 1937 წლის 30 სექტემბერს. განაჩენი სისრულეში მოიყვანა ტამბოველმა წერა-კითხვის მცირემცოდნე „მუჟიკმა" – ჯალათმა შაშურკინმა. ნეშტი სად დამარხეს, არავინ იცის. დრომ, განგებამ, ბედისწერამ ყველას თავისი მიუზღო. აი, რას წერს ძველი ჩეკისტი, ადვოკატი ვალოდია ტაბაღუა: „მახსენდება ცნობილი ჯალათი პოლკოვნიკი შაშურკინი, რომელსაც სიკვდილის განაჩენი მოჰყავდა სისრულეში. ეს ადამიანი სიცოცხლეშივე გაუბედურდა. ღმერთმა დასაჯა და ჭკუიდან შეიშალა. მის მეუღლეს შიმშილით ამოხდა სული. ოჯახს შთამომავალიც არ დარჩა. ხალხი ამბობდა – ცოდვებმა უწიაო. შაშურკინმა ათასობით ადამიანს მოუღო ბოლო. ორთაჭალის ტყეში 40-50 სიკვდილმისჯილს ერთბაშად ხვრეტდა. ეს იყო მისი სამსახური, თუმცა, როგორც ხედავთ, განგების შურისძიება აღსრულდა მასზე. მსგავსი ჯალათები, რომლებიც ჩემს პერიოდში მოღვაწეობდნენ, არაქართველები იყვნენ. ყველა მათგანს ფსიკიკური გადახრები აღენიშნებოდა, ხოლო პენსიაზე გასვ-

ლის მერე თითქმის ყველა გაგიჟდა – ოჯახები დაენგრათ, შთამომავლობაც დაეხოცათ და ასე განადგურდნენ ღვთის ნებით.“ /გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2013 წ. №28/. ასეთია ჯალათური სისხლიანი ლუკმით მცხოვრების საზღაური. ბოროტება არავის შერჩენია. როგორც დიდმა რუსთველმა ბრძანა – „ბოროტი საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია!“ მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებები დიდხანს აკრძალული იყო. რუსეთის ხელისუფლებამ მხოლოდ 17 წლის შემდეგ აღიარა: მიხეილ ჯავახიშვილი სრულიად უდანაშაულო იყო და ბრალდება ეხსნებაო.

დრომ დაადასტურა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი მართალი იყო. მან წინასწარ გენიალურად განჭვრიტა ჩვენი საზოგადოების მანკიერებანი. საბჭოთა წყობილებაში უამრავი კვაჭი, ჯაყო, დამპატიჟე, ჩანჩურა და კურკა არსებობდა. თაღლითები, საქვეყნო სიმდიდრის დამტაცებლები, ხალხის აბუჩად ამგდებები აღმოჩნდნენ არა მარტო პატარა თანამდებობებზე, არამედ ხელისუფლების უმაღლეს საფეხურებზეც კი. მიმოვიხედოთ. რამდენ ამისთანას დავინახავთ დღესაც ჩვენს გარშემო. ქართულ მიწა-წყალს და სახლ-კარს რომ უცხო მოდგმის „ჯაყოები“ ეპატრონებიან ისევ ქართველი „კვაჭებისა“ და „თეიმურაზების“ ღალატითა და ხელშეწყობით, ესეც დადასტურდა განვლილ წლებში. კვაჭი, თეიმურაზი, ჯაყო, დამპატიჟე, ჩანჩურა, კურკა უარყოფითი ადამიანების ზოგად სახელებად იქცა. იშვიათია მსოფლიოში მწერალი, რომელსაც ამდენი მხატვრული ტიპი შეექმნას და მისი მწერლური წინასწარმეტყველებანი ასე გამართლებულიყოს.

სამწუხაროა, რომ დიდი მწერლის სიცოცხლე ნაადრევად, შემოქმედებითი აყვავების ხანაში შეწყდა. ეს იყო უდიდესი დანაკარგი ქართული ეროვნული მწერლობისა. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ რუსეთის განახლებული იმპერია ისევ ძველებურად იქცეოდა – ყოველგვარი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ეროვნული აზრის სასტიკი მტერი იყო; შეგნებულად სპობდა ასე მოაზროვნე ადამიანებს, რომ უფრო სწრაფად და ადვილად გაერუსებინა სხვა ერები.

მიხეილ ჯავახიშვილი მხატვრული სიმართლისათვის წამებული მწერალია.

მეორე მსოფლიო ომში
(1939-1945 წ.წ.)

1939 წელს ფაშისტური გერმანია მსოფლიოს დაპყრობას შეუდგა. მას ჰიტლერი ედგა სათავეში. მძლავრი იარაღითა და ტექნიკით აღჭურვილმა სწრაფად დაიპყრო ევროპის სახელმწიფოები. მერე საბჭოთა კავშირს დაესხა თავს. ამ უდიდეს და უმძიმეს ომში თითქმის მთელი მსოფლიო ჩაება.

ომი ხუთ წელიწადს გაგრძელდა. ფაშისტური გერმანია დამარცხდა. ამაში გადამწყვეტი იყო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ადამიანთა თავგანწირვა და გმირობა. გერმანიის დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მაინც ფაშისტური რეჟიმის განსაკუთრებული სისასტიკე გახლდათ. ფაშისტები ურჩებს სახრჩობელებზე ჰკიდებდნენ ან მასობრივად ხვრეტდნენ. დაპყრობილ ქვეყნებს პირწმინდად ძარცვავდნენ, ხალხს კი გერმანიაში მიერეკებოდნენ სამუშაოდ. ტყვეებს საკონცენტრაციო ბანაკებში კატორღულად ამუშავებდნენ, ქანცგაწყვეტილებს კი ელექტროღუმელებში წვავდნენ და ფერფლს მინდვრების სასუქად იყენებდნენ. ფაშისტები აცხადებდნენ, რომ გერმანელი უმაღლესი რასაა და მსოფლიოზე უნდა იბატონოს, დანარჩენი ხალხები კი გერმანელებს უნდა ემსახურონო. ასეთმა სისასტიკემ და უსამართლობამ მთელი მსოფლიო აამხედრა ფაშისტების წინააღმდეგ.

ზღვა სისხლი დაიღვარა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიწაზე. ამ ზღვაში პატარა საქართველოს სისხლიცა და ცრემლიც უხვად ერია. საკმარისია ითქვას, რომ მსოფლიოს უდიდეს ქვეყნებს – ამერიკას, ინგლისს, საფრანგეთს უფრო ნაკლები ჯარისკაცი დაეღუპათ, ვიდრე საქართველოს. სამასი ათასი ქართველი შეეწირა ამ ომს.

გიყვარდეს მოყვასი შენი

ჰიტლერმა ებრაელებს ფული სთხოვა სესხად შეიარაღებისათვის. უარი უთხრეს. მაშინ ჰიტლერმა დაიფიცა, რომ მთელი მსოფლიოს ებრაელებს გაჟუჟავდა. ამიტომ იყო, რომ ფაშისტები

ყველა დაპყრობილ ქვეყანაში ებრაელებს პირწმინდად ჟლეტდნენ. სიკვდილით სჯიდნენ იმასაც, ვინც ებრაელებს დამალავდა ან გამოექომაგებოდა.

პარიზში ქართველი ებრაელებიც ცხოვრობდნენ. ემიგრანტმა ქართველებმა გადაწყვიტეს მათი გადარჩენა. ებრაელებს ქართული პასპორტები მისცეს და გერმანელებს განუცხადეს: ისინი ქართველები არიანო. გერმანელებმა დაიჯერეს და არც ერთი ქართველი ებრაელი არ დაუხვრეტიათ.

გრიგოლ ფერაძე

„ბანაკი ოსვენციმი. აქ გარდაიცვალა რამდენიმე კვირის წინ მოყვანილი გრიგოლ ფერაძე, პროფესორი, თეოლოგი, მართლმადიდებელი, ქართველი, გამოჩენილი მეცნიერი.“ ეს ჩანაწერი პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელმა გააკეთა 1942 წლის 30 დეკემბერს.

გრიგოლ ფერაძე გერმანიაში სასწავლებლად გაგზავნა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის საპატრიარქოს წმინდა სინოდმა. რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ კი ისე მოხდა,რომ სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა. ორჯერ მისწერა საბჭოთა კავშირის მთავრობას თხოვნა – საქართველოში დაბრუნების უფლება მომეცითო. მაგრამ როგორც კი საბჭოთა საელჩოში მივიდა, პასპორტი წაართვეს. ასე დარჩა პოლონეთში ემიგრანტად. იქ დიდი მეცნიერი გახდა. იცოდა 16 აღმოსავლური და ევროპული ენა. იყო ფილოსოფიის დოქტორი. კითხულობდა ლექციებს ბერლინის, ბონის, ვარშავის უნივერსიტეტებში. იყო პარიზში ქართული ეკლესიის დამაარსებელი და მისი წინამძღვარი. გამოსცა ქართული ჟურნალი «ჯვარი ვაზისა». მოინახულა და აღწერა უცხოეთში არსებული ყველა ქართული ძეგლი. მისი მეცნიერული შრომები ქვეყნდებოდა ქართულ,რუსულ,გერმანულ,პოლონურ,ფრანგულ,ინგლისურ ენებზე. ჩვენთან კი მისი სახელის ხსენება აკრძალული იყო.

მას დიდი წვლილი მიუძღვის საფრანგეთში გატანილი ქართული განძის გადარჩენაში. როდესაც გერმანელებმა საფრანგე-

თი დაიპყრეს და შემთხვევით გაიგეს ქართული განძის ამბავი, მისი შეფასება დაავალეს ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორსა და ქართველოლოგს გრიგოლ ფერაძეს. გრიგოლი მაშინ გერმანიის ხელისუფლების დიდი ნდობით სარგებლობდა. ფერაძემ გერმანიის ხელისუფლებას წარუდგინა დასკვნა, რომ ეს განძი მხოლოდ უბრალო საეკლესიო ნივთებია და არავითარი ღირებულება არ გააჩნიაო. გერმანელებმა დაიჯერეს მისი დასკვნა და ქართული განძის ძებნა შეწყვიტეს. გრიგოლის მხრივ ეს დიდი თავგანწირვა იყო, რადგან გერმანელებს რომ სიმართლე გაეგოთ, მას სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა.

გრიგოლ ფერაძე ვარშავაში იფარავდა და ეხმარებოდა ფაშისტებისაგან დევნილ ებრაელებს. ამისათვის ჯაშუშებმა გესტაპოში დააბეზღეს. გრიგოლი გესტაპომ დააპატიმრა. ასე მოხვდა გრიგოლ ფერაძე «სიკვდილის ფაბრიკაში» – ოსვენციმში. ეს იყო ფაშისტების უდიდესი და უსაშინელესი საკონცენტრაციო ბანაკი. ბანაკში ვიღაცამ გერმანელი ოფიცერი მოკლა. ფაშისტებმა მკვლელი ვერ იპოვეს. მათ მოედანზე გამორეკეს ყველა პატიმარი. დეკემბრის საშინელ ყინვაში გააშიშვლეს და განუცხადეს: ასე იდგებით, ვიდრე მკვლელი არ გამოჩნდებაო. მაშინ ტყვეთა მწკრივიდან გამოვიდა გრიგოლ ფერაძე და ოფიცრის მოკვლა დაიბრალა.

ფაშისტებმა იგი კაციჭამია ძაღლებს დააგლეჯინეს, მერე ბენზინი გადაასხეს და ყველას თვალწინ დაწვეს. ასე გაწირა თავი სხვათა გადარჩენისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ორმოცდასამი წლის მეცნიერმა. არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე ბოლომდე ერთგული დარჩა ქრისტეს მცნებისა – გიყვარდეს მოყვასი შენი.

ომის მერე ოსვენციმიდან დაბრუნებულმა ტყვეებმა ვარშავაში მღვდელთმთავარს მიუტანეს გრიგოლის ჯვარი და უამბეს მისი ნებაყოფლობითი მოწამებრივი აღსასრულის შესახებ.

ვარშავის უნივერსიტეტის შესასვლელში მემორიალური დაფაა. მასზე წერია გვარები იმ პროფესორებისა, რომლებიც ომში დაიღუპნენ. ამ დაფაზე გრიგოლ ფერაძის გვარიცაა. მისი გვარი შეტანილია აგრეთვე პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ომში დაღუპული მოღვაწეების დაფაზეც. პოლონეთისა

და საქართველოს ეკლესიებმა იგი წმინდანად შერაცხეს. მისი ჯვარი და სამოსი ინახება ჩვენს საპატრიარქოში.

გრიგოლ ფერაძემ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ადამიანთა მოდგმის გადარჩენისათვის თავგანწირულთა შორის.

6 დეკემბერი წმინდა მოწამე გრიგოლ ფერაძის ხსენების დღეა. ყოველი წლის ამ დღეს პოლონეთში მისი სახელობის სამეცნიერო კონფერენციები ტარდება ხოლმე.

მიზანი, რომელსაც ახდენა არ ეწერა

1942 წლის აგვისტოში გერმანელები კავკასიას მოადგნენ. მძიმე ბრძოლები გაიმართა ჩრდილოეთ კავკასიაში.. მათი მთავარი მიზანი იყო გროზნოსა და ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდება, რასაც ამ ომში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გერმანელთა საგანგებოდ გაწვრთნილმა სამთო მოიერიშე ნაწილებმა გადმოლახეს ქლუხორის, სანჭარის, მარუხის, ბასას უღელტეხილები. ბრძოლები მიმდინარეობდა კავკასიონის ქედებზე თითქმის 5 ათას მეტრამდე სიმაღლეზე. გერმანელთა ამ საბრძოლო ოპერაციას ერქვა „ედელვაისი“.

ბევრნი ფიქრობდნენ, რომ გერმანელების გამარჯვების შემთხვევაში კავკასიის მცირე ერებს რუსეთის იმპერიისგან თავდახსნის შესაძლებლობა მიეცემოდათ. ამ მიზნით ჩრდილოეთ კავკასიაში შეიქმნა კავკასიის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ფარული ორგანიზაცია. ასეთივე ფარული ორგანიზაცია ჩამოყალიბდა თბილისშიც. მასში ძირითადად სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები და ასპირანტები გაერთიანდნენ. ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ფარულ მუშაობას ეწეოდნენ. საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტიათ ემიგრაციაში წასულ სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეებსაც. ჯერ კიდევ 1924 წელს პარიზში შეიქმნა პატრიოტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“ ცნობილი ენათმეცნიერის, ნეაპოლის უნივერსიტეტის პროფესორის შალვა ბერიძის მეთაურობით. ერთი წლის შემდეგ ორგანიზაციის ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალი ლეო კერესელიძე, მოადგილედ კი ცნობილი მეცნიერი, ისტორიკოსი მიხეილ წერეთელი. „თეთრი გიორ-

გი“ საკმაოდ გავლენიანი ემიგრანტული ორგანიზაცია იყო მთელ ევროპაში. საქართველოში 1926 წელს შეიქმნა მისი ფილიალი გენო ღვალაძის მეთაურობით. „ჩეკამ“ 1927 წელს გაანადგურა ეს ორგანიზაცია. მეორე ფილიალი შეიქმნა 1928 წელს. „ჩეკამ“ 1930 წელს ისიც აღმოაჩინა. მისი ხელმძღვანელი დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი ოფიცერი ალექსანდრე ჭავჭავაძე და ჯგუფის წევრები დახვრიტეს. 1941 წელს 21 წლის ჭაბუკმა მუსტაფა შელიამ შექმნა „თეთრი გიორგის“ მესამე ფილიალი. „ჩეკამ“ ისიც აღმოაჩინა 1942-43 წლებში და გაანადგურა. შელია მოღალატის დასმენით „ჩეკამ“ დაჭრილი ტყვედ ჩაიგდო და მალე გარდაიცვალა. მისი გადარჩენის მიზნით ბიძამისმა ლევან აბდუშელიშვილმა დაიბრალა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. აბდუშელიშვილი დახვრიტეს, ორგანიზაციის წევრები კი გააციმბირეს.

უნივერსიტეტის პედაგოგმა მიხეილ ზანდუკელმა, ასპირანტებმა ადამ ბობღიაშვილმა და მიხეილ იმედიძემ 1941 წელს შექმნეს ახალი ფარული ორგანიზაცია, რომელშიც ძირითადად სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები და ასპირანტები გაერთიანდნენ.

გერმანელებმა საბჭოთა სამხედრო ტყვეებისგან ჩამოაყალიბეს სხვადასხვა ნაციონალური სამხედრო ნაწილები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ უნდა ეომებინათ. მათ 30 ათასიანი ქართული ჯარიც შექმნეს. ემიგრაციაში მყოფი დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეები – „ქართული ეროვნული კომიტეტი“ და „თეთრი გიორგის“ წევრები ფიქრობდნენ, რომ ეს ქართული ჯარი გამოეყენებინათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა-დაცვისათვის, თუკი გერმანელები შესძლებდნენ რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილებას. კავკასიაში შემოჭრილ გერმანელთა არმიას ეს ქართული ჯარიც მოჰყვებოდა გენერალ შალვა მაღლაკელიძის მეთაურობით.

თითქოს მიზანი არცთუ მიუღწეველი ჩანდა; მაგრამ გერმანელთა შეტევამ კავკასიაში მარცხი განიცადა. შინაგამცემების წყალობით ხელისუფლებამ მიაკვლია თბილისის ფარულ ორგანიზაციას. ძალიან ბევრი ეჭვმიტანილი დააპატიმრეს. 17 კაცი

დახვრიტეს, დანარჩენებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა და გადასახლება მიუსაჯეს. ამ ორგანიზაციის წევრი ადამ ბობღიაშვილი თუშეთიდან თბილისში ბრუნდებოდა და ორგანიზაციის ჩავარდნა გზაზე შეიტყო. მიხვდა, რომ სიკვდილი არ ასცდებოდა. გზიდან უკან გაბრუნდა და თუშეთში შექმნა ახალი ფარული ორგანიზაცია „სამანი“ (საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები). ორგანიზაციაში 30-მდე წევრი იყო. მას ბევრი მხარდამჭერიც ჰყავდა. სამანელებმა გააგრძელეს მოსახლეობაში დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ფარული მუშაობა.

სამწუხაროდ შინსახკომმა შეიტყო ამ ორგანიზაციის არსებობის შესახებ და მათ ძებნას შეუდგა. 1942 წლის ზამთარში ორგანიზაცია ორ ნაწილად გაიყო: ერთი ნაწილი დარჩა კახეთში, მეორე ნაწილი – ადამ ბობღიაშვილი, გიგო ქააძე, დევანოზ ამირანიძე, არჩილ ქიტოშვილი, მიხეილ იმედიძე კი თუშეთში გადავიდნენ და სოფელ დოჭუში გოგალე ხოხიაიძის სახლში გამოიზამთრეს. ეს კონსპირაციის მიზნით გაკეთდა – თუ შინსახკომი ერთ ნაწილს აღმოაჩენდა, მეორე ნაწილი მაინც გადარჩებოდა.

ადრე გაზაფხულზე თუშეთის ჯგუფი ბარისკენ გამოემგზავრა. მათ შინსახკომისა და ადგილობრივი თუშების გაერთიანებული რაზმი დაედევნა. დაღლილმა სამანელებმა თორღვას ხეობაში ერთ გამოქვაბულთან შეისვენეს. სწორედ მაშინ დაესხა თავს უიარაღო სამანელებს დამსჯელი რაზმი, რომლის წევრმა მათე წვერაიძემ იქვე მოკლა ადამ ბობღიაშვილი და მიხეილ იმედიძე. დანარჩენები ტყვედ ჩაიგდეს. მოკლულებს თავები მოჰკვეთეს და ხურჯინით მიართვეს ომალოში შინსახკომის იქაურ უფროსს ალიოშა კვაშალს. ტყვეები თელავში ჩაიყვანეს და ისე გააქრეს, რომ დღემდე მათი ასავალ-დასავალი არავინ იცის.

ხალხში კი დარჩა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე მეოცნებე ჭაბუკების ხსოვნა, აგრეთვე ნიჭიერი სამანელი პოეტების – ადამ ბობღიაშვილის, გიორგი ქადაგიძისა და არჩილ ქიტოშვილის ლექსები... და კიდევ: კავკასიონის უღელტეხილებს დღემდე ატყვია იმ სასტიკი დღეების ნაკვალევი – იქ ახლაც ყრია საომარი იარაღ-საჭურველის ნამსხვრევები და უცნობ ჯარისკაცთა ხავსიანი ძვლები.

იტალიის ეროვნული გმირი

გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან ტყვეები ზოგჯერ გაქცევას ახერხებდნენ. ისინი ტყეებში გასულ პარტიზანებთან ერთად ებრძოდნენ ფაშისტებს. ქართველმა პარტიზანებმა არაერთი გმირული ფურცელი ჩაწერეს პოლონეთის, საფრანგეთის, იტალიის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების განმათავისუფლებელ ბრძოლებში.

იტალიის მიწაში ოთხმოცზე მეტი ქართველი პარტიზანი წევს. ყველა მათგანს შეეფერება ის სიტყვები, რომლებიც იტალიელებმა გიორგი ვარაზაშვილის სამარეზე დააწერეს: „გამვლელო, შეჩერდი, აქ განისვენებს პატრიოტი, რომელმაც შენ თავისუფალი იტალია გაჩუქა.“ ვარაზაშვილმა მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა. ბოლოს, გერმანელთა ალყაში მოქცეულმა ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი ამჯობინა. მან უკანასკნელი ხელყუმბარით თავი აიფეთქა.

იტალიის ეროვნული გმირი გახდა ფორე მოსულიშვილი. აი, როგორ მოხდა ეს:

ერთხელ სამასამდე გერმანელმა ალყაში მოაქცია თექვსმეტი პარტიზანი. ერთ მიტოვებულ სახლში გამაგრდნენ პარტიზანები. სროლა ერთ საათს გაგრძელდა. გერმანელებმა შემოუთვალეს: პარტიზანთა მეთაური დაგვნებდეს და დანარჩენებს სიცოცხლეს გაჩუქებთო. მეთაური ედო დელ გრატო ყოყმანობდა და გადაწყვეტილება ვერ მიეღო. პარტიზანებს კი ტყვია-წამალი ელეოდათ და სიკვდილი ელოდათ.

მაშინ შენობიდან გავიდა ფორე მოსულიშვილი. – მე ვარ მეთაური! გაუმარჯოს იტალიას! გაუმარჯოს საქართველოს! – დაიძახა და ტყვია დაიხალა. გერმანელებმა სიტყვა შეასრულეს – ალყა მოხსნეს. მათ ფორეს ცხედარი სოფელში ჩაიტანეს და მხედრული პატივით დაკრძალეს. ასე აჩუქა სიცოცხლე თხუთმეტ იტალიელს ფორემ თავისი სიკვდილით.

იტალიის მთავრობამ ფორეს ეროვნული გმირის უმაღლესი ჯილდო მიანიჭა – ოქროს მედალი „მხედრული მამაცობისათვის“.

ერთმა იტალიელმა თქვა: მისმა სიკვდილმა კიდევ ერთხელ

დაგვაფიქრა იმ ქვეყნის სიდიადეზე, რომლის შვილებსაც ასე შესძლებიათ სიკვდილი მაშინაც კი, როცა სამშობლოდან ათასეული კილომეტრებით არიან დაშორებულნიო.

ჩვენ კი ისდა დაგვრჩენია სათქმელი: ბარაქალა იმ ერს, რომელსაც სხვისი გმირობის ღირსეული დაფასება შეუძლია!

ქართველი პარტიზანები საფრანგეთში
(დოკუმენტური მოთხრობა)

სისხლიანი ცრემლები

გონწასული იყო?... ეძინა?... კარგად არ ახსოვს. ან რამდენ ხანს იწვა აქ?... საათს, ორ საათს?... ვერც ეს გაიხსენა. თავი უბრუოდა და გული ერეოდა. არც რაიმე ტკივილს გრძნობდა, არც დაღლას, მხოლოდ საშინელი წყურვილი აწუხებდა. – წყალი! – ეს იყო ერთადერთი სურვილი, რომელმაც გამოფხიზლებისთანავე მისი გონება შეიპყრო. სულ რაღაც ხუთიოდე მეტრზე წყალი დალანდა, ინსტიქტურად წამოვარდა ფეხზე და იქით გაექანა, მაგრამ წყლამდის ვერ მიაღწია, მუხლი მოეკვეთა და მოცელილი ბალახივით კვლავ მიწას გაერთხა. რამდენი ნაბიჯი გაირბინა? ალბათ ოთხი ან ხუთი. ან სად წავიდა მთიელი კაცის მგლის მუხლი, რამ დაუძაბუნა ასე მუხლები? მაგრამ რა დროს ამაზე ფიქრია? ახლა მთავარია წყალი, რომელიც ერთი ხელის გაწვდენაზეა.

ფორთხვით მიაღწია გუბემდე. წყურვილი მოიკლა. ცოტა ხანს იყო ასე გალურსული. მიწა გრილი იყო და სასიამოვნო. ფართო, კუნაპეტივით შავი ულვაშებიდან წურწურით ჩამონადენი გუბისწყალი ხელუკუღმა მოიწმინდა და მიმოიხედა. ჰაერი მტვრითა და კვამლით იყო დამძიმებული, ირგვლივ დამწვრისა და კიდევ რაღაცის სუნი იდგა – ალბათ სიკვდილის სუნი. მიწა უწყალოდ იყო დათხრილ-მოსრესილი, მაგრამ მისი სიგრილე სასიამოვნოდ მოქმედებდა კაცის სხეულზე, მიწა ამშვიდებდა

აფორიაქებულ გულს. ირგვლივ კვნესა და განწირული ხმები ისმოდა. ვინ კვნესოდა? დაჩეხილი მიწა თუ მასზე უარესად ნაჩეხი ადამიანები, უხვად რომ ეყარნენ ირგვლივ? ალბათ მიწაც და ადამიანებიც. ყოველი მხრიდან ავტომატმოღერებული მუზარადიანი ჯარისკაცები მოდიოდნენ, მსუბუქად დაჭრილებს ცხენებშებმულ ფორნებზე ჰყრიდნენ და სადღაც მიჰყავდათ, მძიმედ დაჭრილებს კი შემწეობის ნაცვლად ავტომატის ჯერით ცხრილავდნენ ადგილზევე.

– გერმანელები... – გაუელვა თავში. – ერთ წამში გაახსენდა ყველაფერი. მათი 51-ე არმია იბრძოდა აკმანაის მიმართულებით, მათ შენაერთებს მტრის მარჯვენა მხარე უნდა გაერღვიათ და როსტოვის ფრონტს შეერთებოდნენ. 143-ე ლეგიონის მეთაური მაიორი დევიძე ახალი დანიშნული იყო მას შემდეგ, რაც პოლკოვნიკი რუდსკი შენაერთების მეთაურად გადაიყვანეს. 1942 წლის 1 მაისს მტერმა გააფთრებით შემოუტია ჩვენს ჯარებს. თვითმფრინავები და მძიმე არტილერია ათ დღეს განუწყვეტლივ ბომბავდნენ წითელარმიელთა ზურგსა და პოზიციებს, სურსათ-საჭურველი გაანადგურეს თითქმის. ცხარე დღე ადგათ ბიჭებს. მაიორი დევიძე ტელეფონით განუწყვეტლივ მოითხოვდა პოზიციების შენარჩუნებას. 10 მაისს არმიის სარდლის განკარგულებით უკანდახევა დაიწყო. არმიის უკან დახევას იცავდა ქართული მსროლელი დივიზია, რომელმაც ბრძოლის ცეცხლიდან ყველაზე ბოლოს დაიწყო გამოსვლა. ასე იარეს ქერჩის მისადგომებამდის, სადაც მათი დივიზია ალყაში მოექცა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწორედ ამ ველზე მოხდა. სწორედ აქ დაიჭრა თვითონ იგიც – ასეულის მეთაური. პოლიტხელმა ალიოშა ალანიამ თავში დაჭრილ ასმეთაურს სასწრაფო შეხვევა გაუკეთა, ჯიბიდან პარტბილეთი ამოაცალა და წავიდა სხვა ჯარისკაცებთან ერთად ხელჩართული ბრძოლით ალყის გასარღვევად. – მეც წამიყვანეთ, სიკვდილს ჯერ არ ვაპირებ! – მიაძახა მას ასმეთაურმა, მაგრამ დაჭრილის არც სამშვიდობოზე გაყვანის საშუალება იყო და არც ვინმეს ეცალა მისთვის, რადგან ყველანი ხელჩართულ ბრძოლაში მიდიოდნენ. – ახლა კი ყველაფერი დამთავრებულია. –

გაიფიქრა ასმეთაურმა. – სიკვდილი? ტყვედ ჩავარდნა? არა, ორივე ჯერ ადრეა, ჯერ სიცოცხლეა საჭირო! – შორს ტანკი გამოჩნდა, პირდაპირ მისკენ მოდიოდა. – ან სიკვდილს უნდა გავექცე და ცოცხალი გადავრჩე, ან ფეხზე მდგომი მანც შევხვდე მას! – გადაწყვიტა და წამოდგა. ეცემოდა, ძალაგამოცლილი ფრჩხილებით მიწას ფხოჭნიდა და კვლავ დგებოდა, ეცემოდა და სიცოცხლის წყურვილი კვლავ ფეხზე აყენებდა; სადღაც მიცვალებულს გადააწყდა და კვლავ წაიჩეხა. როცა თავი წამოსწია, ქალის ცრემლიან მზერას წააწყდა. იცნო ლეგიონის უფროსი ექიმი ტყემალაძე. ვერც მაშინ, ვერც შემდეგ ვეღარ გაიხსენა, ამ ქალს ნინო ერქვა თუ ლილი. მგონი ბორჯომიდან იყო. მას ყუმბარისგან მკლავი დამსხვრეული ჰქონდა, მაგრამ საკუთარ თავს აღარ ჩიოდა, იგი მწარედ ატირდა იმის გამო, რომ უყურებდა ქართული ნაციონალური დივიზიის ყველაზე ახალგაზრდა ოფიცრის, ასეულის საყვარელი მეთაურის წამებას და გადარჩენა კი არ შეეძლო. ქალი მიფორთხდა მასთან და თავისი გადაუდებელი მოვალეობის შესრულება დაიწყო – თავის არეში დაჭრილ ასეულის მეთაურს ცალი ხელით ჭრილობა შეუხვია. მტრის ტანკი გრიალით მოიჭრა. ქალი დაჭრილ მეთაურს სხეულით წინ აეფარა. – ალბათ ამ წამში გაგვსრესს! – გაიფიქრეს ორივემ, მაგრამ ქალის განწირულობის გამო თუ რაღაც მიზეზით ტანკი 180 გრადუსით შემოტრიალდა და გაჩერდა. მუხლუხებმა ველურად გაიხრჭიალეს და დაჭრილებს სახეში მიწის კორიანტელი შეაყარეს. ტანკიდან ოთხი გერმანელი გადმოხტა. – აეთრიე ფეხზე, იუდა! – დაიღრიალა გერმანელმა ოფიცერმა და თვალები გადმოქაჩა. – იუდა, იუდა! – ყვიროდნენ დანარჩენებიც ისეთი სიხარულით, თითქოს ამერიკა აღმოეჩინოთ. ტყემალაძეს ოქროსფერი თმა ჰქონდა და ებრაელი ეგონათ, ხოლო ებრაელის წამება და დახვრეტა უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებდა მათ, ვიდრე ტანკით გასრესა. სწორედ ამიტომაც გააჩერეს ტანკი. უმწეო ქალი განზე გადაათრიეს და ოთხივემ ერთდროულად ესროლა. ექიმი უხმოდ ჩაიფერფლა. ოფიცერმა ექიმის ჩანთას ფეხი ამოარტყა, იქიდან მედიკამენტები და მინდვრის გვირილების პაწია თაიგული გადმოვარდა,

სწორედ ისეთი, საქართველოში რომ იცის. სისხლისგან დაცლილი ასმეთაური ვერ ხედავდა გერმანელების სახეებს, მაგრამ ხედავდა ტყემალაძის ნაზ ხელებს, მტვერში გაშლილ მის ოქროსფერ თმებს და გერმანელის ვეება ჩექმებს, რომლებმაც გვირილების კონა გასრისეს და მისკენ გამოემართნენ. გერმანელმა ოფიცერმა ჯიბეები გაუჩხრიკა, ფული და ოფიცრის მოწმობა ამოართვა, ფული ჯიბეში იკრა, მოწმობა კვლავ ჯიბეში ჩაუდო და მოახლოებულ ფორმიან ჯარისკაცებს უბრძანა ლეიტენანტ ვასილ მელაძის წაყვანა. იგი სხვა ტყვეებთან ერთად ქალაქ ქერჩში ჩაიყვანეს. ეს იყო 1942 წლის 10 მაისს.

მეორე დღეს სამხედრო ტყვეები ფეოდოსიის გზას გაუყენეს. ტყვეთა კოლონას აქეთ-იქიდან ესესელები მიჰყვებოდნენ, ვისაც სიარული აღარ შეეძლო და ეცემოდა, იქვე ჰკლავდნენ. ტყვეთა კოლონაში ერია შავულვაშიანი და თეთრი დოლბანდით თავშეხვეული ახალგაზრდა ლეიტენანტი ვასილ მელაძეც. თავში მიღებული მძიმე ჭრილობის გამო მან მხედველობა დაკარგა და ფეხზე დგომაც უჭირდა. მაგრამ გვერდში ახლდა მისივე ასეულის 12 ქართველი ჯარისკაცი, რომლებიც რიგ-რიგობით მხრებში უდგებოდნენ და ისე მიჰყავდათ ხელით. – ნუ გეშინია, ბიჭო, ცოცხალი თავით არ მიგატოვებთ! – ამხნევებდა ალექსანდრე შიხაშვილი. – „ჭირსა შიგან გამაგრება ისრე უნდა, ვით ქვითკირსა!“ – თქვა მეორე თანამემამულეთაგანმა. ტყვეებში იყო ლეგიონის მეთაური დევიძეც. საოცარი ადამიანები არიან,– ფიქრობდა გუნებაში ვასილი,– აქაც რომ გულს არ იტეხენ. ალბათ ასე მიერეკებოდნენ ოდესღაც ქართველ ტყვეებს ფერეიდანში, ალბათ ასე მიერეკებოდნენ მათ აღმოსავლეთის ტყვეთა ბაზრებზე, ალბათ ისინიც ასე ანუგეშებდნენ ერთმანეთს დიდი რუსთველის სიტყვებით. ძნელი ყოფილა ტყვედყოფილის ბედი, მითუმეტეს ჩემისთანა უსინათლოსი. ფერეიდანში მიმავალთ უკან მოხედვა და მშობლიური ზეცის დანახვა მაინც შეეძლოთ, მე კი იმასაც ვერ ვხედავ, თუ რომელი გზით მივყევარ უცხოეთში. – და ლეიტენანტის უსინათლო თვალებს ორად ორი სისხლიანი ცრემლი მოსწყდა. მიდიოდნენ ტყვეები და უკან რჩებოდათ სისხლიანი და ცრემლიანი ნაკვალევი.

უცხოეთში

ფეოდოსიის მახლობლად დიდ საკოლმეურნეო ბოსლებში შეყარეს ტყვეები. მოსახლეობა მაინც ახერხებდა მათთან შესვლას და თითო ჭიქა რძეს და თითო ჭიქა წყალს ასმევდნენ ხოლმე, ეგ იყო და ეგ. ორი კვირის შემდეგ საბარგო მანქანებში ჩაყარეს და ფეოდოსიაში – ტყვეთა ბანაკში გადაიყვანეს. ბანაკში ტყვე ექიმები მკურნალობდნენ დაჭრილებს. განსაკუთრებით ერთი სომეხი ექიმთაგანი დაამახსოვრდა ვასილ მელაძეს. მისი გვარი დაავიწყდა, ხოლო მადლიანი ხელი არასოდეს დავიწყებია. იმ ექიმმა თავი გადასდო, ხუთი თვე ვასილს თავს დასტრიალებდა და ბოლოს მხედველობა მაინც დაუბრუნა. ვასილი სხვა განკურნებულ ტყვეებთან ერთად 1943 წლის თებერვალში პოლონეთის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში გადაგზავნეს. – უნდა გავიქცე! – ეს აზრი ჩაეჭიდა იმ დღიდან, როგორც კი მხედველობა დაუბრუნდა. ვასილ მელაძის აზრს ადგნენ ალექსანდრე შიხაშვილი, ივანე აბრამიძე და მიხეილ შელია. ასე შეიქმნა ტყვეთა განთავისუფლების იატაკქვეშა საორგანიზაციო კომიტეტი. მიხეილ შელიამ საიდუმლო კავშირი დაამყარა ერთ-ერთ პოლონელთან, რომლის დახმარებითაც ბანაკიდან პირველი ჯგუფის გაქცევა უნდა მომხდარიყო. პირველი ჯგუფის გაყვანა წილად მიხეილს ხვდა. დანიშნულ დამეს საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა გზა დაულოცეს მიხეილ შელიას და 11 კაცით ბანაკიდან გაუშვეს.

პოლონეთის ტყეებში ხანგრძლივი პარტიზანული ბრძოლების დროს სამწუხაროდ დაიღუპა ამ რაზმიდან 10 კაცი. მეთერთმეტე მათგანი მძიმე ინვალიდი და მ. შელია ცოცხლები დაბრუნდნენ ომის შემდეგ საქართველოში.

იატაკქვეშელებმა კვლავ მოამზადეს მორიგი გაქცევა, მაგრამ გეგმის განხორციელება ვეღარ მოასწრეს; ზუსტად გაქცევის წინა დღეს 1943 წლის 15 მაისს ბანაკში დიდი ალიაქოთი ატყდა: ტყვეები გამორეკეს და ეზოში დაამწკრივეს. მალე აქ გამოცხადდა ერთი გერმანელი გენერალი თავისი ამალით. ჰიტლერული გიჟური იდეებით თავგამოტენილი გენერალი უზომოდ იბღინძებოდა, თითქოს ფეხშიშველა და დაკონკილი ტყვეების წინაშე თავისი გაკრიალებული ჩექმებითა და პეწიანი მუნდირით თავს

იწონებსო; დამტვრეული რუსულით დიდხანს ილაპარაკა თავიანთ „დიად იდეებზე და უძლეველობაზე“. მერე განაცხადა: თქვენ დღესვე გაემგზავრებით მზიურ საფრანგეთში, იქ იმუშავებთ ჩვენი ხელმძღვანელობით და ყველაფრით ბედნიერი ადამიანები იქნებითო. რა იცოდა გენერალმა, რომ ამ ადამიანებს ბედნიერება იქ, შორეულ სამშობლოში, მშობლიურ ოჯახებში დარჩათ. იმავე დღეს ტყვეები საფრანგეთისაკენ მიმავალ გზას გაუყენეს და მაისის დამლევისათვის სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ პერიგეში ჩაიყვანეს. იატაკქვეშა ორგანიზაცია კვლავ განაგრძობდა მუშაობას. ახლა იგი გაცილებით დიდი და მრავალრიცხოვანი გახდა. 1943 წლის ოქტომბერში იატაკქვეშელებს უკანასკნელი საიდუმლო თათბირი ჰქონდათ. თათბირს ესწრებოდნენ: ვასილ მელაძე, სულიკო აბულაძე, ივანე აბრამიძე, ივანე ჩხენკელი, ეფრემ ებრალიძე, ალექსანდრე შიხაშვილი, მიხეილ გაგუა, გრიგოლ ჯიქია, იოსებ ალხანიშვილი, არჩილ მირიანაშვილი. ამოცანა ასეთი იყო: იატაკქვეშელებიდან ყველაზე გამოცდილ ამხანაგთაგანს ბანაკიდან უნდა გაეყვანა 8 რჩეული ბიჭი, კავშირი დაემყარებინა ფრანგ პარტიზანებთან და მათი დახმარებით ბანაკიდან გაეთავისუფლებინათ ერთი ათასეული ქართველი ტყვე. თუ ეს მოხერხდებოდა, მაშინ ტყეში გასული ერთი ათასეული ქართველი დიდი ძალა იქნებოდა საფრანგეთის პარტიზანულ მოძრაობაში. ამხანაგები ვასილ მელაძესა და ივანე აბრამიძეზე შეჩერდნენ. ამ მძიმე და პასუხსაგები დავალების შესრულება ვასილ მელაძეს ხვდა წილად. ტყვეთა ბანაკს ქვითკირის მაღალი გალავანი ერტყა, კაცი ვერ შეუწვდებოდა. ზედ გალავანზე სათვალთვალო პუნქტები იყო მოწყობილი, შიგ გერმანელი მეავტომატეები ისხდნენ და გარემოს გუშაგობდნენ. ბანაკი ქალაქგარეთ იყო. მთავარი გასასვლელი ქალაქის მხარეს გადიოდა, იქიდან გაპარვაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ბანაკის მარჯვენა მხარე ტყეს გაჰყურებდა. სწორედ ამ მხარეზე გალავანთან შორიახლოს დიდი საპირფარეშო იდგა. კომიტეტმა ყველაზე საუკეთესოდ ეს მხარე სცნო გასაქცევად. ვასილ მელაძეს უნდა გაჰყოლოდნენ საუკეთესო ვაჟკაცები: ალექსანდრე შიხაშვილი, მიხეილ გაგუა, სულიკო აბულაძე, აბელ პეტრიაშვილი, იოსებ ალხანიშვილი, არჩილ მირიანაშვილი და გრიგოლ

ჯიქია. ალექსანდრე შიხაშვილი ეკონომისტი იყო და გერმანული ენაც იცოდა. ამიტომაც გერმანელებს იგი მოლარედ ჰყავდათ დანიშნული. კომიტეტმა მას დაავალა გერმანელთა სალაროში არსებული 12 ათასი ფრანკის გატაცება პარტიზანული საქმიანობისთვის გამოსაყენებლად. 1943 წლის 12 ოქტომბერს ღამის 12 საათზე საპირფარეშოში შევიდა საცვლების ამარა გაგუა. აქ მას დახვდა სათითაოდ მოსული შვიდივე ამხანაგი, რომლებსაც წამოეღოთ გაგუას ტანსაცმელიც. ალექსანდრეს დათქმული თანხის წამოღება მოეხერხებინა. მიხეილ გაგუა უცებ გამოვარდა ეზოში და გალავანზე მყოფი გუშაგების გასაგონად დაიყვირა – მიშველეთ, საპირფარეშოში მკვდარი კაცი გდიაო, მერე ისევ საპირფარეშოში შევარდა. მიხეილმა იმდენჯერ გაიმეორა ეს ფანდი, ვიდრე არ მიიპყრო ორი მახლობელი გუშაგის ყურადღება. ისინი სათვალთვალო პუნქტებიდან ჩამოვიდნენ და საპირფარეშოში შეცვივდნენ. მელაძის ბიჭებმა თვალისდახამხამებაში გათოკეს გაბრიყვებული გუშაგები, პირები ქაღალდებით ამოუტენეს, იქვე დაყარეს, აართვეს იარაღი – ორი ავტომატი და ორი რევოლვერი, გადავიდნენ გალავნიდან და ტყეს მისცეს თავი. მთელ ღამეს ირბინეს. სამხრეთ საფრანგეთი მდიდარია ტყით, სწორედ ამის იმედი ჰქონდათ ბიჭებს. რიჟრაჟზე ვენახს წააწყდნენ. – რა მადლიანად არის დახუნძლული ეს დალოცვილი! – ჩაიჩურჩულა არჩილ მირიანაშვილმა და მშობლიური კახეთი დაუდგა თვალწინ. მოსწყურებოდა ვაჟკაცს ვენახში ტრიალი. ვენახის ირგვლივ უსიერი ტყეები იყო.

– თენდება. – დღისით მოძრაობა საშიშია. მშივრები ვართ. დავკრიფოთ ერთი დღის სამყოფი ყურძენი და ტყეს შევაფაროთ თავი! – გასცა განკარგულება ვასილ მელაძემ. ასეც მოიქცნენ. მელაძემ იცოდა, რომ გერმანელები ძებნას დაუწყებდნენ, ამიტომაც ამხანაგებს უბრძანა მთელ დღეს გაუნძრევლად ყოფილიყვნენ ტყეში. ბანაკში ტყვეების გაქცევის გამო დიდი ალიაქოთი ატყდა. გესტაპოელები დაგეშილი ძაღლებივით დაძრწოდნენ და გამწარებით ეძებდნენ გაქცეულებს. დაღამდა თუ არა, მელაძის რაზმმა გზა განაგრძო. იმ ღამეს გზად ერთ პატარა სოფელს წააწყდნენ. სოფელთან ახლოს სახელმწიფო გზა გადიოდა და მასზე გადასვლა საშიში იყო. გადაწყვიტეს ღამე იქ გაეტარებინათ.

მთელ ღამეს თვალზე რული არავის მოჰკიდებია, ანდა რა დააძინებდათ, როცა გრძნობდნენ, რომ თავისუფლებასთან ასე ახლოს იყვნენ, საფრთხე და სიკვდილი კი ყოველ ნაბიჯზე ელოდათ.

– ძმებო, ჩვენი ერთადერთი მფარველი ახლა ტყე და ერთმანეთისათვის მხარდაჭერაღა არის. როგორც მეძებრები ნადირს, ისე გვეძებენ და გვდევნიან ფაშისტები. თუ სადმე წაგვასწრეს, ცოცხლად არც ერთი არ უნდა ჩავუვარდეთ ხელში, თორემ წამებას შეიძლება ზოგიერთმა ვერ გაუძლოს და ბანაკში დარჩენილი შეთქმულების ამბავიც გაუმჟღავნოს გერმანელებს. ან ყველა ერთად უნდა დავიხოცოთ, ან ყველამ ერთად უნდა ვიცოცხლოთ!

– ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის. ცოცხლად არავინ არ ჩავბარდეთ მტერს! – ამ სიტყვებით ერთ მტკიცე მუშტად შეკრული რვავე ქართველი მთიელთა წესით ძმად გაეფიცა ერთმანეთს.

– ძმადნაფიცს არ ეღალატება! – თქვა მელაძემ.

– ძმადნაფიცის მოღალატეს სიკვდილი! – დაუდასტურეს ძმადნაფიცებმა.

– აგრე იყოს! – ფოლადის ზამბარასავით გაიჟღრიალა კახელ არჩილას დაძაბულმა ხმამ.

იმ ღამით სამხრეთ საფრანგეთის კამკამა ზეცა და ფრანგული ტყე მოწმენი გახდნენ ქართული ძმადშეფიცვის უჩვეულო ამბისა. ის დღე და ის ღამეც სამუდამოდ დაამახსოვრდათ მელაძესა და მის მეგობრებს. ოთხშაბათი დღე იყო. დაამახსოვრდათ იმიტომ, რომ 1942 წლის 10 მაისის საბედისწერო ბრძოლის შემდეგ ეს იყო თავისუფლებაში ყოფნის პირველი დღე და პირველი ღამე. ვისაც საკონცენტრაციო ბანაკის სუსხი უგემია, მისთვის გასაგები იქნება, თუ რას ნიშნავს თავისუფლების პირველი დღე!

დილაბნელზე ბიჭებმა სოფელი კარგად გაარჩიეს. ეს იყო პატარა დასახლება. ერთი სახლი ყველასგან დაშორებით სოფლის განაპირას იდგა. ვასო მელაძემ ბიჭებს თვალი გადაავლო და სულიკო აბულაძეს მიაჩერდა. – ძმაო სულიკო, საზრიანი და ეშმაკი ბიჭი ხარ. შენი იმედი მაქვს. როგორმე საიდუმლოდ უნდა შეაღწიო იმ სახლში, იქ მცხოვრებთა ვინაობა გამიგო და ბიჭებისთვის პური იშოვო. ყოყმანისა და ფიქრის დრო არ არის. სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. არ ვიცით, ვის სად დაუღამდება

სიცოცხლე. ყოველ შემთხვევაში თუ რამე მოგივა, სამშობლოში, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ბოგვში მე ჩავიტან შენს ამბავს, ხოლო თუ მე რამე მომივიდა, ბოგვიდან ჩემ სოფლამდის – ვაკემდის რამდენიმე წუთის სავალია!...

სულიკო მშვიდობიანად დაბრუნდა უკან, პური და კონსერვები მოიტანა. – იმ სახლში 60 წელს გადაცილებული მოხუცი ცხოვრობს, გვარად ბუტკევიჩი. 20 წლის წინათ წამოსულა პოლონეთიდან და აქაურ მემამულეს დასდგომია მოჯამაგირედ. სახლში ჰყავს ცოლი, გასათხოვარი ქალიშვილი ელენე და 10-11 წლის ვაჟიშვილი. მოხუცმა რუსული კარგად იცის. როცა გაიგო, რომ გაქცეული ტყვეები ვიყავით, თავშესაფრის მოცემაზე ცივი უარი მტკიცა, არც მოსალაპარაკებლად წამოსვლა უნდოდა, მხოლოდ სურსათი გამომატანა! – მოახსენა მან მელაძეს. – ამაღამ აქ დავრჩებით, ბუტკევიჩთან კიდევ ერთხელ უნდა ვცადოთ ბედი! – თქვა მელაძემ. ბიჭები დანაყრდნენ და დაღამებას დაელოდნენ. ღამით აბულაძე და მელაძე ეწვივნენ მოხუც ბუტკევიჩს.

– შენს იქით გზა არ გვაქვს. შენ კარგად იცი ფრანგი პარტიზანების ადგილსამყოფელი. უნდა მიგვიყვანო მათთან! – უთხრა მელაძემ.

– რის პარტიზანები, რა პარტიზანები. მე წარმოდგენაც არა მაქვს მათზე! – ჯიუტად იმეორებდა მოხუცი. დიდხანს არწმუნებდნენ თავიანთ სიმართლეში მასპინძელს, მაგრამ ამაოდ. მელაძემ იგრძნო, რომ მოხუცი ფრთხილობდა და არ ენდობოდა. მან ვედრების თვალით შეხედა მასპინძლის ქალიშვილს – ელენე ბუტკევიჩს. არავინ იცის, ქალმა ახალგაზრდული გუმანით იგრძნო თუ ქართველი ჭაბუკის თვალებში ამოიკითხა სტუმრების გულწრფელობა, მაგრამ აშკარა იყო, რომ მელაძემ მის თვალში ნდობა დაიმსახურა. ქალმა ფრანგულად დაუწყო მამას ლაპარაკი. მელაძე მიხვდა, რომ ელენე მათ მხარეზე იყო და მამას ემუდარებოდა სტუმრებისათვის დახმარების აღმოჩენას. ვასილმა უკანასკნელ ხერხს მიმართა: ჯიბეში ხელი ჩაიყო და დასტა-დასტა ფული ამოიღო. – აი, მოხუცო, აიღე რამდენიც გინდა, ოღონდ ფრანგ პარტიზანებთან მიგვიყვანე!

– მოიყვანე შენი ამხანაგები, სტუმარი ღვთისაა! – თქვა ბოლოს მოხუცმა. მელაძემ მადლობის ნიშნად ორი დიდი შეკვრა

ფულებისა მოხუცს მისცა. მასპინძელმა სახელდახელოდ დახოცა კურდღლები და ქათმები, ელენე სამზარეულოში დატრიალდა და იმ ღამეს გულითადი სუფრა გაიშალა. თუმცა მოხუცი ბუტკევიჩი საკუთარი ხელით დაწურულ ღვინოს სთავაზობდა სტუმრებს, მაგრამ დალევის თავი არავის ჰქონდა, დანა პირს არ უხსნიდა ბიჭებს. მეორე დღესაც საღამომდის იქ დარჩნენ. მოხუცი ბუტკევიჩი ველოსიპედით სადღაც წავიდა და დაღამებამდის აღარ დაბრუნებულა.

ფრანგი პარტიზანები

ბუტკევიჩი დაღამებისას დაბრუნდა და თავისი ფეხით ეწვია ტყეში მელაძის ბანაკს. – ორ დღეში შეგახვედრებთ ფრანგ პარტიზანებს. ამაღამ ერთ ადგილზე უნდა წაგიყვანოთ, აქედან ათიოდე კილომეტრზე! – თქვა მოსვლისთანავე. ღამის ცხრა საათზე გზას გაუდგნენ. ბუტკევიჩი ველოსიპედით მიდიოდა სახელმწიფო გზაზე, ქართველები ტყე-ტყე მისდევდნენ. ერთ პატარა სოფელს მიადგნენ. აქაც პოლონელები იყვნენ მასპინძლები – ჰენდრიხი და მისი სიძე. იმ ღამეს საბძელში დაყრილ თივაზე ეძინათ. მეორე დილით ჰენდრიხმა და ბუტკევიჩმა საიდუმლოდ გაანდეს – ამაღამ შეგახვედრებთ პარტიზანებსო და ველოსიპედებით სადღაც წავიდნენ. ქართველები წკიპზე იყვნენ შემართულნი, შიშობდნენ – არ გაგვცენო. ჰენდრიხი ადრე დაბრუნდა, ბუტკევიჩი კი ღამით. – ყველაფერი კარგად არის. შეხვედრის დრო და ადგილი დანიშნულია! – თვალი ჩაუკრა მელაძეს ბუტკევიჩმა, მერე გაიყვანა სოფლიდან ასიოდე მეტრზე და შორს ტყიან ქედზე მიუთითა: – იმ ქედის ძირზე პატარა ვაკეს რომ ხედავ, იქ დაგხვდებიან!

მთვარიანი ღამე იყო და მინიშნებული ტაფობი კარგად ჩანდა. მერე ქართველები კარგად დააპურეს, გზა დაულოცეს და ღამის ცხრა საათზე სოფლიდან გაამგზავრეს ბუტკევიჩის თანხლებით. როცა სოფელს გასცდნენ და ჭალას მიუახლოვდნენ, საიდანაც ქედზე ასასვლელი გზა იწყებოდა, ბუტკევიჩმა განაცხადა: მე ვეღარ წამოგყვებით, ახლა თქვენით განაგრძეთ გზაო. – ნუთუ გაგვცა? – გაუელვა მელაძეს თავში. – ნუთუ

პარტიზანების ნაცვლად იქ გესტაპოელები ჩაგვისაფრა? – გიბრძანებ წინ გაგვიძღვე! – იარაღი მიუშვირა მას მელაძემ, როცა დაინახა, რომ მოხუცზე ხვეწნამ არ გასჭრა. ტაფობამდის რომ მიაღწიეს, ბუტკევიჩს უკან დაბრუნების ნება დართეს. ტაფობზე მყოფთ შენიშნეს, რომ მაღლა ტყიან-წვრილიან ქედიდან ჯიბის ნათურამ ციცინათელასავით გაიელვა რამდენჯერმე. რამდენიმე დაძაბულმა წუთმა გაიარა. „Кто старший“ – იკითხა სიბნელიდან ნათურიანმა. ვასო მელაძე უიარაღოდ წავიდა უცნობისაკენ. მელაძემ სიბნელეში გაარჩია უძრავად მდგომი კაცის ლანდი. მიეახლა და გამარჯობა უთხრა რუსულად, ხელი ჩამოართვა. მოულოდნელად ოთხი უცნობი მეავტომატე ამოუდგა აქეთ-იქედან მელაძეს. – არ გაინძრე! – უბრძანა ნათურიანმა და მერე მშვიდად განაგრძო: – შიში ნურაფრისა გაქვთ, ჩვენ ფრანგი პარტიზანები ვართ, ბანაკიდან გაქცევის დღიდან ვიცით თქვენი ყოველდღიური თავგადასავალი, დღემდის გეძებდით და მოხარული ვართ ჩვენს პარტიზანულ ოჯახში თქვენი მოსვლისა.

ის იყო პარტიზანთა რაზმის უფროსი პროფესორი ბრანსონი. – დაუძახე დანარჩენ ამხანაგებსაც. – თქვა მან და როცა ისინიც მოვიდნენ, პროფესორმა ყველას მაგრად ჩამოართვა ხელი, მშვიდობით დაბრუნება მიულოცა. სამშობლოშიც ასევე მშვიდობით დაბრუნდებითო,– დააიმედა. უცბად ყოველი მხრიდან ტყეს ადამიანები გამოეყვნენ და რვა ქართველი მეავტომატეთა ოცეულის ალყაში აღმოჩნდა. – მომყევით! – ბრძანა ბრანსონმა. მას მხარდამხარ გაჰყვა ვ.მელაძე. მათ უკან კი მიჰყვებოდნენ ფრანგი მეავტომატეებით გარშემორტყმული დანარჩენი ქართველები. ზედ სერზე ტყეში 75 კაციანი რაზმის ბანაკი იყო, აქვე იყო პარტიზანთა შტაბიც. მისვლისთანავე პარტიზანები შემოესივნენ ქართველებს, ზოგი პურს აწვდიდა, ზოგი ღვინოს, ზოგი ხორცს, ყველა ცდილობდა ერთმანეთისათვის გადაეჭარბებინა მასპინძლობაში. ყველაფრიდან ჩანდა, რომ პარტიზანები სპეციალურად მომზადებულიყვნენ, ხეებზე კონწიალობდნენ გატყავებული დეკეულები და ცხვრები, აქეთ-იქიდან ღვინის კასრებს მოაგორებდნენ... ვახშმის შემდეგ პროფესორმა ქართველები შტაბში წაიყვანა და შტაბის უფროსს მაიორ მარკს წარუდგინა. მარკმა გულთბილად მიიღო ისინი.

ფრანგების პარტიზანულ რაზმს ერქვა „ФТП“.

პირველი ნათლობა

ხუთ დღეს ისვენებდნენ ქართველები. მეხუთე დღეს ახალი ტანსაცმელი მისცეს. მეექვსე დღეს ვასო მელაძე შტაბში გამოიძახეს. – დღეს თქვენ გეძლევათ პირველი პარტიზანული დავალება, – პირდაპირ საქმიდან დაიწყო მარკმა. – ზამთარი კარზეა მომდგარი, პარტიზანებს ტანსაცმელი სჭირდებათ. საღამოს შვიდ საათზე ქალაქ ნანსიდან ხუთი გერმანული სატვირთო მანქანა გამოვა გერმანელების ტანსაცმლით დატვირთული. დანიშნულ ადგილზე ჩვენი მეგზური მიგიყვანთ. ამადამ ხუთივე მანქანა აქ უნდა იყოს. გახსოვდეთ, ამ დავალების შესრულებაზეა დამოკიდებული პარტიზანთა შემდგომი ბრძოლისუნარიანობა.

– შესრულდება! – იყო მელაძის პასუხი.

ალექსანდრე შიხაშვილმა, მიხეილ გაგუამ, სულიკო აბულაძემ, აბელ პეტრიაშვილმა, იოსებ ალხანიშვილმა, არჩილ მირიანაშვილმა და გრიგოლ ჯიქიამ იარაღი მიიღეს და საღამოს მელაძის მეთაურობით საბრძოლო დავალების შესასრულებლად წავიდნენ. ფრანგმა მეგზურმა დანიშნულ ადგილზე მიიყვანა ისინი. გზა ერთ ადგილზე თავქვე ეშვებოდა, იქ მდინარეზე გადებულ ხიდზე გადიოდა და მერე კვლავ აღმართს მიუყვებოდა. ჩასაფრებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ადგილად სცნო მელაძემ ეს ხიდი. – ხუთნი ამ ხიდთან ჩასაფრდებით ტყიანში და მანქანებს გააჩერებთ. ჩვენ კი დაღმართის თავში ჩავსაფრდებით. მანქანები შუაში უნდა მოვიმწყვდიოთ! – გასცა განკარგულება მელაძემ. საღამოს შვიდ საათზე მანქანებმა ნელი სვლით ჩამოათავეს დაღმართი და ხიდს მიადგნენ. ხიდთან ჩასაფრებულებმა წინა მანქანის მძღოლი ზუსტი გასროლით გამოასალმეს სიცოცხლეს. ხუთივე მანქანა გაჩერდა. მანქანებზე მყოფმა დაბნეულმა 12 გერმანელმა ყველაზე გონივრულად იარაღის დაყრა და ხელების აწევა სცნო.

...გაამართლებენ ჩვენს ნდობას თუ არა? შეასრულებენ დავალებას თუ ჩავარდებიან? – ეს აზრი არ ასვენებდა არც მარკსა და არც ბრანსონს. ისინი ნერვიულად ბოლთას სცემდნენ შტაბში და ჟამიდან ჟამზე უსიტყვოდ შეაჩერდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. ყველაზე მეტად ნერვებზე უხმაურო გარემო, სამა-

რისებური სიჩუმე მოქმედებდა. ხოლო როცა ღამის 10 საათზე შტაბში გამოცხადდა ვასილ მელაძე და 11 გერმანელისა და ხუთი სატვირთო მანქანის უხიფათო მოყვანა მოახსენა, პროფესორმა ბრანსონმა და მაიორმა მარკმა თავიანთი აღტაცება და სიხარული ვეღარ დაფარეს, ორივენი გადაეხვივნენ მელაძეს და მაგრად გადაჰკოცნეს. პირველი პარტიზანული ნათლობის წარმატებით დაგვირგვინებით დაიწყო ასპროცენტიანი ნდობა ფრანგებისა ქართველი პარტიზანებისადმი. გერმანელი ტყვეები მეორე დღესვე დახვრიტეს.

სამი დღის შემდეგ ბანაკში მოულოდნელი განგაში ატყდა. პარტიზანებს თავს დაესხნენ ლავალის პოლიცია და გერმანელები. შეტაკება პარტიზანების გამარჯვებით დამთავრდა. პარტიზანებიდან ერთი ფრანგი მოკლეს, 4-5 კაცი დაჭრეს. თავდამსხმელებმა კი დატივეს თავიანთი 25 კაცი მოკლული და დაჭრილი, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

განრიგ მარსელი

„ასი ოქრო მიეცესა,
ვინც არსენას დაიჭერსა“.
(ხალხური)

ქართველი პარტიზანების შეუპოვრობა დღითი დღე სულ უფრო მეტ გაოცებასა და აღფრთოვანებას იწვევდა ფრანგებში: შორს გაუვარდათ სახელი. პარტიზანთა შტაბის უფროსი მაიორი მარკი და საბრძოლო ოპერაციების ხელმძღვანელი პროფესორი ბრანსონი საკუთარ თავზე მეტად ენდობოდნენ მელაძის ბიჭებს. ამ დროისათვის ვასილ მელაძე უკვე პროფესორ ბრანსონის მოადგილე იყო. პარტიზანების ხშირი სტუმარი გახლდათ ელენე ბუტკევიჩი. იგი იდეალური მეკავშირე იყო და სისტემატურად მოჰქონდა ახალ-ახალი ამბები. სად, საფრანგეთის რომელ კუთხეში არ ნახავდით პარტიზანებისადმი სიმპათიით განწყობილ ადამიანებს. საფრანგეთის თავისუფლებისათვის მებრძოლი პატრიოტები თითქმის ყველა ორგანიზაციაში იყვნენ.

ასე იყო ქალაქ პერიგეშიც. ლავალის პოლიციიდან დაწყებული და ლუდის ბარით დამთავრებული ბრანსონსა და მარკს თითო-ოროლა თავისიანი ყველგან ჰყავდათ. ასე, რომ პარტიზანთა შტაბი ქალაქში მომხდარი ყოველდღიური ამბების ზუსტ ინფორმაციას ღებულობდა ხოლმე.

საღამო იყო. საოცრად მშვიდი და ნაზი ჩამავალი მზე საამოდ ელამუნებოდა ტყეს. ღამის ოპერაციიდან დაბრუნებული ძმადნაფიცები მოლზე ისვენებდნენ. ხეზე ზურგით მიყრდნობილი მელაძე რაღაცას ელაპარაკებოდა სულიკო აბულაძეს. ალბათ მშობლიურ ხოდაბუნებსა და ზვრებზე მომუშავე მახლობლებს თუ იგონებდნენ. – ელენეა შენთან მოსული! – უთხრა მელაძეს ალექსანდრე შიხაშვილმა, რომელსაც სახე გაფითრებოდა, ნერვიულად ტუჩებს იკვნეტდა და თვალებიდან ცეცხლებს ჰყრიდა. – ნეტავი რამ გააცეცხლა ეს ბიჭი ასე? – გაიფიქრა მელაძემ და სტუმრის დასახვედრად მოემზადა. ელენემ ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო ჯიბიდან და უხმოდ გაუწოდა. მელაძემ გაშალა და ჩახედა: „ტყვეთა ბანაკიდან გაიქცა და გერმანელთა პოლიტიკას საშიშ წინააღმდეგობას უწევს ვასილ მელაძე. 100 ათასი ფრანკი ჯილდოდ იმას, ვინც პარტიზან ვასილ მელაძეს შეიპყრობს. ვბრძანებ მის მხოლოდდამხოლოდ ცოცხლად შეპყრობას. 50 ათასი ფრანკი კი – თვითოეული მისი ამხანაგის შეპყრობაზე. ბანაკის უფროსი კაპიტანი შმიდტი“. იქვე დახატული იყო ვასილ მელაძის სურათი. ვასილს თვალწინ წარმოუდგა მშობლიური მხარე. იქ, მდინარე ალგეთის პირზე პატარა სოფელია ვაკე, ალბათ ახლა იქ მოხუცი მშობლები დღედაღამ შრომობენ, აგრძელებენ საფრანგეთში გადმოკარგული თავიანთი შვილის სახელსა და საქმეს, შვილისას, რომელიც იმ კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა. მათ ახლა არც კი იციან, სად არის მათი ბიჭი და რა ძვირად არის შეფასებული მისი თავი. – ძვირად შევუფასებივარ შმიდტს. ვნახოთ, ვინ გამოვა ჩვენში გამარჯვებული. – თქვა ბოლოს მელაძემ. – აგრე! – დაუდასტურა არჩილმა. ალექსანდრეს რისხვად შეკრული მუშტების შემხედვარე კაცი ცხადად იგრძნობდა, რომ ეს ბიჭები ცოცხალი თავით არავის დაანებებდნენ თავიანთ საყვარელ მეთაურს.

დორდონის დეპარტამენტის სოფელ მუნტინიაკში წუთით

შეჩერებული მატარებლის ერთ-ერთ ვაგონში ორი ფრანგი მოქალაქე ავიდა. ვაგონები სავსეა გერმანელებით. ავტომატიანი გესტაპოელები ყველა ეჭვმიტანილს საბუთებს უსინჯავენ. – თქვენი საბუთები! – უთხრეს გესტაპოელებმა ახლად ამოსულ ორ მგზავრსაც. ერთმა, ფეხზე რომ იდგა, გაუწოდა თავისი საბუთები. მეორე კი ფანჯარასთან მოკალათებულიყო და აინუინშიც არ აგდებდა მათ. გერმანელმა ქეჩოში ხელი დასტაცა და ფეხზე წამოაგდო. – ეგ ყრუ-მუნჯია, განრიგ მარსელი, ნუ გაუწყრებით ბატონო! – გამოექომაგა პირველი მგზავრი. საბუთები გაუსინჯეს და უკან დაუბრუნეს. პერიგეს სადგურში ვაგონის კარებში კვლავ ორ-ორი გესტაპოელი ჩადგა. ისევ გულდასმით გასინჯეს მგზავრების საბუთები. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მარსელი და მისი მეგობარი უხიფათოდ გავიდნენ ქალაქში. ფრანგი ყრუ-მუნჯი მოქალაქის საბუთიანი მარსელი ვასო მელაძე იყო, ხოლო მეორე – პროფესორი ბრანსონი. მათ უნდა დაემყარებინათ კავშირი ივანე აბრამიძესთან. ბანაკში მყოფმა ამხანაგებმა თქვენთან გამოგვგზავნეს დავალებით, რომ დავამყაროთ ერთმანეთთან კავშირი და ქართველთა მთელი ათასეული ვიხსნათ ტყვეობიდან. ისინი ელიან ჩვენგან დახმარებას! – დაჟინებით მოითხოვდა პარტიზანთა შტაბში მელაძე. ბოლოს ეს საკითხიც მომწიფდა. პროფესორმა ბრანსონმა ქალაქის პოლიციაში სანდო პირებს გააკეთებინა ყრუ-მუნჯის პასპორტი (რადგან მელაძემ ფრანგული არ იცოდა). მელაძემ ულვაშები გაიპარსა, ფრანგული ბერეტი დაიხურა და დღეიდან იგი ფრანგ მოქალაქედ განრიგ მარსელად იქცა. ქალაქში გამოსულ მელაძეს უნდა ენახა ან აბრამიძე, ან კაპიტან შმიდტის მოადგილე პოლკოვნიკი მიხაილოვსკი, რომელიც ვასო მელაძესთან ერთად იყო ტყვედ ჩავარდნილი და როგორც საბჭოთა ოფიცერი, იგიც მოვალე იყო ტყვეთა განთავისუფლებაზე ეფიქრა. კვირა დღე იყო. აბრამიძესა და მიხაილოვსკის ქალაქში გამოსვლის უფლება ჰქონდათ და მელაძე იმედოვნებდა მათთან შეხვედრას, მაგრამ ვერსად შეხვდა. ტყვეთა ბანაკს მდინარე ჩაუდიოდა. ზედ ხიდი იყო გადებული. მელაძე და პროფესორი იმ ხიდის ყურეში გაჩერდნენ. ბანაკის უფროსმა შმიდტმა თავისი ამალით ცხვირწინ ჩაუარა მათ. შმიდტს რომ სცოდნოდა ვასო

მელაძის ასე ახლოს ყოფნა, ალბათ გულდამშვიდებით არ ჩაუვლიდა. ხიდზე ორი ტყვე გამოვიდა. ისინი ქალაქში მიდიოდნენ. მელაძე და ბრანსონი უკან გაჰყვნენ მათ. საღამოს ექვსი საათი იყო. – მე დავეწევი და ვეტყვი, რომ შენ ქართველი ემიგრანტი ხარ და მათთან საუბარი გსურს. შენ მერე შემოგვიერთდი. – თქვა პროფესორმა და ასეც მოიქცა. ბრანსონმა ვერაფერი გააგებინა მათ. ბოლოს მელაძე მიუახლოვდა მოსაუბრეებს, ერთ-ერთი მათგანი იცნო, ბანაკის მზარეული იყო, ხელი მოჰკიდა და განზე გაიყვანა, შენთან სალაპარაკო მაქვსო. – ეგ ჩვენთან არ მოუშვა ახლოს! – ანიშნა მეორე ტყვეზე ბრანსონს.

– ბიჭო, შენ ვასო მელაძე არა ხარ? – და მზარეულს სახე მიტკალივით გაუხდა. მთასავით კაცი კანკალმა აიტანა. – თუ ძმა ხარ არავინ დაგვინახოს, თორემ ორივე დავიღუპებით, ან ქალაქში ასე თავისუფლად რა გულით დადიხარ, ყველგან შენი სურათებია გაკრული, შენს დაჭერაზე აუარებელი ფულია გამოყოფილი და სასტიკი ბრძანებაა გაცემული.

– მაგას თავი დავანებოთ. შენ ის მითხარი, აბრამიძე სად არის?

– უფროსთან დააბეზღეს. აბრამიძე, ჩხენკელი და ებრალიძე დაიჭირეს.

მელაძემ სიმწრით ტუჩები მოიკვნიტა. – ტყვეთა ბანაკში ერთად ყოფნის ხათრით ერთი დავალება მაინც შემისრულე.

– კარგი.

მელაძემ ქაღალდზე სასწრაფოდ დაწერა: „შემხვდი შაბათს საღამოს 6 საათზე რესტორან ლეიზესთან. მელაძე“.

ქაღალდი ოთხად გაკეცა და მზარეულს გაუწოდა: – ეს წერილი გადაეცი პოლკოვნიკ მიხაილოვსკის საიდუმლოდ. აჰა, ეს ათასი ფრანკიც ჯილდოდ.

– აჰ, როგორ გეკადრება შე კაცო, ფული რა საჭიროა, ისეც გავაკეთებ მაგ საქმეს.

მელაძემ ძალით მისცა ფული. – ხომ არ გამცემ, ბიჭო?

– ცოლ-შვილი გამიწყდეს და მზის მადლი, თუ გიღალატო!

– მაშ მოიტა პატიოსანი კაცის ხელი!

მელაძემ და მზარეულმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და დაშორდნენ. პროფესორი დარწმუნებული იყო, საქმე კეთილად

დამთავრდაო და მელაძე გადაკოცნა. ქალაქგარეთ მანქანა ელოდათ. პარტიზანთა შტაბში უხიფადოდ დაბრუნდნენ.

მზარეული ტყვეთა ბანაკში რომ მივიდა, ჭირის ოფლი მაშინ ძლივს მოიწმინდა. – იქნებ ვინმემ დაინახა მელაძე რომ მელაპარაკებოდა? – გაიფიქრა მან. – მერე და რომ დამაბეზღონ კაპიტან შმიდტთან, მელაძეს შეხვდაო, სიკვდილი არ ამცდება. მელაძესთან შეხვედრისას მარტო არ ვიყავი, ჩემი ამხანაგიც მახლდა. მასაც ხომ შეუძლია შმიდტთან დაბეზღება? ყველაფერს სჯობს თვითონვე მივიდე შმიდტთან და გულახდილად ვუთხრა ყველაფერი. თუ ვასო მელაძეს დაიჭერენ, მაშინ ჯილდოსაც მივიღებ... – და გულშავმა კაცმა გულშავი საქმე ქნა. მელაძის წერილი მიხაილოვსკის ნაცვლად გერმანელ შმიდტს გადასცა. შმიდტი სიხარულით ჰაერში შეხტა და ხელები მოიფშვნიტა: – ახლა კი ჩამივარდა ხელში მელაძე. რაც მაგან ზიანი მოგვაყენა, სულ ცხვირიდან ვადენ, საკუთარი ხელით წამებით ამოვხდი სულს! შენ უნდა დამეხმარო იმ ყაჩაღის დაჭერაში, სამაგიერო ჯილდოები ჩემზე იყოს. მთელ პოლიციასაც ფეხზე დავაყენებ ახლავე.

ხაფანგში

„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან.“

(შოთა)

რესტორან ლეიზეს მეპატრონე პარტიზანების ერთგული იყო. შაბათ საღამოს ბრანსონი და მელაძე პაემანზე წასასვლელად მოემზადნენ. მაიორმა მარკმაც დაიჩემა წამოსვლა. ბევრი უშალეს, მაგრამ ვერ გადაათქმევინეს. დანიშნულ საათზე მაიორი მარკი, მელაძე, კაპიტანი ანტუანი, პროფესორი ბრანსონი და ერთი ფრანგი მძღოლი მანქანით მივიდნენ რესტორანთან. მელაძემ მაშინვე შენიშნა, რომ რესტორანს გარშემო უვლიდნენ მზარეული (რომელსაც მან საიდუმლო წერილი გაატანა ტყვეთა ბანაკში) და ერთი კიდევ სხვა მხარზე ავტომატგადაკიდებული. –

ჩემო პროფესორო, ღალატია, ჩვენ გაცემულნი ვართ, სასწრაფოდ გავეცალოთ აქაურობას! – თქვა მელაძემ ხმადაბლა. მძღოლმა სასწრაფოდ მოაბრუნა მანქანა. ის იყო ქალაქგარეთ უნდა გამოსულიყვნენ, რომ შტაბის უფროსმა მარკმა უთხრა მელაძეს: – შენ ნამდვილად მოგეჩვენა. იქ არაფერი შეთქმულება არ იყო. რომ არ გამოვბრუნებულიყავით, საქმეს ნამდვილად გავაკეთებდით. შეგეშინდა ალბათ.

მელაძე საოცრად გულფიცხი კაცი იყო. ასანთივით იფეთქა თავმოყვარეობაშელახულმა. – ქართველები მშიშრები არასოდეს ყოფილან. – მიუგო მარკს. – მე გეუბნებით, რომ იქ მისვლა და ჩვენი ჩავარდნა ერთი იქნება, არ გჯერათ? მაშინ რაც მოხდეს, ჩემი ბრალი არ იქნება. მოაბრუნეთ ახლავე მანქანა, დავბრუნდეთ უკან!

კვლავ იმავე რესტორანს მიადგნენ. – მანქანა არ გამოთიშო! – უბრძანა მელაძემ მძღოლს. დანარჩენებს კი მიმართა:!– თუ თავს დაგესხნენ, სასწრაფოდ მანქანაში ჩასხდომას ეცადეთ, მე მოვიგერიებ თავდამსხმელებს.

ფრანგები მანქანიდან გადმოვიდნენ და რესტორნის წინ ბაქანზე სეირნობას მოჰყვნენ პოლკოვნიკ მიხაილოვსკის მოლოდინში. მანქანაში დარჩნენ მელაძე და მძღოლი. ვასილი სიფიცხესა და შეუპოვარ სიმამაცესთან ერთად ფრთხილი კაციც იყო. იგი ნერვებდაძაბული იჯდა მანქანაში. ალღოთი გრძნობდა, რომ საქმეს სასიკეთო სუნი არ უდიოდა. – მაინც რა ფეხზე ადგა დღეს მაიორი მარკი? – ფიქრობდა იგი. – თავისი ფეხით მიდის ხაფანგში გასაბმელად.წერამ აიტანა ალბათ. რომელ გონიერ კაცს ჩაუყვია ძალით თავი ლომის ხახაში? კაცი მარტო საკუთარ გულისთქმას როგორ უნდა მიენდო, როცა მთელი პარტიზანული ათასეულის ხელმძღვანელი ხარ, როცა შენი თავი მარტო შენ არ გეკუთვნის, ასეთ დროს კაცმა ცოტა შორს უნდა გაიხედო, სიფრთხილე და ეშმაკობა უნდა იხმარო და პატარა ბავშვივით არ იჭირვეულო.

თავდასხმა მოულოდნელად მოხდა. ეზოში მყოფ ფრანგებსა და მანქანაში მყოფ მელაძეს ერთდროულად მიადგნენ გესტაპოელები. მელაძემ დაინახა, თუ როგორ მიუახლოვდნენ მანქანას ერთი მაღალი უცნობი და ერთიც საკონცენტრაციო ბა-

ნაკის ნაცნობი ტყვე მოსყიდული ღურცკაია. მესამე, დახეულ ლაბადიანმა მამაკაცმა დაურიდებლად გააღო მანქანის კარი და მძღოლს გვერდით მიუჯდა. ქონდრისკაცივით დაბალმა ღურცკაიამ მანქანაში ხელი შემოყო, მელაძეს მკერდში ჩააფრინდა და გველივით გაისისინა უწმაწური გინებით: – ჩაგვივარდი ხელში, მელაძევ, შე...!

ლოდინის, ან მარკსა და ბრანსონზე ფიქრის დრო აღარ იყო. მხოლოდ ელვისებური სისწრაფე თუ იხსნიდა ახლა მელაძეს სიკვდილისაგან. – ჰაი დედასა; უჯიშოვ მოგაღორეს გერმანელებმა განა?! – და მელაძემ ამ სიტყვებთან ერთად ჯუჯა ღურცკაიას გულზე ავტომატი მიაბჯინა. შეცბუნებულმა ღურცკაიამ და ახმახმა უკან დაიწიეს. სროლა ვერ გადაეწყვიტათ, რადგან კაპიტან შმიდტისგან ნაბრძანები ჰქონდათ მელაძის მხოლოდდამხოლოდ ცოცხლად შეპყრობა. ამის იმედი ჰქონდა სწორედ მელაძესაც. – დასძარ მანქანა! – დაუყვირა მან მძღოლს და კაბინაში მჯდომ ლაბადიან გესტაპოელს თვალის დახამხამებაში ხელები გადაუგრიხა. მანქანა მთელი სისწრაფით მოსწყდა ადგილიდან. გესტაპოელი იკლაკნებოდა და თავდახსნას ცდილობდა მელაძის მკლავებიდან, მაგრამ ამაოდ, მარწუხები საკმაოდ მძლავრი იყო. ვასომ თავი მოაბრუნა და ქუჩას გახედა. უთვალავი გესტაპოელი მოსდევდა მათ, მაგრამ ქუჩაში დიდი მოძრაობა და ხალხმრავლობა მდევრებს ხელს უშლიდა სწრაფ მოძრაობაში. აკაკანდა გერმანელთა ავტომატები. მძღოლმა გამწარებით დაიგმინდა, გესტაპოელების ტყვიამ მკლავში გაუარა. – დავიღუპეთ! – გაიფიქრა მელაძემ, მაგრამ მძღოლი საღ ხელს მაინც არ უშვებდა საჭეს და სისწრაფეს არ ანელებდა. – ოღონდ ტყემდე მივაღწიოთ, – ფიქრობდა მელაძე, – გესტაპოელები მშიშრები არიან, ტყეში გამოდევნებას ვერ გაბედავენ.

მანქანა ქალაქს გასცდა. ცოტაც და დევნილებმა ტყეს შეაფარეს თავი. მელაძემ მანქანიდან გადმოიყვანა ტყვე, ჯიბიდან რევოლვერი ამოართვა, ხოლო უბიდან – ორი ხელყუმბარა. მერე ხელ-ფეხი შეუკრა, პირი ნაჭრით ამოუტენა და კვლავ მანქანაში ჩააგდო; მძღოლს ჭრილობა შეუხვია და უთხრა: – ქალაქში უნდა წავიდეთ, პოლიციაში. მძღოლმა გაოცებით შეხედა,

ეს კაცი ჭკუიდან ხომ არ შეიშალაო, მაგრამ როცა მელაძის გაცეცხლებულ თვალებს წააწყდა, მიხვდა, რომ ამ კაცთან ხუმრობა არ შეიძლებოდა. ამასობაში დადამდა და ქალაქში გასვლა შეიძლებოდა. მელაძე პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში გამოცხადდა. – აა, მარსელს ჩემი სალამი. რამდენი ხანია არ მინახიხარ! – ფეხზე წამოდგა პოლიციის უფროსი, რომელიც პარტიზანების მომხრე იყო. მელაძემ უამბო დღევანდელი თავგადასავალი და სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რა ბედი ეწიათ მარკს, ბრანსონსა და ანტუანს. პოლიციის უფროსმა დარეკა ქალაქ პერიგეს საიდუმლო ნაწილის უფროსთან. გამოირკვა, რომ პროფესორი ბრანსონი, მაიორი მარკი და კაპიტანი ანტუანი დაეპატიმრებინათ. ვასო მელაძე დაძმარებული დაბრუნდა პარტიზანების შტაბში და ამხანაგებს უამბო ეს სამწუხარო ამბავი. შტაბის წინ პარტიზანები შემოსეოდნენ დაჭრილ მძღოლს და ათას შეკითხვას აძლევდნენ მომხდარ უბედურებაზე. ექიმმა მას სახელდახელო ნახვევი შეხსნა და ნორმალურად შეუხვია. – გადმოაგდეთ მანქანიდან ეგ ძაღლი. – გამოსცრა კრიჭაშეკრულმა მძღოლმა. მხოლოდ ახლადა შეამჩნიეს პარტიზანებმა მანქანაში მყოფი შეკოჭილი კაცი და ძირს „გადმოაბრძანეს“. იგი აღმოჩნდა გესტაპოს უფროსი. გაბოროტებულმა პარტიზანებმა გულისჯავრი მასზე იყარეს, ნორჩი წიფლების დახრილ კენწეროებზე ფეხებით მიაბეს და ისე გახლიჩეს შუაზე. სისხლი სისხლსა და ზვარაკს თხოულობდა, ასეთი იყო შურისძიების დაუწერელი კანონი.

ვასო მელაძე ღრმად ჩააფიქრა შექმნილმა მდგომარეობამ, პარტიზანთა ხელმძღვანელები ჩავარდნენ, მოსალოდნელი იყო, რომ გესტაპოელებს ისინი წამებით გამოეტეხათ და პარტიზანთა განლაგება აღმოეჩინათ, მაშინ ყველაფერი დაიღუპებოდა. მელაძეს უნდა ეკისრა ხელმძღვანელობა. ამ დღიდან იგი პარტიზანთა სპეციალური ასეულის მეთაური გახდა, ხოლო მოგვიანებით – პარტიზანთა ათასეულის.

შტაბს პარტიზანები ცალკეულ რაზმებად ჰყავდა დაყოფილი და ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებულ ადგილებში განლაგებული. მელაძემ სასწრაფოდ გაგზავნა რაზმებში მეკავშირეები და უბრძანა ადგილმდებარეობის გამოცვ-

ლა, რათა გესტაპოელებისათვის გზა-კვალი აერიათ. როცა ეს ბრძანება შესრულებულ იქნა, მხოლოდ მაშინ დაიწყო სამზადისი შტაბის გადასაადგილებლადაც, მაგრამ დაგვიანდა. გესტაპოელებმა და ლავალის პოლიციამ შტაბი აღმოაჩინეს და ალყა შემოარტყეს. მელაძემ დროზე გაიგო ალყაში ჩავარდნა და საბრძოლო სამზადისს შეუდგა. ყველა სამოცდათხუთმეტივე პარტიზანი წრიულ თავდაცვაზე განალაგა, ძმადნაფიცები გვერდში ამოიყენა, ბრძოლაში ქართველი ბიჭების იმედი უფრო ჰქონდა. – ძმებო, საშიშ ალყაში ვართ, გადარჩენაზე ფიქრი ზედმეტია, უნდა ვიბრძოლოთ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე; თუ სიკვდილია, რვავე ქართველი ერთად დავიხოცოთ, ერთმანეთს ნუ დავშორდებით. პეტრიაშვილო, მარცხენა მხარეს შენ უხელმძღვანელებ, მარჯვენა მხარესა და შემოსასვლელ გზაზე ალექსანდრე შიხაშვილი აგებს პასუხს, ეს უფრო საშიში ადგილია. – განკარგულება გასცა მელაძემ. ბრძოლა ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდა. მელაძე მთელ განლაგებაზე იყო პასუხისმგებელი. მისი თვალი ყველგან სწვდებოდა, იგი ყველგან იყო და ამხნევებდა სიკვდილის რკალში მომწყვდეულ ბიჭებს, ამხნევებდა, რადგან იცოდა, რომ დღევანდელი დღე ბევრისთვის უკანასკნელი და საბედისწერო იქნებოდა. ყველაზე მეტად კი შტაბის საბუთების ბედი აწუხებდა. – შტაბი რამენაირად უნდა გავაპაროთ ალყიდან! – ფიქრობდა იგი. შტაბის მასალებით დატვირთული მანქანა შიხაშვილის მახლობლად გააჩერებინა. როცა გამარჯვების სასწორი მტრისაკენ გადაიხრებოდა, მას და ალექსანდრეს უნდა გაერღვიათ რკალი და მანქანა სამშვიდობოზე გაეყვანათ.

პარტიზანებმა ომი წააგეს, 44 ფრანგი პარტიზანი ბრძოლის ველზე ეყარა დაჭრილი და დახოცილი. დანარჩენები მტერმა ტყვედ ჩაიგდო. როცა ჯიქიას, აბულაძესა და ალხანიშვილს ტყვიაწამალი გაუთავდათ, მტერს ავტომატის ყუებითღა იგერიებდნენ, მაგრამ დაჭრილი და არაქათგამოცლილი ბიჭები მტერმა ძალთა სიმრავლით სძლია და შეიპყრო. მტერს ჩაუვარდა ხელში მძიმედ დაჭრილი პეტრიაშვილიც. ახლა მხოლოდ ოთხი ავტომატიღა კაკანებდა პარტიზანთა მხრიდან: მელაძის, შიხაშვილის, მირიანაშვილისა და გაგუასი. – აბა მიხეილ, დასძარ

მანქანა, ჩვენ გზას გაგიკაფავთ ცეცხლით! – თქვა მელაძემ. – ალყა გაარღვიეს და მანქანა სამშვიდობოზე გაუშვეს. ალყის გარღვევის დროს მძიმედ დაიჭრა არჩილ მირიანაშვილი. მელაძემ ზურგზე წამოიკიდა დაჭრილი და ტყეში უგზოუკვლოდ განაგრძეს გზა. დიდხანს მისდევდნენ გერმანელები. არჩილი გრძნობდა, რომ ამხანაგებს უჭირდათ მისი ტარება და განსაცდელში იგდებდნენ თავს. – დამტოვეთ და თავს უშველეთ, მე სააქაო პირი აღარ მაქვს, თავს რაზე იღუპავთ ჩემი გულისთვის! – ემუდარებოდა იგი მეგობრებს. ხვეწნით რომ ვერაფერი გააწყო, გამწარებული არჩილი კბილებით ჩააფრინდა მელაძეს კისერში და კბენა დაუწყო, იქნებ მაშინ მაინც დამაგდოს და თვითონ გადარჩესო.

– ძმადნაფიცს საით ეღალატების, ცოცხლად მტერს არ დავანებებ შენ თავს! – ეპასუხებოდა მგლური ძუნძულით მიმავალი მელაძე. გზადაგზა შიხაშვილი ენაცვლებოდა და ახლა მას მიჰყავდა დაჭრილი. ბოლოს მირიანაშვილმა უკანასკნელ საშუალებას მიმართა: რევოლვერის ლულა პირში ჩაიდო და სასხლეტს თითი გამოჰკრა, ვაუკაცმა მეგობრების გადარჩენის მიზნით თავი მოიკლა.

განთიადზე მიაღწიეს მელაძემ და შიხაშვილმა მეზობელ პარტიზანულ რაზმს, სადაც გაგუას უკვე მიეტანა შტაბის მასალები.

ათ დეკემბერს დილიდანვე ხალხის ყურადღება მიიქცია ქალაქ პერიგეს ქუჩებში რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე გამოკრულმა ბრძანებამ. მასში ეწერა: „დღეს, ათ დეკემბერს, ხუთ საათზე ქ. პერიგეს ტყეში საჩვენებელი წესით ქალაქის გესტაპო დახვრეტს რვა ქართველ ურჩ ტყვეს, სახელდობრ: ივანე აბრამიძეს, ივანე ჩხენკელს, ეფრემ ებრალიძეს, აბელ პეტრიაშვილს, გრიგოლ ჯიქიას, იოსებ ალხანიშვილს, სულიკო აბულაძეს და მიტო მარგებაძეს.

ზემოაღნიშნულმა ტყვეებმა უღალატეს გერმანიის კანონებს, სათავეში ჩაუდგნენ ტყვეთა ბანაკში გერმანელების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობას. ისინი იყვნენ ბანაკში მოქმედი საიდუმლო ორგანიზაციის აქტიური წევრები.

ცხადდება ყველას საყურადღებოდ: ისინი, რომლებიც გავლენ პარტიზანებად, შეინახავენ და დაიფარავენ პარტიზანებს, არ დაემორჩილებიან გერმანულ კანონებს, დაისჯებიან სიცოცხლის წართმევით ან სასიკვდილო საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნით. იყავით ფრთხილად!

ქ. პერიგეს გესტაპო.

10 დეკემბერი, 1943 წელი.

ოთხი დასახვრეტთაგანი მელაძის ძმადნაფიცი პარტიზანი იყო, დანარჩენები კი ტყვეთა ბანაკის იატაკქვეშა ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

– სასწრაფოდ უნდა შევატყობინოთ პარტიზანებს! – გაუელვა თავში ელენე ბუტკევიჩს. როცა იგი პარტიზანების შტაბში გამოცხადდა, სულს ძლივსღა ითქვამდა, ისე სწრაფად ევლო ველოსიპედით. – ვასო, ჩქარა, თორემ გვიანი იქნება, ხუთ საათზე უნდა დახვრიტონ ჩვენები: აბრამიძე, ჩხენკელი, ებრალიძე, პეტრიაშვილი, ჯიქია, ალხანიშვილი, აბულაძე, მარგებაძე. ხოლო ნემსაძე, კალანდაძე, ჭანტურია და კირცხალია სასიკვდილო ბანაკში გადაგზავნეს. – ცრემლების ყლაპვით ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოახსენა ელენემ.

მელაძემ სასწრაფოდ შეკრიბა ბიჭები და ძმათა საშველად გასწია. – ოღონდ მივუსწრო დახვრეტამდის. – ფიქრობდა გზადაგზა. მელაძე ასე აღელვებული პარტიზანებს ჯერ არ ენახათ. პირგამეხებული ვაუკაცი ახლა ჰაერში კამარის შესაკრავად მომზადებულ ფოცხვერს ჰგავდა. მაგრამ გზაში გესტაპოელების გაძლიერებულ რაზმს გადააწყდნენ. ბრძოლა კარგახანს გაგრძელდა. როცა პარტიზანებმა გესტაპოელები გაულიტეს და პერიგეს ტყეში დახვრეტის ადგილზე გაჩნდნენ, უკვე გვიანი იყო. იქ მელაძეს დახვდა მხოლოდ ახლადამოვსებული სამარე, სისხლიანი ბალახი და რვა გადახერხილი ბოძი – ეს უტყვი ძეგლები უცხო მიწაზე ვერაგულად დაღუპული ქართველი გმირებისა.

შურისძიება

დღეები დღეებს მისდევდა კრიალოსანივით, პარტიზანული ბრძოლები სულ უფრო მეტ ზიანს აყენებდა და ჰქანცავდა გერმანელებს, რომელთა მზეც უკვე ჩასვენებაზე იყო. პარტიზანთა შტაბს ახლა ხელმძღვანელობდა სასტუმრო ლეიზესთან დაღუპული კაპიტანი ანტუანის ბიძა – პოლკოვნიკი ანტუანი. ვასილ მელაძემ, ალექსანდრე შიხაშვილმა და მიხეილ გაგუამ, დაღუპული ძმადნაფიცებისათვის შურისძიებით აღვსილებმა, მრავალი გერმანელი გამოასალმეს სიცოცხლეს. მათ თითო-თითოდ შეაგროვეს და კვლავ შემოიკრიბეს ქართველი პარტიზანები: საფრანგეთში მღვდლები წვერ-ულვაშს არ ატარებდნენ საერთოდ, ღვთისმსახურები ხელშეუხებელი პიროვნებები იყვნენ. მელაძეს ერთგული პირები სამღვდელოებაშიც ჰყავდა, იგი გადაიცვამდა მღვდლის ანაფორას და მათ ნაცვლად შედიოდა ხოლმე საკონცენტრაციო ბანაკში. იქ იატაკქვეშა მუშაობის ორგანიზატორებს აძლევდა კონკრეტულ დავალებას ტყვეთა გაპარების მოწყობის შესახებ. ასე და ამრიგად ტყვეები ახერხებდნენ ბანაკიდან გაქცევას და მელაძესთან წასვლას. პირველი, ვინც ამ გზით ტყვეთა ბანაკიდან გაიქცა მელაძესთან, მიხეილ ლაიშვილი იყო. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ბანაკიდან თითო-ოროლა კაცი არ გაქცეულიყო.

ცოტა მოგვიანებით, 1944 წლის ზაფხულში, როცა ბანაკიდან ტყვეთა გაქცევა გახშირდა, მიხეილ ლაიშვილი დანიშნული იქნა შემკრები პუნქტის უფროსად. იგი აგროვებდა გაქცეულ ტყვეებს და მელაძის ათასეულში აგზავნიდა. დაღუპული ძმადნაფიცების ნაცვლად მელაძის რაზმში შიხაშვილისა და გაგუას მხარდამხარ ახლა იბრძოდნენ გოგლა ბერიძე (თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ფარცხისის მკვიდრი), ალექსი სულხანიშვილი (თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ღოუბნის მკვიდრი), გოგლა ღაღეთაშვილი და დათიკო ბარაბაძე (თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდის მკვიდრნი), ვანო ჩოხელი (თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ქსოვრეთის მკვიდრი), ვანო გვრიტიშვილი (თეთრიწყაროს რაიონის სოფელ შეხვეტილის მკვიდრი), მიხეილ ლაიშვილი (თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთის მკვიდრი) და

მრავალი სხვა. კაპიტანი შმიდტი, გერმანელი გესტაპოელები და ლავალის პოლიცია გამწარებით ცდილობდნენ მელაძის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ამაოდ. მელაძეს ტყვია არ ეკარებოდა და ხშირად, როცა გერმანელები მას მოიმწყვდევდნენ და ეგონათ ახლა კი ხელში ჩაგვივარდაო, მელაძე რაღაც სასწაულით მაინც ხელიდან ეცლებოდათ ხოლმე.

1944 წლის გაზაფხულზე პარტიზანთა შტაბი სოფელ მუნტინიაკში იმყოფებოდა. ვიღაცამ გასცა პარტიზანები და გერმანელებს შეატყობინა ეს ამბავი. გენერალ ლეიფშის ხელმძღვანელობით სოფელს ალყა შემოარტყა გერმანელთა მთელმა დივიზიამ. უკვე ის ფაქტი, რომ ერთი პატარა სოფლისა და იქ მყოფი რამდენიმე კაციანი პარტიზანთა შტაბის ხელში ჩასაგდებად გერმანელებმა მთელი დივიზია გამოყვეს, მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ გამწარებულნი იყვნენ ისინი პარტიზანებისაგან.

გერმანელთა დივიზიის ალყიდან შტაბის გამოყვანა? – ეს თითქმის შეუძლებელი რამ იყო. პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელობა საგონებელში ჩავარდა. – ისევ მელაძე თუ გაახერხებს რამეს თავის ბიჭებით! – გადაწყვიტეს მათ ბოლოს. – კამარად ვასილ, შენი საზრიანობის იმედი გვაქვს, რამენაირად უნდა გადაარჩინო პოლკოვნიკი ანტუანი და შტაბი.

მელაძემ ბრძოლაში ნაწრთობი და ათასჯერ ჭირგამოვლილი ძმადნაფიცები შიხაშვილი და გაგუა წაიყვანა თან. ერთი ფრანგი პარტიზანიც გაიყოლეს. გერმანელები სოფელში მიმავლებს უშვებდნენ ხოლმე, ხოლო სოფლიდან გარეთ გამოსასვლელად არავის აჭაჭანებდნენ. ამის იმედი ჰქონდა მელაძეს. ბიჭები თითო-თითოდ შევიდნენ სოფელში. სულ ბოლოს ვასილი შევიდა. გერმანელებმა შეაჩერეს და დაკითხვა დაუწყეს, მაგრამ როცა მისი საბუთი – ყრუ-მუნჯი განრიგ მარსელის პასპორტი გასინჯეს, თავი დაანებეს და სოფელში შეუშვეს. შტაბი იატაკქვეშეთში იყო და ბიჭებს გაუჭირდათ მისი მოძებნა. ბოლოს ერთ-ერთი ფრანგი დაიყოლიეს და შტაბში შეაგზავნეს. მალე მელაძე, შიხაშვილი, გაგუა და მათი მეგზური ფრანგი პარტიზანი პოლკოვნიკ ანტუანთან აღმოჩნდნენ.

შტაბის საბუთები მანქანაში ჩააწყეს, რომელიც ისე უბრა-

ლოდ იყო მოწყობილი, რომ კაცს კერძო მეპატრონისა ეგონებოდა. საბუთებს ზევიდან თივა დააყარეს, ზედ დასხდნენ ექვსნი – სამი შტაბის მუშაკი და სამიც ქართველი. გერმანელთა ყველაზე სუსტი მხარე შეარჩიეს და ღამის სიბნელეში იქით გასწიეს. სოფლის პირზე ორი პატრული დალანდეს. ქართველი ბიჭები მანქანიდან გადმოვიდნენ და საბუთები გაუწოდეს. საბუთების სინჯვით გართული გერმანელები ბიჭებმა დანებით უხმოდ დაკლეს და გზა განაგრძეს. გასავლელი იყო უკანასკნელი საგუშაგო. ახლა სისწრაფეზე იყო დამოკიდებული ყველაფერი. მოსახვევში გუშაგებმა გაჩერება უბრძანეს, მაგრამ როცა მანქანამ სვლა არ შეაჩერა, სროლა აუტეხეს. გაქანებული მანქანიდან ხუთი ავტომატი ერთდროულად გაეპასუხა გერმანელებს. მანქანაში მყოფთაგან ორი კაცი დაიჭრა, ერთი მათგანი გზაშივე გარდაიცვალა, მაგრამ დავალება მელაძემ პირნათლად შეასრულა. პოლკოვნიკი ანტუანი ქართველ ბიჭებს სათითაოდ გადაეხვია და მადლობა გადაუხადა.

გერმანელებმა როცა გაიგეს პარტიზანთა შტაბი ხელიდან გამოგვეცალაო, გაცოფდნენ. გაბრიყვებულ გენერალ ლეიფშის ბრძანებით დილის ექვს საათზე სოფელში ჯარის ნაწილები შეუშვეს, ხალხი და პირუტყვი სახლებში გამოკეტეს. უძრავ-მოძრავ ქონებას ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. დიდხანს იწვოდა სოფელი მუნტინიაკი. მოსახლეობიდან არც ერთი კაცი ცოცხალი არ გადარჩენილა.

ასე გახდა საქვეყნოდ ცნობილი დორდონის დეპარტამენტის ქალაქ პერიგეს ახლოს მდებარე ნაცრად ქცეული სოფელი მუნტინიაკი. პარტიზანთა შტაბში ცნობა მოვიდა, რომ სამხრეთ საფრანგეთის ულამაზეს ქალაქ ტულუზიდან გამოვიდა ქალაქ ნანსის მიმართულებით გერმანელთა ეშელონი. მატარებელს უნდა გაევლო ქალაქ ლეზეისთან. მელაძე თავის პარტიზანებით ლეზეიში შესასვლელ ხიდთან ჩასაფრდა. ხიდი დანაღმეს. მატარებელი ხიდზე შედგა თუ არა, აფეთქდა. ვაგონები ინერციით ერთმანეთს შეაწყდნენ და შეიხორხლნენ, მთელი შემადგენლობა ცხვირით მდინარეში ჩაეყუდა. გერმანელების უმეტესობა დაიხოცა, დანარჩენები პარტიზანებმა იქვე დახვრიტეს, 250 მსხვილი და მცირე ყალიბის იარაღი და

გერმანელთა მომხრე ფრანგი ტყვეები ნადავლად გაიყოლეს ბანაკში. ფრანგი მოღალატეების საქმეებს პარტიზანთა შტაბი იხილავდა და სათანადო აქტის შედგენის შემდეგ უსჯიდნენ სიკვდილს. ფრანგი ტყვეებიდან ყველას ყურადღება განსაკუთრებით ერთმა მაღალმა ჭაბუკმა მიიქცია. იგი გესტაპოში ნამუშევარი აღმოჩნდა. შტაბის ხელმძღვანელობამ – პოლკოვნიკმა ანტუანმა, ვასილ მელაძემ და კიდევ ერთმა ფრანგმა ამ ჭაბუკის დახვრეტაზეც მოაწერეს ხელი. როცა იგი დასახვრეტად მიჰყავდათ, პარტიზანთა ერთი ოცეულის მეთაურმა აიტეხა, კრივში უნდა გამოვიწვიოვო. ფრანგები კრივისა და სხვა ასეთი სანახაობის მოტრფიალენი იყვნენ. ხელად წრე შეიკრა, გაჩაღდა კრივი. ტყვე ჭაბუკმა კრივში ზედიზედ სამი კაცი დაამარცხა, როცა მეოთხე აპირებდა მასთან შებმას, ამ დროს მან შენიშნა, რომ სანახაობის ექსტაზში შესულ ერთ-ერთ ფრანგ პარტიზანს ავტომატი მიწაზე დაედო და ისე უყურებდა სეირს. ჭაბუკი ტყვე დაღლილი იყო, მაგრამ ელვის სისწრაფით დასტაცა ხელი ძირს დაგდებულ ავტომატს, სამი პარტიზანი იქვე მიაწვინა და ტყეში გაუჩინარდა...

მხიარული დღე ასე უმხიარულოდ დამთავრდა...

1944 წლის ივლისის ერთ მშვენიერ დღეს პარტიზანთა მუდმივი მეკავშირე – უშიშარი ელენე ბუტკევიჩი ამოვიდა მთაში და ამბავი მოიტანა: – ხვალ საღამოს ტყვეთა ბანაკის უფროსი კაპიტანი შმიდტი 25 კაციანი მცველებით ქალაქ პერიგედან ნანსში მიემგზავრება საქმეზეო. ქართველი ბიჭები ფეხზე დადგნენ, შურისძიების საათმა დაჰკრა... დანიშნულ დროზე პერიგედან დაახლოებით ოთხმოციოდე კილომეტრის დაშორებით, სოფელ ვერვიალთან ახლოს გზა უყელა კაპიტანს მელაძემ. ვასოს თან ახლდნენ: ალექსანდრე შიხაშვილი, გაბრიელ კობაიძე, მიხეილ გაგუა, გიორგი ბერიძე, ალექსანდრე სულხანიშვილი, გიორგი ღაღეთაშვილი, დავით ბარაბაძე, ვანო ჩოხელი, მიხეილ ლაიშვილი, ვანო გვრიტიშვილი, დანარჩენები ფრანგები იყვნენ – სულ 18 პარტიზანი. – შმიდტი ცოცხლად აიყვანეთ! – უბრძანა ბიჭებს ვასომ. – დედას გიტირებ, კაპიტანო შმიდტო; მე თუ ქართველი ბიჭების სისხლი არ გაზღვევინე. მაშინ მელაძე აღარ ვყოფილვარ!

სამი მანქანა მოუახლოვდა ჩასაფრებულებს. შმიდტი შუა მან-

ქანაში იჯდა უსაფრთხოების მიზნით. პარტიზანებმა ცეცხლი გახსნეს. წინა მანქანაში მჯდომი ექვსივე გერმანელი მწყობრიდან გამოვიდა. შმიდტის მანქანა ზედ შეაწყდა გაჩერებულ წინა მანქანას. გაჩერდა მესამე მანქანაც. აცახცახებული გერმანელები ხელებაწეულნი გადმოვიდნენ მანქანებიდან. შმიდტმა რომ მელაძე დაინახა, მოულოდნელობისგან ლამის ჭკუიდან შეირყა. – გამარჯობა შენი! – ხელი ჩამოართვა მელაძემ. – შენ უამრავი ფული გასწირე ჩემს დასაჭერად. ბრძანება გქონდა გაცემული ცოცხლად შეიპყარითო. დიდი მადლობა, რომ ასე უფრთხილდებოდი ჩემს სიცოცხლეს. ნატრობდი ჩემთან პირისპირ შეხვედრას და ნატვრა აგისრულე, რაღას დაღონებულხარ? რა უყავი ჩემი თორმეტი ამხანაგი: აბრამიძე, ჩხენკელი, ებრალიძე, ალხანიშვილი, ჯიქია, აბულაძე, პეტრიაშვილი და სხვები. შენ საკუთარი ხელით აწამე და დახვრიტე ისინი. შენ ხელი გაისვარე მრავალი ადამიანის უდანაშაულო სისხლში. შენ ხოცავდი ხალხს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სამშობლო და თავისუფლება უყვარდათ. გახსოვს ქერჩის ომი, 1942 წლის 10 მაისი? – შენ დახვრიტე მაშინ უმწეო ქალი ტყემალაძე. ჰაი, რომ დაჭრილი ვიყავ, თორემ განანებდი. დიდხანს გეძებე და გიპოვე. ახლა გავსწორდეთ მე და შენ! მოგივარდით კარზე და წაგართვით რამე? – არაფერი. მაშ რა მოგარბენინებდათ შენ და მილიონ შენისთანა ფაშისტს გერმანიიდან სხვა ქვეყნებში? ჯერ არ მოგკლავ. პარტიზანებთან უნდა წაგიყვანო, გაჩვენო, თუ როგორია რისხვა ხალხისა. იქ ჩემი ხელით უნდა მოგაჭედო შუბლში ტყვია, როგორც შენ ესროლე ჩემს ამხანაგებს. ასეთი ბოლო ელის ყველა შენნაირს. შენს თვალწინ ჩემმა ბიჭებმა უნდა დახვრიტონ შენი 25-ვე მხლებელი შენს მიერ დახვრეტილი ჩემი 12 ამხანაგის სანაცვლოდ. ჯერჯერობით ეს იკმარე, დანარჩენი მერე იყოს!

შმიდტს შუბლზე და ტანზე ერთიანად ოფლმა დაასხა, მელაძის თვითოეულ სიტყვაზე თვალებს ხუჭავდა და სახე ისე ეჭმუხნებოდა, თითქოს თავ-პირში მათრახს ურტყამენო. პარტიზანებმა შმიდტის მხლებლები შემთხვევის ადგილზევე დახვრიტეს, კაპიტანი კი ანტუანს მიჰგვარეს. შიხაშვილმა, გაგუამ და მელაძემ სთხოვეს პოლკოვნიკ ანტუანს, შმიდტი ჩვენ გადმოგვეცით დასასჯელად, რვა ძმადნაფიციდან ხუთი მაგან გამოგვაცალა

ხელიდან, ძმადნაფიცობის წესი თხოულობს, რომ შმიდტი გადარჩენილი სამი მეგობრის – ჩვენი ხელით მოკვდესო. ანტუანმა მხოლოდ მეოთხე დღეს შეასრულა მათი თხოვნა და კაპიტანი შმიდტი სამი ქართველის – მელაძის, შიხაშვილის და გაგუას ხელით გამოესალმა წუთისოფელს.

სამშობლოში

1944 წლის შემოდგომაზე მელაძის პარტიზანულ ათასეულს ეწვია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი. მას მელაძესთან საუბარი ჰქონდა პარტიზანთა შემდგომი საქმიანობის შესახებ. მას მერე ტორეზი პარტიზანთა ხშირი სტუმარი იყო. ყოველ მესამე-მეოთხე დღეს აუცილებლად ეწვეოდა ხოლმე ბიჭებს, გულთბილად მოიკითხავდა ყველას და მერე იწყებოდა მორიგი დავალებების მიცემა და შესრულება.

1944 წლის ოქტომბრისათვის სამხრეთი საფრანგეთი პარტიზანული მოძრაობის წყალობით გათავისუფლებულ იქნა გერმანელებისგან, ჩრდილოეთ საფრანგეთი კი კვლავ მტრის ხელში იყო.

ბრძოლა ფაშიზმის შავი ჭირის წინააღმდეგ კვლავ გრძელდებოდა. სასიკვდილო კრუნჩხვებით შეპყრობილი ურჩხული დანებებას არ აპირებდა, მაგრამ მისი დღეები დათვლილი იყო.

1945 წლის 9 მაისს ჩაესვენა ფაშისტური გერმანიის მზე. ვასილ მელაძე ამ დროს პარტიზანული ათასეულის მეთაური იყო. იგი და მისი პარტიზანები ქალაქ ლეზეიში შეხვდნენ ამ დიად თარიღს. აქედან მელაძე თავისი პარტიზანული ათასეულით პარიზში ჩავიდა. პარიზი ზეიმობდა, ყვავილებით ხვდებოდა პარტიზანებს. აქ იყვნენ სხვა პარტიზანული შენაერთებიც, ტყვეობიდან განთავისუფლებული საბჭოთა მოქალაქეები, პარიზის მოსახლეობა – დიდი და პატარა. საზეიმოდ მორთულ ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიდნენ ორატორები. ხალხი განსაკუთრებით მქუხარე ოვაციებით შეხვდა მორის ტორეზის გამოსვლას. ტორეზი ბრწყინვალე ორატორი იყო. მან დიდხანს ილაპარაკა

საბჭოთა კავშირის დამსახურებაზე მთელი მსოფლიოს წინაშე. მერე ფართოდ შეეხო ფაშიზმის წინააღმდეგ საფრანგეთის პარტიზანების ბრძოლას, მათ შორის ქართველი პარტიზანების, განსაკუთრებით ვასილ მელაძის დამსახურებას ამ საქმეში. მერე მორის ტორეზმა სამახსოვრო სურათი გადაიღო მიხეილ ლაიშვილთან და სხვა ქართველ ბიჭებთან ერთად... მერე სამშობლოში დაბრუნების მწველი განცდა: თვითმფრინავი მოსწყდა პარიზის აეროდრომს და აღმოსავლეთისკენ აიღო კურსი. მას სამშობლოში მოჰყავდა მელაძე და მისი მეგობრები. ვასილი თვითმფრინავის ილუმინატორიდან კარგად ხედავდა აეროდრომზე მყოფ გამცილებელთა ნაცნობ სახეებს. მერე გზებს, მდინარეებს, ტყეებსა და მთებს და სამშობლოში დაბრუნების დიდ სიხარულთან ერთად მას თან მიჰყვებოდა უბრალო ფრანგი მშრომელების დიდი სიყვარული, მორის ტორეზის ღიმილი, პოლკოვნიკ ანტუანის სევდიანი მზერა, ელენე ბუტკევიჩის ცრემლები და პერიგეს ტყეებში გადატანილი ბრძოლებისა და ხიფათების წარუშლელი მოგონებები...

1965წ.

ავტორის შენიშვნა ნახევარი საუკუნის შემდეგ

ამ მოთხრობის გამოქვეყნებამ მაშინ არსებითი ცვლილება ვერ მოახდინა ვ. მელაძის ცხოვრებაზე. შეუძლებელი იყო არსებული მანკიერი რეჟიმის მარწუხების გარღვევა. მაშინ საშიში იყო ხელისუფლებისათვის არასასურველ თემებზე წერაც და იმის თქმაც, რასაც ახლა ვამბობთ. ის ბოლომდე შერისხული, უარყოფილი, დევნილი, გარიყული დარჩა. ასე იყვნენ მისი თანამებრძოლებიც. ტყვედ ჩავარდნის მერე ოჯახმა მისი უგზოუკვლოდ დაკარგვის ცნობა მიიღო და პენსია დაენიშნა. როცა დაბრუნდა, იაპონიის ფრონტზე უკრეს თავი. ომის მერე საფრანგეთის ჯაშუშად ჩათვალეს, დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს. მალე დახვრეტა სამწლიანი პატიმრობით შეუცვალეს. 1951 წელს სტალინური რეპრესიების ახალი ტალღის დროს ისევ დააპატიმრეს. გათავისუფლდა სტალინის გარდაცვალების შემდეგ. იმ პენსი-

ის უკან დაბრუნებაც დააკისრეს. სამუშაოს არ აძლევდნენ და გადახდა უჭირდა. მოთხრობის გამოქვეყნების შემდეგ რაიონის ხელისუფლებამ დოსაფის თავმჯდომარედ დაუპირა დანიშვნა, მაგრამ რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა ჯანჯღავამ ტყვედყოფილის მიღებაზე უარი თქვა. ბოლოს ქალაქგარეთ ბენზინგასამართ სადგურზე საწვავის გამყიდველად მიიღეს. ამით ირჩენდა თავს. ასეთი დრო იყო – კაცობრიობისა და სამშობლოს წინაშე დამსახურება, გმირობა დანაშაულად, ცოდვად ჩაუთვალეს. ძნელია ცხოვრობდე უცხოდ თავისიანთა შორის, უდანაშაულო დამნაშავესავით, მეზობლის ხის უსხეულო ჩრდილივით უხმაუროდ. ამ დროს კი მისმა თანამებრძოლმა და მასთან ერთად ტყვედ ჩავარდნილმა ლეიტენანტმა გივი გაბლიანმა ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების სარდლობამდე მიაღწია. ასეთი იყო ყოფილი სამხედრო ტყვეების ცხოვრება რკინის ფარდის აქეთ და იქით: აქეთ – ციხე, დამცირება და უმადურობა, იქით – აღიარება და განდიდება!

მამას ველოდებით

(ალექსანდრე ვარდიშვილის ნაამბობი)

ომი დამთავრდა. შინ დავბრუნდი. მალე ქალაქ ტყვარჩელში გამგზავნეს სამუშაოდ.

მაღაროელთა ქალაქი იყო და სამმართველოს უფროსად დამნიშნეს. თუმცა ომი დამთავრებული იყო, მაგრამ ძველი რეჟიმი გრძელდებოდა: ღამდამობით შუქშენიღბვა ისევ ეწყობოდა. როგორც ნაომარ ოფიცერს, ამაზე მეთვალყურეობაც დამავალეს.

ერთ ღამეს ვხედავ: მთელი ქალაქი ჩაბნელებულია, სადღაც შორს კი ერთი სახლის ფანჯრიდან შუქი გამოდის. დარაჯი გავგზავნე. ფანჯარა ჩაბნელდა. მეორე ღამეს შუქი ისევ გამოდის იმ სახლიდან. როცა მესამე ღამესაც იგივე განმეორდა, განრისხებულმა დარაჯს ვუბრძანე:

– ხვალ დილით იმ სახლის პატრონი მომგვარე.

დილით მომახსენეს: სახლის პატრონები მოვიყვანეთო. ოთახში ორი ბიჭი შემოიყვანეს. უმცროსი ხუთი წლისა იქნება, უფ-

როსი – შვიდის. დაძონძილები არიან, გამხდრები, სიცივით დალურჯებულები. უმცროსს ცინგლები ჩამოსდის.

შევცბი. მაინც ვეკითხები: – კანონს რატომ არღვევთ?

უმცროსი ტირის. უფროსი ერთხანს ხმას არ იღებს. მერე მეუბნება: – „ძია, მამა ფრონტზეა წასული. დედა ლოგინად არის ჩავარდნილი, ავადმყოფს ჩვენს მეტი მომვლელი არავინ ჰყავს. მამას ველოდებით. ძალიან, ძალიან გვინდა, ჩქარა მოვიდეს. ჩვენი სახლი მთაზეა და რკინიგზის სადგურიდან კარგად ჩანს. ვაითუ ღამე ჩამოვიდეს. სინათლეს რომ დაინახავს, ჩვენს სახლს ადვილად მოაგნებს და მალე მოვა. თანაც შორიდანვე გაიგებს, რომ ცოცხლები ვართ, ველოდებით და გაუხარდება. ავადმყოფი დედაც ამ ლოდინით ცოცხლობს.“

ოთხი წელია ოჯახი შინმოუსვლელ მამას ელის. რა შეიძლება იყოს დაუსრულებელ მოლოდინზე უფრო ძნელი? ანაზდად დედაჩემი გამახსენდა. ფეხი რომ ავიდგი, სულ კალთაზე ჩაჭიდებული დავდევდი. ბევრჯერ კაბის კალთა ამიწევია და წვივზე მიკოცნია. ალბათ, ამ პატარა ბიჭის ტოლი ვიყავი, დედა რომ დავკარგე. მას მერე სულ მოლოდინის გრძნობა მაქვს – ასე მგონია, დედა სადღაც არის გასული და საცაა კარს შემოაღებს მეთქი... გული ამომიჯდა და მეც არ ვიცი, ცრემლები როგორ წამსკდა.

1956 წლის აჯანყება

1956 წლის 5-9 მარტის აჯანყება ერთ-ერთი რგოლია იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ჯაჭვისა, რომელსაც ქართველი ხალხი 1801 წლიდან დღემდე ეწეოდა რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ. აჯანყება ქართველი ხალხის მიმართ რუსეთის იმპერიის ხელისუფალთა ბრიყვული შოვინისტური პოლიტიკის განსაკუთრებული ძალით გაჩაღებამ გამოიწვია.

რუსეთის იმპერიას არ ახსოვს სტალინზე უფრო დიდი ხელისუფალი. 1953 წელს იგი თავისივე თანამებრძოლებმა გამოასალმეს სიცოცხლეს. სულ მალე ცხადი გახდა, რომ ამ შეთქმულე-

ბისა და სახელმწიფო გადატრიალების მთავარი მოთავე ნიკიტა ხრუშჩოვი გახლდათ. მას მხოლოდ პირადი შურისძიება ამოძრავებდა. ხრუშჩოვი მრავალი წლის მანძილზე კრემლის ტაკიმასხარა, პოლიტბიუროსა და მთავრობის წევრთა გამრთობი გახლდათ: ეს გაუნათლებელი, ბრიყვი, ჭამა-სმის მოყვარული და მუცელღმერთა, ბურთივით მრგვალი კაცი სიმთვრალეში „გოპაკას“ ბუქნას დაუვლიდა და ყველას აცინებდა. ხოლო როგორც თვითონ ხრუშჩოვმა საჯაროდ განაცხადა, როცა თავისი უვიცობით რაიმე სიბრიყვეს წამოროშავდა ანდა მასხრობას გადაამლაშებდა, სტალინი მელოტ თავზე ანთებულ ჩიბუხს დააბერტყავდა ხოლმე.

მეორე მსოფლიო ომის დროს ხრუშჩოვის შვილმა სიმთვრალეში მეგობარი ოფიცერი მოკლა, რის გამოც ცეცხლის წინა ხაზზე უკრეს თავი. იქ კი სამშობლოს ღალატი ჩაიდინა და პარტიზანებმა სიკვდილით დასაჯეს. სტალინს, რომელმაც ომში საკუთარი შვილი გაწირა, ხრუშჩოვის ხვეწნა-მუდარის მიუხედავად არ შეეძლო დამნაშავის შეწყალება. ამის გამო ხრუშჩოვს მთელი სიცოცხლე სტალინის მიმართ უსაზღვრო ფარული სიძულვილი ჰქონდა. ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე მან პარტიის XX ყრილობა სტალინის ლანძღვას მიუძღვნა და სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია გარდაცვლილ ბელადთან ბრძოლა. შური იძია მისი ოჯახის წევრებზეც. ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვასილ სტალინი სასტიკი დევნის გამო მალე გარდაიცვალა, მეორე შვილმა სვეტლანამ დიდი წვალების შემდეგ უცხოეთში გააღწია და ბოლოს ინგლისის უპატრონოთა თავშესაფარში გარდაიცვალა. სტალინის შვილიშვილი ევგენი სამსახურიდან დათხოვნილი და რეპრესირებული ისევ ქართველებმა გადაარჩინეს და ბოლოს საქართველომ შეიფარა. ხრუშჩოვი სტალინის სიმკაცრეს მისი ქართული წარმოშობით ხსნიდა და ამის გამო უსასტიკესად ლანძღავდა ქართველ ერსაც, განზრახული ჰქონდა მათი აყრა-გადასახლება ციმბირში. მან ქართველთა მიმართ ცილისწამებით საშინელი ღვარძლი დათესა ხალხში და მთელი რუსეთის იმპერია დაუპირისპირა საქართველოს. 1953 წლიდან დაწყებული ეს უსამართლო და გაუთავებელი შეურაცხყოფა ქართველი ერისა იმით დამთავრდა, რომ 1956 წლის მარტში საქართველოში საერთო-სახალხო აჯანყება მოხდა. ქართველი

ხალხი კიდევ ერთხელ აღდგა ეროვნული ღირსების დასაცავად. მრავალათასიანი მიტინგები გაიმართა თბილისში, გორში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში, თელავში, ჭიათურაში, ცხინვალში. აჯანყებულებმა მოითხოვეს რუსეთის შემადგენლობიდან გასვლა და მხარდაჭერისათვის მიმართეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობას. აჯანყების შტაბი იყო თბილისის სტუდენტთა ქალაქში, ხოლო საერთო ხელმძღვანელი – მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, თადარიგის ოფიცერი, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ვალერიან ხოცუაშვილი. აჯანყებამ გამოავლინა ბევრი მოთავე და მამაცი მონაწილე: ბერდია გოგოჭური, ილია ბარბაქაძე, აკაკი მათიაშვილი, ოთარ გობეჯიშვილი, გულიკო სვანი, ინდიკო სეფაშვილი, სოსო ქინქლაძე, სანდრო მირიანაშვილი, თენგიზ შანიძე, გივი ბარამიძე, რაულ ლოლუა, მიხეილ მათიაშვილი, რომან ლაფაჩიშვილი, ქუჩუკ ხოსროშვილი, მაყვალა ოქროპირიძე, ივანე კუხიანიძე, ნაზი ბენიძე, კლიმენტი რევაზიშვილი და სხვები.

აჯანყებულებს მხარდაჭერა გამოუცხადა ქუთაისში მდგომმა ქართულმა ლეგიონმა. გაცოფებულმა ხრუშჩოვმა დაშალა ეს ერთადერთი ქართული სამხედრო შენაერთი, მერე სამხედრო ნაწილები შეუსია აჯანყებულ ქალაქებს. რუსებმა სისხლიანი კალო დაატრიალეს თბილისში – უიარაღო ხალხს ხიშტებზე აგებდნენ, ტანკებით სრესდნენ, ავტომატებით ხვრეტდნენ. გამწარებულმა ხალხმა იერიში მიიტანა კავშირგაბმულობის შენობაზე, რათა ხელში ჩაეგდოთ რადიოსადგური და მსოფლიოსათვის ეთხოვათ დახმარება. კავშირგაბმულობის შენობა სავსე აღმოჩნდა რუსი ჯარისკაცებით, რომლებმაც ხალხს ტყვიამფრქვევებითა და ავტომატებით ცეცხლი გაუხსნეს. უამრავი ადამიანი მოცელა ტყვიამ. უცებ ხალხში გამოჩნდა გენერლის მუნდირითა და ორდენებით შემკული კაცი. მან რუს სამხედროებს ცეცხლის შეწყვეტა უბრძანა. სალდათები ბრძანებას დაემორჩილნენ. ეს იყო გენერალი დავლიანიძე, რომელმაც მაშინ უამრავი ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა.

იმ დღეებში ოფიციალური ცნობით 300-ზე მეტი ქართველი დაიღუპა. რუსებმა ცხედრები მტკვარში გადაყარეს და ჭირისუფლებს მათი დატირება-დაკრძალვის უფლება არ მისცეს.

უშიშროების ორგანოებმა (სუკმა) აჯანყების მოთავეები და მრავალი ეჭვმიტანილი დააპატიმრეს – ზოგს პატიმრობა მიუსაჯეს სხვადასხვა ვადით, ზოგი ციმბირში გადაასახლეს, ზოგი წამების დროს ჭკუიდან შეცდა ან დაიღუპა.

დააპატიმრეს გენერალი დავლიანიძეც. მეამბოხე გენერალი გაასამართლეს და ყაზახეთში გადაასახლეს 15 წლით. კატორღული პირობების გამო იქვე გარდაიცვალა. ხელისუფლება სასტიკად კრძალავდა აჯანყების ხსენებას, ამიტომ დღეს დანამდვილებით არ ვიცით ამ უსაფლაო გმირების უმეტესობის ზუსტი რაოდენობა და ვინაობა. საქართველომ არაფერი იცოდა გენერალ დავლიანიძის შესახებაც, რომელმაც გენერლის მუნდირზე მაღლა ეროვნული ღირსება დააყენა. ამ ქართველი მამულიშვილის გმირობა მხოლოდ 35 წლის შემდეგ გახდა ცნობილი. ეს ამბავი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაგვაგებინა ინგუშეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელთაგანმა ისა კაძოევმა, რომელიც გენერალ დავლიანიძესთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში.

ნ. ხრუშჩოვმა კი სტალინის დანატოვარი იმპერია რამდენიმე წელიწადში გააღატაკა და დაამშია, რის გამოც კრემლში შეთქმულება მოუწყეს და ხელისუფლებას ჩამოაშორეს.

ი ს ი დ ო რ ე

– ისიდორე დაკარგეს! – პირველად ეს ხმა გურიის ერთ სოფელში მაშინ დაირხა, ბოლშევიკებმა ივანე მრისხანის „ოპრიჩნიკებივით“ რომ აამტუტეს გლეხკაცობა. ავკარგიანი, ალალ-მართალი, გამრჯე და წელგამართული გლეხი იყო ისიდორე. ხნავდა, თესავდა და საკუთარი ოფლით არჩენდა ოჯახს. ორმეტრიანი აღნაგობის კაცი საოცარი ჯან-ღონის პატრონიც იყო – ბარე ათი კაცის ოდენი საქმის კეთება შეეძლო. სხვისას არაფერს შეირგებდა, ვერც უსამართლობას ეგუებოდა. 1932 წელი იდგა. ერთ დღეს სოფლსაბჭოს, კომუნისტების, კომკავშირისა და მილიციის წარმომადგენლები ეწვივნენ და კოლექტივში შესვლა მოსთხო-

ვეს. ისიდორემ ვერაფრით წარმოიდგინა, სხვისთვის რატომ უნდა მიეცა ნალოლიავები ხარ-კამეჩი და მამა-პაპის ნაქონი მარჩენალი მიწა. ძვირად დაუჯდა წინააღმდეგობა. ხარ-კამეჩიც წაართვეს და მიწაც. მერე გაასამართლეს – ტროცკისტი და საბჭოთა ხელისუფლების მტერი ხარო და 5 წლით ციმბირში გადაკარგეს. – ისიდორე დაკარგეს! – იძახდა ამ უსამართლობით გაოცებული და თავზარდაცემული სოფელი.

ხუთი წლის მერე გამოჩნდა დაკარგული ისიდორე და დაქცეული ოჯახის ფეხზე დაყენებას შეუდგა. ხელს უშლიდნენ, გასაქანს არ აძლევდნენ, მაინც არ ეპუებოდა. ძალს ისინი იყვნენ, ძალს ისიდორე. ფინაგენტებმა ხალხს აღარც პირუტყვის ნამატი შეარჩინეს, აღარც მუშა საქონელი, აღარც ბეღელში სათესლე მარცვალი. როცა ქათმის კვერცხის ჩაბარების გეგმაც შემოიღეს, ვიღაცამ კანტორის მესერზე ქათამი კისრით ჩამოჰკიდა და მიაწერა: კვერცხის გეგმა ვერ შევასრულე და თავი იმიტომ ჩამოვიხრჩეო. განსაკუთრებით კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შეაწუხა ხალხი, არავის ინდობდა, ძველი მებატონესავით იქცეოდა. ყველაზე მეტად ისიდორე ამოიჩემა, მილიციაში უჩივლა – სოფელს ტროცკისტი და ნაციხარი ისიდორე აგულიანებსო. ისიდორეს მოთმინების ძაფი გაწყდა და თავმჯდომარე სცემა. რაიონიდან სოფლსაბჭოში მილიციის უფროსი ამოვიდა შეიარაღებული რაზმით. 14 მილიციელი გაგზავნა «მეამბოხე» გლეხის შესაპყრობად.

ისიდორემ ისინი ეზოში შეიპატიჟა: – მობრძანდით, ნამგზავრები და დაღლილები ხართ, დაისვენეთ. დედაჩემო! მე მაინც მიჭერენ და ამათ უპატივცემულოდ ნუ გაუშვებ. სუფრა გაუშალე და შენებურად გაუმასპინძლდი. მანამდე მეც მოვემზადები, ტანსაცმელს გამოვიცვლი და წამოგყვებით.

ისიდორეს სტუმარ-მასპინძლობის ამბავი ქვეყანამ იცოდა. ამიტომ მილიციელებს მის გულწრფელობაში ეჭვიც არ შეუტანიათ. ეზოში სახელდახელოდ გაშლილ სუფრას გულდანდობილად მიუსხდნენ და მადიანად შეექცნენ. მალე ოდასახლიდან სამგზავროდ გამოწყობილი ისიდორეც გამოვიდა, სუფრას მიუჯდა და ცოტა ხანში მილიციელები ისე დაათრო, ერთმანეთს ვეღარ ცნობდნენ. მერე თოთხმეტივე გაკოჭა, ერთმანეთზე მიაწყო, თვითონ თოფი აიღო და ტყეს მისცა თავი.

შვიდი წელი იყო ტყეში ფირალად გავარდნილი. მილიციამ ვერაფრით შეძლო მისი დაჭერა. ბოლოს მთავრობამ შემოირიგა. თავიდან დაიწყო ისიდორემ ყველაფერი. სული ამოხადეს გადასახადებით. ისიც წინააღმდეგობას უწევდა,როგორც შეეძლო. ერთხელაც ურჩობისათვის კანტორაში დაიბარეს. თავმჯდომარე ფეხზე ადგომით შეეგება: – ხომ იცი, ჩემო ისიდორე, როგორ მიყვარხარ. მობრძანდი, დაბრძანდი, დავილაპარაკოთ.

– მე რომ გიყვარვარ, ისე შენი ცოლ-შვილი გყვარებოდა, რა მიჭირდა. – ცოტა არ იყოს, გაიოცა ისიდორემ მისი დათაფლული დახვედრა. ამ ლაპარაკში თავმჯდომარე კართან მივიდა და გადარაზა.

– რა გინდა ჩემგან? – ჰკითხა ისიდორემ.

– რა მინდა და რომ არ გვემორჩილები, ახლა დედა უნდა გიტირო! – გაცოფებული თავმჯდომარე ხელდახელ ეცა ისიდორეს. ახალგაზრდა, ჩასხმული და ბუდასავით ჯანიანი კაცი იყო, ისიდორე კი უკვე ხანდაზმული. თავმჯდომარე ამით იყო გულმოცემული და წარმატებაში დარწმუნებული. ისიდორემ მკლავზე გადადებული ნაჯახის გადაგდება მოასწრო, თავდამსხმელი მაღლა აიტაცა და ისე მძლავრად დასცა ძირს, რომ შენობამ ზანზარი დაიწყო. მერე ქოჩორში წასწვდა, ძელსკამთან მიათრია, თავი ზედ დაადებინა და ნაჯახი შემართა – ყურები უნდა დაგათალოო.

– მიშველეთ. ისიდორე მკლავს! – იბღავლა შეშინებულმა თავმჯდომარემ. გარეთ შეგროვილებმა კარი შეამტვრიეს და მისიკვდილებული თავმჯდომარე ძლივს გააგდებინეს ხელიდან.

ისევ დაკარგეს ისიდორე – კიდევ 5 წელი მიუსაჯეს. წელიწადნახევარი იჯდა ციხეში და ამ დროს გერმანიასთან ომი გაჩაღდა. ისიდორეს ფრონტზე უკრეს თავი. გენერალ ვლასოვის არმიაში მოხვდა. გენერალი მთელი არმიით გერმანელებს ტყვედ ჩაბარდა. გერმანელებმა ტყვეებს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა შესთავაზეს. ბევრნი დათანხმდნენ. ისიდორემ იფიქრა – ამათ რომ დავთანხმდე, ქართველების წინააღმდეგაც ხომ მომიწევს ბრძოლა. ჩემი მოძმე რაღაზე მოვკლაო და უარი განაცხადა. ომის ბოლომდე გერმანელთა ტყვეობაში დარჩა. ომის მერე შინ დაბრუნებულს ამისათვის თხუთმეტი წელი მიუსაჯეს. სვერდლოვსკის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობით იხდიდა

სასჯელს. იქ მალე დაუახლოვდა კოლონიის უფროსს და ერთხელაც სთხოვა: – ხუთი წელია პატიმარი ვარ. სახლში კი მოხუცი მშობლები მყავს, მამა უსინათლოა. იქნებ ცოცხლებიც აღარ არიან. გამიშვი ცოტა ხნით მშობლების სანახავად.

კარგა ხანს იფიქრა კოლონიის უფროსმა. მერე უთხრა: – შენი გამრჯე შრომით სიკეთეს იმსახურებ. უარი როგორ გითხრა. 15 დღით გაგიშვებ. ჯანდაბას, რაც მოხდება, მოხდეს; მაგრამ საბუთს ვერაფერს მოგცემ. თუ გზაზე დაგიჭირეს, არ თქვა, რომ მე გაგიშვი. უთხარი, გამოქცეული ვარო.

ეს დახვრეტას უდრიდა. ისიდორე მაინც დათანხმდა. სახლში რომ ჩამოვიდა, ერთ დღესაც რაიონის სამხედრო კომისარიატს მიადგა პურ-ღვინით, თან ოთხასი მანეთიც მისცა: ასეა და ასე ჩემი საქმე და რამე მიშველეთო. კომისარმა სვერდლოვსკის ქარხანაში დეპეშა გაგზავნა – ისიდორე კი ჩამოვიდა, მაგრამ ავტოკატასტროფაში მოჰყვა და გარდაიცვალაო. იმათაც ჩამოწერეს პატიმრობიდან, როგორც დაღუპული.

სამოციან წლებში, ხრუშჩოვის დამხობის მერე, სოფლად ცოტა თავისუფლება შეიქმნა. ისიდორემ, უკვე მერამდენედ, ისევ მიჰყო ხელი მეურნეობის აღდგენას. 30-მდე ხარ-კამეჩი გაიჩინა. კოლმეურნეობიდან რამდენიმე ჰექტარი მიწა გაიპიროვნა. თავისი ხარ-გუთნით ამუშავებდა, სიმინდის უხვი მოსავალი მოჰყავდა. მარცვალს კოლმეურნეობას გეგმაზე ორჯერ მეტს აბარებდა, თვითონაც რჩებოდა სამყოფი სარჩო. ერთ წელიწადს კოლმეურნეობას საქონლის საკვები ჩალა გაუთავდა. თავმჯდომარემ ათი ურემი შეაბმევინა, თვითოზე სამ-სამი კაცი დასვა და ისიდორეს მიადგა – ფერმისთვის ჩალა უნდა მომცეო.

– რახან გიჭირთ, 7 ურემ ჩალას მოგცემ, დანარჩენი ჩემი საქონლისთვის მჭირდება.

– არც ერთი კონა არ დატოვოთ. სულ დაუდეთ ურმებზე! – უბრძანა თავმჯდომარემ გლეხებს. ისინიც ზვინებზე აცოცდნენ და ურმები დატვირთეს.

ისიდორე უხმოდ გატრიალდა, სახლში შევიდა, აიღო თოფი, ტყვიებით სავსე სამასრე გადაიკიდა და თავმჯდომარისკენ გაემართა.

– არიქა, თავს უშველეთ! ისიდორე გადარეული მოდის! – დაიძახა ზვინზე ასულმა ერთმა გლეხმა. შეშინებულმა გლე-

ხებმა ფხაჭა-ფხუჭით მოკურცხლეს. თავმჯდომარემ მაუზერის სროლა დააპირა.

– დააგდე მაუზერი,თორემ შუბლს გაგიხვრიტავ! – დასჭყივლა ისიდორემ და ჰაერში გამაფრთხილებლად ისროლა. შეშინებულმა თავმჯდომარემ მაუზერი ხელიდან გააგდო. ისიდორემ როცა მისი ცემით გული იჯერა, ურმებზე დატვირთულ ჩალას ცეცხლი წაუკიდა. დაფეთებული კამეჩები ალმოდებული ურმებით გავარდნენ. ამასობაში ხალხი მოგროვდა და კამეჩები ძლივს გამოუშვეს ურმებიდან, ჩალა კი მთლიანად დაიწვა.

ისევ დაიჭირეს ისიდორე და დაკარგვა დაუპირეს. – ჩემს ნაშრომს რომ პირწმინდად მართმევდნენ, იმიტომ დავწვი ჩალა. – თქვა სასამართლოზე ისიდორემ. – რას მერჩოდა ეს თავმჯდომარე. შეამოწმეთ საბუთები, ბოლო ათი წლის მანძილზე კოლმეურნეობას ჩემთვის საწვავი, თესლი ან ტრაქტორი თუ მოუცია. ეგენი არაფერზე შემიწუხებია, ჩემი შრომით მომყავს მოსავალი და უმეტესობას კოლმეურნეობას ვაბარებ. ხარ-კამეჩის შესანახ ჩალასღა ვიტოვებ და ისიც თუ წამართვეს, როგორღა ვიშრომო?

მართლაც შეამოწმეს კოლმეურნეობის ბოლო ათი წლის დავთრები. ისიდორე მართალი აღმოჩნდა. ამჯერად ციხეს გადაურჩა, თავმჯდომარე კი გამოცვალეს. ახალი თავმჯდომარე ძალიან უფრთხოდა ისიდორეს – თუ რამე გადაიხადა, მადლობა უთხარით, თუ არადა ნუ შეაწუხებთო. ოცზე მეტი თავმჯდომარე გამოიცვალა სოფელმა და ისიდორეს ყველა ნაცემი ჰყავდა, გარდა უკანასკნელი თავმჯდომარისა. ისიდორე ხშირად იტყოდა: ამ თავმჯდომარეს არა უშავს, მუშაობაში ხელს მაინც არ მიშლის და ნაშრომს ძალით არ მართმევსო. როცა წარსულს გაიხსენებდა, ამბობდა: სულ არ გამოვიდოდი ტყიდან ანდა ციხიდან, ერთი ძმა მაინც რომ მყოლოდა და დედმამისათვის მიეხედაო. 45 წლის ასაკში ძლივს მოეკიდა ოჯახს და 5 შვილი მაინც აღუზარდა ქვეყანას. იმპერიის დაშლას და საქართველოს განთავისუფლებას ვეღარ მოესწრო.

სოფელში კი დღესაც ახსოვთ უსამართლობასთან მებრძოლი, დაუმორჩილებელი და გაუტეხელი გურული გლეხკაცი – ისიდორე ქათალანძე. ის იმ ჯაგრცხილას ჰგავდა, რამდენჯერაც გადაკაფავ ძირიანად, მაინც რომ ამოიყრის ხოლმე ყლორტებს.

ასეა ფუთისოფელი

ქრავების ხმაური მიწყდა. თვითმფრინავი სიმაღლეს ჰკარგავს და თანდათან დაბლა ეშვება. ხმელეთი არსად ჩანს, ძირს მხოლოდ თვალუწვდენელი ოკეანეა. სტიუარდესამ თქვა – შეიძლება თვითმფრინავი პირდაპირ ოკეანეზე დაეშვასო. თავზარდაცემული მგზავრები კარებისკენ მიიწევენ. ეკიპაჟის წევრებმა მაშველი ჟილეტების დარიგება დაიწყეს.

თვითმფრინავი ევროპიდან სამხრეთ ამერიკისაკენ მიფრინავდა და ბრაზილიის დედაქალაქში უნდა დამჯდარიყო. ამის ნაცვლად კი რამდენიმე წუთში ოკეანეში ჩავარდება. ვინც ახლა მოასწრებს მაშველი ჟილეტის ჩაცმას, წყალში არ ჩაიძირება, რამდენიმე საათს იტივტივებს. ზვიგენებმა თუ არ შეჭამეს, შეიძლება რომელიმე გემმა მიაგნოს და გადაარჩინოს. რაც უნდა იყოს, ეს ახლა გადარჩენის ერთადერთი გზა არის.

ყველამ ჩაიცვა მაშველი ჟილეტი, ერთი პატარა გოგონას გარდა. თვითმფრინავში თურმე იმდენი ჟილეტი ჰქონდათ, რამდენი ბილეთიც გაიყიდა მგზავრებზე. ეს გოგონა კი, როგორც მცირეწლოვანი, უბილეთოდ მგზავრობდა. ახლა ერთი გამოსავალიღაა – ვინმემ უნდა გაიხადოს მაშველი ჟილეტი და ბავშვს ჩააცვას. მაგრამ არავინ ჩაიდინა ეს, თვით ბავშვის მშობლებმაც კი. ატირებულ ბავშვთან ბოლოს ერთი სათვალიანი კაცი მივიდა, ჟილეტი გაიხადა და გოგონას ჩააცვა, საიმედოდ შეუბნია, მოეფერა, დააწყნარა. არავინ დაფიქრებულა, რომ მაშინ ის კაცი საკუთარ სიკვდილზე დათანხმდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ თვითმფრინავი წყალზე დაენარცხა. ერთხანს ინერციით ტალღებზე მისრიალებდა, მერე მომაკვდავი თეთრი ზვიგენივით უღონოდ ჩაეშვა ოკეანის ფსკერზე. წყალზე ჟილეტებიანი მგზავრებიღა ტივტივებდნენ. მერე მაშველმა გემმა მოუსწრო და სათითაოდ წყლიდან ამოიყვანეს. მგზავრებს მხოლოდ ერთი კაცი აკლდა, თავისი ჟილეტი პატარა ბრაზილიელ გოგონას რომ დაუთმო. იგი თვითმფრინავთან ერთად ჩაიძირა ოკეანეში. ის კაცი სახელოვანი ქართველი მეცნიერი, ექიმი იოსებ ჟორდანია იყო. იგი მიწვეული იყო რიო-დე-

ჟანეიროში სწავლული ექიმების საერთაშორისო შეხვედრაზე – სიმპოზიუმზე მოხსენებისათვის.

იოსებ ჟორდანიას გმირობაზე ორიოდე პაწაწინა ცნობა გამოქვეყნდა გაზეთებში, თბილისში კი მისი სახელი ეწოდა იმ ინსტიტუტს, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა. ეს იყო და ეს. ყველაფერმა უხმაუროდ ჩაიარა და ხალხს მალე დაავიწყდა ეს ამბავი. არც არის საკვირველი. დედამიწაზე უხსოვარი დროიდანვე უფრო მეტს წერდნენ კაცისმკვლელებზე, ვინც სისხლიანი ომები წამოიწყო და ურიცხვი ადამიანი გაუჟლიტა. იმათზე კი, ვინც თავისი სიცოცხლე სხვის გადასარჩენად გაწირა, ჩვენს ისტორიებში ძუნწად ან სულაც არაფერია მოთხრობილი. ასეა წუთისოფელი: სიკეთე მალე გვავიწყდება, ვიდრე ბოროტება. ალბათ, სიკეთე უფრო უბრალო და ადვილი ჩასადენი გვეჩვენება და იმიტომ...

კ ე რ პ ი
(ნამდვილი ამბავი)

– რას შვრები, გიორგი, ისევ ეძებ იმ ცხვრის პატრონსა? – ჰკითხა ჯოხზე დაყუდებულ მოხუცს ნაცნობმა მწყემსმა. – რად არ დადგები, ღვთისშვილო. რად იტანჯავ თავსა? ხომ ხედავ, პატრონი და გამკითხავი არავინ არი. ღმერთმა მოგცა და შეირგე.

– სხვის ქონებაზე თვალი არასდროს მჭერია, შვილოსან. არც მამა-პაპას ჰქონდა ჯილაგში მგელკაცობა. – დინჯად მიუგო თოვლივით თმაგათეთრებულმა მოხუცმა და ახლა სხვა მწყემსებს დაუწყო ლოდინი.

– ამ ხნის კაცი გავხდი და ასეთი კერპის მნახველი არა ვარ. – მიუბრუნდა გაოცებული მწყემსი ამხანაგებს. – თქვენც კარგად ხედავთ: ამ სოფელთან ცხვრის გზა გადის. გაზაფხულზე ამ გზით მთელი ქართლ-კახეთის ცხვარი მიდის მთის საძოვრებზე. შემოდგომით კიდენა მთიდან უკან – ბარში ბრუნდება ნასუქი ფარები. მწყემსები თვეობით გზაზე არიან. ჰოდა, ათასი რამ ხდება: ან მგელი მოგტაცებს ცხვარსა, ან აღელებული მდინარე; ზოგჯერ ქურდბაცაცა ადამიანებიც სტაცებენ დაღლილ მწყემსებს ცხვარსა. ხან ცხვარი სადმე ჯაგებში გაიბ-

ლანდება ან ორმოში გულაღმა ჩავარდება და დარჩება. ზოგს თვითონ მწყემსიც დაკლავს ხოლმე. ამისთანა ხარჯი და ზარალიც ღვთის ნებაა. მაგრამა ცხვარი ისე ბარაქიანია მატყლით, ყველით, ხორცით, რომ ამის მერეც პატრონს მაინც დიდი შემოსავალი რჩება. ჰოდა, შვიდი წლის წინათ ამ მოხუცს ორმოში ჩავარდნილი ცხვარი უპოვია. მას მერე ყოველ გაზაფხულზე და შემოდგომაზე გზაზე დგას, ეძებს ცხვრის პატრონსა და ვერ პოულობს, რომ დაკარგული დაუბრუნოს. არც არავინ პატრონია, არც ვინმე ედავება, მაგრამ არ უნდა სხვისი ქონება და მუქთი ლუკმა შეირგოს.

ქვემო ქართლელი მოხუცის ამბავი ამ შვიდი წლის მანძილზე თითქმის ყველამ გაიგო, მაგრამ ცხვრის პატრონი მაინც არ გამოჩნდა. მერვე წლის გაზაფხულზე, როცა აბღავლებული ცხვრის ფარები გამოჩნდა, პაპა გიორგი ისევ გავიდა გზაზე... და როცა თვითონაც უკვე იმედი აღარ ჰქონდა, ცხვრის პატრონს მიაგნო. ერთმა ალვანელმა მწყემსმა გაიხსენა: – ამა და ამ წელს ამ გზაზე ერთი ცხვარი მე დავკარგეო. მაგრამა თუ გიპოვია, ღმერთმა მოგახმაროს. შვიდი წლის დაკარგულს ვინ შეგედავება, შე კაი კაცოო.

ბერიკაცი არ მოეშვა: გინდა თუ არა, წამოდი, შენი ცხვარი უნდა დაგიბრუნოო. ძალს მწყემსი იყო, ძალს პაპა გიორგი. ბოლოს მოხუცს ხათრი ვეღარ გაუტეხა და წაჰყვა.

შინ მისულმა ბერიკაცმა პატარა შვილიშვილს გასძახა: – ბიჭო გოგიავ, ბაკის კარი გააღე და ცხვარი გამოუშვიო.

სტუმარი მთლად გადაირია: კაცო, შვიდი წლის წინათ ერთი ცხვარი დამიკარგია, შენ სამოც ცხვარს მაძლევ, ეგ სადაური სამართალიაო.

– შვილო, ოთხმოცდაათი წლის კაცი ვარ. მეცხვარედ არ დავბადებულვარ, თორემ მთელი სიცოცხლე ცხვარში გავატარე. ვიცი, რაც არი მწყემსის ჯაფიანი ცხოვრება. ყველამ რომ თითო ცხვარი დაგაკლოს, აღარაფერი დაგრჩება. იმ შენმა ერთმა ცხვარმა ამ შვიდ წელიწადში ბატკნები რომ მოიგო, იმათ კიდევ თავისები, ახლა ამდენი გახდა. ცხვარიც შენია და მისი ნამატიცა. მე რაც ამათგან მატყლი და ყველი დამრჩა, შენახვის ქირად ისიც მეყოფა. – უთხრა პაპა გიორგიმ და სტუმარს მთელი ფარა გაატანა.

ახალი ოქროპირი

ეოცე საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის იმპერიამ შეუბრალებლად გაულიტა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის განათლებული ნაწილი – ინტელიგენცია. ამით ცდილობდა მათში ეროვნული სულისკვეთების ჩაკვლას, ეროვნული ცნობიერების გადაგვარებას. როცა ერი ივიწყებს წარსულს, თავის ისტორიას, აღარ ჰყავს გონიერი მეთაური – სწავლული ფენა, მაშინ მისი დამორჩილება და გადაგვარება უფრო ადვილია. ამ იდეით შეპყრობილმა რუსეთმა არა ერთი მცირე ერი აღგავა პირისაგან მიწისა. 1940 წელს, მაგალითად, მან ნამდვილი სასაკლაო მოუწყო პოლონელებს – ერთბაშად 15 ათასი პოლონელი გენერალი და ოფიცერი დახვრიტა კატინის ტყეში და მერე აცხადებდა, რომ ეს ჰიტლერმა ჩაიდინა 1941 წელსო. მეორე მსოფლიო ომის დროს ბალტიისპირეთის ქვეყნების ოკუპაციის შემდეგ რუსეთის იმპერიამ მათი მოსახლეობის ნახევარი გაანადგურა. ხოლო კავკასიის მკვიდრი ჩეჩენი და ინგუში მოსახლეობა პირწმინდად გადაასახლა შუა აზიაში. გადასახლების დროს უამრავი დაიღუპა. იმპერიამ ასევე 10 მილიონზე მეტი უკრაინელი გაანადგურა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში; ქართველების ნახევარი მოსპო საქართველოს ოკუპაციისა და ორასწლიანი ბატონობის შედეგად. როდესაც რუსეთის იმპერიის გენერალურ პროკურორს რუდენკოს ასამართლებდნენ, სასამართლოს სხდომაზე განაცხადა, რომ 1936-38 წლებში საქართველოდან რეპრესირებული იყო 250 ათას კაცამდეო. მათ შორის 7 ათასი განათლებული ქართველი გააციმბირეს – ზოგს დილეგებში წამებით ამოხადეს სული, ზოგი დახვრიტეს, ზოგი გადასახლებაში დაიღუპა. გადარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი. ამასთან იმპერია დღესაც ცინიკურად აცხადებს, რომ ყოველთვის ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დამცველი იყო. იგი დღესაც ასე ამართლებს საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციას. რუსეთის იმპერიის ამ სისასტიკისა და ეროვნულ უმცირესობათა საუკეთესო შვილების განუწყვეტელი დევნის თვალსაჩინო მაგალითია შალვა ნუცუბიძის ცხოვრება.

ის იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში ცნობილი ფილოსოფოსი. უმაღლესი განათლება გერმანიაში მიიღო. მისი ადრეული ფილოსოფიური შრომებიც იქ ქვეყნდებოდა. აკრძალვის გამო მათი ქართულად თარგმნა მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გახდა შესაძლებელი. შალვა ნუცუბიძე 29 წლის ასაკში უკვე ივანე ჯავახიშვილთან და სხვა მეცნიერებთან ერთად იყო 1918 წელს ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი. ის იყო ფედერალური პარტიის წევრი და დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პარლამენტის დეპუტატი, ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

XI საუკუნეში ბიზანტიაში მოღვაწეობდა ქართველი დიდებული გრიგოლ ბაკურიანისძე. ბიზანტიის იმპერატორმა ამ გამოჩენილ სარდალს ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებისათვის ბულგარეთში მამულები უბოძა. იქ, სოფელ პეტრიწონში, გრიგოლმა მონასტერი ააგო და წინამძღვრად მოიწვია ბიზანტიაში სახელგანთქმული ქართველი ფილოსოფოსი იოანე, რომელსაც ამის გამო პეტრიწი ეწოდა. XII საუკუნეში დავით აღმაშენებელმა საქართველოში დააარსა გელათის აკადემია, რომლის წინამძღვრად, ანუ რექტორად მოიწვია სწორედ იოანე პეტრიწი. გელათისა და იყალთოს აკადემიებმა მრავალი სახელგანთქმული ქართველი მწერალი, ხელოვანი, სახელმწიფო მოღვაწე და ფილოსოფოსი აღზარდეს. ამის დასტურად მარტო შოთა რუსთველის ხსენებაც კმარა. სამწუხაროდ, XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევამ და ასწლიანმა ბატონობამ, თემურ ლენგის რვაგზის სისხლიანმა თარეშმა და სხვა უბედურმა შემთხვევებმა დიდი ხნით შეაფერხა ქართული მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა. თითქმის შვიდასი წლით დადუმდა იოანე პეტრიწისა და სხვა მეცნიერების საფუძველჩაყრილი ქართული ფილოსოფიური აზროვნება. შვიდასი წლის შემდეგ შალვა ნუცუბიძემ აღადგინა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ეს გაწყვეტილი ჯაჭვი.

უმძიმეს დროს მოუხდა ნუცუბიძეს მოღვაწეობა. კომუნისტური იდეოლოგია აცხადებდა, რომ ერთადერთი სწორი ფილოსოფია მარქსიზმია, ხოლო ყველა სხვა ფილოსოფიური მიმდინარეობანი ცრუა. ამიტომ კომუნისტური წყობილება რუსეთში სას-

ტიკად სდევნიდა ყველას, ვინც კი მარქსიზმს არ ეთანხმებოდა და განსხვავებულად აზროვნებდა. მეცნიერების ყველა დარგში მკვლევარები ვალდებული იყვნენ გამოკვლევები მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, მაოძედუნის შრომებით დაესაბუთებინათ. რუსი კომუნისტები, მაგალითად, არ აღიარებდნენ გენეტიკას; თვლიდნენ, რომ მემცენარეობაში და მეცხოველეობაში ჯიშობრივი გაუმჯობესება, ტექნიკურ მეცნიერებაში ან მედიცინაში დიდი აღმოჩენა შეუძლებელია მარქსიზმის ფუძემდებელთა შრომებზე დაყრდნობის გარეშე; რომ მემკვიდრეობით ნიშანთვისებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს; ისინი აცხადებდნენ, რომ ვისაც სახლში ბევრი წიგნები და დიდი განათლება აქვს, ის ბურჟუა, ხალხის მტერია და უნდა განადგურდეს; ხოლო ვისაც უცხოეთში მიუღია განათლება, ის სანდო არ არის, საბჭოთა ქვეყნის მტერია და გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის ჯაშუშია; ჩინელი კომუნისტები კი სერიოზულად ამტკიცებდნენ, რომ მაოძედუნის ბრძნული გამონათქვამების წაკითხვით შეიძლება ადამიანს თავის ან კბილის ტკივილმა გაუაროს. ერთი სიტყვით, რუსეთმა მსოფლიო ბატონობაზე თავისი იმპერიული ზრახვების შესასრულებლად ოსტატურად და ფარისევლურად გამოიყენა მარქსიზმი. ამიტომ მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი იყო რუსეთის იმპერიის შავბნელი ინკვიზიციის გაგრძელება, მისი ერთ-ერთი ხანათაგანი: მაშინ სწავლულები ციხეებში გაგზავნეს, უსწავლელები თანამდებობებზე დასხდნენ. თბილისის უნივერსიტეტის რექტორობიდან გაათავისუფლეს საქართველოს ისტორიის მამა და უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი; უნივერსიტეტიდან გააძევეს შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და ეროვნული სულისკვეთების სხვა დიდი მეცნიერები. შალვა ნუცუბიძე იძულებული იყო თანამედროვე ფილოსოფიური პრობლემების ნაცვლად ფილოსოფიის ისტორიის კვლევაზე გადასულიყო.

შალვა ნუცუბიძემ 1942 წელს დაადგინა, რომ ბერძნულ ენაზე შემორჩენილი უცნობი ავტორის, ფსევდოდიონისე არეოპაგელის ფილოსოფიური შრომები სინამდვილეში მეხუთე საუკუნის ქართველი მოაზროვნის პეტრე იბერის შექმნილია. ათი წლის შემდეგ – 1952 წელს, იმავე დასკვნამდე მივიდა ბელგიელი მეცნიერი

ჰონიგმანი. მხოლოდ ამის შემდეგ აღიარეს ნუცუბიძის აღმოჩენა და მას ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია უწოდეს. ამ აღმოჩენისათვის ორივე მეცნიერს ნობელის საერთაშორისო პრემია მიანიჭეს. შალვა ნუცუბიძემ შექმნა ბრწყინვალე ფუნდამენტური ნაშრომი – ქართული ფილოსოფიის ისტორია. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ამ ნაშრომს – მათ არ სურდათ იმის აღიარება, რომ ქართული ფილოსოფიის ისტორიის სათავე ანტიკური ხანიდან იწყება და ქართველ ერს დიდი წვლილი მიუძღვის ევროპულ რენესანსში. მტრულად განწყობილ რუს მეცნიერებს მან მაშინ უთხრა ცნობილი ფრაზა: როცა თქვენები ტყეში შიშვლები დაძრწოდნენ, ჩვენები სახარებას თარგმნიდნენო. მან ბრწყინვალე გამოკვლევები უძღვნა „ვეფხისტყაოსნისა“ და რუსთველის ფილოსოფიური დებულებების გახსნას. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო შ. ნუცუბიძე განუწყვეტელ დევნას განიცდიდა. 1944 წელს მაინც იძულებული იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აერჩიათ, მაგრამ აირჩიეს არა როგორც ფილოსოფოსი, არამედ როგორც ლიტერატორი და „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელი. ხოლო რუსულ ენციკლოპედიაში იგი მოხსენებულია არა როგორც ქართველი,არამედ როგორც საბჭოთა ფილოსოფოსი და ლიტერატურათმცოდნე.

“ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნა მან დაიწყო გადასახლებაში, ციხის პატიმრებით გადაჭედილ საკანში, სადაც არავითარი სამუშაო პირობები არ ჰქონდა. ეს ამბავი იმპერიის საჭეთმპყრობელს სტალინს აცნობეს. სტალინმა ციხიდან გაათავისუფლა, კრემლში მიიწვია, მისი თარგმანი წაიკითხა და წიგნის რედაქტორობა იკისრა. ცნობილია ისიც, რომ ქაჯეთის ციხის აღების ამბავში ერთი სტროფი სტალინის შესანიშნავი თარგმანით წავიდა, თუმცა მან ითხოვა, რომ ეს არსად აღნიშნულიყო. გორის სტალინის სახლმუზეუმში ახლაც დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძისეული თარგმანის ტექსტი სტალინის ხელით შესრულებული კორექტურით. რუსულ ენაზე პოემის რამდენიმე თარგმანი არსებობს, მაგრამ რუსთველური მხატვრული სახეები, ლექსთწყობა და რიტმი, ქართული სული ყველაზე უკეთ ნუცუბიძის ბრწყინვალე თარგმანშია შენარჩუნებული.

სწორედ ამის გამო აღფრთოვანებული სტალინი მაშინ ნუცუბიძეს შუბლზე ეამბორა.

ნუცუბიძე იყო უაღრესად დიდი მჭევრმეტყველი. ამ ჭეშმარიტი ოქროპირის ლექციებზე იმდენი მსმენელი იკრიბებოდა, რომ აუდიტორია ვერ იტევდა ფეხზე მდგომებსაც კი. ერთნაირი მჭევრმეტყველებით შეეძლო ლექციის ზეპირად წაკითხვა ქართულად, რუსულად, გერმანულად. იყო პირდაპირი, შემტევი, პირშიმთქმელი, პირუთვნელი და ენამოსწრებული. ცნობილია, რომ 1948 წელს განმეორებით დაპატიმრების გულგამაწვრილებელ მოლოდინში მყოფმა უშიშროების კომიტეტში დარეკა და ტელეფონზე ჰკითხა: მოდიხართ ჩემს წასაყვანად თუ თვითონ მოვიდეო. ერთ-ერთი ღონისძიების დროს, შესვენებაზე ნუცუბიძის ირგვლივ ხალხი შეგროვდა და მის საინტერესო საუბარს ისმენდა. ერთმა ნაცნობმა შორიდან მოიკითხა – როგორ ხარო. – მეხივით! – უპასუხა შალვამ. შორიახლოს განმარტოებით მდგომმა განათლების მინისტრმა ნუცუბიძესთან მყოფებს ცინიკურად მიაძახა: – აქეთ გამოიწიეთ, მეხი არავის დაგეცეთო. – ნუ გეშინია, მეხი ცარიელ ადგილს არ ეცემა! – „დაამშვიდა“ მინისტრი ნუცუბიძემ. საოცარია, ამისთანა კაცი როგორ გადაურჩა ცოცხალი კომუნისტურ რეპრესიებს. თვითონ კი ამაზე ხშირად ამბობდა: რუსთველმა გადამარჩინაო. სიცოცხლის ბოლომდე აკრძალული ჰქონდა ქართული მეცნიერების ტაძარში – სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლა და ლექციებს მხოლოდ მეორეხარისხოვან პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა. 1953 წელს დაითხოვეს მეცნიერებათა აკადემიიდანაც. 40 წლის მანძილზე უკრძალავდნენ ფილოსოფიაში ლექციების კითხვას, კითხულობდა მხოლოდ დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კურსს. არ მიიწვიეს უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავის იუბილეზე, თუმცა უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი იყო. ასევე არ მიიწვიეს შოთა რუსთველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეზე, თუმცა იგი ყველაზე დიდი რუსთველოლოგი იყო. არ ახვედრებდნენ საქართველოში ჩამოსულ უცხოელ მეცნიერებს. ხელისუფლებისა და მეცნიერებათა აკადემიის ამგვარი უმადურობა და ფახიფუხი პირდაპირ დაუჯერებელი და გამაოგნებლად სასაცილო იყო. ეს ფაქტი თვალსაჩინოდ მეტყველებს იმაზე,

თუ რამდენად პოლიტიზირებული და უშიშროების ორგანოების მორჩილებაში იყო მეცნიერება. სწორედ ამ დევნის აშკარა მაგალითი იყო შემდეგი საგულისხმო შემთხვევაც: ერთი უცხოელი მეცნიერის გამოკვლევა გამოქვეყნდა ჯვრის მონასტერში შოთა რუსთველის სავარაუდო საფლავის შესახებ. ნუცუბიძემ მოინდომა იერუსალიმში გამგზავრება და რუსთველის ნაკვალევის შესწავლა. ხელისუფლებამ უარი უთხრა. ნუცუბიძემ მაშინ სახალხოდ განაცხადა: ეს რა სამართალია, რომ უცხოელი ჩემს მიცვალებულს ტირის, მე კი, ნამდვილ ჭირისუფალს, ამის უფლებას არ მაძლევენო. იმპერიის უშიშროებამ (სუკმა) ბევრჯერ სცადა მისი გადაბირება – შეთითხნილი ცრუ ეროვნული პარტიის მეთაურად დანიშვნა და ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ გამოყენება, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. ბედნიერი ვარ, რომ გაძევებული და შერისხული მეცნიერი ერთხელ ჩემი თაობის სტუდენტებმა მაინც მოიწვიეს უნივერსიტეტში და იმ შეხვედრას ვესწრებოდი. დარბაზში ტევა არ იყო. სტუდენტები აღფრთოვანებული ვიყავით მისი მამხილებელი და ბრწყინვალე მჭევრმეტყველებით. პრეზიდიუმში მსხდომი დარცხვენილი და თავჩაღუნული მედროვე პროფესორები კი მეხდაცემულებივით მზად იყვნენ მაგიდის ქვეშ დამალულიყვნენ.

ხელისუფლების უსამართლო დევნისაგან შეჭირვებულმა ერთხელ დარდის გასაქარვებლად თბილისის გარეთ, სოფელ გლდანთან, ნახევარუდაბნოში პატარა ნაკვეთზე ბაღის გაშენება განიზრახა. ადგილობრივი ხელისუფლება წლების მანძილზე ედავებოდა, წართმევას უპირებდა და იქამდე თავი არ დაანებეს, სანამ მისი მეუღლე კოლმეურნეობის წევრად არ მიიღეს. იქ ხშირად ჩადიოდა მასთან ივანე ჯავახიშვილი და ეს ორი დიდი მეცნიერი მიწის ბარვაში იქარვებდა დევნილობის ვარამს. ახლა იქ, შალვა ნუცუბიძის ხელით გაშენებულ წალკოტში, მისი სახლმუზეუმია. ჭეშმარიტად უტეხი, დაუმორჩილებელი და ბობოქარი სულის დიდი მეცნიერი 1969 წლის 6 იანვარს გარდაიცვალა ისე, რომ მისი დევნა სიცოცხლის ბოლომდე არ შეწყვეტილა; გარდაიცვალა ისე, რომ ხელისუფლებამ ეროვნულობისა და მეცნიერული ჭეშმარიტების გზიდან მისი გადაცდენა და იმპერიული იდეოლოგიის ჩარჩოებში მოქცევა, დამორჩილება ვერ შეძლო. დიდმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ მას

სწორედ ამის გამო უწოდა „ქართული სულიერების აღორძინების ტრიუმფი.“ სწორედ ასეთ ადამიანებში იყო ჩაბუდებული უტეხი სული საქართველოსი. მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ აღიარეს და მიაგეს გარკვეული პატივი: მიცვალებული და დადუმებული ოქროპირის შეშვება უნივერსიტეტში უკვე აღარ ეშინოდათ – დაკრძალეს უნივერსიტეტის ბაღში, სადაც განისვენებენ ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი და სხვა დიდი მეცნიერები. მოხდა ჩვეულებრივი და ქართველი ერისათვის ეგზომ დამღუპველი ამბავი – როცა ხელისუფლება სიცოცხლეში ხელისშეწყობის ნაცვლად ებრძვის და სდევნის დიდ მამულიშვილს და მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იწყებს ფარისევლურად პირის ხოკვა-დაფასებას ხოლმე. ასე იყო და დღემდე ასე გრძელდება ჩვენში: ასეთი ადამიანების აღიარება ხდება მხოლოდ სიკვდილის შემდეგ – ზოგისა მაშინვე, ზოგისა მრავალი წლის მერე. საერთო კი ის არის, რომ დიდ მამულიშვილს ჩვენში ბევრი მტერი ჰყავს. რეგვენები და უნიჭოები მთელი სიცოცხლე ამპარტავნულად ებრძვიან, გასაქანს არ აძლევენ, ერთმანეთს ასწრებენ მის ლანძღვა-დაწიხლვას, ჩაქოლვას, დავიწყებას, ამ გზით თანამდებობებზე გაძვრომას და ერის სამსახურის ნაცვლად თანამდებობის პირადი მიზნებისთვის გამოყენებას. თავის დროზე დიდი ილია მართალიც გულისტკივილით წერდა ამაზე ერთ-ერთ წერილში. ეს ჩვენი საერთო სენია. ჩვენი საქმეც იმიტომ მიდის ცუდად!

იქნებ მისი ბაბეებით ძველი ღმერთები მღეროდნენ?

ინგლისელი მარკ ევანსი ერთხელ პოლონურ რესტორანში იჯდა და რუსულ რომანსებს უსმენდა. უცებ ქართული სიმღერა გაისმა, რომელმაც მოხიბლა, შესძრა, გააოგნა ... და გადაწყვიტა ენახა ის ქვეყანა, სადაც ასე მღერიან. ესტუმრა საქართველოს, გაიცნო ქვეყანა, ხალხი, მათი ზნე-ჩვეულება, კულტურა... და სამშობლოში დაბრუნებულმა ქართველი კაცის ბუნებას და ქართულ სიმღერას ასეთი სახოტბო საგალობელი უძღვნა: „პირველსავე ქართველთან გამოლაპარაკების შემდეგ მივხვდი თქვენს სისპეტაკეს და დიდსულოვნებას, სიდინჯეს

ალალ-მართალ ბუნებასა და სულის სიფაქიზეს. მსგავსი რამ არსად და არასდროს მინახავს. გასაოცარი ის იყო, თუ რა სიზუსტით გამოხატავდა ამ თვისებებს ქართული სიმღერა. შემდეგ ყველა ქართველის გაცნობისას ვგრძნობდი, რომ ჩემი ცხოვრება რაღაცით ივსებოდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და გადავწყვიტე საქართველოს ვწვეოდი.

ამ ქვეყნის ნახვით ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდ სიყვარულს ჩაეყარა საფუძველი – არა რომელიმე პიროვნების, არამედ ხალხის, ქართველი ერის მიმართ...

ცხოვრებისადმი ქართველების დამოკიდებულებით ვისწავლე, თუ რას ნიშნავს სიტყვა „წუთისოფელი“ – ხანმოკლე ცხოვრების ბედნიერად გატარების ხერხები სისხლხორცში გაქვთ გამჯდარი. ძალიან მომწონს ქართული სუფრის ტრადიცია. ეს ხომ ერთმანეთისა და სტუმრის პატივისცემის არაჩვეულებრივი დემონსტრირებაა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია სადღეგრძელოს ფორმა, შინაარსი. ეს არის ხელოვნება, რომელიც არ არსებობს სხვა ქვეყანაში. თქვენი დამოკიდებულება მოხუცების, ოჯახისა და მეგობრების მიმართ, თქვენი ცეკვა რეალური ცხოვრების ინსცენირებაა. რა შეიძლება შეედაროს უნატიფესი ქართველი ქალის ხილვას, რომელიც კი არ მოძრაობს, ნარნარებს და დამატყვევებელი სანახაობაა. მამაკაცთა ცეკვა ხომ ნამდვილი ბრძოლაა... გრძნობ,რომ სისხლი კი არ მოედინება, თავაწყვეტილი მოქუხს მათ დაბერილ ძარღვებში...

ზოგადად ხელოვნება ყველა ქვეყანაში დიდი ფუფუნებაა, საქართველოში კი იგი ცხოვრების ნაწილია... და რაც ყველაზე მეტად მიფორიაქებს სულს, ეს ქართული ხალხური სიმღერაა. საოცარია, როგორ უწყვეტ ხაზად მოედინება მელოდია. მომღერლები თითქოს მხრებით ზიდავენ ერთმანეთის, ოჯახის თუ ქვეყნის სატკივარსა და გასაჭირს – რაც ერთი კაცისთვის მძიმე სატარებელია, მეორე მზად არის გაინაწილოს... თითქოს მათ შემსრულებლებს ერთ თვალში ცრემლი უდგათ, მეორეში – სიხარულის სხივი. ჩემი აზრით, ეს გუშინდელ დღეზე დარდი და ხვალინდელი დღის იმედია... ვფიქრობ, მსოფლიოს ნებისმიერ კონსერვატორიაში უნდა ისმინებოდეს ჰამლეტ გონაშვილის სიმღერები“.

და მართლაც ერთი წუთით თვალები დახუჭეთ და ყური მიუგ-

ღეთ – როგორ მღერის ჰამლეტ გონაშვილი. თქვენ თითქოს გესმით, როგორ მღეროდნენ ჩვენი შორეული წინაპრები 10-15 ათასი წლის წინ. ღმერთმა მას განსაკუთრებული ხმა და სიმღერის ნიჭი დააბედა. ეს საოცარი ტემბრის ხმა თითქოს საიდანღაც გულის სიღრმიდან, არა, გულის გულიდან მოდის. ეს ხმა რაღაც არაამქვეყნიურია, თითქოს ძალზე შორიდან – ათასობით წლის სიღრმიდან ისმის. იქნებ ასე მღეროდა ძველი შუმერი, ეტრუსკი, ურარტუელი თუ სუბარი, ოდეს მარჩენალ მიწას მარცვალი მიაბარა და მოსავლის ღვთაება ჰარალეს საგალობელი თქვა, დედა მიწის, ღვთაება მზისა და მთვარის საგალობელი თქვა; იქნებ ასე მაშინ იმღერა მეფე სიენმა, ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ პირველის უსასტიკესი ურდოს წინააღმდეგ მესხთა სამოცი მეფის გაერთიანებულ ლაშქარს საომრად რომ მიუძღოდა; იქნებ ასე მღეროდა ფიტარეთის ტაძრის ყვავილწნულის მკვეთელი, ან ვინც უფლისციხეს თუ ვარძიას კვეთდა, გელათის ღვთისმშობლის სახეს რომ ქმნიდა? იქნებ ასე თვით ძველი შუმერული თუ ხალდური ღმერთები მღეროდნენ?

საქართველო ვაზისა და პურის სამშობლოა; მაგრამ საქართველო სიმღერის სამშობლოც არის.

საქართველოში ბევრნი მღეროდნენ!

საქართველოში ბევრნი მღერიან!

მაგრამ ჰამლეტ გონაშვილი სულ სხვანაირად, გამორჩეულად, ჰამლეტისებურად, განსაკუთრებული ღვთიური მადლით, ლეგენდარული ორფეოსივით განუმეორებლად მღეროდა!

ასე საუკუნეებში ერთხელ მღერიან!

ასე ალბათ ძველი ღმერთები მღეროდნენ!

საქართველოში დღეს ქალაქურ საესტრადო სიმღერებს ბევრნი მღერიან. იოლია და იმიტომ. აი გურული და ქართლ-კახური ძველი ხალხური სიმღერების თქმა კი ყველას როდი შეუძლია. ისინი მრავალხმიანია და რთული სამღერია. ამას განსაკუთრებული ნიჭი და მადლი უნდა, სხვა საფანელი უნდა. ქართული ხალხური სიმღერების დიდმა მოამაგემ და ჭაშნაგირმა ანზორ ერქომაიშვილმა ერთხელ ძალზე მოსწრებულად და ლამაზად თქვა: დახუჭეთ თვალები და მოუსმინეთ ჰამლეტ გონაშვილს. მისი ზებუნებრივი ხმის ტემბრში თქვენ ფერებს დაინახავთ. მის

ხმაში ქართველი კაცის მრავალსაუკუნოვანი სევდა, დარდი და ტკივილები ისმისო. მის საოცარ ხმას სპეციალისტები ახსნას ვერ უძებნიდნენ. რამდენიმე ფრაზა სუნთქვის შეუცვლელად შეეძლო ემღერა. იუნესკომ ქართული ხალხური სიმღერა არამატერიალური კულტურის ძეგლების მსოფლიო საგანძურში შეიტანა. ამაში კი მრავალ ცნობილ თუ უცნობ დიდ ქართველ მომღერალთან ერთად ჰამლეტ გონაშვილის ნამღერის წვლილიც არის. მან მსოფლიოს სამოცამდე ქვეყანაში იმღერა ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად და ყველგან უდიდესი წარმატება ხვდა. ბევრგან კონცერტის შემდეგ გაოცებული და აღფრთოვანებული მსმენელები ყელს უსინჯავდნენ – ხელოვნური ხორხი ხომ არა აქვს ჩადგმული, თორემ ასეთი არაბუნებრივი ხმა საიდან ამოდისო. ბარსელონაში კონცერტის შემდეგ ბასკები ყელში ჰკოცნიდნენ. პარიზში კონცერტზე „მრავალჟამიერი“ სამჯერ გაამეორებინეს. როცა უცხოეთში მღეროდა სიმღერას „დაიგვიანეს“, დარბაზი ფეხზე ამდგარი უსმენდა ხოლმე. ასევე გამაოგნებელი და დაუვიწყარი იყო მისი ნამღერი „ოროველა“, „წინწყარო“, „ბერიკაცი ვარ“ „ჭონა“ და სხვები.

კორსიკაში ხალხური სიმღერების მსოფლიო ფესტივალი ჰამლეტის ნამღერი „ოროველით“ დახურეს. ეს მისი გარდაცვალების 7 წლის შემდეგ მოხდა. ეს იყო მისი ნიჭის კიდევ ერთი მსოფლიო აღიარება.

დიდების მწვერვალზე მყოფი ერთხელ მშობლიურ სოფელ ანაგაში დედასთან სტუმრობდა. ეზოში ლეღვის უშნოდ გაბარჯღული ტოტის მოჭრა მოინდომა. ქვის გალავნის კედელზე შედგა და როცა ტოტს ჭრიდა, ფეხი დაუცდა. გადმოვარდა და კედლის ძირში დარჭობილ რკინის პალოს დაეცა. ასე ბრმა შემთხვევის გამო დაიღუპა ეს დიდებული მომღერალი. სწორედ იმ მომენტში უჩვენებდნენ ამერიკელი მსახიობების აგარაკებს, თითოეული მათგანი 60-100 მილიონი დოლარის ღირებულების რომ იყო და დაქირავებული მსახურები უვლიდნენ. ტელევიზია იმასაც აცხადებდა, რომ მსახიობმა ჯულია რობერტსმა მარტო ერთი კინოროლის შესრულებისათვის 25 მილიონი დოლარი ჰონორარი მიიღო. ხოლო ჰამლეტ გონაშვილს დაღუპვის ჟამს ჯიბეში მხოლოდ სამი მანეთი ედო. მას რომ უცხოეთში ეცხოვრა,

ალბათ ასევე მილიონერი იქნებოდა თავისი ნიჭის წყალობით და შავი საქმის საკეთებლად მსახურები ეყოლებოდა... მაგრამ მშობლიურ მიწას მოწყვეტილი გონაშვილი აღარ იქნებოდა. ჩვენში კი ჯერჯერობით ყვავსა და ბულბულს ერთი ფასი აქვთ – ხშირად ტელევიზიებით ბულბულების ნაცვლად ყორნებს უფრო აყეფებენ ხოლმე. ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელსაც ღმერთი ხშირად გვაძლევს გენიოსებს, მაგრამ მათი მოფრთხილება და დაფასება არ ვიცით, რადგან ეს ჩვეულებრივ, უბრალო ამბად მიგვაჩნია.

ყური მიუგდეთ, ციურნო ძალნო – ჰამლეტ გონაშვილი მღერის!

საქართველოში ბევრნი მღეროდნენ!

საქართველოში ბევრნი მღერიან!

საქართველოში ასე ვერავინ მღერის!

ჰამლეტ გონაშვილის ბაგეებით ალბათ ძველი შუმერული, ურარტული თუ ხალდური ღმერთები მღეროდნენ!

საქართველოში საუკუნეებში ერთხელ მაინც ამღერდება ორფეოსი!

„აქ ჩიტიც არ მღერის...“

მეორე მსოფლიო ომში დაიღუპნენ მამაჩემი და მისი ორი ძმა. მამას ჩემი დაბადება ცეცხლის ხაზზე შეატყობინეს. 17 წლის დაქვრივებული დედა ცალად ზიდავდა ცხოვრების უღელს, მაგრამ ძლიერი ბუნების ქალს არსად ჩაუჩოქია. მეც ასეთივე ნებისყოფით მზრდიდა. გვიჭირდა, მაგრამ არავისთვის გვითხოვია არც ლუკმა, არც თავშესაფარი. დედა ჩაის მარილით „ატკბობდა“, რომ ძუძუ მოეწოვებინა ჩემთვის. ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი ოჯახის შვილი ვიყავი, რადგან მისთვის ჩემი მამა-ბიძების სისხლიც იყო დაღვრილი. ყველგან გზა ხსნილი უნდა მქონოდა, ჩვენ კი გაგვწირეს და გაგვიმწარეს სიცოცხლე. რისთვის იდევნება ჩვენი ოჯახი წლების მანძილზე ასე სასტიკად?

ჩვენი რაიკომის მდივანი ხალხისათვის შეუბრალებელი დიქტატორი გამოდგა. ხალხს დაანატრულა შუქი, რადიო, გზა, წყალი, პური, ფქვილი, მარილი, ნავთი. მთიელები დღესაც ბარიდან 20-30 კილომეტრის მანძილზე ეზიდებიან ზურგით ან საპალნით ყველაფერს. მერე და რა გზებზე, უფსკრულებს რომ ჩაჰკიდებია

და კაცი ძლივს გაივლის. მილიონები იხარჯებოდა ვითომდა ხალხის პირობების გასაუმჯობესებლად, გზების გასაყვანად, სინამდვილეში კი არაფერი კეთდებოდა. ბავშვები 5-6 კილომეტრზე დადიოდნენ ფეხით ყინვაში, რადგან სოფლებში სკოლები არ იყო. გლეხკაცს აუკრძალეს საკარმიდამოდან მოყვანილი პროდუქტების ბაზარზე გაყიდვა. მაღაზიები ცარიელია. სურსათს იტაცებენ ცალკეული პირები, ხალხი კი წლობით მოწყალებასავით ელის მათ ყიდვას.

ფშავ-ხევსურეთი და მთიულეთი თითქმის დაიცალა – უსამართლობითა და გაუტანლობით შეწუხებული და დამშეული ხალხი რუსეთში – სტავროპოლის მხარეში გარბის. ნასოფლარები დგანან როგორც უტყვი მოწმენი რაიკომის მდივნის უსულგულო მოქმედებისა. ეს კაცი ახერხებდა, რომ რაიონზე მთავრობას შემცირებული გეგმები დაეშვა. ამით დიდძალ საქონელსა და პროდუქტებს ითვისებდა. ხალხს ძალით წაართვეს მეწველი ძროხები, ვითომ თურქულით დაავადების მიზეზით. სინამდვილეში რაიონში ეს დაავადება არ ყოფილა. წინააღმდეგობის გამწევს აპატიმრებდნენ. 1700 ჰექტრამდე ნათესები მთავრობისგან დამალული ჰქონდათ, ასევე ნოღაეთში ჰყავდათ გადამალული ცხვრის ფარები. ყიზლარში ცხვრის საძოვრებზე 200 ჰექტარზე ნესვი და საზამთრო ეთესათ, რომელიც რაიკომის მდივნის პირადი გამდიდრების წყარო იყო. რაიონის ხელმძღვანელები სახელმწიფო ხაზინასაც ძარცვავდნენ ყალბი საბუთებით. თვითონ რაიკომის მდივანს შვილი ყალბად ჰყავდა ერთ-ერთ სოფელში ექიმად გაფორმებული და წლების მანძილზე ხელფასს უშრომლად ითვისებდა.

ხალხის საჩივრები უყურადღებოდ რჩებოდა. ათი წლის მანძილზე მეც ბევრჯერ მივმართე ხალხის გასაჭირზე მთავრობას, მაგრამ პასუხი არავინ გამცა. სამაგიეროდ დევნა დაუწყეს ჩვენს ოჯახს. დედა და დეიდა სამსახურიდან დაითხოვეს და პენსიები ჩამოართვეს. ამიკრძალეს რედაქციებში თანამშრომლობა და წერილებს არავინ მიბეჭდავდა. ორი უმაღლესი სასწავლებელი მაქვს დამთავრებული, მაგრამ ათი წელია უმუშევრად ვარ. დეიდა ტყის ხილს კრეფდა, რომ არსებობა შეგვენარჩუნებინა. მათი შიშით ხალხიც ვერ ბედავდა ჩვენთვის

დახმარების გაწევას. ზამთრობით საწვავიც არ გვქონდა და ყინვა ათასფრად ხატავდა სარკმლებს. დედა ნერვიულობით მეორე ჯგუფის ინვალიდი გახდა.

ერთ დღეს რაიკომის მდივნის განკარგულებით სახლში შემოგვიცვივდნენ, დედა-შვილი ჩვიდმეტსაფეხურიან კიბეზე თრევით ჩაგვიყვანეს და საპატიმრო მანქანაში შეგვყარეს. მცველები პაპიროსს გვიბოლებდნენ კამერაში და გვეუბნებოდნენ: „მორჩა, თქვენ ვეღარ ეღირსებით საქართველოს ხილვას, კამჩატკაზე გადაგასახლებენ.“ დედის ტირილზე იცინოდნენ: „რა კარგი მომღერალიაო.“ მიგვიყვანეს თბილისში ფსიქიატრიის ინსტიტუტში. იქ გაირკვა, რომ უკანონოდ ვიყავით დაპატიმრებული და არ მიგვიღეს. მეორედ დაგვიპირეს დაჭერა, მაგრამ ხალხი შეიყარა და არ დაანებეს.

მივმართე რედაქციებს, ჟურნალისტთა კავშირს, მწერალთა კავშირს, უნივერსიტეტს, რამდენიმე ცნობილ აკადემიკოსსა და თანამდებობის პირს. ყველგან უარი მითხრეს მიღებაზე და დახმარებაზე.

ერთხელ ჩარგალში ვაჟაობის დღესასწაული იყო. თბილისიდანაც ბევრი ხელმძღვანელი ჩამოვიდა. გადავწყვიტე იქ სიტყვით მიმემართა ხალხისათვის. სიტყვის თქმის უფლება არ მომცეს. რაიკომის მდივნის განკარგულებით დედა-შვილი მილიციის მანქანით წაგვიყვანეს. ორი დღე სატუსაღოში გვამყოფეს მშიერმწყურვალი. მერე ისევ თბილისში, ფსიქიატრიის ინსტიტუტში ჩაგვიყვანეს. დიდი ბჭობის შემდეგ მთავარმა ექიმმა გვითხრა: „ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ თქვენი ფსიქიკური მდგომარეობა. ორ-სამ კვირას იქნებით აქ, დაკვირვებას მოვახდენთ, სამაგიეროდ მერე ცნობა გექნებათ თქვენს ნორმალურობაზე და ხელს ვერავინ შეგახებთ“.

აქ აუტანელი, გაუსაძლისი გარემოა. გესტაპოს პირობებს აღემატება: ტირილი, ყვირილი, ცემა-ტყეპა, ღრიანცელი. გიჟებიც და ნორმალურებიც ერთად სცემენ ბოლთას დერეფანში, ყველა თავისთვის ყვირის, ლაპარაკობს. კარუსელივით ტრიალებს ეს წრე თავბრუდახვევამდე, ერთმანეთს ეხლებიან, სცემენ. პალატებიც ისეა გადატვირთული, გასასვლელი აღარ არის. საწოლები არ ჰყოფნით და ნაწილი დერეფანში იატაკ-

ზე იძინებს. გარეთ არავის უშვებენ. ავადმყოფებს აქედან თვდახსნა საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეებივით საოცნებოდ აქვთ გადაქცეული.

პროტესტის ნიშნად ვშიმშილობთ. მეცამეტე დღეს დედა-შვილი დაგვაცილეს – დედა სხვაგან გადაიყვანეს. მერე ყველას თვალწინ გამაშიშვლეს, იატაკზე თმებით მათრიეს, ზეწრებით ხელ-ფეხი შემიკრეს და ძალით მასხამდნენ პირში საჭმელს. თმებით მქაჩავდნენ ისე,რომ ბალიშზე ეყარა ბღუჯა-ბღუჯა თმები. 3-4 სანიტარი მაწამებდა ერთდროულად. მუცელში მუხლს მაზელდნენ, ნიკაპში მუშტს; მცემდნენ მთელი გამეტებით სახეში, ზურგში, კისერს მიდრეკდნენ საქონელივით. ტუჩები დამილურჯდა, პირის ღრუ შემისივდა ყოველდღიური წამებისაგან. ისეთი ძალით მკოჭავდნენ, რომ ძარღვები დახეთქვას მქონდა. სახსრები შემისივდა და აუტანელი ტკივილებისგან მოძრაობა მიჭირს. ისინი კი ხითხითებენ: „შენ აქედან ცოცხალი ვერ გახვალ, აქ დალპები... შენთვის ეს სურამის ციხედ იქცევა. გამომივიდა ხალხის ქომაგი. სიმართლის მაძიებელი ჟურნალისტი. ხა, ხა, ხა, ეგდე აქ! ჩასთხარეთ კოვზებით საჭმელი ამ ღორს.“ კბილები დამემტვრა. პირსახოცი სისხლით იყო მოსვრილი და ამას ჩემს სიცოცხლეზე ზრუნვად თვლიდნენ. ეს იყო დესპოტური საათები წამებისა.

განყოფილების დიასახლისი მაღლა შეთამაშებული წარბებით, ირონიული ღიმილითა და ხითხითით, მჭექარე ხმითა და ცემა-ტყეპის დამამცირებელი ილეთებით მაგონებდა გესტაპოს თანამშრომელს. ესეც არ იკმარეს. ჩემი თავი აცემინეს სულით ავადმყოფებს. 23 დღე არავის მოუკითხივარ. ექიმები ღიმილით უმზერდნენ ჩემი წამების სურათს, მაგრამ არავინ მექმოაგებოდა.

76 დღის შიმშილი.. ფილტვებს უჭირს სუნთქვა, სხეულს – მოძრაობა. ვერც სკამზე ვისვენებ, ვერც საწოლში.... ისე გავხდი, კანი ცარიელ ძვლებზეა გადაკრული. გულ-მუცელი მეწვის აუტანელი შიმშილისგან. პირში აცეტონის მკვეთრი სუნი მაქვს. მედპერსონალი მერიდება: „ფუ... როგორ ყარს,არ ჭამს და მა რა იქნება...“ ვიტამინების ნაკლებობით კანი ხორკლიანი გამიხდა, თითები დამიწყლულდა, დამიჩირქდა. ეს სიცოცხლის ყოველ-

დღიური კვლაა, თანაც საშინელი წამებით სიკვდილი. გაუსაძ-ლისი ბოღმა მარწუხებივით მიჭერს. დღე და ღამ არ მძინავს. ან კი როგორ, ასეთ დამცირებაში.

არ ვიცი, რა ბედი ელის ჩემი სისხლითა და ცრემლით ნა-წერს. ვჩქარობდი, რომ მომესწრო; ან როგორ შევძელი აზრის ჩამოყალიბება – საწოლში მჯდომარე შუადამის საათებში ვმუ-შაობდი შიშისა და თვალთვალის ქვეშ.

საყვარელი დედის სახე მხოლოდ ათი დღის შემდეგ სრუ-ლიად შემთხვევით ვიხილე, ისიც ფარულად, ბინდისას სანიტარი ნაგვის გადასაყრელად გამოსულიყო ეზოში და მალვით გამო-ეყოლებინა. საცოდავი დედა, ლამაზი დედა ჩიტივით იდგა ძირს და ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა. ნაოპერაციები თვალე-ბით უჭირდა ჩემი დანახვა ბინდ-ბუნდში: „ნეტა ახლოს მანახა შენი თავი, შვილო.“

აქ ყოველი წუთი საუკუნესავით გაუსაძლისია, როგორც დი-ლეგის კედლებში. დრო ნელა გადის და ნაღველი კი შხამი-ვით იღვრება სულში... ათასნაირი წამების ლაბირინთებში ტრი-ალებს ფიქრი. აქ ჩიტიც არ მღერის... ყველას თავისუფლება ენატრება. თავისუფლების დაკარგვას ტირიან დღე და ღამ. აქ მოხვედრილი, გნებავთ ჯანმრთელი იყოს, ძნელად თუ ეღირსება აქედან გასვლას.

სურთ ჩვენი ნებისყოფის დათრგუნვა. მოითხოვენ, მაიძულებენ დავდო ხელწერილი, რომ ამის შემდეგ აღარ ვიჩივლებ მთავ-რობის წინააღმდეგ. კომისიას განვუცხადე, რომ მთავრობას კი არ ვებრძვი, არამედ უსამართლობას და უკანონობას. სწორედ ამ შეულამაზებელი სიმართლის, ხალხის გამოქომაგებისათვის მოგვათავსეს ხალხის მტრებმა სულიერად დაავადებულთა თავ-შესაფარში.

სად გაგონილა, წლობით ჩიოდეს ადამიანი და სიმართლეს ვერ პოულობდეს? როდემდე საშინელი განუკითხაობა და უსა-მართლობა?

გვითხრან გულახდილად, რაში გვდებენ ბრალს, გაგვასამართ-ლონ საჯაროდ, რატომ მოქმედებენ კულისებში, რატომ ეშინიათ ჩვენი საჯაროდ გასამართლებისა?

თითქმის დახმარებას არავისგან ველი, ისეთი ბნელი და

მზაკვრული ძალები მოქმედებენ, თანაც ფრიად ავტორიტეტული პირები. ნუთუ სამშობლო ცოცხლად დაგვმარხავს თავის ერთგულ შვილებს და უკვალოდ გაქრება ჩვენი თავგანწირვა? თუკი ბოროტ ძალებს შეუძლიათ გაერთიანდნენ თავიანთი მზაკვრობის შესასრულებლად – ქვეყნის საძარცვავად და ასაოხრებლად, მაშ რატომ არ შეგვიძლია შეკავშირება კეთილ ძალებს? რაც არ უნდა მალონ საქართველოსა და ქართველი ხალხის გასაჭირი მტრებმა, სატკივარი არ დაიმალება: დრო ყველაფერს საჩინოს გახდის ისე, როგორც მზის სხივი ჰკვეთს სიბნელეს. მწამს, რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბნელსა ის განანათლებს.

***

ეს სტრიქონები ახალგაზრდა ჟურნალისტის ნაზი შამანაურის წერილებიდან და დღიურებიდან არის ამოკრებილი. ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ რაიკომის მდივანი ძველი ფეოდალივით იქცევა. მისი ყურმოჭრილი მსახურები არიან მილიციაც, პროკურატურაც, სასამართლოც. ამიტომ სამართალიც მის სურვილზეა დამოკიდებული.

თავიდან შამანაურს ეგონა, რომ ხალხის უბედურების მიზეზი რაიონის ცალკეული ხელმძღვანელები იყვნენ. სიცოცხლის ბოლო დღეებში კი მიხვდა, რომ მათ უკან კარგად ორგანიზებული და უჩინარი მაფია იდგა, რომელსაც ხელისუფლების მაღალ საფეხურებშიც ჰქონდა ფესვები გადგმული. ამაზე მეტყველებს მისი ჩანაწერებიდან ორი ფაქტი: შამანაური აცხადებს – უსამართლობას ვებრძვიო, მისი მტრები კი უმტკიცებენ – ეს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლააო. ხანგრძლივი ბრძოლით ჟურნალისტმა ხელისუფლება აიძულა რაიკომის მდივანი თანამდებობიდან გაეთავისუფლებინათ, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ მას მინისტრის მოადგილედ ნიშნავენ. შამანაური ძალაუნებურად ამ ყოვლისშემძლე მაფიას გადაეღობა გზაზე და ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მუქარით ვერ შეაშინეს, ვერ გააჩუმეს. ამიტომ გადაწყვიტეს მისი თავიდან მოშორება.

ბოროტი ძალები დაჟინებით ცდილობენ ნაზი სულით ავადმ-

ყოფად ჩათვალონ და სამუდამოდ გამოკეტონ საგიჟეში. ქალიშვილი ათჯერ გაიყვანეს სამედიცინო კომისიაზე, მაგრამ ათივეჯერ ექიმებმა ნორმალურად სცნეს. უკანასკნელი კომისიის შესახებ მისი ჩანაწერი ასეთია: „ჩემთან ერთად დედაც იყო გამოძახებული საექიმო კომისიაზე... დედაშვილი მხოლოდ მაშინ შევხვდით ერთმანეთს ექიმის კაბინეტში. დედა აღელვებისაგან ცრემლებს ვერ მალავდა, რომ მნახა ასე გასაცოდავებული: ტყლაპივით შემოცმული ძველი, გახუნებული, ზოლიანი, უღილო ხალათით, დიდი ზომის ძველი ფლოსტებით, ფეხშიშველი... დედა ეხვეწებოდა: ნუ დაიდებთ ჩვენი ოჯახის ცოდვას, ტყუილ დასკვნას ნუ ჩაწერთ. ამ ერთ შვილზე დავდე თავი, ნუ წამართმევთ ჩემს შვილს.“

არ შეისმინეს დედის ვედრება: 5 თვის არაადამიანური მოპყრობითა და შიმშილით ნაზი სიკვდილის პირამდე მიიყვანეს. 1983 წლის იანვარში კი ხელფეხშეკრული ცემით მოკლეს. მისი ჩანაწერებიდან უმეტესობა მოსპეს, ნაწილი კი შემთხვევით გადარჩა და ჩვენამდე მოაღწია. თავის დროზე მსოფლიო შეძრა მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპული გოგონას ანა ფრანკის დღიურებმა. ალბათ საზოგადოებისათვის არანაკლებ შემაძრწუნებელი უნდა იყოს ახალგაზრდა ჟურნალისტის ნაზი შამანაურის დღიურები. მისი მოწამებრივი ცხოვრება სამშობლოსათვის, ხალხისათვის, სიმართლისათვის თავგანწირვისა და გმირობის მაგალითია. ეს არის თვალსაჩინო ნიმუში იმისა, თუ ჯალათური საკონცენტრაციო ბანაკის დონემდე ასული საბჭოთა ფსიქიატრიული საავადმყოფო როგორ უსწორდებოდა სიმართლისათვის და პატიოსნებისათვის მებრძოლ ადამიანებს; მათ იმის ღირსადაც არ თვლიან, რომ სასამართლო პროცესი მოუწყონ. ფეხქვეშ გათელილია ადამიანის უფლებები. ეს არის ამა სოფლის ძლიერთა და მძლავრთა მიმართ ბრალდება. ეს არის პატიოსანი ადამიანების, მომავალი თაობების გაფრთხილება, რომ ერთად იბრძოლონ ბოროტების წინააღმდეგ, ადამიანის უფლებების დაცვისათვის.

მისი ჩანაწერებიდან განგებ ამოვიღეთ იმათი სახელები, ვინც ამ მკვლელობაში მონაწილეობდა. არც ის „სახელოვანი მამუ-

ლიშვილები“ ვახსენეთ, ვისაც ნაზი შველას სთხოვდა და ხმა არ ამოიღეს, თავი არ გამოიდეს სიმართლისათვის, თანამოძმის გადარჩენისათვის, თუმცა შეეძლოთ და მოვალენიც იყვნენ. მათ დუმილით კაცისმკვლელებს დასტური მისცეს, რითაც ძალაუნებურად ამ მკვლელობის თანამონაწილენი გახდნენ. განა ღირს მათი აქ ხსენება?

მთავარი აქ ის არის, რომ ნაზი შამანაურის ცხოვრება სახელმწიფო მაფიასთან, საქართველოს დამაქცევრებთან ბრძოლის კლასიკური მაგალითია. ამ ბრძოლაში შამანაური დაიღუპა იმიტომ, რომ მარტო აღმოჩნდა, პრესა და საზოგადოება დუმდა. მან კი ბოროტებასთან შერიგებას სიკვდილი ამჯობინა. შამანაურის დაღუპვიდან სამი თვის შემდეგ გაზეთი „კომუნისტი“ ურცხვად ამტკიცებდა – იგი ნამდვილად იყო სულით ავადმყოფი. თითქოს ამის გამო შეიძლებოდეს მკვლელობის გამართლება. მისი ნაწერებიდან ცხადად ჩანს, რომ ეს ბრალდება მტკნარი სიცრუეა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურმა ზვიად გამსახურდიამ კი მაშინ შამანაურის საქციელს ასეთი შეფასება მისცა: „ქართველი ერის ისტორიაში მრავლად ყოფილა ძნელბედობისა და განუკითხაობის პერიოდები, მაგრამ მტერი და დუშმანი, რომელიც სპობდა რჩეულ ქართველ ადამიანებს ცეცხლითა და მახვილით სიმართლისა და პრინციპულობისათვის, სარწმუნოებისა და ქვეყნის ერთგულებისათვის, ჭეშმარიტად არასოდეს მისულა ცინიზმის ისეთ დონემდე, რომ ეს მსხვერპლნი ძალმომრეობისა და თვითნებობისა შეშლილებად, ფსიქიურად დაავადებულებად გამოეცხადებინა, თავად კი მათი „მკურნალისა“ და „კეთილისმყოფელის“ როლში მოგვვლენოდა. ნაზი შამანაური წამებულია სიმართლისათვის, სინდისისათვის, სიწმინდისათვის, პატიოსნებისათვის, ყოველივე იმისათვის, რაც ესოდენ უღვთოდაა გათელილი და მივიწყებული ჩვენში. წამებულია, რადგან შეგნებულად გაწირა თავი და არ ისურვა არც თავის თავისა და არც მოყვასთა მოტყუება. წამებულია, რამეთუ დაიმკვიდრა ადგილი სიმართლისათვის დევნილთა პანთეონში, რომელთაც იხსნეს წარსულში ჩვენი საქართველო და მომავალში კვლავაც იხსნიან მას.“

საქართველოს შიშველი სატევარი

1922-1937 წლების რეპრესიებით განადგურდა ერის საუკეთესო ნაწილი. მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრიც კი დანაშაულად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, დროდადრო მამაცი ადამიანები მაინც ქმნიდნენ ფარულ ორგანიზაციებს და ეძებდნენ ერის ხსნის გზებს. ხელისუფლება ჩანასახშივე ახერხებდა მათ აღმოჩენას და განადგურებას. არაერთმა თაობამ იწვნია ციხის, საკონცენტრაციო ბანაკის, გაციმბირების სუსხი.

სამოცდაათიან წლებში შეიქმნა ფარული ორგანიზაცია, რომელმაც შეძლო ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლება. მისი ხელმძღვანელები იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. პირველად ისინი 1955 წელს დააპატიმრეს პოლიტიკური საქმიანობისათვის. მაშინ ორივენი საშუალო სკოლის მოსწავლეები იყვნენ. ოთხი თვე გაატარეს ციხეში. 1977 წელს ისინი ისევ დააპატიმრეს. სასამართლო დახურული იყო, ხალხი არ დაუშვეს, ხოლო გაზეთები მათ სამშობლოს მოღალატეებად აცხადებდნენ. ამჯერად ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. აქედან დაიწყო მერაბ კოსტავას მოწამებრივი ცხოვრება.

ციმბირში გადასახლებულმა მერაბმა უხვად იწვნია ფსიქიატრიული საავადმყოფოსა თუ საპყრობილის საკნები, ძალადობა, უსამართლობა, დამცირება. უტეხი ნებისყოფისა გამოდგა. გადასახლებაშიც შეურიგებლად იცავდა ადამიანის უფლებებს, პატიმართა ღირსებას. ამისთვის კიდევ ხუთი წლით გაუგრძელეს პატიმრობა და აუტანელი პირობები შეუქმნეს. მაშინ კოსტავამ შიმშილობა გამოაცხადა, რომელიც წელიწადნახევარს გაგრძელდა.

კოსტავას სახელი მსოფლიომ გაიგო. უცხო ქვეყნებმა მისი გათავისუფლება მოითხოვეს და ნობელის საერთაშორისო პრემიაზე წარადგინეს. ეს ცნობა უცხოეთის რადიოსადგურებმა გადმოსცეს. მეორე დღეს კი მისი ერთადერთი ვაჟიშვილი საეჭვო ვითარებაში ფანჯრის რაფაზე ჩამოხრჩობილი ნახეს.

წამებამ და მწუხარებამ ვერ გატეხა. ათწლიანი გადასახლებიდან ახალგაზრდა კაცი თოვლივით თეთრი თმებით, მაგრამ ისევ მგზნებარე გულით დაბრუნდა. იგი კვლავ სათავეში ჩაუდგა ეროვნულ მოძრაობას: ხალხი უსმენდა მის სიტყვას მრავალათასიან მიტინგებზე, ხალხს სჯეროდა მისი.

მერაბ კოსტავამ ხელისუფლებისგან შეთავაზებულ ყველა ამქვეყნიურ სიკეთეზე უარი თქვა. სამშობლო მისთვის წმიდათაწმიდა იყო. როცა ბევრნი თანამოძმის ძარცვით, ქართული მიწის გაყიდვით, თანამდებობის, ფუფუნებისა და სხვა სიამის მოხვეჭით იყვნენ გართული, მერაბმა სამშობლოს შესწირა ყველაფერი – ახალგაზრდობაც, პირადი ცხოვრებაც, ოჯახიც, შვილიც და ბოლოს საკუთარი სიცოცხლეც.

9 აპრილის ტრაგედიის მერე სხვა ლიდერებთან ერთად კვლავ დაატუსაღეს, მაგრამ აზვირთებული ხალხის მოთხოვნით იძულებული გახდნენ გამოეშვათ. საქართველომ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ რუსეთისგან დაპყრობილია და თავისუფლება მოითხოვა. მაშინ იმპერიამ საქართველოში ჩამოსახლებული არაქართველი მოსახლეობის ამბოხება დაიწყო ქართველების წინააღმდეგ. ამით ცდილობდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას. ერთ-ერთი ამბოხების დასაშოშმინებლად წასული კოსტავა ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ქართველმა ხალხმა მერაბ კოსტავა ეროვნულ გმირად აღიარა. დაკრძალვაში მთელი საქართველო მონაწილეობდა. იგი ძალადობის წინააღმდეგ მრისხანე დემონსტრაციად გადაიქცა. მაშინ პირველად დადგა ისეთი დრო, როცა ხალხი წყვეტდა ყველაფერს, ხელისუფლება კი დუმდა.

მერაბ კოსტავა მთაწმინდაზე დაკრძალეს წმინდა ილია მართლის, დიმიტრი ყიფიანისა და სხვა დიდი მამულიშვილების გვერდით. დაკრძალვაზე მწერალმა გურამ პეტრიაშვილმა თქვა: ესენი ის ადამიანები არიან, სიკვდილის შემდეგაც რომ გვასწავლიან საქართველოს სიყვარულსო. ერთმა გამომსვლელმა კი მერაბ კოსტავას საქართველოს შიშველი სატევარი უწოდა.

ქართულმა ეკლესიამ მერაბ კოსტავა წმინდანად შერაცხა!

უსინათლო მამულიშვილები

1989 წლის 4 აპრილიდან თბილისში ხალხის მღელვარება დაიწყო. მთავრობის სახლთან სტუდენტები დასხდნენ და შიმშილობა გამოაცხადეს. ისინი მოითხოვდნენ საქართველოს თავისუფლებას. მათ ზღვა ხალხი შეუერთდა – ქალები და კაცები, ახალგაზრდები და მოხუცები, მოსწავლეები, სტუდენტები, მუშები. ეროვნული დროშებით მოდიოდა ხალხი ქართლიდან, კახეთიდან, აჭარიდან, საინგილოდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან. ისინი დღედაღამე მოშიმშილეებთან იყვნენ, ამხნევებდნენ, ანთებულ სანთლებზე დაჩოქილნი ლოცულობდნენ, მღეროდნენ, სიტყვებს ამბობდნენ. მოშიმშილეებთან იყვნენ უსინათლო ქალები – თინათინ ბირკაძე, ზაირა გელაშვილი, დონარა ცხადიაშვილი, ლელა ვეფხვაძე. ისინი სიმღერით ძალასა და რწმენას მატებდნენ ყველას.

9 აპრილს განთიადზე ხალხს ჯარის ნაწილებმა ალყა შემოარტყეს. ახალგაზრდა კინორეჟისორი რეზო გვარლიანი იმ წუთებს ასე იხსენებს: „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ხალხს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ სიტყვით მიმართა და სთხოვა დაშლილიყვნენ. ხალხმა არ დაუჯერა. მათ უკვე ფიცი ჰქონდათ დადებული, რომ არ დაიშლებოდნენ. ჩამოვარდა სიჩუმე. ყველას სანთელი ეჭირა და ლოცულობდა. ჰაერში ავი წინათგრძნობა ტრიალებდა. ეს იყო განწმენდილი ხალხი, რომელიც მზად იყო ერის საკეთილდღეოდ საკუთარი სიცოცხლე გაეღო მსხვერპლად... ის წამი იყო მართლაც უდიდებულესი. მარტო იმ წამისათვის ღირდა ქართველად დაბადება.“

ჯარისკაცები და ტანკები ხალხის გასარეკად დაიძრნენ. უცებ ჰაერი გააპო სიმღერამ „დაუკარით“. ლადო ასათიანის ლექსს მღეროდა ის ოთხი უსინათლო ქალი. სიმღერამ ხალხი გაამხნევა. მერე ახალგაზრდებმა „შავლეგოს“ სიმღერა, ზოგმა კი ტანკების წინ ქართული ცეკვა დაიწყეს. რეზინისა და რკინის ხელკეტებით, მესანგრეთა ალესილი ნიჩბებით შეიარაღებული რუსი ჯარისკაცები ხალხს დაერივნენ. უმწეო ქალებსა და ბავშვებს ჩეხვა და ცემა დაუწყეს. ალყაშემორტყმულ ხალხს გაქცევის საშუალებას არ აძლევდნენ, მთავრობის სასახლისაკენ მიერეკებოდნენ, სადაც მეავტომატეები იყვნენ ჩასაფრებულნი.

ისინი ხალხს ტყვიებით დაცხრილავდნენ და მერე იტყოდნენ – ბრბოს მთავრობის სასახლის ხელში ჩაგდება სურდა და ამიტომ დავხოცეთო. ხალხი მიუხვდა ამ ვერაგობას და ანკესზე არ წამოეგო. ქართველმა ჭაბუკებმა და მილიციამ რაც შეეძლოთ შეაკავეს ჯარი, სანამ შიმშილისგან ილაჯგაწყვეტილ სტუდენტებს, ბავშვებსა და ქალებს ალყიდან გაიყვანდნენ. ბევრმა ქაშუეთის ეკლესიას შეაფარა თავი. გამხეცებული სალდათები სასწრაფო დახმარების მანქანებსაც კი ამტვრევდნენ და არ უშვებდნენ ექიმებს დაჭრილების მისახმარებლად.

იმ ღამეს 21 ადამიანი დაიღუპა, ბევრი დაიჭრა. დახოცილთაგან ყველაზე ახალგაზრდა მეთერთმეტე კლასის მოსწავლე – 16 წლის გოგონა იყო, ყველაზე ხნიერი კი 70 წლის ქალი. დახოცილთაგან ერთ-ერთი ფეხმძიმე იყო. რუსმა სალდათებმა 3 ათასზე მეტი ადამიანი შხამიანი გაზებით მოწამლეს. ასეთი რამ მთელს დედამიწაზე კანონით აკრძალულია და უმძიმეს დანაშაულად ითვლება. მეორე დღიდან კი სამხედრო გაზეთები ურცხვად წერდნენ, რომ თითქოს ქართველი ჭაბუკებივე ხოცავდნენ თავიანთ დედებსა და დებს, რუსი სალდათები კი გმირულად ცდილობდნენ მათ გადარჩენასო. საბედნიეროდ, ის ღამე ახალგაზრდა და მამაცმა კინოოპერატორმა გოგა ხაინდრავამ, საქართველოს უშიშროების ერთმა მუშაკმა, რომლის სახელიც უცნობი დარჩა, აგრეთვე რუსმა ფოტო-ჟურნალისტმა იური როსტმა და სხვებმა ფირებზე აღბეჭდეს.

ამ კინოფილმებითა და ფოტოსურათებით მთელმა მსოფლიომ გაიგო, თუ როგორ მხეცურად მოექცა რუსთა ჯარი მშვიდობიან მოსახლეობას. ეს დოკუმენტური კადრები მსოფლიოს თვალში რუსეთის იმპერიის მძლავრ მამხილებელ იარაღად იქცა.

ხელისუფლება შეეცადა დანაშაულის მიჩქმალვას. ე. წ. საბჭოთა კავშირის თვითმარქვია პრეზიდენტი გორბაჩოვი და თავდაცვის მინისტრი აცხადებდნენ: ჩვენ არაფერი ვიცით, ეს სისხლისღვრა ჯარმა თვითნებურად მოაწყო. ჩვენ მხოლოდ მეორე დღეს გავიგეთ მომხდარი ამბავიო. საქმეს იძიებდნენ სამხედრო პროკურატურა და საპარლამენტო კომისია; ჟურნალისტმა ირაკლი გოცირიძემ კერძო გამოძიება დაიწყო. სამხედრო პროკურატურამ ყველაფერი ქართველ ხალხს დააბრალა. საპარლამენტო

კომისიამ და ჟურნალისტმა ირაკლი გოცირიძემ ამხილეს ხელისუფლების დანაშაული ამ საქმეში. მოსკოველმა მწერალმა ბორის ვასილიევმა კი თქვა: „საქართველო დაისაჯა მხოლოდ იმიტომ, რომ არ მოისურვა მუხლებზე დგომა.“

ეს იყო მშვიდობიანი მოსახლეობის მორიგი შეტევა რუსეთის განახლებულ იმპერიაზე. 9 აპრილმა დასაბამი მისცა ბოროტების იმპერიის დაშლას. ხალხმა 9 აპრილს სისხლიანი კვირა უწოდა. მათ საქართველოს თავისუფლებისათვის დახოცილები ისე დაიტირეს და დაკრძალეს, როგორც სამშობლოსათვის წამებულ გმირებს შეეფერებოდა. როცა დაღუპულებს სამგლოვიარო დროშებით მიასვენებდნენ, ქუჩებში ზღვა ხალხი მუხლებზე იჩოქებდა და გზაზე ყვავილებს ყრიდა.

რა ბედი ეწიათ იმ უსინათლო ქალებს? დახეთ საოცრებას – იმ საშინელ ღამეს თურმე სიკვდილს გადაურჩნენ. ერთი თვის შემდეგ ისინი მოძებნეს და რადიოთი გამოიყვანეს. ახლა მთელმა საქართველომ მოისმინა მათი სიმღერები – „დაუკარით“, „შავლეგო“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“. მათმა სიმღერამ დამწუხრებული საქართველო გაამხნევა.

– იმ ჯოჯოხეთურ ღამეს მრავალი თვალხილული დასახიჩრდა და დაიხოცა, თქვენ კი როგორ გადაურჩით ხიფათსო? – ჰკითხეს.

– იმ ღამეს ჩვენ თავისუფალი საქართველოს მზე დავინახეთ. ჩვენი შვილები აუცილებლად დამოუკიდებელ საქართველოში იცხოვრებენო. – ასეთი იყო უსინათლო მამულიშვილების პასუხი.

„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“

ეგვიპტეში, სინას მთაზე, ქართული მონასტერია. იქ ძველი ქართული ხელნაწერი წიგნებია. ამ წიგნებში აღმოჩნდა პატარა ნაწარმოები „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი.“ იგი დაახლოებით ათასი წლის წინ დაუწერია წმინდა ბერს იოანე-ზოსიმეს.

გავიხსენოთ: რა მდგომარეობაა იმ დროს ქვეყნად? აზიასა და ევროპაში არაბთა უზარმაზარი იმპერიაა გადაჭიმული. სამასი წელია მრავალი ქვეყანა გმინავს მათ მონობაში. საქართ-

ველო უკვე ცდილობს ამ მორევიდან თავის დაღწევას – ტაოკლარჯეთიდან იწყება მთელი საქართველოს გამოხსნისათვის ბრძოლა.

არაბები სასტიკად სდევნიან ყველაფერ ქართულს: ქართველ კაცს, ქართულ ენას, ქართულ კულტურას. ცდილობენ ქართველებს ქართველობა დაავიწყონ, არაბებად აქციონ. სახელმწიფო ენად არაბულია გამოცხადებული, მიწერ-მოწერა არაბულად ხდება, მდიდართა შვილებს სკოლაში არაბულად ასწავლიან. არაბები და მათთან სამსახურში შესულები დაფასებულნი არიან. ჭეშმარიტ ქართველებს კი სდევნიან და აბუჩად იგდებენ. ყველგან არაბთა შურტები ანუ ჯაშუშები დაძრწიან და ქართველ მამულიშვილებს აბეზღებენ. ხელისუფლება ასეთებს სიკვდილით სჯის. ამ დროს კი არაბეთის იმპერიის შუაგულში, სინას მონასტერში ქართველი ბერი წერს ქართული ენის ქებაზე, ქართველი ერის უკვდავებაზე.

ეს დიდი გამბედაობა იყო. ამაზე აშკარად, ღიად წერა არ შეიძლებოდა. ამისათვის არაბები კაცსაც და მის ნაწერსაც ცეცხლში ჩასწვავდნენ. ამიტომ იოანე-ზოსიმე იძულებული იყო ძალზე მოკლედ და ქარაგმულად, შეფარვით დაეწერა.

ამის გამო დღევანდელ მეცნიერებს უჭირთ ამ ნაწარმოების ახსნა, სხვადასხვანაირად ესმით მისი შინაარსი. ჩვენის აზრით ყველაზე სწორად ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ზვიად გამსახურდიამ ახსნა მისი შინაარსი. აი, რას გვეუბნება იოანე-ზოსიმე:

ქართულ ენაში და კულტურაში დიდი საიდუმლოა დამარხული. ქართული ენა ქურუმებისა და ღმერთების ენაა. ქრისტეს მთავარი მოციქულია ლაზარე. ქართული ენაც ასევე ლაზარეა სხვა ენებს შორის, ანუ თავდაპირველი, მთავარი ენაა კაცობრიობისა. ამ ენაზე ლაპარაკობდნენ და ქმნიდნენ დიდ ცივილიზაციებს აზიასა და ევროპაში – ინდოეთიდან პირინეებამდე მოსახლე ძველი იბერიელები. მერე უთვალავმა მომთაბარე ტომებმა დაიპყრეს ისინი, მოსპეს მათი ცივილიზაციები. ამის გამო ოთხი ათასი წელია ქართული მოდგმა და ენა დამდაბლებული, დაწუნებული და დევნილია (თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაწარმოები ათასი წლის წინ დაიწერა, მაშინ ეს დევნა ხუთი

ათასი წელია გრძელდება). ქართველი ერი ქრისტესათვის, რწმენისათვის, სიმართლისათვის არნახული წამების გზას გაივლის, მაგრამ გაუძლებს ყველა ქარტეხილს და ლაზარესავით მკვდრეთით აღდგება.

კაცობრიობამ ბევრი ცოდვა ჩაიდინა. ქრისტე მეორედ მოვა დედამიწაზე და განიკითხავს მათ ამ ცოდვებისათვის. განიკითხავს ქართული ენით, ქართველების მეშვეობით. ქართველი ერი მაშინ ამაღლდება, იქნება მამხილებელი, მსაჯული ცოდვილი კაცობრიობისა, ანუ ისევ გახდება სულიერი მოძღვარი კაცობრიობისაო.

ასე სწამდა იმ მძიმე დროს ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ერის, ჩვენი ენის უკვდავება იოანე-ზოსიმეს. ასე უნდა გვწამდეს ჩვენც!

დაკარგული შვილები

ძველად მუსულმანურ ქვეყნებში ძალზე გავრცელებული იყო ადამიანებით ვაჭრობა. ტყვეთა ბაზრებზე ნაყიდ ჭაბუკებს მეომრებად ზრდიდნენ, ქალწულები კი ჰარამხანებში მიჰყავდათ. ყველაზე ძვირად ფასობდა კავკასიელი, განსაკუთრებით ქართველი ტყვეები, რომლებიც გამოირჩეოდნენ სილამაზითა და სიმამაცით. უამრავი ქართველი ტყვე იყიდებოდა ირანის, თურქეთის, ეგვიპტის, ერაყის ბაზრებზე. სულხან-საბა ორბელიანმა ევროპაში მოგზაურობის დროს ქართველი ტყვეები შორეული მალტის კუნძულის ბაზარზეც კი ნახა. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში მარტო სტამბოლში წელიწადში სამი ათასი ქართველი ტყვე იყიდებოდა. საქართველოს ისტორიაში იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ქართველი კაცი იძულებით გადაიხვეწებოდა სამშობლოდან და უცხო ქვეყნის სამსახურში შევიდოდა. შაჰ-აბასის დროს ირანის არმიაში ოცდაათი ათასზე მეტი ქართველი მეომარი იყო. ისინი ძირითადად შაჰის პირად დაცვაში და სამეფო გვარდიაში მსახურობდნენ. ასე იყო თურქეთშიც. მათგან უმეტესობა ტყვეებად წაყვანილი და გათათრებული, ზოგი კი გადახვეწილი მეომარი იყო. ბევრ მათგანს დიდი სამხედრო და სახელმწიფო თანამდებობა ეკავა.

არაერთი ქართველი დარჩა თავისი დიდი საქმეებით რუსეთის, საფრანგეთის, ამერიკისა და სხვა ქვეყნების ისტორიაში.

ძალითა თუ ნებით სამშობლოს მოწყვეტილ და უცხო ქვეყნის სამსახურში მყოფ კაცს არაბულად მამლუქი ერქვა.

1250 წელს ეგვიპტეში თურქმანმა, ყივჩაყმა და ქართველმა მამლუქებმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს. ქართველი მამლუქები შვიდას წელიწადს იყვნენ ეგვიპტის მმართველებად. როგორც წესი, მამლუქთა დიდკაცებად მხოლოდ ქართველებს ნიშნავდნენ. ას წელიწადს მართავდნენ ქართველი მამლუქები ერაყს.

მამლუქთა ცხენოსანი ჯარი მრისხანე ძალას წარმოადგენდა. მეცამეტე საუკუნეში მონღოლებმა ნახევარი დედამიწა ისე

დაიპყრეს, თითქმის არსად დამარცხებულან. ეგვიპტის აღება კი ვერ შეძლეს. მამლუქებმა ბევრჯერ მწარე მარცხი აგემეს. მონღოლებმა დასავლეთ საქართველოს აღებაც ვერ შეძლეს. მონღოლებს ეგვიპტეში სალაშქროდ ყოველთვის მიჰყავდათ საქართველოს მხედრობაც. ამის გამო სხვადასხვა ბანაკში მყოფ ქართველებს ხშირად უხდებოდათ ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლა.

1801 წელს თურქეთის ხონთქარი ინგლისის მეფეს სწერდა: „ძილი გამიფრთხეს ეგვიპტის მამლუქებმა... და მერე ვინ არიან ისინი? ყველანი კავკასიიდან და საქართველოდან ჩამოყვანილი ყოფილი ტყვეებია.“

ისტორიის გრძელ და ხიფათიან გზაზე საქართველომ ბევრი ნიჭიერი შვილი დაკარგა. საქართველოს დაკარგულმა შვილებმა დიდი კვალი დაამჩნიეს უცხო ქვეყნების ცხოვრებას. ისინი სამშობლოს ნაცვლად უცხო ხალხის ბედის მჭედლები იყვნენ.

ამბავი ეგვიპტელი მამლუქებისა

თუმან-ბეგი

ოსმალეთის სულთნის სელიმ პირველის მამა ეგვიპტეში გადაიხვეწა. ეგვიპტის სულთანმა ლტოლვილ მოხუცს თავშესაფარი მისცა. ოსმალეთს დიდი ხანია ეგვიპტის დაპყრობა სურდა. ეს უბრალო მიზეზი კი საკმაო აღმოჩნდა ომის დასაწყებად. 1515 წელს სელიმ პირველი დიდი ჯარით ეგვიპტეში შეიჭრა. ოთხმოც წელს მიღწეული ეგვიპტის სულთანი ბრძოლაში დაიღუპა.

მამლუქებმა სულთნად თუმან-ბეგი აირჩიეს. ეგვიპტის სატახტო ქალაქ ქაიროსთან დიდი ბრძოლა გაიმართა. წინა დღეებში მამლუქთა ბანაკიდან გაიპარა ერთი ბეგი, რომელსაც ღაზალი ერქვა. ეს მოღალატე ოსმალებთან მივიდა და მამლუქთა მთელი სამხედრო საიდუმლოება გაუმხილა. ამან მტერს საქმე გაუადვილა.

მამლუქთა ბელადებმა თუმან-ბეგმა, კურტ-ბეგმა და ალან-ბეგმა გადაწყვიტეს ბრძოლაში სელიმ პირველი მოეკლათ და ამით მტრის დამარცხება დაეჩქარებინათ. ფიცხელი ბრძოლის

დროს მამლუქთა რჩეული ცხენოსანი რაზმით ისინი მტრის შუაგულში შეიჭრნენ, სადაც სამეფო დროშები ფრიალებდა. მაგრამ მამლუქებს შეცდომა მოუვიდათ: თურმე ეს დიდვეზირის ბანაკი ყოფილა, სელიმი კი ამ დროს სხვაგან იყო. მამლუქთა ბელადებმა თურქთა დიდვეზირი და ორი სხვა სარდალი აჩეხეს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ოსმალთა არტილერიამ და ღაზალის გამცემლობამ თავისი ქნა: მამლუქები დამარცხდნენ. ბრძოლის ველზე 25 ათასი მამლუქი დაეცა. ქაირო ოსმალებმა აიღეს.

ერთ დამეს თუმან-ბეგი ქალაქში ჩუმად შევიდა და ოსმალთა მეციხოვნე ჯარი ამოწყვიტა. რამდენიმე დღის გააფთრებული შეტევების შემდეგ ოსმალებმა ქალაქი ისევ ხელთ იგდეს. ქუჩებში სისხლისმღვრელი ბრძოლები არ წყდებოდა. მაშინ სელიმმა გამოაცხადა: თავისუფლებას ვაჩუქებ ყველა მამლუქს, ვინც ბრძოლას შეწყვეტსო. რვაასმა მამლუქმა დაიჯერა სელიმის ფიცი და ტყვედ ჩაბარდა. სელიმმა კი მეფური სიტყვა გატეხა და მეორე დღეს მათ თავები დააყრევინა. მერე ქალაქის 50 ათასი უმწეო მოსახლე ამოჟლიტა.

ქალაქის დამცველთა შორის იყო მამაცი კურტ-ბეგიც. სელიმის დაპირებას ისიც ენდო და სასახლეში გამოცხადდა. ტახტზე მჯდომი სელიმი ქედმაღლურად შეხვდა და მკვახედ ჰკითხა:

– სადღაა ახლა შენი სიმამაცე?

– ჩემი სიმამაცე თან მახლავს. – მიუგო ამაყად კურტ-ბეგმა.

– იცი შენ, თუ რა ზიანი მიაყენე ჩემს არმიას?

– ძალიან კარგად ვიცი.

– ქების ღირსია თქვენი სიმამაცე. მაგრამ როგორ მოხდა, რომ დაგამარცხეთ, გაგაძევეთ თქვენი სატახტო ქალაქიდან და ახლა ჩემი ტყვე ხარ?

– თქვენ არ დაგიმარცხებივართ. ყველაფერს ბედი და განგება წარმართავს. ყველაფერს, რასაც დასაწყისი აქვს, დასასრულიც მოეპოვება. უსასრულო არც თქვენი დიდება იქნება. სადღა არიან დღეს ხალიფები – ისლამის ეს მამაცი მოამაგენი? რა დაემართათ უძლიერეს სამეფოებს, რომელთაც ქვეყანაზე ბადალი არ ჰყავდათ? თქვენი დაღუპვის დროც მოვა და თქვენი მეუფებაც გაცამტვერდება.

– მე მინდოდა სიცოცხლე მეჩუქებინა და ჩემს ბეგებში ჩამე-

რიცხე. შენ კი უკადრისი სიტყვები მკადრე. დაგავიწყდა, რომ მე, როგორც დიდ სულთანს, მოწიწებით უნდა მომექცე?

– შენ მეფური სიტყვა გატეხე და რვაასი კეთილშობილი მამლუქი სიცოცხლეს გამოასალმე. ღმერთმა დამიფაროს ამისთანა სულთნის მსახურად გახდომისაგან.

გაცეცხლებულმა სულთანმა ჯალათებს უხმო – თავი მოჰკვეთეთო ამ მამლუქს.

– არ დაგავიწყდეს, სელიმ სულთანის თავზეც ბევრი გაბედული მამლუქი ნადირობს! – მიაძახა სიკვდილის წინ კურტ-ბეგმა.

ოსმალთა და მამლუქთა ჯარები ბევრჯერ შეეტაკნენ ერთმანეთს. ხან ერთი იმარჯვებდა, ხან მეორე. ერთხელ გიზეს პირამიდებთან შეხვდნენ. წინასწარ რაინდული ორთაბრძოლები გაიმართა. თითქმის ათამდე მამლუქი ჩამოაგდეს ცხენებიდან ოსმალებმა. უცებ თურქთა ლაშქრიდან ერთი არაბულად ჩაცმული მხედარი გამოიჭრა და ეგვიპტის სულთანი თუმან-ბეგი გამოიწვია ბრძოლაში. თუმან-ბეგმა გამოწვევა მიიღო. მხედრებმა ნავარდი დაუარეს და ერთმანეთისკენ გაქანდნენ. თუმან-ბეგმა პირველ შეტევაზევე ცხენიდან ჩამოაგდო , გულზე შუბი დააბჯინა და ის იყო უნდა მოეკლა, რომ წაქცეული შეევედრა:

– თუმან-ბეგო, გაფიცებ ვაჟკაცობას, სიცოცხლე მაჩუქეო.

გაოცდა თუმან-ბეგი, როცა დამარცხებულში მოღალატე ღაზალი-ბეგი შეიცნო.

– სამშობლოს მოღალატისათვის დიდი პატივი იქნება, რომ თუმან-ბეგის ხელიდან სიკვდილს ეღირსოს. – მიუგო სულთანმა თუმან-ბეგმა და წაქცეულს ზურგი აქცია. ღაზალი-ბეგმა თურქებისკენ მოკურცხლა.

თურქთა უზარმაზარ ლაშქარს მამლუქები ვეღარ გაუმკლავდნენ. დამარცხებული თუმან-ბეგი მდევარს გადაურჩა. მან რამდენიმე ერთგულ ბეგთან ერთად ერთ არაბს – ჰასანმერს შეაფარა თავი. ოდესღაც თუმან-ბეგმა ჰასანმერი და მისი ძმები სიკვდილს გადაარჩინა. მაგრამ მასპინძელმა ძველი სიკეთე დაივიწყა და სტუმარი ოსმალებთან დააბეზღა. როცა დატყვევებული თუმან-ბეგი სელიმს მიჰგვარეს, გახარებულმა შესძახა: „დიდება ალაჰს! ახლა კი ეგვიპტე დაპყრობილია!“

შენ არ დაგიპყრია ჩვენი სამეფო. იგი ამისთანა მოღალატე

მამლუქებმა დააქციეს. – მიუგო თუმან-ბეგმა და ღაზალიზე მიუთითა, რომელიც სელიმის ამალაში იდგა.

სულთან სელიმს ძალიან მოეწონა თუმან-ბეგის კეთილშობილური გარეგნობა და რაინდული იერი. – სულმოკლეობა იქნება, რომ მოვკლა ესოდენ მამაცი და გულწრფელი კაცი. შესაფერისი პატივით მოეპყარით, ვიდრე ქვეყანა დაწყნარდებაო. – ბრძანა სელიმმა.

მოღალატე ღაზალი-ბეგმა იმდენი მოახერხა, რომ სულთანი სელიმი დაიყოლია თუმან-ბეგის მოკვლაზე. სელიმმა ამჯერადაც გატეხა სიტყვა და 1517 წლის 13 აპრილს თუმან-ბეგი ჩამოახრჩო. ასე გადაუხადეს ეგვიპტის უკანასკნელ სულთანს სიკეთისა და რაინდული კეთილშობილების სამაგიერო მოღალატე ქვეშევრდომებმა.

ალი-ბეგის აჯანყება

დამპყრობლებმა ეგვიპტე პირწმინდად გაძარცვეს. სელიმმა ქვეყანას უზარმაზარი ხარკი დაადო: ყოველწლიურად ეგვიპტეს ორნახევარი მილიონი პიასტრი ფულად და ორი მილიონი ფუთი ხორბალი უნდა გადაეხადა. ეგვიპტეში ჩაყენებული ოციათასი ქვეითი და თორმეტი ათასი ცხენოსანი ოსმალო ჯარისკაციც ხალხს უნდა ერჩინა.

გავიდა დრო. წამოიზარდნენ მამლუქთა ახალი თაობები. ეგვიპტე კვლავ გაძლიერდა და მეთვრამეტე საუკუნისათვის ოსმალეთს თანდათან ხარკი შეუწყვიტა. მამლუქთა უზენაესმა ბელადმა ალი-ბეგმა ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო. ვინ იყო ალი-ბეგი? ისიც სხვებივით საქართველოდან ბავშვობაში გატაცებული და გაყიდული მამლუქი იყო. პატარა იოსებმა საუკეთესო აღზრდა მიიღო და მამაცი მამლუქი დადგა. განსაკუთრებული სიმამაცისა და ნიჭის წყალობით მალე დაწინაურდა და მთელი ეგვიპტის მმართველი გახდა.

ალი-ბეგმა რამდენჯერმე დაამარცხა ოსმალთა ჯარი, თანდათან განდევნა ისინი და ეგვიპტე კვლავ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. მან წარმატებით ილაშქრა სირიასა და

პალესტინაში. მამლუქებმა ექვს თვეში მთელი არაბეთის ნახევარკუნძული დაიკავეს.

ალი-ბეგმა მოსპო ძალმომრეობა და უსამართლობა, ავაზაკობა, შეამცირა გადასახადები, ხელი შეუწყო საშინაო და საგარეო ვაჭრობას, მოსჭრა საკუთარი ფული, მოახდინა სამხედრო რეფორმა.

ოსმალეთმა ომით რომ ვერაფერი დააკლო, ისევ ეშმაკობას მიმართა: ალი-ბეგის მკვლელების ძებნა დაიწყო. როცა ალი-ბეგი ეგვიპტის ტახტზე ავიდა, იმ წლებში საქართველოდან სტუმრად ეწვივნენ მამამისი დავითი, გასათხოვარი და, აგრეთვე ძმისშვილი როსვანი. პატარა როსვანი და ალი-ბეგის და ეგვიპტეში დარჩნენ, დავითი კი ისევ საქართველოში დაბრუნდა. როსვანი შემდგომში კარგი მამლუქი დადგა. ალი-ბეგს ერთი შვილობილი ჰყავდა – მუჰამედ-ბეგი. თავის და ამ მამლუქს მიათხოვა. ალი-ბეგი თავის შვილობილსა და სიძეს დიდად ენდობოდა და ეგვიპტის ჯარების მთავარსარდლად დანიშნა. ოსმალეთმა სწორედ ეს მუჰამედ-ბეგი მოისყიდა და ალი-ბეგის მოკვლაზე დაითანხმა. ახლობლებმა ბევრჯერ ურჩიეს ალი-ბეგს, შენივე სიძე შეთქმულებას გიწყობს და ნუ ენდობიო. არ დაიჯერა. ბოლოს მამლუქი ბეგების ნაწილმაც უღალატა ალი-ბეგს და მუჰამედის მხარეზე გადავიდა.

ალი-ბეგს შვიდიათასი მამლუქიღა დარჩა. ოცდათოთხმეტი ათასი მეომრით თავს დაესხა მას მუჰამედ-ბეგი. ალი-ბეგის მამლუქები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ. უმეტესობა ბრძოლის ველზე დაეცა. ალი-ბეგი ბრძოლაში არ მონაწილეობდა. ციებ-ცხელებით შეპყრობილი კარავში იწვა. გადარჩენილმა სამასამდე მამლუქმა ალი-ბეგის კარავს მიაღწია და ურჩიეს, რომ ცხენზე შემჯდარიყო და იქაურობას გასცლოდა. მამაცმა ალი-ბეგმა გაქცევა არ იკადრა. მან ამაყად გავლილი ცხოვრების გზა ამაყადვე დაასრულა: თანამებრძოლებს უბრძანა, რომ წასულიყვნენ და მარტო დაეტოვებინათ. გამოთხოვებისას ყველანი ხელზე ეამბორნენ, მერე ცხენებზე შესხდნენ და უდაბნოში გაუჩინარდნენ. ალი-ბეგი კარავში დარჩა ათ ყმაწვილ მსახურთან ერთად. ისინი თავიანთ ბატონთან ერთად უნდა დახოცილიყვნენ. – ასეთი იყო მამლუქთა მკაცრი კანონი. ბავშვებმა აღასრულეს მხედრული ვალი – კარავში მტერი არ

შემოუშვეს, ვიდრე ერთიანად არ გაწყდნენ. დასუსტებული, ავადმყოფი ალი-ბეგი ხმლით ხელში შეეგება თავისი შვილობილისა და სიძის წარმოგზავნილ მკვლელებს. სამი მამლუქი ერთად მისცვივდა შესაპყრობად. ალი-ბეგმა სამივენი ხმლით გასხიპა. დანარჩენებმა ახლოს მისვლა ვეღარ გაბედეს და შორიდან სროლა აუტეხეს. ალი-ბეგი მარჯვენა ხელსა და ფეხში დაიჭრა. მარცხენა ხელით დამბაჩა იძრო და თავდამსხმელთა მეთაურის დაჭრა მოასწრო. მერე კი ვიღაცის მოქნეულმა ხმალმა დამბაჩიანი ხელი მოჰკვეთა. გონწასული მიწაზე დაეცა. ალი-ბეგი ქაიროში, თავისივე სასახლეში მიიყვანეს. ერთი კვირის შემდეგ, 1773 წლის 2 მაისს გარდაიცვალა.

ალი-ბეგმა მთელი სიცოცხლე ეგვიპტის განთავისუფლებისათვის ბრძოლას მოანდომა. მან პირველმა ჩამოაშორა ეგვიპტე ოსმალეთის იმპერიას. არაბი ხალხი დღესაც პატივისცემით იგონებს ოსმალეთის მძიმე უღლის წინააღმდეგ მამაც მებრძოლს.

აბრამ (გაბო) შინჯიკაშვილი

უფერული გამოდგა მუჰამედ-ბეგის მმართველობა. იგი ოსმალეთის ყურმოჭრილი მსახური იყო. მაშინვე გაუგზავნა ხარკი, რომელიც ეგვიპტეში უკვე ექვსი წელია არ აკრებილიყო. ოთხი წლის შემდეგ ვერაგი მუჰამედ-ბეგი უეცრად გარდაიცვალა. ბეგებს შორის ატყდა შინაომი. ბოლოს ძალაუფლება იბრეიმ-ბეგისა და მურად-ბეგის ხელში აღმოჩნდა. ორივენი ბავშვობაში საქართველოდან გატაცებული და ეგვიპტეში გაყიდული ქართველები იყვნენ. იბრეიმ-ბეგი ანუ აბრამ შინჯიკაშვილი მარტყოფელი იყო, მურად-ბეგი კი თბილისელი. მათ აჯანყება მოაწყეს ოსმალეთის წინააღმდეგ. ეს იყო ეგვიპტის მეორე დიდი აჯანყება. ოსმალეთმა დიდი ზიანი მიაყენა არაბულ ენას და ლიტერატურას, შეფერხდა მეცნიერების განვითარება, ქვეყანა გაღატაკდა, გაჩნდა მექრთამეობა და მძარცველობა. ამიტომაც ეგვიპტელმა ხალხმა მხარი დაუჭირა ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყებულ მამლუქებს.

ეგვიპტის უზენაესი მმართველი გახდა იბრეიმ-ბეგი. მან დიდი რეფორმები გაატარა და ქვეყანა კვლავ ფეხზე დააყენა. ევ-

როპელი ისტორიკოსები ერთხმად აღიარებენ იბრეიმ-ბეგის დიდ გონიერებასა და უნარს.

იმ დროს ოსმალეთის სულთანსაც ქვეყნის უმაღლეს მმართველებად ქართველები ჰყავდა. ესენი იყვნენ დიდვეზირი იუსუფ-ფაშა, რომელიც ოსმალეთის ისტორიაში იოსებ დიდის სახელით არის ცნობილი, საზღვაო ჯარების სარდალი კაპუდან-ფაშა ღაზი ჰასანი და სხვები. ისინიც ბავშვობაში საქართველოდან გატაცებული და გაყიდული ტყვეები იყვნენ. სულთანმა სწორედ მათ დაავალა ეგვიპტის აჯანყების ჩახშობა. ბედის უკუღმართობის გამო სამშობლოდან მოწყვეტილი ქართველები ერთმანეთის სისხლს ღვრიან უცხოეთში: ერთნი იბრძვიან ეგვიპტის განთავისუფლებისათვის, მეორენი ეგვიპტეში ოსმალეთის გაბატონებისათვის. ამ დროს კი საქართველო თვითონ არის მტრის სანავარდოდ ქცეული.

კაპუდან-ფაშა ჰასანმა ქაირო დაიპყრო. ოსმალებმა ქვეყნის ძარცვა დაიწყეს – ერთმანეთს ასწრებდნენ მამლუქთა ქონებისა და ცოლ-შვილის დატაცებას. ყველას კაპუდან-ფაშამ გადააჭარბა. მან ჩალის ფასად დაყიდა მონებად მამლუქი ტყვეები, მათი ცოლ-შვილი, სახლ-კარი, მხევლები, ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა. ამასთან მათი ყიდვის უფლება მხოლოდ ოსმალებს მისცა, ეგვიპტელებს კი რაიმეს ყიდვა ეკრძალებოდათ. ღაზი ჰასანს უნდოდა, რომ ამ გზით ეგვიპტეში ქართველის სახსენებელი მოესპო. მან ტყვედ ჩაიგდო მურად-ბეგის ცოლ-შვილიც. ისინი საჯარო ვაჭრობით ოსმალებს მიჰყიდა. იმ კაცს კი, ვინც ამ საბრალოებს თავის ოჯახში მალავდა, თავი მოჰკვეთა.

მამლუქებმა აშუტის მთებთან სასტიკად დაამარცხეს ოსმალები და ქვეყნიდან განდევნეს. ახლა საფრანგეთმა და ინგლისმა მოინდომეს ეგვიპტის დაპყრობა. ფრანგების 40-ათასიანი არმია შეიჭრა ეგვიპტეში. საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონი გაოცებული და აღტაცებული დარჩა მამლუქთა მხედრობის თავგანწირვით. აი, რას წერდა იგი დღიურში: „მამლუქებს საუცხოო ცხენოსანი მეომრები ჰყავდათ. ძვირფასი კარაბინებითა და ლონდონური დამბაჩებით შეიარაღებული მათი მხედრობა სულ ოქრო-ვერცხლში იჯდა. სახელგანთქმულ აღმოსავლურ ხმლებს მამლუქთა მწკრივებში ლაპლაპი გაუდიოდა. მათს ბე-

დაურებს თვალს ვერ მოწყვეტდი, ალბათ მთელს აფრიკაში ამაზე უკეთესი ცხენები არცაა... მამლუქები მთელს აღმოსავლეთში აღტაცებისა და შიშის მომგვრელები იყვნენ. მათი მილიცია ჩვენს მოსვლამდე უძლეველ ძალად იყო აღიარებული. ამ ერთი მუჭა რჩეული ხალხით, თუ მას ადგილობრივი რეკრუტები დაემატებიან და სურსათ-სანოვაგეც სამყოფი ექნებათ, მე არ ვიცი, რა გადამირჩებოდა დაუმარცხებელი და დაუმორჩილებელი."

მამლუქთა ხმლები ნაპოლეონის ზარბაზნებთან ვერაფერს გახდა. მრავალი მამლუქი დაეცა ბრძოლაში. ფრანგებმა ქაირო აიღეს.

ახლა ოსმალებმა ეგვიპტეს დაუჭირეს მხარი. მურად-ბეგმა დეზაისთან ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ფრანგებზე, ხოლო იბრეიმ-ბეგმა სირიაში ოსმალეთის დიდვეზირ იუსუფ-ზიასთან ერთად (ისიც ქართველი იყო) სასტიკად დაამარცხა ნაპოლეონის საექსპედიციო კორპუსი. ამასობაში ფრანგების წინააღმდეგ შეიკრა ინგლის-რუსეთ-თურქეთის კავშირი. ინგლისის ფლოტმა მარცხი აგემა ფრანგების ფლოტს. ფრანგებმა ეგვიპტე დატოვეს.

როგორც კი ფრანგებმა ეგვიპტეს თავი დაანებეს, ოსმალეთმა ისევ ვერაგობა ჩაიდინა. იბრეიმ-ბეგი და ოსმალო დიდვეზირი იუსუფ-ზია ერთად ებრძოდნენ ფრანგებს, ახლა კი დიდვეზირმა მამლუქების ჟლეტა დაიწყო. ოსმალეთმა ეგვიპტის გუბერნატორად ხოსრევ მეჰმედ-ფაშა ანუ ქართველი ხოსროშვილი დანიშნა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ოსმალეთი ქართველებს ისევ ქართველების ხელით ებრძვის. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ საქართველოდან ტყვეების გაყიდვა აიკრძალა. ამის გამო მამლუქები ვეღარ ახერხებდნენ თავიანთი რაზმების შევსებას. მათი რიგები კი ფრანგებთან და ოსმალებთან ბრძოლებში სულ უფრო ილეოდა. აღნიშნული მიზეზების გამო ღრმად მოხუცი აბრამ შინჯიკაშვილი მტერს ვეღარ გაუმკლავდა და იძულებული გახდა თავისი შემცირებული თანამოაზრეებით სუდანში გადახვეწილიყო.

მძიმე დროს მოუხდა იბრეიმ-ბეგს მოღვაწეობა. კოლონიური ციებ-ცხელებით შეპყრობილი ოთხი დიდი სახელმწიფოს – საფრანგეთის, ინგლისის, ოსმალეთისა და რუსეთის გზები მაინცდა-

მაინც მის დროს და აქ, ეგვიპტის მიწაზე შეიყარა. ომებმა და თარეშმა დასცა ეგვიპტის მეურნეობა. იბრეიმ-ბეგს არც ერთი წუთით არ შეუწყვეტია ოკუპანტებთან ბრძოლა, რის გამოც ხელი ეშლებოდა ქვეყნის აღორძინებაზე ზრუნვაში. ამასთან მას მოუხდა საფრანგეთის, ინგლისის, ოსმალეთისა და რუსეთის რთულ დიპლომატიურ ხლართებთან გამკლავება. ეს იყო ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ყველაზე მძიმე პერიოდი.

ამ რთული ვითარების მიუხედავად, იბრეიმ-ბეგს არ გაუწყვეტია კავშირი თავის სამშობლოსთან. მას მუდმივი მიმოწერა ჰქონდა მეფე ერეკლესთან და მეფე გიორგი მეთორმეტესთან, უგზავნიდნენ ერთმანეთს დესპანებს. ქართველები განუწყვეტლივ მიმოდიოდნენ ეგვიპტეში. ერთხელ იბრეიმ-ბეგმა დიდძალი ფული გამოუგზავნა მარტყოფელებს – ჩემი სულის მოსახსენებლად ეკლესია ააშენეთო. ეს ეკლესია ახლაც დგას მარტყოფის შუაგულში. ეკლესიაში, ჩრდილოეთის სვეტებს შორის, დაკრძალულია აბრამ შინჯიკაშვილის ძმა, მე-18 საუკუნის 80-90-იანი წლების გმირი, ლეკი მარბიელების რისხვა გიორგი შინჯიკაშვილი.

არაბული ისტორია ასე აფასებს იბრეიმ-ბეგს: „დიდი ემირი, ცნობილი იბრაჰიმ-ბეი ალ-მუჰამადი, ყველაზე წარჩინებული ათასობით ეგვიპტელ ემირთა შორის... აღზევდა შეიხ-ელ-ბალადად და ქვეყნის მმართველად, რათა მურად-ბეისა და დანარჩენი ემირების დახმარებით ქვეყანას გასძღოლოდა.... ბლომად ყიდულობდა მამლუქებს, წვრთნიდა მათ და თავისუფლებას ანიჭებდა, ხდიდა ემირებად, წყალობდა მათ სრა-სასახლეებითა და ადგილ-მამულებით... მოესწრო შვილიშვილებს და შვილთაშვილებს. მისი შთამომავლობა განუწყვეტლივ იზრდებოდა. დაახლოებით ორმოცდარვა წელიწადი ემირად დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში კეთილდღეობა არ მოშლია. სიცოცხლის მიწურულში, როგორც მშობლიური ადგილებიდან გაძევებული, უსასტიკესად იტანჯებოდა. მისთვის დამახასიათებელი იყო მამაცობა და გმირობა. ბევრი ომი ჩაუტარებია, იყო მშვიდი, მომთმენი, კეთილი, მეგობრული... უყვარდა სამართლიანობა. გართობა მისთვის იშვიათი შემთხვევა იყო და როცა თავშექცევას მიეცემოდა, თავაზიანობის ფარგლებს არ გადადიოდა. ფუჭად სისხლის დაღვრას ერიდებოდა. ცდილობდა არ შეენიშნა თანამებრძოლ-

თა ცუდი საქციელი და თანამდებობის ბოროტად გამოყენება. ამიტომ ისინი, განსაკუთრებით მურად-ბეი და მისი ხელქვეითნი, მრავალ საქმეში ხელს უშლიდნენ. იგი ამაზე თვალს ხუჭავდა, გვერდს უვლიდა, ყურადღებას არ აქცევდა... ზრუნავდა მხოლოდ იმისათვის, რომ ემირთა შორის მარად ერთსულოვნება ყოფილიყო და არეულობას სათავე არ მისცემოდა“... მტრების სიჭარბემ „იბრაჰიმ-ბეი აიძულა წასულიყო უცხოეთში და იქ ეხეტიალა თავის თანამებრძოლებთან ერთად. გაიქცნენ სუდანს, სადაც არსებობენ იმით, რომ თამბაქო მოჰყავთ. იმათი ტანისამოსია პერანგები – ისეთი, როგორც ვაჭრებს აცვიათ. ასე ცხოვრობდა იბრაჰიმ-ბეი, ვიდრე 1816 წლის იანვარში არ იქნა მიღებული ცნობა მისი სიკვდილის შესახებ“. ასე დაასრულა სიცოცხლე მე-18 საუკუნის ეგვიპტის გამოჩენილმა მხედართმთავარმა და პოლიტიკურმა წინამძღოლმა. აბრამ შინჯიკაშვილით დამთავრდა სია იმ ქართველი მამლუქებისა, რომლებიც ეგვიპტის გამოჩენილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ და შვიდასი წლის მანძილზე მისი დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულად იბრძოდნენ. აბრამ შინჯიკაშვილი ეგვიპტის ისტორიაში შევიდა „დიდის“ ტიტულით.

ცაში გაფრენილი მამლუქი

უცხოეთში გაზრდილმა მამლუქებმა ზნე ვერ მოიშალეს – ზომაზე მეტად მიმნდობი და რაინდული ბუნებისანი იყვნენ. ცნობილია მაგალითად, რომ მათ სძულდათ ზარბაზნები და ხშირად ამბობდნენ: შორიდან ზარბაზნებით ხალხის ხოცვა ლაჩრობაა, ღმერთს ვაუკაცებისათვის ხმალდახმალ ბრძოლა დაუწესებიაო. ალბათ, მათი ასეთი ბუნების ბრალი იყო, რომ ეგვიპტის გუბერნატორ მეჰმედ-ალის მუხანათობის მსხვერპლნი გახდნენ. მეჰმედ-ალიმ მამლუქი ბეგები საზეიმო აღლუმზე მიიწვია. საზეიმოდ მორთული მამლუქებიც 1811 წლის 1 მარტს რიჟრაჟზე გულდანდობილად მივიდნენ მუკატამის ციხესიმაგრეში. მაკედონელმა მეჰმედ-ალიმ მდიდრულ დარბაზში დათაფლული მასპინძლობა გაუმართა, ხუმრობა-სიცილში ყავით გაუმასპინძლ-

და ყველას, მერე აღლუმის დაწყება ბრძანა. ჯარმა ციხიდან ქალაქში გასვლა დაიწყო. წინ ოსმალთა მხედრობა მიდიოდა, მერე მამლუქები, ბოლოს კი მეჰმედ-ალის ერთგული მეომრები. ციხის ჭიშკრამდე ვიწრო თავდაღმართი იყო. კლდეებს შორის დაკლაკნილ ბილიკზე თითო ცხენოსანი ძლივს ეტეოდა. დაწალიკებული მხედრობა ნელა მიიწევდა წინ. ოსმალთა მხედრობა ჭიშკარს გასცდა და ციხის გარეთ გავიდა. მამლუქები ჯერ კიდევ თავდაღმართში იყვნენ... და უცებ მეციხოვნეებმა ჭიშკარი ჩაკეტეს. ბილიკის ორივე ნაპირზე კლდეებს უკან მეჰმედ-ალის თავისი მეთოფეები ჩაესაფრებინა. მათ ალყაში მოქცეულ მამლუქებს ყოველი მხრიდან ტყვია დაუშინეს.

ხაფანგში მოყოლილმა მამლუქებმა გადაწყვიტეს აღმართი ისევ უკან აევლოთ და ვერაგი მასპინძლის სასახლის აღება ეცადათ. მხოლოდ ასე შეიძლებოდა მტრის მოგერიება. მაგრამ სანამ იქამდე მიაღწევდნენ, ოსმალებმა ერთიანად ამოწყვიტეს. მერე ყველას თავები დასჭრეს და ჭიშკართან დაზვინეს – სწორედ იმ ადგილას, სადაც სამასიოდე წლის წინ მამაცი თუმანბეგი ჩამოახრჩეს. ოსმალებმა 470 მამლუქი ბეგის მოკვეთილი თავი დაითვალეს. მათ შორის აბრამ შინჯიკაშვილის ვაჟის თავიც ერია.

მხოლოდ ერთადერთი მამლუქი გადარჩა სიკვდილს, ისიც გასაოცარი სასწაულით. ეს იყო რიგითი მამლუქი ჰასანი, წარმოშობით ქართველი. ჭაბუკმა ცხენი პირდაპირ ციხის გალავანზე გადაახტუნა. ვინც კი ოცი მეტრის სიმაღლიდან გაფრენილი მხედარი დაინახა, გაოცებისგან პირღია დარჩა. მერე ამ გაუგონარ ამბავს ათასნაირად ყვებოდნენ. ზოგი ამბობდა, რომ მხედარი ძირს მშვიდობიანად დაეშვა და ჭენებით გაშორდა ციხესო. მეციხოვნე ოსმან-აღა კი, ვინც მამლუქებს ჭიშკარი ჩაუკეტა, ამტკიცებდა – მამლუქი მიწაზე აღარ დაშვებულა, ცაში გაფრინდაო.

დიდი ხნის შემდეგ ამ უკანასკნელ მამლუქზე არაბებმა რომანი დაწერეს, რომელსაც „ლტოლვილი მამლუქი“ ეწოდება.

ოსმალებმა ეგვიპტეში მიმოფანტული მამლუქები ამოწყვიტეს და მათი ქონება დაიტაცეს.

მამლუქთა ერთი ნაწილი კი ეთიოპიაში გადაიხვეწა.

დაუდ-ფაშა

არიქა, მდევარიო! – დაიძახეს. სოფელი ფეხზე დადგა. აფრინეს მდევარი, მოჩხრიკეს მდინარე ჭივჭავიცა და ახლო-მახლო ტყეებიც. ამაო გამოდგა ყველაფერი. 6 წლის თვალმახარა ბიჭი უგზოუკვლოდ დაიკარგა. გლოვამ დაიბუდა ღარიბი გლეხის გიორგი მანველაშვილის ოჯახში. ყველაზე დიდხანს დედა მარიამი მისთქვამდა.

– ეგ ჭირი ბევრს მისდგომია კარზე. ხალხი ახლა ბზეში ჩავარდნილ ნემსივით იკარგებაო. – დარდს უქარვებდნენ მეზობლები. მართლაც ქვემო ქართლის სოფელ იფნობში მომხდარი ეს ამბავი არც პირველი იყო, არც უკანასკნელი... და სოფელმაც მალე მოინელა . ბოლოს მარიამიც ბედს დამორჩილდა.

პატარა დავითი ყაჩაღებმა გაიტაცეს და ოსმალეთში მონად გაყიდეს. 5 წელიწადში რამდენიმე პატრონი გამოიცვალა. გათათრებული დაუდი ბოლოს ბაღდადში ჩაიყვანეს. იქ ტყვეთა ბაზარზე მუსტაფა ბეგმა იყიდა და ერაყის მბრძანებელს სულეიმან-ფაშა ბუიუქს მიართვა. სულეიმანი წარმოშობით ქართველი იყო. აქ უკვე დიდი ხანია ქვეყნის სათავეში ქართველი მამლუქები იდგნენ. ისინი ბაღდადში ჩამოყვანილ ქართველ ტყვეებს ყიდულობდნენ, სკოლებში ზრდიდნენ და ქვეყნის სამსახურში იყენებდნენ.

დაუდიც მამლუქთა სკოლაში მიაბარეს. ბიჭმა დიდი ნიჭი გამოიჩინა. შესანიშნავად შეისწავლა მუსულმანური სამართალი, ყურანი, არაბული, თურქული, სპარსული ენები, ღვთისმეტყველება. მშვენიერი და მამაცი ვაჟკაცი დადგა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სულეიმან-ფაშამ თავისუფლება მიანიჭა და ბეჭდის მცველად დანიშნა. 27 წლის დაუდს საფაშოს ხაზინა ჩააბარა და თავისი ქალიშვილი მიათხოვა. როცა სულეიმან-ფაშა გარდაიცვალა, ტახტისათვის შინაომი ატყდა. ბოლოს დაუდი გახდა ერაყის მბრძანებელი.

დაუდ-ფაშა მტკიცე მმართველი გამოდგა. აჯანყებები ჩაახშო, ქვეყანა დააწყნარა. მერე ქვეყნის მოღონიერებას შეუდგა: გაიყვანა სარწყავი არხები, პირველმა გააშენა ბამბის, შაქრის ლერწმის, ინდიგოს პლანტაციები. ერაყში ხვავი და ბარაქა დატრი-

ალდა. დაუდმა გემები იყიდა და ერაყის სავაჭრო ფლოტმა სხვა ქვეყნებში დაიწყო ხორბლის, მარილის, ინდისხურმისა და სხვა საქონლის გატანა. ხაზინაში ახლა წელიწადში ხუთი მილიონი ფრანკი შემოდიოდა. ამ თანხებით დაუდმა დიდი რეფორმები ჩაატარა. შექმნა საფეიქრო მრეწველობა. ააგო ხიდები, მეჩეთები, ბაზრები, აბანოები, საავადმყოფოები, გახსნა ბიბლიოთეკები და სკოლები. შორეული საქართველოდან მოიწვია მესტამბეები და ბაღდადში პირველი სტამბა მოაწყო. ააშენა ფაბრიკა და მოაწყო ადგილობრივი ქაღალდის წარმოება ამ სტამბისათვის. დიდი იყო მისი ღვაწლი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში. ერაყელი მკვლევარები დაუდის მმართველობას ლიტერატურის განვითარების ბრწყინვალე ხანად მიიჩნევენ.

დაუდ-ფაშამ მოიწვია ევროპელი სპეციალისტები და მოკლე დროში 30-ათასიანი რეგულარული არმია შექმნა. გარდა ამისა, მას შეეძლო არაბული ტომებიდან სხვა ჯარის გაწვევაც და თოფქვეშ ასიათასი კაცის დაყენება. ტყვეთა ბაზრებზე ნაყიდი ქართველი მამლუქებით აძლიერებდა სამეფო გვარდიას. ბაღდადში მყოფი ფრანგები წერდნენ, რომ „ეს ქართველები ჩინებულად ჩაცმულ-შეიარაღებული, ძლიერი, ვაჟკაცური გამომეტყველებისანი იყვნენ და საუკეთესოდ მოკაზმულ მშვენიერ არაბულ ბედაურებზე ისხდნენ. ისინი მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო მხედრები იყვნენ“.

დაუდ-ფაშას ხშირად აგონდებოდა ბავშვობა, მშობლები, ენატრებოდა საქართველო. ერთ დღეს მას ქართველი სოვდაგრები, ძმები ზუბალაშვილები ესტუმრნენ. დაუდმა სთხოვა – საქართველოში დარჩენილი ჩემი ოჯახის ამბავი გამაგებინეთო. ზუბალაშვილებმა მართლაც მოძებნეს მანველაშვილების ოჯახი – ისინი უკვე თბილისში ცხოვრობდნენ... და აი, 1821 წელს მარიამმა 40 წლის წინ დაკარგული შვილის წერილი მიიღო. დაუდის მამა უკვე ცოცხლებში აღარ იყო. წერილში ეწერა: „ბედნიერი ბაბილოვანის* ხელმწიფე, თქვენი ძე დაუთ ფაშა მრავალს მოკითხვას და ნახვის ნატვრას მოგიძღვნით,

---

ერაყი შუამდინარეთის უძველესი სახელმწიფოს, ბაბილონის მიწაზე მდებარეობს.

დედავ, მარიამ!.. ვითხოვთ თქვენი მოწყალე გულისაგან, რომ ლოცვით ნუ დამივიწყებთ. კაცი ქვეყანაზე მოვა და ვენახს გაა-შენებს, რომ ნაყოფი მიიღოს. თქვენ ვენახი გაგიშენებიათ და ნაყოფი არ მიგიღიათ. ვითხოვ თქვენი მოწყალე დედობისაგან, თუ შეგეძლოს, წამოსვლას ნუ დაიზარებთ; ჩემთვის ილოცეთ მოწყალე დედაო.“

ამ წერილში მძაფრად იგრძნობა მამლუქის დარდი და მწუ-ხარება, უცხოეთში დაკარგული ქართველი კაცის დიდი გუ-ლისტკივილი, მშობელი დედის უნაზესი სიყვარული. უცხო-ურად გაზრდილს მაინც ქართული ვენახი გახსენებია; მწა-რედ განიცდის, რომ წუთისოფელმა უცხოეთში გადაკარგა და მშობლებზე ზრუნვის საშუალება არ მისცა. ასევე ემდურის თავის ბედსაც, რომელმაც თუმცა ერაყის ხელმწიფე გახადა, მაგრამ სხვის სამსახურში ჩააყენა და სამშობლოს, თავისია-ნებს ვეღარ გამოადგა. ეს წერილი ახლა საქართველოს ლი-ტერატურულ მუზეუმში ინახება. დაუდის თხოვნით თავადმა ორბელიანმა მანველაშვილების ოჯახი ყმობიდან გაათავი-სუფლა. დაუდ-ფაშას ძმები დიმიტრი და შიო ერაყში ეწვივ-ნენ. დედამ კი ხანდაზმულობის გამო შორეული მგზავრობა ვეღარ შეძლო.

როცა დაუდ-ფაშამ ერაყი გააძლიერა, ოსმალეთის სულ-თანს შეუთვალა: ერაყი ამიერიდან თავისუფალი სახელმწიფოა, აღარც თქვენი ხელქვეითი ვიქნებით და აღარც ხარკს გადა-გიხდითო. სულთანმა ერაყში დამსჯელი ჯარი გაგზავნა. და-უდ-ფაშა მტერს სრულ საომარ მზადყოფნაში დახვდა და მის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. მაგრამ განგებამ ერაყის ბედი უკუღმა შეატრიალა.

ირანიდან ამ დროს შავი ჭირი გავრცელდა და ერაყს მუსრი გაავლო. მარტო ბაღდადში დღეში სამიათასი კაცი იხოცებოდა. ქუჩები და სახლები გვამებით აივსო. უპატრონო გვამებს ძაღ-ლები ესეოდნენ და გლეჯდნენ. დაუდ-ფაშას საომარი ცხენები ქუჩებში უპატრონოდ დაჰქროდნენ. სასახლე სავსე იყო მიცვა-ლებულებით. დაუდი ბნელ საკუჭნაოში შიშველ ფიცრებზე იწვა და მარტო ებრძოდა სიკვდილს.

შუა აპრილში შავი ჭირი თითქოს ჩაცხრა, მაგრამ ახლა წყალდიდობა დაიწყო. მდინარეებმა ნაპირები გადმოხეთქა და წალეკა ყანები, სოფლები, ქალაქები. მდინარე ტიგროსმა ჯებირი გაგლიჯა და ბაღდადის ქუჩებში შევარდა. წყალმა დაანგრია სასახლის ნაწილი, წალეკა 15 ათასზე მეტი სახლი.

აპრილის ბოლოს წყალმა იკლო, მაგრამ სარდაფებსა და ორმოებში ჩამდგარი გუბეები დალპა, აშმორდა. გაჩნდა ციებ-ცხელება. ვინც ჭირსა და წყალდიდობას გადაურჩა, ახლა ამ სნეულების მსხვერპლი გახდა. ბევრ სოფელსა და ქალაქში ხალხი ერთიანად ამოწყდა. ბაღდადში 150 ათასიდან 20 ათასი კაციღა გადარჩა, ბასრაში 80 ათასიდან მხოლოდ 6 ათასი დარჩა ცოცხალი.

შეწყდა თუ არა შავი ჭირი, ოსმალთა ჯარი შეტევაზე გადავიდა. დაუდი სიკვდილს სასწაულით გადაურჩა, მაგრამ დასუსტებული ფეხზე ვერ დგებოდა. ქალაქის დიდკაცებმა დაუდს უღალატეს, შეიპყრეს და სალიჰ-ბეგს ხელწერილით ჩააბარეს შინაპატიმრობისათვის. მერე ოსმალებს ქალაქის კარი გაუღეს. ოსმალთა სარდალმა კასიმ-ფაშამ ბაღდადი რომ აიღო, მამლუქთა განადგურება და ერაყის ტახტზე დაჯდომა გადაწყვიტა. მამლუქებმა ეს რომ გაიგეს, ისევ დაუდ-ფაშას მიემხრნენ. მათ აჯანყება მოაწყეს, კასიმ-ფაშა მოკლეს და ბაღდადი მტრისგან გაათავისუფლეს.

სულთანმა ახალი ჯარი გამოგზავნა. ერაყს უკვე მტრის გამკლავება აღარ შეეძლო. 15 ათასმა ოსმალომ ბაღდადს ისევ ალყა შემოარტყა. დაუდს ქალაქში სამი ათასი მებრძოლიღა ჰყავდა. საწოლს მიჯაჭვულმა ჯარის სარდლობა სალიჰ-ბეგს დაავალა. ხანმოკლე ბრძოლების შემდეგ ოსმალებმა ქალაქი აიღეს და დაუდი ტყვედ ჩაიგდეს.

ოსმალთა სარდალმა ალი-რიზამ საპატიო ტყვე ძლიერი დაცვის თანხლებით ოსმალეთში გაგზავნა. თვითონ კი ასეთ ცბიერებას მიმართა: მამლუქები სასახლეში მიიწვია – ერაყის ფაშად სულთანმა მე დამნიშნა და მისი ბრძანება უნდა წაგიკითხოთო. თან სასახლეში ალბანელთა რაზმები ჩაასაფრა. დანიშნულ დროს მამლუქები სასახლეში მივიდნენ. ისინი

ელოდნენ სულთანის ფირმანის წაკითხვას. ზოგი ყავას შეექცეოდა, ზოგი ყალიონს აბოლებდა... მერე მოხდა ზუსტად ისე, როგორც ეგვიპტეში: ალი-რიზა დარბაზიდან გავიდა ვითომ ლოცვის მომიზეზებით. ეს ნიშანი იყო – ჩასაფრებული ალბანელები შემოცვივდნენ და მამლუქები ამოჟლიტეს. ოსმალებმა მთელს ერაყში გაანადგურეს მამლუქები. ასე დასრულდა ერაყში მამლუქთა ასწლიანი ბატონობა.

დაუდ-ფაშას, როგორც ოსმალეთის მოღალატეს, თავის მოკვეთა ელოდა. მაგრამ იმდენად დიდი იყო მისი წონა მუსულმანურ სამყაროში, რომ სულთანმა სიცოცხლე შეუნარჩუნა. ეს იმიტომ გააკეთა, რომ დაუდის ცოდნა და უნარი ოსმალეთის სასარგებლოდ გამოეყენებინა. სულთანმა დაუდ-ფაშა ოსმალეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა.

ბოლოს 70 წლის დაუდ-ფაშამ სამსახურიდან გადადგომა ითხოვა, სულთანმა მოხუცს თხოვნა შეუსრულა და ქალაქ მედინაში მუჰამედ წინასწარმეტყველის მავზოლეუმის ზედამხედველად დანიშნა. იქ დაუდმა საკუთარი ხელით გარეუბანში მშვენიერი ბაღი გააშენა, რომელსაც „დაუდიე“ უწოდეს. გარდაიცვალა 1851 წელს. გარდაცვალების წინ ანდერძი დატოვა, ძვირფასი ძეგლი არ ამიგოთო. და მართლაც თავისი დროის ამ გამოჩენილი მოღვაწის სამარეს სულ უბრალო რკინის მესერი აქვს შემოვლებული.

დაუდ-ფაშას შესახებ შემონახულია ცნობები არაბულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ წყაროებში. არაბმა ისტორიკოსებმა ასეთი შეფასება მისცეს დაუდ-ფაშას: „ის იყო უდიდესი ადამიანთაგანი, ულემთა მეთაური, რომელიც განირჩეოდა თავის თანამედროვეთაგან განსაკუთრებული იდეალებით. შესანიშნავად იცოდა სამი ენა, პოეზია და პროზა. მშვიდობის დროს იყო მხიარული და მჭევრმეტყველი, ხოლო ბრძოლაში უმამაცესი. სიკეთესა და თავმდაბლობაში ბადალი არ ჰყავდა. თუ ყოველივე ამით შევადარებთ სხვას, მაშინ ის არის ნამდვილი ვაზირი.“

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲜᲗᲘᲛᲝᲖ ᲘᲕᲔᲠᲘᲔᲚᲘ

„ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝ ᲒᲐᲛᲘᲙᲔᲗᲔᲑᲘᲐ .. ᲐᲠᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲮᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲩᲐᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲝᲤᲚᲘᲗ. ᲩᲔᲛᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲘ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲔᲜ.“

(ᲐᲜᲗᲘᲛᲝᲖ ᲘᲕᲔᲠᲘᲔᲚᲘ).

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ ᲡᲙᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲤᲣᲗᲤᲣᲗᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲖᲣᲖᲣᲜᲔᲑᲡ. ᲛᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲘᲠᲔᲕᲐ. ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲣᲮᲛᲝᲑᲔᲜ ᲛᲣᲨᲢᲐᲠᲡ ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘ. ᲢᲧᲕᲔᲔᲑᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ – ᲯᲐᲜᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲭᲐᲑᲣᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲪ. ᲛᲣᲨᲢᲐᲠᲘᲪ ᲑᲔᲕᲠᲘᲐ. ᲖᲝᲒᲡ ᲪᲝᲚᲐᲓ ᲐᲜ ᲰᲐᲠᲐᲛᲮᲐᲜᲐᲨᲘ ᲮᲐᲠᲭᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲒᲝᲒᲝ, ᲖᲝᲒᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲢᲧᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ, ᲖᲝᲒᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲘᲭᲔᲑᲡ ᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲘᲧᲔᲜᲝᲡ.

ᲪᲝᲓᲕᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, ᲢᲧᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲝᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲪᲐᲡᲐ ᲡᲬᲕᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲠᲔᲛᲚᲘ ᲖᲦᲕᲐᲡ ᲔᲠᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝᲜᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲖᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲑᲝᲠᲙᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲨᲔᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔᲪ ᲙᲘ ᲛᲣᲠᲓᲐᲚᲘ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲡ ᲣᲨᲮᲘᲕᲚᲔᲑᲡ. ᲑᲔᲓᲡ ᲓᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲡᲦᲐ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ, ᲜᲔᲢᲐᲕ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲦᲕᲗᲘᲡᲜᲘᲔᲠᲛᲐ ᲒᲕᲘᲧᲘᲓᲝᲡᲝ.

ᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ᲑᲔᲓᲛᲐ ᲒᲐᲣᲦᲘᲛᲐ – ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲛᲐ ᲓᲝᲡᲘᲗᲔᲝᲡᲛᲐ ᲘᲧᲘᲓᲐ. ᲗᲣᲠᲛᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲗᲐᲜ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲠ-ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲪᲝᲓᲜᲔ. ᲑᲔᲓᲐᲓ ᲑᲘᲭᲛᲐ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲝᲓᲐ.

ᲝᲪᲓᲐᲡᲐᲛᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲗᲐᲜ. ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲜᲘᲭᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ. ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘ, ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ, ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲑᲘ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ, ᲛᲭᲔᲕᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲮᲣᲠᲝᲗᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲐ, ᲛᲔᲡᲢᲐᲛᲑᲔᲝᲑᲐ. ᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲝᲓᲐ ᲫᲔᲠᲬᲕᲐ, ᲮᲐᲢᲕᲐ, ᲥᲕᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲮᲔᲖᲔ ᲩᲣᲥᲣᲠᲗᲛᲘᲡ ᲭᲠᲐ, ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲝᲑᲐ. ᲛᲦᲕᲓᲚᲐᲓ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲜᲗᲘᲛᲝᲖ ᲘᲕᲔᲠᲘᲔᲚᲘ ᲔᲬᲝᲓᲐ.

ᲐᲜᲗᲘᲛᲝᲖᲛᲐ ᲒᲐᲜᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲨᲝᲠᲡ ᲒᲐᲘᲗᲥᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ. 1690 ᲬᲔᲚᲡ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲔᲡ. ᲛᲐᲚᲔ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲚᲐ-

ვური ენები. გახსნა სტამბები და დაიწყო წიგნების ბეჭდვა ბერძნულ, რუმინულ, არაბულ, სერბულ, ქართულ ენებზე. რუმინეთის ეკლესიებში წირვა-ლოცვა სლავურ ან ბერძნულ ენებზე ტარდებოდა. ხალხს არ ესმოდა უცხო ენები. ანთიმოზმა დაიწყო წიგნების რუმინულ ენაზე თარგმნა და ბეჭდვა. ეკლესიებში წირვა-ლოცვა რუმინულ ენაზე შემოიღო. ეს იყო დიდი კულტურულ-ეროვნული რეფორმა. ამით დაიწყო რუმინული ენისა და ერის აღორძინება. ანთიმოზი მთელი რუმინეთის ეკლესიის მეთაურად – მიტროპოლიტად აირჩიეს. იგი ნამდვილი სულიერი მამა გახდა რუმინელი ხალხისა. თურქთა ბატონობის მიუხედავად ანთიმოზის დროს რუმინეთში 33 ეკლესია აშენდა. ზოგის ხუროთმოძღვარი და მშენებელი თვითონვე იყო. რუმინეთის ტაძრებში ბევრგან ნახავთ მისი ხელით დახატულ ფრესკებსა და ქვაში ნაკვეთ ქართულ ჩუქურთმებს. ანთიმოზის აგებულ მთავარ ტაძარს კი დღესაც მისი ხელით მოჩუქურთმებული კარი აბია და ტაძრის ფრესკებიც მისი დახატულია. ანთიმოზმა შორეულ სამშობლოში – საქართველოშიც კი შეძლო ვახტანგ მეფეს დახმარებოდა ქართული სტამბის დაარსებაში.

რუმინელი ხალხის დიდ მოჭირნახულეს ბევრი მტერი და მოშურნე გაუჩნდა. მათი მეცადინეობით რუმინეთის მმართველებმა დევნა დაუწყეს, ხელს უშლიდნენ საქმეში.

სამშობლოდან თურქთაგან გატაცებულ-გაყიდული კაცი მთელი სიცოცხლე მათი მოძულე დარჩა. იგი თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ რუმინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის სულისჩამდგმელი იყო. ანთიმოზი რუმინეთის მმართველებს მოუწოდებდა რუსეთ-თურქეთის ომში თურქეთის წინააღმდეგ ებრძოლათ. მართლაც მალე რუმინეთის ჯარი რუსების მხარეზე გადავიდა. ამან განარისხა თურქეთი. რუსეთის მეფემ პეტრე პირველმა რუმინეთიდან თურქების განდევნა ვერ შეძლო, ომი შეწყვიტა და მოკავშირე რუმინელები თურქებს შეატოვა ხელში. თურქებმაც შურისძიება არ დააყოვნეს. რუმინეთის მეფე ბრინკოვიანუს და მის ოთხ შვილს თავები მოჰკვეთეს; ანთიმოზი პატრიარქობიდან გადააყენეს და სინას ნახევარკუნძულზე სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს. ბორკილდადებული მოხუცი გადასახლების ადგილზე აღარ ჩაუყვანიათ. მცველებმა გზაზე-

ვე მოკლეს. ხმლებით აჩეხილი გვამი მდინარეში გადააგდეს. ეს მოხდა 1716 წლის 12 სექტემბერს.

რუმინეთის წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის ანთიმოზს ღირსეული პატივი მიაგეს: 1998 წელს რუმინეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ანთიმოზ ივერიელი წმინდანად შერაცხა. რუმინეთის საპატრიარქოში დღესაც სასოებით ინახავენ მის პირად ნივთებს, იქვეა თურქთა მიერ წმინდა ანთიმოზის სიკვდილით დასჯის ფრესკაც. მის სახელს ატარებს რუმინეთის დედაქალაქის ერთერთი ქუჩაც.

26 ივნისი წმინდა ანთიმოზ ივერიელის ხსენების დღეა!

ომის ღმერთი ბაგრატიონი

რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ მეექვსის ამალაში იყო მისი ძმისშვილი ალექსანდრე იესეს ძე. ვახტანგ მეფის გარდაცვალების შემდეგ ალექსანდრე რუსეთში დარჩა. იგი ყიზლარში დასახლდა. აქ, ყიზლარში დაიბადა მისი შვილიშვილი პეტრე ბაგრატიონი, რომელიც რუსეთის დიდი მხედართმთავარი გახდა.

რუსეთში დასახლებული ქართველებიდან ძალიან ბევრნი მამაცი და სახელოვანი გენერლები გახდნენ, მაგრამ ყველაზე დიდი სახელი მაინც პეტრემ დატოვა. 30 წელი იმსახურა რუსეთის ჯარში. 150-ზე მეტ ბრძოლაში მონაწილეობდა და ყველგან გამარჯვებული გამოვიდა. ყველაზე დიდი სახელი კი ალპებზე გადასვლამ მოუტანა.

რუსეთის არმიამ სუვოროვის მეთაურობით ძლევამოსილად ილაშქრა იტალიაში. აქედან იგი შვეიცარიაში უნდა გადასულიყო. იქ რუსთა პოლკები იდგა. სუვოროვი მათ მალე უნდა მიშველებოდა, თორემ მტერი გაანადგურებდა.

სუვოროვმა გადაწყვიტა მოკლე გზით – ალპებზე გადასვლა. ალპების თოვლიანი მწვერვალები, ციცაბო ბილიკები, ღრმა უფსკრულები, აქაფებული მდინარეები, ნისლი და ქარბუქი, გზადაგზა ჩასაფრებული მტერი, – პეტრე ბაგრატიონის მეწინავე რაზმმა ყველაფერი დასძლია და ჯარს გზა გაუკაფა. საარაკო თავგანწირვით გადალახეს ალპები. შვეიცარიაში ჩასულებს კი ცუდი

ამბები დახვდათ: მტერს უკვე გაენადგურებინა ის პოლკები, რომელთა საშველადაც მიდიოდნენ. მოკავშირეებმა უღალატეს. არ იყო სურსათი.

საჭირო გახდა ჯარის გადარჩენა და რუსეთში დაბრუნება. ნაპოლეონი უზარმაზარი არმიით ფეხდაფეხ მოსდევდა და რუსების განადგურებას ცდილობდა. სუვოროვმა ბაგრატიონს ახლა მტრის მოგერიება დაავალა. ბაგრატიონი მამაცურად იცავდა რუსთა არმიის უკანდახევას, იგერიებდა ფრანგების განუწყვეტელ შეტევებს. ასე გამოიარეს მთელი ევროპა. ნაპოლეონმა ვერ შეძლო რუსეთის არმიის ალყაში მოქცევა და განადგურება. ეს კი, პირველ რიგში, ბაგრატიონის დამსახურება იყო. უკან დახევის დროს მთავარსარდლობამ ბევრჯერ გაწირა ბაგრატიონის რაზმი დასაღუპად, მაგრამ როგორც მთავარსარდალი და სხვა თანამებრძოლები წერდნენ, „თავისი გონიერი მოქმედებით და ვაჟკაცური შემართებით ბაგრატიონი წარმატებას აღწევდა ყოველგვარ ვითარებაში. იგი რამდენიმე საათს აკავებდა ფრანგებს და განსაკუთრებულ ბრძანებამდე არასოდეს პოზიციებს არ თმობდა.“ „ბაგრატიონი იყო ყველა ამ ბრძოლის წარმატებათა სულისჩამდგმელი და გმირი.“ ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე წერდა: „ბაგრატიონმა გადაარჩინა რუსეთის არმია სრული განადგურებისაგან.“ რამდენიმე წლის შემდეგ კი ამ არმიამ რუსეთი იხსნა ნაპოლეონისაგან.

ამ ლაშქრობისათვის სუვოროვს გენერალისიმუსობა მიენიჭა, ბაგრატიონს კი ომის ღმერთი (“ბოგ-რატი-ონ“) უწოდეს. ღირსეულადაც: ბრძოლებში იყო განსაკუთრებით დინჯი, მამაცი, გამჭრიახი, შეუდრეკელი. ყველაზე მძიმე წუთებშიც კი ხუმრობის გუნებაზე იყო. ბრძოლაში მისი სიდინჯე ჯარისკაცებსაც გადაედებოდათ, რომლებსაც უსაზღვროდ უყვარდათ იგი.

ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი ბელკოვიჩი წერს: „შვეიცარიის ერთი ლაშქრობაც კი საკმარისი იყო, რომ ბაგრატიონისათვის უკვდავი დიდება მოეტანა, უმისოდ დაიჩრდილებოდა სუვოროვისა და მისი დევგმირების სახელი.“

1808-1809 წლებში ბაგრატიონმა თავი ისახელა შვედებთან ბრძოლაში. მერე მოლდავეთის არმიის მთავარსარდლად დანიშნეს. მან სასტიკი დამარცხებები აგემა თურქეთის არმიას ბალკანეთში.

1812 წელს საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონი 600-ათასიანი არმიით შემოესია რუსეთს. ბაგრატიონი ამ დროს მეორე არმიის სარდალი იყო. ნაპოლეონმა გადაწყვიტა არ მიეცა რუსეთის პირველი და მეორე არმიებისათვის გაერთიანების საშუალება და ისინი ცალ-ცალკე გაენადგურებინა. ბაგრატიონი მიუხვდა მის ჩანაფიქრს და სასწრაფოდ გაეშურა პირველ არმიასთან შესაერთებლად. მას 50 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა. ნაპოლეონმა 130-ათასიანი არმია გაგზავნა ბაგრატიონის გასანადგურებლად. ხუთჯერ მოაქციეს ალყაში ბაგრატიონი ფრანგებმა, მაგრამ ხუთივეჯერ დაუსხლტა და ბოლოს პირველ არმიას შეუერთდა. გზადაგზა მძიმე ბრძოლებით ანადგურებდა მტრის ცალკეულ ნაწილებს. ეს იყო ბაგრატიონის უდიდესი მხედართმთავრული ნიჭის შედეგი. მან არმიების შეერთებით ამჯერადაც გადაარჩინა რუსეთის ჯარი დაღუპვას და გადამწყვეტი როლი შეასრულა ქვეყნის გადარჩენაში. განზრახული იყო ბაგრატიონი გაერთიანებული ჯარების მთავარსარდლად დაენიშნათ, მაგრამ ბოლოს არჩევანი კუტუზოვზე შეაჩერეს.

ფრანგებთან გადამწყვეტი ბრძოლა ბოროდინოს ველზე გაიმართა. აქ ბაგრატიონის არმიის გმირობა ლეგენდად იქცა. მას ნაპოლეონის სამი სახელოვანი მარშალი უტევდა. ბაგრატიონმა მათი რვა იერიში მოიგერია. ბოროდინოში ნაპოლეონმა 58 ათასი ჯარისკაცი დაკარგა, მათგან 30 ათასი ბაგრატიონთან ბრძოლაში დაიხოცა. ბოროდინოში ბაგრატიონი მძიმედ დაიჭრა. სარდალი თანამებრძოლებმა სოფელ სიმში წაიყვანეს. ჭრილობა არ იყო სასიკვდილო, მაგრამ ექიმებმა ოპერაცია დაუგვიანეს. ბაგრატიონს განგრენა დაემართა და 12 სექტემბერს გარდაიცვალა. მაშინ იგი მხოლოდ 47 წლისა იყო. მეფის ბრძანებით იქვე, სოფლის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს.

როგორც ყველა დიდი და ნიჭიერი ადამიანი, პეტრე ბაგრატიონიც ვერ ასცდა ხელისუფალთა შურსა და მტრობას. სამეფო კარს სძულდა იგი, მაშინ, როდესაც მთელი რუსეთი აღმერთებდა. მეფე ალექსანდრე ტარმოტეხილ კოვზივით ხშირად ერეოდა საომარ საქმეებში, თუმცა ომისა არაფერი გაეგებოდა. ბაგრატიონი არ ემორჩილებოდა მეფის უნიჭო განკარგულებებს და ომში თავისი გეგმით მოქმედებდა. ამის გამო მეფეს იგი არ უყვარდა და

ურცხვად წერდა: „ნაპოლეონთან ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი ნაწილობრივ იყო დიდი შეცდომები ბაგრატიონისა, რომელსაც სტრატეგიაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.“ ასევე უმადურად მოექცა სამეფო კარი დიდ მხედართმთავრებს სუვოროვსა და კუტუზოვსაც, რომლებიც სამხედრო საქმიდან გააძევეს და გადასახლებაში ჰყავდათ.

მარტო სამეფო კარი კი არა, საკუთარი მეუღლეც კი უმადურად მოექცა ბაგრატიონს. გრაფის ასული ეკატერინე სკავრონსკაია მეტად ქარაფშუტა გამოდგა. ამ ქალმა მთელი სიცოცხლე ქმრისგან შორს, უცხოეთში გაატარა და ბაგრატიონის მთელი ქონება ფუფუნებით ცხოვრებაში გაფლანგა.

დრომ დაადასტურა, რომ ბაგრატიონი არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი და გამოჩენილი მხედართმთავართაგანია. მასზე სიცოცხლეშივე ლეგენდები შეიქმნა.

– ბაგრატიონის ყველა ხელქვეითი ბოროდინოზე წევს, მაგრამ მათ შორის თვით ომის ღმერთი არ არისო. – ჩიოდა მისი ადიუტანტი დენის დავიდოვი. 27 წლის ხვეწნა დასჭირდა მას, რომ ამაზე მეფის თანხმობა მიეღო. ბაგრატიონის გადასვენებაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი – ყოფილმა მეომრებმა, გლეხებმა. ცხედარი ქვემეხის ლაფეტზე დაასვენეს, როგორც მხედრული წესია. ხალხმა ლაფეტიდან ცხენები გამოხსნა და თვითონ შეება შიგ. ბაგრატიონი მხედრული დიდებით დაკრძალეს ბოროდინოში.

ასი წლის შემდეგ 1932 წელს რუსეთის პოლიტიკური სამმართველოს მუშაკებმა ბაგრატიონის სამარხი გახსნეს და გაძარცვეს: ბრილიანტებით შემკული ორდენები და ოქროს ჯვარი დაიტაცეს, ძვლები კი ყუთში ჩაყარეს და ფორანით სადღაც წაიღეს. ტყვიის კუბო დახერხეს და ბოროდინოს რკინიგზის სადგურში ჯართში დაყარეს. სოფლის ბიჭები ხშირად მიდიოდნენ იქ, კუბოდან აგლეჯდნენ ტყვიის ნაჭრებს და შაქარყინულზე ცვლიდნენ, ზოგნი კი შურდულებს აკეთებდნენ. 1989 წელს საქართველოს კინოსტუდიამ გადაიღო მხატვრული ფილმი „ბაგრატიონი“. როდესაც რუსეთში ეს ფილმი ნახეს და გაიგეს, რომ ბაგრატიონი ქართული წარმოშობისა იყო, ბევრმა საფლავის დარბევა დაიწყო, ერთხელ კი ააფეთქეს კიდევაც. მათ არ იცოდ-

ნენ, რომ პეტრეს ნეშტი იქ უკვე აღარ იყო. რუსეთმა ცარიელი სამარეც კი არ გაიმეტა თავისი გადამრჩენელი დიდი მხედართმთავრისათვის.

როცა რუსეთის იმპერიისა და ზოგადად ადამიანთა ამ საოცარ უმადურობაზე ფიქრობ, უნებურად გახსენდება ძველი სპარსეთის დიდი მეფის კიროსის სიტყვები, მისი სამარის ქვაზე რომ აწერია: „მე ვარ კიროსი, აზიის დამპყრობი, სპარსელების ბატონი და გევედრები მეგობარო, ნუ შეგშურდება ეს მუჭა მიწა, რომელიც ჩემს საბრალო სხეულს ფარავს.“

მხოლოდ 1984 წელს დაიდგა პეტრე ბაგრატიონის ძეგლი, მაგრამ არა ბოროდინოში ან მოსკოვში, რომლებისთვისაც სისხლი დაღვარა, არამედ ... თბილისში. ჭეშმარიტად უბედურია ბედი მამლუქისა.

ჯორჯ ბალანჩინი

1923 წელს გიორგი ბალანჩივაძე თავისი საბალეტო დასით საფრანგეთში გაემგზავრა. ამ დროს იგი ჭლექით იყო დაავადებული. გასტროლებზე მყოფს ავადმყოფობა გაურთულდა. შვეიცარიაში ოპერაცია გაუკეთეს – ორი ნეკნი და ნახევარი ფილტვი ამოჭრეს. თვენახევარს იწვა საავადმყოფოში. ამასობაში საგასტროლო დრო დამთავრდა და დასი ლენინგრადში დაბრუნდა. გიორგიმ კი დეპეშა მიიღო: „სასწრაფოდ დაბრუნდით. პასუხს აგებთ.“ ცხადი იყო, რომ მას სამშობლოს ღალატს აბრალებდნენ. რუსეთში დაბრუნებისთანავე საპყრობილე არ ასცდებოდა. თვრამეტი წლის ჭაბუკი იძულებული გახდა საფრანგეთში დარჩენილიყო.

ნიჭმა თავისი ქნა. გიორგიმ საბალეტო დადგმებით მალე გაითქვა სახელი, იმდენად, რომ ამერიკაში მიიწვიეს. ნიუ-იორკში აუშენეს საბალეტო სკოლა, შემდეგ კი თეატრი. გიორგიმ აქ ბალეტის ოსტატთა თაობები აღზარდა და თავისი დასით მთელს მსოფლიოში გაითქვა სახელი. ასე გახდა ქართველი კაცი გიორგი ბალანჩივაძე (ჯორჯ ბალანჩინი) ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი.

„ჯორჯ ბალანჩინი – ბალეტმაისტერი“. – ასე ჰქვია ამერიკაში გამოცემულ ერთ-ერთ წიგნს. მისი ავტორი რიჩარდ ბაკლი წერს: „ჯორჯ ბალანჩინი, პიკასოსა და სტრავინსკისთან ერთად, ხშირად მოიხსენიება, როგორც XX საუკუნის გენიალური შემოქმედი; მან ბალეტში რევოლუცია მოახდინა და სამუდამოდ შეუცვალა სახე ცეკვას არა მარტო ამერიკაში, არამედ მსოფლიოში.“

ალექსანდრე ქართველი – გამოჩენილი ავიაკონსტრუქტორი

1977 წლის ივლისში ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი გაზეთები იუწყებოდნენ: 77 წლისა გარდაიცვალა „ალექსანდრე ქართველი, ემიგრანტი საქართველოდან, რომლის კონსტრუქტორულმა ნიჭმა ამერიკელ პილოტებს მისცა მძლავრი და მძვინვარე სამხედრო თვითმფრინავები.“

1918-1920 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გაგზავნა უცხოეთში სასწავლებლად. მათ შორის იყო ალექსანდრე ქართველიშვილიც. იგი საფრანგეთში სწავლობდა. სანამ სწავლას დაამთავრებდა, საქართველოში კატასტროფა მოხდა: საქართველოს რესპუბლიკა რუსეთმა დაიპყრო. ქართველები ამას არ შეურიგდნენ: ბევრნი ემიგრაციაში წავიდნენ, ხალხმა აჯანყებები მოაწყო. რუსეთმა სისხლში ჩაახრჩო სახალხო აჯანყებები. ამ ამბებმა მრავალი ქართველის სიცოცხლე იმსხვერპლა. უცხოეთში სასწავლებლად წასული ქართველები ამის გამო სამშობლოში ვეღარ დაბრუნდნენ. ალექსანდრეც უცხოეთში დარჩა. მერე საფრანგეთიდან ამერიკაში გადასახლდა. იქ ერთ-ერთი საავიაციო კომპანიის მთავარი ინჟინერი და სამხედრო თვითმფრინავების კონსტრუქტორი გახდა. მან შექმნა ზებგერითი თვითმფრინავი ფ-84, რეაქტიული გამანადგურებელი ფ-86 და სხვები. შესანიშნავი სამხედრო თვითმფრინავების შექმნისათვის შვიდი უმაღლესი ორდენი მიიღო.

1977 წელს ქართველიშვილმა შექმნა ახალი ზებგერითი

თვითმფრინავი. იგი ამერიკის ყველა ავიასაწარმოსა და კომპანიის მიერ შექმნილ თვითმფრინავებს შორის ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა. იმ საქვეყნოდ აღიარების დღეებში გამოჩენილი კონსტრუქტორი და ამერიკის ავიაციის ფუძემდებელი მოულოდნელად გარდაიცვალა გულის შეტევით.

ალექსანდრე ქართველიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღოდა ამერიკის ქართველთა სათვისტომოს დაარსებაში. მან ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, სხვა დიდი ქართველი მწერლების ლექსები და პოემები. ამით იქარვებდა სამშობლოზე დარდს. ყველაზე მწარე კი მისთვის იმ სინანულის განცდა იყო, რომ პოლიტიკური უკუღმართობის გამო მისი ნიჭი საქართველოს ვერ მოხმარდა. ამერიკის გაზეთებში გამოქვეყნებული ზემოხსენებული სამგლოვიარო განცხადებებიდანაც ჩანს, რომ ამ განცდის გამო იგი უცხოეთში სიცოცხლის ბოლომდე ქართველ ემიგრანტად დარჩა – არც გვარი შეუცვლია და არც ეროვნება.

იოსებ ჯუღაშვილი

იოსებ ჯუღაშვილი ღარიბი ხელოსნის შვილი იყო. ახლაც დგას გორში პაწაწინა ქოხი, რომელშიც იგი დაიბადა.

ის იყო რუსეთში მეფის ხელისუფლების დამხობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე. რევოლუციური საქმიანობისათვის შვიდჯერ გადაასახლეს ციმბირში, შვიდივეჯერ გამოიქცა და ბრძოლა გააგრძელა. ახალგაზრდობაში კი ამისათვის სემინარიიდან გარიცხეს და მერე სპეციალური განათლება ვეღარც მიიღო. ამ შეუდრეკელობისათვის იმ წლებში ეწოდა სტალინი, რაც რუსულად ფოლადაურს, ანუ ფოლადივით მტკიცეს ნიშნავს.

1917 წელს რუსეთში რევოლუცია მოხდა. მეფის ხელისუფლება დაემხო. რუსეთი საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ლენინი, სტალინი და სხვა კომუნისტები აცხადებდნენ: რევოლუცია უნდა მოხდეს მთელ დედამიწაზე. მერე აშენდება სოციალიზმი და კომუნიზმი. აღარ იქნება ცალკე ერები და სახელმწიფოები, აღარ იქნებიან მდიდრები და ღარიბები.

იქნება ერთი მთლიანი მუშათა ქვეყანა, ერთი საერთო ენა და ყველა ერთნაირად ბედნიერად იცხოვრებსო. სწორედ ამიტომაც რევოლუციის შემდეგ ცალკე სახელმწიფოებად დაშლილი ქვეყანა მათ ისევ ძალით გააერთიანეს რუსეთის შემადგენლობაში. მას საბჭოთა კავშირი უწოდეს. დრომ და ცხოვრებამ არ გაამართლა მსოფლიო რევოლუციისა და ცალკე ერების მოსპობის შესახებ მათი ვარაუდები.

ლენინის სიკვდილის შემდეგ სტალინი დიდი ნიჭისა და ნებისყოფის წყალობით სახელმწიფოს სათავეში მოექცა. მან გააგრძელა ლენინის დაწყებული საქმე – სახელმწიფოში კერძო საკუთრების მოსპობა, კოლექტიური მეურნეობების შექმნა და სოციალიზმის მშენებლობა. ფანატიკურად სწამდა სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეებისა: სურდა, რომ საზოგადოებაში არ ყოფილიყო კლასობრივი განსხვავება, მდიდარი და ღარიბი, მჩაგვრელი და ჩაგრული; რომ ყველა თანაბრად, პატიოსანი შრომით გამხდარიყო შეძლებული. მთელი სიცოცხლე ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევას შეალია. მის ხელში გაღატაკებულმა რუსეთმა დიდი ნახტომი გააკეთა ეკონომიკაში – მძიმე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებში მსოფლიოში პირველი გახდა; ქვეყანაში აღმოიფხვრა წერა-კითხვის უცოდინარობა; იყო უფასო განათლება და სამედიცინო მომსახურება, მსოფლიოში ყველაზე დაბალი ფასები პირველი მოთხოვნილების საგნებზე – პურზე, მარილზე, ნავთზე, ბენზინზე, ელექტროობაზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც კი ყოველწლიურად ხდებოდა ფასების დაკლება იმ ვარაუდით, რომ ბოლოს ისინი უფასო უნდა ყოფილიყო. ის თვითონ იყო სოციალისტური საზოგადოების ხუროთმოძღვარი და ამ იდეების შესრულებისათვის ბრძოლაში არ იცოდა უკანდახევა; მაგრამ ამისათვის უმკაცრეს ზომებს მიმართავდა. მან გააგრძელა ლენინის დაწყებული რეპრესიები: იჭერდნენ და ხვრეტდნენ, ან კატორღაში აგზავნიდნენ ყველას, ვინც განსხვავებულად აზროვნებდა, მთავრობის საწინააღმდეგოს იტყოდა, სიტყვას შეუბრუნებდა და მორჩილებას არ გამოიჩენდა. ასეთებს კლასობრივ მტრებსა და იმპერიალიზმის აგენტებს უწოდებდნენ. არ ინდობდა ახლობლებს, ნათესავებს, თანამებრძოლებსა და მათი ოჯახის წევრებსაც კი. ცნობილია, რომ

გადასახლებაში მრავალწლიან სასჯელს იხდიდნენ მთავრობის მეთაურის ვიაჩესლავ მოლოტოვის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მიხეილ კალინინისა და სხვათა მეუღლეები. ასეთ პიროვნებათა ცოლებისათვის შუა აზიაში ცალკე საკონცენტრაციო ბანაკი არსებობდა. სტალინი 10 წელიწადში ერთხელ ატარებდა ქვეყანაში რეპრესიებს, რომ ხალხი მუდმივ შიშსა და მორჩილებაში ჰყოლოდა. ტირანული სიმკაცრით მიაღწია იმას, რომ უზარმაზარი სახელმწიფო უსიტყვოდ ემორჩილებოდა მის ნება-სურვილს. მთავრობის სასახლიდან იშვიათად გამოდიოდა, მაგრამ მსტოვრების ქსელით იცოდა, თვალუწვდენელ სახელმწიფოში სად რა ხდებოდა. ადამიანები მისი მითითების თანახმად ეძებდნენ კლასობრივ მტრებს მეგობრებში, ნათესავებში, ოჯახის წევრებში და ერთმანეთს აბეზღებდნენ – ხალხის მტერიაო. ამის გამო მილიონობით უდანაშაულო ადამიანი დაიხვრიტა, დაიღუპა ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. ხალხი სიმართლის თქმას ვეღარ ბედავდა. პირიქით, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიცრუეში: ყველა ამბობდა, რომ სტალინი ხალხის მამაა. მან საამური ცხოვრება შეგვიქმნაო.

ახალგაზრდობიდანვე შეეძლო თათბირებზე ჩუმად, უჩინრად ჯდომა, სხვების აზრების გულმოდგინედ მოსმენა და ბოლოს ყველას საუბრიდან მთავარი ლოგიკური დასკვნების ნათლად ჩამოყალიბება. ამით აშკარა ხდებოდა მისი უპირატესობა თანაპარტიელთა შორის. ამ ჩვეულებისათვის არ უღალატია მაშინაც, როცა დიდი იმპერიის საჭეთმპყრობელი გახდა – ყოველთვის ყურადღებით და პატივისცემით შეეძლო სხვათა მოსაზრებების მოსმენა, ანგარიშის გაწევა და მთავარი დასკვნის გამოტანა მათი საუბრიდან. მარშალი ჟუკოვი, ავიაკონსტრუქტორი იაკოვლევი და სხვა გამოჩენილი ადამიანები მოგონებებში აღნიშნავენ, რომ ხშირად სტალინს სხვისი ფიქრების ამოკითხვაც კი შეეძლო, გონებაში რაიმეს რომ გაიფიქრებდი, იმას მიგიხვდებოდაო. ამის გამო ბევრნი მონუსხულნი და თავზარდაცემულნი რჩებოდნენ. საოცარი შრომის უნარი ჰქონდა – ერთ ღამეში შეეძლო ხუთასგვერდიანი წიგნის წაკითხვა. კარგად ერკვეოდა ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის სულ სხვადასხვა დარგებში.

1941 წელს საბჭოთა კავშირს თავს დაესხა გერმანია. ამ ომში

გამოვლინდა სტალინის დიდი ორგანიზატორული და მხედართმთავრული ნიჭი. მან მოკლე დროში მთელი ქვეყანა საომარ ყაიდაზე გარდაქმნა და ხუთწლიანი მძიმე ომით გერმანია გააანადგურა. სტალინმა ოსტატურად მოახერხა საბჭოთა კავშირის მტრები – ინგლისი და ამერიკა მოკავშირეებად ექცია. იგი ამ მოკავშირე სახელმწიფოების ჯარების საერთო ხელმძღვანელი, ანუ მთავარსარდალი იყო. ამისათვის მას გენერალისიმუსის უმაღლესი სამხედრო წოდება მიენიჭა. დედამიწაზე არასოდეს ყოფილა ასეთი დიდი ომი. არც მეორე ისეთი პიროვნება ყოფილა ოდესმე, რომელსაც რამდენიმე ქვეყნის ჯარებისათვის ეხელმძღვანელოს და უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლილი ასეთი დიდი ომი მოეგოს. ჰქონდა ფენომენალური მეხსიერება – იცოდა სამხედრო შენაერთების სარდლებისა და შტაბების უფროსების გვარები პოლკების ჩათვლით. მან წინასწარ შესანიშნავად განჭვრიტა და ჩაფუშა ჰიტლერის ყველა სამხედრო სტრატეგიული ჩანაფიქრი. ახლა ბევრი უცხოელი ისტორიკოსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ 1942 წლიდან საბჭოთა ჯარების უკანდახევა იყო წინასწარგანზრახული და არა იძულებითი; ეს იყო სტალინის პირადი საიდუმლო სტრატეგიული ჩანაფიქრი, რომელიც არავისთვის გაუმხელია. ამ გეგმის მიზანი იყო საბჭოთა ჯარებს გეგმაზომიერად უკან დაეხიათ რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით, რუსეთის სიღრმეში შეეტყუებინათ გერმანელთა არმიები ისე, რომ ზურგიდან დიდ მანძილზე მოწყვეტის გამო გართულებულიყო მათი მომარაგება სურსათითა და ტყვია-წამლით, ბრძოლებით მოექანცათ, წინასწარ გამაგრებულ ადგილებში ალყაში მოექციათ და გაენადგურებინათ. სწორედ ამ გეგმის ერთ-ერთი დადასტურება იყო სტალინგრადის ბრძოლები, სადაც ალყაში მოექცა და ტყვედ ჩავარდა ფელდმარშალ პაულიუსის 330-ათასიანი არმია. ეს იყო გერმანიის დამარცხების დასაწყისი.

ამ ომში სტალინის შვილი იაკობიც მონაწილეობდა. იგი ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა. გერმანელებმა იაკობი ტყვედ ჩაიგდეს და სტალინს ფელდმარშალ პაულიუსში გაცვლა შესთავაზეს. სტალინმა უპასუხა: მე ფელდმარშალს ჯარისკაცში არ ვცვლიო. იაკობი გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა.

სტალინმა სახელმწიფო ინტერესებს ღვიძლი შვილი შესწირა.

ასეთი რამის ჩადენა მხოლოდ დიდ სახელმწიფო მოღვაწეებს შეუძლიათ. მსოფლიო ისტორიაში გიორგი სააკაძის შემდეგ სტალინის გარდა ეს არავის ჩაუდენია.

სტალინმა ქალამნიანი და ტყაპუჭიანი, მშიერი და ღატაკი, ომებით დანგრეული სახელმწიფო ჩაიბარა. 30 წლის შემდეგ კი, როცა გარდაიცვალა, დატოვა მსოფლიოს უდიდესი და უძლიერესი ატომური სახელმწიფო. დღესაც სპეციალისტების გაოცებას იწვევს, თუ როგორ შეძლო მან ომის დაწყებისას უმოკლეს დროში ქვეყნის მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა, ხოლო ომის შემდეგ ქვეყნისა და დაქცეული ეკონომიკის უსწრაფესად აღდგენა: მეორე მსოფლიო ომში სსრკ – მ გერმანიისა და მისი მოკავშირეების შეიარაღებული ძალების 75% გაანადგურა, ამერიკამ მხოლოდ -15%, ინგლისმა -10%. ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირში სასურსათო ბარათები გაუქმდა 1947 წელს, საფრანგეთში – 1949 წელს, ინგლისში 50-ნი წლების დასაწყისში. ბარათების გაუქმებიდან 5 წელიწადში საბჭოთა კავშირში პური, ხორცი, კარაქი 2,5-ჯერ გაიაფდა, შაქარი 2-ჯერ; იმავე ხუთ წელიწადში ამერიკის შეერთებულ შტატებში პურის ფასი 1/3-ით გაიზარდა, ინგლისში – ორჯერ, საფრანგეთში ორჯერ და მეტად. ხორცის ფასმა აშშ-ში მოიმატა 1/4-ით, ინგლისში 1/3-ით, საფრანგეთში – ორჯერ.

პირად ცხოვრებაში იყო თავშეკავებული, მკაცრი და მომთხოვნი თავისა და სხვების მიმართ. მთელი სიცოცხლე სამხედრო ფარაჯაში გაატარა და მოკვდა ისე, რომ ერთი ხელი სამხედრო ტანსაცმლისა და გაცვეთილი ფეხსაცმლის მეტი არ გააჩნდა. სამწუხაროდ მისმა სახელმწიფო მემკვიდრეებმა ფუფუნებაში, დროსტარებასა და ხელგაშლილობაში დაანიავეს მთელი დოვლათი და საბჭოთა კავშირი სრულ სიღატაკემდე, მერე კი დაშლამდე მიიყვანეს.

სტალინმა მთელი სიცოცხლე რუსეთის იმპერიის განმტკიცებას შესწირა, მაგრამ მმართველ ზედაფენას მაინც სძულდა არარუსული წარმოშობისა და სიმკაცრის გამო. სტალინის სიკვდილის შემდეგ დაიწყეს მისი ლანძღვა-გინება, ზოგიერთები იმასაც მოითხოვდნენ, მისი ნეშტი დავწვათ და ფერფლი ზარბაზნით იქითკენ გავისროლოთ, საიდანაც მოვიდაო. მის სახელს

გერმანიაზე გამარჯვების დღის ზეიმზეც კი არ ახსენებდნენ. ამბობდნენ, რომ ეს ომი საბჭოთა ხალხმა მოიგო პარტიის ხელმძღვანელობითო. თითქოს საერთოდ შეიძლებოდეს ომის მოგება მთავარსარდლის გარეშე.

სტალინის ნიჭის ყველაზე დიდი შემფასებლები მისი თანამებრძოლები კი არა, სწორედ მისი მტრები და მოწინააღმდეგეები – უცხო ქვეყნების მეთაურები აღმოჩნდნენ. მისი ყველაზე დიდი მტერი, გერმანიის სახელმწიფოს მეთაური ადოლფ ჰიტლერი წერდა: „რუსი ხალხის ძლიერება მის რაოდენობაში ან ორგანიზებულობაში კი არ არის, არამედ მის უნარში, შვას სტალინის მასშტაბის პიროვნებები. თავისი პოლიტიკური და სამხედრო თვისებებით სტალინი ბევრად აღემატება ჩერჩილსა და რუზველტს. იგი ერთადერთი მსოფლიო პოლიტიკოსია, ვინც პატივისცემის ღირსია. სტალინის მოცილება თუ შევძელით, მათ ყველაფერი დაეშლებათ.“ სამწუხაროდ ჰიტლერმა არ იცოდა, რომ სტალინი წარმოშობით რუსი ერის შვილი არ გახლდათ და მისი გენიალობა რუსი ერის დამსახურება სულაც არ იყო. ამერიკის პრეზიდენტმა რუზველტმა, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა ჩერჩილმა და სხვებმა, რომლებიც მას პირადად იცნობდნენ, იგი უდიდეს პიროვნებად აღიარეს. ომისშემდგომ წლებში გამოქვეყნდა ჩერჩილის მოგონებები სტალინის შესახებ. ინგლისის განთქმული დიპლომატიური განათლების კაცი გაოგნებული იყო იმ ადამიანის ნიჭით, რომელსაც სპეციალური განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ მათ ბევრად აღემატებოდა. ჩერჩილმა სტალინი მსოფლიო მასშტაბის უდიდეს პოლიტიკოსად, დიპლომატად და სამხედრო საქმის მცოდნედ აღიარა.

ცოტა უფრო მოგვიანებით ცნობილმა სამხედრო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გენერალმა დ. ეიზენჰაუერმა მოსწრებულად თქვა: პლანეტებს შორის რომ ყრილობა ჩატარდეს, დედამიწამ ალბათ სტალინი უნდა გაგზავნოს დელეგატადო.

დღემდე გასაიდუმლოებულია მისი დაღუპვის ნამდვილი მიზეზებიც. ბევრნი ვარაუდობენ, რომ იგი მოწამლეს უახლოესი გარემოცვის წევრებმა. სტალინის პირადი საიდუმლო სამსახურის უფროსი ა. ჯუღა ამბობდა პარტიის ცენტრალური კო-

მიტეტის პოლიტბიუროსა და მთავრობის შესახებ: „ეს არის პოლიტიკური „შპანა“ (გარეწრებიო), რომლის ნახევარს მოდალატეები შეადგენენ.“ მან წინასწარ განჭვრიტა, რომ სტალინის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა და 1951 წლის ბოლოს ასზე მეტი კაცის სია წარუდგინა მათი გადაყენების მოთხოვნით. ამ სიაში სტალინის უახლოესი თანამებრძოლებიც იყვნენ. სტალინმა მათ გადაყენებაზე უარი თქვა პირდაპირი სამხილის არარსებობის მოტივით. მაშინ ჯუღამ თვითონ გადაწყვიტა შეთქმულების მოთავის ბერიას მოკვლა. სტალინმა ეს შეიტყო და ჯუღა სასტიკად დატუქსა. პროტესტის ნიშნად ჯუღა სამსახურიდან გადადგა. ჯუღაზე გულმოსულმა სტალინმა 1952 წლის დეკემბერში საბედისწერო შეცდომა დაუშვა – გააუქმა პირადი საიდუმლო სამსახური. ამით საკუთარ თავს წინასწარ განაჩენი გამოუტანა – შეთქმულებს საქმე გაუადვილა. ზუსტად ორი თვის შემდეგ სტალინი მოწამლეს. მისმა ერთგულმა თანამებრძოლმა, მთავრობის ყოფილმა მეთაურმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ მოლოტოვმა თქვა: „სტალინი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა. იგი მოწამლა შეთქმულთა ჯგუფმა – ბერიამ, მალენკოვმა და ხრუშჩოვმა.“ ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ბერიამ, მალენკოვმა, ბულგანინმა და ხრუშჩოვმა ორი დღე-ღამის განმავლობაში ავადმყოფთან არც ოჯახის წევრები, არც ექიმები არ მიუშვეს. ბერიამ მაშინ სტალინის აგარაკის კომენდანტის თანაშემწეს ლოზგაჩოვს უწმაწური ლანძღვა-გინებით უბრძანა: „პანიკას ნუ სტეხ. ამხანაგ სტალინს სძინავს და არ გააღვიძო, არც ჩვენ შეგვაწუხო.“ უდიდესი ქვეყნის მესაჭე და შემოქმედი ასე გაწირეს „თანამებრძოლებმა“ და აკრძალეს მისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა. უგონოდ მყოფი სრულიად მარტო ებრძოდა სიკვდილს. ხოლო როცა მოკვდა, ისინი მიცვალებულის ირგვლივ ცეკვავდნენ და ყვიროდნენ: „ტირანი მოკვდა! ტირანი მოკვდა!“ ექიმთა თავდაპირველ დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ სტალინი ძლიერი საწამლავით დაიღუპა, მაგრამ ეს დასკვნა გაქრა. შემდეგ ოფიციალურ ცნობაში მოწამლვის ფაქტი აღარ აღუნიშნავთ. მათ სიცოცხლეს გამოასალმეს ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს მეთაური კ. გოტვალდიც, პროფესიით ექიმი, რომელმაც მიცვალებულს პირიდან დუჟი მოწმინდა

ცხვირსახოცით და ჯიბეში ჩაიდო. სტალინის სიკვდილის შესახებ ხალხში უამრავი ვერსია არსებობს. მაგალითად, რუსეთის გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებული ერთერთი ახალი ვერსია ასეთია: სტალინი გაცილებით ადრე უშუალოდ კრემლში მოკლეს – ფიზიკურად გაუსწორდნენ, სტალინის აგარაკზე კი მისი ორეული ჰყავდათ გაგზავნილი. როცა კრემლში უმაღლესი თანამდებობები გაინაწილეს, ორეულსაც მედდის ხელით მომაკვდინებელი წამალი შეუშხაპუნეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. მერე სტალინის ცხედარი დაწვეს, ხოლო კრემლის კედელთან სამარეში სტალინის ნაცვლად ცარიელი კუბოა დამარხულიო. მეორე ვერსიის თანახმად მას სუფრაზე მოწამლული ღვინო შეაპარეს. საერთო ამ სხვადასხვა ვერსიებში ის არის, რომ მკვლელობის მოთავეები იყვნენ მისივე მთავრობის წევრები ხრუშჩოვი, მალენკოვი, ბერია და ბულგანინი.

სტალინის შემდეგ სახელმწიფოს სათავეში მოექცა ნ. ხრუშჩოვი, რომელმაც თავიდან მოიშორა მალენკოვი და ბერია. ეს ჩიტირეკია მმართველი რუსეთში კომუნისტების მიერ მოწყობილი ყველა რეპრესიისა და უბედურების სათავედ ქართველ ხალხს აცხადებდა. ამბობდა, რომ სტალინი ყველას სასტიკად ექცეოდა, ქართველებს კი ხელს აფარებდა, გადასახადებს არ ახდევინებდა, ომში ქართველები არ მიჰყავდა; მისი სისასტიკე ქართული წარმოშობის ბრალია; ამიტომ ქართველი ხალხი, რომელმაც სტალინი შობა, ცომბირში უნდა გავასახლოთო. პარტიის XX ყრილობა მან მთლიანად სტალინის ლანძღვა-გინებას მიუძღვნა და პიროვნების კულტის მხილება უწოდა. მოხსენებით გამოსვლისას ხრუშჩოვი წარა-მარა ჩერდებოდა და რეპლიკას წამოისროდა: „ვოტ ვაშ ველიკი სინ გრუზინსკოგო ნაროდა.“ ასეთი შოვინისტური ცილისწამებებით მან რუსეთში ქართველი ხალხის მიმართ საშინელი სიძულვილი დათესა. სინამდვილეში სტალინი სხვა ერებზე უფრო მკაცრად ქართველებს ექცეოდა, რომ მისთვის მიკერძოება არავის დაებრალებინა. ამ უსამართლობას და ქართველი ერის განუწყვეტელ ლანძღვას 1956 წლის მარტში ხალხის აჯანყება მოჰყვა, რომელიც სტალინის რეაბილიტაციის მოთხოვნიდან საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გადაიზარდა. ხრუშჩოვის ბრძანებით რუსის ჯარმა თბილისის

ქუჩებში ტანკებითა და ავტომატებით ახალგაზრდების ხოცვა-ჟლეტა მოაწყო. მაშინ 300-ზე მეტი ქართველი დაიღუპა.

სამწუხაროდ საქართველოში სტალინს დღესაც ძალიან ბევრნი დიდ ქართველთა შორის მოიხსენიებენ და მისით ამაყობენ. მათ ავიწყდებათ, რომ ამისათვის მარტო ეროვნული წარმოშობა არ კმარა. ადამიანი პირველ რიგში იმით ფასდება, თუ რა სიკეთე მოუტანა მშობელ ერს და ქვეყანას. სტალინმა კი სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც, სულხან-საბას იგავის სოფლის მაოხარი გზირისა არ იყოს, საქართველოს ზიანი მეტი მოუტანა, ვიდრე სიკეთე. მოვუხმოთ ფაქტებს.

სტალინი თავის ბიოგრაფიაში წერდა, რომ იგი ეროვნებით ქართველია, მაგრამ მისი მშობლიური ენა რუსულიაო. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ იგი გაორებული ბუნების კაცი იყო – ქართველობა ხანდახან ახსენდებოდა, როცა სევდა ეწვეოდა ხოლმე. ენა ერის პასპორტია დედამიწაზე. ერთმა ქართველმა პოეტმა სრულიად სამართლიანად თქვა; „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ – ანუ ენის გარეშე ერი არ არსებობს, ხოლო მშობლიური ენის უარმყოფელი კაცი იმ ერის ჭეშმარიტი შვილი ვერ იქნება. ის მხოლოდ წარმოშობით იყო ქართველი, ხოლო ბუნებით და მოღვაწეობით რუსი იმპერატორი და დიქტატორი გახლდათ: თავისი მოღვაწეობით იმპერიის საქმე აკეთა და ფენომენალური ნიჭიც რუსეთის ძლიერებას მოახმარა. მუდამ სასტიკი წინააღმდეგი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავის კარიერას შესწირა მშობლიური ქვეყანა, უამრავი ქართველის სიცოცხლე; საქართველოს მიწა-წყლის მეხუთედზე მეტი რომ მეზობლებმა დაინაწილეს, ამაშიც მას ორჯონიკიძესთან ერთად არანაკლები წვლილი მიუძღვის. ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა სიამაყით, რომ ნაციონალური საკითხების გადაწყვეტაზე სტალინი მუშაობსო. თანაც დასძენდა, რომ სტალინი და ორჯონიკიძე რუსებზე უფრო მეტი რუსები არიანო. ხელოვნური ავტონომიების შექმნით რომ საქართველო დღესაც ჯვარცმულია, რუსეთის უზარმაზარი კოლონიური იმპერია დღესაც რომ მსოფლიოს ზარავს თავისი აგრესიული, ომისმოყვარული პოლიტიკით და კაცობრიობის მომაკვდინებელი ბირთვული იარაღის ჟღარუნით, ამაშიც მისი პირადი წვლილი ძალზე დიდია. მეორე

მსოფლიო ომის შედეგად მან ნახევარი ევროპა და აზია „გაა-წითლა“ და რუსეთის მორჩილად აქცია, ხოლო რუსეთის მიერვე გასხვისებული ქართული მიწა-წყლის დასაბრუნებლად არაფერი გააკეთა, თუმცა თვით რუსი მარშალი გ. ჟუკოვი მაშინ ამის გაკეთებას სთხოვდა. არც ერთ ქართველ მეფეს ომში 30-60 ათას კაცზე მეტი არ გაუწვევია. დაკანონებული იყო, რომ 10 კომლს ევალებოდა ომში ერთი მხედრის გამოყვანა. ეს იმიტომ კეთდებოდა, რომ ერის გამრავლება არ შეწყვეტილიყო. სტალინმა გერმანიასთან ომში საქართველოდან 700 ათასი კაცი გაიწვია, ანუ თითოეული ოჯახიდან ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცი. ეს მთელი მოსახლეობის მესამედი იყო, ანუ პროცენტულად სხვა რესპუბლიკებზე მეტი. იმათგან ნახევარი ომში დაიღუპა. მაშინ გაწყდა წელში ქართული სოფელი, ბევრი მათგანი კი ნასოფლარად იქცა ხალხის ამოწყვეტის გამო. მის დროს მრავალი ათასი განათლებული და ნიჭიერი ქართველი მამულიშვილი დახვრიტეს, ანდა გააციმბირეს. აქაც პროცენტულად სხვა რესპუბლიკებზე მეტი მსხვერპლი ჩვენთან მოხდა. საკმარისია ითქვას, რომ 1924 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ 20 ათასზე მეტი ქართველი გაასახლეს, სიკვდილით დასაჯეს 12 ათასზე მეტი. როცა საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორს რუდენკოს ასამართლებდნენ, მან პროცესზე განაცხადა, რომ 1937-38 წლებში საქართველოდან რეპრესირებული იყო 250 ათასი ადამიანი. ეს მაშინ, როცა საქართველოს მთელი მოსახლეობა სამ მილიონზე ნაკლები იყო. სამწუხაროდ, ყველაფერი მარტო მისი ბრალი არ იყო. თვითონ ქართველთა შორის მაშინ ბევრი მედროვე და მოღალატე გაჩნდა, რომლებიც პირადი ინტერესების გამო თანამოძმეებს აბეზღებდნენ და ხელს უწყობდნენ მათ დაღუპვას.

რუსეთმა 1920 წელს დამოუკიდებელი საქართველო აღიარა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დადო. მიუხედავად ამისა 1920 წლის 15 დეკემბერს კავკასიის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე მოხსენებაში ს. ორჯონიკიძე ცილისმწამებლურად აცხადებდა: საქართველო რუსეთზე თავდასხმისათვის ემზადებაო. ორჯონიკიძემ, სტალინმა, კიროვმა ცხრა თვის მანძილზე არაერთხელ მისწერეს ეს სიცრუე ლენინს და მოითხოვეს საქართველოსთან ომის დაწყება. 1924 წლის აჯანყების ჩაქრობის

შემდეგ ქართველი ბოლშევიკების უმეტესობა იმის მომხრე იყო, რომ ამას ნაკლები სისხლიანი რეპრესიები მოჰყოლოდა. სტალინმა კი კისლოვოდსკის თათბირზე მათ უთხრა: „თუ თქვენ ასეთი ბრიყვები იყავით, ვერ წარმომედგინა. როგორ შეიძლება ასეთი დიდებული შემთხვევის ხელიდან გაშვება... ახლა საბაბი გვეძლევა მას (საქართველოს) სისხლი გავადინოთ. თქვენ კი ასეთ სულმდაბლობას და ლაჩრობას იჩენთ. რაც უფრო მასობრივი იქნება გამოსვლები, მით უკეთესი, არავინ დაზოგოთ... საქართველოში სარეველამ იმძლავრა, საქართველო უნდა გადაიხნას.“

საქართველო მისთვის დიდი იმპერიის შემადგენელი ერთ-ერთი პოლიტიკური ერთეული იყო მუდამ და არა სამშობლო, იმ სახელმწიფოს ნაწილი, რომელსაც თვითონ მართავდა და რომელიც, მისი მოძღვრებით, კიდევ უფრო უნდა გაემთლიანებინა ერებისა და ენების შერწყმას, „ერთიანი საბჭოთა ერის“ ჩამოყალიბებას. ამ იდეის მოწინააღმდეგეებს არასდროს ინდობდა.

იოსებ ჯუღაშვილის შესახებ ჯერ კიდევ 1905 წელს ვაჟაფშაველა წერდა: „დიდია პატარა კობას მომავალი... მაგრამ ამ ვარსკვლავმა უპირველეს ყოვლისა ისტორიულად დაჩაგრული საქართველოსათვის უნდა გაანათოს.“ სამწუხაროდ, დიდი ვაჟას სურვილი არ ასრულდა. ასევე სტალინის მიერ ჭაბუკობაში სოსელოს ფსევდონიმით დაწერილი მშვენიერი ლექსი „აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მხარეო“ მხოლოდ ჭაბუკურ სურვილად დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური განათლება არ მიუღია, ჰქონდა უაღრესად ძლიერი გონება, წერის მაღალი კულტურა, რკინისებური ლოგიკური აზროვნება, ურთულესი პოლიტიკური, ეკონომიკური, ფილოსოფიური პრობლემების წვდომისა და ძალზე ნათლად, სხარტად, გასაგებად, ლამაზად გადმოცემის უნარი. მისი პოლიტიკური და ფილოსოფიური ნაშრომები იმდენად ლაღი სტილით არის ნაწერი, რომ მხატვრული ნაწარმოებივით იკითხება. ჭაბუკობაში ილიას „ივერიაში“ აქვეყნებდა შესანიშნავ ლექსებს. თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ მისი სახით არა მარტო დიდი მესაჭე, არამედ დიდი მწერალიც დაკარგა.

იგი ისტორიაში დარჩა როგორც გენიალური საერთაშორისო მასშტაბის მოაზროვნე, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. ბუნებრივი გრძნობაა, როცა ქართველ კაცს გსიამოვნებს, რომ ასეთი პიროვნება წარმოშობით ქართველი იყო. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მან ჩვენი წამებული სამშობლოს ისტორიაში საბედისწერო როლი შეასრულა. მან იმდენად გააძლიერა და განამტკიცა რუსეთის იმპერია, რომ პატარა საქართველოს მრავალი წლით გაუხანგრძლივდა კოლონიური მარწუხებისგან თავდახსნა. ჩვენთვის იგი სხვა ქვეყნის სამსახურში მყოფი ისეთივე მამლუქი იყო, როგორც ორჯონიკიძე, ბერია, პეტრე ბაგრატიონი, ბარიატინსკი, ციციანოვი, გენერალი დიმიტრი ორბელიანი, ანდა ირანში, ოსმალეთსა თუ სხვა ქვეყნებში მოღვაწე ქართველი მამლუქები. ამასთან თავისი მოღვაწეობის მასშტაბებით ქართული წარმოშობის მამლუქთაგან ყველაზე დიდი მასშტაბის მოღვაწე, რომელსაც საბოლოოდ თვით რუსები ძალზე უმადურად მოექცნენ და სიცოცხლესაც გამოასალმეს. იგი პირველ რიგში რუსეთის მოქალაქე, რუსეთის იმპერიის უდიდესი მოღვაწე იყო და არა დიდი ქართველი მამულიშვილი. სამწუხაროდ ასეთია მკაცრი სინამდვილე და ფაქტები. ჩვენ ვალდებული ვართ დიდ პიროვნებათა შეფასებაში ყოველთვის ფაქტებით ვიხელმძღვანელოთ, რადგან ვისაც ღვთისაგან ბოძებული გონება აქვს, საღად განსჯის უნარიც უნდა ჰქონდეს!.

შეძენილი შვილები

საქართველოსთვის ჯვარცმული კაცი

ეს ამბავი ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს მოხდა. ერთი სპარსელი დიდებული საქართველოში დასახლდა და ქრისტიანობა მიიღო. ნათლობის მერე მას რაჟდენი ეწოდა. ქართველი ხალხი გულით შეიყვარა. გამორჩეული გარეგნობისა და ნიჭის კაცი იყო. მალე ვახტანგ მეფის ერთგული მრჩეველი და სარდალი გახდა. მეფემ დიდძალი სოფლები და მამულები უბოძა.

სპარსეთის მეფე პეროზი უთვალავი ჯარით შემოგვესია. ვახტანგ მეფემ ფიცხელი ომი გაუმართა. დამპყრობლებს ყველაზე მამაცურად რაჟდენი ებრძოდა. ეს ამბავი პეროზმა შეიტყო და მისი შეპყრობა ბრძანა. მართლაც სპარსელები ერთ ვიწრო ხეობაში ჩაუსაფრდნენ და მცირე ამალით მომავალი რაჟდენი დაატყვევეს. სპარსთა მეფემ მას ისევ მამა-პაპის რჯულზე დაბრუნება მოსთხოვა. თან უზომო დიდებასა და პატივს ჰპირდებოდა.

– ვახტანგ მეფესთან ერთგულების ფიცი მაქვს დადებული. ფიცის გატეხვა რა ვაჟკაცის საქმეა. შენგან ბოძებული ყველა სიკეთე კვამლივით გაქრება. ჩვენც მიწად ვიქცევით. სულის უკვდავება კი მარადიულიაო. – მიუგო რაჟდენმა. მაშინ სპარსელებმა ხანგრძლივი ცემითა და წამებით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს. მერე რკინის მარწუხებით შეკრული ბნელ დილეგში ჩააგდეს.

ვახტანგი დიდად შეაწუხა ერთგული კარისკაცის წამებამ. მან ორი ერისთავი გაუგზავნა სპარსთა მეფეს თხოვნით: ჩაიდინე მეფური გულმოწყალება – რაჟდენი ცოტა ხნით ცოლ-შვილის სანახავად მაინც გამოუშვიო. პეროზმა ტყვე მართლაც გაუშვა, მხოლოდ უკან დაბრუნების ფიცი ჩამოართვა. ეს უფრო რაჟდენის გამოსაცდელად ჩაიდინა და არა გულმოწყალებისათვის – ერთი ვნახოთ, ფიცის გატეხვას იკადრებს თუ არაო.

რაჟდენი ქართველთა ბანაკში მივიდა, ინახულა მეფე და თანამებრძოლები. მერე ცოლ-შვილი მოიკითხა. ოჯახში ბევრს ეხ-

ვეწნენ: ნუ დაბრუნდები სპარსელებთან, მოგკლავენო. ვერ გადაათქმევინეს. პეროზს სიტყვა მივეციო – თქვა და მტრის ბანაკში დაბრუნდა.

რაჟდენი ისევ დილეგში მოათავსეს. ათასნაირად სტანჯეს. ამაოდ. არც ქართველობა დათმო, არც ქრისტიანობა. ბოლოს ეს უტეხი კაცი ქრისტესავით ჯვარს აცვეს. სოფელ წრომში მთაზე ხის დიდი ჯვარი აღმართეს. ზედ რაჟდენი იყო გაკრული. ორი დიდი სამსჭვალი ხელისგულებზე დააჭედეს, ერთი კი გადაჯვარედინებულ ფეხებზე. მერე მომაკვდავს ისრები დაუშინეს. სისხლისგან დაცლილი რაჟდენი მაცხოვარივით ჭირთათმენით შეხვდა აღსასრულს.

ომის მერე გორგასალმა სოფელ ნიქოზში ეკლესია ააგო და რაჟდენის ნეშტი იქ გადაასვენა. ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

ათასხუთასი წელი გავიდა მას მერე. ქრისტიანული სამყარო კი დღესაც უდიდესი მოწიწებით იხსენებს ამ დიდებულ ადამიანს. იხსენებს იმიტომ, რომ კაცობრიობას რწმენისათვის თავგანწირვის საოცარი მაგალითი უჩვენა – ქრისტესავით ეწამა. სწორედ ეს არის სულის უკვდავება, რომელზეც წმინდა რაჟდენი პეროზ მეფეს ეუბნებოდა.

16 აგვისტო წმინდა რაჟდენ პირველმოწამის ხსენების დღეა!

წმინდა აბო თბილელი

არაბმა აბომ ბაღდადში გაიცნო ქართველები, რომლებიც ქართლის ერისმთავარ ნერსეს მხლებლები იყვნენ. არაბებისგან დაპყრობილ საქართველოში წარამარა აჯანყებები ხდებოდა. ერისმთავარი ნერსე აქეზებს ხალხსო – დაებეზღებინათ მსტოვრებს. ხალიფას საპყრობილეში ჩაესვა ნერსე. სამ წელიწადს ყურყუტებდნენ ბაღდადში ქართველები, ვერ მიეტოვებინათ თავიანთი პატრონი. ამ თავდადებისა და ჭირთა თმენისათვის მოეწონა ისინი აბოს. იმედიანები იყვნენ, ლაღნი და გამტანნი. ან როგორი თავდაჭერა, ლხინი და სიმღერა იცოდნენ.

სამი წლის მერე ხალიფამ თქვენი ჭირი წაიღო. ახალმა ხა-

ლიფამ კი ნერსე ტყვეობიდან გაათავისუფლა. 17 წლის აბომ მიატოვა სახლ-კარი, ნათესაობა და ქართველებს წამოჰყვა.

აბო მალე შეეგუა თბილისს, ისწავლა ქართული ენა, წერა-კითხვა, ზნე-ჩვეულება. თავგადაკლული ქრისტიანი და ქართველი გახდა. ქართველებსაც შეუყვარდათ ნელსაცხებლებისა და სამკურნალო მალამოების ოსტატი. თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ.

არაბებმა ითმინეს, ითმინეს და ბოლოს თბილისის ამირასთან იჩივლეს: აბომ ქრისტიანობა მიიღო, ქართველობაზე თავსა სდებსო. სხვებსაც ამას ურჩევსო. თუ არ დასჯი, შეიძლება ბევრ არაბს ჭკუაში დაუჯდეს და ქართველების მხარეზე გადავიდესო. ამასაც არ დასჯერდნენ. აბო შეიპყრეს და ამირას მიჰგვარეს – გინდა თუ არა, დასაჯეო.

ამირამ ჭაბუკი დილეგში ჩააგდო. აბომ მთელი ქონება გაყიდა და ტუსაღებს გაუნაწილა. ბოლოს ტანსაცმელიც გაიხადა და გასაყიდად გაატანა. აღებული ფულით ქალაქის ეკლესიებში სანთლები დაანთეთ ჩემი სულის მოსახსენებლადო.

არც მუქარამ გასჭრა, არც საშინელმა წამებამ, არც ამირას შეგონებამ. – შენი ცუდი სიტყვები არ მესმის, როგორც მაგ კედელს, რომელსაც მიყრდნობილი ხარო. – პასუხობდა ამირას დარიგებაზე. ამირას ბრძანებით სარკინოზებმა მეტეხთან, რიყეზე გაიყვანეს და ხმლით თავი მოჰკვეთეს. გვამი ცეცხლში დაწვეს. მერე ძვლები და ნაცარი გუდაში ჩაყარეს და მტკვარში გადააგდეს. ემანდ ქრისტიანებმა მისი ნაწილები არ წაიღონ და საქადაგებლად არ გამოიყენონო.

786 წლის 6 იანვარს მოხდა ეს ამბავი, პარასკევს, ნათლიღების დღეს.

ქართველებმა აბო წმინდანად გამოაცხადეს. მისი წამების ადგილზე ნიში ააგეს. აბოს ნიში დღესაც ქრისტიანთა წმინდა სალოცავად ითვლება.

მწერალმა იოანე საბანისძემ აღწერა წმინდა აბო თბილელის წამება. როცა არაბთა ძალმომრეობის გამო საქართველოს გადაშენების საფრთხე დაემუქრა და ქრისტიანობა ქარიშხალში მოხვედრილი ლერწამივით ირყეოდა, მაშინ მოგვევლინა აბო. უცხო, დამპყრობთა ტომის კაცმა ტანჯული საქართველოსთვის

თავი დასდო. ამან ხიფათში ჩავარდნილი ქართველები გაამხნევა, ეროვნული შეგნება გაუცხოველა და გამარჯვების რწმენა ჩაუნერგაო. – წერდა საბანისძე.

21 იანვარი წმინდა აბო თბილელის ხსენების დღეა!

მარი ბროსე

ფრანგი მეცნიერი მარი ბროსე ჭაბუკობაში გატაცებული იყო ჩინური, ტიბეტური, მანჯურული ენებით. იცოდა აგრეთვე ძველი ბერძნული, ებრაული, ლათინური, გერმანული და სხვა ენები. 1819 წელს შემთხვევით წაიკითხა პატარა ცნობა საქართველოს ისტორიიდან. ბროსემ ყველაფერს თავი დაანება და ქართულის შესწავლას შეუდგა. იმ დროს ევროპაში ბევრი არაფერი იცოდნენ საქართველოზე. არათუ ევროპაში, თვით საქართველოშიც კი არავინ ეწეოდა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საფუძვლიან მეცნიერულ კვლევას. მარი ბროსე პირველი უცხოელი იყო, რომელიც საქართველოს წარსულის ღრმა მეცნიერულ შესწავლას შეუდგა.

ბროსემ ბერძნული და ქართული ბიბლიებიდან ამოწერა ერთი და იგივე საკუთარი სახელები. ისინი ერთმანეთს შეადარა და დაადგინა ქართული ანბანი. მერე პარიზის ბიბლიოთეკებში არსებული „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა ქართული ხელნაწერები თავისი ხელით გადაწერა მთლიანად. შეადგინა ქართული ენის ვრცელი ლექსიკონი. ასე თანდათან, მძიმე ჯაფით, სხვის დაუხმარებლად ისწავლა ქართული ენა.

ბროსემ მრავალი წერილი და გამოკვლევა გამოაქვეყნა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებზე. მისი ოცნება იყო საქართველოში მოგზაურობა. ბროსეს სახელი გაუვარდა, როგორც დიდ მეცნიერს. იგი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში მიიწვიეს სამუშაოდ. ბროსე ოჯახიანად გადასახლდა რუსეთში. მან მოიარა საქართველოს ყველა კუთხე, ახლოს გაეცნო ხალხს, შეაგროვა ძველი ქართული ხელნაწერები, მონეტები, არქეოლოგიური მასალები და სხვა საბუთები. შეგროვილი მასალები პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში დააბინავა.

ბროსემ ფრანგულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“,„სიბრძნე-სიცრუისა“, „ქართული სამართალი“, ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს გეოგრაფია და სხვა ნაწარმოებები. დაწერა ქართული ენის გრამატიკა. ეს შესანიშნავი წიგნი დიდი მოვლენა იყო არა მარტო უცხოელებისათვის, არამედ საქართველოსთვისაც.

ბროსემ ფრანგულ ენაზე მოამზადა და გამოსცა საქართველოს ისტორია. იგი შვიდი ტომისგან შედგებოდა. მას დაურთო თავისი მეცნიერული დასკვნები და განმარტებები. ოცდაათი წლის დაუღალავი კვლევა დასჭირდა ამ უზარმაზარ შრომას. ბროსეს შრომებით ევროპამ გაიცნო საქართველოს უძველესი კულტურა, ისტორია, ლიტერატურა.

ზოგიერთი რუსი მეცნიერი ცდილობდა სახელი გაეტეხა ქართველი ერისათვის. ბროსე მკაცრად ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ, საქმის ცოდნით, დოკუმენტურად აბათილებდა ამ ცილისწამებებს. ამავე მიზნით პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასა და უნივერსიტეტში კითხულობდა საჯარო ლექციებს საქართველოს შესახებ. ამ ლექციებს ნებაყოფლობით, უსასყიდლოდ კითხულობდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის აღორძინების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებისათვის.

თითქმის ორმოცდაათი წელი გაატარა საქართველოსთვის თავგანწირულ შრომაში. დაწერა ორასორმოცდაათზე მეტი გამოკვლევა. მძიმე შრომამ შეარყია მეცნიერის ჯანმრთელობა. მოხუცი და ავადმყოფი ბროსე საფრანგეთში გაემგზავრა სამკურნალოდ, მაგრამ იქ მალე გარდაიცვალა.

ქართველ ერში ღრმა მწუხარება გამოიწვია დიდი მეცნიერის დაღუპვამ. თბილისში, ქუთაისში, გორში, ახალციხეში სამოქალაქო პანაშვიდები გაიმართა, გაზეთებში დაიწერა სამგლოვიარო წერილები. წმინდა ილია მართლის თხოვნით კი აკადემიკოს ბროსეს სახელი თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა.

ჭეშმარიტად გასაოცარი იყო ქართული საქმისათვის ამ კაცის თავგანწირვა. შორეული საფრანგეთის შვილი თავისი ნებით მოვიდა და მთელი სიცოცხლე უანგაროდ შესწირა საქართველოს. მან უდიდესი ამაგი დასდო ქართველ ხალხს, ამიტომ მის სახელს დავიწყება არ უწერია. საქართველოს სახელოვან შვილთა შორის მარი ბროსეს მუდამ საპატიო ადგილი ექნება მიჩენილი.

და-ძმა უორდროპების ღვაწლი

ერთხელ ინგლისელმა დიპლომატმა ოლივერ უორდროპ-მა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ნახა შოთა რუსთველის ფრესკა. მონასტრის ბერებმა უამბეს, რომ ეს იყო XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტი, ავტორი გენიალური „ვეფხისტყაოსნი-სა“. ოლივერს პირველად მაშინ აღეძრა სურვილი, რომ ემოგ-ზაურა საქართველოში და გასცნობოდა ამ ქვეყანას. მან მართ-ლაც იმოგზაურა საქართველოში. როცა ინგლისში დაბრუნდა, აღფრთოვანებით უამბობდა დას მარჯორის საქართველოს შე-სახებ. მარჯორიმ გადაწყვიტა ენახა საქართველო. უორდროპებ-მა ილია ჭავჭავაძეს წერილი მოსწერეს, რომ სურდათ საქართ-ველოში ჩამოსვლა, ილიას ნაწარმოებებისა და ქართული მწერ-ლობის ნიმუშების თარგმნა. ილიამ ისინი სტუმრად მოიწვია. მათ იმოგზაურეს ჩვენს ქვეყანაში, გაიცნეს ქართველი ხალხი, ქართული კულტურის ძეგლები, ჩვენი ისტორია, ეთნოგრაფია. მერე ილიამ ისინი საგურამოში ისტუმრა. იქ დიდხანს ისაუბ-რეს ქართული მწერლობის ნიმუშების თარგმნის საკითხებზე. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უორდროპები შეუდგნენ ჩა-ნაფიქრის განხორციელებას.

ოლივერმა თარგმნა „ვისრამიანი“, ცხოვრება გიორგი მთაწ-მინდელისა, წმინდა ნინოს ცხოვრება, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“. მარჯორიმ თარგმნა ქართული ხალხური ზღაპრები, ილიას ნაწარმოებები; მან თხუთმეტი წლის უმძიმე-სი შრომა გასწია „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად თარგმნაზე. ეს პროზაული თარგმანია, მაგრამ ინგლისური ენის ქართველი სპეციალისტები ამბობენ, რომ ინგლისურ ენაზე არსებულ რამ-დენიმე თარგმანს შორის ეს ერთ-ერთი საუკეთესოა. მარჯორი მაქსიმალურად ეცადა თარგმანში შეენარჩუნებინა რუსთველის მხატვრული სახეები. მარჯორი ვერ მოესწრო ამ თარგმანის გა-მოქვეყნებას. იგი 1909 წელს მოულოდნელად გულის შეტევით გარდაიცვალა, ხოლო მისი თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ 1912 წელს გამოქვეყნდა.

მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა უდიდესი ღვაწლი დას-დეს ევროპაში საქართველოს სახელისა და კულტურის გატა-

ნას. მათ ევროპას გააცნეს ქართული ლიტერატურა, ისტორია, კულტურა. უორდროპებს წრფელი გულით უყვარდათ საქართველო, ქართველი ხალხი. ამ სიყვარულზე ისიც მეტყველებს, რომ ოლივერმა უმცროს ქალიშვილს წმინდა ნინოს პატივსაცემად ქართული სახელი ნინო დაარქვა.

რუსეთის იმპერია ყოველნაირად უშლიდა ხელს უორდროპებს ქართული კულტურის პროპაგანდაში. როდესაც პარიზში საერთაშორისო სიმპოზიუმზე ოლივერი საქართველოს შესახებ მოხსენებით უნდა გამოსულიყო, რუსეთის ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ ეს არ მომხდარიყო. მისი მოხსენების ტექსტი დღესაც ინახება ბრიტანეთის მუზეუმში.

ოლივერის ქალიშვილს ნინოს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა მამისგან ჩანერგილი საქართველოს სიყვარული. მის ბინაში თავი საქართველოში გეგონებოდათ. იქ მუდამ ქართული სული ტრიალებდა – კედლებიდან გიმზერდნენ თამარ მეფის, წმინდა ნინოს ხატები, შოთა რუსთველის ფრესკა ჯვრის მონასტრიდან, სხვა ქართული ხატები. ნინომ ბევრჯერ სცადა საქართველოში ჩამოსვლა,მაგრამ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ამის უფლება არ მისცა. ღრმად მოხუცი 2004 წელს გარდაიცვალა ისე, რომ ვერ ეღირსა ოცნების აღსრულებას – საქართველოს ნახვას.

ბრიტანეთის საელჩოში ინახება მარჯორის პირადი ნივთები – ოქროს სამკაულები და კაბა, რომელიც მას საქართველოში მოგზაურობის დროს ეცვა.

მადლიერი შთამომავლობა არ ივიწყებს უორდროპების ღვაწლს. როდესაც სიტყვა ჩამოვარდება იმ უცხოელ მოღვაწეებზე, ვინც დიდი ამაგი დასდო ევროპელთათვის ქართული კულტურის გაცნობას, მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი და-ძმა უორდროპები არიან. ამ საქმეში მათი ღვაწლი ფასდაუდებელია. მათ მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ინგლისურ ქართველოლოგიას, ქართველი და ინგლისელი ხალხების მეგობრობას, მათი კულტურების კავშირს. დღევანდელი არაერთი ინგლისელისაგან ხშირად გაიგონებთ, რომ მათ საქართველო გაიცნეს უორდროპების ნაშრომებით. უორდროპებმა უდიდესი სიყვარული გაიღეს საქართველოსათვის და ქართველი ხალხიც მათ ასეთივე სიყვარულით გაიხსენებს მუდამ.

დედა კორნელია

კუნძული ტექსელი ჰოლანდიაშია. მეორე მსოფლიო ომში გერმანელმა ფაშისტებმა აქ ტყვეთა ბანაკი მოაწყეს. ბანაკში შვიდასზე მეტი ქართველი ტყვე შეაგროვეს. უნდოდათ ისინი საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ ეომებინათ. ფაშისტებმა მოსახლეობა გააფრთხილეს: სიკვდილით დაისჯება ყველა, ვინც კი ბანაკიდან გაქცეულ ტყვეს დაეხმარება ან დამალავსო.

ერთი ჰოლანდიელი ქალი არ შეუშინდა ამ მუქარას. მან ოცდახუთი ტყვე დამალა და სიკვდილს გადაარჩინა. ქართველები მას დედა კორნელიას ეძახდნენ.

ტყვეებმა აჯანყება მოაწყეს. გერმანელებთან სისხლისმღვრელ ბრძოლაში ხუთასზე მეტი ქართველი დაიღუპა. ეს მოხდა ომის დამთავრების დღეებში.

ჰოლანდიელებმა საძმო სასაფლაოზე დაკრძალეს დაღუპული ქართველები. დედა კორნელიამ ბოლომდე გაუწია დედობა ყველას: ყოველდღე თავს დასტრიალებდა მათ სამარეებს, თვალისჩინივით უვლიდა. ის იყო მათი დამტირებელიც და ჭირისუფალიც. სამარეებზე ვარდები ყვაოდა მუდამ. ცოცხლად დარჩენილებმა კი დედა კორნელია საქართველოშიც მოიწვიეს სტუმრად.

ამდენი მადლის ჩამდენი ბედმა მაინც სხვებზე მეტად დასეტყვა – უდროოდ წაართვა ქმარ-შვილი. შვილი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი, 42 წლისა დაეღუპა. დედა კორნელიამ სიკვდილის წინ ანდერძი დატოვა – დამწვით და ჩემი ფერფლი ქართველთა სამარეებზე მიმოფანტეთო. ამ საოცარმა ქალმა საყვარელ ქმარ-შვილთან დამარხვას ისევ შვილობილების ჭირისუფლობა არჩია. ჰოლანდიელებმა შეასრულეს დედა კორნელიას უკანასკნელი თხოვნა.

საქართველოში სტუმრად ჩამოსულმა ჰოლანდიელებმა ჰეთი ვან დაიკმა და მარია დე გრააფმა თქვეს: „ჩვენ ქართველების წინაშე ვალში ვართ. ისინი რომ არა, დღეს შეიძლება ამ ქვეყანაზე არც ვყოფილიყავით.“

სარჩევი

საიდან მოდიან ქართველები 5
შუმერი და იბერი- 5
კაცობრიობის პირველდაწყებითი
მოდგმა 7
ინდოევროპელთა შემოსევა 7
ვინ გადაურჩა ინდოევროპელთა
წარღვნას? 8
საიდან ვიცით ამის შესახებ? 9
მითებისა და ლეგენდების
სამყაროში 10
პრომეთე 10
ერეკლე 11
არგონავტების მოგზაურობა 13
ბაბილონის გოდოლი 16
იბერიული დამწერლობა 17
პირველი წერილობითი ცნობები
ფარნავაზი 20
ბრძოლა რომის იმპერიასთან 24
როგორ გაჩნდა რომის
სახელმწიფო? 24
დასავლეთ იბერიის დაპყრობა 24
პონტოს სამეფო 25
მითრიდატე პონტოელი 27
სახალხო აჯანყება რომაელთა
წინააღმდეგ 34
ფარსმან ქველი 36
წმინდა გიორგი 38
მირიანი 41
პეტრე იბერი 45
ვახტანგ გორგასალი 47
რას გვიამბობს მოწამეთა
სამშობლოსთვის თავდადებული
ქალები 53
დედოფალი შროშანა 53
სამღერეთი 54
დავით აღმაშენებელი 57
ოქროს ხანა 60
შოთა რუსთველი 64
9 არყის ხის ამბავი 66
შალვა ახალციხელი 68
ცოტნე დადიანი 70
სამაგიერო 73
უფლისწული და გლეხის ბიჭი 75
ასჯერ გაზომე და ერთხელ
გასჭერი 78
რამ გადაარჩინა ქართველები? 79
მეფე დემეტრე თავდადებული 81
სისხლისღვრა უცხო მიწაზე 81
აბაშ ყიფიანის თავგანწირვა 82
ობოლთა და ღატაკთა გამკითხავი 83
მძიმე არჩევანი 83
დემეტრეს აღსასრული 84
თეგზით მოვაჭრეთა აღალი 85
გიორგი ბრწყინვალე 86
თავისუფლება შეინარჩუნეს 88
ქედუხრელნი 90
სისხლის წვიმების დროსაო 91
ამპარტავნობის შედეგი 92
ძმათა სისხლის ფასად 93
გორისის ომი 93
ხერხი სჯობია ღონესა 95
ხალხის სიყვარული 96
ღალატის ფასი 97
ქეთევან დედოფალი 98
წმინდა თევდორე 101
დიდი მოურავი 102
რა თქვა შაჰ-აბასმა
გამარჯვების ნადიმზე 102
ტაშისკარის ხაფანგში 103
შეთქმულება სააკაძის
წინააღმდეგ 106
გამოცდა 107
ლაშქრობა საქართველოში 108
დაღუპვის პირზე 110
შვილი თუ სამშობლო? 111
ხარება დილას მარტყოფის
ველზე 112
შაჰის ნობათი 114
რა ქნა შურმა და უნიჭობამ 114
ხალხის ბელადი 117

ის მწუხარე ბაზალეთი 119
ვეზირისა და მისი ცოლის
მუხანათობა 119
მოუშუშებელი ჭრილობა 125
ბახტრიონი 130
უცნაური საქციელი 133
დადიანის ელჩი 134
უცხო მიწაზე 135
საქართველოს მამა 136
თავგადასავალი დავით
გურამიშვილისა 141
ანა-ბაჯი 143
მჭადიჯვრელი გმირი ქალი 148
პატარა კახი 150
ენამოსწრებული პასუხი 151
როგორ უჩივლა გლეხმა მეფეს 152
სოლომონ პირველი 152
საქართველოს დაპყრობის
განზრახვა 153
მეფეები უჯაროდ რჩებიან? 155
რა მოუტანა საქართველოს
რუსეთ-ოსმალეთის ომმა? 156
შეთქმულება ერეკლეს წინააღმდეგ 157
კრწანისი 159
საბედისწერო შეცდომები 161
ანდრია და საფარა 164
რა სურდათ დარეჯან დედოფლის
მომხრეებს 165
“ბარაბანი დაჰკრეს“ 166
მეფეს ქვეყანა მონობისაკენ
მიჰყავს 166
რას ითხოვდნენ ირანი და
ოსმალეთი 167
ძალით მაცხონე 168
ტახტის მემკვიდრე რუსეთიდან
მოწყალებას ელის 171
სოლომონ ლიონიძე 171
ესეც რუსეთის ხელმწიფის
“მოწყალება“ – მანიფესტი! 174
ტახტის მემკვიდრე გონს მოდის.
1802 წლის შეთქმულება 176
საქართველოს დაპყრობა 177
მეფე ერეკლეს ოჯახის
განადგურება 177
გმირობა, რომელიც
არდავიწყების ღირსია 179
დასავლეთ საქართველოში
რუსთა შემოსვლის შედეგი და
მახვილით მოსულის ხვედრი 185
ალექსანდრე ბატონიშვილი 187
რუსეთ-კავკასიის
ორმოცდაათწლიანი ომი 189
ბრძოლა გარუსების წინააღმდეგ 192
დიმიტრი ყიფიანი 197
წმინდა ილია მართალი 200
ოლდა გურამიშვილი 206
წმინდანად გამოცხადება 207
რა გვიანდერძა წმინდა ილია
მართალმა 208
„აი ია“ 210
მიხეილ თამარაშვილი 213
ზუბალაშვილების ღვაწლი და
ხელისუფალთა უმადურობანი 218
ორი ალიყური რუსეთის იმპერიას 224
რა ინატრა ქართველმა პორტ –
არტურში 226
ნიკო ფიროსმანაშვილი 229
საქართველოს რესპუბლიკა 234
დამოუკიდებელი საქართველოს
დამარცხების მიზეზები 237
ბრძოლა ოკუპაციის წინააღმდეგ 245
სრულიად საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქის,
უწმინდესისა და უნეტარესის
ამბროსის თავგანწირვა
სამშობლოსათვის 251
შეფიცულები 253
საქართველოს უზადო რაინდი
და ჭირისუფალი 259
სიმღერა დარდის წამალიაო 266
როგორ გადარჩა ქართული
განძი 268
სადღეგრძელო 272
ლეგენდად ქცეული ძმობა 273
მიხეილ ჯავახიშვილი 276
მეორე მსოფლიო ომში 280

გიყვარდეს მოყვასი შენი	280
გრიგოლ ფერაძე	281
მიზანი, რომელსაც ახდენა	
არ ეწერა	283
იტალიის ეროვნული გმირი	286
ქართველი პარტიზანები	
საფრანგეთში	287
მამას ველოდებით	317
1956 წლის აჯანყება	318
ისიდორე	321
ასეა წუთისოფელი	326
კერპი	327
ახალი ოქროპირი	329
იქნებ მისი ბაგეებით	
ძველი ღმერთები მდეროდნენ?	335
აქ ჩიტიც არ მდერის	339
საქართველოს შიშველი სატევარი	347
უსინათლო მამულიშვილები	349
„ქებაი და დიდებაი ქართულისა	
ენისაი“	351
დაკარგული შვილები	354
ამბავი ეგვიპტელი მამლუქებისა	355
თუმან-ბეგი	355
ალი-ბეგის აჯანყება	358
აბრამ შინჯიკაშვილი	360
ცაში გაფრენილი მამლუქი	364
დაუდ-ფაშა	366
ანთიმოზ ივერიელი	371
ომის ღმერთი – ბაგრატიონი	373
ჯორჯ ბალანჩინი	377
ალექსანდრე ქართველი –	
გამოჩენილი ავიაკონსტრუქტორი	378
იოსებ ჯუღაშვილი	379
შეძენილი შვილები	391
საქართველოსთვის	
ჯვარცმული კაცი	391
აბო თბილელი	392
მარი ბროსე	394
და-ძმა უორდროპების ღვაწლი	396
დედა კორნელია	398

წიგნი დაკაბადონებულია
გამომცემლობა „ბერიკაში“

დიზაინერი: ვ. ჯუღელი
კორექტორი: ლ. გვენცაძე